ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

2

1984

ენათმეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔ-60 № 2 ᲗᲘᲗᲑᲔᲠᲒᲕᲐᲚᲘ, 1984 Წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲝᲩᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ. რომანი. გაგრძელება . . . 3
ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲯᲐᲑᲣᲨᲐᲜᲣᲠᲘ — ლექსები 62
ᲚᲐᲚᲘ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ — ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲘᲚᲧᲕᲐᲕᲡ რა უნდა! მოთხრობა 65
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ — 300. ლექსი 75
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲝᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ 83
ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ — ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ. ლექსი 88
ᲓᲐᲚᲘᲚᲐ ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 90
ᲣᲨᲐᲜᲒ ᲡᲐᲮᲚᲗᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — GRUS GRUS. მოთხრობა 92
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲝᲒᲝᲛᲣᲠᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 95
ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲑᲔᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ. თარგმნა გივი ალხაზიშვილმა 97

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗ

ᲛᲘᲠᲝᲜ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ — ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲘᲕᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ?.. ნარკვევი 100

ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ — „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 119

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲐᲠᲝᲚᲝᲜ ᲪᲐᲜᲐᲕᲐ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ . . . 138
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ — ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ 151

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲝᲛᲐᲠ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ . . . 158

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — რომანი ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ . . . 163
ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲠᲝᲖᲔ 165
ᲐᲚᲛᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ — ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ 168
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ — „ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲮᲐᲠ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ?“ 172
ᲔᲗᲔᲠ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲔᲓᲒᲐᲠ ᲞᲝᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ 174

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გოგიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჯილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

თავი მეოთხე

1.

— არაადამიანი დამიძახეთ, ჩემო კარგებო, კოლეგებო და ყველამ... თუ სიმართლეს არ ვამბობდე, აქედან, ამ სამასწავლებლოდან, არ გავიდე ცოცხალი, ამას რომ ვამბობ, ბატონო ფარნა...

— ამხანაგო ფარნა!

— ჰო, კაი ახლა შენ, აქვსენტი, მაცალე ორი სიტყვის თქმა, ისედაც არა ვარ ქალი ჭკუაზე. რაფერად გავიგოთ ეს, თუ არა კი!

— როგორ გავიგოთ ეს, თორემ კი...

— აქვსენტი, რა დაიწყე ეს ჩაკირკიმალება.

— ქართული ენის მასწავლებელი ბრძანდებით თქვენ, ქალბატონო მარო, მე როგორც ვიცი.

— „თქვენ", ქართულში, მრავლობითი პირის ნიშანია, „ამხანაგო" აქვსენტი და, თუ გაწყრა ღმერთი და, „ბატონო" ქვეყნის დაქცევაა, „ქალბატონოც" ხომ იგივეა? ამას გარდა, „მე როგორც ვიცი" კი არა, — „როგორც ვიცი, პირის ნიშანი „3" მაშინ რა მოხელეა.

— კარგი, თუ და ხარ, მარო, აქვსენტის უგდებ ყურს? არ იცი... — ჭოლაძემ მელოტ თავზე დაწებებულ ორ ღერ თმას დაუწყო თითებით ძებნა.

— არ ვიცი, პეტრე, ამნაირი აქვსენტი არ ვიცი!

— თქვენ არ ამირჩიეთ?!. — სკამზე გადაიღვლეჭა აქვსენტი აფხაძე და უმკლავო კიტელის სახელო ქამრიდან ამოუვარდა.

— როგორც აგირჩიეთ, ისე გადაგირჩევთ! — დაამშვიდა ჭოლაძემ.

— შენს პირს შაქარი!

— გაჩუმდი, კაცო, შენ! — წამოიწია ეძგვერაძე და აქვსენტის გაუწყრა თუ პეტრეს, თვითონაც არ გაეგებოდა. — მეც შენთან ვარ, მარო... მტერი კი არა ვარ, კაცო, მარა. დავიჯეროთ, ფარნა, ახლა ეს?

— სხვა რამ... სხვა უფრო მნიშვნელოვანი მაეჭვებს... — ხანდაზმულ უკბილო, მასწავლებელ ქალს ხელოვნური კბილები უვარდებოდა და სიტყვა უწყდებოდა.

— გმირობაზე უფრო მნიშვნელოვანი?.. რა გაეჭვებს, ამხანაგო მარო?

— რასაც მთელი ჩვენი ცხოვრება შევწირეთ... ფარნა! — გულზე ხელებდამჭვდეული დაბალი ქალი მაგიდის თავში მჯდომ დირექტორისაკენ მთელი ტანით მობრუნდა. — ჩვენ, მე მგონია... მგონი პედაგოგები ვიყავით, აჰ!

— აპა, რას შევწირე ჩემი ახალგაზრ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

დობა! — ამოიკვნესა ნატო ჩოგოვაძემ და ნაფოტა ცხვირისძირი ჩაუნაოჭდა.

— მერე? — იკითხა ჯავახაძემ და ახლა ნატოს მოუტრიალდა.

— გმირის აღზრდა სახელი და დიდებაა, თუ საეჭვოა?!

— შენ გაიგებ რაიმეს თუ... გვაცლი ჩვენ? — წამოდგა ეძგვერაძე, მაგრამ ვიწრო ოთახში რომ ფეხის გადასადგმელი არ იყო, ისევ მოწყვეტით ჩაჯდა.

— რატომ იცი, აქვსენტი... შენ მამუკას მასწავლებელი არ ყოფილხარ და რატომ იცი... — გალეულ ჩოგოვაძის ქალს ნაოჭები ახლა უპეებზე შეესია და თვალები დაუვიწროვა.

— მოიცა, აქვსენტი! — ფარნამ ცალი, წაელმებული, თვალი მოხუჭა.

— დ, ამას რომ ვამბობ, ფარნა ბატონო. მითხარი თუ მტყუანი ვარ... რომ გვკითხონ... ჩემი გაზრდილია... ჩვენი ყველასი, მარა ჩემი ხომ მთლად... და რა ვთქვა, ტყუილს ხომ ვერ ვიტყვი.

— დედას ვფიცავარ... რატომ უნდა ვთქვათ ტყუილი, რა იყო ასეთი ეს ბავშვი?! სიმართლე არ ითქმება? — მხრები აუტოკდა ცირეკიძის ქალს.

— რაც გინდათ, ვინც გინდათ. აგერაა მამამისიც, აგერ... მედული, შენს გარდა, თითქმის ყველა იმ ბავშვის გამზრდელია... აგერ სოფელ-ქვეყანა და... არანაირად არ იყო მამუკა გმირი.

— აგერ, შე ოჯახაშენებულო! — ჭოლაძემ გრძლად გაკეცილი, მუყაოს გახრიგინებული, გაზეთი ამოაძვრინა გულისჯიბიდან.

— მანდ სხვანაირად წერია თუ?! — გაიოცა ეძგვერაძემ და მაგიდაზე გაშლილ გაზეთს ჩააჩერდა.

— ყოფილა, ბატონო, ყოფილა და არ გვცოდნია, არ შეიძლება? — ქირქილით იკითხა, კარის წირთხლთან ტაბურეტზე ჩამომჯდარმა და სახელურს ხელით ჩაფრენილმა, კირილე კუჭავამ.

— კი იცი მაგი შენ, კირილე, არ შეიძლება! — მაროს სახეზე სიწითლე შემოენთო. — ჩვენი გაჭედილი ხატის ამბავი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ.

— და ვიცით, მაგრამ მე რომ ვიცი... ა, ბატონო! — ეძგვერაძემ ხეშეში გაზეთი ააფრიალა.

— მამუკას, შვილო, „მერანი“... — თავი გაიქნია — „ფიქრი მტკვრის პირას“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“ რომ დაეწერა, ისე არ გამიკვირდებოდა... — ხელები გადაშალა ქართულის მასწავლებელმა და კი არ დაჯდა, სკამზე დაენარცხა.

— გასაბრაზებელი კი არა, გასახარელია, მარა...

— რაა, კირილე, გასახარელი? მამუკას გმირობა ვინ გაიგონა!.. — იტკიცა ჯავახაძის ქალმა, ყბა აუკანკალდა — ჩი-იტი... მერცხალი შემოგვიფრინდა, საკლასო ოთახში, ერთ გაზაფხულზე და მინას რომ შეასკდა და რაფაზე დავარდა, მთელი გაკვეთილი თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე და მგონი მთელი კვირა არ გაუღიმია.

— მაინცდამაინც გადაჭაჭული ხითხითი არასოდეს იცოდა... კარგად ვიცი მაგ ბავშვი მე!

— ვინ არ იცის, პლატონ, რავა გეკადრება! — დააშოშმინა ისევ წამოსახტომად შეწკიპული ეძგვერაძე ჭოლაძემ.

— გმირი გყავთო, ქვეყანა და მთავრობა გვეუბნება და ვიძახოთ, ლაჩარი გავზარდეთ-თქო... არა, ლაჩარი, ახლა ასე კი არ გამიგოთ. ლაჩარი, ლაჩარი რა სათქმელია, მარა სიტყვაზე... — კართან ჩამომჯდარმა კირილემ სახელურს ხელი უშვა და ჩალის „შლაპა“ მოჭმუჭნა.

— ვინ ამბობს, მაგრამ ადამიანო, სიმართლე ხომ უნდა ითქვას? — იკითხა ჩოგოვაძის ქალმა, თავისი სიგამხდრით და ფერნაკლულობით, სანამ რაიმეს იტყოდა, პატივისცემას რომ იწვევდა.

— ახლა მიტინგები და ერთი ამბავი უნდა ატყდესო...

— ის კი არადა, შეიძლება სკოლასაც მივანიჭოთ გმირის სახელი! — შეახსენა პარტუჯრედმა — აქვსენტი აფხაძემ კოლეგებს: ისეთი არაფერი ითქვა, გმირს რომ არ შეშვენოდესო.

— აუ, უყურე შენ! — წამოიძახა

მოგვიანებით შემომძვრალმა და კართან ატუზულმა ლადიკო ჭოლოკავამ.

— და რაფერად ვთქვა, ჩიტის გული ჰქონდა-მეთქი!

— ეგ შეიძლება, ქალბატონო მარო...

— რავა შეიძლება, კაცო, ეს! — ადგილზე ვეღარ დამაგრდა ეძგვერაძე — მე მტერი კი არა ვარ, მარა არ შეიძლება.

— შეიძლება, ამხანაგო პლატონ! — აქვსენტის ხმა მყიფე გაუხდა. — ჩიტის გული კი არ ჰქონდა-თქო, ჩიტიც ეცოდებოდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა და მტრის სიძულვილმა გმირად აქცია და... ამისთანები.

ფარნას ულვაშებში უემური ღიმილი გაუჩნდა: რა მხარი ეცვალა ამ კაცს, რაც პარტუჯრედად აირჩიეს? ალალმართალი, ბუნჩულა აქვსენტი აფხაძე.. შარშან, ფრონტზე მისვლაც არ აცალეს, მკლავი მოაწყვიტეს და დაბრუნდა დამარცხებული, დაინვალიდებულ-დაბეჩავებული. ფარნამ განათლება ძლივს დაითანხმა, სამხედრო მასწავლებლად დაენიშნათ. თვითონ, ხეიბარს, თითქოს არც ამის სურვილი ჰქონდა. ხის თოფებს გაუდებდა მოსწავლეებს მხარზე და „ერთი-ორის“ გარდა „სამი-ოთხიც“ არ წამოსცდენია. ერთი აურზაური ჰქონდათ ბავშვებს: უღერდნენ „თოფებს“ ერთმანეთს და ზოგჯერ მასწავლებელსაც... ვერაფრით ვერ დაამგვანა გაკვეთილი გაკვეთილს. დირექტორის გაკიცხვისას თავჩაღუნული ჩაილაპარაკებდა: ფარნა, ამათაც თუ ეს დაჭირდათ, თუ ამათაც თოფი დაჭირდათ.. მაინც დაქცეულა ქვეყანა.

სასწავლო წლის დაწყებისას ჭოლაძემ: სასწავლო ნაწილი ვარ, გაკვეთილები მაქვს, სახლში ყანა და ვენახი. საზოგადოებრივი აგიტატორი, მოვბუცდი, დავჩაჩანაკდიო... პარტუჯრედი თავიდან გადაიძრო და აქვსენტის შეაჩეჩა. აეივდა საწყალი, ჩემი გაჭირვება მეყოფა, რა მეუჯრედება, ჯარში, წინა ხაზზე მიმიღეს პარტიაში, წესდებაც არ წამიკითხავსო. „ახლა წაიკითხეო“ — დაამშვიდა ჩვეული სიდარბაისლით ჭოლაძემ. ერთხანს კი იყო ისევ უსიტყვოდ და უგერგილოდ, როგორც გაკვეთილებზე. ძველ ოქმებს თუ გადმოწერდა ახალი რიცხვით და გვარებს შეცვლიდა, მაგრამ რაიონში რომ გამოუძახეს და გამოუძახეს, კაცმა არ იცის იქ რა ჯადო აჭამეს, აქვსენტიმ ჯერ ხმა ამოიღო, მერე ერთბაშად შეიცვალა და ცალი ხელით, დამოუკიდებლად, სცადა ოქმის დაწერა. კრებებსაც უხშირა, დასწრებადაგვიანების დღიური შემოიღო, კრიტიკული და მომთხოვნი გახდა, ახლა იმასაც კი იძახის „მივანიჭებთო“ და იმასაც თვითონ კარნახობს, ვინ რა უნდა თქვას და საქმე როგორ უნდა შეატრიალონ.

„რა არის ეს? ძალაუფლების ხელში აღება და კარიერის დასაწყისი? ქართულს ასწავლის ჯავახაძის ქალს, როგორ უნდა ილაპარაკოს თავის აღზრდილზე და ალბათ მეც... — გუნებაში გულღრძოდ ჩაეღიმა ფარნას, — ჩემი შვილი ისეთი კი არ ყოფილა, როგორიცაა, არამედ ისეთი, როგორც აქვსენტი გვეტყვის. ასევე დამნაშავე იყო ჩემი ძმა ლუკა და ასეთივე გმირია მამუკა.... ესე იგი, ეს ჭირდება რაღაცას და ვიღაცას და არავინ ფიქრობს ლუკაზე და მამუკაზე.

„მამუკა ფარნას ძე ამაღლობელმა ტყვიის ქარცეცხლში გაატარა პოლკის დროშა, გაწყვიტა ათობით პირსისხლიანი ფაშისტი, ხელჩართულ ბრძოლაში აიტანა უსახელო მაღლობზე. შეუვალ კლდედ აღიმართა და საიერიშოდ დაძრულ ასეულებს და ათასეულებს აღაფრთოვანებდა საკუთარი მაგალითით, უშიშარი გულით და არნახული გმირობით“...

2.

ფარნა, გზას ნაჩვევი, ქანცგამოცლილი ხარივით მიდოდა თავისი სახლისკენ, რომელსაც ერთი სული აქვს ბოგაზე დაშვავდეს.

მისი ცხოვრება ყოველთვის მძიმე ტვირთი იყო, იმაზე მეტი, რისი აწევაც და გაწევაც შეეძლო, მაგრამ ყოველ-

თვის იცოდა, მის თავს რა უბედურება ტრიალებდა და მუდამ გამოსავალს ეძებდა. ახლა არაფერი გაეგებოდა, რა ქარბორბალა დატრიალდა და საით მიჰქონდა, რა უფსკრულში და წკვარამში უპირებდა გადაჩეხვას.

ამ გაზაფხულის პირზე, ლუკამ რომ ზავი დადო და დიდხანს ვერ გააღწევდა, არავისთვის საიდუმლო აღარ იყო. ამან დედა ერთბაშად მოტეხა და დამშეულობოლ შვილიშვილებზეც კი ხელი ჩაიქნია. დაზაფრული ლუკას ცოლი არჩევდა, ქალიშვილები ყანებში, მინდვრებში და ჩაის პლანტაციებში გაერეკა. ოღონდ ჭლექიანი მამის ამოშავალ სულს არ დაეწამლა. უწიგნო, ურვეულო, ჩამოკონკილ, ფარნას მშეირ მოსწავლეებს როგორმე ანბანიც უნდა ესწავლათ და ხის თოფით — თოფის სროლაც. სახლი, ეზო, ვენახი, ყანა, ფუტკარი, სკოლის სამოსწავლო ნაკვეთი, რომელიც ახლა საყანე იყო, ყველაფერს ხელი და ოფლი უნდოდა. იქ, რაიონში, განათლების განყოფილება და უაზრო თათბირები, აქეთ კიდეკ. მიტინგები და შეხვედრები იყო მოსაწყობი. იქით, სკოლაში, ცირეკიძის ქალს საბჭოს მთვრალი თავმჯდომარე მიდგომოდა და გადაურევია ჩამოსული ქალი: უპატრონოდ დამაგდე, ჩემს თავს მე დავიცავ, დედას ვფიცავარ, პასუხისგებაში მივცემ, ციხეში დავალპობო. არადა, ყოველ ღამე მწყემსად და დარაჯად ხომ ვერ დაუჯდება ფარნა, როცა ძმა ხელში აკვდება და საქმეს დღე რომ ვერ წვდება, ღამეს ასწორებს.

ომი ომია და მტერი მართლა გატეხა სტალინგრადის ბლოკადამ, თუ ამ გაზაფხულზე კავკასიონს გადმოლახავს და გულზოდს მოადგება? ევაკუაციაზე გაფიქრებითაც კი კაცს ტვინში სისხლი ჩაგექცევა, მაგრამ ხომ საფიქრალია?! საფიქრალია მარტო შენი თავი და ოჯახი კი არა, თუ მანამდე ძმას სული გაჰყვა... კარგი, თუ გინდა, მომაკვდავ ლუკას და ღრმა მოხუც დედას აწი, დუშმანი რომ დუშმანია, ისიც ვერაფერს დაუშავებს, მაგრამ მოწიფულ სამ ძმისშვილ ქალიშვილს, მტრის ჯარისკაცებს უტოვებ? ან შენს სოფელ-ქვეყანას?

ლეონი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, გაქრა და გაქრა. თუ მამუკა გმირია, ლეონი მაშინ ოთხგზის გმირი უნდა იყოს. ლეონის ცოლი, ნორა, გადარჩა ვითომ მუცელი რომ მოწყდა, მაგრამ დედამისი ლოყებს იხოკავს: წყალმანკი აქვს თუ სისხლის გაწყალება, ცვილისფრად ჩამოაჭკნო, სიძეს ცოცხალს ვერ დავახვედრებო.

ვატუტიმ ბიძამისს ნახევარი ტომარა თეთრი პურის ფქვილი, ხუთი კილო შაქარი და ბრინჯი გამოუგზავნა. საიქიოს წასულმა კაცმაც იცის ახლა, ნახევარ ტომარა ფქვილს კი არა, ნახევარ გირვანქას ვერ იშოვი, ისიც ქალაქში ლუკამ: სიმართლემ დამილია სინათლეო და მშიერმა მომაკვდავმა სულიც წაიწყმიდა. კაცმა სამი დღის სიცოცხლისთვის ძაღლის ლეკვი შეჭამაო და ასეთი მდიდარი ძღვენით გახევებულ ცოლს უბრძანა ხაჭაპურები დაეცხო. მთელ სოფელში საფუარის შოვნა არ მოხერხდა.

რით უნდა იარსებოს სოფელმა, როცა გაზაფხული აგერ, კარზეა მომდგარი და პირადი ხვნა არ დაწყებულა. საწყობის ეზოში დაყუდებულ ტრაქტორს ჟანგი ჭამს და იმ ფერდებჩაცვენილი, გაძვალტყავებული ხარებით, კოლექტივმა რომ შ. მოდგომაზე ორმოცდაათი კონა ჩალა გაუნაწილა? ამ ჯანდრაკა პირუტყვით გადააბრუნებ კოლექტივს და კერძო საყანეებს? ორმოცდაათი კონა ჩალა ცალ ხარს ერთ თვეში უნდა. მერე, კოლექტივის კონა კონაა?..

3.

— აღარ გვცნობს ფარნა. აღარა ვართ, ღმერთწინაშე, მაგის და მაგის შვილების დასადარი! — მოესმა ჩავლილს, პავლე მშვენიერაძის სასიამოვნო, თავდაჭერილი ქირდვა და ასევე ნაცნობი, ნაძალადევი, უამური ხმამაღალი ჩახვიხვინება.

„შამშე ამაღლობელი“ — ფარნა სა-

ნამ მოიხედავდა იცნო და, იმიტომ კი არა, იმისი ხვიხვინს და, თუნდაც, პავლეს ზრდილობიან ქირდვას ანგარიშს უწევდა, თავისმა უგზო-უკვლო, დამქანცველმა ცხოვრებამ რომ გამოაშრო და დაარეტიანა, ამან შეაშფოთა. ახლა არც პავლეს „გინდა თუ არა ჭკვიანი ვაროს“ თავი ჰქონდა და არც მოგვარე და მონათესავე ამაღლობელის ბლიყინის გაგონება უნდოდა, მაგრამ სოფელქვეყანას თავისი წესი და ადათი აქვს. მიბრუნდა და ორივეს ხელი უხმოდ ჩამოართვა.

— არა, რაღაცას გვემდურის! — იწყინა ვითომ მაღალმა, მწითურმა შამშემ, ნამდვილი არც წყენა რომ არ შეეძლო და არც სიხარული.

— არა, მდურება და უმძრახობა ფარნასაგან რა საკადრისია, პატარა კაცის საქმეა...

— საქმე და ამბავია, ჩემო პავლე, საქმე და ამბავი... — არ აცალა შამშემ და ვითომ რაღაც სიტყვა ჩაურთო.

— ფარნა ასე არ დაწვრილმანდება, მაგრამ ვერ გვამჩნევს, რა თქმა უნდა, ეს ჩვენ თავს უნდა დავაბრალოთ, ჩვენს დაჩიავებას... — პავლეს წვერი მოეშვა და მართლა ბრძენკაცივით უხდებოდა ულალი წვერი, სილურჯე რომ გადაჰკრავდა, თითქოს რაღაც ღვთიურიც კი ახლდა.

— ახლა გმირი... საქმე და ამბავი ჩვენს სოფელს კი არა, რაიონს... გეოგრაფიულად მოგახსენებთ მე ამას, პავლე ბიძია.

— ჰო, გეოგრაფიული დაამთავრე შენ, ჩემო ბატონო, ომამდე ჩვენთან არ მასწავლებლობდი? — პავლემ, მაღალ ამაღლობელს, თვალი აადევნა და შუბლზე წამოკოსებულ, კოკარდიან, რკინიგზელის შელანძღულ ქუდზე შეაჩერა.

— ასე რომ არ მექნა ახლა, ალბათ, მეც გმირი ვიქნებოდი და ამდენი გმირი, ხომ იცი... ამბავი და საქმე.—რაღაცის თქმა უნდოდა ვითომ, მაგრამ იგრძნო, ამას ტაქტიანად ვერ მოაბამდა თავს და ისევ „ამბავი და საქმე“ ამჯობინა.

— აჰ, ფარნა ჩემო, ალბათ, როგორც გმირობა, ისე გმირის მამობა ჭირს არა? — საკმაოდ თანაგრძნობით იკითხა მშვენიერაძემ.

„ეს თვითონ რომ არ იყოს მონდომებული, ნამეტანი ჭკვიანი ვარო, მართლა არაა უჭკუო კაცი.“

— რა ვიცი, პავლე, რა მჭირს, რომ არ ვიცი.

შამშე დაიბნა, კოკარდზე ხელი იტაცა და ქუდი მოიშვლიპა, გადაპარსულ თავზე ოფლი ხელისგულით მოიწმინდა. მისთვის, მართლა რომ ციდან ვინმეს ჩამოეგდო გმირობა, დაუფიქრებლად შეიშნოვებდა; აქ პავლეს და ფარნას, ორივეს რაღაც აფიქრებდათ.

— მოსალოცია მაინც და გილოცავ, ჩემო ფარნა, მაგრამ ეს ბავშვი... როგორ არ მახსოვს, აგერ ჩემ ჭიშკართან აივლიდა და ჩამოივლიდა, კარგი მოწაფე რომ იყო... ასე იყვნენ შენი შვილები...

— რა იყო, პავლე იმისთანა გადაქეშანი...

— არა, პატიოსანი ბავშვი იყო, დიდად პატიოსანი.

— მართლა, კაცო! — ჩაიქვირქვილა ისევ რკინიგზელმა, — ვატუტი, ფარნა, ვატუტი რავაა. ის ჰოსპიტალი ხომ ჩაიგდო ხელში, ახლა რაიკომის მდივნად გადაჰყავთო. რა კაცია, კაცო, ეს ვატუტი. რკინიგზაში „ხვოსტავოი კონდუქტორობა“ ძლივს ვიშოვე, გამხეთქა ტყლიპზე მატარებლის კუდში დევნამ... უნდა ვნახო ერთი, იქნება რაღაც დამეხმაროს.

სიბრიყვე, თუ გონების შეზღუდულობა სიბრალულს უნდა იწვევდეს და არა ზიზღს, მაგრამ ახლა ისე გულღრძოდ ჩააკვეხა ამ აყლაყუდამ, ფარნას ის კი არა, თავიც შეძაგდა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს უბედური, მართალი იყო. რა ჯანდაბამ მოაგონა, რომ ამ „პედაგოგმა“ შამშემ, ჯერ კიდევ ომამდე, ბიძაშვილს საზღვარში ნიგვზები დაუჭრა, ეზოს მიჩრდილავსო.

— ის ბიჭი ფეხმტკივანია, შე კაი კაცო! — უსაყვედურა პავლემ უფრო ფარნას გასაგონად და გასაგებად.

— ფეხმტკივანი კი არა, ჭკუის კოლოფია, ვენაცვალე სულში... კაცია კაცური, ამ დროს რავარც ეკადრება. — აიწყვიტა რკინიგზელმა, რაკი აბათ დიპლომატიას თავი ვერ გაართვა.

— მე, ჩემო ფარნა, ქე იცი, საომრად ახლა... თუ ნამეტანი არ გაჭირდა... — პავლემ ნიჩაბივით წვერზე გაშლილი ხელი დაისვა, — არ გამოვდგები, ძმა ქე შევწირე ამ წყობილებას, შვილები, ზოგი მაგერაა შენთან და ზოგი ახლა იდგამს ფეხს... ამ შვიდ შვილს რომ ვზრდი, ვისთვის ვზრდი... ოჰ, ანთიმოზ! მობრძანდი, გადმოუხვიე, გაიმრუდე გზა.

— გამრუდებული, პავლე მშვენიერაძე, მაგერ ფარნას ჰკითხე, გზა რომ გზაა, ისიც არ ვარგა.

შამშე ამაღლობელს დასცხა, ყვავილდაცვენილი ტყემლის ჩრდილისკენ დაიწია და ჩაილაპარაკა.

— ეს ანთიმოზი საიდან გამოგვეცხადა... დიდი თავისებური კაცია, ანთიმოზი...

— ახლა, სწორი ხაზის გამრუდება და გადამხრელობა კი არ მითქვამს. — ჩაიღიმილა პავლემ, — აგერ, კარის მეზობელი ხარ და წელიწადში ერთხელ ვერ გნახავს კაცი. შენ რომ გღვიძავს, ჩვენ გვძინავს...

— დიდი თავისებური... რაღაცნაირი კაცია ეს შობელნაშობი... — დაიქვირქვილა ისევ, მესერს მიყუდებულმა რკინიგზელმა...

— მოიწი აქეთ და თუ ჩვენთან არაფერი... ფარნას მაინც მიულოცე, "შენ კი იცი, ომში გმირობა რას ნიშნავს.

— ფარნას მე შარშან ვუთხარი და ემახსოვრება, ომში ვინც მიდის არავინ ბრუნდება-მეთქი.

— არ ბრუნდება კი არა.... — პავლე შეაშფოთა ანთიმოზის ასე უტაქტოდ, უცერემონიოდ წყალის გადაწურვამ.

— არა! მე ვისაც ვუთხარი გაიგებდა და მაგ ლობის ძირში, რომ დაყუდებულხართ, გაზაფხულიც, ერთი ბელტი რომ გადააბრუნოთ, საქმეა. — თქვა და იღლიაში ამოჩრილი ეკლიანი ჩხერკები და ფიჩხი წაათრია.

— მოიცა, ბიძია შენ, მოიცა! — შამშემ კოკარდიანი ქუდი თავზე მოირგო და ძველ ნასალდათარს ხელი აუღო, — მაგას მე თუ მეუბნები, რომ იცოდე შენ, შენსას არაფერს ვჭამ და ვსვამ, თორემ ასეთ ფერ-ხორცზე არ ვიქნებოდი...

— გაჩუმდი, ბიჭო! — შეუწყრა ფარნა მობიძაშვილეს, მაგრამ ანთიმოზს ეკალ-ქაცვის კონა ხელიდან გაუვარდა. მზე მოიჩრდილა, აქეთ მოაჩერდა.

— არ იქნებოდი, მაგნაირი ნაპატიები არ იქნებოდი.

— ანთიმოზ! — ჩაერია პავლეც — სტუმარი ჰქვია მაინც, გალმა სოფლელი კაცია.

— კაცია! რა კაცია მაგი.

— აპა, შენ თუ არ მოგწონვარ! — ჩაიბურდღუნა შამშემ და ქუდი ორივე ხელით შეისწორა, თავზე მოირგო.

— მომწონხარ კი არა, უნდა ჩაგხადოს კაცმა და ამ ქაცვის ქვერით გაგროზგოს.

— შენი ბიძაშვილების ბოვშები გაროზგე, შე ყიამყრალო, შენ!

ვითომ, შენი ბიძაშვილის ცოლს ყვარობდი და ის ბავშვები შენიცაა, თუ რაღაც ამგვარი იგულისხმა პირზე დორბლმომდგარმა აყლაყუდამ.

— დედაშენს რომ პერანგები და ნიფხვები დააქვს სამეგრელოში და სიმინდზე ცვლის, იმან გაგასუქა? — ხმას აუწია ანთიმოზმა.

— აპა, კი... — ემწუთხა პატივმოყვარე რკინიგზელს, ტყემლის ტოტი დაიწია, თავი ფოთლებში გაჰყო.

— წადი, მოშორდი აქედან! — დაუყვირა ფარნამაც.

— ვის, ვის, მაგას გავექცე?

— მაგას კი არა, სიმართლეს გაექეცი.

— რაა სიმართლე, უმაღლესდამთავრებულმა კაცმა თოხი ვუბაყუნო,

და, საქმე?.. მამაჩემს არ დაუკრავს თოხი და ბაბუაჩემს.

— მამაშენი, გაძღომა რომ არ იცოდა, ღვინომ გაგუდა! — ანთიმოზმა მარტო თავისი სოფლის გასაჭირი არ იცოდა.

— აბა, შენსავით შიმშილით კი არ კვდებოდა.

— თუ სოფელს შია, შენ რამ გაგაძღო. დედაშენი რომ შუალამეზე უკანალზე მოგდებულ ფქვილიან ტომარას მოათრევს... ბედი შენი, რომ ქალად აღარ ვარგა, ჯერ მამაშენის და მერე შენი პატრონი, თუ არა, ვინმე წამოაქცევდა და დედისერთა აღარ ეყოლებოდი.

— დედას მაგინებს! — ტყემლის ტოტს ხელი ჩამოჰკრა და შეახლიჩა.

— იმ რკინიგზაში შეძვრომა რა დაგიჯდა, დედაშენმა რომ ზინგერის საკერავი მანქანა გაყიდა, იგი არ გეყოფოდა.

— რა უნდა ამას ჩემთან, გამაგებინეთ ერთი! — იკითხა ნირწამხდარმა.

— რაღაცას გავყიდით და ვიყიდით, ანთიმოზ, აბა ისე როგორ იქნება, — პავლეს ისედაც საამო ხმა დაუშაქრდა.

— ომისთვის მე მაგისთანა სალახანასაც არ გავიმეტებ. ეგდოს, ეთრიოს, მარა ქვეყანა რომ იქლიტება... რას დაყუდებულა ამ სოფლის შუაგულში, ძაძებში გახვეული ქალების მაინც არ რცხვენია! გაეთრიე აქედან! გაეთრიე, რომ გელაპარაკები!

— ახლა, ანთიმოზ, საქმეზეა მოსული. სტუმარს რომ არა, თავს ვერ ვაკადრებთ...

— გაჩუმდი, პავლე, შენ, თავს რომ არ აკადრებთ და ოჯახისშვილობას, მაგითაა მაგისთანა დეზერტირები თავაშვებული და ჯარისკაცის ცოლებს უსირცხვილოდ უპაჭუნებენ თვალს. მე, მთელი ღამე, მარტო დუქანს კი არ ვდარაჯობ.

— გზად გამოვიარე, სამსახურიდან მოვდივარ! — მთლად წახდა და გაფითრდა ამოდენა მუტრუკი და სახეზე, ჩამოხლეჩილი ტოტო აიფარა.

ანთიმოზმა კონას ხელი წამოუსვა, აღარც ეკალი უძებნია და აღარც ამოუღლიავებია, ისე წააფხოკიალა.

— ან სიმართლით უნდა იარო, ან ენა მაინც უნდა დაიტიო პირში! — ჩაიღრინა ფარნამ და ანთიმოზმა რომ დუქნის წინ შეუხვია, თვითონაც წასასვლელად შებრუნდა.

— ახლა ეს რა გამოვიდა, ფარნა, ქე გაწყენინეთ და ესაა. — მოიბოდიშა მშვენიერაძემ, მაგრამ ტყემლის ძირში ატუზულმა გული ისევ დაიბრუნა და ფარნამ რომ მისი მხარი არ დაიჭირა, — ანგელოზები არც თქვენ ხართო, ჩაიბურდღუნა: — სამსახურში მაინც არა მყავს საყვარელი და არც შურისძიების გამო გამირყვნია ქალიშვილები, თუ საქმე მართლა საქმეზე მიდგება...

ფარნა ადგილზე გაშეშდა და, ღობის ძირში აკრული, მოწკურული თვალებით გაბურღა.

— ბიჭო, ვის ჰყავს სამსახურში საყვარლები და ვინ გარყვნა ქალიშვილები...

— ვინცაა...

— არა, მაინც...

— შამშე, არა, ასე ლაპარაკი რას ჰგავს... — დაიბნა მშვენიერაძე,

— არა, თქვას, თქვას! — ფარნამ ხმასაც დაუწია და თითქოს სიმშვიდეც დაიბრუნა.

— ანთიმოზას კითხე და ის გეტყვის.

— ანთიმოზი, თუ სათქმელი ჰქონდა, როგორც შენ გითხრა, ისე მეტყოდა.

— მე თქვენსავით წითელ კვერცხს არ ვუგორებ მისთანა ვიღაც-ვიღაცებს და თუ საქმე გინდა, არც შენ...

— მე არ მინდა შენი ნაგორები კვერცხი...

— ნათესავები მაინც არ იყოთ! — გულწრფელად შეწუხდა მშვენიერაძე და პირდაპირ ალაგეს საფეხურზე ჩაჯდა.

ფარნა ამან კიდევ უფრო დააეჭვა, ეს რეგვენი სიმართლეს არ ამბობდესო.

— ვინ, ბიჭო ვინ!

— მე არ ვიცი... — ისე უნდილად

იუარა, ფარნას თავისი თავის შერცხვა, ამ დოყლაპიას თავი როგორ გავუყადრეო.

...მაგრამ სათქმელი მაინც ითქვა.

4.

— ნამეტურ მძიმე ბრალია კაცის მოკვდინება, ნამეტურ, ჩემო რუსუდან, ჩემო... — წუხდა და ცხვირში დუდღუნებდა მეზობლის ხანშიშესული ქვიჯანა დედაკაცი.

— ჩუ, ჩუ, ფოტინე! — გაუწყრა ჩავჩიძის ქვრივი, ვასასი,, — თუ არ ეხერხებოდა ბოვშს მეტად!

— ომია, ფოტინე, და ვასასი, ომი, თორემ კი იცით თქვენ ჩემი ბიჭების გულკეთილობა.

— იმე, ვიცით აპა, არ ვიცით! — ეს უთუოდ პავლე მშვენიერაძის მეუღლე უნდა ყოფილიყო, გულჩინა, ქმარი რომ „გულჩორას", „გულჩინოს" და „თვალისჩინს" ეძახდა.

— კი, შე ქალო, კიე, მარა ვატუტი გასახარელი პეტერას ქე წეიმაკვარანცხებდა, ნამეტური კი არაფერი...

— ჩუ, ჩუ! დიდი არაფერი, მანდამაინც, რავა ყოლიფერს ჩვარჩვალობ, ქალო, შენ! — შეუცაცხანა ვასასიმ. — მაკვარანცხი უძახე შენ, რა კაცი დადგა!

— ფოტინე, რა ოჯახი დაგიქცია ვატუტიმ, — იწყინა რუსუდანმა შვილის აუგი, იმისთანა ქალისგანაც კი, დილით ორი ბატი რომ მიგებარებია, საღამომდე ოთხს დაკარგავდა.

— სიტყვის გულობიზა, თვარა, მე იმისანა კი არაფელი... — იმართლა, სიმართლის წამოროშვისთვის, შერისხულმა თავი.

— უნდა იცოდე დედაკაცმა სად რა უნდა თქვა! — დამოძღვრა ვასასიმ, — ან თელათ უნდა გაჩუმდე!

— ახლა, გადამთიელი რო არევინ იყო, იმის გულობიზა, ვითან ეგი თქვენც ქე იცით-თქვა...

„სად დაუყარა თავი ამ ქალებს და რას ემუსაიფება" — ეკალივით მოხვდა ფარნას გულზე და პალატის კარი ხმაურით უნდოდა შეეღო მაგრამ ღიად დახვდა. — „ასე იცის, დაფეროვს კარფანჯრებს და დატოვებს. ზის ამ გაზაფხულის თბილ მზეზე და მთელი ცხოვრება დანათეს „დიდებას იმკის"... ფარნას არც მათი მუსაიფი უნდოდა და არც ორავისი ხმის გაგონება, მაგრამ დილიდან ლუკმა პირში არ ჩაუდვია, ტანსაცმელიც უნდა გამოეცვალა და ვენახში გადასულიყო, მოუხვეველ ვაზს ციდა ყლორტები ჰქონდა წაყრილი. უხემსოდ სადღაც წავიქცევიო, თავბრუ ეხვეოდა, ამ გაზაფხულზე ერთბაშად უწია მთელი ცხოვრების ჯაფამ, დარდმა, გულგატეხილობამ და ნერვების გლეჯამ.

ბუხრის პირას, სამფეხა ჯორკოზე, ჩამოჯდა. კეცზე შემხობილ კეცს საკეცით ყური აუწია. ახალდამცხვარ მჭადს პირი ძლივს წაბიძგოდა.

„რას აკეთებდა, აწი, დილიდან აქამდე"... — მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილმა დამძიმებული თავი ორივე ხელით დაიჭირა.

— ეს ყოლიფერი კაი, მარა, ლეოს და... კი ვერ დევიმახსოვრე იმ კაი ბიჭის სახელი... — ფოტინემ ვერც ის შეიგნო, რომ დუმილი ოქროა და ვერც ბაკურის სახელი გაიხსენა, — ჩემ ხელში ქე გეიზარდა!

— რას უძახდი, შე ქალო, თუ შენ ხელში გეიზარდა! — ისევ არ დაინდო ვასასიმ.

— მე ბიჭოიას ვეძახოდი.

— ბაკურიზე ლაპარაკობ, ფოტინე, გასაგებია. — მიეშველა გულმობრუნებული რუსუდანი.

— ჰო, რო არაფერი ისმის-თქვა...

— დააცალა ღმერთმა, კაი ბოვში იყო, კაი! — ძლივს დაეთანხმა ვასასი შერისხულ დედაკაცს.

— იმე, ღმერთმა კარგი მოგცეთ, კარგი!.. — დაითაფლა გულჩინა, ვინმეს აუგი ოჯახის და ქმრის უღირსობად რომ მიაჩნდა.

„რომ დავჯდები, ადგომა მიჭირს, რომ დავწვები, დილით თუ წელს ავიღებ, არ მგონია... ამ ოჯახქორს, ერთი კვერი მაინც გამოეცხო". — კერიას

ჩაშტერებულ ფარნას ჩაქუჩივით სცემდა ყურებში გარედან შემოჭრილი დედაკაცების ბჟუტური.

— რანაირი ლაპარაკი იცი, ქალო, შენ! — ისევ შეუტია ვასასიმ ჩურჩუტ ფოტინეს. — ყველა ერთ დღეს ხომ არ გახდება გმირი და სახელოვანი?

— სახელოვანი კი არა, არაფერი ისმის-თქვა, ის ვთქვი.

— იმე, არც მამუკასი ისმოდა არაფერი, კი ვიცით მაგი ჩვენ!.. მარა ხო ხედავ! ათხოვე ერთი მა გაზეთი, რუსუდან, თუ ქალი ხარ! — გაწყრა და გაწყრა ვასასი.

— რათ მინდა, შე ქალო, მე ქალალდი რა ვიცი! — იუარა უწიგნურმა მეზობელმა.

— მაშვინ ჩვენ გვაცალე!

— მედარდება და იმიტომ...

— რაღაცა საშველი გაჩნდება, ფოტინე, აბა ასე რავა დაიქცევა ქვეყანა. — დაიმედა რუსუდანმა, თითქოს ფოტინე ყოფილიყო ლეონისა და ბაკურის დედა და თვითონ კი იმედის მიმცემი მეზობელი.

„ეს თურმე ყველას გმირებად და სარდლებად დაბრუნებას ელოდება და მე რამ მომსპო და მომრეცხა...“ — ფარნა მუხლებს დაეყრდნო, წამოდგა და უკანა კარში გალასლასდა.

— კაი მოგეცა, იმედი კაი რამე იყოს... — მოესმა გულგაკეთებული ფოტინეს დუდღუნი.

— აპა, ჩემი ბიჭების რომ არაფერი ისმის, დავითხარო თვალები?

— რატომ იტყვით, ვასასი, რატომ, ვინ გაკადრა, — დაიმედა თავის მხრივ გულჩინამაც.

თავჩაქინდრულმა ფარნამ უკანა აივნის ლაფაროში დაქცეულ ნარეცხ წყალზე მისეულ ფუტკარს კინაღამ ფეხი დაადგა და ნალიის ქვეშ შემოშენებულ საქონლის საბამში აბღავლებული ხბოს გამოსაშვებად შევიდა.

„ძროხა რომ მინდორში გასაბმელად წაიყვანა, მაშინ მოკრიბა ეს ქალები, თუ გმირის დედას თავად ეწვივნენ მისალოცად?.. აგერ ვნახავ, თუ ეს „ქალბატონი“, ყოველნაირად არ შეიშნობს, მარტო ამ უბირ მეზობლებთან კი არა, საერთოდ, საზოგადოებასა და ქვეყანაში. ალბათ ამისთანებია ხალხის უმრავლესობა და ამათზეა ნავარაუდევი მამუკასთანების გმირად ქცევა. ან, მართლა შეიძლება მოხდეს ამ უკუღმართ ომში ისეთი რამ, რომ შეუძლებელი შეგაძლებინოს და აუწეველი აგაწევინოს? ბაკური ამ სისხლის ღვრას „წარღვნას“ და „სტიქიას“ ეძახის, სადაც რაიმე სამართლიანობაზე და კანონზომიერებაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. მეც ვიცი, ეს არაა ფონტენუას ბრძოლა, ორმოცდაათ ნაბიჯზე დაშორებული ფრანგები და ინგლისელები ერთიმეორეს რომ თავაზობდნენ, არა თქვენ ისროლეთ პირველად და არა თქვენო.“

ბაგის საპირეზე თავმიკრული ხბო ახსნა და ბაწრით გარეთ რომ გამოიყვანა, საბალახოდ გაწეულმა, ჯაკელმა თან წაიღო.

„რავა მთლად გამოვიფიტე და დამაცვდა ნერვები. ჯერჯერობით სკოლაში და ლუკასთან როგორღაც ვიჭერთავს, „ამ ქალის“ ატანა კი აღარ შემიძლია. აგერ, ნალიაში გადმოვიტანდი ლეიბს და საბანს, ქვევით საქონელი რომ არ მებას. „მაგის“ ფეხის ხმაც არ მინდა გავიგონო, მთელ ტერფს რომ ერთბაშად ადგამს, ან მუდამ რაღაც სრულ ჯღანებს დაათრევს...“

ხბო, ეზოს ბოლოში, საწრეტი არხის კიდეებზე აფოფინებულ ლუტე ბალახს მივარდა. ფარნა გამშრალ არხში ჩადგა და იქვე, საზღვარში აშრიალებულ კოპიტის ჩრდილში ჩამოჯდა.

„სასიმინდეში დაიდებ ბინას კი არა, ასე თუ ისე, სოფლის დასანახავად ვითომ ერთ სახლში ვართ, და მაინც გაუგდიათ ხმა თანამშრომელს ჰყვარობსო... სინდისს რა ვუთხრა, თორემ ჩემი ცოლი რისი ღირსიცაა კი ვიცი... დავიჯერო ჯერ ამ ჭორისა არაფერი გაუგია?.. მარა გგონია რაიმეს შეიმჩნევს? თავს როგორ აკადრებს, რომ მე მაგის ერთგული არ ვარ. ზედ რომ წამასწროს თვალებს დახუჭავს და ცხრა

ხატზე დაიფიცებს, არაფერი დამინახავსო... გლახა პატივმოყვარე... ჯანდაბას, ჩემზე რაც უნდათ ის თქვან, რაღაც ჭორის საბაბი მაინც აქვთ. მაგრამ რაო, იმ შამშე მუტრუკმა? „შურისძიებაო?..“ ვინ ვინ „გარყვნაო?“ მოიცა.. რას ამბობდა ლუკა: ბაკური, ბაკური ჩემი სისხლიაო? ოთხივე ძმა მაგის სისხლი და ხორცი არაა? ასეც ვუთხარი. ჰო, კიო... ოთხივეო...

ბაკური, ვითომ ლუკას ბიჭი რომ არ ჰყავდა, თავიდანვე უფრო მიითვისა... არა, მაინც რა იყო ეს „სისხლიო“.. რა სისხლი და სისხლის ძიება უნდოდა რომ ეთქვა, ან რატომ ჩაყლაპა სიტყვა, როცა მე ყურად არ ვიღე? ეგონა რამე ვიცოდი და რომ შემატყო ბაიბურში არ ვიყავი, ჯავრი ჯავრს არ დამიმატა?“

ხბო - არხის პირზე კოპიტის ფესვს გამოაბა და საზღვრის ჩანგრეულ ხიმეზე გადაალაჯა. ეკალი და მაყვალი წამოსულიყო, ლორთქო, ჯერ ნაზეკლიანი.

ორი კვალი ლუკას ვენახიც მოუხვეველი იყო. ნინო სულ ვეღარ შორდებოდა სულთმობრძავს. იმიტომ კი არა, რომ მუდამ საჭირო იყო, ლუკას არ უნდა ეფიქრა, მის ცოლს კიდევ რაიმე სჭირდებოდა და მის უკან დარჩენას აპირებდა. უკვე სამარეში ფეხჩადგმულს უნდა დაეჯერებინა, რომ ცოლი მიწაში ჩაყვებოდა. შავი საღებავი უყიდინებია, ბლუზა გამიხუნდა და მჭირდებაო, რამ გაუხუნა, რა მზეში და ქარწვიმაში მაგი დარბის. დედაჩემიც მოსპო და მოათავა მაგის დარდმა. ვითომ გვეგონა ქვა და რკინაო, მაგრამ მაგის მაყურებელ და დამკარგავ დედას რა გადაარჩენს. ჩემი ძმა და დედაჩემი რომ აღარ იქნება, ბიჭები სად არიან და დაბრუნდებიან? ომში ვინც მიდის, ყველა იღუპებაო, ამ ომის კი არა, იმ ომის მონაწილე ანთიმოზი ამბობს. მე რომ ცოცხალი დავრჩე, ან ამდენ დარდს რა გაუძლებს, ან ჩემ' ცოლის მაყურებელს რა გამაძლებინებს.“

ფერდებგალეწილი ბახულა შემოძვრა ვენახის მწკრივებში. უგერგილოდ გააქნია კუდი, თითქოს მოვალეობის მოსახდელად და ლუკას სახლისკენ წაძუნძულდა.

— ეი! — დაიძახა კიბის პირველ საფეხურზე ფეხის დადგმისთანავე ფარნამ.

— ეი! — ჩაიხიხინა სახლში ძმამ.

„ჩემი უბედური ძმა როცა აღარ იქნება, ყველაფერს, ყველაფერს, მაგრამ მის „ეის“ რომ ვერ გავიგონებ, ალბათ, მეც აღარ ვიქნები...“

5.

თავწაკონილი ნინო ზღურბლზე გამოეგება და ჩაიპუტუნა:

— ერთი საათის წინ სისხლი აღებინა. ფარნა, არაფერი შეიმჩნიო, თუ ძმა ხარ!

— ახლა?..

— შენი ხმა რომ გაიგონა, მოცოცხლდა. ერთ წუთს ჩემ დედამთილთან გადავალ, წურბლების დაჯენას აპირებდა...

„ცოტა ხნით მაინც უნდა გაშორდეს აქაურობას, თუ მართლა დედაჩემი ადარდებს? თუ, ერთიც და მეორეც...“

— უკვდება გმირს ბიძა და რა პასუხს აძლევთ, რომ ჩამოვა, არ ვიცი. — უსიცოცხლო, გაწყალებული თვალები ამოატრიალა, თავის შემობრუნება არ უცდია.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, მართლა გჯერა... — ფარნას ამის თქმა არ გაჭირვებია. ლუკას თუ ძმის ნუგეში სჭირდებოდა, შეეძლო გაეგო, მართლა გჯერა რომ კვდებიო? თუ გადაეწურა წყალი და ტყუილი იმედი აღარ უნდა, მაშინ მამუკა რომ გმირია, ეს გჯერავსო?

— რავა, ვითომ გაუგებრობაა რაი-რაი-რაიმე?.. ეუჰ, ბიჭო, საძრაობას აღარ დავეძებ, გონია ენასაც მართმევს.

— რავა, არ შეიძლება თუ?

— გაუგებრობამ და გაუტანლობამ არ დამღუპა? აბა ჩემთან სიკვდილს რა უნდოდა.

— შურისმაძიებელი გამოგვჩენია...

— ჩაილაპარაკა ფარნამ, სკამი გამოსწია და ჩამოჯდა: „თუ რაიმე იცის, ახლა გამოჩნდება თორემ ამ „შურისმაძიებლის“ ისევ მამუკაზე გადაბრალებას მოვახერხებ“.

სულთმობრძავმა ისევ ამოატრიალა ავ ნაპერწკალ გაჭიატებული თვალები. ახლა ძმის დანახვა ისე აღარ უჭირდა და ბალიშში ჩაკარგული ძვალტყავა თავი წამოსწია.

„რაღაცა იცის.“

— აბა, შურისძიება... რატომაა შურისძიება...

— შურისძიება ისაა, დაემგვანო იმას, ვინც გიმტრო. მაშინ რა განსხვავებაა...

— ეს სალაპარაკოდაა ლამაზი...

— რავა, შენი ხელიც ხომ არ ურევია? — ვითომ იხუმრა ფარნამ, მაგრამ ამ ხუმრობაში იმის ბრალდება მაინც იყო, ეს ამბავი თუ იცოდი, რამ გაგაჩუმაო.

— მე რომ შურისმაძიებელი და ანგარიშისმსწორებელი ვარ, კი მეყოფა...

— აბა ვინ გამოგვიჩნდა ახლობლებში ასეთი ხმალამოღებული...

— არც მე მჯერა მაგ ამბავი. — თვალები საწოლის საფეხურთან, ძველ მოშავო-მოწითალო კარადის გასაღების ჭუჭრუტანას მიაცივა.

— ჩვენში, წარმართობის დროსაც კი, ქალზე არ გადადიოდა სისხლის აღება. ახლა აგერ ჩვიდმეტი საუკუნეა რაც გავქრისტიანდით...

— კი, „არა ცილ სწამო მოყვასსა შენსაო“...

— და „არა გული გიქმოდესო“...

— სადაა მერე?

— მაგრამ იუდა ქრისტეს არ დაუსჯია, თვითონ იესო ეცვა ჯვარს.

— მერე, არა ვარ ჯვარცმული? აგერ რამდენი წელი-წელიწადია... სა-საცაა ენასაც წამართმევს.

— ჯალათის საქმეც თუ ვიკისრეთ...

— მე რა, რა ვიკისრე! — ხელები აისროლა და ქვეშაგებში ჩაკარგული ჩონჩხი წელამდე მოიშიშვლა. — თუ ერთმანეთი უყვარდათ და... რავა ვითომ, ვინმემ ბაწრით შეკონილი გარყვნა თუ? იკივლა და პირზე ხელი დააფარეს თუ? — სულთმობრძავს გამჭკნარ ბაიასფერ უსისხლო ღაწვებზე ვარდისფერმა ამოჟონა.

„ეს ერთხანს კიდევ იცოცხლებს.“

— ვინ ვის?!. დაიფარე მაგ საბანი, თუ კაცი ხარ! — სკამი მიიჩოჩა, მაგრამ ხელი არ წაუწევია, მომაკვდავი ხარ და შენგან არაფერი მწყენიაო, არ ეფიქრა.

— ვინ!.. ვინა მყავს მე პატრონი, ჩემი ქალიშვილები ვერ ახდიდნენ ვინმეს ნამუსს, თუ ტყე-ღრეში გადაცვენილები, აქეთ არ გამიბახეს...

— დარდი ნუ გაქვს, გაბახებას და გარყვნას კაცი უნდა, კაცი სადღაა... თუმცა ჩვენ გამოგვჩენია... ალბათ ბაკური...

— ბაკური, აბა ვინ.

ფარნას მკლავები ჩამოუცვივდა და ძმის ფერი გადაედო.

— მაგისათვის?.. ამიტომ დაბრუნდა ფრონტიდან და სამ დღეში გაქრა?.. ვინაა ამ ჭორებს რომ ავრცელებს?..

— არ ვიცი მე მაგი!

— აბა შენ ხომ არ ახლდი თან? — გულშემოყრილს გადაავიწყდა ვის ელაპარაკებოდა.

— მე ვახლდი.. — მკვდრის ღიმილი გაუჩნდა და საბნის ყურს წაეტანა. ჩხირებად ქცეული თითების ძვლების წკარუნი მოესმა ფარნას და საბანი თვითონ წააფარა. ქვეშაგებიდან შარდის, მჟავე ოფლის და მიცვალებულის სუნი ეცა და დაარეტიანა. სკამზე დაეშვა, საზურგეს ზურგს უკან, მკლავები მოხვია.

— უკან დაიწი! ლეშის სუნად ვყარვარ.

„არც მე ვარ კარგად, მთელი ჩვენი ოჯახი და ჯიში ირყვნება, იღუპება“.

6.

ფარნა სოფლსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში იჯდა. ჩაწეული ლამპის წატეხილ შუშაზე ჩამოცმულ ქაღალდს მიშტერებოდა, რომელიც ერთბაშად

არ იწვოდა, მაგრამ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იცვლიდა ფერს, ყვითლდებოდა, ყავისფერდებოდა...

ახალი მობილიზაცია იწყებოდა. ის ყმაწვილები უნდა გაეწვიათ, ვისაც ჩვიდმეტი წელი შეუსრულდათ. გმირის სოფელში ზარ-ზეიმით გასამართავი მიტინგიც ამ დღისთვის უნდა დაეკავშირებინათ და მარტო აქაური კი არა, მთერი რაიონის წვევამდელებიც კომისარიატს აქ უნდა მოერეკა. აღეფრთოვანებინათ მამუკა ამაღლობლის უბადლო, მტრის შემმუსვრელი ვაჟკაცობით და აქედან მარშით სადგურზე წაეყვანათ.

ფარნა ამ სამზადისის წინა შეკრებას როგორც გმირის მამა ისე კი არ ესწრებოდა, არამედ როგორც სოფლის აქტივი.

ტანჩია თავმჯდომარე ლამის მაგიდაზე გასულიყო, ორივე ხელით ზედ ისე ეყრდნობოდა და ტანს მაღლა ეზიდებოდა. თითქოს ყველაფერს ეშველებოდა, მაგრამ სასულე ორკესტრი არ იყო სრულფასოვანი. რაიონის საშუალო სკოლაში ჰყოლიათ ათიოდე მოყვარული ბავშვი, რომლებმაც, რა თქმა უნდა, არც ნოტები იცოდნენ და არც ის, მუსიკას თუ ვინმე ქაღალდზე სწერდა. ვიღაც, ენთუზიასტ, სამხედრო მასწავლებელს ორი წლის წინ სხვენზე შეყრილი ინსტრუმენტები ნაცრით გაეხეხა, დატყლეეილი თითბრის პიონერული საყვირი საკერებლად დაედო და „კაპელმეისტრობა“ ეკისრა. მხარიღლივ ამ ინსტრუმენტგადაკიდებულ უფროს კლასელებს, სამხედრო გაკვეთილზე დაატარებდა ეზოში ან სკოლის გადაღმა რცხილის ტყეში. და რაღაც, თურმე ნადირის სარეკი საყვირების და ღოროტოტოების ხმებს გამოსცემდნენ. დოლსაც, თურმე, ცალი მხარე ჰქონია მთელი და მეორე კი კაპელმეისტერის მიერ გასანთლული შავი ძაფით ამობლანდული. შავი ძაფით ალბათ იმიტომაც, რომ მედოლეს არ შეშლოდა და ჯოხები იმ გვერდზე არ დაეცხო. სამიტინგოდ კი ყოფილა „კაპელმეისტერი“ გაფრთხილებული და ისიც უთქვამს, „თუ კაცი ვარ თავს არ შევირცხვენო“, მაგრამ იმ სასულე ორკესტრის მნახველი ტანჩია თავმჯდომარე მაინც უნუგეშო ჩანდა.

სიტყვით გამომსვლელი აქ არ ჰყავდათ, მაგრამ ადგილობრივი მოსწავლეები კარგად უნდა მოემზადებინათ, ლექსების კითხვა არ იკმარებდა. იქნებ რაღაც პატრიოტული პიესის, ან რაღაც ამგვარის, წარმოდგენაც კი ყოფილიყო საჭირო, გააჩნდა რაიკომის მდივანი რას იტყოდა.

— ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, ამხანაგებო, ჩვენ ყოველნაირად მზად უნდა ვიყოთ! — ორივე ხელით ებჯინებოდა მაგიდას ტანჩია თავმჯდომარე და ძაღლა მიიწევდა, — და რაც მთავარია, ვახშამი... აჰ! მაგი არ თქვას ახლა ვინმემ, ომია და ვახშამი არ გვინდაო. აღმასკომი იქნება... ჩვენი... ამხანაგი ლონგინოზი... რა მითხრა, ამხანაგებო, იცით, თქვენთან მე რა მაქვს დასამალი, „დუხაოი ორკესტრი და ტაში ხომ არ გაგვაძღებსო“... — ორატორის გარდა რომ არავის კრიჭა არ გახსნია, თვითონაც შუბლი შეკრა, — იხუმრა, რა თქმა უნდა... აქედან გამომდინარე, ვახშამი გვინდა...

— რომელი ბეღელი გავხსნათ! — ემწუთხა კოლექტივის ბუღალტერს, რაკი მისი უფროსი ხმის ამოღებას არ აპირებდა. კოლექტივის თავმჯდომარეებს, იმ თავდაპირველი ტოტალური გაწვევის შემდეგ ჯავშანი ჰქონდათ, რაიონის ხელმძღვანელობა არ გადავიკიდო, არ მომხსნან, თავი ფრონტზე არ მიკრანო. ბუღალტერი კაი სამოცი წლისა მაინც იყო, არც ბუღალტრები და ეკონომისტები ეყარა სოფელში ასარჩევად და თავი ქუდში ჰქონდა.

— ვიფიქრეთ, ამხანაგო პოლიკარპე, — წინ გადმოიხარა ორატორი და მაგიდას ორივე ხელით მთლიანად დაენდო. — აქ ჩვენ ვფიქრობთ... გვაქვს ჩვენ წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებელი ფონდი... წითელი არმიისთვის იმართება ეს მიტინგი, მე კი

არავინ მიკრავს მუზიკას. გმირს ვხვდებით...

— გმირი, რავა, ჩამოდის თუ? — გაიკვირვა კარზე მიყუდებულმა, დაგვიანებით შემომძვრალმა ლადიკო ჭოლოკავამ, ჩალის „შლაპა“ წინ ჩამოშვებულ ორივე ხელში რომ ეჭირა.

— პროპაგანდისტო ჭოლოკავა! თავის დროზე, თავის დროზეა საჭირო გამოცხადება!

— ეგ ჭართალია, ამხანაგო თავმჯდომარე, მარა თუ ჩამოდის ნუ დამიმალავთ, ჩემი გაზრდილია, ორს მივუმატოთ ორი მე ვასწავლე.

თავმჯდომარე ცალ მხარეზე გადაიწია. მეორე ხელი გაითავისუფლა და დაუქნია „დაჯექიო“, მაგრამ ცარიელი სკამი არ ჩანდა და გაღიმებულმა ლადიკომ კარს ზურგმოუშორებლად ჩაიყუნტა.

— არა უშავს, ომია! — გაიმართლა თავი თავმჯდომარემ—...და გვაქვს ჩვენ ხელუხლებელი ფონდიც...

— სათესლე სიმინდი ჰქვია მაგას, თუ არ ვცდები... — ორივე ხელი გულზე იტაცა აგრონომმა.

— ამხანაგო კუხალეიშვილო, თქვენ არ ცდებით, მაგრამ არც ჩვენ ვცდებით.

— არა, თქვენ ვინ თქვა! — ამოიქსუტუნა კოლექტივის თავმჯდომარემ, ალექსი ჯიმშელეიშვილმა, და აგრონომს უსიტყვო ქსუტუნით უსაყვედურა — ენა გააჩერეო.

—და იმ თესლს ცოტა თხლად დავთესავთ. რასაც ვთესავთ, ყველას ვტოვებთ თუ! ორს ვჭრით და ერთს ვტოვებთ. ახლა ერთს მოვჭრით და ერთს დავტოვებთ. თესლს ყვავებს და თაგვებს არ შევაჭმევთ. პავლე მშვენიერაძემ იცის კარგი ღვინო და სიმინდში გაგვიცვლის.

— მაინც რავა ოქროდ გადაიქცა ეს პური და სიმინდი...— აღმოხდა ოქმზე დახრილ საბჭოს მდივანს — მარგალიტა ჯუხაძეს.

— ქალო, მაგი არ ჩაწერო, შენ!

— ახლა, რა უნდა დავწერო და არ დავწერო, მაგი აღარ ვიცი? —ეწყინა პატივმოყვარე შინაბერას, ყვითელი კალმისტრით თმა ყურზე გადაიდო.

კარს გარედან ვიღაცა ისე ენერგიულად მოაწვა, ზედ მიყრდნობილმა ჩაცუცქულმა ლადიკომ მუხლებზე შემოსალტული ხელების წინ გაშლა ვერ მოასწრო და იატაკზე გაგორდა.

კართან პირგაბურძგნული საბჭოს მორიგე აღმასრულებელი იდგა.

— ანგრევ, შე ოჯახქორო, საბჭოს და მთავრობას! — უსაყვედურა ჭოლოკავამ და ჩალის შლაპით მუხლისთავების ფერთხვას მოჰყვა.

— რა ვიცი, აგერ ბიძიე უნდა ბაღანას .

— რა დროს ბაღანაა ამ შუაღამეზე! — იკითხა თავმჯდომარემ, კარზე დაკაკუნება ვერ გასწავლე მე შენ?

— ფარნას ძმისშვილია... ასე არ თქვი, ბიძია? — მიუბრუნდა ბნელში ვიღაცას აღმასრულებელი.

„ლუკა?“ — დაცეცხლა ფარნას და წელში ვერ გაიმართა.

— გახედე ერთი, თუ კაცი ხარ და არსად წახვიდე, საქმე მაქვს შენთან, ცალკე უნდა გითხრა.

— კაკო, რა ამბავია? — პირი მწარე ნერწყვით ავსებოდა და ყელი კი მშრალი ჰქონდა, სიტყვის თქმა უჭირდა.

— მამიდა, მამიდა... ბავშვი ნარბენი იყო, ალბათ შეშინებულიც.

— ივდითი ჩამოვიდა?

— ჰო, ბიძია, და რუსიკო ბიცოლამ გამომიშვა. — კაკომ ბიძას ხელი ჩასჭიდა და ზედ ჩაფრენილი ჩამოჰყვა კიბეებს.

თამბაქო უნდოდა შეეხვია, მაგრამ გულაფარცქალებულ ბავშვს მკლავი ვერ წაართვა.

„რატომ გამოაქციეს ეს ბავშვი ამ შუაღამეზე, ივდითი ახლავე ხომ არ გაბრუნდებოდა. ჩემმა „თანამეცხედრემ“ ყველა ჭორი იცის, ეჭვიანობს, მაგრამ რავა უნდა შეგვამჩნევინოს. ახლა ივდითი ჩამოვიდაო და თვითონ, რა თქმა უნდა, ამ შუაღამეში ძებნას არ დამიწყებს, აგერ შენი და გეძახისო. საბჭოში გამოგზავნა, სკოლაში რომ

ვგულებოდი არ გამოუშვებდა, რომ არაფერი მეფიქრა, მაგრამ თუ ახლა აქ არ აღმოვჩნდებოდი, ეცოდინებოდა სადაც ვიქნებოდი“.—ფარნა ახლა ჩახვდა ცოლის ამ თითქოს ფრთხილ ჩასაფრებას, მაგრამ აქამდე რაკი თვითონ გულში არაფერი ედო, არ შეუნიშნავს, ახლა კი ერთბაშად ენიშნა. შემოდგომაზე განათლებაში რომ იყო დაძახებული, ხელფასების უწყისები წაიღო, ბაზარში უნდა გამოევლო და ცერცვის თესლი ეყიდა. სოფელს რომ გაუჭირდა, ცერცვის თესვა დაიწყეს. მოსავლის აღების შემდეგ ჩაყრიდნენ მიწაში და გაზაფხულის მიწურულში იღებდნენ, მერე ყანას თესავდნენ და ცერცვის და სოიო ლობიოს მჭადი სამყოფად სად იყო, თორემ ვინღა წუნობდა. რუსუდანი რომ ბაზარში ნახა, გაუკვირდა, „შენ ცერცვისთვის თუ მოიცლიდი, რავა მეგონაო.“ მაშინ ფარნამ ეს თანაგრძნობად მიიჩნია. იცის, თავი ათასი დავიდარაბით მაქვს გამოტენილი და მართლაც რომ არ მომგონებოდა, რა გასაკვირიაო.

კიდევ იყო... მეოთხედის ბოლოს, მშობელთა კრებაზე გამოცხადდა, ვითომ მაზლიშვილის ნიშნების გასაგებად. ფარნა იქ არ იყო და არც იცოდა მისი ძმისშვილის წარმატება? ესეც, ბავშვმა თუ სთხოვა, ან დედაჩემმა თუ გამოგზავნაო და ამაზე თავის სატეხად ფარნას არ მოუცლია; თანაც, რაღაც კაბა გადაიკეთა იმ დღეებში და იფიქრა, ქალია, ჭინჭი უნდოდა გამოეჩინაო...

„ბაკურის „შურისძიებაზეც“ ხომ არაფერი იყო ამის მსგავსი?.. ვითომ არაფერი? თუ რაღაც მიმგვანებულს რომ დავინახავ ყველაფერი მაშინ გამოჩნდება, თუ თვითონაც ჭორი ჰგონია და სოფელ-ქვეყანას პირზე ხელს აფარებს, რომ ჩემამდე არ მოაღწიოს?..

„რავა გამიშრო ამ ქალმა სისხლი! იმის მაგიერ, რომ მხარში მედგეს, რასაც მე ვერ ვხედავ, იმას უნდა აკეთებდეს და ამჩნევდეს, მეშველებოდეს და მავსებდეს, თუ ამ ისედაც გაუკულმართებულ წუთისოფელში თვითონ იქცა გამოცანად და კრიჭაში მიდგას“.

— ბიძია!

— ჰო, შენ მართლა... რაო მამიდა-შენმა.

— არველოდიმ ჯაყვა მომცა...

— არველოდი ჰო,.. ჩამოიყვანა? არველოდი,.. ველოდი, არ ველოდი...

— წამართვა ისევე!

— ჰო, ალბათ თუ გათხოვა.

— გქონდესო და...

— ალბათ ჭირდება. მე მოგცემ შენ ჯაყვას.

— სანამყენოს?! — მკლავში ჩაფრენილმა ბიჭმა ორივე ხელი მოუჭირა.

— ჰოდა, თუ სამყნელი გვექნა, ორივემ ვიხმაროთ.

— არ დავკარგავ, ბიძია.

— ვიცი.

— მარა არველოდი რო წავა, მერე მომეცი.

— ახლა აქ მაინც არა მაქვს...

— წამართმევს და იმიტომ...

— შე კაცო, დაიხურა ჩალით ქვეყანა?

— რომ გითხრა „შპიონს“ დამიძახებს.

„სიტყვის გამცემი ბავშვსაც კი ჰზარავს ჩვენს სახლში“.

— კარგი, ისე ვქნათ, როგორც შენ იტყვი.

— ასე აჯობებს და იმიტომ.

ხომ ასე დაღლილი იყო და გამოფიტული, სიამოვნებდა, რომ ბავშვი ხელზე ეკიდა და ისე მოსდევდა. ამ ბნელში მისი წაქცევის, ან წაფორხილების შიში მაინც არ ჰქონდა. ბიჭს გვერდით რომ ერბინა, მაშინ მასზე მეტს იფიქრებდა, უკეთეს გზას დაუტოვებდა და ნაურმალზე ან აჩირხალლებულში თვითონ ივლიდა. იმედიანად იყო, რომ სანამ თვითონ ფეხზე იდგა, ძმისშვილს არაფერი გაუჭირდებოდა, მაგრამ...

„მაგრამ ეს დამოუკიდებლობის წართმევაც ხომ არ იყო? ასე ხომ არ „ჩამოეკიდა“ ცოლი, თავისი და მისი გასაკეთებელიც რომ თვითონ აკეთა, ამან

ხომ არ დაუკარგა ცხოვრების ფხა და საკუთარის შექმნის უნარი?..“

— კაკო, გამიშვი ხელი და ისე იარე.

ბიჭმა ხელი ცივად უშვა, მაგრამ გულისწყვეტა მაინც აღმოხდა:

— რატომ...

—ასე ჯობია, გზა თვითონ უნდა გაიგნო.

ბავშვი ჩამორჩა.

— ნურც უკან გამომყვები, გვერდზე იარე... მხარდამხარ... კაცურად!.. აკაკიმ მაშინვე წაიფორხილა.

— ხელი რომ გეკიდა იმის ბრალია, იქითობას იქცეოდი?

არა. — ჩაიბუზღუნა ნაწყენმა.

— არც აწი წაიქცევი... ისე, ის ჯაყვა თუ მოგცა...

— ჩემი ძმა იქ არ იყო?

— და თუ შენია უნდა დაიბრუნო.

— წამართვა და... ბიძია, შენ არ მომცემ?!.

— ჩემსას, გითხარი და მოგცემ, მაგრამ ასე რომ ისიც ვინმემ წაგართვას... შეგიძლია გააჩუქო, მაგრამ წართმევა...

„რა თქმა უნდა, ეს „ჩემი ქალბატონიც“ თავისას ჰკარგავდა, ან არ ჰქონდა და ჩემი „ჯაყვით“ გადიოდა ფონს. მე... მე დავღუპე და ახლა მოდგა და ჩემივე ჯაყვით ჭრის იმ ხეს, რომელზეც ბუდე აქვს. პატივმოყვარეობა რომ ადამიანს ძვალში და რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი, არც საძრახისი იქნებოდა, მაგრამ არა აქვს იმას, ვისაც არ სჭირდება, ვინც თავის „საქმე ქმნილით ახერხებს თავის მოწონებას. თავს რომ არ იწონებდეს ისეთი სულიერი არ დაბადებულა. ვინც არ იწონებს, სწორედ იმით იწონებს თავს, რომ არ ვიწონებო. „ამასაც“... ერთგული ქმრით, მამუკას გმირობით და ვატუტის თანამდებობით მოაქვს თავი. რა თქმა უნდა, მანაც იცის თავისი შვილების ნაკლი და ღირსება, მაგრამ რასაც გასავალი აქვს, იმით ვაჭრობს. ქმრის ღალატი და შვილის მიერ მეზობლის გოგოების გაბახება დიდებით ვერ შემოსავს და ამიტომაა ცხრა ხატზე დაგიფიცებს, არც გაუგონია და არც იცის.

— სისაძაგლეა ეს ყველაფერი!

— არ წავქცეულვარ, ბიძია ჩხერკს გამოვედე.

— ჰო, შენ? შენ არა...

7.

ივდითი ჩამოასკდა ქმარ-შვილით. ძმის ავადმყოფობა ვითომ საორდღეო არ იყო და მართლა წლიდან წლამდე აქ ხომ ვერ დაჯდებოდა. ოთხმოცდაათს მიტანებული დედის უქეიფობაც კი ქალიშვილისთვის ყურიდან ყურში გასაშვები ამბავი არაა. არც წარამარა ჯანზე, სიბერეზე და სიდუხჭირეზე მოწუწუნე მოხუცია, რომ შვილებს ყური შეჩვეული ჰქონდეთ.

— ოჰ, ფარნა, კაცო! აჰ, ფარნა!.. — ვითომ მარჯვედ წამოდგა ვანო დურმიშიძე მაგრამ ხელის ჩამორთმევა, კვლავ რაღაცის ჩაბურტყუნება და, ისევ მოეშვა, სკამი ვითომ მისი სხეულის ნაწილი ყოფილიყო, ზედ კი არ დაჯდა, შეუერთდა, დაუბრუნდა თავისას.

„შეთრობაც მოუსწრია. რა ჯანდაბად უნდოდა ამას რომ მოათრევდა, მაგრამ აქ, თავისსახლს ხომ უნდა ეთქვათ: ივდითი ქმარ-შვილით ჩამოვიდაო“.

— არა, ახლა კარგადაა, დედა უკეთაა. — ვითომ სიძეს რაღაცა საიმედო, თუ თავისი მოსაზრება უნდა ეთქვა, და ფარნა, ძმაო, გმირი.. არ გიკვირს ჩვენი გმირი?

— რაო, ბიჭო არც ღამე გასვენებენ? — ივდითმა თვალზე მომდგარი კურცხალი ქათქათა ნაჭრით შეიშრო და ძმას ხელი კისერზე მოხვია, ყბაზე აკოცა...

რუსუდანი დედამთილის სასთუმლის მხარეზე იჯდა, საზურგიდან რიკულებგამოცვენილ სკამზე, მაგიდიდანაც მოშორებით და მოხუცის საწოლიდანაც. პატარა ანდრო, ძმა რომ დაბრუნდა, მაგიდის ბოლოდან გამოძვრა, რომლის ზევით არველოდი იჯდა, იატაკამდე ფეხებჩაწვართული.

— მიდი, შვილო, ბიძიას აკოცე! — რაღაც, ვითომ დატუქსვა რომ იცის ისე, თანაც არაფერი ვაწყენინოო, გაუჯავრდა ივდითი ვაჟიშვილს.

— გამარჯობა, ბიძია! — ცხვირპირში შემოასკდა უკვე, თითქმის, ფარნას სიმაღლე თეთრფეროვანი ბიჭი და უცებ მუშტი ჰაერში დაატრიალა — ბიძია! ბიძია! მამუკა... ჩახ-ჩუხ, ჩახ-ჩუხ!.. — გრძელ, თეთრ თითებში ჩაბღუჯული ნამლევა ჯაყვის წვერი გაბოაჩინა.

— ჰო, კაი, ნუ საქციელობ რაღაცას... — „გაუწყრა“ ისევ დედა და ძმას კი არა, რძალს აუხსნა — უხარია მამუკას გმირობა, აღარ იცის რა ჰქნას.

— გაახარა ღმერთმა... — ჩაილაპარაკა რუსუდანმა, მაგრამ თუთხმეტი წლის მუტრუკის ამნაირი სიხარული, გულაძულებული ქმრის თანდასწრებით, არც თვითონ ეჭაშნიკა და დედამთილისკენ გადაიხარა — ჩაის კიდევ გაგიცხელებ, გიყვარს, შე ქალო, შენ ჩაი! — მოხუცს არაფერი უპასუხია, ეტყობოდა ის ერთი ჭიქაც ძალისძალად ჩაასხეს კოვზით პირში.

ფარნა დედის ლოგინზე ჩამოჯდა და მოხუცს შუბლზე ხელის ზურგი დაადო. დედამ ცალი ხელი ამოაძვრინა და შვილის მარჯვენა საბანში ჩაიტანა.

— სად დაჯექი, ძმაო, რატომ ქენი მაგი... — ალუღლუღდა სიძე და დოქს ორივე ხელით ჩააფრინდა, ვითომ ფარნას ჭიქას შევუვსებო, მაგრამ შევსებული რომ დაინახა, დოქი თავისკენ წააჩოჩა...

— ჰე, ჩაიხუტე ახლა დოქი და ჭური გულში!.. — შეუწყრა ქმარს ივდითი და ისევ რძალს მიუბრუნდა —რამ შეაყვარა აქაურობა და აქაური ყველაფერი!..

— ცოლი თუ უყვარს... — მული უნდა დათანხმებოდა და დაეთანხმა, თორემ დოქის გულში ჩახუტება რომ ცოლოურობის სიყვარულს არ ნიშნავდა რუსუდანმაც იცოდა. არც ამნაირი სიყვარული შურდა, მაგრამ ამ „სიყვარულის“ თქმის უფლება შურდა, თვითონ ვერანაირად ვერ იტყოდა: ჩემი ქმარი ჩემზე და ჩემიანებზე ჭკუას ჭკარგავსო.

— მე ეს ჩემი რძალი ძალიან მომწონს... — ლუღლუღებდა დურმიშიძე.

— მაგია შენი პატივისმცემელი. — მოუწონა ივდითმა და ისევ მაგიდის თავში შემომჯდარ შვილს „შეუცაცხანა“, —ჩამოდი, არველოდი, დედა, ძირს, რა იცი ეს... შენიანებია, მარა მაინც არაა წესიერი.

— მე, ფარნა ბიძიე რაფერ მიყვარს, დედა, ხომ იცი შენ?

— ჰო, კაი ახლა და ჩამოდი ძირს. ბოვშები გიყურებენ.

— ამგენმა რა იციენ!..

— ჰე, კაი ახლა, ფარნა, მოკიდე ჭიქას ხელი, დედა კარგადაა, პატივისმცემელია ეს ჩემი რძალი და... გაუმარჯოს! დედა და ლუკა კი ვადღეგრძელე, ფარნა .

— დედაჩემს და ჩემს ძმებს ადღეგრძელებდი, აბა... — ისევ რუსუდანს მიუბრუნდა, — რატომ ჩამოასკდა ამ ქვეყნის დაქცევაში... ღვინო მაგას... მებრძოლებს ჩამოაქვთ კახეთიდან, აქაურს კი არ გავს.

მეხანძრეებს თუ მებრძოლები ერქვა, რუსუდანმა არ იცოდა, მაგრამ მულის უპირატესობას თუ არ აღიარებდა, იცოდა, არც წინააღმდეგობა უნდა გაეწია.

— აიღე, თუ ძმა ხარ, ეს ჭიქა... ლუკაც კარგად იქნება და ყველა...

— დედა, გაგიმარჯოს! — ფარნამ მოსვა და ჭიქის დადგმა დააპირა.

— შენ არ მომიკვდე!.. — გადიხორხოცა სიძემ.

— დედიკო, რა აცინებს, რო იცინის! აჰ! — გაწყრა ვაჟიშვილი და ანდროს ყური მოუსრისა.

— თავი დაანებე! —შეუბღვირა კაკომ და ძმა მაგიდას მოაშორა.

— მაგი კი არა, რამდენი გაქვს დაულეველი, რომ იცოდე, ჩემო ფარნა. — იცინოდა სიძე და თავიანთ ჩამოტანილ შინ გამომცხვარ პურს და აქაურ მჭა-

დის ნატეხს ცოლიძმის მხარეზე გულუხვად აწყობდა.

— დედა, ეს კაბა ხვალვე უნდა გადაიცვა! — ივდითი ქმარ-შვილის მაინც გამოაშკარავებულ უწესობას, ამ გაგანია ომის დროს ნაშოვნი, თავისი ხელით შეკერილი შავი სატინის კაბით და მუქი ჩითის ზედა წელით უპირებდა გაბათილებას. მის რძალს რომ ნემსში ძაფის გაყრა არ შეეძლო, მულის ღირსება უნდა ეგრძნო.

— მე, რუსუდან, ზომის აღება და ჩაზომება არ ვიცი. ისე, თვალდათვალ...

რა ზომა-წონა უნდოდა დედაბრის მიწამდე ათრეულ, ნაოჭასხმულ ქვედა წელს და, მით უმეტეს, დედისას.

— ფარნა, რაფერი გულით მინდოდა ბაშლაყი ლუკასთვის... მარა იშოვი რაიმეს? ეს სატინაც ვანოს ერგო, კამანდის უფროსებს და ამისთანებს, თორემ სადაა რამე...

— მამუკა ვადღეგრძელოთ, ივდით, მამუკა! — შეწუხდა „თამადა“, — მართალი გითხრა, გაგვმართა ამ ბიჭმა წელში. ვინ ყოფილა, კაცო, ეს?! — სავსე ჭიქას შესცინოდა დურმიშიძე.

— ჩახ-ჩუხ, ჩახ-ჩუხ! — გამოეხმაურა მემკვიდრე.

— აბა! ეს შენი მამიდაშვილი!.. — შეესიტყვა მამა.

—მამიდაშვილი არველოდია მამუკასი... — შეუსწორა ცოლმა და რძალს გადაულაპარაკა: — სიხარულზე კი არ იცის რას ამბობს.

— გაახარა ღმერთმა! — დალოცა რუსუდანმა მულის ქმარი, მამუკას გმირობა და სახელი რომ ახარებდა.

— დედიკო, მე რო წავალ ჯარში... ჩაპაევი ხო ნახე, დედიკო. — იქვე, დაბღვერილ კაკოს და ყურაწითლებულ ანდროს მიუტრიალდა, მუჭში მოქცეული ციცქნა ჯაყვის ტრიალით, —ჩახ-ჩუხ, ჩახ-ჩუხ, ჩუხ! ტრა-ტა-ტა-ტატახ!..

— ეს ბავშვი სკოლაში არ დადის? — იკითხა ფარნამ. ამით, იცოდა, ივდითი შეშფოთდებოდა და იქნებ მეორე ოთახში მაინც გაეყვანა, რაკი ბიძას „თვალში ეკლად ესობოდა.“

— რავა არ სწავლობს! — გაიკვირვა დედამ, ვითომ მასწავლებელ ბიძას კი არა, გადამთიელ უბირს ელაპარაკებოდა.

— ჰო, სადალაქოში რომ ცოფიანმა ვირთხამ დაკბინა, ორმოცი ნემსი... და ორმოცი დღე გაუცდა.

არველოდიმ ფეხი მაგიდაზე აიტანა, წინდა ჩაიწია და ბიძაშვილებს კოჭი დაანახვა, აქ ვარ დანაკბენიო.

— დარჩა შარშან, წელსაც ჩამორჩა... მარა, რუსული ჩემზე უკეთესად იცის.

— ჩემზეც, ივდით, ჩემზეც... — ხელი ჩაიქნია დურმიშიძემ.

— კამანდა, სმირნა! — წამოიძახა დედ-მამაზე მეტის მცოდნე შვილმა.

— მათემატიკაში უჭირს, ფარნა, თავიდან უჭირდა... —გამოტყდა, როგორც იქნა, გულდათუთქული დედა. — ვეღარც ჩვენ ვეხმარებით...

— მეტი ჩვენც აღარ ვიცით! — ხელი ჩაიქნია მამამ, მოვრჩეთ ამ საუბარს და დავლიოთო.

— ბიძია, აქ, შენს სკოლაში მიმიღე და ფრიადებზე დავამთავრებ, ჩვენთან ძნელია...

— შენ გგონია, შვილო, აქ სოფელი რომაა სულ არ უნდა სწავლა და ბიძაშენი ნიშნებს ტყუილა დაგიწერს?

კაკოს გაეცინა და ძმას რაღაცა გადაუჩურჩულა.

— ეს რას იცინის, — ფეხი გაუქნია არველოდიმ. — ამაზე მეტი მაინც ვიცი.

— მამუკას გაუმარჯოს, მამუკას! — ჭიქა ფარნას ჭიქას მიაჭახუნა დურმიშიძემ,—შენ გგონია არ დამილევია? შენი ხათრით და... მამუკას და ბაკურის, ლეონი, კაცო, კიდევ არ გამოჩნდა?.. გამოჩნდება და გაუმარჯოს! ჩემი ძმისშვილი დაიღუპაო მარა არაა მართალი... გაუმარჯოს!

— აბა, ჩემი მაზლიშვილი, არჩილი, უნივერსიტეტს ამთავრებდა...

— უნივერსიტეტში ჩემებიც კი, მა-

რა!.. — მულს რუსუდანის უმაღლესებით და უნივერსიტეტებით გაკვირვება მაინც ვერ უნდა გაებედა.

— ფარნა! — ამოიკვნესა ავადმყოფმა, — აქეთ გადმოჯექი, ერთხანს.

— აქ იჯდეს, დედა, და შენც კარგად იქნები! — ვერ შეელია „თამადა“ ერთადერთ მეინახეს.

ფარნა ისევ დედის საწოლზე გადაჯდა. მოხუცმა ხელი გამოართვა და პირთან მიიტანა, ყბა უცახცახებდა დაუძლურებულს.

„ლუკას ავადმყოფობამ დედა დაგვავიწყა, თვითონაც დაავიწყდა თავისი თავი.“

— კაია, რო ესენიც აქ არიან.

— კაი, ახლა, შე ქალო, არაფერი გიჭირს. — ვითომ თანაგრძნობა მოინდომა რუსუდანმა და სკამი ოდნავ წამოსწია.

— წამოდი, არველოდი, დედა და დაწექი! თქვენ, კაკო და ანდრო, სად წვებით! ივდითმა რაღაც ავისმომასწავებელი იგრძნო დედის ხმაში.

— ჩვენ, აქ, ბებიასთან! — არ გაჰყვნენ მამიდას ბიჭები მეზობელ ოთახში.

— მე არ მიყვარს ბებიე თუ! — ჯიუტობდა არველოდიც.

— ნამგზავრი ხარ, დაღლილი, წამოდი, წამოდი!

— ფარნა, შენ იყავი და ხარ მამაშენის ფუძეზე... — ხელი უკბილო პირთან ეჭირა და როგორც ნატეხა სარკეზე იცოდა, ისე ლოცვასავით ლაპარაკობდა, უკბილო ყბის ცახცახით.

— დედა, გაგიმარჯოს, დედა!

— მაცალე, ვანო, შვილო. ყველანი იქა მყავს და ლუკაც იქ მიდის!

ფარნას თვალები აეწვა და დაუელამდა.

„როგორ გამოგვცლია ხელიდან!..“

— ე, იმ ობლებს შენ გაბარებ... შენი ძმის, ანდროს, ობლებს...

— დედა, რა გაწუხებს?

— არაფელი, მარა ნამეტანი დევიღალე, საჭმელმა გუმო დაკარქა, ვერ ვთბები...

— შე ქალო...

— შენ არა, ფაჩუაშვილის ქალო!.. მაინც შენა ხარ, შვილო, ფარნა, მაგათი მამა და პატრონი... სადაც იქნე, იქ იყოლიე... უზნეო ბოვშები არაა, შენი ჯიშისაა, მამაშენის... მე, ხვალ დილას, ლუკასთან გადამიყვანეთ, მასთან დამიდგით ლოგინი... ავანტყოფი სისხლს აღებინებს, გლახა სიზმრებს ვხედავ, მარტო ვერ გავუშვებ...

გარედან, ფანჯარაში, მრუმე ღამე იხედებოდა.

8.

დაბალი, ძველი, ქვითკირის შენობის ხის აივანს, მესამედი ბიბლიოთეკის ოთახისთვის ჰქონდა ჩამოჭრილი და პრეზიდიუმი რომ ხალხმრავალი ყოფილიყო, ფეხად არ დაეტეოდა. ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებს, განარეცხი ლოზუნგების, გამოთეთქვილი, წითელი ნაჭერი ეფარა.

სამხატვრო არტელში შეკვეთილი, მონაცრისფრო ტილოზე ნახშირით ფოტოდან გადახატული ორარშინიანი პორტრეტი მოიტანეს და მოაჯირზე, სვეტებს შორის გამოკიდეს. უშინაარსო, უაზროდ მომღიმარ მამუკას (რომელი სურათიდანაც გაადიდეს, იქ არ იცინოდა), რაღა თქმა უნდა, სამხედრო გიმნასტურა ეცვა, მოწითალო ღილებით ბოლომდე აბნეული, კისერიც ჩვეულებრივზე მაღალი ჰქონდა. მკერდზე ღილებისავე ფერის ვარსკვლავი ეკეთა, ისიც ჩვეულებრივზე დიდი ზომის. ბეჭებზე სისხლივით წითელი, ახლად შემოსული, სწორი სამხრეები დაეწეპებინათ და, ვითომ გმირი მთლად უჩინოც არ იქნებოდაო და, რაღაცა მოყვითალო ზოლები მოეხლაფორთებინათ, ეფრეიტორიდან ზემდეგამდე რომ ყველა ნიშანს მოგაგონებდა და არც ერთი არ იყო.

მთავარსარდლის სურათი შუა აივანზე, სახურავის ძირში, ნივნივებთან ეკიდა. სურათი ძველი იყო, სამოქალაქო კიტელში გადაღებული, თან გმირი ჯარისკაცის ახლად გადიდებულ პორ-

ტრეტზე პატარა. უთუოდ ამიტომ იყო, რომ ყველა ლოზუნგზე მაღლა აეტანათ და ჩარჩოზე წითელი ნაჭერი შემოეყოლებინათ. თუმცა შავ-თეთრი სურათი წითელ სამოსელში ბუნებრივად ვერ გამოიყურებოდა.

ფარნა დაბნეული (იქნებ პირველადაც მის ცხოვრებაში) და მოჟამული შეეხეტა აივანს ჩამოტიხრულ, ფიცრულ ბიბლიოთეკაში, სადაც ერთი კარადა დაჩონჩილი წიგნები და ცირეკიძის ქალის ქვეშაგებიანი ფიცრული ტახტი იდგა. ნატეხა სარკე ფანჯარაზე იყო მიყუდებული, ჯოხზე გადაკიდებული კაბა და გაქუცული კურდღლის ტყავიანი პალტო კედელზე მილურსმული. მაგიდა გაეტანათ, საორატორო კათედრალად ექციათ და ორიოდე თეფში, კოვზი და კარდალა ბუხარში შეეყარაით.

მედული ტაბურეტზე იჯდა ფეხი ფეხზე გადადებული, წითელ სატინას სამი თითის დადება გრძელ ნაჭრებად აქუცმაცებდა გირლიანდებისათვის. კარებთან გუნდის ხის, ნაძვისა და ბზის ტოტები ეყარა.

ჰო, რა უნდოდა აქ ფარნას?.. ჰო.. მგონი გაზეთები... ძველი გაზეთები, რომ შიგ რაღაც ისეთი მოეძებნა, რაც ასეთი დღისთვის გამოადგებოდა... ამას თვითონ ვერ მოიფიქრებდა... უნდა თქმულიყო სხვა რაღაც, რაც მან არ იცოდა...

— შენ, მართლა... დედას ვფიცავარ, არ გიხარია! — წამოცდა თუ წამოიძახა, ტაბურეტზე თოჯინასავით წამოსკუპებულმა, თვალებად ქცეულმა ქალმა.

ფარნამ თითქოს შემოსვლისთანავე შენიშნა, მაგრამ ნამდვილად ახლა დაინახა ხელში მაკრატელშეციებული, თეთრი წვივებით და მუხლისთავებით, წითელ ნაჭრებში გახლართული მედული ცირეკიძე.

— უნდა მიხაროდეს?.. — კაცმა თავის თავსაც ჰკითხა, მაგრამ ამ ქალსაც, რომლის, თუ ჰკუის არა, გულწრფელობის იმედი მაინც ჰქონდა.

— მე რა ვიცი! — შეცბა თუ შეწუხდა მედული და მის თვალებში ამოკითხულმა უმწეობამ დაანახვა ფარნას საკუთარი უნიათობა.

— შენ გგონია, რომ მე ვიცი?

— კი! კი! კი!.. და თქვენ რომ ყველაფერი იცით, ახლა იმიტომ არ იცით...

— არაფერი, არაფერი გამეგება...

— მე თქვენნაირი მაინც არავინ მიხახავს, დედას...

აქვსენტი აფხაძე შემოძლაყუნდა ახალ საკერებელდადებული, ნაფრონტალი ბათინკებით და ხელში მაკრატელშეციებულ მასწავლებელს გაუწყრა.

— იცით? მედეა გრიგორევნა, რა დროს ჩამოვა ხელმძღვანელობა?

„ამ ქალს მამის სახელით როდის აქეთ ელაპარაკება... — ფარნამ ამ ქაოსშიც მოასწრო ამის გაფიქრება და კინაღამ გაეცინა — ვეჰვიანობ?!“

— არა, არ ვიცი, ამხანაგო აფხაძე! — თავი უკმეხად გაიქნია, და ფეხი ფეხიდან ჩამოიღო.

„რა? მიხვდა ჩემს ეჭვს და მამშვიდებს?.. რამდენი მილიარდი უჯრედია ადამიანის ტვინში და რას არ იტევს?..“

— გაზეთები. ძველი გაზეთებია აქ სადღაც!

— კარადის თავზე არ დევს?! — ისევ გააოცა ქალი ფარნას დღევანდელმა მოუსაზრებლობამ.

აქვსენტიმ ცალი ხელით მოფოთნა იატაკზე დაყრილი წითელი ნაჭრები და აივანზე, გირლიანდის მწვნელ გოგოებს გაუტანა.

— დააჩქარეთ, ამხანაგებო!.. — გასვლისას ჩაილაპარაკა და მონჯღრეული კარი უკან ყრუ ჭრიალით მიჰყვა, ღრიჭოდ მიიხურა.

„ეს ქალი, მეტი რომ არაფერი, ჩემზე ჩვიდმეტი წლით უმცროსია და აქვსენტიზე, ალბათ, შვიდი-რვა წლით უფროსი... ჰო, ახლა სწორედ ესღა მაკლდა, მცოდნოდა ვინ ვისზე უმც-

როს-უფროსია... ადამიანის გონება სამარადჟამოდ შეუცნობელი დარჩება...“

— თქვენ რა, მაგის თქმას აპირებთ?! — ქალი სახტად დარჩა, ფარნამ კარადიდან დამტვერილი გაზეთები რომ ჩამოათრია.

— რა ვიცი, იქნებ აქ იყოს...

— ჩემი კომისარი დეიდაშვილივით! — ცხვირი აიბზუა და გაბუტულ გოგონასავით სკამზე შეტრიალდა, ზურგი შეაქცია. გამალებით მოჰყვა ქსოვილის დანაკუწებას.

„ადამიანი არ ბერდება... ბერდება, ალბათ, სხეული: სული და ხასიათი უბერებელია... მართლა სისულელეა ამ ქაღალდების ქექვა... სამასწავლებლოში წავიღებ“. — კარისკენ უხმოდ, თითქმის ფეხაკრეფით, წავიდა.

— ბატონო ფარნა, — ქალს მისკენ არ მოუხედია — დღეს აქ რაიკომის მდივანი იქნება... მე არ ვიცი... მისი ვისაც ეშინია, იმას ეშინოდეს, არც იქ, რაიონში, მის კაბინეტთან ვაპირებ ყურყუტს, აგერ იქნება და...

— არა!

მედული ერთბაშად მოტრიალდა.

— რატომ არა, იმ კრუხის პალო თავმჯდომარემ თქვენ რომ ჩაგრიათ?.. თქვენც?.. შენც!.. — ცრემლები წასკდა და თვალებზე, ხელში შერჩენილი, წითელი ნაჭერი აიფარა.

„ეს ქალი ლამაზია... მე თუ ახლა ჭკუა მომეთხოვება...“

— არა , ამიტომ არა!

— სკოლისთვის საძრახია და იმიტომ? შენც ტყავს უფრთხილდები? იცოდეთ, შემძულდებით...

—არ შეიძლება და იმიტომ!

— რატომ, რატომ გგონივართ მეთქვენ... ყველას, ყველას რატომ გგონივართ...

— ქალის პატიოსნებას მთავრობის დაცვა არ სჭირდება, ვინც პატიოსანია.

— არა ვარ პატიოსანი, არა ვარ და რა ვქნა, შენი თავმჯდომარე დავიწვინო ლოგინში?

— ნუ დაიწვენ, თუ არ გინდა!

ატირებული ქალი სწრაფად წამოვიდა და გულზე თავი მიადო.

— მე თქვენი... დედას ვფიცავარ, ყველაფერი მჯერა და მძულხართ. იცით, მძულხართ. ამ კარადაში შემორჩენილი რამოდენიმე ძველი წიგნი, მარტოობა და თქვენ დღედაღამ რაღაცაზე მაფიქრებთ და მტანჯავთ. მე თქვენ ყველა მძულხართ...

აივნის სვეტების თავზე მწვანე გირლიანდებს ტალღურად ჰკიდებდნენ.

რაიონიდან მომსვლელები ისევ არ ჩანდნენ და მწკრივად დაწყობილი ბავშვები ერთმანეთში კინკლაობდნენ. სასულე ორკესტრი კოპიტის ძირში იყო მიხუჭუჭებული და, საგანგებოდ ნაცრით გახეხილი, პირმოღებული თითბრის ინსტრუმენტები შუბის ტარზე წამოსული მზის ირიბ სხივებზე ელვარებდნენ და დამსწრეთ უჩვეულო ზეიმს ჰპირდებოდნენ.

9.

„ტანჯვით იწყება ადამიანი და მთელი ცხოვრება ტანჯვაა. ბედნიერი ადამიანი არსებობს? ოდესმე ვყოფილვარ ბედნიერი?..“ — დაბორიალებდა ფარნა ამ ორომტრიალში, სადაც ფეხს ვერ აურჩევდი დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას. ქვრივი, ობოლი და შვილმოკლული, ძაძა და წითელი პლაკატი; ცრემლი, უთავბოლოდ მოგრიალე ორკესტრი და ტაში. როგორც აივნის სვეტზე აკრულ შვილის პორტრეტს მამუკასი არც ღიმილი ჰქონდა (ის ღიმილი არც სხვისი იყო და არც არავისი), არც ყელი, არც სამხრეები, არც წითელი ოქრო, არც მამის იყო აქ არაფერი. თითქოს ყველაფერი მშობლიური, ახლობელი, ასე ნაცნობი, სისხლ-ხორცეული და მაინც სხვისი, გადამთიელის, ძალისძალად თავსმოხვეული. თვით შვილიც სხვა, უცნობი და შორეული. დიდი შვებაა მარტოობა, შენ თავთან მაინც ხარ, გმირი ხარ თუ ლაჩარი — შენა ხარ! საშინელებაა, როცა სუსტს და უნიათს მხარზე დიდება უნდა გადაგკიდონ. საკუთარ თავში

უნდა გიყვარდეს ვილაც და უკრავდე ტაშს...“

— რა დაგემართა, კაცო, შენ რომ გელაპარაკებიან არ გეყურება?! — ფარნა ჯლიქვის კვრამ გვერდზე მიახედა...

რუსუდანს წითელი ქსოვილის ძაფი მოეწყვიტა და თითებში აგორგოლავებდა.

— რა გინდა!

— მე ნუ მისმენ, მაგერ, მაგ პატივცემულს მოუსმინე! — გმირის მამას რაიაღმასკომის თავმჯდომარე უღიმოდა.

— მდივნის მერე თქვენ იტყვით თუ...

— არა, მე არა... — ფარნამ სკამი უკან დასწია.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ... როცა თქვენ გინდათ...

ორატორი იმდენად მაღალი იყო, წითელსაფარიან მაგიდას ორივე ხელით რომ დაყრდნობოდა, წინ გადახრა სჭირდებოდა და, რაკი მაინც ებჯინებოდა ადგილობრივი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესავით, სიმაღლე კი არ ემატებოდა — აკლდებოდა. მაგრამ სინამდვილეში იგი მაგიდას კი არ ეყრდნობოდა, გაშლილ ხელებს ადებდა, როგორც მფლობელი. ოდნავ იხრებოდა კიდეც, რომ მთლიანად დაპატრონებოდა და მისგან კი არ მიეღო რაიმე შემწეობა, თვითონ მიეცა, და ეს ხის ფიცრული ხარახურა ხელის დადებით ექცია იმად, რაც თვითონ იყო. წინ ფურცლები ეწყო და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ დახრა ნაწერის თვალის გადასავლებად სჭირდებოდა, მაგრამ ის ამბობდა იმას, რაც ზეპირად იცოდა. უფრო ჩვეულების გამო იხედებოდა ნაწერში, ემართებოდა, ვინემ აუცილებლობით. როგორც ცუდი მოწაფე, გაკვეთილს ერთხელ რომ ისწავლის და წინ მჯდომი თანატოლები ზურგს უკან გადაშლილ წიგნს მოიდებენ და მასაც ჩვეულებისამებრ თვალი იქითკენ გაურბის.

რაიონიდან ჩამოსულები სიტყვას ტაშით აწყვეტინებდნენ და მთელ სოფელს იყოლიებდნენ. „კაპელმეისტერი“ იყო შეშინებული და დაბნეული, არ იცოდა ორკესტრი ჩაერთო ამ ოვაციაში, თუ სიტყვის ბოლომდე ასე შეწკიპული დარჩენილიყო. კოპიტის ძირში, ორკესტრთან, წვევამდელები იდგნენ სამ მწკრივად, დედის კალთას მოგლეჯილი ჩვილებივით. ყელში მობჯენილ კივილს ისმენდნენ, და იცდიდნენ თუ როდის მორჩებოდა ის, რაც მათ არ ესმოდათ დაცემდნენ ტაშს, რომ ოვაცია უკანასკნელი ყოფილიყო და თავის თავს და დარდს დაბრუნებოდნენ.

ორატორს სიტყვა და ხელები უგრძელდებოდა. მდივნის კოტიტა, თეთრი თითები აქეთ, აღმასკომის თავმჯდომარის და იქით, სამხედრო კომისარის წინ გადადიოდნენ, თავის წინ გაშლილი ქალალდებისათვის ფართო ადგილს და უფლებას იტოვებდა. ბოლოს, ფარნამ, თავის წინაც დაინახა ეს მსხვილი ბალნიანი თითები და მისკენ მოხედილი. გაღიმებული, სუფთად გაპარსული სახე, წითელი მაგიდის ანარეკლით იმაზე მეტად მოზეიმე, ვინემ სინამდვილეში იყო. წუთიც, და ხელი პატრონმა აიტაცა და ჰაერში მოიქნია. ამჯერად თვითონ იყო ოვაციის წამომწყები.

— ადექი, კაცო, ზევით! — რუსუდანი იდგა და არ იცოდა ტაში დაეკრა, თუ ასე უგერგილოდ მდგარიყო. ალბათ ქმარიც ამან გაახსენა, მეც მასავით მოვიქცევიო, მაგრამ ფარნა იჯდა, რაც ქალს ვერაფრით აეხსნა და ამან მთლად ნირი წარხოცა. თუ ამ დროს ჯდომა შეიძლებოდა, ქალი — გმირის დედა უნდა მჯდარიყო.

10.

ფარნა იმღამინდელ ვახშამზე მოიწამლა. თვითონაც არ იცოდა მისი სული მართლა ასე ბატონობდა სხეულზე, რომ გონების მოშხამვამ ფიზიკურადაც ხელი დარია. თუ იმ მიძალებულმა მჟავე ღვინომ აწყინა. სასმელი თუ ნაეშმაკარ-ნამამაძაღლარი იყო, სხვა არ გაუშავებია და ფარნას რატომ ამოგლიჯა გულ-მუცელი. ვითომ თავისი, მაინც ჯიუტი, ნებისყოფით აპირებდა

მორეოდა ყელში მობჯენილ შხამს, მაგრამ გაზაფხულის ღამის სიგრილემ რომ დაჰკრა, ხელ-ფეხ გაყინულს კრუნჩხვები დაეწყო...

არ შეიძლება ორ ადამიანს ერთნაირად ესმოდეს სამყარო, მაგრამ შეუძლებელია ერთ ლოგინში ეძინოთ და სხვადასხვა პოლუსზე ცხოვრობდნენ.

სუფრაზე სამხედრო კომისარმა საჭიროდ ჩათვალა გმირის დედისთვის ქათინაური ეთქვა. ალბათ დაფიქრებულ, ტაქტიან მამაკაცს მართლა მოეძებნა რუსუდანის გარეგნობაში უფრო ნაკლებ საჩოთირო, ვინემ მისი ახალგაზრდობა და მომხიბვლელობა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ამ ჩემოდანზე ამხედრებულ ჯარისკაცს მეტი სცოდნია დიაცის ბუნებისა, ვითომ ცხოვრებაში ჩახედულ ფარნას რომ ეგონა ვიცი ქალს, თურმე, ის უნდა უქო, რაც არ გააჩნია, თორემ თუ რა ღირსებაც აქვს, იმას ის უშენოდაც გამადიდებელი შუშით უყურებს. ვითომ თავის ახალგაზრდობაზე და მომხიბვლელობაზე დიდი ხანია ხელჩაქნეული რუსუდანი ერთი შეჩქვიფება კი შეჩქვიფდა, მაგრამ სტუმარს და ისიც, ამ ომიანობის დროს, სამხედრო სტუმარს ვიღა გაამტყუნებდა. საუბედუროდ მასპინძლებიც კი ფარისევლურად შეაჩერდნენ გმირის დედას, ამოდენა შვილი როგორ ჰყავს, რომ გმირობაც მოასწროო.

რუსუდანმა შეიშნო, თუ ხუმრობა მოინდომა — ნაშვილები გვყავსო — ჩაილაპარაკა და გაუცინარ სახეზე ისეთივე შეუფერებელი ღიმილი წაიფარა, როგორც მისი კოპწიაობა და მომხიბვლელობა იყო.

მაშინ იყო რომ ამოაწვა გულ-მუცელში ფარნას ნაღველი.

— და თქვენ რომ იცოდეთ, მაგი კიდევ, სამი უფროსი ვაჟიშვილის დედაა...

— წამოიპარჭყა მთვრალი, კრუხის პალო, საბჭოს თავმჯდომარე, მაგიდას ორივე ხელით მოეპოტინა.

— არაფრით არ დავიჯერებ! — შეიცხადა სამხედრომ და ჭერზე გადაორდიკალებულ აშუშებზე ხელები ცერა თითებით ჩამოიკიდა.

ფარნამ: ეს ჩემი სულელი კიდევ რაღაც უბედურებას წამოტორტლავსო, გასწრება მოინდომა. იღბალი, რომ სუფრა ეზოში იყო გაშლილი. კოპიტის ძირისკენ წალასლასდა, ლამპის სინათლე შორს არ ატანდა და თავი ბნელს შეაფარა. სანამ სკოლის შენობის მიღმა ფერდობს ჩაჰყვებოდა, კომისარს მოესწრო გმირის დედისთვის მხრებზე მკლავის მოხვევა და სამშობლოს ამაგდარი, ოთხი არწივის აღმზრდელი, მზეთუნახავი ქართველი ქალი ხოტბა-დიდებით ცაში აჰყავდა. „არწივების დედა“ თავს ღირსეულად ატრიალებდა და მასზე შემოჩერებულ ერსა და ბერს მადლობას უხდიდა, ძლივს, მისი ღვაწლის დაფასებისათვის...

გლედიჩიის ციდა ეკლები რომ არ ძგერებოდა, ქაცვის და ეკალ-მაყვლის ტევრი გონებაგაყინულ ფარნას ვერ შეაჩერებდა. იქვე ჩაიმუხლა და საღობავად მჭიდროდ ჩარგული ხეების ძირებში უბალახო მიწა თითებით მოფხოჭნა.

„რა ჰქვია ჩემს გაჩენას და რა ჰქვია ჩემს დაუსრულებელ წამებას?!!“

ოთხზე დადგა და თავი ჩაჰკიდა. აზიდებდა, გულ-მუცელი უდუღდა, აკანკალებდა და კრუნჩხავდა.

„გათავდეს მაინც ეს ჯოჯოხეთი, დასრულდეს მაინც ეს გოლგოთა! ერთხელ და სამუდამოდ, ერთხელ და სამუდამოდ!.. — მაგრამ არც მისი კვნესა ესმოდა ვინმეს და არც ტანჯვას ეღებოდა ბოლო. — ნახევარი საუკუნე... ორმოცდათორმეტი... ორი დღე ხომ არაა... ყველაფერს აქვს დასასრული... ყველაფერსა აქვს ბოლო... ჩემი ყოველი დღე წელიწადს უდრიდა და რომ აღარ დაადგა საშველი... რამდენ, რამდენ ნათელ აზრს ველოლიავებოდი, რამდენს ვიღვწოდი, დღეს და ღამეს ვასწორებდი... ყველასათვის, ყველასთვის რაღაცა...რაღაცა დიდი, ადამიანური, კეთილშობილური, ჭეშმარი-

ტი... და ამდენი სიყალბე, ამდენი სისაძაგლე. გულის ამრევი, სულის შემხუთველი წყვდიადი, უკუნი... ვაიმე, შვილებო, შვილებო, ჩემზე უფრო უღონონო და უილაჯონო. ჩემზე საცოდავნო და საბრალნო. მე რომ ვერაფერს გავხდი და ვერაფერს ვეწიე... ვერაფერს... აგერ პირუტყვივით ჩავზმული მიწას მარტოსული, მოშხამული და სიკვდილის მოწადინე, თქვენ სად, ვის ხელში, ვის უბეში, ვის მიწაზე...“

11.

დილის ბინდბუნდმა, როცა ბნელით გატანჯულ მიწას რული დაუფრთხო, ბლედიჩიის ძირებში თავდალმა ჩამხობილ, ცივ და უსულო ფარნასაც დაუბრუნა დაბინდული ცისიერი, რომელიც თვალის გასახელად ეყო, მაგრამ რაიმეს დასანახავად ვერა. თითქოს რაღაცაზე ფიქრი დააპირა... მაგრამ უწარსულოსავით ვერაფერი გაიხსენა. არაფერი ტკიოდა კი არა, არაფერი არ ჰქონდა ისეთი, რაც უნდა სტკენოდა. ფხვიერი თიხის გროვასავით ეყარა მიწიდან ერთი მტკაველი სიმაღლისა და შვიდი მტკაველი სიგრძისა. მერე ძლივს... კი არ იგრძნო, მოესმა ამ ფხვიერი მიწის გროვას, როგორ ეცემოდა მსხვილი წვეთები და ამ გამოგვალულ, გამომშრალ მტვრის გროვას დალტობას თუ წარეცხვას უქადდა.

ფარნას ცივ სხეულს გაზაფხულის დილის, შიშხათი წვიმის ღვართქაფი დასდიოდა და გადადიოდა.

წამოდგომა იყო საჭირო, მაგრამ ამ ტალახად ქცეულ სხეულს მიწიდან რა ძალა წამოკრებდა. ან ვინმეს რომ აეწია, როგორ აჰყვებოდა.

„ღმერთო, მიწა მიწად ვიქეცი... ძლივს მიწა მიწად ვიქეცი...“

მაგრამ ეს მაინც მტვერში ისევ წყლის შეეონვა და თიხად ქცევა იყო. „იმად, რისგანაც თავდაპირველად შემქმნეს...“

— დედა! დედაჩემო! მიწაზე... მიწა... მიწა!... — ეს ხმა გარედან შემოდიოდა, როგორც წვიმის ცივი წვეთები და მთელ სხეულში ატანდა, ბლაგვი მახათის ყრუ ჩხვლეტასავით და იწყებოდა წამება, რომელიც დასასრულის ბედნიერებას ჰკლავდა.

„ისევ მატანს წყალი?... მტვერი ისევ უნდა შეიზილოს?... ისევ ტალახად ვიქცე? ისევ მტკივა და მტკივა?... ისევ ვიტანჯები და ვბრუნდები უკან?.“

— დედა, მიშველე, დედა!

„ისევ დედა და ძმა? ისევ შვილები?..“

— არა, ეს დარაჯმაც არ უნდა დაინახოს, იმ საწყალმა კაცმაც არ უნდა დაინახოს... ფარნა, ფარნა!

„ისევ ფარნა მქვია?.. ისევ ლეონი და ბაკური ჰქვია ჩემს შვილებს?.. და მამუკა..“

— ხომ ვიცოდი, ხომ ვიცოდი.. ხომ დაგინახე, ფანჯარასთან რომ ჩაიარე, სადღაც აქეთ წამოხვედი... არ მინახავს ასეთი მთვრალი... მთვრალი კი არა, დედას ვფიცავარ, მკვდარი... ღმერთო, რა უძლური ვარ!..

„ხელი... რა საშინელება ყოფილა, რომ მკლავი გაქვს, იღლიის სახსარი... იდაყვი... წელი... ღმერთო, როგორ იშლება ხერხემალი და რა უბედურებაა, რომ ეს მტანჯველი დანაწევრება გიბრუნდება... მკერდში გიტენიან, ცალ-ცალკე, ყოველ ნეკნს... ვაი, ისინი ძალიან ბევრია, იმაზე ბევრად მეტი, რაც ადამიანს გააჩნია...“

— ცოტა, ფარნა... შენი ჭირიმე, ცოტათი იქნებ დადგე ასე რამ მოგწამლა ადამიანო, რა შხამი სვი ამდენი... იქნებ ცოტა, ცოტა მომეხმარო? რამ გამაჩინა ასე წყალწყალა და უნიათო, ან ეს ცა ახლა აპირებს ჩამოქცევას? აღარ შემიძლია, არ შემიძლია, დედა... დედა მომიკვდეს, მეც წავიქცევი და ამ ლაფში ჩავიხრჩობით...

„ტკივილები... ტკივილები... ყრუ, შორეული და მაინც შენი... გაუსაძლისი, რომ გიბრუნდება და შიში... შიში, რომ ის მალე კისერში ისევ ხელს წაგიჭერს, მაგრამ სულს არ ამოგხდის და არ გაგანთავისუფლებს.“

— მე რომ ფრონტზე... ხომ არიან

ქალები ომში... ნუთუ ასე უძლური ვარ... ასე ბეჩავი და უილაჯო?.. თუ ასე იყო... თუ მეტი ძალა არ გქონდა... ჩემთან... ჩემთან მოსულიყავი... ვისაც რა უნდოდა ის ეთქვა, მოსულიყავი... აწი რაღა გადაგარჩენს, რაღა გიშველის... მე უბედური, უბედური, უბედური...

„ვის შეუძლია ასე უსაშველოდ მტკივანი სიმძიმე ათრიოს... ისევ და ისევ დაუსრულებლად?..“

— ფარნა! შენი ჭირიმე, არ შემიძლია... აღმართია, წაგვიღებს წყალ-ტალახი... მომეხმარე... ულონო ვარ, უსუსური, იწამე ღმერთი, ნუ დაკარგავ ვონებას... ამ ოთხ საფეხურზეც არ შემიძლია შენი აყვანა. მართალი ხარ, რომ ამ კედლებში მარტო დამაგდე და მთელი ლამეები თავში ხელს ვიცემ, მე უუნარო ვარ, უმწეო, მშიშარა. იქნებ დადგე, შენი ჭირიმე, იქნებ დაიმორჩილო მუხლი და მომეხმარო. თავს მოვიკლავ. შენი ჭირიმე, თავს მოვიკლავ, რომ ჩემს სიცოცხლეში ერთ ადამიანს, ერთხელ მაინც ვერაფერი ვუსაშველო. დედას ვფიცავარ, თავს არ ვიცოცხლებ... ჩემთვის — ადამიანისთვის მომეხმარე!..

ცირეკიძის ქალის მთელი სამედიცინო განათლება, ალბათ, იმით ამოიწურებოდა, რომ გაციებულისთვის ფეხები ცხელ წყალში ჩაეყრევინებინა და სიცხიანისთვის შუბლზე სველი, ცივი ტილო დაედო. ამითაც დაიწყო და დაამთავრა ფარნას, იმ კვირა დღის, წამლობა. შუაღამისას, როცა გონს მოსულმა ოთახი და „მკურნალი“ იცნო, ერთბაშად „მოახედა“ და ცხელი ფეხები საწოლიდან ჩამოყარა.

არც საკუთარი სახლი დაუნახავს, არც სულთმობრძავ ძმასთან შეუხვევია, დედას მიაშურა. ძველ ხის ტახტზე დაემხო და მოხუცის ერთადერთი სასტუმრო, ცისფერი ატლასის, საბანი წაიფარა.

ივდითი წინა საზეიმო საღამოს შემდეგ, ქმარ-შვილით მატარებელს უნდა გაჰყოლოდა, და ასეც მოქცეულიყო; უთუოდ დედაზე გულის სიღრმეში განაწყენებული, რადგან — დედამ ქმრის, შვილის და რძლის თანდასწრებით „ყველაფერი“ ფარნას „უანდერძა“. ამ „ანდერძში“ სადავიდარაბოსა და ტვირთის მეტი არაფერი იყო, მაგრამ დედას ქალაქელი საყვარელი ქალიშვილი უნდა ეხსენებინა, საქმეში გაერია, რჩევა ეკითხა, მისი აზრი მოესმინა; რა თქმა უნდა, ობოლ ძმიშვილებს მამიდა ვერ მოიტაცებდა და თახ ვერ წარეკავდა, მაგრამ მისი ასე უგულვებელყოფა, ვითომ სათვალავში ჩასაგდები არ ყოფილიყო, გულს სტკენდა.

სიძე — ვანო დურმიშიძე ამას ვერც გაიგებდა და რომც გაეგო, ამისთვის შუბლს არ გაიცხელებდა, მით უმეტეს, ვერც მათი შეთე ვაჟიშვილი — არველოდი. მაგრამ ამ ამბავს ესწრებოდა რუსუდანი და დედას, როგორც რძლისთვის არაფერი ჩაუბარებია, არც ქალიშვილი უხსენებია.

ამან ივდითს მომაკვდავ მშობელთან და ძმასთან განშორება გაუადვილა და მოხუცი მაინც იმ ორი უწლოვანი, შიშით თვალებდაცეცებული შვილიშვილის ამარა დარჩა, ნახევრად გაციებული ბებიის საფერხულოში რომ შემძვრალიყვნენ და მუჭისტოლად ქცეულიყვნენ.

ამ შუაღამისას ფარნას გამოჩენამ დედაც მოახედა და ბიჭებსაც თვალში იმედის შუქი ჩაუყენა.

„არ უნდა გაიგონ, რომ მეც სული კბილით მიჭირავს... უნდა გავუძლო, ამ ერთხელაც უნდა გავუძლო... ერთხანს ამათთვისაც უნდა ვიტანჯო.“

ორშაბათ დილით დედას გონი წაერთვა, უთუოდ, რაკი ფარნა გვერდით დაიგულა და აჟივლებული ანდრო და კაკო ოფლადგაღვრილ ბიძას საბანში შემოუცვივდნენ.

— დედა! არა ვარ კარგად და ერთხანს კიდევ გამაგრდი! გესმის, დედა? გამაგრდი, მეც გლახათა ვარ! გონმიხდილი თავზე დამდგარ, საბანმოხურულ შვილს უხმოდ მოაჩერდა.

ბიძის „გლახად“ ყოფნამ ბავშვები

ხელახლა დააფრთხო და ისევ მოხუცს მიასკდნენ.

— კაკო! — სიცხით დაწითლებული თვალები მიაპყრო ფარნამ აძიგძიგებულ ბიჭს.

— ჰო, ბიძია...

— შენ დიდი ხარ, კაცი!

— არა, ბიძია... ჰო...

— ჩაიცვი, ანდროს ჩააცვი, ხელ-პირი დაიბანე და მოგვხედე.

— ბიცოლას დავუძახებ!..

— ჰო, მაგრამ შენ აგერ არა ხარ?

— აგერა ვარ! — ბიჭი საწოლის წინ იატაკზე ჩაგდებულ შარვლის ტოტებში ორივე ფეხით ჩადგა, სათავე აქაჩა და წამში ამოიცვა.

— ჩქარა ჰქენი, ბიჭო, ნუ ზოზინობ! — ძმას დაუბღვირა და შარვლის შებნევაში უშველა, თუმცა ანდრო ამას ნაკლები მონდომებით, მაგრამ თვითონაც ახერხებდა.

კარგად რომ მოთენდა, შუბლწაკრული ნინო შემოვარდა და შვებით ამოისუნთქა:

— ფარნა, აქა ხარ? აბა სად იქნებოდი... კაი, კაი, რაკი აქა ხარ. ამ დილით სად მეცალა, მარა...

არ გაჩერებულა, დედამთილს საბანი ამოუკეცა, გონმიხდილი მთვლემარედ მიიჩნია, თუ ამაზე უარესი სახლში ჰყავდა დატოვებული, ერთ საათში აქ გავჩნდებიო, ბავშვებს დაუბარა, და გაბრუნდა.

12.

ფარნა მეოთხე დღეს იმდენად მომჯობინდა, რომ საფუტკრემდე მივიდა კაკოს დახმარებით ოთხ ძირ სკას ფსკერი გაუწმინდა. მეორე დილით ძმა გარდაიცვალა, ზუსტად ერთი დღეღამის შემდეგ დედა. ერთ კვირაში ორი უძვირფასესი და უახლოესი ადამიანის კუბო გაიტანეს სასაფლაოზე ორი, ერთმანეთის გვერდით აკოშტოლებული, ყვითელი აყალოს ბორცვი დარჩა ფარნა ამაღლობელს იმათგან, რაც ამ ქვეყანასთან აკავშირებდა.

ამ უკიდურესმა სასოწარკვეთამ ¡მას ისევ დაუბრუნა ის ძალა და გამჭრიახობა, რაც „ჭირსა შიგან" მოდგამდ ამ ომისა და ქვეყნის ჩამოქცევა დროს, მიცვალებულის ქელეხი კი არა. ძმა ძმას ლუკმას ვერ წაუტეხავდა. რას გინდოდა, რომ გამხდარიყავი. თუ თვითონ რამე გააჩნდა, უკან არაფერი მოუტოვებია. პავლე მშვენიერაძისაგან ორი ფუთი სიმინდი ისესხა, რა თქმა უნდა, შვიდი შვილის მამას ხელები აუკანკალდა, მაგრამ ფარნა თუ ცოცხალი იქნებოდა, არაფერი დაეკარგებოდა, ამაში ეჭვი არ შეპარვია. წითელარმიელთა დამხმარე ფონდიდან ორი ოჯახისათვის განკუთვნილი ნორმა გამოუყვეს: ურთიერთდამხმარე სალაროდანაც იშოვა რალაც თაგვების წახირხნილი ოცდაათიოდე კილო ტარო სიმინდი. კოლექტივის თავმჯდომარემ, გმირის ოჯახს, სახლიდან გამოუგზავნა ფუთნახევარი და ასევე საწყობის გამგემ: სამეხეო მეკუთვნის, შემწევნობა და გადასახურავის გაბონებულ ფულს რა თავში იხლი, სიმინდად შემოგწირავო.

რალაცა იმდენმა მოიყარა თავი, საქელეხო პურის შაგივრობა რომ მჭადს გაეწია. მაგრამ ამდენ მჭადს კეცებზე და ტაფებზე ვერ გამოაცხობ. გულზოდში ფურნე ომამდე არ იყო, რაიონთან ახლოსაო, გამომცხვარი პური შემოჰქონდათ, ხუთ კილომეტრზე დაშორებულ, მეზობელ სოფელში ჰქონდათ ძელურ დუქანზე ქვითკირით მიშენებული პურის საცხობი, მაგრამ ექვსი შვილის მამა, ართვალი მეფურნე პირველსავე ტოტალურ გაწვევაზე რომ წაიყვანეს, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ექვსი მშიერი, თავწაუწეველი ბავშვი ეკალასა და მაყვლის შემოსვლამდე ქვას ხრავდნენ.

ფარნამ ჭირის თავკაცობა პავლეს ჩააბარა და ურემში ხარები შეაბა. ჯერ წისქვილში გაიარა, თავმჯდომარის განკარგულებით, სიმინდი უმინდოდ დაფქვა; მერე მეზობელი სოფლის მეფურნის ცოლს, კონკებად ქცეულ კაბაზე შებმული ქმრის დანატოვარი სა-

ცხობის ბოქლომის გასაღები გამოართვა.

მეფურნის დამშეულმა ბავშვებმა რომ ურემზე ფქვილიანი ტომრები დაინახეს, უკან ჟივილ-ხივილით აედევნენ. უფროსი, კაკოზე ერთი ან ორი წლით მოზრდილა, ხელებს იმკლავებდა და ფარნას არწმუნებდა: ყველაფერს მე გავაკეთებ: მოვზელ კიდეც და, ბიძია, თუ იმ ვეება ტაფების აღებაში მომეხმარები, გამოვაცხობ კიდეც. უფროსი ძმის მაყურებელი ხუთივე გოგო-ბიჭი, დაკონკილი ნაპერანგალებისა და ნაკაბარების სახელოებს იღლიამდე იკაპიწებდნენ.

შეშა პავლე ბოჭორიშვილს ჩამოეტანა თავისი დაქიაქებული „ზისით“ და ფურნის წინ, აივანზე დაეყარა. სოიო-ლობიოს ცომივით ზეთი ძელური დუქნის კბილებდაკრეჭილი, ხანდაზმული ნოქრისთვის მიებარებინა.

— გიცადა... — კბილებიდან ძალის ძალად გამოცრა ადიკო ნოქარმა, — მონაწილე ვარ... — ისევ ნაძალადევად, უხეშად და უცერემონიოდ თქვა და შებრუნდა. დარაბებით დაბნელებულ, გამოცარიელებულ ძელურში, —კაცი გაწყდა?..

„ახლა გაიგო, რომ კაცი გაწყდა? — — თავი გადააქნია ფარნამ — აბა ადიკოს ვაჭრობას ვინ ჩააბარებდა...

არა, სოფელში მოხუცი, ან ყრმა მოიძებნებოდა, რომ მეხრეობა გაეწია და ჭირისუფალი და ისიც მასწავლებელი წისქვილში არ ეთრიათ, მაგრამ უხაბაზო ფურნეში სხვას რა უნდა გაეწყო... აქ თვითონ ფარნა უნდა დადგომოდა თავზე ვინმეს, ან თავისი ხელით მოეზილა და გამოეცხო.

მეფურნის დამშეულმა ბავშვებმა სანამ ტომრებს თავი არ მოხსნეს, არ დაიჯერეს, რომ ამდენი ფქვილი კიდევ იყო ქვეყანაზე და კბილები მგლის ლეკვებივით აუკაწკაწდათ. სანამ ორი წლის უხმარი გობი და ტაფა გაირეცხებოდა, ფურნე გახურდებოდა და მჭადი გამოცხვებოდა, ყელში მომდგარი სული რომ ჩაებრუნებინათ, ნამალავად ფქვილის ჭამა დაიწყეს. უფროსი — ხუტუ უმცროსებს თვალებს უბრიალებდა და უწყრებოდა, არ ჭქნათო! მაგრამ ორი უმცროსისთვის ეს შეუძლებელი იყო და გაძვალტყავებული მუჭა პირამდე ისე ვერ მიჰქონდათ ფქვილი არ დაბნეოდათ.

— ბიძია, უნდა გაიშინჯოს, ჭადის ქვილმა გამწარება იცის, მამამ ასე იცოდა. — ხელისგულზე სამი თითით დაიყარა და ენა დააწო.

ამ გაზაფხულზე რა გაამწარებდა, მაგრამ ვითომ ფარნამაც გასინჯა. ფქვილი კი არა, შხამი იყო, დედის სიკვდილიც დაავიწყდა და ძმისაც. ვაი მას ვინც ცოცხლებში ერია, თვალში იხედებოდა და ამ ჯოჯოხეთს ხედავდა.

— მაშინ ჩვენ ასე ვქნათ — ფარნამ თავი გადააქნია, — უცებ გავახუროთ ფურნე და სასინჯად ერთი ტაფა მჭადი გამოვაცხოთ.

მოყინული ბეღურებივით აბუნძღული მეფურნის შვილები ასხრიალდნენ და აგრუტუნდნენ. სათლები, კოკები და დოქი გამოდგეს, მამამისის მერე ხელი რომ აღარავის ეხლო და მტვრიანი ობობის ბანდღით ჰქონდათ ყელი ამოვსებული. ჭაზე საოცარი სიმკვირცხლით წააცინცილეს და უკანაც, ეს წვრილ-წვრილი მკლავები ისე მოათრევდნენ ამოდენა სავსე ჭურჭლებს, კართან შეგებებულ ფარნას ხელს არ აკარებინებდნენ, საქმეში არ ირევდნენ. უნდოდათ ის ლუკმა მჭადი წყალობად კი არ მიეღოთ, შრომით დაემსახურებინათ და როგორ მიტიროდა და მიტიროდა დაუსაქმებელი, ოთხიოდე წლის, უშარვლო, სულ პატარა სანამ წყალს გამომხმარი ხის გობების გასალბობად ეზიდებოდნენ, კიდევ სამი ბავშვი გამოჩნდა. ორი უფროს-უმცროსი ბიჭი და შუათანა გოგო. სამივემ ფიჩხის მძიმე კონები მოიტანეს.

— ფიჩხი გვჭირდება, ბიძია, — ახსნა ხუტუმ, — ნავთი რომც გვქონდეს, ფურნეში არ შეიძლება, ფიჩხით უნდა მოვუკიდოთ თქვენს შეშას.

ბავშვებმა კონები ფურნის წინ და-

ყარეს და კედელს მაინც დამნაშავეებივით აეკრნენ.

ადამიანის თვალს არაფერი უნახავს ასე დალეული და ლანდად ქცეული. ღამე რომ ყოფილიყო, ამდენი დავიდარაბის გამომვლელ ფარნასაც კი შეაშინებდნენ პირდაპირ ჩონჩხზე იყო გადაკრული შავი დაჭმუჭნული ტყავი და მაგრად მოკუმულ ტუჩებიდან თითქოს კბილებიც უჩანდათ. ან რა ეცვათ და რა ფერის ძაფით იყო დაბლანდული, ახ საკერებელი როგორ იყო ისევ დასაკერებელი.

„მარტო ესენი რომ დაანახო, ვინც ომებს იწყებს და გამარჯვების დიდებას ქადაგებს... საბრალოა თვითონ ის, ვინც ამათი ლუკმის ხარჯზე ომებს აწარმოებს და რაიმე ადამიანურ იდეებს იბრალებს... რაღა ქელეხი სჭირდება მიცვალებულს, ან აღაპი და საკურთხი. ამათთვის თითო ნატეხი მჭადი იქნება მათი სულის ცხონებაც და სამოთხეც.

ფარნამ სახელოები დაიმკლავა. ვეება ფიცრულ გობს ერთ-ორჯერ წყალი კი მოავლო და ტომარას თავი მოუქცია.

— ცეცხლი! — მიუბრუნდა ხუტუს.

ბიჭებმა ფურნის ღია, ბნელ ხახაში ფიჩხის მთელი კონა შეტენეს, მაგრამ თვითონ ცეცხლი არსად იყო. ფარნას, წუხელ, წისქვილის ღარში წყალს რომ კეტავდა, გულჯიბიდან აბედის მაგიერი, გილზში თავჩაჩურთული, ნაბწენი ბამბა წყალში ჩაუვარდა. მთელი დღე უთამბაქოდ გული ელეოდა.

ხუტუმ შუბლზე ხელი იტაცა და კედლის წალოში თაროს აეპოტინა.

— არის — იყვირა გახარებულმა — არის! მამას დაუტოვებია, — და ომამდელი ასანთის კოლოფს სული წაუბერა, — მამას დაუტოვებია.

ფიჩხი რომ აგიზგიზდა, ხუტუმ კედელზე აკრული ბავშვების აჩრდილები დასაქმა:

— რამ გამოგალენჩათ, შუშა შემოიტანეთ, ტყულა რო დაყუდებულხართ!

იცოცხლე, ისინიც გაფრინდნენ.

„ამათაც უნდათ, დაუმადლებელი ლუკმა ერგოთ. ეს ბიჭი, დარწმუნებული ვარ, მეზობლის ბაღ-ვენახებსაც არ გაქურდავს. იცის, „ტყუილა დაყუდებულებს“ ხელგაუნძრევლად შეეძლოთ მიეღოთ ის მჭადის ნატეხი, მაგრამ ცდილობენ იმაზე მეტი გაიკეთონ, რაც ღირს მჭადი და ისიც უნდათ, ჭირისუფალს მხარში ამოუდგნენ. თავისი დაძმების გარდა მასზე გაჭირვებული მეგობრებიც არ დაივიწყა, და ფიჩხის კონები მოატანინა, — მოსვლის უფლება დაამსახურებინა და ახლა კი, შრომით უნდა მოიპოვონ „პური არსობისა“. ეს ბავშვი თუ ამ თავმოყვარეობას და შიმშილს გადაურჩა, დიდი ადამიანი გამოვა — ქვეყანას რომ ანდობ. ამისთანებს გაწყვეტ, მაგრამ ვერ დაამონებ“.

ფარნას ბიჭი ხელებში ეცა და კიდეჩახეული, ვეება საცერი ხელიდან გამოგლიჯა.

— ახლა, ბიძია, ვინ იცის?! ამდენ ქვილს ნახევარი ტომარა ნაცერა დარჩება — გადავყაროთ?

ფარნამ მხრები აიწურა.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, ჩვენ მოვზელთ. — ხუტუმ ყუთი მოათრია, დაამხო, ზედ შედგა, რომ გობს გადადგომოდა. დატყლეჭილი ტაშტი ფეხით გამოაჩოჩა. — არა, ხელი მაინც ქვილით უნდა დავიბანო, საპნით არ ვარგა, ცომი სუნს დაიკრავს, — გაეცინა, — სადაა საპონი... გოგუეგო, თქვე გასაწყვეტლებო, წყალი დამისხით! სოსოია, რამ გამოგალენჩა! ოთარა!.. ხელი დაიბანეთ! — ფარნას მიუბრუნდა, — არ მიყვარს უსაქმო ხალხი!

„იმდენად ძვირია დღეს ლუკმა, ამათი ნაშრომი ეცოტავება, ვერ იმსახურებენ ჰგონია. ეს არ უნდა წავართვა, არ უნდა გავუიოლო“.

— ჰო, აბა, ათასი საქმეა, — დაეთანხმა ფარნაც, — დახვეტა არ ივარ-

გებს, ამტვერდება. თუ სადმე... ან ეს ცარიელა ტომარა შეიძლება... მაინც დაფლეთილია... მოვრეცხოთ აქაურობა.

გაუხარდათ გოგონებს, მათი საქმეც რომ გამოჩნდა; ბიჭებთან შედარებით თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ. კოკა რომ ტაშტზე მოაპირქვავეს, ისევ გახდა საჭირო წყალი და ჩვარს ჩაფრენილები გულმოდგინედ რეცხავდნენ და ხეხავდნენ ოღროჩოღრო, კირის დუღაბიან, ქვის იატაკს.

ცეცხლი გუგუნებდა. იზილებოდა ფქვილი, რომელშიც უკვე სამი ბიჭი ურევდა ხელს და იფხიკებოდა სამ მტკავლიანი, ოთხკუთხა ჟანგიანი თუნუქის ტ ფები.

განა ჭინაპრებმა არ იცოდნენ, რომ მკვდარს სააქაოსი აღარაფერი უნდა? ჭირისუფალმა, მწუხარების ჟამს, დარდზე რომ ჭკუა დაკარგა, ქელეხი, საკურთხი და აღაპი მოიგონა, საქმე გაიჩინა. დიდი ნუგეშია ჭირში ჩავარდნილთათვის საქმე!"

13.

ფარნა მამისეული ძველი სახლის კედელთან ატუზული იდგა, გულზე მკლავებდაწყობილი. მოდიოდა ჭირის მოზიარე ასობით მტერ-მოყვარე. უვლიდნენ დედა-შვილის ცხედრებს და, ნოხგაკრული, უკანა კედლის მთელ სიგრძეზე ჩამომსხდარ შაოსან ქალებს უსამძიმრებდნენ, ფარნას ხელს ართმევდნენ.

„სულ ესაა ადამიანი? აღარაა დედაჩემი ამ საუკუნოვანი ტანჯვის შემდეგ აღარაა, ამ წამებული ცხოვრების გზაზე ჩამქრალი — ჩემი ძმა. დღეს ორივეს მიწას მივაბარებთ და ამით დასრულდება ყველაფერი? მე მემახსოვრება, სანამ მეც ასე არ გავცივდები. ემახსოვრებათ ჩვენს შვილებსაც და სულ ეს იყო ჩვენი მოსვლა და წასვლა? ასე ახლობელი ადამიანები როგორ შორეულნი და ამაზრზენნი იქცნენ! რა გვაახლოებდა ერთი კვირის წინ და ასე უეცრად რამ დაგვაშორა? რაც ჩვენ ერთმანეთის გვიყვარდა, რა გამოეცალა შენთვის ასე სისხლხორცეულს ამ ერთ წამში, როცა სული ამოხდა და რამ წაიყვანა. როგორ წაიღო ერთ წამში ყველაფერი შენი და დატოვა შემზარავი სიცივე. ეს იყო დედა — საწყისი, რომლისაგან იშვი, რომლის სიცოცხლესაც გამოეყავი? ესაა ძმა, რომელსაც შენი საწყისი აქვს? ერთი ხის ორი ტოტი, რომლის წვენით და სულით იკვებებოდი და ესენი აღარაა? უფრო უარესი: შემაძრწუნებელ სიცივედ იქცნენ, გაუცხოვდნენ. თითქოს გარეგნულად არაფერი მოკლებიათ და შენი მაინც არაფერი გააჩნიათ, როცა ერთი კვირის წინ მათი ყველაფერი შენიც იყო. რა ამოვიდა მათგან ისეთი, რომ აღმოჩნდნენ შენეულისაგან სრულიად დაცლილი, რაც ყოველ ნერვში და უჯრედში ედოთ.

„სიკვდილი მათთან ერთი კვირის წინ არ მოსულა, სიკვდილი გაჩენისთანავე, ჩასახვისთანავე თან ახლდათ და თუ სიკვდილ-სიცოცხლე იყო მათი აქამდე ყოფნა, ისინი სიკვდილ-სიცოცხლიანად იყვნენ შენეულნი და ახლობელნი. ახლა, როცა სიცოცხლე გაეყარათ, რა ამოვიდა ამათგან ისეთი, რამაც სიკვდილ-სიცოცხლიანად წარიტანა და აქ შენი არაფერი დატოვა?

„სული?"

„რა არის მაშინ სული, სად იყო აქამდე, ახლა სადაა და სად იქნება? კიდევ უარესი, სად იყო ჩემამდე? თუ მაშინ გაჩნდა, როცა ჩავისახე, მაშინ ის დედაჩემი და მამაჩემია და მარადიული ვერ იქნება, თუკი ჩემი მშობლები არ არიან უკვდავნი. თუ სული მაინც მარადიულია, მაშინ ის უნდა ყოფილიყო ჩემამდეც, მაგრამ ამის თაობაზე მე არ ვიცი და მეორედაც რომ მოვიდე, თუ არ მეცოდინება, ეს მაინც არმოსვლაა..."

„ნამდვილად ვიცი, ჩემამდე რომ არ ვიყავი ზოგჯერ რომელიმე ადგილი, ან ადამიანი, რომელსაც პირველად ვხედავდი, მომჩვენებია, რომ ვიცნობდი. არასდროს მინახავს — და თითქოს

მინახავს. ეს, ალბათ, გენის მახსოვრობაა და არა ის, რომ მე თვითონ, ჩემს დაბადებამდე, მართლა მენახოს. (შთამომავლობას, ჩემგან რომ აწი გაჩნდეს, შეიძლება გადაეცეს გენის ანბანით და თუ მსგავს წყვილ კუბოს, შავოსან ჭირისუფალს და პროცესიას ნახავს, ეგონოს, რომ ოდესღაც, გაჩენამდე ენახოს).

„არ იყვნენ ესენი ჩემი უახლოესნი? ხომ ვიცი, რომ იყვნენ. მაშინ სად წავიდნენ ისინი და ვინ, ან რანი არიან ესენი?“

ჭიშკართან შეკივლება გაისმა და ხალხი, ჭირისუფალ-სტუმრიანად, გამოცოცხლდა. ივდითი მოთქვამდა დედას და ძმას.

„ან ივდითის მოთქმა-კივილი და სიყვარული, პატივმოყვარეობა თუ შური, ძალა და სისუსტე გაქრება მაშინვე, როგორც კი ის სითბოს დაკარგავს? მის გაცივებამდეა ეს ყველაფერი მართალი და ამ სიმართლიდან აღარაფერი დარჩება, როცა მისი ტემპერატურა ნოლი გახდება? სულ ამ ოცდათექვსმეტ გრადუსშია საიდუმლოება? თუ ეს ცხელრები ჭურჭლები იყვნენ, რომლებშიც ცხოვრობდნენ ჩემი უახლოესნი, სად არიან ახლა ისინი? მე ამათთან არავითარი საერთო აღარა მაქვს, ისინი არ გრძნობენ ჩემს სიახლოვეს. მე ამათ ასჯერ რომ შევძახო „ეი!“, ერთხელ აღარ მიპასუხებენ... ეს ათასჯერ უფრო დიდი საშინელებაა, ვინემ სიკვდილი, თუ ამას იქით მართლა არაფერია... მაშინ მეც არ ვარსებობ და ეს ხალხიც, აქ და მთელ ეზოში რომ ირევა, არ არსებობს, თუ საწყისი არა აქვთ და ერთ დღეს მათგან არაფერი დარჩება. თუ მათი ყოფა არარაობიდან გამოხმობა იყო არარაობაში შესაბრუნებლად...

„და თუ, საუბედუროდ, ასეა — გუშინ არ ვყოფილვარ და ხვალ არ უნდა ვიყო, ეს ჩემგან უფრო დაჟინებით არ მოითხოვს დღეს — სანამდე ვარ, მართლა ვიყო? ვიყო ის, რაცა ვარ, რასაც არსებობა ჰქვია“.

სამძიმარზე მოდიოდნენ და მოდიოდნენ, მოდიოდნენ და მოდიოდნენ... ვინაა ასე დაჟინებული სევდით, და თანაგრძნობით რომ მოშტერებია... ვისია ეს ასე ნაცნობი ღია თაფლისფერ-მოცისფრო თვალები, ფარნას ამ აუტანელ, ქაოსურ ფიქრებიდან რომ იხმობენ? რა ფარნას ზიარი მწუხარება აქვთ, რომ მარტო ცრემლით კი არა, სიბრალულით, უმწეობით, ტანჯვით... ვინაა აქ რომ არ ირევა, მარტო ახლობელი და უახლოესი კი არა, შორებელი და შორეულიც კი — ნაცნობის ნაცნობი და ყველას თავისი დარდი და ვწუხარება მოაქვს და მიაქვს, ყველა გულდათუთქულია და ჭირით დაყურსული. შენი საუკუნოვანი დედის და ჭლექიანი ძმის სიკვდილის მწუხარებას ველარ იტვირთებს თავისი შვილის, ძმის, ქმრის, გულისსწორის დამკარგავი. და ვინაა ეს, რომ ფარნას სამძიმარს კი არ იზიარებს — იყოფს... და უკიდურესი უხერხულობა, რომ აქ არ უნდა ყოფილიყო და აუცილებლობა მისი აქ ყოფნისა...

გუგუტა!.. უფერული, განმარტოებული, მოწყენილი. ფარული. გაუმხელელი. ამოუკითხავი...

„ახლანდელი ხომ არაფერი გადაშალეს მის წარსულში? იქნებ ახლანდელიც, მაგრამ... წარსულს, ზოგჯერ, აწმყოდან უკეთესად ვხედავთ.

„ეს ქალიშვილი და მამამისი ცა და მიწაა. არაფრით არ ჰგავს დამსმენის და გამცემის შვილს. არასოდეს ენატანობაში და ჭორიკნობაში არ წაუსწრია. ყველა ბავშვია იმ უზნეობის საწყისი, რასაც დიდობაში დაიმკვიდრებს...“

ფოთოლა ზლუქუნებდა ფარნას მკლავზე ჩაფრენილი:

— მე ვისი ჭირის მოზიარე უნდა ვიყო, ჩემი ძმების დამკარგავი!..

„ფოთოლას მოჰყვა... ესტატეს და ეპრასის ოჯახს მოჰყვა. ჩვენამდე მოსასვლელი ერთადერთი გზა ესაა“.

კუბოებს დამხობილი ჰაღარა, თმაგაწეწილი ეპრასის მოთქმა-გოდება,

ესტატეს და იასონ ლაცაბიძის შიშველ შუბლში დაკოჟრილი ხელის თავგაძეტებული რტყმევა, ლადი ლიპარტიანის ქალივით შეკივლება.. მათი დაღუპული შვილების დატირებაა და ამოდენა ტირილით, მათ წინ დასვენებული წყვილი მიცვალებულისათვის კურცხალი არ რჩებათ.

„ბაკურს უნდა სძულებოდა გუგუტა, როგორც იმის შვილი, ვინც ბიძამისი აქამდე, ამ კუბოს კარამდე მიიყვანა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ, ჯერ კიდევ მერხზე მჯდომ ბაკურს დამნაშავედ ვინც უნდა ეცნო, ამ გოგოს მამა იყო. რავა, რომეო და ჯულიეტასავით, მერე გაიგო მათი ოჯახების მტრობა, როცა შეუყვარდა? ყველაფერი იცოდა და მაინც?.. სიძულვილმა შვა სიყვარული? სიშორემ სიახლოვე? თუ, აკრძალული ხილი რომ გემრიელია? ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ შურისძიების ვნებით დაბრმავებულს ეცდუნებინოს გუგუტა და სიყვარულის ნიღბით ჩაედინოს ასეთი სულმდაბლობა.

რას ეუბნებოდნენ ფარნას გუგუტას თვალები? რას შესტიროდნენ? პატიებას? შენდობას?.. თავის თავს, თუ ფარნას დაღუპულ ძმას ჭირისუფლობს, როგორც მახლობელი? თუ მამის დანაშაულს ინაწილებს?.. არა, რომ ინაწილებდეს, როგორც მისი მშობლები არ გამოჩენილან, თვითონაც არ მოესვლებოდა... ღმერთმა ნუ ჰქნას ეს სასაძაგლე ლუკასა და ლუკასთანების დაღუპვით არ დამთავრდეს და მომდევნო თაობაში გადავიდეს...

ფარნა ამას, მთელი რწმენით, წინ უნდა აღუდგეს და თუ ბაკურმა მაინც აცდუნა... თუ... მაინც შეცდნენ... ეს გოგო ისევ უნდა უყვარდეს, როგორც შვილი. და არ უნდა შეუშალოს ხელი იმან, ვისი ნაშიერია?

„თითქოს არ უნდა შემიშალოს... თითქოს...“

„ლუკამ, სიკვდილის წინ რომ მოიხედა, რატომ თქვა: „ბიჭები... ბაკური დაბრუნდეს და მე მისი ჭირი წამიღიაო... შურისგებაზე ერთხელ რომ რაღაცა წამოცდა, მერე აღარაფერი უთქვამს. თვითონაც შერცხვა თავისი დაცემისა და ყელში მობჯენილ სიკვდილს, სანამ ცოცხალი იყო, არ დანებდა.

„რა ღვთის წყრომაა მაინც ჩვენს თავს: რა უნდოდა, რომ არდაძეებს ის, „მამუკას გოგოც“ ჩამოჰყვა და არც ფიქრობს დაფაროს, რომ ჩემი რძალი არაა. და ვინც მართლა რძალია, აგერ, ჩემს გვერდით დაყუდებული ვატუტის ცოლი — არდაძეების ქალიშვილი, პირში თქმა რომ ვერ გამიბედა (მათ ქორწილს არ დავსწრებივარ), დედამთილს დააბარა: კიდევ კარგი, რომ ჩემი ოჯახი მაქვს და ერთად არ ვცხოვრობთო.“

შვილიშვილი ერთი თვისა იყო, ფარნა რომ პირველად მივიდა მძახლებთან. უფრო იმისთვის, ენახა, ვისი მემკვიდრე გაჩნდა — ამაღლობლების თუ არდაძეების?.. კაცმა არ იცის რითი აპირებდა ამის გამოცნობას, მაგრამ სიხარულს რომ არ განიცდიდა, უკვირდა. ახლაც უკვირს, რამ დააჯერა, რომ ჩვილი მისი მემკვიდრე არ იყო. იმიტომ კი არა, რომ ბავშვი ვატუტის შვილი არაა, ან რძალი რომ ქმარზე გულაძულებული ჩანდა... თვითონ მძახლების — არდაძეების ოჯახი იყო ფესვგაუკუღმართებულ ხესავით. ხეს რომ სხვა მერქანი აქვს და სხვა ხის ფოთოლი ასხია, ნაყოფი კიდევ სულ სხვა მცენარისა... თითქოს არც სახლი იყო მექი არდაძისა, არც ცოლ-შვილი, არც შვილიშვილი და მაინც მის ტანს ესხა.

„ალხაზიშვილის ქალი თითქოს ცდილობს მე ვიგრძნო, რომ იგი სხვაგან მოწყვიტეს და ამ ხეს წითელი ძაფით ჩამოკიდეს. მაინც დაუჯერებელია, როგორ ჰყავს ეს კაცი დამონებული, ხელზე მოსამსახურედ გადაქცეული და ამავე დროს როგორაა თავისივე მონის მონა. მათ შორის რაღაც რთული და შემზარავია. ამ ქალის ქედმაღლობას თითქოს არ ეკადრება ქმრის ასე დამდაბლება, მაგრამ ამავე დროს შურს

ძიობს, რომ ლოგინში ამ კაცის ქვეშ წევს. თითქოს ყველასთან დაწვება ამ კაცის გარდა და ეს კაცი ახერხებს თავისი ღიპის ქვეშ აკვნესოს, რომლის შემძლებელი არაფრით არაა".

ვატუტი ამას „ტკბილ" ოჯახს ეძახის. იმიტომ კი არა ნამდვილს ვერ ხედავს, თავს მეტად არ იტკიებს, ან ამ „ტკბილს" მეტს გამორჩება. ახლა ყველაფერს რომ თავისი სახელი დაარქვა და მონასტერი არიო, რა მარგებელია. ან ამით რაიმე მოწესრიგდება? თუ ცხოვრება ასეთია?..

ვატუტისათვის ასე იყო დედამისი და მამამისი, ასეა სიდედრი და სიმამრი, ასე — თვითონ და მისი ცოლი. ლამაზი ქალი თუ ლამაზ კაცს, მექის და ვატუტის რა — ჯოჭლი და ბრუციანი? ვთქვათ ვინმე ვინმეზე უკეთესი სულისაა, კეთილია და სიკეთეს და მშვენიერებას იმსახურებს, მაგრამ სანამ გაჩნდებოდა, მანამდე მექიზე და ვატუტიზე წმინდა და უებრო იყო, სრულქმნილი დაიბადა? და ვატუტიმ და მექიმ დაბადებამდეც შესცოდეს, რომ ასეთებად იშვნენ? ვთქვათ, ახლა აშავებენ, უნდათ, რომ ლამაზი ქალები დაიპყრონ, თანამდებობები ჩაიგდონ, განიერ და მაღალჭერიან ბინებში იცხოვრონ, ითაღლითონ და იცრუონ, რომ რაც ღმერთმა წაართვათ, ცხოვრებას აკრძალული ხერხით გამოსტაცონ, რაკი თავისით არ იძლევა, მაგრამ გაჩენამდე ხომ არაფერი დაუშავებიათ, გაჩენამდე ხომ არავისი არაფერი მიუტაცებიათ... ახლა რომ იყვირონ, იჩხუბონ და თავისი ხმამაღლა მოითხოვონ, თუ არავინ მისცემს, არ შეეხვეწონ? არ დაუჩოქონ? და თუ ამითაც არაფერი გამოვიდა, არ გამოაცალონ სკამი და არ დაჯდნენ, თუ „ის" კაცი ადგილიდან დაძვრას არ აპირებს? ვინაა შეშლილი, ადგეს და გითხრას, შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ, ან ჩემზე უფრო გჭირდება, მობრძანდი და ჩემს სავარძელზე დაბრძანდიო. ის კი არადა ძალისძალად რომ აცლი და კინწისკვრით აგდებ, მაშინაც ორი ხელითაა ჩაფრენილი და ცოცხალი თავით არ განებებს.

...იციან, არდაძეებმა და ვატუტებმა, სხვაზე უკეთესად იციან, ყველაფრის ბოლო ესაა... რასაც ფარნას დედამ და ძმამ თავისი სიმართლით და ერთგულებით მიაღწიეს. აგერ, ერთმანეთის გვერდით კუბოებში წვანან.

მექის ახლაც დიდი გავლენა აქვს. აგერ, როგორ ყინჩად დადის, მას ვერც ერთი კომისარი ვერ გააწბილებს, მაგრამ არა მისი დამსახურებისა და ღვაწლის გამო; მაგრამ ახლანდელმა კომისარმა გულს შიგნით ხომ იცის რაცაა და ვინცაა? შორს, მაგრამ ხომ ხედავს, მექის ბედი ელოდება და თუ „მგელი მგლის ტყავს არ დახევის" ტრადიცია დაამკვიდრე, ბოლოს ხომ იმ ბოგანოდ იქცევი, რაც გადიდკაცებამდე იყავი. როცა მექი არდაძის გადაყენებისთანავე მეზობლებმა თავიანთი სორო ბინების გაფართოება მოითხოვეს, არდაძეს კანონით გათვალისწინებული ფართი დაუტოვეთო! ვინ დაიცვა მექი და კანონს წინ ვინ აღუდგა? ის, ვისაც ამის ძალა შესწევდა, ვისაც კანონი ხელში ეჭირა, თორემ ფარნა ამაღლობელთან კი არავის უჩივლია. მექი არდაძისთვის რატომ გაამრუდეს სამართალი? იგი თუ ასე უყვარდათ, იქ არ ჰყავდათ? სხვაზე მეტი რა დააშავა, მაგრამ თუ მექის იმ დარბაზებიდან გამოაბრძანებ ხვალ შენც გამოგაბრძანებენ. პირიქით, მექის უნდა დაუკანონო, რომ ხვალ შენ ვერ გითხრან, რაც არდაძისათვის იყო უსაფუძვლო, შენთვისაც უკანონოაო. მექის ვინც ადგილი წაართვა, დაუფიქრებლად დანიშნავს მის სიძეს ჰოსპიტლის დირექტორად. მამაცხონებულო, შენ არდაძის სავარძელზე ნებივრობ და მისი სიძისთვის ჰოსპიტლის საცოდავი დირექტორობა გენანება? ავადმყოფს და დაჭრილს, თუ ექნა, მალამოს მექის სიძე ვერ დაადებს? ან, თუ ავამყოფის ულუფას რაიმე ჩამორჩება, შენი „რანგის" კაცმა — არდაძემ ჭამოს... ამ ომიანობის დროს ყველაფერი ჰოს-

პიტლებად რომ გადაკეთდა, თუ ერთ-ერთი რაიკომის მდივანი მაინცდამაინც ექიმი უნდა იყოს, აგერაა შენი წინა-მორბედის სიძე — ვატუტი ამაღლობელი. ამ სკამზე გუშინ მექი იჯდა, ხვალ ლამექი დაჯდება და წინ უნდა გაიხედო, კი, მექის სავარძელი შენთვის გინდოდა და რა გექნა, ამაში მექიც ვერ გაგაწბილებს, მასაც რომ უნდოდა, ვიღაცა ჩამოაბრძანა, აბა, მემკვიდრეობით კი არ მიუღია, მაგრამ დღეს რომ ზედ გაიჯგიმე, თუ ყველაფერი შენს მამიდაშვილ-დეიდაშვილებს დაურიგე, ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული. მექის რომ ლუკმა პირიდან გაგდებინე. დუმას მიჩვეული კაცი გახრულ ძვლებზე იჯრას ვერ გადავა. რასაც ახლა შენი არ ჯდომით დაამკვიდრებ, ამას მოიმკი. ხვალინდელი დღე თუ გაძრწუნებს. დღევანდელიც უგემური და უამურია, უნდა გჯეროდეს, რომ დღევანდელი დღე შენია, ხვალინდელიც და ვერავინ ფეხებს ვერ მოგჭამს. და ამიტომ მექის უნდა მოეფერო და გაამაგრო... მექის კი არა, შენს ხვალინდელ საკუთარ თავს. ამ დამნაშავეს და გადაყენებულს საქმე ისე უნდა მოუწყო, მის ბედს ბევრი უდანაშაულო და პატიოსანი შენატროდეს... არ იზამ ასე და შენც კაცი ხარ, შენც აშავებ, შენც ის დღე გელის და მერე ყველაფერი თავს დააბრალე. ნოქარს რომ აბაზისთვის იჭერენ, ნოქარი ათასია და ათასი აბაზი ფულია. მექი ერთია და მილიონის და მილიარდის საქმე აბარია, თორემ იმ ნოქარზე მეტი კი არაფერი იცის, ისიც კაცია და ესეც, მაგრამ ადგილია სხვა, მასშტაბია დიდი... დღეს რომ ამოდენა ადგილი გიჭირავს და ქვეყანა შემოგყურებს, ხვალ მათხოვრად ხომ ვერ ადგები. მექი რომ აიყვანო და ასი და ათასი ნოქრის უფროსად დასვა, ან მეჯღანეებისა და მექისეების, არდაძისათვის სასჯელია. დამნაშავე დახლიდარი, მეჯღანე და მექისე უნდა დაიჭირო, სხვა რა გზა გაქვს სად უნდა წაიყვანო...“

— რავა ვქნათ, ფარნა?..

— აჰ!

— რა დაგემართა, კაცო, გამაგრდი!

— მშვენიერაძეს ლამაზი წვერი მუჭში მოექცია.

— პავლე ბიძია, მოვიდა ვინც მოსასვლელი იყო... — ეს ვატუტის ხმა იყო, მამის იქით რომ იდგა და სამძიმარს ორივე ხელით იღებდა.

— აცალე, პავლე, იყვნენ... აქ სად დავრჩე... ვისთან დავრჩე...

— ფარნა, რას ამბობ, შე დედაგანათლებულო, რამ წაგახდინა ყაბახი.

— არა, პავლე, იყონ... დღეს.... მიმწუხრამდე...

— ვეჟო, მიწას ჭრაქის სინათლეზე ხომ ვერ მივაბარებთ.

— ჰო, მაგრამ ერთხანს...

— აცალე, პავლე ბიძია, აცალე... მაგი სხვანაირი მოყვარი კაცია. — ვატუტიმ მშვენიერაძეს ხელი მოჰხვია და აივანზე გაჰყვა.

„უფრო გამოქექილია — გაიფიქრა მამამ შვილის თანაგრძნობაზე. — სხვა დროს, დედამისივით პირველ ნათქვამს დაიჟინებდა და უკან არ წაიღებდა, ახლა იცის, თუ კარი მოგიხურეს, წიხლები არ უნდა დაცხო, უნდა დაუდარაჯდე და ან ფანჯრიდან უნდა გადაძვრე, ან სარკმლიდან....

„ხომ მეგონა პირამდე დატვირთულ პანქანას მომაყენებდა, ჩამოვიმათხოვრე, ჩემი ხელით ვაცხვე, ორი დღით ადრე მოვიმარაგე, რომ ყველაფერი მაგის მოთრეული უკან გამებრუნებია და დედის და ძმის სული არ წამეწყმიდა. უკვე ისე წასულა ხელიდან და „დაჭკვიანებულა“, პირიქით, თავისი და სიდედრ-სიმამრის საგზალიც არ ჩამოიყოლა. დედამისს ჩამოუტანა შავი აბრეშუმის საკაბე, ბიძაშვილებს და ბიცოლას — სატინის. ანდროს და კაკოს ხაკის პატარა ბლუზა-შარვლები. მე არცრა საჩუქარი მაკადრა. ადრე რომ პირში მეცემოდა, აღარც ეს შემიმჩნევია... ამას კიდევ ის გულუბრყვილო პატივმოყვარე სჯობდა. აღარ მთვლის ბრძოლის ღირსად, უფრო შორს უმიზნებს და ახლოს ვერ ხედავს, ან დედის დამ-

ოძღვრილია: ნუ გააღიზიანებ, მერე ჯოხი შეშნ ზურგზე გადატყდებაო.

„ეს კიდევ უფრო აუტანელია, რომ დასახიჩრებულ ცხვირ-პირზე ნიღაბს იფარებს და ავტორიტეტულად აცხადებს: „მამაჩემს მაგი შეეშლება?“, „რაა მამაჩემმა რომ არ იცის!“. რად უნდა, რაღაც პრინციპულობისათვის, აქ დედას რაიმე უსიამოვნება დაუტოვოს, ვიყოთ აქ ჩვენ „ტკბილად“. „ამოგიდექი მხარში, შენს ჭლექიან ხმას ლუკმა წაუტეხე და ქვა ისროლე. ა, ბატონო, ადრე ბიძაჩემმა თავისი სიჯიუტით: „მართალი ვარ, მართალი ვარო“, სანამდე ეიყვანა საქმე, აწი მაგის სიმართლე ეს ოთხი ღერი ფიცარია, ახლა შენ შეჯექი ჯორზე და... ახლა კი არა, შენი ცხოვრება ზიხარ. და იმასაც ვნახავ, რა ფრთიან რაშზე შეგსვამენო, — ეს უნდა მითხრას, — ეს ომი რომ არა, იმ დაფეხვილი სკოლის დირექტორობასაც ვერ ეღირსებოდი, რომელიც შენთვის უფრო სადავიდარაბო და თავსატეხია, ვინემ თანამდებობა და კარიერა...“

„გავგიჟდი თუ... ამ მიცვალებულების ჭირისუფალი რაზე ვფიქრობ, — შეშინებულმა ფარნამ მიიხედ-მოიხედა, — თუ ესაა ჭირი, რაზეც ვფიქრობ და არა ის, რაც ჩემს წინ ორ კუბოშია?..“

იგი კუბოებს თავზე დაადგა. ისინი მიდიოდნენ და ფარნას აქ მარტო სტოვებდნენ.. სტოვებდნენ იმ გაუკულმართებულ ქვეყანაში, სადაც მტრული თუ მოყვრული დამოკიდებულება უაზროა, რაკი იმას ვერ უმტრობ, ვისაც არ იცი როგორ ებრძოლო. ვერც უმოყვრებ, რაკი უსახურს ვერ აკოცებ. ვერ ატკენ, რაკი ადამიანური გრძნობები არ გააჩნია და ვერ აამებ..

ფარნა მოემზადა. საქელეხოდ ორასი კილო მჭადი გამოაცხო. თავისი, ნასესხები და ნავალები ღვინო და ლობიო... რომ ვატუტის და მექის „მოწყალებას“ შებრძოლებოდა, მაგრამ მისი „გალესილი ხმალი“ სასაცილოდ არ ეყოთ: „კი, ბატონო, მამას არაფერი არ ეშლებაო“. ფარნას — სოფლის მასწავლებლის კინკლაობა, ასეთ დიდ „სტრატეგებს“ ბუზის კბენადაც არ ჩაუგდიათ და ხელის აქნევის ღირსადაც. გაჭირვებული, ჩასვრილი ბავშვივით დაუყვავეს, უკანალზე ხელი რომ შემოვკრათ, არ დაგვსვაროსო.

ვატუტი მამასთან ასეთ უაზრო ბრძოლაში ჩაბმას არ აპირებდა.

„აგერ, მის დედიკოს უნდა მიმაგდოს, მაგას ჭკუის მასწავლებლად შენც ეყოფი, ჩვენ უფრო დიდი ბავშვები გვყავს გასაწკეპლიო.“

„ნუთუ ამ დღეებში ისევ დააწინაურეს?..

„მე, ალბათ, ერთხელ კიდევ მოვიწამლები და ამით დასრულდება ჩემი „ბრძოლა“... მალე დედაჩემს და ძმას გავყვები...“

ჭირისუფალი წივილ-კივილით გარეთ გაჰყავდათ. მალე კუბოებს სამჯერ წაღმა დაატრიალებდნენ, ფანჯარას ჩააშტვრევდნენ, კარს სამჯერ მიარტყამდნენ და გაუყენებდნენ სასაფლაოს გზას.

„ჩემი დასაფლავებაც ასეთივე იქნება... იმ განსხვავებით, რომ, რაკი ლეონი, ბაკური და მამუკა ვერ დაესწრებიან, ნამდვილი ჭირისუფალი არ მეყოლება...“

14.

ძმისშვილებს კარგა ხანია ეძინათ. ფარნას ჩაწეულ „ქუდიან“ ლამპასთან გაშლილი წიგნი ედო. ედო ჩვეულებისამებრ იმედად, მეგობრად, მაგრამ ახლანდელ მის ჭირს ეს უანგარო „მეგობარიც“ ვერას შველოდა. იჯდა და თვალი ცარიელა რკინის საწოლზე უმტერდებოდა, სადაც, რაც თავი ახსოვს, დედა მუდამ იქ იწვა. არც საწოლი გადაუადგილებია და არც სხვაგან გაუთევია ღამე. ძილის წინ აი იქ, ბალიშის გასწვრივ იჩოქებდა და ლოცულობდა.

სწამდა დედას ღმერთი? თუ იმდენად სწამდა, რამდენად „გაჭირვებულისთვისაა მოგონილიო“ და როდის იყო, რომ მას არ უჭირდა.

ნეტარ არიან მორწმუნენი.

ვითომ არც ისე ციოდა, მაგრამ ძილგატეხილ ფარნას მაინც აძიგძიგებდა, ტანში ბურძგლავდა.

დედაჩემის და ჩემი ძმის მერე აქ ალარ გავჩერდებოდი, მაგრამ ამ უბედურ ობლებს რა ვუყო.... კომისრის მოადგილე ახალაძე განსახკომიდან რომ მოიშორეს და ინსტიტუტის დირექტორად გაუშვეს, შარშან დეკემბერში მითხრა, თბილისში გადმოდი, ისტორიის ლექციებს მოგცემო... კადრი რომ ჭირს, მარტო ამიტომ არა... სხვა რალაცაც ამოძრავებს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ის თავისი გზით ივლის, მე ჩემი უბედურებიდან ვერ გადამახვევინებს... აქამდე უბედურ დედაჩემს და ლუკას ვერ მივატოვებდი და აწი მე არაფრისთვის ალარ ვვარგივარ. დავიღალე, გავტყდი, გამოვიფიტე... წიგნი იყო მუდამ ჩემი ხსნა და შველა. ახლა რომ ვკითხულობ, ისე ჩავივლი მთელ გვერდს, ერთ სიტყვას ვერ ვიგებ. გუბრუნდები უკან, თავს ძალას ვატან, ერთი... ერთ ფრაზას, ერთ წინადადებას მაინც ჩავწვდე და არაფერი მესმის.

„იძახის ვინმე, თუ მოჩვენებები დამეწყო... ენუქია! იწვის სკოლა, თუ გერმანელები შემოცვივდნენ!... ღმერთო, რა ახალ უბედურებას ველოდო.

— მობრძანდი, ენუქი!

— არა, ფარნა, რავა მოვიდე, იმ მასტავლებელმა მნახოსო...

— ვინ მნახოსო, ამ შუალამეზე, ენუქი!

— ის ქალი რომაა, კლასში რო იძინებს...

— რა ჭირს?

— ღობეო, დაწვა ცეცხლმა, ღობეა ბარღვეული ძელქვების ძირებშიო.

— მერე,.. დილით არ მოვიდოდი?

— აქნობამდე მე დამაგვიანდა, ქეც წამძინებოდა ერთი პირი ძილი... ახლა მივედი...

„რალაცა სხვა ამბავია". ბავშვებს არაფერი გაუგიათ. ფარნამ კარი გამოიხურა და ალაგესაკენ წაბანდალებულ ენუქის გაჰყვა.

— ჩემთან იყავი?

— არა... მასტავლებელმა, ისაო.. დედამისის სახლშიაო...

„ცირეკიძის ქალმა რა იცის მე სად მძინავს და სად დავდივარ? ან რატომ უნდა იცოდეს, ამას ჩემი ცოლი ვერ ბედავდა, თუ არ დაეძებდა, პატივმოყვარეობის გამო იყო თუ ქედმაღლობის. არ აკეთებდა. ამ შუალამეში მეძახის. რომ ვილაცამ ღობე გაარღვია და საქონელი შემორეკა?.. დარაჯი იქ არ ჰყავდა? რალაცა სხვა უბედურებაა... უნდა დავწინაურდე, სანამ ეს გამოღალული, ხნიერი კაცი სკოლამდე მიჩლახუნდება... — შენ ნუ იჩქარებ, ენუქი.

— სად შემიძლია, საძრაობა არა მაქვს, ამეღამ მაინც რას გავხდებით.

— დაწექი და თუ საჭირო იქნება...

სკოლის ბიბლიოთეკის ერთადერთ ფანჯარაში თითქოს რალაცა ბჟუტავდა. ფარნამ კართან ჩაახველა, მაინც ახველებდა და ახრინწიებდა, იმ ღამინდელის მერე ამ ოთახში რომ მედულიმ ცოცხალ-მკვდარი შემოათრია.

— ფარნა ხარ? — შიგნიდან კბილების კაწკაწით იკითხა ვილაცამ და გაუკვირდა, რომ ოთახში ცირეკიძის ქალის მეტი არავინ დახვედრია.

— რა დაგემართა?

— მობრძანდი, დაბრძანდი... — დამხვდურმა თავისი ხმა დაიბრუნა და ისეთი ოფიციალური ტონით თქვა, თითქოს აქ მართლაც ვინმე უცხო ყოფილიყო.

— რა დაჯდომა მინდა.

— დაბრძანდით!.. —მასპინძელი ამას ისე დაჟინებით მოითხოვდა, ფარნა დამორჩილდა, მაგრამ ერთადერთ წიგნების კარადას მაინც მისდა უნებურად გახედა.

მედულიმ თავი დაუქნია.

— რა, კარადის უკან?..

ქალმა ტუჩებზე ორივე ხელი მაგრად აიფარა.

„მართლა ვინმე ჰყავს დამალული და მე მეძახის?.."

— თავმჯდომარე?..

მედულიმ ხელები გაასავსავა.

— ღობე, ბატონო ფარნა, ღობე... — თან ანიშნებდა, ისეთს ნურაფერს იტყვიო. — თავმჯდომარეს რატომ... დირექტორი შენა ხარ. გაარღვიეს, ბატონო, საღამოს გარღვეული იყო... ალბათ ღამით საქონელი უნდა შემორეკონ. აბა რატომ?.. თქვენ გეცოდინებათ...

მოსულმა მაინც ვერაფერი გაიგო, რასაც ეს ქალი ლაპარაკობდა სხვა იყო და რასაც ანიშნებდა, სულ სხვა და საშიში. თანაც „ის“ ამას ისმენდა.

— ამ საღამომდე არ შემინიშნავს, ეს დარაჯი როდის მოდის და მიდის, ვეღარ ვგებულობ. დედას ვფიცავარ, ეს დარაჯობაც ბარემ მე ჩამაბარეთ, ორი ხელფასი მექნება... — და ხელით ჭერზე აჩვენა: იქ, ზევით ვიღაცაა. პირში მუშტს იჩრიდა: არ აგრძნობინო, რომ იციო.

— კარგი, კარგი, მაგრამ ამაღამ რა უნდა ვქნათ!..

— რა ვიცი... წამოდით და ნახეთ, თუ ჩემი არ გჯერათ...

— გაგონილს თვალით ნანახი სჯობს..

— კი, ბატონო,.. არ მეშინია... მე არაფრის მეშინია! — წამოიძახა მედულიმ და გარეთ გამოასწრო.

„თუ ვინმე მართლა ისმენს, ამას რა მიხვედრა უნდა ეშინია თუ არა?“

როგორც კი ბნელი იფარეს, ქალი მაშინვე მხარზე ჩამოეკიდა აკანკალებული და ხმა ისევ დაკარგა:

— ვაიმე, მიშველე, შენი ჭირიმე, მუხლები მომესერა.

ფარნამ წელზე ხელი მოხვია.

— იარე, როგორმე იარე...

ასე, იღლიაში ამოდებული ქალით რომ ეკლო, ახლა ამის ძალა არც ფარნას შესწევდა.

— რა ამბავია, არ იტყვი?.. — თითქოს აქ გამოგონილი და მოჩვენებითი არაფერი უნდა ყოფილიყო.

— ჩუუ!.. — ქალმა ცივი, აცახცახებული თითები პირზე ააფარა და მერე ხელი კისერზე მოხვია, რომ თავი დაეხრევინებია. კაცი დაჰყვა, ყური ტუჩებთან მიუტანა.

— ფარნა... აქ ვიღაცაა...

—დარაჯი?.. — ფარნასაც ხმა ჩაეხჩა.

— არა, დარაჯი კი არა.. ვიაროთ, მგონი თვითონ ვივლი...

კაცმა წელზე მოხვეული ხელი უშვა და მკლავი დაანება.

— ვინ გაარღვია, რატომ ვერ დავინახე მე თვალდასაფსებმა... — ჩვეულებრივი ხმით მოახერხა ამ ფრაზის თქმა და ისევ აჩურჩულდა: — არ მითხრა გელანდებაო... ვიცი აქაა.

— რა უნდა! გაუწყრა კაცი.

— რა ვიცი, რა უნდათ, რატომ გაარღვევდნენ?..

„თუ ყველაფერი ამ ქალმა იმისთვის მოიგონა, რომ ამ შუაღამეზე აქ მოვეყვანე და გუნებაში რაიმე უდევს, მათრახით საცემია. ასეც ვიზამ!“

— წამოდი, წამოდი! — გაწყრა და ნაბიჯი ააჩქარებინა.

— მე რა უნდა მექნა, მე აქ თქვენი დარაჯი და მწყემსი კი არა ვარ! — გაკაპასდა, ვითომ ფარნა იმისათვის გაწყრომოდეს, რატომ ღობეს და ჭიშკარს ერთგულად არ მეთვალყურეობო.

სკოლის შენობის გადაღმა ერთი თვის წინ რომ მოწამლული ფარნა ეგდო, იმის ქვევით კუთხეში, აქეთ-იქით, ეზოს გასათავარში რამოდენიმე ძირი ჩქოლა ძელქვა იდგა. ასე, კაცის სიმაღლე და ფარნა იქ საქონელს კი არა, ჩიტს არ აჭაჭანებდა, ეს გადაშენებული, უმაგრესი ხის ჯიში როგორმე წამოზრდილიყო...

მედულიმ სწორედ იქ ჩაიყვანა, ეზოს ბოლოში, საზღვართან:

— ეს ღობე მე გავარღვიე. ვითომ აქ ფიჩხს ვეძებდი ცეცხლის გამოსანთებად და ჩუმად გავარღვიე ეჭვი მქონდა... ერთი კვირაა, ეჭვი მაქვს. ზუსტად... დღეისწორს, ერთი კვირის წინ, შაბათს, თავს ვიბანდი...

— იბანდი, მერე...

— მერედა, მე ქალი ვარ...

— ქალი ხარ...

— მე არა მაქვს სქელი ფარდები და მაქმანები...

— რა ჯანდაბად გინდა!

— გაზეთები კი მაქვს აკრული, მაგრამ ოთახს მთლად ხომ არ დავაბნელებ.

— შემოამტვრია ვინმემ მინა?

— მე, მამაკაცის მზერას... ჩვენ, საერთოდ ქალები, ვგრძნობთ...

— ვინ გიცქეროდა, თავმჯდომარე?

— მე ის მეგონა, მაგრამ ის ისეთი დაბასკულია, შევეჭვდი. ფანჯარა გამოვაღე და ენუქის გადავძახე... რა თქმა უნდა, ენუქი ვერ გავაღვიძე, მაგრამ არც ფანჯარასთან დამინახავს ვინმე. თავმჯდომარე რომ ყოფილიყო, რაიმე უნდა მიედგა კედელზე. ისე მალე თვითონ თუ გამასწრებდა, იმ „რაღაცის“ წათრევას ვერ შეძლებდა.

— მოგეჩვენა...

—მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ მე არც ისე მშიშარა ვარ, რატომ არ გჯერა ჩემი, ფარნა. — ქალმა მკლავზე ორივე ხელი მოუჭირა.

— მერე? არ მოგეჩვენა, — ფარნას ხმა გაებზარა.

— არა, დედას.. — თავისი თავი დაიმორჩილა და ფარნასგან აკრძალული, დედას ნუ იფიცებო, მოაგონდა. — ჰო, ჰო, ვიბან, მაგრამ ხომ ვიცი ვიღაც მიყურებს.

— შენ გგონია, რომ ამ სოფელში შენს მეტი ქალი არაა და სხვა საფიქრალი არა აქვთ? — ფარნამ ხელის წართმევა დააპირა.

— არა, ფარნა, ვიცი სხვას კი არა, შენც არაფრად მიგაჩნივარ...

— მე რატომ?..

— შენ... არც შენ და არც არავის. თავმჯდომარე, შენ გგონია, ჩემი სიყვარულით გიჟდება?.. ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, ვინ როგორ მიცქერის...

— მერე, რაო... თუ მარტო გიცქერის და მეტი არაფერი, გიცქიროს.

— ჭერი... ჭერი რომ ჭრიალებს და...

— ჭერი ხისაა, იჭრიალებს აბა რას იზამს.

— ვედრო რომ გაქრა და სამი დღის წინ ჭერიდან წყალი დაიღვარა მეზობელ საკლასო ოთახში? წვიმდა თუ? გუშინწინ მარო ჯავახაძესთან ვიყავი და მე რომ კაცი პურს მომბარავს...

— მშიერი ძაღლი შემოვიდოდა...

— გადარაზულ კარებში? კარგად მახსოვს, რომ ჩავკეტე.

— მე აღარც ნერვები მაქვს, აღარც გული და აღარც ძალ-ღონე... ხომ გახსოვს, იმ დილა-უთენია, შენ რომ არ წაგეთრიე, ახლა დასვენებული ვიქნებოდი და დედაჩემის და ჩემი ძმის უბედურებას არ ვნახავდი.

— ფარნა, ვიცი... მაგრამ მე შენ ის მამაკაცი მგონიხარ, რომ არ იფლიდებს, არ გიმუხთლებს, არ გატყდება და დარდი ვერ დააჩაჩანაკებს...

— შენ რა გგონივარ, არ ვიცი და რაც მჭირს, გითხარი. მაინც რა მოხდა ორი სიტყვით ვერ იტყვი?

— ორი სიტყვით: აქ ვიღაცაა, ამ საღამოს ხმაც კი გავიგონე.

— დაგიძახა?

— არა, ალბათ თავი აარტყა და თავში ფინიდან გამოჩრილი ლურსმანი შეესო, წამოიყვირა.

— რა იცი ლურსმანი შეესო და ჩაქუჩი შუბლში არ დაირტყა?

— ნუ მიბრაზდები! — შეიხვეწა რაღაც თბილი შეძრწუნებით, თვინიერმავედრებელი სინაზით.

— ჰო, არ გიბრაზდები. მერე?

— სხვა დროსაც გახმაურებულა, მაგრამ ვერ გაგიმხილე. ვიცოდი ასე რომ მეტყოდი და ვერ გაგიბედე... ამ საღამოს ხმა გავიგონე და კატას და ვირთხას ხომ ვერ დავაბრალებდი. შებინდებისას წამოვედი, ვითომ შეშისთვის და ღობე გამოვარღვიე. დავჯექი მერე ცეცხლთან აკანკალებული და არ დაადგა საშველი დარაჯის გამოჩენას. ასე მგონია გავთეთრდი.

— რა იცოდი მე სად ვათევდი ღამეს?

— ბავშვმა მითხრა, შენმა ძმისშვილმა. აკაკი ხომ ჩემი მოწაფეა.

— კარგი, კარგი! ახლა რა ვქნათ, ავიდე სხვენში და ჩამოვათრიო ფეხით?

— არ ვიცი, გინდა ფეხით ჩამოათ-

რიე და გინდა კისრით... — ეწყინა ქალს, თავი მიიბრუნა. — ჩემი არაფერი გჯერა, ისე მოგწამლეს თბილისში პანტემ და იმ გველაძეს... ერთი წელიწადია შენ თვალწინ მარტოდმარტო ვიტანჯები და არაფერი გჯერა...

— ახლა ამის დროა?! სულ ზევით ზის?

— რა ვიცი მე! — ქალმა ორივე ხელი უშვა და უკან გამობრუნდა.

— კი მარა, თუ ისევ იქაა, სად მიდიხარ.

— თუ არაფერს მიჯერი, დედას ვფიცავარ...

— რაკი დაიფიცე, მჯერა, მაგრამ ალარ მოწყინდა შენი ყურება?

— ის ჩემ საყურებლად არ ზის იქ!

— აბა, რომ იბანდი და გიცქეროდა?

— მიხარია, რომ შენი ქირდვა და ირონია დაიბრუნე... მიცქეროდა, მაგრამ ჩემს საცქერლად არ ასულა იქ.

— თუ ავიდოდა, ჩამოვიდოდა...

— არა... ვიცი, ახლაც იქაა.

15.

„მართალია, ამ ქალისათვის ვერასოდეს ვერ მოვიცალე. თვითონ თუ „გახმაურდებოდა“ და გამახსენებდა თავს და ისევ მავიწყდებოდა. ამას თუ სჯერა, რომ სხვენში ვინმეა, დიდი შიში გადაუტანია. ახლა რას ვუპირებ? ან უნდა დაარწმუნო, რომ არავინაა. ან აქ ველარ დატოვებ. ვის მივუყვანო ამ ნაშუალამევს, მარო ჯავახაძეს? რას იტყვის ის ადამიანი... მშვენიერაძეს? პავლეს, კაი, აუხსნი და გააგებინებ, მაგრამ მარტო პავლე ხომ არაა იმ სახლში. ანთიმოზ შვანგირაძეს?..

— ვიცი, შენ შენი მწუხარება გყოფნის... — ამოიკვნესა ქალმა და მკლავზე თავმიდებული ატირდა.

— ჰო, კარგი, კარგი. — დაყვავება მოინდომა და მაინც გაწყრომა გამოუვიდა.

— შენ მამაკაცი ხარ და ვერ გაიგებ რა შიში გადამხდა... — ისევ აკანკალდა და ატირდა.

„დაყვავებას რომ ვაპირებდი იგრძნო... არადა მართლა ცოდვაა, მაგრამ თავზე რომ ხელი გადავუსვა, მთლად დავღუპავ. ასე თავზე ხელის გადასმამ მოსპო ჩემი ცოლის საქმე, დამოუკიდებლობა წავართვი და უმწეო, ფუყე არსებად ვაქციე. ახლა დაუმსახურებლად მოითხოვს ყველაფერს... იშნობს გმირის დედობას...“

— წამოდი, სანამდე ვიდგეთ აქ!

— არ ვიცი, როგორც იტყვი.

ეზოს ფერდობს აუყვნენ.

— რაც აქ, ამ სკოლაში გადმოვედი... ვებრძვი შიშს და მარტოობას. ვებრძვი, მაკანკალებს, მძვრება სული... არ ვიცი სად გადავვარდე... ვამბობ: ომია, ომი რომ არ იყოს ერთ ღამეს გავგიჟდებოდი... ტყვიას მაინც არავინ მიშენს... აგერ, კიდევ, აქვე დარაჯს სძინავს... ზოგჯერ სულ არ მოდის, მაგრამ იმედია, რომ საცაა მოვა, მოვა და მარტო არ ვიქნები მგონია, ინათებს და მაშინ თუ ჩამეძინება. წიგნი, წიგნი რომ არ მოეგონებიათ, უბედურ ადამიანს რა მოაღწევინებდა ამ დღემდე... მართლა, შენი წიგნებია ჩემთან... რომ გითხრა, მეშინია ვკვდები-მეთქი, იმისაც მეშინია, შენ დამცინებ, სიკვდილის ისე არ მეშინია, როგორც შენი დაცინვის. როგორი ღიმილიანი დაგესვლა იცი... ვითომ არც გაჯავრდები, არც გაწყრები, პირიქით, ცალყბად ჩაიღიმილებ: უტვინოს, უმეცარს და რეგვენს რომ შეუნდობენ, რაღაც ისეთნაირად, ან მაშინვე მოითხოვ: შიში, სიხარული, თუ ტკივილი ახსნან, დაასაბუთონ...

„ამაღამ კი „დაასაბუთა, რომ ჰქონდა შიშის მიზეზი და აფრინა კაცი“.

— ახლა, დარწმუნებული რომ არ ვიყო, ვიღაცა სხვენში ზის, დილამდე ვიცახცახებდი იმის იმედით, რომ დილით გეტყოდი ყველაფერს და დაგინახავდი თუ არა, მაინც ენას ვერ მოვაბრუნებდი.

— ახლა, ახლა როგორ მოვიქცეთ.

— მე რა ვიცი!..

„ამას ის აფიქრებდა მე დამეჯერებია

და თუ დავუჯერე, იმას იქით აღარ ადარდებს. ან კი... თვითონ რომ არ მესმის რა მოვიმოქმედო? არადა, ეს რომ ყველაფერი მოგონილი იყოს? არა, მართალი ნუ იქნება, მაგრამ მართლა სჯეროდეს, რაც გჯერა მართალიცაა. მაგრამ სხვენში რომ ვედრო არ იყოს?.. ან თვითონ ხომ არ აიტანა?.. მე ნამეტანი ეჭვიანი ხომ არა ვარ, ან თავდაჯერებული?. ვითომ, კაცი რომ გაწყდა უძაღლო ქვეყანაში, კატას აყეფებდნენო? და ვისარგებლო ქვეყნის დაქცევით და სახლი რომ მეწვის ხელი მოვითბო...

— თუ იქ ვინმე გეგულება, ოთახში ასე ხელგადახვეული შევიდეთ?

— რა ხელგადახვეული ვართ!.. — ქალმა მკლავი ცივად გაუთავისუფლა და ოთახში გაბუტული შეუძღვა.

— თუ ჩვენსა და დარაჯს გარდა ვინმე მოაზროვნე კიდევაა აქ, ხომ უნდა ფიქრობდეს...

ქალი გველნაკბენივით მოტრიალდა და თვალებში შეაშტერდა: ისევ არ მიჯერის და ხმამაღლა იმიტომ ლაპარაკობსო, მაგრამ მიხვდა, ფარნა უკვე „მას“ ელაპარაკებოდა.

— რჩევა მინდა გკითხოთ!

— მე?! — ქალმა აცახცახებულ გულზე ხელი დაიდო.

— ჰო, შენ და იმას... აღარ შემიძლია — სკამი ბუხართან ფეხით მოითრია და ჩამოჯდა. — პატარა ცეცხლი შეანთე! — ქალი არ განძრეულა.

— ჰო, ჰო შეანთე, დავჯდეთ და ვიმსჯელოთ.

— რა ვიმსჯელოთ?

— აბა, ასე ხომ ერთთავად ვერ დავწვებით სხვენზე და ვუთვალთვალებთ. ქალი კაბას იხდის თუ თავს იბანს, იქნებ ტანის დაბანაც დასჭირდეს ადამიანს... და, ბოლოსდაბოლოს, იმასაც დასჭირდება... წყალი კი, ბატონი ბრძანდები, მაგრამ პური ჩვენ ჩვენთვის არა გვაქვს... დაჯექი, ქალბატონო მედული, დაჯექი... მე მაინც მინდა შენ მედეა გერქვას... რაღაც ახლა ამ უცხო კაცთან მომინდა მედეა გერქვას, ჩვენი და ბერძნების მედეა, რაც არ უნდა მოღალატე იყოს, მაინც მედეაა, რომელიც ოცდაცამეტი საუკუნეა აზანზარებს მსოფლიოს და რაც იცოდა: ღალატი იყო, გაუტანლობა თუ შურისძიება, ძლიერი იცოდა. ამაზრზენი, გამანადგურებელი. ნაღდი ყველაფერი მიყვარს.

— მედეა დამიძახეთ! — დათანხმდა ქალი.

— რა ვიცი, ერთ დროს, ასე მახსოვს, არ ინდომეთ.

— მე მაშინ თქვენი არაფერი მჯეროდა... — ამოიჩურჩულა და მიბეჟუტული ცეცხლის პირას ჩაიმუხლა, შეუბერა.

— მედეა, შენ ლამაზი, სწორი წვივები გაქვს...

— ქალი შეცბუნებული წამოიმართა და ცეცხლის შესაბერად ღრმად ჩასუნთქული ჰაერი ერთბაშად აღმოხდა.

— და, ალბათ, ეს მოსწონს იმ კაცს, მაგრამ სხვენში კუკუმალულობიას თამაში მე მაინც არ მომწონს.

— ჩემი წვივებისათვის?!

— ალბათ, აბა სხვა ამ სკოლის შენობაში რა განძი გვაქვს ისეთი, რასაც კვირაობით უნდა უდარაჯოს...

— შენ ჩემი ისევ არ გჯერა! — ცხვირი აუცმაცუნდა ქალს და თავი ისევ ბუხარში შერგო.

— რომ მჯერა, ხომ უნდა მოვილაპარაკოთ. თქვენით, აქ, ჩვენი თავმჯდომარეცაა მოხიბლული და სხვებიც...

ბუხართან ჩაცუცქულმა ქალმა გამოხედა, ნაწყენმაც და იმის ამოცნობის მოწადინებაც, ამ ქათინაურებით ფარნა რას უმიზნებდა.

— მაგრამ ასე იოლად ვერაფერს გახდნენ, თუ მე ვცდები?

მედულის არც ხმა გაუღია, არც მისკენ მოუხედავს.

— ვფიქრობ წარმატებას ვერც ჩვენს მესხვენეს ვუწინასწარმეტყველებთ, არა მედეა?

ქალი ფიჩხს ტეხავდა, ცეცხლს აყრიდა და ორად ორ მუგუზალს ჩქარ-ჩქარა უბერავდა.

— ამაზე თქვენ თუ არ დამეთანხმეთ, მე... მე და ჩემი ცოლი რომ შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, მაშინაც არ შემეძლო მისი სახელით მელაპარაკა.

— ნურავის, დედამიწის გულზე, ნურავის ნუ ექნება მაგის იმედი! — ნაკვერჩხლებივით გადმოისროლა ქალმა პირიდან.

— ა, ბატონო მე ხომ არ მითქვამს, შენ ამბობ ასე რომ, ამისათვის ჭერში ღამურასავით ჯდომა და თავში ლურსმანის ჩარჭობა არა ღირს.

— არ ვაინტერესებ მე იმ კაცს, რას ჩააცივდი!

— ალბათ მე ვეჭვიანობ... — ფარნას ღიმილი გაუჩნდა, რამაც ქალი ისევ გააანჩხლა.

— ვინც ჩექმებიანად ლოგინში მიწვებოდა და კარებს მიმტვრევდა, იმაზე არ გიეჭვიანია და ვიღაცა სხვენში თავისთვის დაძვრება...

— კარგი, კარგი! — ფარნამ შუბლი შეიკრა. — სხვა მხრივ... თუ ყაჩაღია, დეზერტირი, ან ჯაშუში, ჩვენ არც წასართმევი გვაქვს არაფერი, არც დეზერტირებს ვიფარავთ და არც ჩვენი სასკოლო გაკვეთილის გეგმები გამოადგება მტერს რაიმეში. ამის გარდა, მე ბევრი უბედურება მაქვს თავს დატეხილი და იქნებ ყველაფერი ვერ გავითვალისწინო. ის მაინც მინდა ვთქვა, რომ ყოველად უაზრობად მიმაჩნია სხვენში ჯდომა... მედეა, მუგუზალი ჩამოვარდა და ხანძარი არ გააჩინო, თორემ ჩვენ რომ გავასწროთ, ის კაცია ცოდვა...

ქალი დაიხარა და ნაუცბათევად ხელი ალმოდებულ თავში წაავლო, თითები დაიწვა და პირში იტაკა.

— შენსავით რომ მანაც ხელი დაიწვას, ჩვენ ნუ დაგვაბრალებს... ამ დღეებში აქ, ალბათ, თვითონ თავმჯდომარეც მოგვაკითხავს... მოვა და მთავრობა ასე გულახდილ მუსაიფს არ გაუმართავს, ამბობენ, ზემო მთიან სოფელში დესანტი ჩამოსხესო...

— გერმანელები! — წამოიყვირა ქალმა და დამწვარ თითს ტუჩებში დაიჭირა.

— არა, გერმანელი ჩვენ რა ენაზე უნდა გველაპარაკოს. ვინმე, ალბათ, ისევ ჩვენიანი იქნება.

— ჩვენიანი ჩვენთან დესანტად?

— ეჰ, მედა, მედეა! ომია, ვინ იბრძვის, ვინ კვდება ვინ ვის ტყვედ ბარდება, ვინ ტანჯვას იტანს, ვინ რომ გაუჭირდა და ვერ გაუძლო... მე და შენ რომ ამდენ უბედურებას დ მარტოობას ვუძლებთ, ყველა შეძლებს?..

ამ კაცის ჭკუით და სიმართლით მონუსხულმა ქალმა, პირიდან თითგამოუღებლად გააქნია თავი:

— ვერა, დედას... ღმერთმანი ვერა, ვერავინ ვერა...

16.

„მე თუ დედაჩემის, ძმის და შვილების შემდეგ კიდევ ვიარსებებ, ნურავინ ჩემგან მისხალ შეღავათს, ან რაიმე დათმობას, ნუ ელის. მე ყველაფერი დავკარგე (ფარნა შვილებსაც დაღუპულად თვლიდა), რაც ამ ცრუ სამყაროსთან მაკავშირებდა, და რისთვისაც, რაღაც წვრილმანებზე მაინც, უკან უნდა დამეხია, ან შემენდო. როცა ძმა ხელში მაკვდებოდა, როცა დედა მიილია და უარი თქვა შვილიშვილების მეურვეობაზე, რამოდენიმე დღეში დაჩაჩანაკდა, დასნეულდა და შვილს საიქიოში გაჰყვა. ჯერი ჩემზე მოდგა... ყველანი იქ არიან და არც აქეთ მრჩება არავინ.“

დღეს კიდევ ერთი ჯარისკაცის — ფარნას ნამოწაფარი — ბიჭია ჩიხლაძის დაღუპვის ამბავი მოვიდა. უკანა მერხზე იცოდა ჯდომა, მხრებში თავჩარგულმა. უჩინო ბავშვი იყო, უგერგილო, პირდაუბანელი. ერთი გამართული გავლა არ მოუსწრია... დედებს საკვარი ხმა და ცრემლი დაელიათ. შარშანწინ უგზოუკვლოდ დაკარგულებს დასტიროდნენ და გლოვობდნენ, შარშან „გმირულად დაღუპულებს“, წელს აღარც ერთი უნდათ დაიჯერონ და აღარც მეორე. სადღაც ვიღაც გამოტირებულის წერილი რომ გამოჩენილა, იმ

რაიონში ფეხით მიდიან და თავს იიმედებენ, ჩვენიც ოდესმე ხმას ასე მოგვაწვდენსო: მძიმედ დაიჭრებოდა, ალყაში მოექცეოდა, ან ტყვედ ჩავარდებოდაო და ნატყვევარი შვილიც დედისთვის შვილია.

თითო-ოროლა დაჭრილიც დაბრუნდა. მიაწყდა სოფელი, მაგრამ დასახიჩრებული ნაჯარისკაცალი უფრო ჭურში ნაჯდომს ჰგავდა. არაფერი გაეგებოდა იმ ათეულის მებრძოლებისაც კი, გვერდით რომ იყვნენ. საჰაერო, თუ საარტილერიო დაბომბვის შემდეგ, ტყვიამფრქვევით, ავტომატით. ტანკებით, მანქანებით... ქლეტვის და მოსარგალების შემდეგ ისიც არ იცოდა, თვითონ თუ გადარჩა, რამ გადაარჩინა და მის გვერდით რომ ჯოჯოხეთის დანთებამდე ბიჭი იყო, რამ გააქრო, ვინ გაიგებს. იქ, სადაც ის ეგულებოდა, ცარიელი უზარმაზარი მორღვეული ორმო გაჩნდებოდა, ან პირიქით — ამოვსებული და დაზვინული, ტანკის მუხლუხოებით მოჯეგილი. და ნაცარტუტად ქცეული ადამიანი ომში სოკოა, რომელსაც ასი ჯურის იარაღი, მარტო კი არ მოჰკლავს და გასრესს, გაფანტავს, დასწვავს, კვამლად აქცევს, ააორთქლებს. ფრონტზე ბრძოლის შემდეგ, შუბით განგმირულებს და ხმლით დაკოდილებს კი აღარ ანგარიშობენ და უსინჯავენ, გულში მოხვდა ტყვია თუ ზურგში.

ეს მარტო ბაკურს არ უთქვამს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ დასჭრა, ან რა მხრიდან ისროლეს და მტრის იყო ის ტყვია თუ მოყვრის. ამას ამბობს, ან პირზე ბოქლომი ადევს იმ თითო-ოროლას, ტყვიანაკრავი დაბრუნდა.

...და ვინ იყო, სკოლის შენობის სხვენში რომ იჯდა? (მეორე დღეს ფარნამ მართლა დაიჯერა, რომ იქ ვიღაც მართლა რამოდენიმე დღე იმალებოდა. გახარებული იყო მედული, გამართლდა და ამდენი შიში რომ გადაიტანა, თავის თვალში ამაღლდა). ვინ იყო? ქურდი და ყაჩაღი მასწავლებელს შავი პურის ნატეხს ხარ მობარავს. ვილაც, ცირეკიძის ქალზე, უფრო მშიერი, მშიშარა და გაჭირვებული უნდა ყოფილიყო...

მედული „ვაუკაცურად" განაგრძობს ბიბლიოთეკაში ჯდომას და წოლას. შეუპოვრად ებრძვის თავის უმწეობას და შიშს. მას მერე, თითქოს ნაწყენიც კი ამბობს, რომ არაფერი საეჭვო ხმაური არ გამიგონიაო. თითქოს უნდოდეს შიშით ისევ სული გაეფრთხო და ისევ ეჯობნა, გაემარჯვა.

ფარნამ თბილისიდან რომ ჩამოიყვანა და სადგურთან წუმპეში ჩავარდა, გაწუწული და აკანკალებული წკავწკავებდა: „ვიცი, ვიცი, თქვენთან უფრო დიდი ორმოები იქნება, ყინვა და ქარბუქი... გამიჭირდება, ვიწუწუნებ, ვიტირებ, მაგრამ აქ მირჩევნია"... ვითომ ახლაც ამას ამტკიცებს: მეშინია, მიჭირს, ვწუწუნებ, ვტირი, მაგრამ მაინც აქ მირჩევნიაო. ვითომ ეს ქალი აპირებდა სიმართლის და პატიოსნების გზაზე სიარულს და სუსტს, მშიშარას და უნიათოს გზა-კვალი აურიეს? და ახლა იცის, რომ შიშს, მარტოობას და უსუსურობას უნდა აჯობოს, რომ ისევ ვინმეს იატაკის საწმენდ ჩვრად არ იქცეს? ქმრის საყვარლები, თუ აბუჩად აგდება ვერ აიტანა; გაექცა თუ ცოდვილი სული ვერ დაიოკა?..

იმის მერე, რომ სკოლის სხვენზე მართლა ვილაც იმალებოდა, ფარნა ამ ქალზე ისე ფიქრობდა, ვითომ მართლა რაღაც გმირობა ჩაედინოს... საკუთარ თავთან და სისუსტეებთან ბრძოლაში ერთგვარი წარმატებაც გამარჯვებაა. ადამიანის ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავია და მუდამ იმის ცდაშია, ამ მტერს არაფერი ავნოს, არის თუ არა ღირსი, შუშასავით უვლის.

ის, ვინც სხვენში იმალებოდა, ალბათ დამნაშავეა, მაგრამ იმალება, იპარავს მასწავლებლის შავი პურის ნატეხს და დანაშაულს დანაშაულზე ამატებს. დამნაშავე თავს, დანაშაულით ჭკვებავს და, როგორც კი საფრთხე ჩნდება, პასუხის საგებად გარბის, თუნ-

დაც ახალი დანაშაული ჩაიდინოს, მაგრამ არაფერი მოეწიოს. ამძიმებს თავის ხვედრს და სულს. იმის მაგიერ, რომ ებრძოლოს თავის თავში ცოდვილს, ახალ ცოდვას ჩადის — ამართლებს, რაკი ეს დამნაშავე ცოდვილი თვითონაა — თავისია. პატივმოყვარეობა, თვითკმაყოფილება, ქედმაღლობა, გულზვიადობა ამის საწინდარია...

რუსუდანი გუშინწინ რაიონში წაუყვანიათ, საზეიმო შეხვედრაზე და გუშინ რაიონის გაზეთში ნასესხები ღიმილით გამოაფინეს. ლექსიც იყო მიძღვნილი „არწივ დედაზე", რომელიც აკვნიდან „გმირული სულით" ზრდიდა და „მტრის სიძულვილით კვებავდა" შვილს. სხვისთვის ამის დაჯერება ძნელია, მაგრამ ის დაიჯერებს, რომ აქვს ღვაწლი, როგორც დედას. მამუკა ციდან არ ჩამოფრენილა. მან შვა და ძუძუ აწოვა დაიჯერებს რაკი „გმირი" თავისია. მაგრამ თუ მამუკა მოღალატე იქნებოდა, მაშინ გაუჭირდებოდა მისი გათავისება, მაშინ არ იქნებოდა თავისი და დედის ძუძუ არ ექნებოდა ნაწოვი...

17.

ფარნა რომ ჭიშკარს მიადგა, ესტატე კინწურაშვილის ეზოში მწუხრი წვებოდა. ფოთოლამ რომ იკივლა და გამოიქცა, ძელურის უკანა ქილუქს, ხორცსავსე, მძიმე კაცის ლანდი ფაცაფუცით გასცდა. ასეთ დროს, ამოდენა მანძილზე, კაცი კაცს ვერ იცნობდა. აჩქარებამ და სანამუსო, შუკის პირზე მოღობილი საქონლის — საღორის წუნწუხში ქურდულმა გაპარვამ გასცა. „ის" იყო... ლუკას დამსმენი, ცილისმწამებელი... გუგუტას მამა...

ფარნას ხელ-ფეხი ერთბაშად მოსწყდა და ჭიშკრის რგოლს ხელი წაავლო, თავი ძლივს შეიმაგრა.

„ეს ჩემი ცოდვით სავსე, უფრო ადრე წასულიყო, ან მეტი სიფრთხილე გამოეჩინა. რაც ლუკა აღარაა... განა არ ვიცი, მაგრამ რომ არ შემიძლია... ღმერთო, რა სასჯელია ჩვენი ერთ სოფელში კი არა, ერთ პლანეტაზე ცხოვრება. აქედან მარტო ამიტომ გადავიხვეწები, რომ ამ უღმერთოს არსად შევეფეთო.

აწიოკებული ფოთოლა შიგნიდან მოასკდა ჭიშკარს მოთქმით:

— მასწავლებელო, ბიძია, ნათლია, ნათელ-მირონო, იმედო, ჭკუავ, გონებავ... გვიშველე, გვიხსენი, შეგვიბრალე... — ეწეოდა რგოლს მაღლა, რომ თავლაფათინისათვის აეგლიჯა და ჭიშკარი მოეღო. აკანკალებულ ფარნას ხელი ძლივს გააშვებინა და ეზოში შემოსულს მიაფრინდა, მდუღარე ცრემლებით დაუთუთქა გულისპირი.

— შვილო, თვითონ უნუგეშოს, რა შემიძლია... — რაღაც ამოიკვნესა ამ უმწეობის ასახსნელად და გასამართლებლად.

— არ მითხრა, შენი ჭირის სანაცვლოდ წავიდა შენი გაზრდილი, ბედკრული ფოთოლე, უბედური. შენ შენი ძმის საფლავი მაინც გაქვს. იცი, სად მიაკითხო, სად იტირო და იგლოვო, რას ურტყა თავი და ცრემლები რას დააყარო. მე რა ვქნა, მე შავდღიანმა, შავ ვარსკვლავზე დაბადებულმა, დღებნელმა, საწუთროგამწარებულმა და გაშხამებულმა.

— მოიცა... იქნებ..' — ეს „იქნებ" არაფრით არ უნდოდა ეთქვა, რომელიც ომში დაღუპულთა ნუგეშად ყველას პირზე ეკერა. მაგრამ შენ გინდოდა-არ-გინდოდაზე არ იყო, ეს ომთან ერთად დაიწყო და მას ახლდა. ამას ომი ამბობდა და ჯარისკაცის დაღუპვასთან ერთად აგზავნიდა.

— რა „იქნება"!.. რამდენი „იქნება"!.. ჩემო ჭკვიანო, ჩემო ბრძენო. ჩვენო გამკითხავო და იმედო. ეს მეოთხეა, ბესოიე ხანდამწვარი — მეოთხეა ბესოიე ბედდათუთქული — მეოთხეა, ბესოიე დღეჩამქრალი — მეოთხეა, ბესოიე უბედური... ვაი მის დაიას თვალებდამდგარს და მზედაბნელებულს...

ჭიშკრიდან ძელურის კარამდე ეკიდა

მხარზე და ფარნას მკლავს გულში მოთქმით იკრავდა.

სახლში სიჩუმე იდგა. ახლადგარდაცვლილს რომ შეიტირებენ და მერე, სანამ გააპატიოსნებენ, ჩაწყნარდებიან, სამძიმრისათვის დაძრულ სოფელ-ქვეყანას ცრემლის საღვრელად და თავში ხელის საცემად რომ დახვდნენ.

ეპრასი სოხანეზე ეგდო. კერიიდან წამოსული და მესამე ნაბიჯზე დაცემული. ესტატე, ცეცხლისპირას, ჯორკოზე გაქვავებული და ხელში ჩამჭრალ-ყალიონშეცეებული. უაზრო, გაძოლენჩებული, ყბაჩამოვარდნილი. იასონ ლაცაბიძე უხმოდ ფლიქვინებდა და ძაგძაგებდა, იქვე, კარის წირთხლს მიყუდებული. ტახტის ბოლოში, ძელურის კედელს მისრესილი და პირით ზედ მიმხობილი, გუგუტა თრთოდა. პირზე ორივე ხელაფარებული, გახევებული დედამისი — ეპრასის და და ბარბაქაძის ცოლი. ყველა ჩათალხული. ჩაშავებული და უბედურებით მეხდაცემული.

მაგრამ აქ იყო უფრო შემზარავი, სხვა ფერის და სხვა მწუხარების, სხვა ჯილაგის და სხვა სოფლის შვილი და მაინც, ამ მწუხარების, უფრო დიდი ჭირისუფალი.

ჭრაქი, ამ ზარდაცემული, დარეტიანებული, უცხო ქალის წინ დაედგათ. ტახტზე ჩამომჯდარს გაცრეცილი, ხაკისფერი კაბა მუხლებს ვერ უფარავდა. სამხედრო, გიმნასტურა სავსე მკერდზე შემოცრეცოდა იქვე, ტახტზე ეგდო პილოტურა, რომლის ვარსკვლავზე გველის თვალივით ჭიატებდა ჭრაქის ათინათი.

ქალი — ჯარისკაცი, ქერა, ხორცსავსე, ჩაწითლებულ ნათელ თვალებში და ხორბლისფერ წამწამებში ცრემლგაჯერებული. ირგვლივ სიბნელე, მჭვარტლისფერი კედლები და მჭვარტლით გაბელთილი სახურავი, შავად ალანძული ნაჭა — ოჯინჯალა, ძაძით მოსილი ქალი და კაცი. თვით ფარნაც თავიდან ფეხამდე შავში და ბნელში. ჭრაქი, რომელშიც მაზუთიანი ნავთი ესხა, კუპრივით კვამლს ანრჩოლებდა. ფუტავდა წაუწეველი მუგუზლები. კედლიდან, გადმოფერდებული, გადიდებული სურათებიდან სამი ვაჟი იცქირებოდა და თითქოს ისინიც, უსიცოცხლო თვალებით, მხოლოდ ამ უცხო ქალს მიშტერებოდნენ.

სახლში ფოთოლასაც ხმა ჩაუწყდა.

ჯარისკაცმა მოიხედა, შემოსულს დაეჩერდა და ხმადაბლა იკითხა:

— ბაკური?..

ადგა და, როგორც ფოთოლა, ფარნას მეორე მხარს მიეყრდნო. უსიტყვო, უხმო ცრემლებით, იმაზე მეტის მთქმელი, რისი დანახვაც აქ შეიძლებოდა.

ვალია ჟიჟინას, კავკასიონის უღელტეხილზე მირეკილი ჯარები რომ გაუცილებია, მას მერე ბაკური არ უნახავს. დაბრუნდა იქიდან, არ დაბრუნდა, არც ეს იცოდა. მხოლოდ მისი გამოგზავნილი მისამართები მიეღო დაჭრილებისაგან. აქაური, ამ ოჯახის მისამართები, არც ერთი სიტყვა ამას გარდა. ეს სოფელი და ესტატეს სახელი და გვარი ამ ქალმაც იცოდა და ბაკურმაც იცოდა, რომ იცოდა. — „მეორეჯერ რომ მივიღე, რაღა მექნა, წამოვედიო, — შეშფოთებული ყვებოდა საბრალო — იმ ნაწილებიდან, რომლებიც უღელტეხილის დასაცავად გაიგზავნა, თითქმის ყველა დაიღუპაო. ბესო, ალბათ, ბაკურზე უწინო“. მაგრამ ბაკურის მაინც რა ბედი ეწია, ჟიჟინამ კი არა, თურმე თამარ მირიანაშვილმაც არ იცოდა. ვინ იყო ეს თამარი, თუ ვინმეს უნდა სცოდნოდა, მას უნდა სცოდნოდა?

რა თქმა უნდა, იმ უბედურების დროს ეს არც ფარნას უკითხავს და სხვა, მით უმეტეს, ამის თაობაზე სულს ვინ დაბერავდა.

ფარნაც დაღუპული შვილის ორსულ ცოლს ხომ არ უნდა ელოდოს?

ომი რომ მარტო კაცისკვლა იყოს, უდიდესი უბედურება იქნებოდა და ამით დამთავრდებოდა. სიკვდილს ვინ დაგაჯერებს. აი, მკვდარზე უფრო საბ-

რალო, ორსული ჯარისკაცი ქალი, რომელსაც არც სახლი აქვს, არც პატრონი ჰყავს. ხრამში, ორმოში თუ ტყეში „ჯვარნაწერი“ და იქვე დაქვრივებული, მოადგა მასზე უფრო გაუბედურებულ ოჯახს, რომელსაც მეოთხე შვილის სიკვდილი მოუტანა, მშიერმწყურვალს ლუკმის გამყოფი მოემატა და მალე ერთს კიდევ შესძენს.

ვინაა ეს თამარი და ბაკურის დედამ თუ ისიც იცის, აქაურ სარძლოს (თუ უკვე რძალს) რას ეუბნება? გუგუტა, ესტატეს ძელის შავ კედელს რომ იყო მიმხობილი და ფარნას შესვლაც არ გაუგია, სანამ ხმა არ გაიგონა. მერე ულოდარტყმულივით კედელ-კედელ უკანა კარში ძლივს გაიტანა დაზაფრული სული. სადედამთილო, თურმე, არც წუნობს. „საჩემოდ, რომ ვუყურებ, კი არ მომწონს, მაგრამ ვერც უკეთესს ვხედავო“. რუსუდანი ნინოს უნდა უდგეს ახლა მხარში, იქ უნდა ათენებდეს და აღამებდეს. ჩემი ძმის დამღუპველის ოჯახს ცეცხლს უნდა უკიდებდეს, თუ სარძლოდ და სამოყვროდ უყურებდეს? თუ მის შვილს გაუწყრა ღმერთი და ომისგან გონწართმეულს თვალიც დაევსო. როგორ წამოცდა ეს ლუკას ქალიშვილთან. ლუკა სული ჯერ იქვეა, თავის სახლშია. მისი სულის ამომხდელის ოჯახს ახსენებს უწყვეტელად და უკრულველად? ისიც ვისთან!

ფარნა თავის ჭიშკართან იდგა.

„რა ვქნა ახლა?..

„როგორ არ ჩავიდე და არ ვუთხრა ამ „ცოდვის შვილს“?.. „ულელტეხილის დამცველები, თითქმის ყველა დაიღუპაო“. ეს როგორი სათქმელია, მაგრამ რომ მომისმენდეს, თავის „აზრებს“ და სისულელეებს პირში არ ჩამჩრიდეს... რაღაცას მაინც ვეტყვი, მაგრამ რომ აღარ ვიცი რა ენაზე ველაპარაკო? თუ აქამდე არა, ახლა მაინც უნდა ვიყოთ ერთმანეთის იმედი და თანამდგომი, ეგ უნდა მიბრუნებდეს სულს, მიმაგრებდეს მხარს და დამწვარზე სულს მიბერავდეს.“

— აჰ!.. — ფარნას ხმამაღლა წამოცდა თუ წამოიძახა, — ჩემსას ვიღაცა ღიღინებს, თუ დავყრუვდი?! დედა-ჩემი და ჩემი ძმა არ გაციებულა სამარეში და ჩემსას ვინმე მღერის?!. — ჭიშკარი შეაღო და პალატში გაჭიატებულ, ჩაწეული ლამპის შუშას მიაშურა, თითქოს ფანჯრიდან შეიძლებოდა პირდაპირ გავლა.

რუსუდანი იჯდა ლამპასთან ფეხიფეხგადადებული და, მუხლზე გალახულ საშინაო კაბას ტანზევე იცუდავდა.

— და, ეს უპატრონო მღერის?!

სიმღერით არავინ არ მღეროდა, რაღაცას გაურკვევლად და გაუგებრად ღიღინებდა, ზოგჯერ, რაღაც მელოდია აგეკვიატება და შენდა უნებურად აგეტორღიალება.

კაცი, ალბათ, სხვა დროს, სხვა ვითარებაში... ან თვითონ ქალს რომ ენაზე ეკბინა, — ეს რა დამემართაო! იქნებ არ მომხდარიყო, რაც მოხდა, მაგრამ რუსუდანს რომ ეს შეძლებოდა, და საერთოდ, სად რა ჯობია, მეტი კი არაფერია გაგება.

— მღერი, შე შობელძაღლო! — ეს რომ შეიძახა და პალატში შევარდა, ქალს რომ მოესწრო ჭკუის მოკრება, მარტო კაცის შეშლილი სახე და თვალები უკარნახებდა, იმ წუთას რა ჯობდა. მაგრამ, ამ ბოლო დროს, ქმრის უარყოფამ და მთლად დედისეულ სახლში გადაბარგებამ, ობოლ ძმისშვილებზე გადაგებამ... სკოლა და მასწავლებელი ქალი... ისევ მკვდრებზე თავში ხელის ცემა და გმირ შვილებზე დარდი... მტოვებს, ძაღლად არ მაგდებს და უნდა დღედაღამ ვიმოთქმო და სახე ვიპოტნოო... თავაუღებლად, იქედნურად ჩაიპუტუნა:

— ვმღერი!..

— საქორწლოდ ხომ არ ემზადები?

— ჩემი შვილები მეყოლოს კარგად და რატომაც არა.

— ჩემი ძმის მკვლელებს იმოყვრებ, თუ...

— ჩემს შვილს ვინც ენდომება...

— ამიტომ მღერი?

— რატომ არ უნდა ვიმღერო...

— უნდა იმღერო! — და გაფრინდა, იქვე, ფეხებში წამოდებული სკამი.

თავი მესამე

1.

ბეჭში, კისერში და კეფაში დაჭრილ ბაკურს მხოლოდ თავდაღმა წოლა თუ შეეძლო. სისხლი და ჩირქი ზღვისპირა ნესტიან ჰაერს ხრწნიდა; გაბელთილ ბალიშის სიმყრალეში ცხვირჩარგულს უნდა ეცადა აღსასრულისათვის. აღსასრული აქ, ამ აქოთებულ სარეცელთან მოვიდოდა, სადმე, ყინულის ნაპრალში ცოცხლად ჩამარხავდა, ბესო კინწურაშვილივით ზურგში ტყვიას მიიღებდა, თუ ნაფლეთებად გაფატრავდა... დღეს მოხდებოდა ეს თუ ხვალ, ყოველი გაუსაძლისი წუთი მაინც ამის მოლოდინი იყო და სხვა არაფერი. გააჩნია, კიდევ რამდენი ხნის წამება ელოდა, რომელიც დაბადებისათვის მიესაჯა. კიდევ კარგი, თავდაღმა ჩამხობილს, კირგაცლილი, გაქონილი, ერთი მტკაველი ქვითკირის კედელი შეეძლო დაენახა, და არა ადამიანები, მასავით საძრაობაწართმეულნი. როცა მათი კვნესა, ურვა, გინება და ვედრება, დალეკერტებულ სისხლსა და ნეხვში აზელილი, ღია ფანჯრებიდან ჰაერს აქეთ კი არ უშვებდა, ერთთავად გარეთ მოედინებოდა, როგორც, ჭაობის ყროლი წყაროებით შექმნილი, აზიზნილი წუმპე.

ჰოსპიტალი სკოლის შენობა უნდა ყოფილიყო, ახლაც აჩნდა კედელზე ბავშვის წანაჩხაპნი. მრუდე წრე, წერტილი და მოკლე ხაზი. მეორე წერტილი და ტირეც უნდა დაესვა, რომ თვალები და პირი გამოსვლოდა. მასწავლებელმა შენიშნა, თუ სხვა ვინმემ შეუშალა ხელი, თუ ომმა მოუსწრო და საერთოდ დაკარგა ცელქობის და ხატვის ხალისი?

ეგებ მხოლოდ ბავშვობა შერჩა ადამიანს ნათელი, დაუვიწყარი და სამაგიდაზე წყლიანი დოქიც ეგულებოდა, მაგრამ უკვე ბნელოდა.

ქალი კიოდა. ფარნამ, საბოლოოდ, მაგრად გამოიხურა თავისი ხელით აშენებული სახლის კარი.

ყაროში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უკან იხედება, საიდან მოდის, ისიც რომ არ იცის და — სად. ბაკურს მეზობლის ბიჭის წყალში დახრჩობამ ადრე ასწავლა არარაობაზე ფიქრი, ბავშვობის უდარდელობა და ბედნიერი გულუბრყვილობა წაართვა. ახლა კი, უღელტეხილზე ბრძოლისას, მის თვალწინ განგმირული ბესო კინწურაშვილი, ან უფსკრულში ჩახოცილი ბიჭები, ან შარშან, აზოვის ზღვასთან, ოცმეთაურ სემიჩასნის დაღუპვა, ასის და ათასის... მეორდებოდა და მეორდებოდა. გამეორდება ამათთვისაც, ვინც ამ ჰოსპიტალში კვენსის და ბორგავს, და რატომ იბადებიან და იჟლიტებიან, ვერავინ ვერც თავს უპოვის, ვერც ბოლოს...

ვალია ჟიჟინას ბესოს მშობლების მისამართი გზიდან გაუგზავნა: ურმებზე და ცხენებზე აკიდებულ დაჭრილებს მისცა — ეს ქალი მოგაკითხავთ და გადაეცითო. დასავლეთ კავკასიის უღელტეხილებიდან, ერთადერთი გზა, ამ ზღვისპირა ქალაქში ჩამოდიოდა და ვინც ამ განუკითხავ ჟლეტას, ათასიდან ერთი, გადაურჩა, ვალია ყველას სათითაოდ იპოვიდა. თვითონ ბაკური კი, ვალიას როგორმე არ უნდა ენახა. ჯარისკაცები თანამებრძოლების დაღუპვას ოჯახს უმალავენ. იციან, შინმოუსვლელის ცოლი იმედის ცრემლთან ათენებს. მკვდარს კი დავიწყება ემუქრება. ქვრივი სხვისია, სხვის ლოგინს ახარებს. ვალია მიხვდება, რატომ მიუვიდა ბაკურისგან ბესოს სახლის მისამართი, რომელიც თვითონაც იცოდა. დაიჯერებს, რომ ბესოს კარგი არ სჭირს, მაგრამ მოკლულ ბესოს მნახველს სანამ არ ნახავს, რაღაცის იმედი მაინც ექნება.

— ექიმო! შენი დედა...

— ახლავე, ახლავე, გენაცვალე...

— მე არა ვარ დაჭრილი? სად მიდიხარ!

— თქვენთანაც... ყველას, ყველას... შურა, შურა, გამოადგი, გოგო, ფეხი!

— აგერ შემაჩერეს... რას მიფოთიალებ ხელს, შე უბედურო... მოვდივარ, თამარ ექიმო.

ბაკური იქ, უღელტეხილზე, არ უნდა გადარჩენილიყო, რადგან უკან ერთადერთი გზა იყო და ამ გზაზე თამარი იდგა. თუმცა, სადაც ასი გზა იყო, თავი მისგან ვერც იქ დააღწია. თითქოს ძალისძალითი გადაობა ღმერთმა ერთმანეთს, ვინც სანგრებში არ დაიღუპა, ალყაში დარჩა. გამოქცეულები წყალში და ზღვაში ჩაკლეს... და ეს ქალი საბედისწეროდ, გადაჯაჭვულივით, თან ახლავს. არც ის მოილტვის ბრმად ბაკურისაკენ. ხედავს, ეს ბიჭი ან არ არსებობს, ან სხვისთვის არსებობს. არც ისეთი ქალია, თავი მოიტყუოს, დღევანდელი დღით იცხოვროს და ჯოჯოხეთს წუთიერი სიამოვნება დასტყუოს.

— ბაკურ...

— არაფერი... არაფერი მინდა...

— იქნებ ოდნავ, სულ ცოტათი მაინც გადმობრუნდე?..

— არა, არ შემიძლია... არ მინდა... — ბალიშს ჩაკვნესა უილაჯომ და თვალები დახუჭა. იმედი ჰქონდა, ქალი მეტად აღარ გააწვალებდა.

დაჭრილებს, ალბათ, რაც შეუძლია, არც სხვა პალატებში აკლებს ყურადღებას, მაგრამ აქ თითქოს ბაკურზე უფრო ზრუნავს, და ავადმყოფებიც ამას გრძნობენ და ხედავენ. ილრინებიან, იგინებიან, ილანძღებიან, როცა აქეთ მოდის. ბაკური რომ ხმას არ იღებს, ჰგონიათ, ისე არ უჭირს, რაკი კბილის კბილზე დაჭერას ახერხებს, ან მყრალი ბალიშის ღეჭვით იოლს გადის. თამარი მათთან რომაა, თვალი აქეთ გამოექცევა, ან გული აქეთა აქვს და გაჭირვებულს, მის ღმერთად თუ ეგულები, რას გამოაპარებ. ეს ქალი ახერხებს გაწყრომისა და მუქარის გარეშე მათ დაოკებას. იცის, ვის როგორ... ცალ-ცალკე პოულობს მათში რაღაცა ისეთს, როგორიც მეორეს არა აქვს და რაც დრო გადის, ყველას სხვადასხვანაირად ელაპარაკება.

ის, ახლაც რომ იგინება, ორივე ფეხი აქვს დალეწილი, ადგილზე ძაღლივითაა დაბმული და ყეფს. სხვები უკვე დააჯერა: რაც ექიმის ხელთაა, არ დაუკარგავს. მათ შორის ბევრს ისიც გააგებინა, რომ ბაკურის მიმართ თუ სხვაგვარი ყურადღებითაა, ეს მათი წილიდან არაა. პირიქით, ბაკურის წყალობაა, გინების სანაცვლოდ რომ „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“ ესმით და თამარს ეს მხოლოდ კარგი ოჯახიშვილობითა და კულტურით არ მოსდის...

ამ ქალს ეკუთვნის, რომ იცხოვროს და ვინმეს უყვარდეს.

ბაკურის დედას რომ თამარის მეათედი გაგება ჰქონდეს, ოჯახში იმისთანა არეულობა არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, დაჭრილი შვებულებით რომ ჩავიდა, ასე მოეჩვენა. დედა რაღაცის დათმობას მოითხოვს, თუ გაგებას, მაგრამ რისას? როგორ ეწყინა მამას, დედამ ნაწნავი რომ მოიჭრა და „სტრიჩკა“ დაიყენა. ბაკურსაც დასწყდა გული. დედა ნაწნავიანი უყვარდა. მაშინ ლეონსაც კი წამოსცდა... „რაა-ა-ა-ტომ, დე-ე-და!“ მაგრამ, როცა დედ-მამას ამაზე უსიამოვნება მოუხდათ, შვილები დედის მხარეზე დადგნენ — დედამ ისედაც დაკარგა რაღაც მშვენიერი. მამა კი არა, დედა ებრალებოდათ. მამა ადანაშაულებდა დედას, თუ აშავებდნენ — შვილებსაც, მამის გარდა, არც დედას და არც მათ არავინ უსაყვედურებდათ. როგორ შეეძლოთ მამა დედასავით ჰყვარებოდათ. დედისთვის თითქმის არაფერი იყო გაუგებარი, თუ კარგ ნიშანს მიიღებდი, ჭამდი და შარვალს სარზე არ გადაიხევდი. მამასთან კი მუდამ იყო გამოუცნობი რაღაც. ზოგჯერ, კარგიც რომ ეგონათ, თურმე, ნუ იტყვი და, პირიქით ყოფილა. სკოლაში მამა ასწავლიდათ და შვილების კარგ ნიშნებს დედა თავის დამ-

სახურებად თვლიდა. ფარნა დასცინოდა: ნიშანი პირობითია, ბავშვის ნიჭიერების უნარს ვერ განსაზღვრავსო, დედა კი ამას საკუთარ შეურაცხყოფად თვლიდა, რაკი ეგონა, მამა მის გასაბაიბრუებლად ამბობდა ამას და მაშინვე იწყებდა კამათს: „მაშინ, რატომ მოიგონეს ნიშნები“, „რატომ არსებობს კარგი და ცუდი“, „შენ რას მოითხოვ, თვითონ არ იცი“...

...და, ახლაც, თუ მამუკა ისევ ცოცხალია და მამა იტყვის: „გმირობის მინიჭება, და ისიც მამუკასათვის, არ ნიშნავს, რომ ის მართლა დევგმირიაო“, დედა იმაზეც კი არ ეთანხმებოდა, რაც ფარნამ ხუთი თითივით იცოდა და ახლა ომის ამბავს დაუჯერებს? იმას, რაც ფარნას თვალით არ უნახავს?!

რუსუდანი შვილებისადმი რამდენადაც შემნდობი იყო, იმდენად მკაცრი გამოდგა ეს უკუღმართი წუთისოფელი. არც მშვიდობიანობის დროს იქნებოდა და იქნება იგი უკეთესი...

როგორ ტეხავს და ღრღნის, თითქოს კისერს ხერხავენ ბლაგვი ხერხით... ისე მაინც მოხვედროდა, სულ წართმეოდა გონება, ან სული იქვე, ბესოს გვერდით გაეცხო. მასთან სიკვდილი, ალბათ, უფრო იოლი იქნებოდა...

რაღაც ორ ლუკმას დაარიგებენ სადილად, ბაკურს კი ისე აქვს ჩამოწოლილი ყელში სიმსივნე, თითქოს შიგნიდანაც დალეკერტებული სისხლის ნაფლეთები ეკიდოს და თამარის ხელით პირში ჩაჩრილი ყოველი ლუკმის გადატანა წამებაა.

„რატომაა, მაღალი სიცხეებიც რომ მაქვს, მაშინაც რომ ვფიქრობ? — თითქოს ეს ბაკურისთვისაც უჩვეულო იყო. — ჩემი ცხოვრება, თუ არსებობა ფიქრში გადადის, ალბათ იმიტომ, რაკი ჩემი არავის ესმის, თვით მამაჩემს და ბიძაჩემსაც. ისინი არ დამიჯერებდნენ, რომ ადამიანი რაღაცისაგან, თუ ვიღაცისაგან დაპროგრამირებული მანქანაა. ბიძაჩემს, რომელიც სიკვდილის პირზე მიიყვანა იმან, რაშიც ბრალი არ მიუძღოდა, უნდოდა ჩემი გაეგო. და მაინც, მასთანაც, ბუხრის პირას რომ ვიჯექი, სადაც შეეძლოთ ჩემთვის მოესმინათ და მისმენდნენ, მაინც მარტო ალმოვჩნდი. ისინიც, ალბათ, ცალცალკე...

„თითქოს არაფერი მაკავშირებს ამ ქვეყანასთან და არც ის მინდა, თამარი ისევ საქაოსკენ რომ მიპირებს მობრუნებას“.

— ცოტა, ბაკურ, ცოტა უნდა მომეხმარო და ოდნავ გადმობრუნდე...

„ამ ქალის ხელებს უფრო ახლავს დედური, დედაჩემს უფრო ხეშეში ხელები აქვს, გრილ-ალერსიანი“.

„მაგრამ, ჩემთვის, მაინც შორებელია ისე, როგორც მამაჩემისათვის იყო დედაჩემი...“

„გუგუტა იმდენად უახლოესია და იმდენად ესმის ჩემი, იმდენი რამე გვაქვს ზიარი და განუყოფელი, იგი ვერასოდეს ჩემი ვერ იქნება...“

— დაიხუთები ასე, ბაკურ... პაშა, შენი ჭირიმე, იქნებ ბალიში... მაგრამ, სადაა მეორე ბალიში...

„არაა, მაგრამ იშოვის, ისე, რომ არავის სასთუმლიდან არ გამოაცლის, თავის მუთაქას დათმობს. პერანგს გაიხდის, ტყავში გაძვრება... გუგუტა ვერაფერს იზამს, წყალს რომ მივქონდე, ხმელ ჯოხს ვერ გამომიწვდის გადასარჩენად, მაგრამ თვითონ გადმომყვება, და ჩემთან ერთად წავა ფსკერზე. თამარი ყველაფერს იზამს რომ გიხსნას, თავისი თმებით დაწნავს თოკს... გატკენს, რომ მოგირჩინოს... ხელში აყვანილს გატარებს... თვითონ თუ ვერ შეძლო, სხვას გაუკეთებს შენთვის ყველაფერს და მოიხმარს შენს დასახსნელად... შეუძლია შენს სულშიც ჩაიხედოს, შენი ჭრილობა და სატკივარი გაითავისოს და ისე გიმკურნალოს. დაწვება შენს გვერდით, თუ ეს საჭიროა...“

„ვალია ჟიჟინას თავისი თვალით უნახავს, მან და ბესომ დამწვარ ტანკში რომ გაათენეს. თუ ვალია ბესოს მშობლებთან ჩავიდა, შეიძლება მისგან ეს ამბავი გუგუტამაც გაიგოს, მაგრამ ის ამისათვის არ შემიძულებს. მანამ არ

შემიძულებს, სანამ მე თვითონ არ ჩამიდენია ისეთი რამ, რაც თავს შემაზიზღებს. მაგრამ იგი სიძულვილშიც არ დამშორდება, ისევე, როგორც სიყვარული ვერ გვაახლოებს. ვერ გვაახლოებს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ოჯახებს შორის უფსკრული დევს, ესეც რომ ვერ გვთიშავს; ესაა, რაც გვაშორიშორებს".

იმ ღამის შემდეგ, რაც ფოთოლას სახლში, ძველ, ბნელ ძელურში მოხდა... მათი სხეულები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ეკვროდნენ, სიახლოვის ერთ ტანჯვად და სიხარულად ქცეულნი... და მაინც იმაზე ახლოს ვერ მივიდნენ ერთმანეთთან, მანამდე რომ იყვნენ. ქალიშვილმა ყველაფერი დაუნანებლად, წარბშეუხრელად დათმო და ეს იმაზე მეტი არ იყო, რაც მანამდე არ ჰქონდა გაცემული და მაინც არ იყო მანამდელზე დიდი სიახლოვე, მანამდელ ერთმანეთისაკენ ლტოლვაზე მეტი. არ იყო იმაზე დიდი ტკივილი და ბედნიერება, რაც იქამდე ერთმანეთისათვის არ მოეტანოთ. იმღამინდელმა სიახლოვემ ვერაფერი მოუმატა მათი მანამდელი სიშორის სიახლოვეს.

აი, თამარის ხელები რა ახლოსაა, რა მზრუნველია, თბილი... ცხელიც კი, მოალერსე... მკურნალი-მოალერსე. მცოდნე... მალამოსავით ხელები...

თამარი უფრო ახლობელია, გამგები, ჭკვიანი, მიმზიდველი... აქაც, ამ პალატაში, ის დაჭრილი, ვინც თვალში იხედება და გონება ემორჩილება, მის გამოჩენას სიხარულით ელის, და აღიზიანებთ ბაკურის ჯირკვით უგრძნობლობა.

თამარი ორი წელიწადია ომშია და სინაზე და კდემა დაჰკარგა, მაგრამ მაინც ქალურია; თუმცა არასოდეს თავისი ქალურობის ტყვე არ გამხდარა და ქალურ სისუსტეებს არ მინდობია... არა ჯარისკაცივით მებრძოლი, მაგრამ ჭირში გამტანი და გზის გამკვლევი. ერთგული, უანგარო. მან იცის ვიღაცა „სხვა" ქალის არსებობა და სიყვარულს თავი მაინც ვერ დააღწია. მაინც იმ სულით ცხოვრობს, რითაც ბაკური სუნთქავს. ბაკურს რომ გაეღო გული და შიგ შეეშვა, თამარი იმ ქაოსშიც იპოვიდა ბილიკს. ყოველშემთხვევაში, ამ ქვეყნის დაქცევისას თუ არა, მერე მაინც, თუ მშვიდობა ეღირსებოდათ. არაფრის დიდებით არ მოეშვებოდა. შეჰყვებოდა იმ გაუსაგისში და გამოსავალს დაუწყებდა ძებნას, თავის ლამაზ, თეთრ მუხლისთავებზე დაჩოქილი ივლიდა ლაფში და წუმპეში, თოვლსა და ქარ-შიშხათში... რომ ბაკური ბნელეთიდან გამოეხსნა.

ბაკური ამას დიდი ხანია ხედავდა. მაგრამ ესეც იყო ის, რაც თამართან აშორებდა. უგზოობა იყო ბაკურის გზა, სიბნელე — ყოფა. მას კი თავისი ბნელი, ცივი ქოხი ჰქონდა და, სინამდვილეში, თამარი გარეთ დარჩებოდა. მართალია, ბაკურის იქ დარჩენა დაღუპვას უდრიდა, მაგრამ ეს დაღუპვა და დაკარგვა იყო მისი არსებობა და არა რაღაც გზის პოვნა და თავის დაღწევა. ადამიანი განწირულია, გამოსავალს ბაკური ვერ ხედავს და დაღუპულია, მაგრამ ესაა მისი საცხოვრისი და, აწვიმს თუ ათოვს, თავისი უფანჯრო ქოხი აქვს. იქიდან მისი გამოყვანა სხვის ქვეყანაში ცხოვრებას ნიშნავს, ან არცხოვრებას. ხსნა დაღუპვას უდრის, დაღუპვა — ცხოვრებას.

თამარს ცხოვრება ისე ესმის, როგორც ადამიანს უნდა ესმოდეს და ამდენად, მიახლოებისას, საბოლოოდ აცდებოდნენ ერთმანეთს. და ის გაგება, რაც აქამდე არსებობდა, გაუგებრობად იქცეოდა. თამარი იწვა ბაკურთან, როცა უმისობა არ შეიძლებოდა, როცა სხვა გზა არ იყო, მაგრამ გიმნასტურის არც ერთი ღილი არ შეუხსნია. გუგუტა კი მოულოდნელად, სადაც არაფრით არ შეიძლებოდა, ისეთ პირობებში და ოჯახში, ქალმა კოცნა რომ არ იცის რაა, შიშვლდება. შიშვლდება დარწმუნებული, რომ შენით იგი ვერასოდეს შეიმოსება და ეს სიახლოვე შენს თავს კიდევ უფრო დააშორებს. ისედაც სულის შემხუთავ გარემოს გააუარესებს, შუღლს შუღლი მიემატება, გაუტანლობას — გაუტან-

ლობა და მტრობას — მტრობა. მაგრამ გუგუტა ყველაფერზე მაღლა დგას.

გუგუტას შეეძლო ათასი კილომეტრის იქიდან დაეშორებინა თამარი ბაკურისაგან, თუნდაც ერთ ლოგინში წოლილიყვნენ. თამარს კი, იმავე ლოგინში, არ შეეძლო ცხრა მთას იქით მყოფი გუგუტას ადგილი დაეჭირა.

გუგუტა გამოსავალს არ ეძებს, იგი თავგანწირულად მონდობილია და იქაა, სადაც შენ. უკეთესს არ ეძებს, ან არ ეგულება. რასაც შენ ვერ ხედავ, არც მან იცის იმის არსებობა. იგი შენ გვერდითაა, თუ ცხრა მთას იქით — შენთანაა. იგი კი არ გნებდება, ბედნიერია ამ შეერთების უბედურებით. და, როცა ეკვროდა, ეხვეოდა და ეალერსებოდა, ეს იყო ერთ სხეულად ქცევა, ერთ მთლიანობად, ერთ სისხლად და ხორცად. იქ არაფერია ნაპარავი და ნასხვისარი. ყველაფერი საკუთარი და ალალი, სხვისთვის მცირედიც გაუმეტებელი და ერთმანეთისათვის კი უანგარიშო, დაუზოგველი... შეწირვა და არა დაბრუნება—რაც ვაჟის იყო და აქამდე ქალს ეკუთვნოდა, რაც ქალის იყო და აქამდე ვაჟს ებარა ტვირთად და ტანჯვად. ის ღამე მოულოდნელიც იყო, შემთხვევითიც და კანონზომიერიც. ამიტომ იყო ის ქოხი შეურყვნელიც და წმიდათაწმიდაც. ამიტომ იყო ის ძელური სანთიობოც და მწირის ქვაბიც, წმინდა სამსხვერპლოც.

ის ღამე, არც ერთმანეთის ცდუნება იყო, არც ვნების აწყვეტა და თავდავიწყება. არც ვინმეს ღალატი და გაუტანლობა, არც ერთმანეთის ერთგულება, არც მიახლოება და განშორება. არც იმ ღამის შემდეგ გამხდარან უფრო ახლობლები, ვინემ იყვნენ და არც იმაზე მეტად დაშორებულან, ვინემ მანამდე.

გუგუტა ყოველთვის იქ იყო, სადაც ბაკური იღუპებოდა და მისთვის ეს არსებობას ნიშნავდა. ის ბაკურის საცხოვრისის იქით ცხოვრებას ვერ ხედავდა. მისთვის ის უიმედობა იყო იმედი და ის თვითმკვლელობა — სიცოცხლე, რასაც ბაკურის არსებობა მიჰქონდა.

2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩამოჯექი, ეფროსინე, ერთხანს!..

— კი ვარ წელში გადაწყვეტილი, მარა ექიმი მომისწრებს... დაიწვა ჩემი გაჩენის დღე და წუთისოფელი...

— ჩამოჯექი, ჩამოჯექი, აგერ ჩამოჯექი! სადა მაქვს შეჭმის თავი. ფაფას რომ კბილი ჭირდებოდეს, რა ხანია შიმშილით ამომხდებოდა სული.

— კალე, არაფერი გჭირს, ახლა, შენ იმისთანა.

— ყბა და კბილები რომ ჩამინგრია, ცოტა ზევით აეწია, იმ ჩემს ამომგდებს, და ბარემ დავისვენებდი, თუ შენ მაინც უნდა მოგეკალი. ჩამოჯექი, აგერ ლოგინზე, რომ გეხვეწები.

— არ გააჩერებ, შენ, კალე, ხელებს?.. ქვეყანა კი იქცევა, მარა თავმოჭრილი სიკვდილი არ მინდა.

— ვინ გიყურებს, ვისა აქვს შენი თავი.

— დიდუ, სავსეა აქაურობა ხალხით.

— ვიღანაა ხალხი, სადაა ხალხი, თვარა კი...

— ჯერ ქე უდგათ პირში სული. ის რუსი, საწყალი, ვერ გაატანს ამელამ.

— მაგი, გადარჩება გგონია? რაც მოასვენეს, მას აქეთ თავდაღმაა დამხობილი...

— გაჩუმდი, კალე, არ ეყურება გგონია? და, ხელი გააჩერე, თუ კაცი ხარ!

— ხელიღა დამრჩა საძრაობა წაურთმეველი...

— მერე, არ უნდა გააჩერო?

— იჯექი, მოიცა, ჩემს თავს გაფიცებ, ეფროსინე, ჩემს თავს... ე, ჩემი მეზობელი, გვიანობამდე არ მოვა, ხეტა სიარული შემეძლოს, თვარა, აქ შემოვიხედავდი?

— მის გარდა აღარავინაა? გინდა გამომაჭენო, კალე?!

— იქითა მწკრივი ჩვენ არ გვეხება, თავისთვისაა.

— აგერ, შენი მეზობლის მეზობელი?

— ძინავს მაგას, ვერ ხედავ, გადაბრუნებულია?

— დალამდეს მაინც... სად მიყოფ, ადამიანო, ხელს!

— მუხლებზე მოგისობ, რა გაყვირებს...

— რომ მეცოდები, თელათ ნუკი გატუტუცდები!

— გეცოდები, გეცოდები... მარა, სულ არ გიყვარვარ?

— რა ვიცი, კალე, სიყვარულის დროა, ეს დასაქცევი და დასამხობი?!

— აბა, ახლა დავიჯერო, მეორედ მოვალთ სიყვარულიზა, ქვეყანა რომ ქვეყანას დაემგვანება?

— ე, კაცო, გააჩერე ხელი, რა იცი... უნდა გააწვალო ადამიანი.

— წვალდები, მოგიკვდა კალეს თავი? თუ წამოვდექი, მე ვიცი შენი პატივისცემა.

— ჩუ, ადამიანო! კაცი წევს აგერ.

— პატივისცემა-მეთქი, რა ვთქვი ისეთი...

— რავა თქვი, მერე, მაგას ვერ გაიგებს?..

— გადარჩეს ცოცხალი და მაგდენს კი გვაპატიებს.

— ღმერთმა გადაარჩინოს, მარა მაგან რომ მოიხედოს, აქ ფეხის შემომდგმელი ვარ!?

— ვა, შე ქალო, მაგი თუ ძველი ფრონტელია, მაგას რომ უნახავს, ქალის ხელის შესობა გააკვირვებს?

— კალე, რავა გგონია, არაფერი საშველი გაჩნდება?

— მე ვერ მოვესწრები და, შენ ღმერთმა გიშველოს. დეიწიე პატარაზე...

— ე, კაცო, ნუ გადამრიე თელათ, ხალხია აქ!

— ვითომ მაგ ტუმბოჩკის ძირში რაღაცას ეძებ და გაკოცებ, კი არ შეგჭამ.

— მერე, რო აღარ დააყენებ საშველს...

და კალე ერთხანს სუნთქვაშეგუბებული დააფრინდება ეფროსინეს ტუჩებს. მერე ისევ ქალი იმარჯვებს, წაართმევს თავს და ისმის ვნებაატანილი კაცის ქლოშინი. ყბაში, საღეჭი კბილების ძირში აქვს მოხვედრილი ნაღმის ნამსხვრევი, ცალი ბარძაყის ძვალი დაღეწილი და მეორე ფეხის მუხლის კვირისტავი დაქიაქებული. არც ანებებს ფეხებს მოსაჭრელად, არც ურჩება.

— ჩამოწექი, ეფროსინე, ერთხანს. — ჩურჩულებს პირზე დორბლმომდგარი კალე, — მასე, გაუხდელად...

— გადაირიე, კალე, შე უბედურო?!

— მოიცა, ნუ გარბიხარ, აქეთ მოიწი, მუხლისთავზე გაკოცებ.

— ვაიმე, ღმერთო მომკალი, რას შობა!..

— მოიცა, ეფროსინე, ერთ წამს. ხვალ რა იქნება რა იცი, იქნება მეტად არც მეღირსოს ქალის სიახლოვე...

— ამეღამ მიდიხარ სადმე თუ?

— მძიმე ავადმყოფები თბილისისკენ მიყავთო და, რა ვიცი.

— მართალია, კალე, მაგი?.. — და, ეტყობა, თმას ისწორებს ეფროსინე, ხმაზე ეტყობა, პირით სარჭი უჭირავს და კალე ერთხანს კიდევ უკოცნის მუხლისთავებს.

— კაი ახლა, კალე, შენი ჭირიმე, კაი!.. — ეტყობა იხრება ქალი, რაკი თვითონაც კოცნის... — კაი, აგერ ჩამოვჯდები, ექიმი მოვა, ხო იცი, ამ უბედურს წუთით არ ტოვებს.

— მაგენიც ერთ სოფლიდანაა? ეტყობა, ადრეც იცნობდნენ ერთმანეთს, აბა, რაც მოიყვანეს, გუშინწინ თქვა ორი სიტყვა...

— ვიცი, გახარებული იყო თამარი. შენთანაც მაგი მიშვებს, მიდი, მიაკითხეო. მეც მოვალო, მარა სანამ მე არ მივბრუნდები, მიცდის... ფრონტზე ნამყოფიცაა...

— ქე კი ელევა თავზე და შენსავით კი არაა. სანამდი მოასულიერებდა აქ უჯდა და უწვა.

— კაი ახლა, კალე, ვიღაც მოდის...

— რა ბედნიერია, ვისაც სიარული შეუძლია!

— შენც გეივლი, ნუ გეშინია.

— ფეხი რომ მომჭრან? რას ამბობს ექიმი...

— ჩუ!.. ე, რავა შემოგლიჯა კარი? შენი მეზობელიც მევიდა...

— რა ეჩქარებოდა!.. ეფროსინე, სოფელში არ წახვალ?

— ვინ გამიშობს, კალე, სოფელს დევეძებ კი არა, თვალებში შევციცინებ დიდს და პატარას, ფრონტზე არ მიკრან თავი... დეიწვა ჩემი გაჩენის დღე და საათი, რა მინდოდა საფერშლოზე რომ მოვრბოდი, მარა შენ რო ბუღალტრობა მეინდომე... მაინც არ ვუნდოდი დედაშენს და...

— ახლა, მიტო მინდა ჩახვიდე ერთი და, თუ გადარჩენა ჰქვია ჩემს ყოფას, შენ ჩოუტანო ამბავი...

— არ დავეძებ, ვინ ჩოუტანს... შენ კარგად იყავი და... წავედი ახლა ბინაზე, ბიცოლაჩემსაც უნდა წოვუკრა ხელი საქმეზე. ქე იცი, ოთხი ბოვში ჰყავს უპატრონოდ, ერთმანეთზე თავწაუწეველი.

ქალი რაღაცას უფათურებს, უკეცავს, უსწორებს, ულაგებს და გადის, მაგრამ კალე აქეთ, ბაკურის საწოლისკენ გადმოკიდებულ ხელს, წასვლისას, წვივზე ისევ უწვდენს. ეფროსინე საწოლებს შორის წაიფორხილებს, უფრო, ალბათ, ვნებით, და ფაცხაფუცხით ეცლება იქაურობას.

— რა ჰქენი, ბოძაშვილო, ვერ „გაფრინდი“? — ეკითხება ყელში ვნებაწაჭერილი კალე იქითა მეზობელს.

— წამოწვიმა... — მოკლედ უხსნის მოსული უფრო ასე მალე მობრუნების მიზეზს, ვინემ „გაუფრენლობის“.

— წვიმამ შეგაშინა, შე კაცო? — კალეს ხმაში საყვედური ჟონავს.

— ტყულა ნუ აწვალებ მაგ გოგოს, შენ, და შენც ნერვებს ნუ იგლიჯავ.

— დაველაპარაკე ორი სიტყვა...

— არ დაიჯერო მაი, — შეხტა ბოძაშვილის მეზობელი, კალე რომ ქალს არწმუნებდა, „სძინავსო“, — შემოახია, საწყალს, კაბის ქვედაწელი.

— სალუქვაძე, რეტო გეიტეხე ძილი?.. — ეკითხება კალე ახლა მეორე მეზობელს და სულ არ წყინს მისი „ძილგატეხილობა“.

— ვაჟაუ, გეყურება? — ბოძაშვილთან აპირებს თავის მართლებას ანზორი, — კინაღამ მუთაქად მიხმარა და რატომ არ გეძინაო, ძამია, ამას მე სიმინდის ულვაშით გატენილი ვგონივარ, თუ იცი?!

— გაჩუმდით, თქვე შობელძაღლებო, კაცი კვდება აგერ! — იყვირა იქითა მწკრივში ვიღაცამ.

იქითა მწკრივის „მობინადრეებს“ ბაკური ხმით ვერ არჩევს.

— ჩვენ არ ვკვდებით?.. — ჩაიჩიფჩიფა კალემ. — რავა ტყულა გოუკეთეს აპერაცია და ტყულა აწვალეს!.. არც მე გადავრჩები, ალბათ...

თამარი, პაშა და ეფროსინე შემოვიდნენ პატრუქდაწეული ლამპით და მომაკვდავს მიაშურეს; ჰო, ვიღაცა კიდევ ყოფილა მათთან, გაჰყავთ, უდღეური.

3.

ტკივილს გაუჩნდა სატკივარი და გაყრუა. ცნობიერება გამოეყო გამწარებულ ხორცს და ბაკური ახერხებდა მოესმინა, ან ეფიქრა ისე, რომ ზურგზე მოკიდებული გვემა მხოლოდ ტვირთად დარჩენოდა.

როგორმე სოფელში არავის გაეგო, სად იყო და რა დღეში იყო. ვალია წასულა ბესოს მშობლებთან, მგონი თამარმა უთხრა ამის თაობაზე; აქ რომ მოიყვანეს, რისი თავი ჰქონდა, მაგრამ ეს ამბავი თავის სატკივარზე დიდი იყო და ახსოვს. იქ კი არა, აქ, პარმენმა და მისმა გულმანკიანმა ნაშვილებმა გოგომაც არ გაიგონ... ეს უნდა უთხრას როგორმე თამარს. მაგრამ თამარმა არ იცის ეს? ნუთუ თვითონ არ ეცდებოდა, ყველაფერი საიდუმლოდ შეენახა და ბაკური „თავისთვის“ დაეტოვებინა, სანამ მომჯობინდებოდა. სანამ მისი „საკუთრების“ უფლება ჰქონდა, ხელიდან გაუშვებდა?

ნუთუ თამარი გუგუტაზე შურს არ იძიებს? როცა ამას წინათ, ხელში ორგან დაჭრილი ბაკური, შვებულებით სოფელში რომ ჩავიდა, გუგუტას „დარჩა“. თამარი მარტო თვალებით არ იხედება და ყოველთვის ხედავდა, ვაჟი რომ მის გვერდით იყო და მისი არ იყო. ისიც იცოდა, ბაწარი რომ ჩაება, ბაკური იმ გოგოს გადაანასკვავდა. „ის“

პირველი იყო და აქ ბრძოლა, იურიდიულ-მორალურად, წაგებული იყო. ამ დროს დათმობა ჯობია იმისა, რაც შენი არაა, თორემ ვინ რისი დამთმობია. რაკი შენი დამწველი ცეცხლი ანთია, თუ ჭკუა გეყო, იცი, ქარი აღარ უნდა. თუ რაიმეს იმედი მაინც გაქვს, ან არ შეგიძლია, წყალწაღებული ხავსს მაინც არ მოეჭიდო, მაშინ ხავსი ისაა, რომ შენ „თანაუგრძნობ“. რომელ ცოცხალ არსებას შეუძლია ამ დროს თანაგრძნობა, მაგრამ თუ უამისოდ სამუდამოდ კარგავ, რის გარეშეც სიცოცხლე არაა!? ეს „თანაგრძნობა“ ყველაზე საშინელი სიცრუეა, რაც თამარს ჩაუდენია, ან ჩაიდენს. ეს ცარიელა, მუხანათური ჭკუაა, ხელსაყრელი მომენტისათვის ჩასაფრება. სოფლიდან რომ ბაკური მაშინვე დაბრუნდა და თამარი ცას ეწია: „მე შენ ყოველთვის მეყვარებიო“... კარგად იცოდა, მაშინდელ გუნებამოშხამულ ბიჭს, ეს სიტყვები ვერ გადმოიბირებდა, მაგრამ ნათქვამი არც ის თესლი იყო, ჭაობში ჩამპალიყო. თუ, რა თქმა უნდა, უბედურება არ დატრიალდებოდა, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო და არის ჩასაფრებული, რამაც ბაკურისთანა უნდილი ჯარისკაცი კი არა, ბესო კინწურაშვილი დაღუპა.

ახლა თამარი ყოველნაირად ეცდებოდა ბაკურის აქ ყოფნა ვერავის შეეტყო. მას უნდა, იგი მხოლოდ კი არ გადაარჩინოს, თავისი სულიც ჩაუდგას. გასწევს დედობას, დობას, ძმობას, საბედნიეროდ, მკურნალიცაა. თან ქალია. თუ ბაკურს იმ გოგოს იქით გაუხედავს, თამარი დაუნახავს. თამარს კიდევ ერთი საიმედო რამ გააჩნია: ბაკური მისი ნამდვილი და პირველი სიყვარულია. ეს მამაკაცისათვის პატარა ამბავი არაა. კაცი, თუ „გახარჯულია“ და ქალიშვილს შეურყვნელი, უბიწო სიყვარულით უყვარს, ეს მის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებს, ქალის უპირატესობას აღიარებს და, რატომღაც, უპირატესობისაკენაა მუდამ მიმართული ადამიანის ცოდვილი სული. მასზე უკეთესი უნდა იყოს ის, ვისაც ინდომებს; ამით თვითონ აგებს, რაკი ეს „უპირატესი“ ბატონდება. თითქოს კაცს ეგოიზმის გამო, პირიქით უნდა იყოს. უნდა ცდილობდეს, უპირატესობა მას ჰქონდეს და პირიქით კი აკეთებს. რაო, ვითომ უარს ამბობს თავკერძობაზე?! არამც და არამც, როგორ შეუძლია უარი თქვას თავის ბუნებაზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, პატივმოყვარეობა და ეგოიზმი ღუპავს — აპირებს მასზე უკეთესის, მასზე მშვენიერის დაპყრობას, დამონებას და თავისივე ანგარების მსხვერპლი ხდება.

განა თამარს შეუძლია, ვინც უყვარს მასთან იყოს და სხვას ეკუთვნოდეს? ადამიანის თავკერძობა და ეგოიზმი ამას აპატიებს? ცეცხლში და ზღვაში სიკვდილ-სიცოცხლის გზა ერთად ედოთ და ბაკური კი სხვას ეკუთვნოდეს იმიტომ, რომ ერთ სოფელში დაიბადნენ? ახლაც, სიკვდილს უნდა გამოგლიჯო და მერე ბედნიერი იქნები მათი ბედნიერებით? ეს, თუ ვინმეს უთქვამს, ან დაუწერია, იმიტომ, რომ საწყალს გულუბრყვილოდ მოუნდომებია ადამიანი მოექცია და სიკეთის გზაზე დაეყენებია, რაც წყლის ნაყვაა.

ბაკური აღარც ბავშვია, მაგრამ ჯერ მამამისის კერკეტა გენმა, მერე ბავშვობაში მეზობლის ბიჭის დახრჩობამ, ბიძის უდანაშაულოდ წამებამ და ავადმყოფობამ, დედ-მამის შორის უფსკრულმა, ძმებმა, სოფელმა, ქალაქმა, წიგნმა და ამ ბოლოს ომმა, რომელიც ადამიანის მხეცობის და გაუტანლობის შედეგია, იმდენი ასწავლა, თამარს კი არა, უცხო კაციშვილს რა უდევს გულში, საუბედუროდ, იცის. არადა, ადამიანი თუ დედამიწაზე ღარღილს აპირებს, ეს არ უნდა იცოდეს, რაკი, სინამდვილეში, მართლა არა აქვს აზრი.

კალესთვის აქვს აზრი გადარჩენას და სიცოცხლეს, რაკი ეფროსინე უნდა გაუგზავნოს დედას და დაუმტკიცოს, არაა ის მართალი, სარძლო რომ არ მოსწონს. თამარისათვის აქვს აზრი, რაკი ბაკურს უნდა დაანახოს, რომ გუგუტა ვერ გადაარჩენს, მხოლოდ მას შეუძლია მისი ხსნა და „შეუძლია“, ბაკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვას ეკუთვნოდეს, და მაინც უყვარდეს. აკი, ამას წინათ, მან გაუხერხა შვებულება და „მასთან“ გაგზავნა. აქაოდა, მასზე დიდსულოვანი და „წვრილმანებზე“ ამაღლებული ვარო. არანაირ მსხვერპლს არ ერიდება გამარჯვებისათვის.

ომიც ესაა და სხვა არაფერი, რაკი მის ეგოიზმს გამარჯვება უნდა. და ერთ ომს რომ იგებს, მეორეს იწყებს, ესეც რომ მოიგოს, ახალს წამოიწყებს, ეს უნდა იცოდეს და იცის, ალბათ, ინგლის-ამერიკამ და ახლა ჩვენთან, ერთად უნდა არ უნდა, ითმებს. ისე, როგორც მე გამიშვა თამარმა გუგუტასთან თავისთვის, ასე თავისთვის იქნებიან ჩვენი მოკავშირეები.

ბოძაშვილი „ფილოსოფოსობდა“ ამ დილით: „ამერიკა და ინგლისი როდის იყო ჩვენი მოყვარეო“...

მაგან, კალემ, იქით ზაურმა და სხვებმა, სანამ ამ სისაძაგლეს ისწავლიან, უნდა იცოცხლონ. ბაკური ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბიჭი უნდა იყოს, რომელსაც: თამარის „დიდსულოვნება“ აღაფრთოვანებდეს, ბესოიას დაღუპვაზე უნდა ტიროდეს და ბიძამისის დარდით ჭრილობები უნდა ეხსნებოდეს. ძმის გმირობა უნდა ეამაყებოდეს და ინგლის-ამერიკის საომარი კავშირი აიმედებდეს, რომ გაიმარჯვებს და ჩინმედლებით გაჯგიმული დაბრუნდება... რა თქმა უნდა, ალბათ, ბედნიერიც და იქნებ უფრო უკეთესი, თუ სამუდამოდ ასეთი დარჩებოდა, იქნებოდა.

„უკვე გვიანაა. — კვნესოდა ბაკური, — მამაჩემის იმედიც აღარა მაქვს, რომ რაიმეს ისეთს მეტყვის, არსებობის არსში დამაჯერებს, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ აქვს რაიმე „საბუთი“ და ისიც იმისთვის არ იბრძვის, რომ უნდა „იბრძოლოს“ და იმისთვის არ არსებობს, რომ „იარსებოს“. მე არაფერი აღარ მრჩება აწი სასწავლებელი და არაფერი მექნება ისეთი, რასაც სიხარულს ეძახის ადამიანი. თუ ჯარისკაცისათვის გამარჯვებას და დამარცხებას ერთი ფასი აქვს, ის ჯარისკაცი მკვდარია.

4.

წინასწარ რაიმე დასკვნების გამოტანა მაინც ნაადრევი გამოდგა.

— „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, — თქვა ვაჟა ბოძაშვილმა, როცა თამარმა ბაკური მარცხენა გვერდზე გადმოაბრუნა და ზურგთან ბალიშები ჩაუტენა.

კალე მელაძე გულაღმა იწვა, ჭერს უყურებდა და სადილი, თუნუქის თეფშით, გულზე ედო. შეუცდომლად იღებდა ხელით ლუკმას. ბოძაშვილს მარჯვენა, მართლაც თვითმფრინავის ფრთასავით ჰქონდა მავთულების არტაშანზე თაბაშირით დადუღებული.

ბაკურმა, ბარემ, საბნიდან ხელის გამოყოფაც სცადა, მაგრამ ბეჭის ჭრილობამ მწარედ შეახსენა, რომ სული ისევ თავის დაბზარულ ჭურჭელში იდგა.

თამარს ეწყინა.

„რა ეწყინა? ხელის განძრევა რომ მოვინდომე? — ბაკური სახეში შეაჩერდა. — ეშინია მისი ძიძაობისაგან თავი არ დავიხსნა?“

თამარი წყენასა და სიხარულს ნაცნობი, გაცვეთილი ჟესტებით არ გამოხატავდა, მით უმეტს, არაფერს ამბობდა, მაგრამ ცხვირის ნესტოები აუთრთოლდებოდა და ოდნავ გაუხშირდებოდა სუნთქვა.

— ფაფა არ ჯობდა? — ესლა ჰკითხა ქალს იმის მაგიერ, რომ საერთოდ თავს დამანებებდე და ყველაფრისაგან დავისვენებდეო?

— ალბათ. — დაეთანხმა ქალი ნათქვამზეც და უთქმელზეც. ოთხ თითში მოქცეული ლუკმა პირში ჩაუდო.

— არა, ისე, უნდა ადამიანს რწმენა... სიყვარული უნდა... — რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა ბოძაშვილი.

— უნდა, აპა არ უნდა?! — პირთან მიტანილი ხელი გაუჩერდა კალეს.

— აჰ, სალუქვაძე, შენ რას იტყვი? — ბოძაშვილს რაღაც მადლობასავით უნდოდა ეთქვა თამარისთვის, რადგან ექიმმა ქალმა გადიობა იკისრა.

— არჩილ, მაცალე ძამია, იმ კაცმა ეს ამერიკიდან გამომიგზავნა და ნუ გამაკვეხე პირში.

— არაფერი არ უნდა, ბატონო, მაგას მეეშვი, — ეწყინა კალეს, სალუქვაძე მაშინვე რომ ვერ მიუხვდა ბოძაშვილს.

თამარს ჯამში ლუკმის დასასორსოლებლად მომარჯვებული თითები გაუჩერდა... ვიღაცამ, იქითა მწკრივიდან, თავის წამოწევა მოინდომა და ლოგინზე, ბალიშისაკენ, ოხვრით გაჩოჩდა.

— კი, აბა... ჩვენ რომ გადაგვხდენია, რამ გადაგვარჩინა? ადამიანმა... — ბოძაშვილმა იცოდა რაღაც წიგნიდან და ხალხიდან ყურმოკრული სიბრძნე და არც თვითონ იყო ფსკერგავარდნილი ქვაბი, რაღაცა თავისთვის არ დაეტოვებინა, და ამ ზედ გადაგებული ქალისთვის არ ეგრძნობინებინა, ეგ თუ არა, ჩვენ ვართ მადლიერნიო. — მოძულებული რომ გაქვს წუთისოფელი, შეხვდები ადამიანს...

— ტყვიას რომ გესვრის, ისეთს... — „დაეთანხმა“ ბაკური. ეს თამარს თავის თავზე არ უნდა მიეღო, მაგრამ საერთო ატმოსფერო კი მოიწამლა.

— მაცალე, თუ კაცი ხარ, აგერ, ზაურისა არ იყოს, შემარგე ეს ამერიკული ბუს კვერცხები... — ეწყინა კალეს: ჩვენ შენკენა ვართ და შენ თუ ეშმაკისკენ, რა ვიცოდიო.

— კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა... — ჩაილუღლუღა ბოძაშვილმა.

— „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა“ — გაიკრიჭა ზაური და გულდაწყვეტილი ფშაველი შეაგულიანა. მოკრიალებული ჯამი „ტუმბოჩკის“ ზევით, ხარახურაზე, ფრთხილად დადო.

თამარი რომ გავიდა, კალემ ამოიოხრა:

— ჩემი ეფროსინე რომ მაგის ფრჩხილადაც ღირდეს, რა მომკლავდა...

— არჩილ ბოძაშვილო, რა აქვს ეფროსინეს ამ ყაზილარის დასაწუნი!

— „ნეტავი თასად მაქცია, რო ღვინით აგევსებოდე. დაფერილი მქნა წითლადა, შემსვამდე, შეგერგებოდე...“ — ხალხური პოეზია მოიშველია ბოძაშვილმა.

— ქალი მზათაა ამ უკბილოს შეაჭმევინოს თავი და გეიგონე, არჩილ, რა თქვა?!

ბაკურმა თვალები დახუჭა, ისევ თავის თავში ჩაიძირა: თამარი იმას არ აკეთებს, რაც არ უნდა, მაგრამ გუგუტასაც ენდომება და ვერ გააკეთებს. თამარი, რომ ინდომო, არ დაგნებდება. თანაც, იმედი ექნება, რომ მისი ხარ, თორემ ისე შენ ამას არ ჩაიდენ. გუგუტამ კი იცის, რომ მისი ვერასოდეს იქნები და ამაზე მაინც არ იფიქრებს. არც ვნება გაუჩნდება ისეთი, თავს ვერ აჯობოს, ან ამას ვნების გაჩენამდე ჩაიდენს. თამრო, ბოლოს და ბოლოს, ქალია და საყვარელ ვაჟთან შეიძლება შეცდეს... გუგუტას შეცდენა არ შეიძლება...

გუგუტას მამამ დაასმინა ბაკურის ბიძა. იმდენი იყო მასში თავკერძობა და ეგოიზმი, შეთხზა, შეთითხნა ყოველგვარი სისაძაგლე ადამიანის დასაღუპავად და დაღუპა, საშვილიშვილოდ ამოჭამა? შვილი და მომავალი „გააღატაკა“ თავკერძობისაგან? შვილსა და მომავალს გამოაცალა ადამიანური და არაადამიანად აქცია?...

ამას იქით ბოროტება არ მიდის, ამაზე უარეს ვეღარაფერს ჩაიდენ.

და რა მოხდა, ავკაცობის სამანს მიადგა? უკეთურობას დაედო ზღვარი? დაიღალა სიავის გენი, დაცვდა და თავისი თავი უარყო?

ხომ ხდება: ერთის მხრივ ჩვეულებრივი, „რაც მამა იყო, ისაა შვილი“, და მეორე მხრივ, არანორმალურის შვილი ან შვილიშვილი, უცებ, ასევე, არანორმალურ ნიჭსა და ნათელხილვას წარმოაჩენს. რაღაც, უკუშექცევადი ხომ არაა? ან, ამ უკიდურესობიდან იმ უკიდურესობას მიხეთქებული. სისულელიდან — სიბრძნემდე, სიგიჟიდან — ნიჭიერებამდე, ძუნწობიდან — ხელგაშლილობამდე, ღალატიდან — ერთგულებამდე, გამცემლობიდან — თავგანწირვამდე და სათნოებამდე? ნუთუ

შეიძლება შთამომავლობას მთლიანად ჩაეწვას ის ნერვი, რომლითაც ასე მდიდარი იყო მისი წინაპარი?..

„თამარია ის ქალი, ვისაც ცხოვრება შეუძლია, დაეყრდნოს... ბედნიერი იქნება ის, ვისაც ასეთ[illegible] ადამიანი გვერდით ეყოლება!.. იგი[illegible] არსებულს, ყველაფერს დაინახავს, გაიგებს, შენს ჭირსა და ლხინს გაიყოფს. მაგრამ, თუ აღარაფერი იქნება დასანახი, იქ რაიმეს დაინახავს? აი, რასაც გუგუტა... რომელიც არაფრის დანახვას არ ეცდება, თუ შენ არ ხედავ. თამარი მიენდობა სიბნელეს და სიცარიელეს? მოგენდობა, მაგრამ ისევ და ისევ სინათლის ძებნას დაიწყებს... და ეს მაინც სხვაა: ცხოვრებისეული, ადამიანური, სიცოცხლისეული. სხვანაირად არ შეიძლება... მაგრამ არარსებულში შენთან ყოფნას ვერ შეძლებს, რაკი მისთვის, როგორც ადამიანისთვის, არარსებული არ არსებობს... გუგუტასათვის არსებობს, არ არის ეს რთული და გაუგებარი მისთვის... თამარისთვის გაუგებარია და ასეც უნდა იყოს, ამიტომაცაა ის ჭკვიანი, რომ ეს ვერ უნდა გაიგოს... გუგუტასათვის ეს ცხოვრებაა და მისთვის თავისთავადია...

— ეს ამერიკული ბუს კვერცხები კი, მაგრამ მეორე ფრონტი? — იკითხა ბოძაშვილმა; თუ არავინ მოგვეხმარა და ამ ომს საშველი არ დაადგა, ამ ტაფამწვარს, ფრონტზე, ცხვირიდან ისევ სისხლად მაქცევინებს გერმანელიო.

— ბუსო, ვინ თქვა, არჩილ, კუს კვერცხებიაო, ასე მაქ გაგონილი! — შეიცხადა კალემ.

— კუს იყოს, თუ გინდა.

— მართლა რომ იყოს, ერთწამზე ამერევა გული.

— ეგრევე თვარა, ელანძე ქოჩორე დედლის გოგლიმოგლს ჩაგასხამ პირში.

— ჩამოვა ჩემი ეფროსინე და რაცხას ჩამეიტანს, დედაჩემი თუ ცოცხალია...

— და, თქვენ გგონიათ, ინგლისი და ამერიკა ოტკივარ თავს ჩვენთვის აიტკივებენ? — ბოძაშვილს ისევ მეორე ფრონტის გახსნის დარდი ეკლავდა და გაშლილი გაზეთი ლოგინზე ფერთხა.

— კი!

ბაკურის დასტურზე არჩილი საწოლზე წამოჯდა და, ეს, გასაფრენად გაწვდილი ხელი ძეგლივით უძრავად და პათეტიკურად შერჩა.

— ე, ბიჭო!.. — წელს ზევით გადმობრუნდა გაოცებული კალე.

— შენ ამბობ მაგას, ამაღლობელო! — დაეჭვებულმა ბოძაშვილმა დაჭრილებით სავსე პალატაში მიიხედ-მოიხედა.

— მე არ ვამბობ, ეს ასეა. — ისევ სიცოცხლეს და ქვეყანას ვუბრუნდები, თუ რა ჯანდაბა მალაპარაკებდაო, თვითონვე გაუკვირდა ბაკურს.

— აიტკივებს თავს?..

— აიტკივებს, მაგრამ ჩვენთვის კი არა, თავისთვის...

— მაგრამ ჩვენ გვებრძვის...

— ეს დღეს; ისინი ხვალინდელს დაინახავენ, ან სულ არაფერს დაინახავენ, ისე დაიწყებენ.

— შენ გინდა თქვა, რაკი კაპიტალისტურია...

— ამიტომ არა. ორი წელიწადია ვიხოცებით, ვსახიჩრდებით, ვიჟლიტებით... რანაირი სიკვდილი გინდა, რომ კაცს არ ენახოს. მარტო იქ კი არა, აქაც. გუშინ ის დაჭრილიც დაიღუპა...

— ლისტოპადოვი იყო მაი გვარად, ვიცი მე! — ჩაერია სალუქვაძე, — ერთად მოგვიყვანეს.

— შენ, ალბათ, პირველად დაიჭერი... მეორედ, მესამედ და მეოთხედ რომ დაიჭრები, მერე რამდენი ვინმე შენ გვერდით მოკვდება, ვერ დაიმახსოვრებ.

— მართალს ამბობს, გამიყვანეს და მეორე დღეს მშვლიპეს...

— მოიცა! — შეაჩერა ბოძაშვილმა, — შენ ჯერ ბალღი ხარ.

— დროა გაფართოვდეს ომი, ძალიან გაერთფეროვანდა... — ბაკურს უკვირდა, რომ დუმილსაც შეუძლია თურმე ადამიანის დაღლა და დაოსება.

— ინგლისი და ამერიკა თუ ჩავრია,

ამხელა ომი... ისტორიას მართლა არ ახსოვს.

— აი, ესაა საინტერესო, რაც არ ყოფილა და არ ახსოვს.

რატომ იყო ეს საინტერესო, ბოძაშვილმა ვერ გაიგო, მაგრამ ეს ახლად ალაპარაკებული მომაკვდავი მისთვის, ჯერჯერობით, სხვა მხრივაც საიდუმლო იყო.

— ამ ერბოკვერცხს თუ გამოგვიგზავნის, მაინც კაია... — კალე მელაძეს ის აფიქრებდა, მეორე ფრონტი რომ არ გახსნას და ეს „ერბოკვერცხიც“ შეგვიწყვიტოს, შენ მაშინ ნახე თვალის სეირი.

— გახსნის. — დაუმატა ბაკურმა და შეაშინა იმან, ფიქრში ცხოვრება ლაპარაკად არ მექცესო.

ბოძაშვილი, შეყვითლებული, შავბეჭდიანი, ნიფხავ-პერანგის ამარა, საწოლზე აღმოსავლურად დაჯდა და აქეთ მობრუნდა, ასე პათეტიკურად გამოწვდილი ხელით:

— მერე ჩვენ, ამერიკა და ინგლისი იდეურად?..

— იდეა კაცის მოგონილია...

— ჩუუ! თუ კაცი ხარ, მამაჩემს ათასი სული ცხვარი ჰყავდა... ბეწვზე ვარ გადარჩენილი, ეს დასახიჩრებული კაცი ციმბირში არ გამიძახონ.

— ციმბირიც მოძველდა, ახლა საჯარიმო ბატალიონების გეშინოდეს...

— ომი სასჯელია?! არ გადირიოთ თქვენ! — დაფრთხა სალუქვაძე და ბოძაშვილის მამას „გაუწყრა“, — ვერ გაატანა ის გასაწყვეტი ცხვარი?

— მამაჩემს ვინ კითხა? გაჩუმდი, ბიჭო, ზაურო შენ!

— აბა, რაღა უნდოდა. — ვერაფერი გაიგო ზაურმა.

— რატომ გყავდაო.

— შენ გყავდა?

— არ გითხარი: მამაჩემს.

— მერე, ხომ წაართვეს...

— გაჩუმდი, ბიჭო შენ! ინგლისზე და ამერიკაზე გეკითხები... — ბაკურს მოუბრუნდა.

— ასე რომ არ იყოს...

— რაფერ? — იკითხა კალემ.

— რომ დაწყებას არ აპირებდეს...

— ომის?

— ჰო, კალე, აბა რის?! — „გაუწყრა“ არჩილი ახლა ასე დაწვრილმანებულ მელაძეს.

— ამ ბუის კვერცხებსაც არ გამოგზავნიდა.

— ეს, ვითომ, გვამაგრებს და ჩვენი ხელით უნდა ნარი მოთხაროს. — კალემ, ვითარებაში მეც ვერკვევიო, ნუ მიჯავრდებითო და ბოძაშვილის თაბაშირის ხელს ახედა.

— იდეურად ესეც ისაა, რაც ომის დაწყება. რა განსხვავებაა; ორ წაკიდებულს შორის ერთს თუ ერბოკვერცხს უხრაკავ და აჭმევ, მეორეს არ ებრძვი?

5.

კალეს პაემანი ჰქონდა. ეფროსინე ჩამოვიდა სოფლიდან და წუთი წუთზე ელოდა. მაგრამ, სანამ თამარი ბაკურს დანიშნულ დროზე კედლისკენ არ გადააბრუნებდა და კალეს მხრიდან ბალიშებს დაწყლულებულ ზურგში არ მიუტენიდა, ეფროსინე აქ ფეხის შემომდგმელი არ იყო.

ღია ფანჯრებში, შემოსაჭრელად აყელყელავებული, კვიპარისების წვეროკინები სანამ არ ჩამუქდა და ცაზე გარინდებულ ღრუბლის ფთილებს მეწამული სანამ სიცხიანივით არ შეეპარა, პაემანი არ შედგა.

ეფროსინე ხელდამშვენებული დაბრუნდა.

იქითა მწკრივში, გარდაცვლილი ლისტოპადოვის ადგილზე, უკვე მომჯობინებული ინოზემცევი გადმოიყვანეს პირველი სართულიდან. კუთხეში ორი შუაზიელი — ყირგიზები იწვნენ. თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ, დიდი ხნის უნახავ, მონატრებულ ძმებს სათქმელი რომ არ დაელევა, ისე. რუსული, ორივემ იმდენად არ იცოდა; ექიმს და დამლაგებელ, აფხაზ ქალსაც მშობლიურ ენაზე პასუხობდნენ. მათ გვერდით ბალტიისპირელი იყო, მარჯვენა თვალი სადაც წამოთხარეს, იქვე დაეტოვებინა და

ყურიც მიმწვარი და მიხრუკული ჰქონდა, მაგრამ ეს უბედურება მის ცნობისმოყვარეობას ხელს ვერ უშლიდა. რუსულიც კარგად ესწავლა, მაგრამ, საშინელი აქცენტის გამო, ლაპარაკს ერიდებოდა. თან იმდენად ტაქტიანი კაცი იყო, არასდროს იმჩნევდა, რომ მის ცალ თვალს და ცალ ყურს არაფერი ეპარებოდა.

ეფროსინეს ჩამოტანილ მოსაკითხს, თუთუნი თავისთავად და, ღვინოც და არაყიც ჩამოყვა.

მაგარი სასმელები, როგორც ჯოჯოხეთში, ისე ჰოსპიტალშიც იკრძალებოდა, მაგრამ ჰოსპიტალში მარტო ის არ სვამს, ვისაც ფრონტზე ძალიან ეჩქარება, — ალკოჰოლმა ჭრილობა არ გააღიზიანოს და მკურნალობის ვადა არ გაახანგრძლივოს.

კალე სიხარულზე აფოფინდა, დასახიჩრებულ ფეხებიანად მოინდომა აფრენა და, ბოძაშვილს არ მორიდებია, ეფროსინე გადაკოცნა, როცა ქალი სასთუმალს უმაღლებდა. ჭამა-სმაზე დაშინებული კალე ხელგაშლილი გამოდგა. იქითა მწკრივს ას-ასი გრამი არაყი მაინც უწილადა, რაკი ყირგიზებმა ღვინოზე ხელები გაასავსავეს: „ალაჰი“ გვიკრძალავსო. ცალთვალა-ცალყურა ლატვიელმა არაყიც და ჩაის ჭიქა ღვინოც დალია. ინოზემცევის საწოლი ცარიელი იყო. სადილ-ვახშმის და ძილის გარდა, თავის პირველ სართულელ „ძმებთან“ იჯდა, ბანქოს თამაშში გართული და თავის დანომრილ ნიფხავ-პერანგს ხან აგებდა და, გვიან, სხვისი საცვლებით ბრუნდებოდა, ხან იგებდა და სხვას ვალად უტოვებდა.

— დალიე, ზაურია, ერთი ჭიქა, დაყოლე ეს ლობიანი ხაჭაპური და მართლა დაგეძინება! — „გასცა“ მესაიდუმლე ძმაბიჭი კალემ.

ბოძაშვილმა, „გაყიდული“ მეზობელი რომ „ეხსნა“, მარცხენა, საღი ხელი გადაუწია და ყურებში ჩაკუჭული ბალიში ააგლიჯა. „ნამძინარევმა“ მორცხვად ჩამოართვა ეფროსინეს სასმისი და კალეს უთხრა: ნენას გაუმარჯოსო! — დედაშენის გამოგზავნილია, მის საღღეგრძელოს ვსვამო და სულმოუთქმელად დალია, მაგარი ტყემლის არყით პირდათუთქულმა ხელი ყავარჯნებს წამოავლო, ვითომ ასეთ დროს თავს გარეთ გაქცევით ვუშველიო. ეფროსინემ ნახევარი ხაჭაპური რომ კართან მიაწია, კბილით ჩამოართვა და გარეთ გაფოხიალდა.

— კაი ბიჭია, ეს მამაძაღლი? — წამოცდა კალეს, კი გავაფუჭე საქმე, რომ „გავაღვიძეო“, მაგრამ, უყურე შენ, თავს რა ოსტატურად უშველაო. ბოძაშვილს თავისი წილი მიღებული ჰქონდა და ამდენ ხანს „გააბოლებდა ჰაერზე თამბაქოს“, რომ კალეს სალუქვაძე არ „გაეღვიძებია“ და „გაექცია“. ახლა შესაფერ მომენტს უცდიდა და მეხუთე ჩაის ჭიქა ღვინით ეფროსინეს საღღეგრძელოს მეორედ სვამდა. ამ ქაჯივით არაყზე, ზედიზედ ოთხმა ჭიქა ღვინომ, თვალხუჭობანას თამაში დააგიწყა და კალეს და ეფროსინეს მზე და მთვარესავით შებერება უსურვა. სიხარულზე, ისედაც მთვრალი კალე, ჩალეწილი კბილებით, ქათმის ძვალს შაქარყინულივით ამსხვრევდა და ნეფესავით, დედოფლის წილ სამადლობელსაც თვითონ იხდიდა. არჩილმა დალია და გაახსენდა: კალეს დედის და სოფლის ამბავი არ უკითხავსო, ადგა, ერთი მუჭა დაჭრილი თამბაქო და გაზეთის ნახევი გაიყოლა, ლატვიელს „გაუარა“, წამო გავაბოლოთო.

ყირგიზები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ; ერთს ხერხემალში ნამსხვრევი ჰქონდა და საწოლიდან ისიც წელს ვერ იღებდა.

კალემ ეფროსინეს სამადლობელი მიაწოდა და თავი შეაცოდა.

— ეფროსინეს ჭირის სანაცვლო ვიყო, იქნება ვერც ქე ვეღირსო ნამდვილ ქორწილს და დამლოცე და დაილოცე.

— აქ სმა... და შენი სმა, კალე, შეიძლება?

— შენ დალიე და მე მეტს აღარ დავლევ.

ოთახში კაცი კაცს ვეღარ იცნობდა, ისე ჩამოღამებულიყო ეფროსინემ რომ შეიცხადა:

— შენ არ მოუკვდი დედაშენს, კალე, ღვინო მეგონა და ეს რა მიქენი!

კალემ ჩაიხითხითა და ქალი კაბით დაითრია.

— შენ, ახლა, მთლად ნამუსს ამხდი... — აკრუსუნდა ქალი. საწოლი აჭრიალდა, კიდეზე რომ ფრთხილად ჩამოუჯდა.

თუ ადამიანს უსაშველოს გაუჩენ, სინდის-ნამუსზეც ხელს ააღებინებ. სირცხვილი, თუ საწადელ-სიცოცხლეს წინ ეღობება, სირცხვილი არ არის. ბაკურს სჯეროდა, რომ ამ ქალს მისი უფრო ერიდებოდა, ვინემ ბალტიისპირელის, ან რუსის. ისინი, მაინც, სხვები, შორებლები იყვნენ და, ამას გარდა, ასეთ საკითხში ისინი უფრო შემნდობნი არიან. მაგრამ, ბაკურის „გასეირნება“ რახან არ ხერხდებოდა, ამიტომ სირცხვილიც ჩლუნგდებოდა?

— ეს ცალი ფეხი მომჭრან ბარემ, თუ მეორე გადამირჩება და ნახევარი კაცი მაინც დავრჩები. — ჩალეწილი კბილები გაალაწუნა ვნებაწაკიდებულმა.

ქალს არ უპასუხია, ეტყობოდა ეს გარდუვალი იყო და დაჭრილი აქამდე „ლოგიკურად“ უნდა მისულიყო: ღვინო, ქალი, ცხოვრება და ცალი ფეხი, თუ არაფერი...

— ახლავე, ამაღამვე უთხარი ექიმს! — ოხრავდა კალე და დანებებულ ქალს ბურჯნიდა.

— შენ, ბუღალტერი კაცი ხარ, კალე... — ქალის ხმას ვნების ნატამალი არ ეცხო, — დედაშენმა, ოღონდაც ცოცხალი დამიბრუნდესო და...

— უთხარი თუ...

— ნამეტანი მწარედ მკბენ, კალე...

6.

კალეს მეორე დღესვე მოკვეთეს ფეხი; ბარძაყში, მთლად მენჯის ძვალთან. ეფროსინეს აღარც კი ელაპარაკება. ის საათობით უზის სასთუმალთან და მისკენ ხელი მაინც არ წაცდება. ბოძაშვილისკენაა პირმიქცეული, მისი ასე „პათეტიკური“ ხელი შურს. არც მალავს: „მარჯვენა მოეჭრათ, თუ მენაღვლა, დედაჩემი არ ვნახეო“. არჩილი დუმს და რა უქნას ასეთ თვითმფრინავის ფრთასავით გაჭიმულ მკლავს და სად დამალოს, თორემ კალეს ხარბ თვალებს რომ უცქერის, რომ მოაჭრან, უარს აღარ იტყვის.

ზაური ყავარჯნებს მიეჩვია, პირველი სართულის მედიცინის და შეიყვარა და მთელი დღე დერეფნებს და ეზო-ღობე-ყორეს ედება. არც ახლოს ეკარება იმ, ვიღაც, ბერძენ-ქართველა გოგოს, სახელიც კი არ იცის, ისე უყვარს, თუ მოსწონს. თურმე არაუშავს გოგოა, კაი მსხვილი ნაწნავები ჰქონია, მენჯზე რომ სცემს, ისეთი, და სულ არ აღელვებს, რომ ვიღაც ბიჭს მოსწონს. ეტყობა კარგა ხანია მუშაობს ჰოსპიტალში და მიეჩვია. ქალზე და ცხოვრებაზე დახარბებულ დაჭრილებს თვალში მოუვათ, შეუყვარდებათ, მერე მიდიან და იღუპებიან. ვიღაცას, ალბათ, მართლა გაატანა გული. მერე კიდევ, კიდევ და ახლა საშინელი გულგრილობა გასჩენია მოწონება-შეყვარებისადმი. თამარი წუხდა: — „მშვიდობას რომ ეღირსოს, ისიც ვერ დაუბრუნებს ქალობას და სულიერ მშვენიერებასო“.

ერთ-ერთი ყირგიზის ხერხემლიდან ნამსხვრევის ამოღება იმდენად სახიფათო ყოფილა, შეიძლება წელს ქვევით სულ მოწყდესო. მეორე ინკურნება და მალე გაწერენ.

ცალთვალა-ცალყურა ლატვიელ კოშკინს, ქვეყანა და სახლ-კარი რომ ჰქონდეს, გაუშვებდნენ, მაგრამ რა უქნან, არ იციან. თვითონ ხომ არ იცის და არ იცის.

ინოზემცევი წავიდა, აქაურებს არც გამომშვიდობებია. იქ, პირველ სართულზე, „თავისიანებთან“ გაათენა წასვლის წინა ღამე. ნიფხავ-პერანგი და ნაჭერა საპონი გაეცვალა არაყში და ექიმებთან, თუ კარისკაცებთან, აყალმაყალიც კი ატეხა. გამთენიის ხანს იგინებოდა: — „მე, ინოზემცევი თქვენთვის უნდა მოვკვდე და თქვენ აქ, ყელში ხელს მიჭერთ, თქვენი დედა და ბე-

ბიაო". — რატომღაც, ბებიას უფრო აგინებდა, ვიდრე დედას.

„თამარი ორ კურდღელს ხომ არ იჭერდა, როცა კალეს ეფროსინე მიუჩინა? ჯერ ერთი, როგორც მკურნალს, ჭირდებოდა დაჭრილი ოპერაციაზე დაეთანხმებინა; კალეს ფეხი განწირული იყო და განგრენა, ან სისხლის მოწამვლა დღე-დღეზე იმსხვერპლებდა. და მეორე, მეც ხომ არ მმკურნალობს. — ისევ და ისევ მიჰქონდა ბაკური ეჭვიან ფიქრებს. — ხომ არ აღვიძებს ჩემშიაც ვნებას, რომ ცხოვრებასთან დამაბრუნოს და თან გამათამამოს, რომ საყვარელი ქალის ხელის ხლება აქაც, ამდენი ჭირგადანახადი კაცის თანდასწრებითაც შეიძლება".

„თამარი თავის არსებობის გადარჩენისათვის იბრძვის, თუ მეც ჩემი პატივმოყვარეობის მონა ვხდები და მეჩვენება, რომ ყველაფერს აკეთებს ჩემი მოხიბვლისა და დაპყრობისათვის?"

„გუგუტაც რომ იბრძოდეს, მაშინ ძლიერი გაიმარჯვებს, მაგრამ გუგუტა ძლიერია იმით, რომ არ იბრძვის. ომში, გამარჯვებულიც და დამარცხებულიც, ორივე დამარცხებულია. გამარჯვებულია ის, ვინც არ ჩარეულა... თამარი ჩემი ცოლიც რომ გახდეს, გუგუტა არ შემიძულებს, თამარი ამას ვერ შეძლებს..."

„მართლა, ან რა უნდა ვაკეთო, თორემ ამდენი ერთი და იგივე ფიქრიც არ შეიძლება, თუ ეს შეშლა და გაგიჟება ჯრა, ალბათ, არც უმისობაა. მე ორი ქალის სიყვარული კი არა, ერთისაც არაფერი გამეგება. ჩემთვის გუგუტა — ქალი, არც იმ ღამეს იყო, როცა ძელურში, ხის ტახტზე, ერთ სულად და ხორცად ვიწექით. მე თუ ნორმალური მამაკაცი ვარ, და თუ ჩემი დაპყრობა ქალს შეუძლია, ქალი თამარია. გუგუტა არც იმ ღამეს იყო ქალი, როცა შიშველი მეწვა მკლავზე, მეხვეოდა, მკოცნიდა... თითქოს ყველაფერი ხორციელი იყო, ვითომ ღელვაც, ვნებაც, ცეცხლიც და რატომ იყო, რომ მაინც ლურჯ ტბაში ვბანაობდით, თავზე კამკამა ცა დაგვყურებდა და არა მღვრიე ზღვა და ქარიშხლიანი ზეცა? თამარი ზღვასავით ფართოა, შელვარე და მე, ჩემი ნავით, შინ ტალღებში დავინთქმები? ვითომ ტბისთვის გაჩენილი ლიფსიტა ვარ? სიპატარავეა თუ მტკნარი, კამკამა წყლის მკვიდრის ზღვის მლაშე ტალღების შიში?

„ვერაფერი გამიგია... ყველაფერში ასე მჭირს, ყველაფერი იმდენად აუხსნელია ჩემთვის, მგონია არც გავჩენილვარ ამ ქვეყანაზე. იმდენად არ ახლავს ჩემს არსებობას არავითარი კანონზომიერება, რომ ეს ულოგიკობა არ შეიძლება არსებობა იყოს. ვიცი, ეს ურწმუნო კაცის ამბავია, მაგრამ რწმენა ხომ უაზრობაა, თუ მხოლოდ იმიტომ გაქვს, რომ იარსებო, რაც თვითმიზნური და ეგოისტურია, იგი რწმენად გამოდგება? მართალია, რწმენა — არსებობაა, მაგრამ რწმენიანი არ დაღუპულა? რწმენას ასცდა ტყვია? ბესო კინწურაშვილს, თუ ბევრი არაფერი, ჩემზე მეტი ხომ სწამდა; მე თუ არა, მას ხომ შეეძლო ჰყვარებოდა და უყვარდა. ორსული ქალის უპატრონოდ მიტოვება როგორ შეეძლო, როცა თითიც არ ჰქონდა დაკარებული; ყველა უშლიდა, მეც წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დატოვება არ უფიქრია.

რწმენის აუცილებლობის დაჯერება რომ საქმეს შველოდეს, ბესოს ეს საიქიოდან დააბრუნებდა. ან განა სხვა არ დაღუპულა? ისეთი, თვითონაც და სხვასაც რომ სწამდა მისი სიცოცხლის აუცილებლობა? თუ რწმენა აუცილებელია არსებობისათვის, ჯერ ხომ უნდა მიხვიდე იქამდე, და მერეც, თუ არ გექნება — დაიღუპო. ხომ უნდა გჯეროდეს, რომ ამიტომ და ამისთვის გაჩნდი და ამ დრომდე უნდა იარსებო.

„ამიტომ მგონია, არ გავჩენილვარ, რაკი ჩემი არსებობის კანონზომიერებას ვერ ვხედავ. მე მმტრობს ჩემისთანა და ტყვიას მიშენს. მისთვის მე ისევე უცხო ვარ, როგორც ის ჩემთვის. თუ ჩვენი არსებობა კანონზომიერია, კანონზომიერებას რატომ უნდა სჭირდებოდეს რომელიმე ჩვენთაგანის არყოფნა. და თუ ეს მაინც ასეა, მაშინ

რომელიმე ჩვენთაგანის გაჩენა არ იყო საჭირო და, რაც არ უნდა გაჩენილიყო, არც გაჩნდებოდა, რაკი ამას ისევ კანონზომიერება მოითხოვს. კანონზომიერება თუ არსებობს, თავისი თავის წინააღმდეგი ვერ იქნება და თუ კანონზომიერება არაა, მაშინ ქაოსია — სამყარო ჯერაც არ შექმნილა. თუ შეიქმნა, საფუძვლად რაღაც კანონზომიერება ხომ უნდა დადებოდა, რომ ისევ ქაოსი არ ყოფილიყო? ხომ არ შეიძლება შექმნილიყო და მაინც ქაოსი ყოფილიყო. გაჩნდა ბესო და მისი მკვლელიც? ბესო იმიტომ გაჩნდა, რომ მის მკვლელს მოესპო? მანამდე მისი არსებობა კანონზომიერი იყო და მისი მკვლელის სროლის შემდეგ არა? ან მე, რომ დამენახა ბესოს მკვლელი და მომეკლა, აღარც ერთი იქნებოდა; ამიტომ იყო მათი გაჩენა კანონზომიერი, რომ ერთმანეთი მოესპოთ? ამ ოცი-ოცდაორი წლის წინ არც ერთი არ იყო, ისე, როგორც ახლა ბესო არაა და იქნებ მისი მკვლელიც, რაკი იმ ქლეტიდან ასიდან ერთი არ გადარჩენილა. არ იყვნენ სამყაროს გაჩენიდან და არ იქნებიან მომავალ უსასრულობაში და ეს ოცი-ოცდაორი წელი არსებობდნენ კანონზომიერად? სადაა კანონზომიერების სათავე და რაზე ემყარება, თუ ის მართლაა, თუ ისევ ქაოსია... ქაოსური არსებობა კი არ შეიძლება, რაკი სამყარო არ შექმნილა. და რაც არ შექმნილა, იმას არც უარსებია. თუ სამკუთხედი არსებობს, სამკუთხედისთვის არსებობს გეომეტრიული კანონი: იგი ან ტოლგვერდაა, ან ტოლფერდა, ან სხვადასხვაგვერდა; სწორკუთხა, მახვილკუთხა, ან ბლაგვკუთხა. თუ ეს კანონზომიერება არ გააჩნია, სამკუთხედი არ არსებობს. ამ კანონს თუ არ ექვემდებარება და მაინცაა, მაშინ ის სამკუთხედი არაა.

„ძროხა თუ არსებობს, ოთხ ფეხზე უნდა იდგეს, ორი რქა უნდა ჰქონდეს და კუდი. ხბოს უნდა იგებდეს და რძეს უნდა იძლეოდეს. თუ ესენი არ გააჩნია, მაშინ ძროხა არაა. ვთქვათ ურქოა, მაგრამ ოთხფეხაა და ხბოს კი არა, კვიცს შობს და კუდის მაგივრად ძუა აქვს, მაშინ ცხენი ყოფილა და არა ძროხა. ესე იგი, არსებობს სამკუთხედისთვის, ძროხისთვის და ცხენისთვის კანონი. თუ ბესოს არსებობას ჰქონდა კანონი, კანონზომიერება იყო მისი ერთი კაკალი ტყვიით გაქრობა და მისი არსებობის გამქრობის არსებობის არსი იყო, რომ ბესო გაექრო. რა და რისი რწმენა უნდა იქონიო ამის შემდეგ? ის რომ მოვკლა, ბესოს მკვლელი, შურისძიება მექცეს რწმენად? მაშინ ბესოს სიკვდილამდე რა იყო ჩემი არსებობა? მანამდე ხომ არ შეიძლებოდა მქონოდა ეს რწმენა. ხომ არ ვიცოდი, რომ ბესოს მოკლავდნენ და იმიტომ ვიყავი, მერე ეს გამჩენოდა მიზნად? მანამდე რომ მეარსება, ხომ უნდა მქონოდა მიზანი და რომ მქონოდა, ახლა ხომ უნდა მეღალატნა.

თუ ვიყავი და ვარსებობდი, რისთვის ვიყავი. ან თუ ვარ, რისთვის ვარ, რა კანონზომიერებისათვის. თუ არ ვყოფილვარ და არა ვარ, ყველაფერი გასაგებია; რა თქმა უნდა, არაკანონზომიერი არსებობა უფროა, ვინემ არარსებობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

უბრალო კაფია

ლექსო, წამში გწერ და მიკვირს:
გუშინწინ რარიგ მაწვალე,
კინაღამ ხელში შამიკალ,
ძალ-ღონე გამამაცალე...
სულ ასე მოდი, რა გიჭირს,
სათქმელი წამომაძალე,
დამყეფე, ჯიქურ მომეჭერ,
ხმის კილო მომინაცვალე,
ჯერ არ მწადია მრუმე ბჭე,
ერთი დღე კიდევ მაცალე!

16. 3. 1962 წ.

ხევსურული ტირილი

მგელა ჯაბუშანურს

შენი პერანგი მე მაცვია, —
ფერადი ჯვრებით დაქარგული,
ფერადი ჯვრებით დაქარგული
ქალისგან ყვითელთმიანისა...
პერანგს ზედვე სჭირს ნატყვიარი —
მტრებმა რომ გულზე დაგაბეჭდეს, —
მტრებმა რომ გულზე დაგაბეჭდეს
ტყვია — სიკვდილის მოციქული...
პერანგი წითლად შეგიღებეს
სისხლით შენგანვე ნაწურითა.
ვრეცხეთ პერანგი სისხლიანი,
ვრეცხეთ ცხრა დღეს და ცხრა ღამესა,
სისხლი მორეცხა ცხელმა ცრემლმა,
მაგრამ ნატყვიარს ვერრა ვარგეთ:
არ მოირეცხა ნათოფარი, —
დარჩა ნიშანი პერანგზედა...
. . . . . .
შენი პერანგი მე მაცვია, —
ფერადი ჯვრებით დაქარგული,
ფერადი ჯვრებით დაქარგული
ქალისგან ყვითელთმიანისა...
პერანგს ზედვე სჭირს ნატყვიარი, —
ის შურისგებად მომიწოდებს.
განა მარტო შენ მოგკლეს მტრებმა, —
მე მათ სხვა ცხრა ძმაც ჩამიხოცეს...
ვით შერჩეთ ძაღლთა თქვენი სისხლი,
შურ მაქვ საძებნი ათის ძმისა!...

7. 4. 1958.

ორი და ორი

დღეს პალატიდან ორი წავიდა, —
ერთი შინ, ხოლო მეორე სულეთს,
პირველს წინ ელის ყოფნის წავარნა,
სხვამ კი სიცოცხლის გზა დაასრულა.

გუშინ ორივე ძილში ხლართავდა
ნატვრის ზმანებებს ძველსა თუ ახალს,
ერთისთვის სიზმრის ზღუდე გათავდა,
სხვა ალბათ ახალ ზმანებებს ნახავს.

დღეს პალატიდან ორი წავიდა,
ერთი შინ, ერთიც სულეთის გეზით,
მიცვლილი ცოცხლებს ვერ დაგვეწევა,
ჩვენ დავეწევით მკვდრებს მათი გეშით.

ორ ახალ სნეულს საწოლი ორი
ელის, რომ მიჰყვეს იმავე ამბავს:
ერთს სულეთის გზა არგუნოს შორი,
ხოლო სხვას სახლში გაუშვებს ალბათ.

მოგიტევებ... ოლონდ

მოგიტევებ ჩემს დაქცევას საზღაპროს,
მთის გზაზე რომ გადამიდექ კედელად,
შენთვის ლოცვად მზად ვარ, ხელნი აღვაპყრო,
ოღონდ ერთხელ გადმომხედე კეთილად!

მოგიტევებ ჩემს შერისხვას არსმენილს,
რითაც მექმენ მზის ღიმილის მკეტველად,
ოღონდ ერთხელ ჩემთვის ბაგე გახსენი,
ოღონდ ერთხელ გამიღიმე კეთილად!

მოგიტევებ ჩემს ქირდვას და ძაგებას,
რითაც მგოსანს მექმენ თავის მკვეთელად,
რამაც, მზექალ, ჩემი გული დაკეპა,
ოღონდ მითხარ ერთი სიტყვა კეთილად!

31 მაისი, 1957 წელი
რიჟრაჟი მზისპირში
დღეს დაბრუნდება მზექალი
ქალაქიდან.

ლოცვა სიკეთისათვის

1.

როდესაც შემიპყრობს მაღალი ნაღველი,
ამქვეყნად არა რა მჯერა,
მოხდება: მომესმის ხალისის მსახველი
ჭაბუკთა გულლაღი მღერა.
უფრორე მაღლდება საწუთროს აღმართი,
გულს კი არ მედება წყენა,
და ვამბობ გულწრფელად, ჭაბუკებს, ახ, ღმერთო,
მარადჟამს მიეცი ლხენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

როს შენი სიშორე — არყოფნის ზიარი
მომაშთობს, რომ სიკვდილს შემრთოს
მოხდება, შევხედავ, მიდიან ტრფიალნი,
არ გრძნობენ საწუთროს ერთობ.
უფრორე მეგზნება სახმილი უწყალო,
შური კი არ მიპყრობს ფიცხი,
და ვამბობ გულწრფელად, კეთილო უფალო,
მიჯნურებს სწყალობდე მიწყივ.

3.

მარადჟამს მშიერზე მზრუნველს და მოდავეს
ზოგჯერ თვით არა მაქვს პური,
მოხდება: მავანნი მკილვენ და შფოთავენ,
გაზრდილა ჭორი თუ შური.
მე ცრემლი მერევა ალალს და უბრალოს,
ხშირდება ჭაღარის თოვლი,
და ვამბობ გულწრფელად, კეთილო უფალო,
ჩემს მოყვასს შეუნდე ყოვლი.
როდესაც ჩემს მოძმეს, სუსტსა და უფაროს
განსაცდელს უმზადებს ხვალე,
კვლავ ვამბობ გულწრფელად, კეთილო უფალო,
მე მომხვდეს ხიფათის ხმალი.

12. 5. 1950 წ.
ლამე მზისპირში.

კენტი აული

დაღონებულო, კენტო აულო,
მიტოვებულო და უკაცურო,
მინდა, მარტვილი გაგემცნაურო
და შენთან ერთად ცრემლი დავწურო.

ჩამოგნგრევია ძველი ქოხები,
ტორავს აკლდამებს ტორი ჟამისა,
და მწირი სულის მოსაოხებლად
დაგნატრებია ძე ადამისა.

მოვსულვარ შენთან ვინმე დევნილი,
შენებრ პარტახი და მიგდებული,
უმანკო ცრემლით ღაწვდათოვნილი,
შენსავით მწარედ დაფიქრებული.

მიმიღე, როგორც მკვიდრი ღილღველი
და ვყაროთ რამლი ჩვენი ხვალისა,
კვლავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი,
ვიმღეროთ საგა ზელიმხანისა.

23. III. 1948 წ.
რიჟრაჟის წინ მზისპირში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ბრეგვაძე

ქალაქში ჭილყვავს რა უნდა!

მოთხრობა

ბაჩანა ეშმაკის საძებნელად მიდის. არსებობს ადამიანი, ვისაც ეშმაკთან პირისპირ შეყრა ერთხელ მაინც არ ნდომებოდეს? გამოგონილ კი არა, ნამდვილ ეშმაკთან. ნეტა როგორია ნამდვილი ეშმაკი? გამართულად დადის თუ დაფრინავს? რამდენი თვალი აქვს? ანდა აქვს თუ არა საერთოდ თვალი? ყველაზე საშიშად მისი ხელები ხომ არ ჩაითვლება? აბა, როგორი წარმოსადგენია: ეშმაკი ხელს შეგახებს! შორს! ცხრა მთას იქით! იყოს, იარსებოს, როგორც მოესურვება, ისეთი სახით, მაგრამ ხელის შეხება რა შუაშია.

მაშინაც ასე ფიქრობდა, ძმა რომ საბოლოოდ ჩამოუვიდა, მოამთავრა საავალდებულო სამხედრო სამსახური და შინ დაბრუნდა.

ახლა კი მეშველა, აწი რაღა მიჭირს, ჩემი ვაჟკაცი გვერდით მეყოლებაო, გახარებული ამბობდა დედა და ბაჩანას, ცოტა არ იყოს, შურდა კიდეც ძმის, რომელსაც ასე შეჰხაროდნენ, ყოველგვარ იმედთან აკავშირებდნენ, ყველაფერს მასთან დამოკიდებულებით ითვალისწინებდნენ, თვით სახლის რეკონსტრუქციასაც, როგორც იტყვის, როგორც უმჯობესად ჩათვლის, ისე გავაკეთოთო. რაც კი შავი დღისათვის მიჩუმათებული, მოგების იმედად გადანახული სამპროცენტიანი ობლიგაცია მოეძევებოდათ ოჯახში, გადაწყდა, გადაეხურდავებინათ, ფულად ექციათ და ერთი ხელი ძვირფასი ტანისამოსი შეეძინათ ვალმოხდილი და შინ მშვიდობით დაბრუნებული ნაჯარისკაცალისათვის. უმაღლეს სასწავლებელში ფაკულტეტის არჩევაზეც დიდი სჯა-ბაასი იყო, შედარებით პრაქტიკულ, ცხოვრებაში გამოსადეგ დარგზე უნდოდათ შესულიყო, შენი ფილოლოგიური და, საერთოდ, ჰუმანიტარობა ვის რაში სჭირდებაო, ოდნავ თუ თვალის გახელის უნარი გაქვს, მიხვდები, ცხოვრება სულ სხვა გზით მიდის, ადამიანიც კვალში უნდა ჩაუდგეს მას, ბევრ რამეზე შეიცვალოს შეხედულება და გონივრულად მოიხმაროს ერთადერთხელ ნაწყალობევი წუთისოფელიო.

ბაჩანას ძმა კი, ოი, საოცრებავ, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ამ საერთო ბჭობაში, თითქოს მას არც ეხებოდა.

ჯერ იყო და მთელი სამი დღე გადაბმულად იძინა, ეგდო მკვდარივით და გვერდსაც არ იცვლიდა. მგონი დავიღუპე, ლეთარგია შეეყარაო, წუხდა დედა. მამა კი ბრაზობდა: რას გამოიგონებ, ლეთარგია კი არა, კვინტრიშა, დააცალე, გული იჯეროს, თორემ ცოლშვილს რომ მოეკიდება, მაშინაც ეყოფა უძილობა!

ამაზე დედას როგორღაც უეცრად შეპარული სიხარული აუჭრიდა მზერას, თვალს აუწყლიანებდა, ნეტამც მაგ დღეს მომასწროო, ნეტამც!..

— ვნახავთ, რა დედამთილი იქნები! — გამოაჯავრებდა მამა.

— როგორიც რძალი მომივა, მეც ისეთი დედამთილი ვიქნები.

მას კი ისევ ეძინა, ნაჯარისკაცალს ღრმა ძილით ეძინა. არ გაუგია, წარღვნასავით მოვარდნილმა წყალდიდობამ როგორ ააწრიალა ქალაქი, ნიაღვრებმა დაზაფრა სარდაფებში მცხოვრებნი, პირთამდე ამოავსო შუშის ტარის საწყობები, მიწისქვეშა სათავსოები, სალუდე-საპელმენეები და გადასასვლელი გვირაბები. ერთიანად ჩარეცხა სკვერები, ძირიანად მოთხრილი, ქვაღორღში აზელილი დეკორატიული ყვავილები ნაგვად და ჭუჭყად მოჰფინა დამრეც ქუჩებს და მეეზოვეებს საქმე გაუთავეცა. არც გზა-გზა ჩამოშვანგული მინის ნამსხვრევები უნახავს ნაჯარისკაცალს, არც სტიქიის პროტესტად, მეზობელთა გინება უსმენია, ავტომანქანათა ფარდულების მისილულ კარებთან მდგომნი ამითლა რომ იოხებდნენ გულს. ასე უშფოთველად ეძინა და ეძინა. მერე კი მთლად სასწაული ჩაიდინა: ოთახის კარი შიგნიდან ჩაკეტა, მხოლოდ მაშინ აღებდა, დედა რომ შეევედრებოდა, გამოდი, სუფრასთან გელოდებით, გამოდი, შენ შემოგევლე, დავწყდით მშივრებიო.

ჭამდა თუ არა, ისევ ჩაიკეტებოდა. გიტარას აჟღარუნებდა, სულ ერთი და იგივე მელოდიას იმეორებდა, სულ ერთი და იგივეს, დროდადრო ღიღინებდა კიდეც, ვინ იცის, იქნებ აზრზეც არ იყო, გულზე რომ ხეთქავდა ოჯახის წევრებს. მათ უკვე აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ, რა გამოსავალი მოეძებნათ განდგომილის გადმოსაბირებლად, მის კვლავ მოსაშინაურებლად.

ასე გაგონილა? დასასვენებლად მოსული სტუმარი ხომ არ არის, ცხრა უცხო და გადამთიელიო. დაჯდეს ჩვენთან, ადამიანურად. დაგველაპარაკოს, ნუთუ არ აინტერესებს, როგორ ვცხოვრობთ, რა გვიჭირს, ან რა გვილხინსო, თორემ რას ჰგავს! დაუჭერია გიტარა და ერთი და იგივეს იმეორებს დაუსრულებლადო. კი მაგრამ, ჯარში დაკვრასა და სიმღერას ასწავლიან? აბა აქამდე არც ერთი მოგვისმენია მისგან და არც მეორეო. მაინც ასე გაბმულად ერთი და იგივე რა უბედურებაა.

ექიმიც მოიწვიეს, რჩევა ჰკითხეს, არ ვიცი, ეშმაკი შეუჯდა, თუ რა ტრიალებს ჩვენს თავსო, შესჩივლა უკვე მოთმინებიდან გამოსულმა მამამ.

— ეშმაკი კი არა, ასაკი... — შეუსწორა ექიმმა და ისე არხეინად გაიცინა, აშკარად ჩანდა, აინუნშიაც არ ჩაუგდია ნაჯარისკაცალის ახირებული ქცევით გამოწვეული ოჯახის განგაში. — იმღეროს, ხელს ნუ შეუშლით, რამდენიც გაეხარდება, იმღეროს. ეშმაკი ამღერებს თუ ანგელოზი, სულ ერთია, მთავარი ისაა, რომ ემღერება.

ბაჩანას ძალიან მოეწონა ის კეთილი კაცი, ნახევრად გამელოტებული, სიფრიფანა. დამაჯერებლად თქვა, იმღეროსო, სულაც არ შეუცხადებია, არც დაფიქრებულა, ისე განაცხადა თავისი საბოლოო და ერთადერთი აზრი.

მართლაც, რა იყო ასე უჩვეულო, ისეთი რა ხდებოდა? აკი ბაჩანა საკლიტურის ჭრილში რომ შესძახებდა, შემომიშვი, შენთან მინდაო, ძმა მაშინვე გაუღებდა კარს. ისიც მიჯდებოდა ტახტის კუთხეში, გაირინდებოდა, მოთმინებით შესცქეროდა ძმის თითებს, რთული აკორდების სუფთად აღებას რომ ლამობდა, ეჯახირებოდა დაუსრულებლივ. შესცქეროდა და თან ფიქრობდა, ნეტა როგორ შეიძლება, ადამიანს ეშმაკი შეუჯდეს? ნეტა როგორია ეშმაკი? აკი ჰკითხა კიდეც, ვერ მოითმინა და ჰკითხა ძმას.

— ოო, ეშმაკი დიდი მაზალო ვინმეა, მიწაზე რომ გგონია, ის მაშინ ცაში ჰკიდია და ენას გიყოფს, ხომ გინახავს მოედანზე ჭადართა წვერებს შესეული ჭილყვავები. ისინი უკეთურ ადამიანთა გაბოროტებული სულიდან ამოფრენი-

ლი ეშმაკები არიან. აბა, ქალაქში ჭილ-ყვავს რა უნდა!

— ბოროტება საიდან მოდის?

— როცა ადამიანში სიყვარული არ ცხოვრობს, მაშინ ბოროტება იბადება.

მაგრამ შენდვის ამეებზე ფიქრი ჯერ ადრეა. ჯერ წერა-კითხვა უნდა ისწავ-ლო.

— წერა-კითხვა უკვე ვიცი, — თქვა ბაჩანამ და კინაღამ ისიც დაუმატა, უყურადღებო ხარ, იმის მაგიერ, გაიგო, შენს აქ არყოფნაში რა ვისწავლე, ზი-ხარ და მთელი დღე გიტარას უკრავ.

მას შემდეგ გავიდა დრო, უფროსმა ძმამ მუშაობა დაიწყო, ადრე მიდიო-და და საღამოს დაღლილი მოდიოდა, აღარავის აბეზრებდა თავს გიტარის ჩხაკუნით, აღარც მარტო იკეტებოდა.

ბაჩანა კი მაინც პატარა იყო, მის ასაკში დრო ხომ ბევრს არაფერს ცვლის. წელს უკვე უცხო ენის შესწავ-ლა დაიწყო სკოლაში, ეს იყო და ეს, სხვაფრივ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. ზოგჯერ, როცა მათი აბო-ნემენტის რიგი მოვიდოდა, მოზარდ მაყურებელთა თეატრში წაასხამდნენ მთელ კლასს. ერთად უკრავდნენ ტაშს მოსწავლეებით გატენილ დარბაზში, ერთად იცინოდნენ ხმამაღლა, თავშეუ-კავებლად, უკანაც ერთად ბრუნდებო-დნენ.

ერთხელ, მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან შინ დაბრუნებისას, ვიღა-ცამ თქვა, გაღმითა მეტროსადგურის ერთ ბაქანზე, კედლის მარმარილოს ფილაში ეშმაკია გამოსახულიო.

ყურები ცქვიტა მაშინ ბაჩანამ, სმე-ნად იქცა. რახან ასეა, მასაც ხომ შეუ-ძლია თავისი თვალით ნახოს ეშმაკი, მერედა როგორ აინტერესებს! კიდევ ისა თქვა, საშუალო კაცის სიმაღლე-ზეო. ესეც აადვილებს მოძებნას.

ჰოდა მიდის ბაჩანა ეშმაკის საძებ-ნელად. დაუვლის მეტროსადგურთა ბაქნებს, ყოველ ფილას დაზვერავს კე-დლებზე.

ესკალატორი — დადაბლება და ეს-კალატორი — ამაღლება.

ბაჩანა დაბლა ეშვება, სიღრმისაკენ. აქ ზემოთ და ქვემოთ მიმართულებას შორის არავითარი განსხვავება არაა, აზრი ისაა მხოლოდ, საით მიდის შენი გზა.

ბაჩანას გზა არსად მიდიოდა. მას მი-წისქვეშა სადგურებში უნდა ეხეტია-ლა და რასაც ეძებდა, მიეგნო. აი, ამით განსხვავდებოდა სხვა მგზავრები-საგან. ოღონდ ეს მაშინ, თუ მის გუ-ლში ჩაიხედავდი და სიმართლეს ამო-იცნობდი, თორემ ზემოთ, ქუჩის კუთ-ხეში დადგმულ ვეება ბურახის კასრ-თან ამხანაგებს რომ დაშორდა, ასე თქვა, ძმასთან მივდივარო.

მართლა ძმასთან რომ მიდიოდეს, ახ-ლა, აი, ამ შავი მარმარილოთი ნაპირ-კეთებ სადგურში უნდა გადმოსულიყო. ისე კი, თუ გადაწყვეტილებას შეიცვ-ლის, ჯერაც ბრაა გვიან, კიდევ შეუძ-ლია მისდიოს ხალხის ნაკადს, სანამ კარი დაიხურებოდეს, ჯერ ხომ მომდე-ვნო სადგური არ გამოცხადებულა, ჩქარი ნაბიჯით რომ გასწიოს, უთუოდ მოასწრებს ვაგონიდან გასვლას. მაგ-რამ არც ეცდება ამას, ძმასთან წასვლა ამხანაგების თვალის ასახვევად მოიგო-ნა, მაინც რა ამაყად განაცხადა, ძმას-თან მივდივარ, მელოდებაო. თქვა, მერე რა, არც უარყოფს, თქვა, დაიქცა ქვე-ყანა? ვისი რა საქმეა, ძმასთან თუ არ მიდის. ისე, კაცმა რომ თქვას, კი ეწვე-ოდა სიამოვნებით ბროლის ქარხანას, ნახავდა, როგორ მოხერხებულად მუ-შაობდა მისი ძმა, სულის ჩაბერვით რომ აძლევდა თხევად ბროლს ბუშტის ფორმას. ტელევიზიითაც აჩვენეს ერ-თხელ გულდასმით მომუშავე, ვიწრო მილს ძალდაუტანებლად უქშუტუნებ-და, თითქოს თამაშობსო, და მეორე ბო-ლოდან მაშინვე ულამაზესი ბუშტი გა-მოცურდებოდა. მაშინ გულით სთხოვა ძმას, როდისმე შენს სამსახურში წამი-ყვანე და მეც ჩამაბერინეო. უარი არც იმას უთქვამს, თავი დაუქნია თანხმო-ბის ნიშნად. ბაჩანამ კი თავისთვის

იფიქრა, ნეტა რა წაყვანა მინდა, თვითონვე მივალო, ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად მივადგებიო. განა დაიკარგებოდა მართლა და მართლა, თუ გზას ვერ გაიგნებდა, ქუჩის მილიციელს შეეკითხებოდა.

ამ სადგურზე ნეტავ რად ჩავიდა ამდენი ხალხი? თითქმის დაიცალა ვაგონი. რა უცნაური სიცარიელეა. გინდ ცარიელ ვაგონში მჯდარხარ, გინდ უსალმო ადამიანს შეხვედრიხარ. ხომ იცნობს ასეთ უსალმოს, თანაც კარის მეზობელს. ერთხელ ვერ მოითმინა და უსაყვედურა კიდეც. იმან კი უპასუხა:

— ბავშვს ნეტა რად გინდა გამარჯობა!

ვაგონი მალევე ივსება. მგზავრთა ნაწილი ფეხზე დგას. გაღმითა სადგურები საცაა დაიწყება ალბათ, ყურადღებით უნდა იყოს.

კარგად ქნა, რომ იცრუა, ძალიანაც სწორად მოიქცა. რომ დამდგარიყო და გამოეცხადებინა, ეშმაკის საძებნელად მივდივარ, იგი გაღმითა რომელიღაც მეტროსადგურის ბაქანზე, კედლის ფილაშია გამოსახულიო, ჭკვიანური იქნებოდა? შეიძლება სიცილიც დაეყარათ მისთვის, რამდენს ასეთი რამ სასაცილოდ არ ჰყოფნის. მას კი როგორ სურდა, ენახა ეშმაკი, ამიტომ რადაც უნდა დაუჯდეს, მიაგნებს, მტკაველ-მტკაველ დაზვერავს კედლებს. იქნება ვინმემ, აი აქ, მის გვერდით მჯდომმა იცოდა იმ სადგურის სახელი, მას ძებნა-ძებნით, წვალებითა და მოთმინებით რომ უნდა მიეკვლია. მართლაც კარგი იქნებოდა, რომ მიასწავლიდნენ, რამდენად გაუადვილდებოდა საქმე. გამოცხადდება თუ არა სასურველი სადგური, ისიც გაჰყვებოდა ხალხის ნაკადს, მერე მშვიდად, გულდაგულ შეუდგებოდა ორივე ბაქნის დათვალიერებას.

ერთი თვალის მოვლებით დაზვერა გვერდით ჩარიგებული მგზავრები: შავგვრემანი, აბზეკილცხვირიანი ქალიშვილი, რაღაც კონსპექტს რომ ჩაჰკირკიტებდა; მთვლემარე მოხუცები, რატომღაც ცოლ-ქმრად რომ მიიჩნია, ნეტა ვისი ბებია და ბაბუაა, ისიც კი გაიფიქრა; საუბარში გართული ორი მანდილოსანი, ერთს ძალზე მაღალი ვარცხნილობა რომ ჰქონდა და მოდების ჟურნალში დახატულს ჰგავდა; იქით კი იდგნენ ყმაწვილები, ფიქრში წასულნი, როლინგებსა და სხვადასხვაგვარ ლამაზ უცხოურ კურტაკებში გამოპრანჭულნი; კარს მიყრდნობილ მფრინავს ქუდი ოდნავ გვერდზე ეხურა, ისეთი შესახედი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი; ბოლოში, ცალ სკამზე მჯდომ თათრის ქალს კალთაში მწვანილი ეყარა, შავი კოჭის ძაფით კონა-კონა კრავდა და ფეხებშუა მომწყვდეულ ვედროში ალაგებდა.

აქ ვისთვის შეიძლებოდა ეკითხა, ხომ არ იცით, ეშმაკი სად, რომელი სადგურის კედელზეაო? საინტერესო სწორედ ისაა, როცა შენს საქმეზე შეუმჩნევლად, უხმაუროდ მიდიხარ, არც გზა გეშლება, არც კვალი. აბა, თუ ხმამაღლა იყვირე, სხვებიც ჩარიე, რა გამოვა, შეიძლება დაგცინონ კიდეც, თავშესაქცევი გაუჩინო უცნობებს და სულ ადვილი მოსალოდნელია, ჭკუაც დაგარიგონ: რა გაჩქარებს, ჯერ გაიზარდე, თვალში გამოიხედე, დამოუკიდებლობას მიეჩვიე, რა ეშმაკის ძებნა აგიტყდა, დალოცვილო, საქმე შემოგელია? არა, სულაც არაა ჭკუის სწავლების გუნებაზე. მშვენივრად იცის, რაც უნდა და არავის აზრი არ აინტერესებს, თვითონვე მიაგნებს, რასაც ეძებს, სხვების დაუხმარებლად.

წამოდგა, კართან გაკრულ სქემას მიუახლოვდა, დააკვირდა. აი, მდინარე, გაღმითა სადგურებიც... ორი სადგურიღა დარჩა, ვიდრე მატარებელი მდინარის ქვეშ გაძვრება. რა ღრმად მიდის გვირაბი, მდინარე სადღაც ზემოთ რჩება, ვითომც არაფერი, თევზებზე დაბლა დაქრიან წინ და უკან.

ექვსი გაღმითა სადგური დაითვალა სქემაზე, ერთიც გადასასვლელი და მეორე ხაზის სამი სადგური. ყველა უნდა შემოიაროს, თანაც დედას სამსახური-

დან მობრუნებამდე შინ მიასწროს. რომ ჩაძიებულ კითხვებზე პასუხის გაცემას ასცდეს. განსაკუთრებით ის აღიზიანებს ხოლმე, როცა დედა ეუბნება, ნამეტანი ბევრის უფლებას აძლევ შენს თავსო.

ადგილი თავისუფლდება და ისევ ჯდება. მგზავრები მემწვანილე ქალს შეჰყურებენ, ღიმილი აფენიათ სახეზე, რბილი, ირონიაშეპარული, უღვარძლო, ნეტავი შენო, ამბობს მათი ღიმილი. ქალი ხმადაბლა, თავისთვის ღიღინებს, თან სხარტად ხმარობს კოჭის ძაფს, ზამბარასავით ახვევს ყოველ ახალ კონაზე.

ბაჩანას კი სულ მფრინავის ცქერა უნდა, მაგრამ იგი ჩადის. ცუდია, ასე ძალიან რომ მოგწონს ადამიანი, მეორედ კი, სამწუხაროდ, შეიძლება ვეღარ შეხვდე.

რბილია ქალის ხმა, რომელიც მეტროსადგურთა სახელწოდებებს აცხადებს, ერთი ტელედიქტორის ხმას მოჰგავს. ბაჩანას არ ეხატება გულზე ის ტელედიქტორი, უზომოდ დიდი კბილების გამო ძლივს რომ უყრის ხოლმე თავს ტუჩებს, მერე რა, ხმა მაინც მოსწონდა მისი. ასეთი რბილი და ალერსიანი ხმა იშვიათია. მფრინავი კი წავიდა.

რა უეცრად იღებს სიჩქარეს მატარებელი, კარის დახურვისთანავე მიჰქრის. თვალებს ხუჭავს ბაჩანა და უფრო მძაფრად შეიგრძნობს სიჩქარეს, თვალებს ხუჭავს და ხედავს სხივისფერ სიცარიელეს, ოდნავ ნარინჯისფერში გარდამავალ, ნერვული ფერის სიცარიელეს. შემდეგი სადგურის მოახლოებასაც მატარებლის სიჩქარის ცვლა აცნობს. აქ კი, გინდა თუ არა, მაინც უნდა გაახილო თვალი. მოზეიმე, მაგრამ მშვიდი სიდიადით გეგებება ბაქანი და მის მიღმა, ინტერიერში, გარინდული ძეგლივით ძნელად თვალმოსაწყვეტი სივრცე. მიწისქვეშა სადგურები არა მარტო შუქით, არამედ მარმარილოს ბრწყინვალებითაცაა გაჩახჩახებული. არც ერთი სადგური მეორეს არა ჰგავს. ყოველივე ამას კი ეშმაკის გამოსახულების თუნდაც ერთხელ — გახსენება ჩრდილავს. რადგან გაურკვეველია მისი სამყოფელი, ბაჩანამ ლამის ირწმუნოს, ყოველი კედლიდან მიჰვრეტს, ხელს მიქნევს ნაცნობივით, ნუთუ ვერ მომაგენი, ჩემი დანახვა რად გაგიჭირდაო. გრძნობს, რომ ეძებენ, აბა, ეშმაკი რისი ეშმაკია, ყველაფერს ხვდება და იქნებ გადმოვიდეს კედლიდან, უარი თქვას მარმარილოს ცივ და უძრავ სამყოფელზე, ვაგონის ფანჯარას აეკრას და გასდიოს ნიშნად იმისა, შენი ვარ, შენი ახლობელი და მეგობარი, მომბეზრდა კედელზე მარტოდმარტოდ ყოფნა და მოვედი, რახან ვერ მომაგენი, ჩემით მოვედიო.

რად სჭირდება ბაჩანას ამდენი ფიქრი ეშმაკზე? იქნებ გულგრილად მოეძებნა, დაძაბულად არა, ვედრებით — ჭია, ჭია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ — არამედ როგორც ტრამვაის კონდუქტორს ათვალიერებ მეჩხერ ხალხში, ყოველგვარი ღელვის გარეშე, რათა ბილეთი აიღო. კონდუქტორი ეშმაკივით არასდროს დაგიქნევს ხელს, აგერ ვარ, ნუთუ ვერა მხედავ, აქა ვარო, თვითონ მოგძებნის, სახელოზე მოგქაჩავს. შენც ფულს გადაიხდი და მოიშორებ, აღარ იფიქრებ მასზე. აქ კი, აქ სულ სხვაა.

აღარ ღირს თვალის დახუჭვა, მატარებლის დიდი სიჩქარე ისედაც კარგად აღიქმება, რა თქმა უნდა, არ ღირს, თორემ ნარინჯოვან მზისფერს იმ სიზმრის განწყობილებაც დაჰკრავს, სადაც ვიღაც ხმამაღლა კითხულობს: ვინ აჭრელებს ზებრებს? ეს ხმა გამოღვიძებულსაც გიდგას ყურში და სულაც არ ფიქრობ, რომ შეკითხვა უაზროა.

მატარებელი კი ასე დადის წინ და უკან, ერთბაშად რომ აიღებს ქანს, სრულებით აღარ ირწევა, როგორც გაჩერებისას იცის ხოლმე, ვითომ ნავი იყოს, მსუბუქად აქეთ-იქით აქანავდება რამდენჯერმე. რაღაც ახლობელი, თბილი განწყობილება ატყვევებს მა-

შინ ბაჩანას, თითქოს აქ კი არ იჯდეს, ტექნიკის მიღწევებით გაკეთილშობილებულ ჯურღმულში, არამედ შებინდებისას ვერის ხიდიდან შიგ მტკვარში ჩაკიდებულ, ოდნავ მოქანავე ღრუბლებს ჩასცქეროდეს. გვირაბის მუქ ფონზე გასარკულ ფანჯარაში ხედავს თავის თავს, როცა წინ მდგომი კაცი შეირხევა, ცოტათი მოინაცვლებს ადგილს, მოეცლება. აკვირდება მაშინ ახალგადაპარსულზე ძლივს-ძლივს ამოწვერილ ჯაგარა თმას. რად გადაპარსეს ვითომ, რა აუცილებლობა მოითხოვდა, ხოტორას ევლო. ადრე ამხელა ყურები არ უჩანდა, არც კისერი ჰქონებია ამსიგრძე. მალე მაინც გაეზრდებოდეს, რომ ისევ საკუთარ თავს დაემსგავსოს.

ჯიბრიანად იცქირება ფანჯარაში, გზადაგზა შემხვედრი, გვირაბიდან ამოტყორცნილი ელვისებური შუქი წამიერად რომ უკარგავს სარკის თვისებას, და ყოველ ახალ გამოჩენაზე ერთი სული აქვს, ენა გამოუყოს მოპირდაპირე მხრიდან გამოჭყეტილ ხოტორა, ყურებდაცქვეტილ ორეულს. „ახ, შენც ეშმაკის საძებნელად გაგიწევია? ძალიან გინდა ნახო? ვერ მოგართვეს! ნეტავ რას მიყურებ, დიდი ვინმე ბგონია შენი თავი? აი, ახლა მატარებელი მდინარის ქვეშ გაძვრება და მეც პირველსავე სადგურზე გადავალ, შენ კი კარგად მეყოლე, მაშინვე გაქრები. შენი არსებობა ჩემზეა დამოკიდებული, თუ მინდა, სულაც აღარ დაგაბრუნებ, არ დავდგები ფანჯარასთან და მორჩა!

ის კი მაინც ჯიუტად იყურება, გაიწევს თუ არა კაკაოსფერი პლაშჩიანი კაცი, მაშინვე ისიც გამოიჭყიტებს, დიდყურება, კისერწაგრძელებული. რა ბინძური პლაშჩი აცვია კაცს, რომ გაეხახუნო, უთუოდ დაგსვრის. როცა სხვების გვერდით ასე ჭუჭყიანი დგები, ეს ნიშნავს, რომ არად გენაღვლება სხვისი ტანისამოსი, ესე იგი, გარშემო მყოფთ პატივს არ სცემ.

ის იყო კაკაოსფერ პლაშჩიანზე დაიწყო ფიქრი, რომ მატარებელი შინდისფერი მარმარილოს სვეტებიან სადგურში შეგრიალდა. აპა, აქედან შეუდგება ბაჩანა საქმეს.

ხალხის ნაკადმა ჯიკავ-ჯიკავით გაიყვანა ვაგონიდან. იქვე გაჩერდა. მატარებელი წავა თუ არა, ცარიელ ბაქანს მოივლის ბაჩანა, მარმარილოს ყოველ ფილას ყურადღებით დაათვალიერებს.

მაგრამ ამაოდ, იქ არ აღმოჩნდა ეშმაკის გამოსახულება. მეორე ბაქანზე გადაინაცვლებს, სადგურის სალონს გადაივლის და იქაც კედელ-კედელ დაიწყებს თვალიერებას.

მძიმედ, მყარადაა ჩამომდგარი ვეება ბურთულებდაკიდებული ჭაღებით გაჩახჩახებული სალონის ინტერიერი, რომლის უკანა კედელს მთლიანად ფარავს ფერწერული გორელიეფი — ვაზის მოტივით შემკული უამრავი ფიგურა. ფოთლის სიმსუბუქე იგრძნობა ფიგურათა პოზებში, უამრავი წვრილი დეტალი ქმნის საერთო განწყობილებას, მაინც ყველაზე მთავარი და თვალშისაცემი, ხელებია, რატომღაც საგანგებოდ წინა პლანზე წამოწეული, საერთო პროპორციებთან შედარებით, დიდი, ღონიერი ხელები. მათ შემხედვარე ბაჩანას თანაკლასელი ფატის ხელები გაახსენდა, შეშუპებული, უმეტესად ლილისფერდაკრული, გოგო მუდამ, ან მოსწავლის ფორმის წინსაფრის ქვეშ, ან მერხში რომ მალავდა. ნათესავს ჰყავდა იგი ნაშვილები და ამბობდნენ, შინ ყველა საქმეს მას აკეთებინებენო. სხვებივით არასდროს ცელქობდა ფატი, არც მხიარულობდა, არც ეშმაკობდა. იყო უმეტესად ჩაფიქრებული, უზომოდ გრუზა თმა ჰქონდა ორ ნაწნავად ჩაწნული და მხრებზე ხშირად ქერტლი ეყარა.

შესცქეროდა ბაჩანა გორელიეფს და ფიქრობდა, რომ არც ისე საშინელებაა, ადამიანს ტლანქი ხელები თუ აქვსო. ამასობაში მეორე ბაქნიდან მატარებელი წავიდა. ახლა იყო ხელსაყრელი დრო, სანამ ხალხი ისევ მოგროვდებოდა, ისევ შეიქმნებოდა რია-რია.

ეს რა ლამაზი პეიზაჟები გასდევს კედლის ფილებს. თუ კარგად დააკვირდები, ზოგან ზღვის ნაპირია, თავთხელი, ქაფმოდებული ტალღებით, უკაცრიელი, მყუდრო ნაპირი. ისე ნაღდია სახილველი, ლამის ტალღის ჩქამიც გაიგონო; ზოგან მდინარის ჩახრამულ ხეობას ხედავ აშკარად. აი, ხეც, ფილის კიდეში ობლად აწურული...

ს ა ო ც ა რ ი ა!

ეს კაცი რად უცქერის ბრაზიანი თვალებით!

რკინიგზელის ტანსაცმელი აცვია. ეჭვი არაა, აქ მუშაობს, კი, მორიგესა ჰგავს, ალბათ მატარებლებს ღებულობს და უშვებს. მერე რა, განა ამიტომა აქვს უფლება, ასეთი თვალებით უცქიროს? კედლების თვალიერება აკრძალული ხომ არაა? აინუნშიც არ ჩააგდებს ბაჩანა მის ბატონკაცურ თავდაჯერებულობას, კარგად მოათვალიერებს კედლებს, კი არადა, ასე რომ არ იბღვირებოდეს ეს მორიგეა თუ ლოტოს კოჭი, სულაც შეიძლებოდა, მისთვის ეკითხა ეშმაკის გამოსახულების ადგილსამყოფელი, შეუძლებელია, არ სცოდნოდა.

ისევ გააპარა თვალი მეტროსადგურის მორიგისაკენ. ახლა იგი ჭერში ლიანდაგის გასწვრივ დაკიდებულ ვეება ბურთულებიან ჭაღს ასცქეროდა.

ბაჩანამ ახლაღა შენიშნა, რომ ჭაღის ბურთულაზე ჩიტი იჯდა, იადონს ჰგავდა, ლამაზი ფერები გასდევდა ფრთებსა და კუდზე. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ბაჩანა სადგურის მორიგის შორიახლო დადგა და მასავით გაიტაცა ჩიტის ცქერამ.

— გამოგგზავნა, ხომ? — ცოტა ხნის შემდეგ ღვარძლიანად თქვა მორიგემ.

ბაჩანამ გაკვირვებული მზერა შეაფეთა, ვერ დაიჯერა, ნათქვამი მას თუ ეხებოდა. მაგრამ ბაქნის ამ მონაკვეთზე მათ გარდა ჯერ არავინ ჰაჰანებდა. კი, მას ელაპარაკებოდა სადგურის მორიგე.

გაოცება უფრო მოეძალა ბიჭის გამომეტყველებას, ვერ გარკვეულიყო, რა უნდოდა ამ კაცს, რას როშავდა. ის კი აშკარად შარზე იყო ...

— ხომ ავუხსენი, მილიონჯერ გავუმეორე, არაფერი არ შემიძლია-მეთქი, არ ვიცი, ბატონო, ფრენა, რა ვქნა! ახლა შენ თუ დაეყუდები აქ მის მაგიერ, ვითომ გამოვა რამე? თუ თავიდან დავიწყოთ ისევ! შენს ქონებას უნდა მოუარო, მაგრად მოჰკიდო ხელი, ასეა ეს, ჩიტი გაუშვა და ახლა მე უნდა ვიმტვრიო თავი? ისე მიყურებ, თითქოს არ გესმის, რას ვამბობ. თქვენი მოსატყუებელი კბილები დაცვლილი მაქვს მე, ეგ ნომრებიც ზეპირად ვიცი. ის და შენ ჩემთვის ერთნი ხართ. არ მინდა, ბატონო, ეს ჩიტი, არაფერში მჭირდება! იმასაც ეგონა, იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ ამ ჭრელ ჩიტზე დამრჩა თვალი. არა-მეთქი! გაფრინდა და რა ვქნათ ახლა. ჩემი ბრალია? მითხარი, ჩემი ბრალია? რას მამწყრალებთ! გინდა თუ არა, მომეხმარეო. როგორ მოგეხმაროთ, ფრენა ვისწავლო თუ რა? ჰო, იდექი და მიყურე, ნეტა ხმას რატომ არ იღებ, იქნებ ტყუილს ვამბობ? ანგელოზი ბრძანდები, აზრზე ვერ მოდიხარ, არა? გითხარი, დავიცვალე თქვენი მოსატყუარი კბილები-მეთქი. მოვა მატარებელი და გაყევი, ჩამოდგება ხომ, ჩაჯექი და გასწი! მოეშვით ამ ჩიტს, ბოლოს და ბოლოს თქვენს ერთ სულელ ჩიტს ხომ არ უნდა გადავყვე, გავბეზრდი, სიცოცხლე მომიშხამა ამ წყეულმა ჩიტმა. ხომ გაიგე, რასაც გეუბნები, მოთმინებიდან არ გამომიყვანო!

— ვერაფერი ვერ გავიგე, — თქვა ბაჩანამ, კვლავ ჩიტს ახედა, მოკლე კამარა რომ შეკრა თაღის მცირე მონაკვეთში_ და ისევ ჭაღის ბურთულაზე დასკუპებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს გვირაბიდან მომქროლავი მატარებლის ინერციით მომწყდარმა ჰაერის ჭავლმა ჭაღები შეარხია და ჩიტიც სალონისაკენ გაფრინდა.

ბაჩანას მყის გადაავიწყდა სადგურის მორიგის აბდაუბდა, გაურკვეველი ლაპარაკი, სირბილით გასწია სალონისაკენ, სადაც ჩიტის წინ და უკან გაუთა-

ვებელი, ლამის გაბოროტებული ფრენა მგზავრთა ყურადღებას იპყრობდა წუთიერად მაინც. ბაჩანა ყველაფერს მიხვდა, სადგურის მორიგეს მართალია, ვერაფერი გავიგეო, უთხრა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, საიდან გაჩენილიყო აქ ჩიტი, რომლის პატრონიც მისი კბილა უნდა ყოფილიყო, და რომელიც ალბათ აიძულა მორიგემ, გაჩირაღდნებულ ქვესკნელში მიეტოვებინა, ვინ იცის, როგორი ნაფერები და ნალოლიავები ფრინველი. რა ბედად წაუვიდა ხელიდან, როგორ გაუფრინდა! ისე კი, ჩიტებს ოდნავ ჭკუა რომ ჰქონდეთ, პატრონისაგან არასოდეს გაფრინდებიან. ახლა რა ქნას, როგორღა უნდა დაიბრუნოს. იქნებ რამდენს ოცნებობდა, რომ ასეთი ჩიტი ჰყოლოდა. მეტროში რად შემოიყვანა ნეტა, ან გალიაში რად არ ჩასვა, გალიიდან ხომ ვერ გამოფრინდებოდა. შეცდა, მაგრამ რაღა დროსია. სად წავიდა თვითონ, როგორ მიატოვა ჩიტი, ნუთუ ისე ძალიან შეაშინა სადგურის მორიგემ, რომ აღარ დაბრუნდება, ხელაღებით უარს იტყვის თავის საკუთრებაზე? ეს ხომ ღალატია, უგულობაა და ცუდი საქციელი. ჩიტი, მართალია, ბაჩანასი არაა, მაგრამ ახლა მაინც ვეღარ მიატოვებს, მორიგე კი არა, მორიგეთა თუგინდ მთელი ჯარი აუმხედრდეს.

როგორც კი მატარებელი სადგურიდან გადის, ჩიტი მაშინვე ბაქნისაკენ მიეშურება, რომელიმე ჭაღის ვეება ბურთულაზე ჯდება და შემდეგი რეისის მოახლოებამდე სულს ითქვამს.

რას იბღვირება ეს კაცი, ბაჩანას თითქოს ვალი მართებდეს მისი. იბღვიროს, რამდენიც უნდა, იბღვიროს, სულ ნუ გახსნის წარბს, აი დარდი! მეტროსადგური მართლა მისი საკუთრება კი არაა. ამოდენა ხალხი მიდის და მოდის, აქ ყველა თანასწორია, მთავარია, არაფერი დააშავოს. მაინც რაში სდებს ბრალს მორიგე, იატაკზე დააგდო რაიმე, უსტვინა და მგზავრები შეაწუხა, კედლები დაფხაჭნა თუ ესკალატორის სახელურში ხურდა ფულები გაუშვა. ჩიტის ბედი რომ აწუხებს, განა ეს დანაშაულია? რამდენი დაკარგულდება ბაქანი, მარტონი რჩებიან, ჰოდა, უბღვერს და უბღვერს, მიშტერებია თვალმოუცილებლად. ხომ აქვს თავისი ჯიხური, შევიდეს შიგ.

უცებ ბაჩანამ მის მზერაში საშინელი ზიზღი იგრძნო. „როგორ ვეჯავრები, დამინახა თუ არა, მაშინვე შემიძულა“.

არც ბაჩანას ეხატებოდა გულზე მორიგე, მაგრამ ამას სულაც არ ჰქონდა ახლა მნიშვნელობა.

ჩიტი დაზაფრულივითაა, მის ფრენაშიც და უძრაობაშიც აშკარა გაბოროტება იგრძნობა. საშინელებაა ალბათ უცხო და უჩვეულო გარემოში მოხვედრა. ბედია და მეტი არაფერი, უკუღმართი ბედი. „ნუ გეშინია, ჩიტუნია, რაიმეს ვიღონებ, იქნებ შენი პატრონიც გამოჩნდეს, ამ უსულგულო მორიგის გამო როგორ მიგატოვებს“.

უსულგულო მორიგეს კი უკვე დაკარგვოდა მოთმინება, თავს დასდგომოდა ბაჩანას და თითის ქნევით ემუქრებოდა:

— ჩამოდგება მატარებელი და გაჰყვები, იცოდე, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ. ის ხომ იოლად გადამირჩა, ის ტუტუცი, გაუზრდელი, უხარია ალბათ, შემრჩა ენის გამოყოფაო. მთელ ჯავრს შენზე ვიყრი იცოდე, ლავაშივით გაგიხდი მაგ ცხვირ-პირს. მიყურე, მიყურე, კარგად დამიმახსოვრე, არავისში შეგეშალო! გადაგყვებით ახლა თან. რამდენი ცინგლიანი ღლაპი შემოეხეტებით აქ თქვენი იადონებით. ნახეთ რაღა, საჩიტეთი, იქნებ ზოოპარკის გახსნაც მომთხოვოთ! ისე გაოცებული იცქირები, მამა აბრამის ბატკანი ეგონები კაცს. მოკლედ, მე დავამთავრე შენთან ლაპარაკი, ვატყობ, მაგ თავში მაინც არაფერი შევა, თუგინდ დილამდე გიმეორო ერთი და იგივე. გაყევიმეთქი მატარებელს, უკანასკნელად მითქვამს, გაყევი და აქეთ მობრუნებული აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

ბაქანზე ხალხი შეგროვდა, მორიგეც ჩაცხრა, უკან გატრიალდა, მარმარილოს კედელში დატანებული კარი შეაღო და გაქრა.

მგზავრები ისე უყურებენ ჩიტს, როგორც ლამაზ სანახაობას, ზოგი გაკვირვებას ვერ მალავს, ზოგი შეჰღიმის, ბევრიც გულგრილია, სრულებით არ ენაღვლება პაწია, უცოდველი ფრინველის ბედი.

მორიგე კვლავ გამოჩნდა, კედელში დატანებული კარიდან გამოილალა და მატარებელმაც მოაყვირა. არა, ამ კაცის ყურება ნამდვილად აღარ შეუძლია ბაჩანას. ცხვირწინ ჩამომდგარ ვაგონში შესვლა გადაწყვიტა. უწადინოდ მიჰყვა ხალხს კარისაკენ და იქვე, შესასვლელშივე დადგა.

აი, ახლა, ბაქანზე მარტოდ დარჩენილ მორიგეს ჩაუქროლებს. საგანგებოდ მიაქცია ყურადღება მის გარეგნობას. ჯმუხი, შავი კაცი იყო, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა, უმიჯნო სიშორიდან გიმზერდა. ჩაუქროლა თუ არა, სწორედ ასე იფიქრა ბაჩანამ, რა შორიდან იყურებაო. რატომღაც ის მფრინავი გაახსენდა, აქეთობას რომ დაემგზავრა. მიხვდა, სადგურის მორიგეზე ფიქრისაგან თავის დასახსნელად უხმო მფრინავის ხატს, არც არასდროს დაავიწყდებოდა იგი. როგორ განსხვავდებოდნენ ადამიანები ერთმანეთისაგან...

ისევ ჩიტზე დაიწყო ფიქრი. ალბათ კვლავ აქეთ-იქით აწყდება კედლებს გაბოროტებით. რაღა მაინცდამაინც მეტროში გაუფრინდა თავის პატრონს!.. არა, ისევ უნდა მიბრუნდეს ბაჩანა, იცის, ვერას გააწყობს, ვერ დაეხმარება საცოდავ ჩიტს, მაგრამ მაინც უნდა მიბრუნდეს, იმ მორიგემ რაც უნდა, ისა თქვას, რამდენიც მოენებება, იმდენი იბრაზოს.

ნაცრისფერი მარმარილოთი ნაპირკეთებ სადგურში გადმოვა და უკან მიმავალ მატარებელზე გადაჯდება. ადვილზე ადვილი საქმეა.

მეორე ბაქანზე მატარებლის მომლოდინემ იგრძნო, განელებოდა ეშმაკის ძებნის სურვილი. როცა სულელურად გაფრენილ ჩიტზე ფიქრობ, მაშინ ეშმაკი რაღა სახსენებელია.

ჩამომდგარი მატარებლის კარისაკენ მიმავალმა ფანჯარაში დალანდა თავისი თავი, მართლა რამოდენა ყურები მაქვსო, ცოტა არ იყოს, წყენით გაიფიქრა. ასე რომ მცოდნოდა, არ დავთანხმდებოდი თმების გადაღებაზე, რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეჩხუბათ შინ, არ გადავიხოტრავდი და მორჩაო. რა იცოდა, თუ ასე შეცვლიდა უთმობა. იქნებ ამის გამოც არ მოუვიდა თვალში სადგურის მორიგეს, თორემ რას ერჩოდა, დააშავა რამე? როგორ მტრულად გამოიყურებოდა ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან. ნეტა ახლა რომ დაინახავს, რას იზამს?

სულ მალე გაირკვა, რას იზამდა მორიგე ბაჩანას დანახვაზე. ვაგონიდან გადმოსვლისთანავე შეასწრო მას თვალი, მგზავრებს შორის უმალვე შენიშნა შორიდანვე. ვიღაცებს მიუთითა კიდეც, კი, პირდაპირ ბაჩანასაკენ მოაშვირა ხელი, მერე მთელი ხმით იღრიალა:

— ახლა ეს გამომეცხადა! აი, ხომ ხართ მოწმე, ის გავისტუმრე და ახლა ეს მობრძანდა, პირი აქვთ შეკრული, ასე დაყიალობენ მატარებლიდან მატარებელში. გადამაყოლეს ამ უბედურ ჩიტს, ლამის მეც გამისკდეს გული. თქვენ გგონიათ, ადამიანის გულს ჩიტის გულზე მეტის ატანა შეუძლია? ანკი რად უნდათ ამათ ჩიტი, ჩიტის ფასი განა იციან!

მატარებელი აგუგუნდა, წასასვლელად გაემზადა, ამიტომ ბაჩანას გარკვევით აღარ ესმოდა მორიგის სიტყვები, რომელიც მას ეხებოდა, მის აუგს ანთხევდა, მისას და კიდევ ბაჩანასათვის უცნობი ბიჭისას, ჩიტის პატრონი რომ იყო და რომელზე გაგულისებული მორიგე ბაჩანასაც არ ზოგავდა, მგზავრებსაც მისდამი მტრულად განაწყობდა, რაც ენაზე მოადგებოდა, დაუფიქრებლად ისროდა.

ყველაფერს საზღვარი აქვს, მართლა ბოლომდე კი არ მოუთმენს ბაჩანა, პატარა რომაა, იმიტომ კი არ დააჩაგვრინებს თავს, მივა და პასუხს გასცემს, კარგებს ეტყვის, თუ უზრდელად ჩათვლიან, ჩათვალონ, ეგეც აღარ ენაღვლება.

მატარებელი მიიმალა და ბაჩანამ ისევ გაიგონა მორიგის ხმა, მხოლოდ რამდენიმე მგზავრიღა შერჩენოდა მსმენელად, ახლა ლიანდაგისაკენ უთითებდა მათ, თან გაცხარებით წარმოთქვამდა:

— სალახანები თუ არ არიან, ა, ბატონო, ამაზე მეტი საბუთი გინდა? ნახეთ! საკუთარი თვალით ნახეთ, რა უქნიათ! ბეღურა შეუღებავთ, ათასნაირად აუჭრელებიათ, ალბათ გაყიდვას უპირებდნენ, ვინმე პატიოსანი ადამიანის გაცურება უნდოდათ, მაგრამ ვერ მიართვეს! ჰმ, იადონად უნდოდათ მიესაღებინათ. გესმით თქვენ? აფერისტები!.. ამათთანებს კისერი უნდა მოუგრიხო! მართალი არა ვარ? მობრძანდი აქ! შენ გელაპარაკები, მოდი-მეთქი აქ!

მორიგის მბრძანებლური ტონი ბაჩანამ თავისი ფიზკულტურის მასწავლებლისას მიამსგავსა, ასე იცოდა ხოლმე მანაც, როცა გაბრაზდებოდა, თვალებს დაქაჩავდა, საშინლად დაებერებოდა კისრის ძარღვები. ახლაღა მიხვდა, ერთ ადგილზე რომ გაეშეშებინა და მიეჯაჭვა მორიგის გიჟური გარეგნობის ცქერას. გაუბედავად წადგა ნაბიჯი, დაუყოვნებლივ გაეშურა, თორემ მართლა შეეშინდა, იმის გაფიქრებაღა მოასწრო, თუ არ დავემორჩილე, მომვარდება და ყურით წამათრევსო.

ალბათ უნდა ეჩხუბოს, დაუსრულებლად ლანძღოს და ლანძღოს, უცხო ხალხში შეარცხვინოს. მაინც რად აშოიჩემა ასე, რა ცუდ თვალზე შეხედა.

მაგრამ ბაჩანას მისვლა და მორიგის გაჩუმება ერთი იყო. მან უსიტყვოდ გაიშვირა ხელი ლიანდაგისაკენ და, ბიჭის რეაქციის მოლოდინში, ბოროტმა, ნიშნისმომგებმა ღიმილმა გაურბინა სახეზე.

— აჰა, მოისვენეთ ახლა, — თქვა მერე წყნარად, — მოისვენეთ და მეც მომასვენეთ.

ჩიტი ლიანდაგებს შორის ეგდო, ცალი ფრთა მარაოსავით ჩამოშლოდა, თითქოს ზემოდან უნდოდა წაეფარებია თავისი დადუმებული სხეულისათვის, რომ ვეღარ დაენახათ მისი სიკვდილი, უსამართლო და ულმობელი.

— კი, გული გაუსკდებოდა, — თქვა მორიგესთან მდგომთაგან ერთმა. მერე ბაჩანასთან მიდგა, ახლობელივით დაადო მხარზე ხელი და ჩაჰკითხა: შენი იყო?

ბაჩანამ დაუფიქრებლად დაუქნია თავი, ლამის ტირილამდე მიიყვანა უცნობის თანაგრძნობამ. თვითონვე გაუკვირდა, რაში დასჭირდა ტყუილი, რად დაიჩემა ჩიტი.

— ის კი იძახდა, ჩემიაო, ამათგან სიმართლეს ვერასდროს გაიგებ! — ისევ გაცხარდა მორიგე, თითქოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვისი იყო მკვდარი ჩიტი.

ბაჩანას არ უცდია მხრიდან უცნობის ხელის მოშორება, მორიგისაკენ შებრუნდა, დააპირა, რაიმე ისეთი მიეხალა პირში, იმისნაირ კაცს რომ ეკადრებოდა, მაგრამ შეხედა თუ არა, უმალვე გადაიფიქრა. მერე ახლობელივით მოხვია ხელი გვერდით მდგარ უცნობს, ფეხისწვერებზე აიწია და ყურში ჩასჩურჩულა:

— იცით, ძია, ეგ კაცი რომ მოკვდება, მერე ჭილყვავად გადაიქცევა.

უცნობმა გაკვირვებით გაიღიმა, თავი გადააქნია, შეხედა მორიგეს, რომელსაც ახლა ინტერესი კლავდა გაეგო, რა თქვეს მასზე. მაგრამ ვერ გაიგებდა, არავინ ეტყოდა. ეს მტანჯველი, დაუოკებელი ინტერესი კვლავ წონასწორობას დააკარგვინებდა მორიგეს. ბაჩანამ იცოდა ეს, და რახან მისი მოსმენა აღარ შეეძლო, მატარებლისთვის აღარ დაუცდია, სირბილით გავარდა სალონში და ზემოთ ამავალ ესკალატორს მიაშურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯალაღონია

300

1.

თუ პირველი იყო სიტყვა, სიტყვა გასაკვირველი,
მაშინ ჩვენში ალბათ „გული“ იყო სიტყვა პირველი.
მე არ ვიცი სხვაგან რაა, მაგრამ ჩვენთან ასეა —
ჰგავს ქართული ენაც, სიტყვაც, ქართველ კაცის ხასიათს.
ჩვენი ენა, ჩვენი სიტყვა, ჩვენი ასო, ანბანი
ჰგავს სამშობლოს, ცრემლით, სისხლით, განწმენდილს და განბანილს.
ღაღადებენ ნანგრევები ბოლნისის თუ არმაზის —
რუსთველივით ბრძენია და თამარივით ლამაზი,
ქართულ ენას, ქართულ სიტყვას (ჩვენ რომ სანთლად ავინთეთ)
აქვს სიმტკიცე ქეთევანის, სიძლიერე დავითის.
იქნებ ბევრს არ გაუგია, იქნებ ბევრმა არ იცის,
რომ ქართველი თავის მამულს, გულს და ენას არ იცვლის.
დაუღვრია ცრემლი, სისხლი, აშკარაც და მალულიც,
გულით ენა შეუნახავს, ენით კიდევ მამული.
საქართველომ გულის ფანი ოდითგანვე იცოდა,
გულით ჰქმნიდა, გულით წერდა, შრომობდა და იბრძოდა.
არაფერი აქვს ისეთი გული რომ არ ერიოს.
ლექსია თუ სიმღერაა, ჰანგია თუ ფერია,
გვარია თუ სახელია, კუთხეა თუ უბანი:
გულარიძე, გულორდავა, გულია და გულბანი.
გულადი და გულჯავარი, გულბათი თუ გულდა,
გულნაზი და გულისვარდი, გულიკო თუ გულსუნდა.
გულგულა და გულიანთა, გულირიფში, გურია!
მე თუ მკითხავთ საქართველო მარტოოდენ გულია!

2.

ვინ თქვა ნეტავ გულის ყური, გულის პირი, გულის თქმა.
გულის ზრახვა, გულის ღელვა, გულის წვა და გულის ხმა.
ვინ შეარქვა გულის-გული მიჯნურს სულზე უნაზეს.
ვინ ისურვა გულის ვარდი, ანდა გულის მურაზი.
ვინ, ვინ ბრძანა გული მერჩის, ანდა გულმა მირჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის წასვლა, გულის მოსვლა სხვაგანაც თუ იციან?
ვინ ინდომა გულის ლბობა, გულის ფეხქვეშ დაგება,
გულით ნდობა, გულის წყრომა, გულის კარის გაღება.
ვის წამოცდა, გული დამწყდა, ანდა გულით ვიწვები,
ნეტავ ვინ თქვა გულის სიტყვა, სიტყვა გულს გეფიცები.
გულთმისანი, გულმოდგინე, გულმხნე და გულნათელი —
გული იყო ოდითგანვე ფარიც, ხმალიც ქართველის.

3.

საქართველოს გზაზე მივალ მარტო გულის ამარა,
იქით, ციხე გორგასალის, აქეთ, კოშკი თამარის.
აქეთ, რაჭა გულდამჯდარი, იქით, ქართლი გულსავსე,
აქ, ამერი გულს ახარებს, იქ, იმერი გულს ავსებს.
აქ, გულდიდი გურია და იქ, გულგანძი კახეთი.
გულამაყი აფხაზეთი, გულმაღალი სვანეთი.
აჭარაში გულის ბაღჩა, გულის ჭალა ოდიშში,
იმერეთში გულის პოვნა სულ ბატონო-ბოდიშით.
მესხეთი და ჯავახეთი, ჩვენი სისხლი უშრეტი,
არწივების ბუდესავით ცას მიკრული თუშეთი.
გულმოყვასი ხევსურეთი, გულმახვილი ფშავეთი,
მაღლა მთები გულკუმეტი ძირს გაშლილი ხავერდი.
ეტრატივით გაფენილი მინდვრები და სერები,
სტრიქონებად ჩაწერილი ვაზი, ყანა, სვრელები.
ალაგ ქართულ ფრესკებივით გადამწვარი ველებიც,
მწყურვალი და მომლოდინე გამრჯე კაცის ხელების.
სიმდიდრე და გულის განძი თუკი რამ მაბადია,
მთავარი და უმთავრესი, — მამულია, ცხადია.
გულს რაც ხატად მისვენია, გულზე რაც მახატია,
უპირველეს, უწინარეს — სამშობლოა, ცხადია.
ზოგჯერ გულს თუ რამე მიკლავს? გულს თუ რამე მაკლია.
ესეც ჩემი სამშობლოა — საქართველო, ცხადია.

4.

გული იქით გამეპარა, გული იქით გამექცა,
სადაც სული წინაპრების ანათებენ ღამე ცას.
გულმა იქით გამიწია, გული იქით მეძახის,
სადაც ტირის ნასახლარი, აჩეხილი ვენახი.
სადაც ტაძრებს მძიმე სევდა გულზე აწევთ ლოდივით,
სადაც დგანან ციხეები გულმკვდარ-გულჩათხრობილი.
სადაც საფლავს წინაპრების — ეკალ-ბარდი ერევა,
სადაც ფრესკებს გული უწუხთ, დარდით გული ელევათ.
სადაც ფრესკებს, ქართულ ფრესკებს გულზე ეკლად ესობათ,
სხვათა სიტყვა, სხვათა ლოცვა, გალობა და ლექსები.
სადაც ქართულ ჰანგს და სიტყვას ხმა და ფერი აკლდება.
სადაც ოშკი გულმწუხარე საკუთარ გულს აკვდება.
სადაც ენა რუსთაველის არის გულს დამარხული:
გულის წადილს, გულის სურვილს, გულში იკლავს ხახული.

სადაც გულის ფანცქალით და სადაც გულის კანკალით,
მშობლის გულის პასუხს ელის გულდამწყდარი პარხალი.
სადაც ბანა გულმწუხარე და გულამოვარდნილი,
შერჩენია ტაო-კლარჯეთს წინაპრების დარდივით.
გულჯავრიან მოგონებამ გული იქით წაიღო,
იქაც ჩემი საქართველო, იქაც ჩემი ცა იყო.
ჩემი გულის საუნჯე და ჩემი გულის იარა,
რაც მტრებსა და ცეცხლს გადურჩა წლებმა გაატიალა.

5.

გული ტირის, გული მიწუხს, გული მეთანაღრება,
ეს ვინ შეძლო ჩვენი მთების უბრძოლველად აღება.
ჩანს სახლი გულამოჭრილი, სოფელი გულდაცლილი,
და გულის ფიქრს, გულის ნადებს, გულში მალავს მაცილი...
მაგრამ ვხედავ ქვეყნის გზაზე მოდის ერის უღელით,
კაცი გულგაუტეხელი, კაცი გულმოუღლელი.
ვისაც გუშინ გულდადებით ჯვარზე კირი აჰქონდა,
ვინც დღეს გულმშრალ ჩვენს უდაბნოს გული აუწალკოტა.
ვინც ხვალ ახალ რუსთავ-ქალაქს, ახალ სამგორს ააგებს.
ვინც რწმენით გულმოცემული მამულს გულს არ დააკლებს.
ვინც ქვეყნისთვის, ხალხისათვის თავს დადებს და გასწირავს,
ვინც ხვალ უფრო მაღლა ასწევს სამშობლოს ცას — მთაწმინდას.

6.

უბრუნდება გულს იმედი, როგორც ბუდეს მერცხალი,
უბრუნდება გუთანს გლეხი, ცხვრების ფარას მეცხვარე.
უბრუნდება, მესხეთს ვაზი, ტაძრებს ძველი ფრესკები,
მთას გულლომი ვაჟკაცები და საფიხვნოს ლექსები.
ჩანს მთიელი შუბლგახსნილი, გზაც შუბლივით გაშლილი.
და არხოტზე ამოსული დგას სანათა ქმარშვილით.
გულს მიხარებს, გულს მიკეთებს, მელის გულით კეთილით.
ომალო გულჩახვეული, ადრე გულჩაკეტილი.
წარსულით გულამღვრეული იმ ვაჟკაცებს ვიგონებ,
ვინც შემორჩა ფანდურის სიმს, ხალხურ ლექსის სტრიქონებს.
არა ზარით და ზეიმით, არა ვაშა — დიდებით.
ვინც სამშობლოს გულისათვის მოკვდა გულდამშვიდებით.
ვინც დაეცა გულუჩუმრად აწყურთან თუ იცართან
არა თავის კუთვნილ მამულს — ქვეყნის სახელს იცავდა.
ვინც სიყვარულს მამულისას ტანზე ჯავშნად იცვამდა,
არა თავის ციხე-დარბაზს — საქართველოს იცავდა.
ვინც მოკვდა გულგანგმირული, მაგრამ ფეხმოუცვლელი,
ვისთვის ხალხის გული იყო — მატიანეს ფურცელი.
ვინც გაუყვა მამულისთვის გზას ძნელსა და ეკლიანს,
ვისთვისაც დღეს საქართველო ერთადერთი ძეგლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

გზა მოკლეა გასავლელი ქართველ კაცის გულამდე,
გულმართალი, გულნალვათი, გულოვანი, გულადი.
სიძულვილში გულნამცეცა, სიყვარულში უხვია,
გულახდილი, გულნათელი, გულითადი, გულღია.
მისი ფიცი (იცის მტერმა, მეგობრებმაც იციან)
ფიცი გულზე ხელდადებით სამუდამო ფიცია,
იცის გულის მიცემა და გულის გულში გადაცვლა,
ჭირში გულის გამაგრება ლხინში გულის გადაშლა.
უცებ იცის ამხედრება მახვილივით შემართვა,
უცებ გულის შეჯერება, უცებ გულის შევარდნა.
განა ენით, გულით ამბობს რა არის და ვინ არი.
არ აკლია გულის სწორი, გულის შემატკივარი.
არ ჩვევია გულის ხეთქვა, შიშით გულის ტრიალი,
თუმცა ბევრჯერ გადათელეს, ბევრჯერ გაატიალეს.
თუმცა ბევრჯერ ბეწვის ხიდზე, ხანჯლის პირზეც იარა,
სირცხვილი არ უჭამია ქართველ კაცის იარაღს.
თარეშობდა როცა ხმალი სპარსული თუ თურქული,
ხშირად იყო გულდამწყდარი, ხშირად გულდათუთქული.
როცა მამულს უოხრებდა გულყრუ და გულვერაგი.
გაუხდია ხშირად ჯავრის, ხშირად გულის პერანგიც;
არც სიკვდილის შიში ჰქონდა მამულისთვის გულდაგულს,
გულბოროტთან, გულშიშველი მიდიოდა გულდაგულ.
გულმაგარი, გულზვიადი, გულკაცი და ლომგული,
ზოგჯერ იყო გულგამსკდარი, ღალატით გულმოკლული.
ორგულობით, ორპირობით ზოგჯერ გულამღვრეული,
მაინც იყო გულალალი, მაინც თავაწეული.
მაინც იყო ამაყი და, მაინც იყო უცვლელი,
მაინც წერა საქართველოს მატიანეს ფურცელი,
მაინც ჭრა და მაინც ხატა ჩუქურთმა და ფრესკები,
მაინც სიმებს ფანდურისას ათქმევინა ლექსები.
ააშენა მაინც ჯვარი, გელათი და ვარძია,
მაინც ჭერი სვეტიცხოვლის მეცხრე ცამდე ასწია...
გულს არასდროს აყოლებდა, სხვის სიავეს, სხვის ცოდვას,
გულრბილმა და გულმოწყალემ პატიებაც იცოდა.
გულმრუდსა და გულმანკიერს თუმცა ბევრჯერ ჩაუხტა.
გულდარდიანს, გულის ჯავრიც, ხშირად გულში ჩაუკლავს.
გულმტკიცე და გულგასული გულდახშულიც უნახავთ.
გულმძიმე და გულგამწყრალი, კრწანისს ეგდო გულაღმა.
სხვისთვის მუდამ გულით გულის ფიანდაზად დამგები.
იმ ქვეყნადაც მიდიოდა, გულზე ხელებდაკრებით.
იმ ქვეყნადაც მიდიოდა აქ დარჩენის სურვილით,
საქართველოს სიყვარულით, საქართველოს წყურვილით.
არც სხვის ჭირზე არ ყოფილა გულგრილი და გულცივი,
მტერს გულწრფელად ემტერება მოყვასს გულით უცინის.
შრომაც იცის გულმოდგინე საქმის გულის დადება,
მეგობრისთვის, მეზობლისთვის შუბის წვერზე დადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა გულით თუ ისურვა მართლა გულით ინება,
იცის გულის მოფონება, გულის მონადირება.
იცის გულის მობრუნება, იცის გულის მოგება.
სიტყვით გულის მოჯერება, სიტყვის გულზე მორგება.
მართლა გულით თუ წადია, მართლა გულით თუ ნებავს;
იცის გულში ჩახუტება, გულში ჩახუტუნება.
გულზე ვარდის გადაფენა, სიკეთის გახსენება,
იცის გულის ადუღება, იცის გულის ჩვენება.
მაგრამ დარდმა თუ იპოვნა, გულის ზადი შემოჰყვა,
იცის გულის გაფუჭება, უცებ გულზე შემოყრა.
თუ გულს გაწვდილს სამეგობროდ მეგობარი არ მოჰყვა,
უცებ იცის გულისწყრომაც, გულის ჯავრის ამოყრაც.
უგულო და გულქვა მტერმა თუმცა ბევრჯერ მოთხარა,
ასპინძით და ბასიანით იცის გულის მოფხანაც,
გულჩვილი და გულაზიზი არის გულის ამყოლიც,
გული ბევრჯერ მოიოხა დიდგორით და შამქორით.
საქართველო — გულის ხატი ჭირში თუ ეგულება,
იცის გულის აძგერება, სამშობლოს ერთგულება.
თუ გულღრძო და გულხენეში გაუთელავს ღირსებას.
უცებ იცის გახელება იცის გაგულისება.
გულში ტყვიის ჩადუღება, მომხდურის არ დანდობა,
მტრების გულზე გასიება, მტრისთვის გულზე დადგომა.
თუმც უთქმელად, უყოყმანოდ მამულს ზედ დააკვდება,
უცებ იცის გულის აყრა, იცის გულის დაკლება.
თუმც დაღვრილა მამულისთვის ხშირად სისხლად და ცრემლად,
იცის გულის აცრუებაც, გულზე ბინდის დაცემა.
მარტო გულის ფასი იცის, მარტო სიტყვას აწონის.
სიმღერა და ლექსები აქვს მართლა გულში ჩამწვდომი.
უცებ იცის სიყვარულიც გულზე ცეცხლის მოდება,
თუ გოდებდა გულსაკლავად, გულამოსკვნით გოდებდა.
სიყვარულშიც გულუხვია, მიჯნურისთვის თავს დადებს.
იცის ტრფობა გულმხურვალე, მართლაც გულის წასვლამდე.
თუ ომში და სიყვარულში გულანთებით იწვოდა,
ქეიფიც და პურის ჭამაც გულიანი იცოდა.
გაუვლია ასე წლები ცეცხლით და ქარტეხილით,
გულნატკენი იყო მაგრამ არა გულგატეხილი.

8.

მოდიოდა, ჩინგის-ხანი, თემურლენგი, აბასი,
მოდიოდა ერთზე ათი, ასი, ზოგჯერ ათასი.
მოდიოდა რისხვად, ზარად, სიკვდილად და აკლებად.
მოდიოდა, მაგრამ მუმლი მუხას ვერას აკლებდა.
სეტყვად მოსულ მტერს, ქართველი — აქ ქვა და კლდე ხვდებოდა,
ქართველს სწამდა უკვდავების თუ ქვეყნისთვის კვდებოდა;
ეცემოდა გულდაჭრილი ხან მარაბდას, ხან არაგვეთს.
ერთი კაცი ცხრა ძმას ჰგავდა, ცხრა ძმა სამას არაგველს.
ის სამასი ათას კაცად, იქცეოდა გარნისთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კვდებოდა გულმოკლული ხან ტაოს, ხან ტაშისკარს.
თუ გატეხდნენ ციხე-კოშკთა სიმტკიცეს და სილაღეს,
ენა იყო საქართველოს ბოლო ციხე-სიმაგრე.
გულმედგარი ციხის ბურჯი, გულმხნე ჯიხას გოდოლი.
აკვდებოდა მის კარიბჭეს თურქი, სპარსი, მონღოლი.
„იავნანას“ ქართულ ენას ამღერებულს აკვანთან.
ზოგი კლავდა, ზოგი წვავდა, ზოგი ჯვარზე აკრავდა.
მოდიოდა ერთზე ათი, ასი, ზოგჯერ ათასი,
და იბრძოდა გულუშიშრად „სიტყვის კონა“ საბასი.
ერთი სიტყვა ცხრა ძმას ჰგავდა, ხანაც სამას არაგველს.
და იქნევდა მახვილივით ლექსებს, ზღაპრებს, არაკებს.
გულფიცხსა და გულდაღრიან, შაირსა და კაფიას —
ბევრი სამტროდ მოვარდნილი სიტყვა აუკაფია.
გულგახსნილი, გულმზიანი, არც გულის დარდს მალავდა,
ჰქონდა თავის დიდგორი და ჰქონდა თავის მარაბდა.
დაჩეჩქვილი, დასეტყვილი, ტყვიით, ხმალით, ხანძარით.
იდგა როგორც გორის ციხე, ალავერდში — ტაძარი.

9.

მოდიოდა ერთზე ათი, ასი, ზოგჯერ ათასი,
ენა აღამაჰმადხანის, მურვან ყრუს თუ აბასის.
ქართულ ენას, ქართულ სიტყვას გარს მუმლივით ეხვია.
ბევრი ენა ქარაფინდა ბევრი შარახვეტია.
გულავი და გულარჯალი, გულცბიერი, გულბილწი,
იმ ხანივით გულბოროტი, იმ ყრუსავით უვიცი.
მაგრამ ენა არც სულთანი, არც მეფე, არც ხანია,
ხანს თუ ხანჯლით გულს ვუპობდით, გულს ვუხსნიდით ხაიამს.
ისევ დრო და ხალხი იყო ენის გამრჩევ-განმსჯელი,
გვძულდა ენა შაჰაბასის, მაგრამ არა განჯელის.
გვძულდა ენა მოძალადის, ჯალათის და დესპოტის.
გრიაზნოვებს თუკი ვკლავდით, პუშკინს ვარდებს ვესროდით.
განა ხალხის ენა იყო, ენა შაჰის ფირმანის.
სულ სხვა არის ხალხის ენა, ენა კიდევ ტირანის.
ხალხის ენა გულებს შორის გადებული ხიდია.
ლექსები და სიმღერები ენით მოდი-მიდიან.
ყველა ერი, ყველა ენა, ქვეყნის ხმა და ფერია.
ენის მტერი, ერის მტერი, თვით ბუნების მტერია.
ყველა ერი, ყველა კაცი, ენით არის ძლიერი.
ვიყოთ უფრო გულმღვიძარე, უფრო გულისხმიერი.
ვიყოთ უფრო გულმედგარი, გულქართლი და გულქველი.
ქარქაშს ჩაჟანგებულ ხმალს ჰგავს სიტყვა გულით უთქმელი.
კაცის ჭკუა და გონება ენამ უნდა ალესოს.
მშობლიური ენა არის ნიჭის საასპარეზო.
ენა ერის სიცოცხლეა, ენა ხალხის სულია.
ენა ჩვენი მეგობრობის, ჩვენი სიხარულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ნიჭით იზომება ყველა ერის სიდიდე.
ენა ჩვენი მეგობრების არის ჩვენი სიმდიდრეც.
ჩვენ გვძულს ენა ავაზაკის, ავგულის და თავხედის.
თორემ საძმოდ ვინც მოგვივა ჩვენც ძმასავით დავხვდებით,
ჩვენც გულმოყვრად დავუხვდებით, ვინც მოგვივა მოყვრებაად.
ჩვენ მოყვასის სიყვარული ოდითგანვე მოგვყვება.
ქართულ ენას, რა აქვს სხვისი სამტრო ან სააუგო,
გულით მოსულ ყველა ენას გული ტახტად დაუგო.
ვეუბნებით ყველა ენას შორით მდგომს თუ ახლო მყოფს,
ყველა ენა ქვეყანაზე ღმერთმა კარგად ამყოფოს.
ნიუ-იორკს, სანტიაგოს, ლისაბონს თუ აკროპოლს.
ყველა ენა თავის სახლში ღმერთმა კარგად ამყოფოს.

10.

არ მცილდება სიტყვა „გული", როგორც ნერსეს ის აბო,
ხან სამშობლოს სიხარულზე, ხან წუხილზე მიამბობს.
ხან გულნაღვლობს, ხან გულანთობს, გულმარიხობს, გულამბრობს.
ხან გულმარდად დადიანობს, ხან გულმშვიდად ზურაბობს.
ხან გულწმინდად ქეთევანობს, ხან გულმტკიცედ პაატობს.
ოთაში გულარხეინი, ჰერემში გულბაათობს.
საგულე და ჯიხელასთან თუკი დარდმა დაფლითა.
განახლებულ ოშორაში გულზე შემომაფრინდა.
ერთი სიტყვა სამად იქცა, როცა მიველ დიდგორთან.
როცა გულით მოვეფერე ვარძიას და იკორთას.
ერთი სიტყვა ათად იქცა, როცა მიველ ბასიანს.
მარაბდასთან ერთად სიტყვა ვხედავ უკვე ასია.
თითქოს გული ამომიჯდა, გული ალაპარაკდა,
ერთი სიტყვა გასამასდა როცა მიველ არაგვთან.
თუ დასჭირდა ის სამასი გადიქცევა ათასად.
ხან აკვანთან იგულფხიზლებს, ხან თოფთან და ხან თასთან.
ხან სიმღერად იგუგუნებს, ხან ლოცვად და ხან ლექსად,
მამულისთვის გულსწრაფ ბიჭებს მახვილივით ალესავს.
საღლაც კიდევ გველანდება არაგვიც და ალგეთიც.
განა მარტო ლეგენდაა ბასკები და ბასკეთი.
ის ბოლნისის ნანგრევებიც განა მარტო ქვებია,
ძველი ეტრატ-გუჯარებიც წინაპრების ხმებია.
დგას გულკერპი ჩემი ენა და გულდასმით, გულდინჯად.
ყველა ლექსს და ყველა სიტყვას გულს და მაჯას უსინჯავს.
გულმა იცის, გულით მჯერა, გულმა მითხრა, გულით მწამს.
რამდენიც არ იდიდგულოს გულარძნილმა, უვიცმა.
რამდენიც არ იგულზვავოს სამარეში თემურმა,
ქართულ ენას, შოთას ენას, ჟამთა სვლა ვერ შემუსრავს.
ენა, რომლის ერთი სიტყვა ითქმის სამასნაირად,
მუდამ ივლის სიმღერებად, ლექსებად და შაირად.
მუდამ ივლის ასე მტკიცედ, ასე მხნედ და ლამაზად.
ერთი ათად, ათი ასად, ასი კიდევ სამასად.

რამდენიც არ იგულღამოს მურვან ყრუმ თუ ჩინგიზმა,
უკვდავია, მარადია, მისი სვლა და მისი გზა.
არ მოკვდება, არც ქვეყანა, არც ერი, არც გვარ-ტომი,
ასეთ განძის და სიმდიდრის მფლობელი და პატრონი.
დღეს ისე, ვით არასოდეს, აღზევდა და ამაღლდა.
საქართველოს გერბს და დროშას აფრიალებს ამაყად.
უკვდავების შუქად ადგას ჩვენი დღევანდელობა.
დღეს ისე ვით არასოდეს მწამს მისი მზეგრძელობა.
მომავალშიც არც წლებს, არც მტრებს, არც დაუთმობს არაფერს.
რწმენით ვუმზერ სამას სიტყვას, სამას ცოცხალ არაგველს.

1982 წ.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ რჩეულიშვილი

ორი მოთხრობა

ძმები

ზღვის ნაპირას, თავთხელ წყალში მდგარ ექვსი წლის ირაკლის ტალღამ წელზემოთ დაარტყა და ქვიშაზე წააქცია, ხოლო თითონ კვლავ ზღვაში გაიპარა. მარინემ, ირაკლის უფროსმა ბიძაშვილმა, ხელი მოჭიდა პატარას, წამოაყენა, მერე ზღვაში უფრო შორს შეიყვანა. ბავშვს შეეშინდა, ხელი მოუჭირა ბიძაშვილს და შეშინებული თვალებით მოიხედა ნაპირისაკენ.

შორს, საცურაო ადგილის განმსაზღვრელი წითელი დროშები ტივტივებდნენ ტალღებზე, დროშასთან შუა ხანს გადაცილებული მოხუცი ზურგზე დაწოლილიყო, ხელში ქოლგა ეჭირა და მთვლემარე მზერით ჰვრეტდა გზის მოპირდაპირე მხარეს ღრუბლების დინჯ მოძრაობას. ნაპირიდან წამოსულმა ნავმა ახლო ჩაუარა მოტივტივე დროშას. ნავის წვერზე ლამაზი სახის, სარაფნიანი გოგონა წამოსკუპებულიყო, რომელიც მზის სხივებს გაზეთის ქაღალდით იჩრდილავდა. ნავის ბოლოში ორი ვაჟი იჯდა. ისინი შურით უყურებდნენ თავიანთ ამხანაგს, ის კი ძალას არ ზოგავდა ნიჩბების ძლიერად მოსმისათვის და ზურგზე დაბერილ ლივლივა კუნთებზე კარგადა გრძნობდა ნავის ცხვირზე მჯდარი გოგონას მალულ მზერას, რაც შეუჩვეველ ხელებზე ნიჩბის მოსმისგან გადაცქვლეთილ წყლულებისაგან გამოწვეულ წვას ავიწყებდა.

იქვე ახლოს მანქანის გაბერილი კამერა ცხვირზე ტყავგადამძვრალ რუსის გოგონას წელზე მოერგო და ცუდად მოცურავე შავტუხა სომხის ბიჭს ეკრიჭებოდა. ამ უკანასკნელმა კამერას ხელი ჩაავლო, ცოტა შეისვენა, მერე შაბლონური კომპლიმენტი უთხრა კამერის მფლობელს — „რა კარგადა ხართ დამწვარი, ბრინჯაოს ფრად, ძალიან მიყვარს ასეთი ფერი“.

—მართლა? ეს აქ დავიწვი ასე, თუმცა ცხვირმა კი ძალიან გამამწარა, არა შავდება და სულ ტყავი მძვრება, რა არ დავიფარე, ვერაფერმა მიშველა.

— რასა ბრძანებთ, ცხვირიც მშვენივრად ყავისფრადა გაქვთ მზემოკიდებული, — მლიქვნელური ღიმილით უთხრა სომხის ბიჭმა და ზღვაში ჩაყვინთა. მერე კამერის შიგნით ამოყო თავი, გოგონას მიეკრა და ლაპარაკი განაგრძო:

— თქვენი ნებართვით, რა თქმა უნდა, მე, როგორც ხედავთ, ცუდად ვცურავ და ძალიან დავიღალე.

— კარგად იყავით, — ცივად მიუგო რუსმა გოგონამ, პირი იბრუნა ნაპირისაკენ და ხელი მოუსვა ტალღას: —

თქვენც მომეხმარეთ, ჩქარა გაგიყვანთ და იქ დაისვენეთ, მე კი ისევ შემოვალ ზღვაში. დღე მე მხოლოდ ცურვისთვის მაქვს დათმობილი.

ზღვა კი დაუსრულებლივ გზავნიდა თავის ტალღებს ნაპირისაკენ.

— მარინე, მარინე! — მოისმა ნაპირიდან ყვირილი და წყალში გულადად, ტყაპატყუპით შემოტივტივდა ირაკლის უმცროსი, ოთხი წლის ძმა გიგული. ზღვის პატარა ტალღამ გულამდე უწია მას და რბილ ქვიშაზე წამოაქცია. გიგული იწვა ქვიშაზე და გულიანად ხითხითებდა.

— მოდი აქ, ბიჭო! ხელი მომკიდე თორემ წყალი წაგიღებს, — დაუძახა მარინემ და მისაშველებლად გაემართა. გიგულიმ მარინეს გაწვდილ საჩვენებელ თითს ხელი მაგრად ჩასჭიდა, მერე თავის ძმას შეხედა, გაუღიმა, გაეღრიჭა, დაეღმანჭა და გაბრაზება დაუწყო:

— ილაკლი მშიშარა, ილაკლი მშიშარა.

ირაკლიმ უცებ მიიღო შეურაცხყოფილი სახე, მაგრამ არ გატყდა, გაიღიმა, მარინეს შეხედა ფიქრიანობიარე თვალებით.

მარინე მიუხვდა ირაკლის და უმცროს ძმასთან არ შეურცხვინა:

— არაფერიც, გიგული, ირაკლი მშიშარა არ არის. ის ყელამდე შედის წყალში, ჩქარა ცურვასაც ისწავლის, მერე შენც გასწავლის თუ ჭკვიანად იქნები.

ახლა გიგული გაიბუტა, ლოყები გამობერა, ფეხები განზე გადგა და გაინაბა. მარინემ ირაკლის ხელი გაუშვა, გიგული მაღლა აიყვანა, წყალში ღრმად შევიდა და წამოსულ ტალღას სიცილით დაუხვედრა პატარა ბიძაშვილის მზისგან გარუჯული ტანი. გიგული ისევ მოვიდა გუნებაზე, ზღვისკენ გაიხედა და შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა უფროს ბიძაშვილს.

— ამას უყურე რა ღონეზეა, — გაიკვირვა მარინემ.

მერე ნაპირას გამოიყვანა, ირაკლისაც ჩასჭიდა ხელი და იქვე ზღვის კენჭებზე დაყრილი ტანსაცმლისაკენ გასწია.

თითონ სარაფანი ჩაიცვა, პატარებს კი სანდლებში გააყრევინა ფეხები; მერე ჩალის ფართო პანამა დაიხურა, პატარებსაც დაახურა და გასასვლელისაკენ გაემართა. წინ თითონ მიდიოდა, მერე გიგული მისდევდა, რომელიც მის საჩვენებელ თითს მაგრად ეჭიდებოდა, ბოლოს კი ირაკლი მისდევდათ. მას გიგულის ზურგისთვის ხელი მიეჭირა, მეორეთი უკანალზე ხელს ურტყამდა, თან შეუჩერებლივ ლაპარაკობდა:

— აჩუ, აჩუ ცხენო, ჩქარა გაიქეცი, ჩქარა სახლში მიგვიყვანე, დედა გველოდება, მერე საუზმეს შევჭამთ, მერე დავიძინებთ! — ძილის გახსენებაზე გიგულის გუნება გაუფუჭდა. ჭირივით სძულდა დაწყევლილი მკვდარი საათი.

— ძილი არ მინდა, არ მინდა, არ მინდა, — დაიწყო ცალ ფეხზე ხტუნაობა გიგულიმ და ქვიშა აყარა, — მარინე! მარინე! ფეხსაცმელში მიწა ჩამივიდა, — შესჩივლა.

მარინემ ხელი გაუშვა, მერე დაიჩოქა, გიგულის ცალი ხელი მხარზე გადაიდო, ფეხზე სანდალი გახადა, ქვიშა გამოუყარა, შემდეგ ისევ ჩააცვა და შეუკრა.

— მოისვენეთ ეხლა ბიჭებო! — დატუქსა მოუსვენრები. — ვინც კარგად მოიქცევა, საღამოს სხვაგან წავიყვან, ვინც გამაბრაზებს, ეხლავე იცოდეთ შინ დარჩება.

ბიჭები უცებ გაჩუმდნენ. აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ბიძაშვილს და სახლამდე მხოლოდ თვალებით ეშმაკობდნენ.

— ერბოკვერცხი არ მინდა.

— არ მინდა.

— რძე არ მინდა.

— აბა რა გინდათ, თქვენი ვერაფერი გავიგე, — ჯავრობდა დედა. — იცოდეთ, ხვალვე წაგიყვანთ აქედან თბილისში, ეხლავე მივწერ წერილს მამას, თუ კარგად არ მოიქცევით. აი ნა-

ხეთ, მარინე რა კარგი გოგოა, როგორა ჭამს უხვეწნად.

— მარინე დიდია, — თქვა ირაკლიმ.

— ხო, მარინე დიდია, — გაიმეორა გიგულიმ.

— დიდი როა, ამიტომ ორ კვერცხს ჭამს და ორ ჭიქა რძესაც სვამს, თქვენ კი თითოს მეტს ვინა გთხოვთ.

— ირაკლი, გიგული, ჩქარა, ულაპარაკოთ შეჭამეთ და დაწექით, თორემ აღარ გაიზრდებით, ხო ნახეთ ნოდარს როგორი კუნთები აქვს, რამხელაა.

— რატო? — იკითხა ირაკლიმ.

— რატო? — გაიმეორა გიგულიმ, და შეხედა მარინეს.

— იმიტომ, რომ ერბოკვერცხს ჭამს. — უპასუხა მარინემ და დაუყვავა, — ჭამეთ, ბიჭებო, ჭამეთ.

როგორც იყო საუზმეც დაამთავრეს.

ბიჭების დედამ სახლის უკან აივანზე მდგარ დიდ ტახტზე ფარდაგი გაშალა, ზეწარი გადააფარა და ტიტლიკანა ბიჭები დააგორა.

— მარინე, გენაცვალე, ერთი ზეწარი ზევიდან გადააფარე და შენც იქვე, გასაშლელ საწოლზე დაწექი, თორემ დაღლილი ხარ. მეშინია, არ გახდე ძალიან, დედაშენთან ხომ ეგრე ვერ ჩაგიყვან. დაწექი, შვილო, დაწექი. — ნაზად უთხრა ბავშვების დედამ და სამზარეულოში შევიდა.

— მარინე, მოგვიყევი რა, რამე, — მარინეს შესვლისთანავე დაიწყო ირაკლიმ ხვეწნა, თან გიგულის უჩქმიტა.

— მოგვიყევი რა, — გაიმეორა გიგულიმ და ჩუმად ფეხი ჰკრა თავის ძმას.

ახლა ისევ ირაკლიმ უჩქმიტა, მერე ისევ გიგულიმ. ბოლოს ირაკლიმ ვეღარ აიტანა და დაიყვირა:

— მჩქმეტს!

— ტყუის, თითონ მჩქმეტს, — უფრო მწარედ დაიჩხავლა გიგულიმ და თან მუცელში ხელი ჩაარტყა, მერე ლოყაზე მწარედ უჩქმიტა. ირაკლიმ ცოტა მოითმინა, შემდეგ ზევიდან მოექცა, ხელები დაუჭირა უმცროს ძმას და გადამწყვეტი ხმით დაუძახა ძმისინეს:

— მარინე, უთხარი, ხომ ხედავ, რას მიშვრება! თუ არ მოისვენებს, ეცემ.

— მოისვენეთ, ბიჭებო, თორემ არც ერთს აღარ წაგიყვანთ ამ საღამოს.

მარინე წიგნს კითხულობდა, ადგომა ეზარებოდა და ჯერ მხოლოდ სიტყვით აწყნარებდა ბავშვებს.

ამით ისარგებლა გიგულიმ და მწარედ ამოარტყა წიხლი ირაკლის, რომელმაც ტკივილისაგან ძმას ხელი გაუშვა და ტირილი დაიწყო. მარინემ წიგნი გადააგდო, წამოხტა; ამავე დროს დედაც გამოვიდა, ირაკლის მიუალერსა და გიგულის რბილ ადგილებში მიარტყა. პატარამ იწყინა და ტირილი მორთო.

— მარინე, გენაცვალე, — მიმართა დედამ, — მოდი, შენ ამასთან დაწექი, ირაკლის კი მანდ დავაწვენ, თორემ ესენი არ მოისვენებენ.

გადაჯგუფებულმა, ნამტირალევმა ბავშვებმა ჩაიძინეს. მარინემაც გადასდო წიგნი და ჩქარა მოაგარაკეების ახალგაზრდა შემადგენლობას ტკბილი, ჯანსაღი ძილით. ეძინა. სამზარეულოდან კი ისმოდა ქვაბების ჩხარუნი, დანების წკრიალი და მოფუსფუსე დედის რბილი ნაბიჯები.

— გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! უკვე ხუთი საათია, — გადასძახა მძინარე ბავშვებს დედამ, მერე მივიდა, დაკოცნა და სათითაოდ გააღვიძა. მალე მთელი შემადგენლობა მადიანად სადილობდა.

საღამოხანს მარინე გამოეწყო და ბავშვების მორთვას შეუდგა.

— მარინე, გენაცვალე, — დაუძახა დედამ, — მოდი აქ, ირაკლი წაიყვანე, უფროსია, ეგ ცერისტოლა კი სულ ერთია, დაიძინებს. ჯობია შინ დატოვო, რა დროს მაგის კინოა.

გიგულიმ დროზე შენიშნა, რომ მას საგარეოდ უკვე აღარ რთავდნენ და ტირილი მორთო, — მეც მინდა წამოსვლა, მეც მინდა! წამიყვანეთ!

— არა, გიგული, ჩვენ გვიან მოვალთ, შენ კი აქ დარჩი, დედას მიხე-

დე, არავინ შეაშინოს, შინ ხომ უნდა დარჩეს ვინმე ვაჟკაცი?!

— არა, არ მინდა, — თავისას გაიძახოდა გიგული.

— მარინე! — მოულოდნელად თქვა მაგიდაზე მდგარმა ირაკლიმ, რომელსაც დედა წინდას აცმევდა, — მე არ წამოვალ, არ მინდა. ცოდოა გიგული მარტო.

გიგულიმ გაკვირვებით შეხედა ირაკლის.

— სად მიდიოდით? — იკითხა თვალებზე ცრემლშემშრალმა გიგულიმ.

— კინოში, — უპასუხა ირაკლიმ.

— მართლა? მე კინოში არ მინდა, მაინც დამეძინება, თქვენ წადით, — გულამოსკვნით თქვა პატარამ და პირი იბრუნა, ცრემლები რომ არ დაენახათ.

„ცოდოა, ირაკლი მაინც წავიდეს“, — ფიქრობდა პატარა გულში გიგული.

აქ კი თბილა

ვაჟა ჯანდიერი ახლა თბილ, პატარა ოთახში იჯდა. ძლივს იშოვა ასეთი ჭერი. ამ წელს დიდი სიცივეები იყო ბაკურიანში. თხელი კედლები ყინვას ვერ იჭერდა. ვაჟა იჯდა და სიამოვნებდა, ასეთი თბილი ოთახი რომ იშოვა. დიასახლისი ჩაის ადუღებდა, პატარა ბიჭი ხლგებრის ფორმულებს იზეპირებდა. კარები დაუკაკუნებლად შეაღო მეზობლის ოსმა დედაკაცმა.

— წელს ძალიან ცივა, — თქვა მან.

— მაშ, ქალო, კედლები ვერ იჭერენ, — დაეთანხმა დიასახლისი.

— დედა, — წიგნი დაკეცა ბავშვმა, სკოლაშიაც ისე ცივა, რო...

— აქ კი თბილა, — თქვა ვაჟამ.

— აქ ისეთი ხალხია... — მეზობელმა რაღაცეების მოყოლა დაიწყო.

ვაჟას სიამოვნებდა ცივ ოთახში გატარებული ორი დღის შემდეგ აქ რომ თბილოდა და დედაკაცები ოსურ-ქართულად რომ ლაპარაკობდნენ.

ჩაიმ ჯერ რამოდენიმეჯერ ამოიფშვინა, მერე გაბმული შიშინი დაიწყო. დიასახლისმა სუფრა გაშალა, კარადიდან არაყი გამოიღო.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში, — ვაჟამ ჭიქა დაცალა.

— კეთილი იყოს, — თქვა დიასახლისმა.

— გაგიმარჯოს, — მეზობელმა ღრძილები გამოაჩინა და გადაჰკრა, მერე ოცი წლის წინ გაშორებული ქმრის ლანძღვას მოჰყვა.

ვაჟას არ ეხამუშებოდა მისი გაწელილი დამახინჯებული ქართული. დიასახლისმა ღორის ხორცი ჩამოარიგა. მოშიებულები გამალებით ჭამდნენ. ოთახში მხოლოდ პირის ტკაპა-ტკუპი ისმოდა. „რა მადიანად შეექცევიან“, გაიფიქრა ვაჟამ, მერე თვითონაც სცადა პირის ტკაპუნი. შეუჩვეველს არ გამოუვიდა. ჩუმად განაგრძო ჭამა. გარშემო კი ისმოდა ტუჩების ტკაპა-ტკუპი. ვაჟას უხაროდა, რომ მადიან გლეხ ხალხთან იჯდა და ოთახში თბილოდა. მეზობელმა თეფში მოლოკა, ისევ გაიღრიჭა და თითები გაიტლიკა. ვაჟამ მის მაგალითს მიბაძა. ყველამ გაიცინა.

— ნამდვილი ოსის ბიჭია, — თქვა მოსულმა.

— აბა, ქალო, სულ არ იპრანჭება, — თქვა დიასახლისმა.

პატარა ბიჭი ახლო მივიდა მასთან, ხელი გადახვია. ვაჟამ პაპიროსი გააბოლა. მალე მეზობელი წავიდა. ვაჟა გაშიშვლდა და თბილ ლოგინში გაეხვია.

დილით ოთახში ცოტა ციოდა.

პატარა ბიჭმა ცეცხლი დაანთო.

თბილ ოთახში ადგა ვაჟა.

ისაუზმეს.

მთელი დღე თხილამურებზე იდგა. მზე ანათებდა და წვავდა. სხივებს დიდხანს უშვერდა სახეს, ლოყები დაებრაწა.

მესამე დღეს უკვე აღიდგინა, რაც დავიწყებული ჰქონდა.

კვირის თავზე უკვე კარგად დასრიალებდა. შვიდივე დღე მზიანი იყო, მერე თოვა დაიწყო. მთიდან დაშვებული, გზას ძლივს არჩევდა. ახლა უფრო ხალისიანი გახდა სრიალი და საღამოს დასვენებული დაბრუნდა. წინდები დასაშრობად დააწყო, თითონ კი „რობინზონ კრუზოს“ კითხვა დაიწყო, რომელიც თერთმეტი წლის ბიჭს თავისთვის გამოეტანა ბიბლიოთეკიდან. იმ ღამეს არავის დაანება წიგნი. წინდები ჯერ სქელ ორთქლს უშვებდნენ, მერე რაღაცა სუნი ეცა. დიასახლისმა ვაჟას ახლად დამწვარი წინდა ჩამოიღო.

შემდეგ დღესაც თოვდა, მერე გამოიდარა. ვაჟას მთაზე ასვლა დაეზარა და ქვევით სრიალებდა.

მალე დაანება თხილამურებს თავი და „დინამოში“ წავიდა.

ბიჭები პინგ-პონგს თამაშობდნენ. სასადილოში სამი ჭიქა ჩაი დალია და შინ დაბრუნდა.

— ასე ადრე? — იკითხა დიასახლისმა.

— ჰო, — თქვა ვაჟამ.

— არ იცურავე? — იკითხა ბიჭმა.

— ვიცურავე. — თქვა ვაჟამ, მერე წიგნი აიღო.

ბიჭი რაღაცეებს უყვებოდა დედამისს, მერე დედამ დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, ეტყობოდა ვიღაცასა ლანძღავდა. ორი გვერდი ისე ჩაიკითხა ვაჟამ, არაფერი გაუგია, მერე ისევ გადმოშალა წიგნი და ახლიდან დაიწყო კითხვა. ოთახში დიასახლისის ძმა შემოვიდა.

— გამარჯობათ. — თქვა მან.

— ღმერთი გასოსხლებს. — უთხრა დამ.

ბიჭმა სკამი მიაწოდა.

ვაჟამ მხოლოდ თავი დაუქნია, ისევ წიგნს მოუბრუნდა, ახლა კაცმა დაიწყო გაბმული ლაპარაკი. ვაჟამ ბოდიში მოიხადა და ჩაწვა.

დილით სიცივემ გამოაღვიძა. ბიჭმა ოთახში ცეცხლი დაანთო. ვაჟას ისევ ჩათვლიმა. ღუმელი გახურდა. დაცხა, სულ გამოფხიზლდა, დედა-შვილი მაგიდას მისხდომოდნენ. ორივენი წინა დღით მოხარშულ თევზსა ჭამდნენ.

ვაჟამ მაგიდისკენ გაიხედა: დედას ღრძილებში ფხა გარჭობოდა და თითებით იღებდა.

გადმობრუნდა და საბანი თავზე წაიხურა.

როგორც იყო დაამთავრეს ჭამა.

— რომელი იქნება? — იკითხა დედამ.

— ახლა ჩაიარეს ბავშვებმა, — თქვა ბიჭმა.

— მაშ ცხრა ხდება, — თქვა დედამ, — წავიდეთ.

— ვაჟა? — იკითხა ბიჭმა.

— ეძინოს, — დედამ ჩანთა აიღო.

მათი წასვლის მერე ოთახში სიმყუდროვე ჩამოდგა. ვაჟამ თავი გამოყო საბნიდან. უცებ ეცა ღორის ხორცისა და თევზის სუნი. მაგიდაზე ფხები ეყარა. ქურაში ცეცხლი აღარ ენთო და გაციებულ ტაფაზე ღორის ქონი იყო მიყინული.

ვაჟა სწრაფად გადაბრუნდა კედლისკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲗᲔᲚᲘᲫᲔ

ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ

დამაბერე, ღმერთო, ერთი
ორმოცი წლით,
უცებ,
ისე უცებ ჩამოყარე
წლები ფურცელ-ფურცელ, —
ფოთოლცვენა მეგონოს და
სადმე ხის ქვეშ ვიდგე,
სადმე ტრიალ მინდორში და
სადმე შუა ხიდზე;
სადმე წყალში ან წყლის პირას
ჭიქა კახურს ვსვამდე...
სადმე,
სადმე,
სადმე,
სადმე...
სულ ერთია, — სადმე...

სუყველა შენ შემოგცქერის,
დაბერდები როდის,
ყვითლად როდის გადაივლის
შენი მწვანე კორდი;
როდის დაჩაჩანაკდები
ყველასთვის და... შენთვის,
როდის აღარ გეწამება
უხილავი ღმერთი,
როდის, როდის შეიქნები
ერთადერთი ერთი,
ერთადერთი,
ერთადერთი,
ერთად —
ერთი
ერთი!

შინაურმაც,
გარეულმაც, —
კი იციან, მარა
ისე, გულის მოსაფხანად,
ისე ჰაიჰარად,
ვითომ ისე, სხვათაშორის
ვითომ გაგეხუმრენ... —
უნებურად, მაგრამ მაინც
ყველას უნდა თურმე —
გლახაკმა და ჩაჩანაკმა
ჩაიარო
ჯოხით,
უშნოდ ცალმხარჩამოგდებულს
და ბეჭებში
მოხრილს
აღარც რამე გიხაროდეს,
აღარც რამე გძულდეს
(ისე გამოჩერჩეტდე და ისე
გამოყრუვდე);
აღარც შენი შურდეს ვისმე,
აღარც სხვისი გშურდეს
(ისე გამოყურყუტდე და ისე
გამოყრუვდე).
. . . . . .
აჰა, ოთხმოცს გადავცილდი,
გადავყრუვდი უცებ,
ისე უცებ ჩამოცვივდა
წლები
ფურცელ-
ფურცელ —
ფოთოლცვენა მგონია და
მგონი, ხის ქვეშ ვდგავარ,
მგონი, ხიდზე მივბაკუნებ,
მგონი, — ტრამალ-ტრამალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვისვენე...
ვხუმრობ კიდეც,
როგორც მინდა, ვმასხრობ...
აღარც ვინმეს ვახსოვარ და
აღარც ვინმე მახსოვს.
არც სხვას ვაეჭვიანებ და
აღარც მე მკლავს ეჭვი,
დავალ წელში მოკაკული
ჩამოგდებულ ბეჭით...
ყველა დაშოშმინებულა
და დამცხრალა ყველა
და მიმწყდარა:
ჭორი,
კრულვა,
ეჭვი,
შური,
წყენა...
აღარც რამე მიხარია,
არც რისი მკლავს დარდი,
სულ, სულ გამოვყრუებულვარ
ძველი დარდიმანდი;
შინაურსაც,
გარეულსაც
ვერცხვინები უკვე —
— რავა გამოგვიჩერჩეტდა!..
— რავა დევიღუპეთ!..
ნაცნობს,
უცნობს, —
ყველას ჩემზე
უჩვენებენ
თითით,
პირის გამოსაკეთებლად,
თუ ვინ იცის,
რისთვის, —
ვიდრე შენთვის
საკუთარი ღირსებისთვის
უფრო —
სინანულით უყვებიან
უმცროსსა და უფროსს:
„ეგ რო გარეთ გავიდოდა,
რო იცვამდა ძველად, —
ამვლელი და ჩამომვლელი
უყურებდა ყველა.
თამადობა?
მაგნაირი დაიკვეხნოს ნურვინ!
თუ გგონია, უმაგისოდ გატყდებოდა
პური!

ახლა სიტყვას რო იტყოდა,
დაყურსულნი იდგნენ,
ვიდრე ჭიქას აიღებდა და დადგამდა
ვიდრე.
ღმერთმა ხელი მოუმართოს და
აცოცხლოს დიდხანს, —
მაგის გადაბრუნებული კაცს არ ახსოვს
სიტყვა!
ახლა... ახლა რაღა არი,
ცოცხალია ვითომ,
საცოდავი, რას ჩურჩუტებს,
აღარ ესმის თვითონ...
ეგ რო სადმე მივიდოდა, მორჩა, აი!
(ცერი)
საქმე წუთში კეთდებოდა, თვარა...
ჩემი მტერი!
ეგ რო რამეს იკისრებდა, რო გეტყოდა —
მორჩა!
ეგ რო ღამეს გაათევდა, კიდე როა —
ყოჩაღ!
ეგ რო... ახლა რაღა არი,
ეგ რო იყო ერთ დროს...
ეგ რო კიტელს ჩაიცვამდა...
ეგ რო...
ეგ რო...
ეგ რო...
. . . . .
ჰეი, გულო, საცოდავო,
გაუძელი, გულო,
ვიდრე კიდევ შეგიძლია გრიხო შენი
ულო,
ვიდრე კიდევ წითლად ღუის შენი
ცხელი თონე,
ვიდრე რამე გაგეწყობა, ჯანი მოგდევს,
თორემ —
შინაურიც,
გარეულიც, —
ვერც ხვდებიან, მარა —
ისე, გულის მოსაფხანად,
ისე, ჰაიჰარად,
თურმე, — ისე, — სხვათა შორის,
თურმე, გაგეხუმრნენ...
თურმე,
თურმე,
თურმე,
თურმე,
მაგრამ, რაღა თურმე!..

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ

ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ

დამაბერე, ღმერთო, ერთი
ორმოცი წლით,
უცებ,
ისე უცებ ჩამოყარე
წლები ფურცელ-ფურცელ, —
ფოთოლცვენა მეგონოს და
სადმე ხის ქვეშ ვიდგე,
სადმე ტრიალ მინდორში და
სადმე შუა ხიდზე;
სადმე წყალში ან წყლის პირას
ჰიქა კახურს ვსვამდე...
სადმე,
სადმე,
სადმე,
სადმე...
სულ ერთია, — სადმე...

სუყველა შენ შემოგცქერის,
დაბერდები როდის,
ყვითლად როდის გადაივლის
შენი მწვანე კორდი;
როდის დაჩაჩანაკდები
ყველასთვის და... შენთვის,
როდის აღარ გეწამება
უხილავი ღმერთი,
როდის, როდის შეიქნები
ერთადერთი ერთი,
ერთადერთი,
ერთადერთი,
ერთად —
ერთი
ერთი!

შინაურმაც,
გარეულმაც, —
კი იციან, მარა
ისე, გულის მოსაფხანად,
ისე ჰაიჰარად,
ვითომ ისე, სხვათაშორის
ვითომ გაგეხუმრენ... —
უნებურად, მაგრამ მაინც
ყველას უნდა თურმე —
გლახაკმა და ჩაჩანაკმა
ჩაიარო
ჯოხით,
უშნოდ ცალმხარჩამოგდებულს
და ბეჭებში —
მოხრილს
აღარც რამე გიხაროდეს,
აღარც რამე გძულდეს
(ისე გამოჩერჩეტდე და ისე
გამოყრუვდე);
აღარც შენი შურდეს ვისმე,
აღარც სხვისი გშურდეს
(ისე გამოყურყუტდე და ისე
გამოყრუვდე).

. . . . . .

აჰა, ოთხმოცს გადავცილდი,
გადავყრუვდი უცებ,
ისე უცებ ჩამოცვივდა
წლები
ფურცელ-
ფურცელ —
ფოთოლცვენა მგონია და
მგონი, ხის ქვეშ ვდგავარ,
მგონი, ხიდზე მივბაკუნებ,
მგონი, — ტრამალ-ტრამალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს დას

ერთხელ იქნება, მეც დავმშვიდდები,
გავხდები ვინმეს ცოლი და დედა,
გაიზრდებიან ალბათ შვილები,
მეც მადლობელი ვიქნები ბედის.

დიასახლისის და დედის თვალით
შევხედავ საათს, ქუჩას და ამინდს
და ჩემს სიზმრებში ჩამცხრალი მთვარე
არ აჯანყდება სიცოცხლით მთვრალი.

რადგან უკვდავი არაფერია,
და ჩვენშიც კვდება, ბევრი რამ კვდება.
ზეცაში მიდის ყველა ფერია,
აქ რჩება ვინმეს ცოლი და დედა.

მაგრამ როიალს თუ ვნახავ სადმე,
ამტკივდებიან, ვიცი, თითები.
გამახსენდება გზა ზეცისაკენ,
გამახსენდება და ავტირდები.

* * *

ასეა, ბედი კარს მოგადგება
და სწორედ მაშინ ჩაკეტავ კარებს,
ხან უკვე გვიან, ხან — ნაადრევად
და უდროო დროს გამოხვალ გარეთ.

ჩვენ ავცდით, რადგან — ერთმანეთს
ვეძებთ
სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხარეს
და მაპატიეთ, ვისაც გიყვარდით,
მე კი ვერასდროს ვერ შეგიყვარეთ!

* * *

მოწყენილი ვარ. გაქვავდა წამი
მხოლოდ დროებით! მხოლოდ დროებით.
რად მიგატოვეთ? მე დაგასწარით,
სანამ თქვენ თვითონ მიმატოვებდით.

ჰო, ბევრი იყო ტკბილიც და მწარეც
და სულს დაეტყო იჭვის ღარებიც.
რად შეგიყვარეთ? მე დაგასწარით,
სანამ თქვენ თვითონ შემიყვარებდით.

გულს რას გაუგებ! ისე უეცრად
ცარიელდება ჩვენი გულები.
მე დაგასწარით და შეგიძულეთ,
სანამ თქვენ თვითონ შემიძულებდით.

ო, რა ლამაზი სახელი მერქვა!
ბედნიერი ვარ, არაფერს ვნანობ,
რადგან იმისთვის მოვედი ქვეყნად,
რომ შეგიძულოთ და შეგიყვაროთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვანგ სანლთხუციშვილი

GRUS GRUS

აქეთ რამ გადმოიყვანა ეგ გასავერანებლები, აქეთ მის დღეში რო არ გადმოსულან? — ფიქრობდა ხბოების ძებნით გართული დარია და თან შამბნარს მიაროგვევდა. — თუმცა, როდის უნდა მოესწროთ აქეთ გადმოსვლა, მაგათთვის ეს პირველი გაზაფხულია.

უცებ რაღაც შეინძრა შამბნარში, მერე ახმაურდა, აშრიალდა ბალახის ტევრი და ვეება ფრინველი წამოვარდა ფროების ტყლაშუნით, დარიას გვერდზე ჩაუქროლა და მოშორებით ჯაგის ძირას დაჯდა. დაფეთდა დარია.

— დედა, რა ლამაზია! შენ დაიწვი, როგორ გამიხეთქა გული!— აღმოხდა დარიას და ფრინველს თვალი გააყოლა. ფრინველს კისერი გამომწვევად წაეგრძელებინა და დარიას თვალს არ აშორებდა. დარიაც იდგა შამბნარში და იმ ფრინველს მისჩერებოდა.

მერე აფრინდა ის ფრინველი, დარიას ირგვლივ შემოუფრინა, სულ ახლოს ჩაუქროლა და ახლა სხვა ადგილას დაჯდა, თან დარიას უცქეროდა თვალმოუცილებლად.

—რა ლამაზია! — ისევ აღმოხდა დარიას. — რამსიგრძე ფეხები აქვს! — მერე რატომღაც თავის წვივებზე დაიხედა. — ეგეთი რო ვიყო, თვალს არ მოვტაცებდი მაშ დიდსა და პატარას?! წერო იქნება, მაგრამ ეგეთი ფერის? თავი წითელი აქვს, ზურგი და ფრთები ნაცრისფერი...

ნიავმა წამოუბერა, აშრიალდა ბალახი, ფოთლებმაც ერთ მხარეს იქცეს გვერდი.

— სუ გადამავიწყდა ჩემი ხბოები! — ამოილაპარაკა დარიამ და ნაკვალევს მიჰყვა. — უი, რამხელა ბუდეა! — დარია გვერდზე გადავიდა, მიწაში ამოჩიჩქნილ ბუდესთან ჩაიმუხლა. ორ დიდ კვერცხს ხელი ნაზად გადაუსვა.

ისევ აფრინდა წერო, დარიას თავთან ჩაუქროლა, ერთი დასჭყივლა კიდეც და იქვე, ოდნავ მოშორებით ჩაჯდა.

დარია წამოდგა, ფრინველს თვალი მიაყოლა, მერე ისევ ხბოების კვალს გაჰყვა.

— დარიკო! — მოისმა შორიდან.

— ჰოო! — გაეხმაურა დარია დედას.

— მოდი, ვიპოვნეთ გოგო, ვიპოვნეთ!

დარია უკან შემობრუნდა, ბუდეს რომ მიუახლოვდა, ისევ ჩაუქროლა წერომ. დარიამ კვერცხები ერთხელაც შეათვალიერა და შინისაკენ გასწია.

მას მერე ხშირად მოდიოდა დარია ბუდესთან. ნელ-ნელა შეეჩვია ის ფრინველიც, აღარ მიფრინავდა დარიას დანახვაზე, მარტო შეშფოთება შეეტყობოდა ხოლმე. წამოიწევდა, ფრთებს გაამზადებდა ასაფრენად, კისერს წაიგრძელებდა და თვალმოუცილებლად უცქერდა გოგონას. დარიაც იჯდა მოშორებით და ტკბებოდა მისი ცქერით. უზიდავდა საკვებს, იქვე ბუდის გვერდით დაუდებდა და წავიდოდა სახლში.

ბარტყები რომ გამოიჩეკნენ, უფრო მოუხშირა დარიამ ბუდესთან სიარულს.

ბარტყებს კვებავდა, იმათი დედა ზანტად გადავიდოდა ხოლმე ბუდიდან. ხედავდა, რომ დარია არაფერს უშავებდა ბარტყებს, მაგრამ მაინც არ ენდობოდა, ბვერდიდან ვერ სცილდებოდა.

ერთ საღამოს, ბიოლოგიის მასწავლებელი — რეზო ესტუმრა დარიას მამას. აივანზე ისხდნენ და მასლაათობდნენ. მერე ყური მოჰკრა დარიამ, რაღაც ფრინველზე ჰყვებოდა რეზო მასწავლებელი. აქეთ სადღაც ბუდობსო, გადმოივლის ხოლმე ვეება ფრთების შხუილით... ეტყობა ბარტყები ჰყავს, რადგან სულ მუდამ რაღაცა მიაქვსო ბუდეში. ბუდე კი ვერა ვნახე, ვერ მივაგენიო. იშვიათი ფრინველია, საქართველოს წითელ წიგნშიც შეიტანესო, ნაცრისფერი წერო — grus grus ფრთებზე ცისფერი ზოლი გასდევს, მართლა კაი სანახავია. — თვალებგაბრწყინებული ამბობდა რეზო.

გული აუჩქროლდა დარიას. — დედამიწაზე ჭიანჭველა ვერ გაივლის, ამან რო არ გაიგოსო. ჩაიბუზღუნა. — ღმერთო, აუხვიე თვალები, იმ ბარტყებს ვერ მიაგნოსო. — grus grus — გაიმეორა დარიამ ჩურჩულით.

ერთ დილას წვიმა დაიწყო. მთელ დღეს იწვიმა. ვერ ისვენებდა დარია, გული მიუწევდა ბარტყებისაკენ. დარდი აწუხებდა, ვინ იცის სველდებიანო, ფიქრობდა. იმ ღამითაც, არ გადაუღია, მეორე დილას კი წვიმამ უფრო უმატა. დარიამ საწვიმარი წამოისხა, სარდაფში ცელოფანის ტომარა მონახა, დაახვია, იღლიაში ამოიდო და ეზოდან გამოსული ალმართს შეუდგა.

— დარია, დარიკო!— გასძახა დედამ. — საით მიდიხარ გოგო? ამ წვიმაში ტყეში რა დაგრჩენია?!

— მოვალ ეხლავე! — გაეპასუხა დარია და გზა განაგრძო.

— თავი გაგიხმა შენ, შენ ტოლებს ორ-ორი შვილი ჰყავთ, შენ კიდევ ყვავილებსა და ჩიტებს დაეძებ ისევაც. აბა შენი რა იმედი უნდა მქონდეს?! — აბუზღუნდა დარიას დედა. დარია კი ტყისკენ მიდიოდა.

— ორი შვილი კი მყავსო. — ჩაილაპარაკა დარიამ და წეროს ბარტყები წარმოუდგა თვალწინ.

— გამარჯობა დარიავ! — მერაბი წამოეწია ბილიკზე. — როგორა ხარ, როგორ?

— რა მიშავს ბიჭო, საით გაგიწევია ამ თავსხმაში? — ეჭვით იკითხა დარიამ.

— საქონელი მყავს ჭალის პირებში, გადავხედავ-მეთქი. — მერაბი რეზინის ყელიანი ჩექმებით მიაჭყლაპუნებდა ბილიკზე მოთქრიალე წვიმის წყალს.

— იქით რად გადაგირეკია, აგე, დიდგვერდში რა კაი ბალახია! ახლოც არი და შინიდანაც დაინახავ, რა ძალა გადგა იმსიშორეზე რომ მიგიდის?

— რა ვიცი, დარო, საქონელსაც ბეზრდება ერთ ადგილას ტრიალი. დღეს იქით გადავრეკე, ხვალ ახლა სხვაგან გავრეკავ და მენახირეც გამოჩნდება ვინმე ამასობაში.

— მაშ სოფელში მენახირე არ იყოს, ეგ შეიძლება?

— ეე, ვის ეხალისება ამისთანა ტალახის ზელა. ყველამ ქალაქს მიაშურა ვერა ხედავ?

მერაბმა წინ გაუსწრო დარიას. დარიამაც ნაბიჯი შეანელა, არ უნდოდა ვინმეს დაენახა საითაც მიდიოდა.

შორიდანვე შეამჩნია წერომ დარია, წამოიწია, ერთი დაიჭყიტლა და გაზუნზლული ფრთები ისევ წააფარა ბარტყებს.

დარია წეროს მიეფარა, საჭმელი მისცა. ბარტყებმა დედის ფრთებქვეშიდან გამოყოფილი ღინღლიანი თავები წამოსწიეს, პირები დააღეს და ხავილი მორთეს. დარიამ სათითაოდ ჩაუდო ლუკმებად გამზადებული საჭმელი ბარტყებს ნისკარტში. მერე ბუდიდან ამოსხა, მკერდზე მიიხუტა, ეფერა და ეალერსა. ბოლოს ისევ ბუდეში ჩასხა. ცელოფანის ტომარა გაარღვია, ჯიბიდან პატარა დასაკეცი დანა ამოიღო, გახსნა, ცელოფანი ოთხივე კუთხეში ჩაჭრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანაფები შეაბა და ბუდის თავზე დაუწყო დამაგრება.

ერთ კუთხეს მისამაგრებელი ვერსად მოუნახა, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, ჯოხიც ვერაფერი შეამჩნია შესაფერი. ადგა, დანა მოიმარჯვა და კორომში შევიდა. ის იყო ერთ თხილის ყლორტს დაადგა ფვალი, რომ უცებ აიხედა და რას ხედავს... მერაბი დგას წინ, ხეზე მიყუდებული და ღიმილით შემოსცქერის.

ვაიმეო, აღმოხდა დარიას. მერე თითქოს თვალებს არ დაუჯერა, მიიხედ-მოიხედა და ისევ მერაბს დააცქერდა.

— ხო არ შეგეშინდა, დარიავ!

— აქ რას დამდგარხარ, ბიჭო?

— კარგი გოგო რო ხარ, ჩიტებმაც იციან. მე კი ახლოს არ მიკარებ!

— შენ როგორღა გაიგე ამის ადგილსამყოფელი? — შეცბა დარია.

— მერე რა, კი არ შევჭამ? ნუ გეშინია... როგორ გიხდებოდა მკერდზე შვილებივით მიხუტებული ბარტყები!

რატომღაც წამოწითლდა დარია, თვალები დახარა.

მერაბი დარიას მიუახლოვდა. წერომ ყვირილი ატეხა.

— ეჭვიანობს. — ეშმაკურად ჩაიცინა მერაბმა. მერე დანა გამოართვა დარიას, თხილის ყლორტი მოჭრა, ერთი ბოლო წაუმახვილა და დარიას მიაწოდა ყლორტიცა და დანაც.

ტყაპა-ტყუპით ცვიოდა დიდი წნორის ფოთლებიდან ცელოფანის ტომარაზე ლეშხი. კისერწაგრძელებული იჯდა წერო, ფრთებს ქვეშიდან ორი პატარა თავი მოუჩანდათ ბარტყებს.

...

მაგიდასთან დარიას დედა და მერაბი ისხდნენ, სახეაჭარხლებული დარია კიდევ კარის ჩარჩოს აჰკვროდა და გაღმა ფერდობს გასცქეროდა დაჟინებით.

— ბიჭო, ერთად დაიზარდენით, მაგის მაგვარი არაფერი შემიტყვია თქვენთვის და... — ღიმილით ლაპარაკობდა დარიას დედა.

— რა ვიცი, მეც არ მამსვლია აქამდე აზრად, მაგრამ იმ ბარტყებჩახუტულ-რო დავინახე, გულში რაღაცა ისეთი ვიგრძენი...

— შენ რა გითხარი! მაშ აღარა ხუმრობთ და ხელის მოწერას აპირებთ?

— არ არი დრო? — თავჩაღუნული ლაპარაკობდა მერაბი. ფეხებშუა ერთი წერტილი ამოერჩია იატაკზე და თვალს არ აცილებდა. — ჩვენი ტოლები ვიღაა უოჯახოთ!

— ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ შვილო, ბედნიერები. ბავშვები აღარა ხართ... დრო როგორ არ არი, ეხლა შვილებით უნდა იყოთ სავსე!

— მოვასწრებთ! — მერაბი წამოდგა, სასიდედროსათვის სახეში არ შეუხედავს, ისე მივიდა კართან. — კარგათ იყავით.

— კარგად იყავი, შვილო, კარგად. გააცილე გოგო, რა ზურგშექცეული დამდგარხარ?

რა გაცილება მინდაო, უნდოდა ეთქვა მერაბს, მაგრამ გადაიფიქრა.

— ეხლა ქორწილის დრო მქონდა, ქაა! — ჩაილაპარაკა დარიას დედამ.

— რა ვიცი, ყოველდღე მაგას კი მყვედრიდი, შვილები უნდა გეხვიოსო და... — შეეპასუხა დარია და კიბეზე დაეშვა.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან გოგოჭური

ომარის ხსოვნას

კიდევ ერთხელ მესიზმრა
მკერდზე მიწა მეყარა,
ჩემს გარშემო ბრუნავდა
ჩემი ლექსის ქვეყანა,
ჩემი ლექსის ქვეყანა
ტრიალებდა ტორტმანით
და ავსებდა ქვეყანას
ჩემი ლექსის ხოტბანი.
ჭრელპერანგა ყმაწვილებს
დაერახტათ ცხენები,
მე ვიყავი მიზეზი
მათი უღვთო ჭენების,
შავი ჩრდილის ფარფატით
მთას ყორანი ყიოდა,
თავით მეჯდა ქალწული,
ცრემლი ჩამოსდიოდა.

* * *

კაცის არ ისმის ჭაჭანი,
ბილიკს არ მაჰქშენს მერანი,
არ მოგკივიან წყალ-ჭალით
ვაჟები სვილისფერანი,

ხანჯარი ვინაღ გალესას,
სიტყვა ვინაღ თქვას ძირაქი,
აღარვინ დავა სანესა
ქალუნდაურის ჟილაგის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

წყალი დის არექაული,
ბორკილობს ქისტის აული,
აულში ქალი ლექსობს:

„— მწყემსი არღუნში დამხრჩვალა,
სამწყსო წყალგალმა დამრჩალა,
ვაი, შენს სამწყსოს, მწყემსო..“

* * *

წყალზე მიდევს ხიდი
თვალის მპარავი,
ხიდქვეშ წყალი მიდის,
ხიდზე არავინ.

წყლისპირს მიდგას სახლი
მიწურ-მიწული,
წყალი ქარაფს ახლის
ლოდინს მიწურვილს.

რა ხანია ველი,
არ სჩანს სტუმარი,
ფიქრი მაწევს მწველი
არ სახუმარი.

გალმა მოდგა ბინდი,
დასცა კარავი,
ხიდქვეშ წყალი მიდის
თვალის მპარავი.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრეი ბელი

ჩრდილოეთის მარში

დარდით ლამის განახევრდი,
ნაღველს ვეღარ იცილებ,
დათვის თანავარსკვლავედი
რა უაზროდ ციმციმებს.

ჩვენ რას შევცვლით, ვერ შევძლებთ,
სიცოცხლეა ხანმოკლე,
ყორღანებზე ბებერ ძვლებს
ქარიშხალი წამოკრეფს.

მოსაწყენად იმატებს
თოვლის თეთრი კარავი.

ცაში უცებ ინათებს
ცეცხლი გულშემზარავი.

უცებ აალმასდება
შენი ყინვის საფარი.
დათვი საფლავს გაცდება,
მარტო რჩება საფლავი.

მწუხარება გახშირდა,
დარდით გული გევსება,
ყინულოვან ჯავშნიდან
ისმის წამოკვნესება.

* * *

ა. ა. ბლოკს

მახსოვს ზეციურ შუქით შობილი
შენი ნათელი შარავანდედი...
თავისუფალი, ჩაუქრობელი,
გასაოცარი გზებით წახვედი.

გული გავსილა მძიმე კაეშნით,
დავშორდით, გაქრა ადრე რაც გვსურდა
და ჩემი შუბლი უკან ღამეში
ცეცხლმოდებული ისევ გაცურდა.

ჩვენ ჩავიფერფლეთ, ჩავქრით
თანდათან,
ჩამოწვა ღამე, აღარ ხმაურობს,
ნუთუ ყოველი ქარმა გაჰფანტა,
ძმავ იდუმალო და უცნაურო.

იმ აღთქმულ მიზანს მიჰყევ ნიადაგ,
სამარადისოდ უნდა გახსოვდეს...
ნუთუ გატანჯულ ძმას სევდიანად
არ გაიხსენებ აღარასოდეს?

ნუთუ ჩარაზე გულის კარები:
სხივი კრთის ციურ უდაბნოეთის,
მაგრამ არ მჯერა ამ მდუმარების,
შემეხმიანე, გელი ყოველთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანდაგებზე

განძარცვულ ბუჩქებს ღამე ეხლება,
ვერაფერს თვალით ვეღარ მოვძებნი,
ღამის წყვდიადში ჩაიჩეხება
სატელეფონო შავი ბოძები.

ბორბლის ნაკვალევს — წყალი რომ
მისდევს,
მოასარკეევებს ყინულის ბრწყინვა,
ოქტომბრის სუსხი მიკოცნის თითებს,
გათოშილ თითებს მიკოცნის ყინვა.

ენამჭევრობა ენაწყლიანი
გაქრა, განქარდა, ფიქრად არა ღირს.
ამ სამსახურმაც მრავალწლიანმა
დაიმორჩილა სული ამაყი.

ნუთუ იმედებს ფუჭად დავეძებ,
ნუთუ ქვითინში გავლენ წუთები?!
მივწვები რკინის ლიანდაგებზე,
გავირინდები და დავდუმდები.

დავხუჭე თვალი, ცრემლი მინათებს
მზერას და გული ძალუმად მიცემს,
შორს სემაფორის მწვანე სინათლე
მწვანე ნემსივით გაუვლის სივრცეს.

შორს ორთქლმავალი კივის, ღამიდან
გამოეონილ შუქს თვალით მოვძებნი,
წამოიშალა არყის ჭალიდან
შეშინებული ბინდის ძონძები.

მშვიდი დასვენება

უთანსწორო ბრძოლაში დამჭრეს,
მძიმეა ჩემი სვე და-მწარეა,
გაივლის დღე და ისევ შევამჩნევ —
შუქს მოციმციმეს და მიხარია.

გამოვექეცი ბრბოს და მოვძებნე
ველი, სიმშვიდე სადაც მეგულვის,
ველებზე ისევ ჩანს ოქროს ძნები —
მარადი შუქით განათებული.

ლაჟვარდებიდან წვიმა წყვეტილი
ცრის...
ნუ გაივსებ მზერას სიავით,
ნუ ბრაზობ, იყავ მარად კეთილი,
შემომაწებე ბაგე ნიავის.

მე ჩავიმუხლებ,
ისევ არავინ...
არვინ ხმას არ მცემს
და ვილოცები: დროა ჩავლილი,
თვლემს სიზარმაცე —
სურნელოვანი, როგორც ყვავილი.

მდელო მარტოდენ —
ბრწყინავს, ობობას ქსელში გაება,
მზე ჩამავალი ზეცას დატოვებს,
დატოვებს ცისფერ ბუნდოვანებას.

ღამე და დილა

ბ. ა. სადოვსკის

საუკუნენი წამებში გადის
და მყისიერად ქრება სახელი...
ამოვარსკვლავდა ღამეში დარდი —
ათასწლეულთა ძველი ნაღველი.

არავის ძალუძს ჩემი შენდობა,
არვის აწუხებს ჩემი ობლობა,
ალბათ დღეიდან მე მივენდობი
უდაბნოების მახარობლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები ჩემი დარდმა დანისლა...
წმინდა სიტყვები კვლავ გამაგონე —
შენ, სილამაზევ განთიადისა,
მზეო, შუქით რომ ავსებ მთაგორებს.

მღერის მუხნარი...
ირგვლივ არავინ,
აი, გამოჩნდა სხივი ფარული,
ძირს მოფარფატე თეთრი კარავი,
ნაზი ალმასით მიმოცვარული.

ზამთარი

მ. ა. ვოლოშინს

ცისფრდება თოვლი, ნისლოვანდება,
მიმოეფინა თვალებს გახელილს,
მიყვარს სოფელი, როცა ღამდება,
ვერცხლისფერ ზამთრის მიყვარს
ნაღველი.

ააფრიალებს ყინვის მოსასხამს,
ბაღებს აწუხებს ქარის წრიალი,
ყინვის ლოლუებს გზად მიმოამსხვრევს
და ყინულის ბროლს გააქვს წკრიალი.

გაყინულ წყლების მოსარკულ მინას
ქარი ცისფერ ჭირხლს ცისფრად
მიაფენს,
თოვლის უდაბნოს ხავერდის ბრწყინვა
როკავს ჰაერში... კვლავ იკიაფებს.

ბინდიან ველზე შუქის ნათება —
პირველი შუქი შეღამებისა,
სოფლიდან კვამლი აიმართება
და მეწამულ ცას ოდნავ შენისლავს.

წითელი სუსხი ციდან მქროლავი
ღებავს მდინარის სარკეს კრიალას,
დაიყრანტალებს სადღაც ყორანი,
სადღაც ეჟვანმა დაიწკრიალა.

ვერცხლს მიმოხვეტავს, გლეჯს,
იღრინება
ბაღში ქარბუქი შლეგი, ველური,
თეთრ ნაფლეთებში ჩაიძირება
მარტოხე — ველზე მიტოვებული.

დაე, აენთოს ოქროს ზოდებად
რკინის ბუხარი ძველ ბრწყინვალებით
და მოკიაფე მსუბუქ რგოლებად
მიმოაბნიოს ცეცხლში ლალები.

სოფლის სიჩუმეს ისევ ხალისით
ვუსმენ, ნაღველი თითქოს მაკმარეს...
ხელში მიჭირავს ბროლის სასმისი,
სასმისს სასმელი მოამაქმანებს.

მდუმარებაში ფიალას დავცლი,
ვიცი, სიცოცხლე აქ დასრულდება,
მხოლოდ ქარები მიმზერენ მკაცრად,
მოჩვენებათა ფერად გუნდებად.

დე, კედლის იქით იყოს სამყარო
მშრალი ყინვებით, თოვლის ატლასით
და ქარმა მინებს შემოაყაროს
ჭრიჭინობლები — თოვლის ალმასი.

თარგმნა ბიბი ალხაზიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

სადამდე ივლის ქარავანი?..

არსებობს ყველაზე გულიანი დალოცვა სვანეთში:

— ნაფშირივ ლაჯჰოდენა, ჰო!

გამრავლება მოგცემოდესო. „ფიშირ“ — სვანურად „მრავალს“ ნიშნავს.

ბარში დამკვიდრებულ თანასოფლელებს სვანეთში ყოველ ჩასვლაზე, აქაური ნათესავები, ახლობელნი და, გნებავთ, უბრალო ნაცნობები, როგორც წესი, ერთიდაიმავე შეკითხვით „უწყალებენ“ გულს — რამდენი შვილი გყავსო. ვოშა გეზალ ჯირი...

წარმოიდგინეთ უცოლშვილო კაცის მდგომარეობა. ვერც მცირეშვილიანები გრძნობენ მაინცდამაინც წელში გამართულად თავს მთათა ქვეყანაში, თავიანთ ახლობლებსა და ნათესავებს შორის. მათ საგაზაფხულო დასვენებას თითქოს რაღაც აკლიაო;

და აი, თანდათან, ოჯახში მალულად უკმარისობის გრძნობა ისადგურებს, უფრო და უფრო ღვივდება და ცხოველდება იგი — წვეულებაზე, რიგით საუბარში თუ უბრალო ფიხონში ადამიანები მოსვენებას არ აძლევენ და აშკარად თუ მოიარებით ძრახავენ ნებიერა „ქალაქელებს“ მთიელთა ტრადიციების ღალატისათვის, ყოვლად გაუმართლებელი მცირეშვილიანობისათვის, სიბერწისა და ცვედანობისათვის. დაუნდობელი და შეუბრალებელია მთა, ორაზროვნება არა სჩვევია და არც მიმკერძოებელია ვინმეს მიმართ გამრავლების საკითხში.

შედეგი?

შედეგი ის გახლავთ, რომ ბარში დამკვიდრებული მავანი თანამოძმე შესაძლოა, პირველად თავის ცხოვრებაში, სიღრმისეულად წონის თანასოფლელთა ჩაგონებას და რაღაც გარკვეულ მოსაზრებამდე მიდის — წინაპართა რწმენა თურმე ყველაზე ბრძნული და გამძლისი ყოფილა. და ჰღაღადებს იგი რწმენა — უდიადესი განძი დედამიწაზე შვილები, ნაგრამია შენი!

ქელეშბი ნიგურიანი მესტიაში ერთ-ერთი უხუცესთაგანია. მარტო ხნოვანება ჯერ კიდევ ცოტა რამის მთქმელია, წლებთან ერთად სიბრძნეც უნდა ესხას ადამიანს პანტასავით. მხოლოდ მაშინ არის იგი დაფასებული და აღიარებული ყველას თვალში, სიწმინდე და ოჯახური პატიოსნება უნდა ახასიათებდეს და ამავე დროს „ერთი დუჟინი“ შვილების მამაც უნდა იყოს და იმ შვილებიდან ყველანი სახელოვანები თუ ვერა, ყოველშემთხვევაში, თავიანთ საქმეში შეურცხვენელნი და შეუცვლელნი მაინც უნდა იყვნენ. აი, რამდენი რამეა აუცილებელი აღიარებისათვის, საყოველთაო პატივისცემისა და დაფასებისათვის, მახვშად შერაცხვისათვის.

ქელეშბი ნიგურიანი, ეს ოთხმოცს გადაცილებული სახენათელი კაცი ამავე დროს „მოლჯგურაგეც“ არის. ესგ იგი, ჯგურაგის, წმინდა გიორგის, თავნაბდისქუდიანთა მფარველი ღვთაების ეკლესიის კაციც გახლავთ — „მოლ-

ჯგურაგ მარე". ეს კი გულისხმობს, რომ მის გულში უკაცური და აუგი, წვრილმანი და მდაბალი ფიქრი არ უნდა გაჰაჰანდეს.

ჰო და, ამ რამდენიმე წლის წინ ამ კეთილმა მოხუცმა ჩემთვისაც მოიცალა. ჩვეულებრივად მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და ის იყო, გული მოვიოხეთ კიდევაც სალამ-ქალამით, რომ მოხუცმა შემპარავად მკითხა, რამდენი შვილი გყავსო. როცა გაიგო, რომ ორი მყავდა განაწყენდა და მითხრა: შვილო, ნათქვამისა არ იყოს, კვიცმა გვარზე ხომ უნდა იხტუნოსო, თუ უკვე წინაპართა სიბრძნესაც გაუვიდა ყავლი და აღარაფერი დაეჯერება, ძველებურსა და ათაედან და ბაბადან მომდინარე ჩაგონებასაც დავიწყების მტვერი გადაეფარა?

— ქალაქში ჭირს, ბიძია, ქელეშბი, მოგეხსენებათ... — ვცადე თავის გამართლება და მიზეზების ჩამოსახელებას შევუდექი.

— ჩემი შვილიც ამას მეუბნება, გერონტი, მფრინავი როა, მაგრამ ვინ უგონებს. გაჭირვება ადრე იყო, ბავშვებს ქერის ხმიადი გვესიზმრებოდა... კი, ბატონო, მოთხოვნილება გაიზარდა, როგორც ანბობენ, ცივიზაცია შემოვიდაო და ძველებურად დღეს ვეღარ იცხოვრებს კაცი, მაგრამ იმას რაღას უშვრები, სხვები რო მშვენივრად მრავლდებიან?

მოხუცი მართალი იყო. ქერის ხმიადზე ოცნება ლამის სამოციან წლებამდე გრძელდებოდა სვანეთში, ჩვენი თაობის ახალგაზრდობას მშვენივრად ახსოვდა „ვობელაი მაალოდ!" — ტოროლების მითვლა, სევდიანი მისამღერი, რომელიც ყველაზე ნათლად გამოხატავდა ჯერ კიდევ ღინღლიანი მონადირის უნუგეშო და სევდიან განწყობილებას. ეს იყო მართლაც ნინველათა სერიოზული მოსაქმეობა — ჩიტებზე ნადირობა, იღბალი და უიღბლობა, გაგიმართლებდა თუ ხელცარიელი მობლანტუნდებოდი შინ მშიერ-მწყურვალი? მამალი ტოროლა ქოჩრიანი და მოზრდილი იყო, დედალი კი ლუბი და გაჩხნაკული.

ალბათ მრავალთათვის დღეს გაუგებარია ის უჩუმარი სიხარული და. აღტკინება იღბლიან მონადირეს რომ დაეუფლებოდა, როცა მის მახეში ეს თმაქოჩორა, ანუ, როგორც მას ჩვენ ვეძახდით, „ჟუხი" გაებმებოდა. ის კეთილი შურიც გაუგებარია, ალბათ, თარს ფეხზე ამდგარ მის თანატოლებს რომ მოიცავდა ამ დროს. ტოროლა მაინც ხომ ერთი ბეწოა, რაც არ უნდა იყოს, ახლა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მახეში შაშვი ან კაკაბი რომ გაბმულიყო?

„ვობელაი, მაალოდ, გასაროლ, გასაროლ,
ქა ლახ ათგასრი, მუტი ხორევ აჯგვებნი,
აჯგვებნი,
ქა ლახე მოომაა, ლესგი მეხარ აჯყვეჩნი,
აჯყვეჩნი..."
„გაგოგდი, ჩიტუნავ, გაგოგდი, გაგოგდი,
თუ გაგოგდები — მატლების ხროვა
დაგხვდება,
არა და — მხარ-თეძო მოგტყდება..."

ვობელა, ვობელა, მახე დავაგე ძუისა, თვლები აქვს ჩარიგებული, ჩიტების შესაპყრობელად! ვობელა, ვობელა! ფეტვი და ოსპი ვაბნივე, ჭიაყელები ვაბნივე, ბაბაჭუები ვაბნივე — სალხენად საამობელად! ვობელა, ვობელა! ვინ გაეკიდოს ფრინველთა, სისხამზე, უთენიაზე, თუ არა ბალღი მშიერი, უპატრონო და ობოლი? ვობელა, ვობელა! ჩიტო, მახისკენ გაგოგდი, ბევრი დარდი მაქვს გულისა, ფიქრი და ბოღმა ოხერი — სათქმელი, საამობელი. ვობელა, ვობელა! მახე დავაგე ძუისა, თვლები აქვს ჩარიგებული, ირგვლივ ჭიები ვაბნივე, პუპურიკები ვაბნივე, ბაბაჭუები ვაბნივე, ფეტვის მარცვლები ვაბნივე, ვითომდა საამობელად, მართლა კი — შესაპყრობელად! ვობელა, ჩიტო, ვობელა!" — ეს კი იმ ბავშვობისდროინდელი მწარე და სევდიანი, გულისდამწველი მითვლის ერთგვარი პოეტური პერიფრაზი გახლავთ...

გვახსოვდა, როგორ არ გვახსოვდა ის

გაცრეცილი დღეები, ოცნება ტოროლებსა და ქერის ხმიადებზე. იქით და იქით კიდევ მეტი გაჭირვება იყო, მეტი უნუგეშობა და სასოწარკვეთილება სუფევდა ყოველგნით, მაგრამ... ნათქვამისა არ იყოს, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, არსობის ნერვი მაინც არ მოდუნებულა, კვლავინდებურად მძაფრად სცემდა და ძალუმად ფეთქავდა...

მაშ რა მოხდა მერე? რა მოხდა დღეს, როცა იმ ძველი ამბების წამიერი წარმოსახვაც უჭირს ჩვენს გონებას? დღევანდელობის მსუყე თვალსაწიერიდან რაოდენ დაუჯერებლად ჩანს ტოროლებზე ნადირობა, ადრე გაზაფხულზე, ჭალისპირებში, ჭაობებსა და ფშანებში თოვლის ჩხრეკვა და მოედნის გამზადება დამშეული ჩიტებისათვის და კუჭგამომხმარი ნინველების, თომჩაფენილი ქალამნებით იმ თოვლსა და სისველეში ჭყაპაჭყუპი და სევდიანი, გულისდამწველი მითვლა ჩიტებისა მახისაკენ, კინკლაობა და შუღლი — თანატოლებს შორის ჩამოვარდნილ გაუგებრობაზე — საკუთარი მახისაკენ რად მიუმღეროდი, მილალავდი ჩიტებსო.

საბედნიეროდ, დღეს ჩვენს ახალგაზრდობას არც დაესიზმრება ის ამბები, ცხოვრება იცვალა. ქერის ნათესებსაც კი ვეღარსად წააწყდება დღეს ადამიანი მთათა ქვეყანაში. აღარც ოსპს თესავს ვინმე და არცა შვრიას. ტოროლების მისამღერი არა მგონია, კიდევ ახსოვდეს ვინმეს. მაგრამ ყოველივე ეს, სამწუხაროდ, მედლის ერთი მხარეა მხოლოდ. რა შედეგი გამოღო ჩვენს რესპუბლიკაში ამ საოცარმა მეტამორფოზამ ისეთ უმნიშვნელოვანეს „დარგებში", როგორიცაა დემოგრაფია და პოპულაცია, ახალგაზრდობის შრომითი დასაქმება და ცხოვრებისეული საკითხებისადმი მათი მიმართების დონე? შეესაბამება კი ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ასპექტების მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის ტემპებს?

— ჩვენებური კაცი ამ საქმეში თავს ვერასოდეს ვერ გაიმართლებს, — თქვა მერმე ქელეშბიმ, — თავი კი შეიძლება იმართლოს ვიღაცამ, მაგრამ, როგორც ასეთი, გამართლება ამ საკითხში არ შეიძლება, ისევე, როგორც მკვლელობის გამართლება; სინამდვილეში ეგეც ხომ მკვლელობას ნიშნავს, მკვლელობასა და უარყოფას მამაპაპური ტრადიციებისა, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე მამულიშვილური პასუხისმგებლობისა, ოჯახთმრავლობისა, ქართული მიწის სიყვარულისა; ოჯახთმრავლობა და მამულის პატრონობა ხომ ერთმანეთის ღვიძლები არიან... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმემ ცვედანობის გამართლება სცადოს, მაშინ ხომ ქვეყანას ხვართქლა მოეძალება; ყანაში კიდევ ხვართქლას რა უჭირს, მკლავებს დაიკაპიწებს გამრჯე შეურნე და სუ გაწყვეტავს იმის სახსენებელს, მაგრამ ადამიანთა მოდგმას თუ დაერია ეგ სიბერწისა და კვდომის სარეველა, ჩვენმა მტერმა იხადოს...

თავიდან ჩვეულებრივი ამბავი მეგონა, ყველას რომ პირზე ეკერა „ლიფშირი". მას ქართველი კაცის თანდაყოლილ და საერთო საწუხრად ვთვლიდი. სვანეთში დღესაც არ მეგულება ოჯახი, სადაც ამ საკითხზე ისევე სერიოზულად არ მსჯელობდნენ უფროსები, როგორც, მაგალითად, მოსავლის დაბინავებაზე, ანდა ოჯახის უფროსის სამონაგროდ მგზავრობაზე. სვანეთში „ლიფშირაალ" — გამრავლების საკითხი კულტის დონეზე იყო აყვანილი. ნაბდისქუდიანი, ჭაღაროსანი მახვშები ნაყოფიერების ღვთაებას შესთხოვდნენ ოჯახის აყვავებას — მრავალშვილიანობას, ვაჟიანობას. ხოლო ლენჯერში საგანგებოდ ააშენეს ეკლესია უშვილო ქალების სალოცავად. რა როლს თამაშობდა ეკლესია გამრავლების საკითხში, ძნელი სათქმელია, მაგრამ დღესაც ბევრ ვინმეს სჯერა ამ ეკლესიის სასწაულთმოქმედებისა და ამი-

ტომაც მის ეზოში ამჟამადაც — ძველებური ჩოჩქოლი და ხალხმრავლობა სუფევს. საკმევლის სუნი ტრიალებს...

ყოველშემთხვევაში, თავისთავად, ეკლესიის არსებობაც კი იმაზე მიგვანიშნებს, თუ რა მაღალ დონეზე იდგა მთათა ქვეყანაში „ლიფშირაალი", როგორი იყო მის მიმართ ხალხის დამოკიდებულება... რა რანგში იყო იგი აყვანილი.

და ესეც, ბიძია ქელეშბიც, მართლაც რომ ამ დარგის მეცნიერივით ლაპარაკობდა საქვეყნო საქმეებზე. ცნობილ დემოგრაფებსა და ეკონომისტებსაც კი შეშურდებოდათ მისი ასეთი დადინჯებული და მასშტაბური მსჯელობისა. ანდე-გუმანი ჰკარნახობდა სათქმელს, წარმართავდა მის მსოფლმხედველობას. ისევე, როგორც გლეხკაცმა არა უწყოდა რა, მიწაში მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ ღრმადა სჯეროდა სასუქის კეთილისმყოფელობისა მოსავალზე, ქელეშბისა და მის თანასოფლელთაც სწამდათ, რომ ქვეყნის სიმტკიცესა და კეთილდღეობას უპირველესად ერის სიმრავლე განაპირობებდა, ლიფშირაალიდან მომდინარეობდა. აქ არ იყო ლაპარაკი თვისობრიობაზე, იგი თავისთავად იგულისხმებოდა რიცხობრიობაში. მთათა ქვეყანაში სოციალური და საზოგადოებრივი ინსტიტუტები იმდენად ძლიერ და სრულფასოვან სკოლას წარმოადგენდა ახალგაზრდობისათვის, რომ მათ ზნეობრივ და მორალურ ღირსებებზე ლაპარაკი ზედმეტიც კი იყო. უმთავრესს — კაცობასა და შრომისმოყვარეობას, მამულიშვილობასა და სიმამაცეს ასწავლიდა ეს სკოლა, დანარჩენი წვრილმანები უკვე მემკვიდრულ გენებზე იყო დამოკიდებული. და ეს ყველაფერი უზრუნველჰყოფდა საზოგადოების შევსებას ღირსეული თაობებით.

ასე იყო ოდითგან, მართალია, თანდათან, ბიძია ქელეშბის თქმისა არ იყოს, ცივილიზაციამ აქაც უცვალა ყოველივეს ელფერი და უცვალა ორივე მიმართულებით — დადებითადაც და უარყოფითადაც. მაგრამ ეს მეტამორფოზა ბართან შედარებით, მაინც ნაკლებსაცნაური იყო მთაში, ყოველშემთხვევაში, დღემდე ასე იყო. აქედან წასულნი და ქალაქად დავანებულნი კი არღვევდნენ ამ ჰარმონიულობას, ტრადიციულ მსვლელობას მოვლენებისას. ამიტომ იყო, რომ „ბრაზობდნენ" აქაური მკვიდრნი „გაზულუქებულ" თანასოფლელებზე.

და არა მარტო იმათზე, ადგილობრივ ზარმაცებსაც ასევე ფიცხლად შეუძახებდნენ ხოლმე. ჯერ წააქეზებდნენ და როცა ეს არ იკმარებდა, ერთს გემოზე შეუჩიჩხინებდნენ, ბოლოს გვარის უფროსები შეიყრებოდნენ, მოითათბირებდნენ და სოფლის გოგოებს შორის ვინმეს აუჩენდნენ. აუჩენდნენ და მალე ჯვარისწერაც შედგებოდა. იმ ღამეს ნეფე-დედოფლის აჯილას ნახეჩებს შეუდგამდნენ შინაურები და დააყურადებდნენ, ტახტი რომ ჯანჯღარზე შეშებიდან ძირს დაცურდებოდა და იატაკზე გაადენდა ბრახვანს იმ წუთიდან ოჯახს ბეჭედი დაესმებოდა და მისი დანგრევა დედამიწაზე მხოლოდ რაიმე უბედურებას ძალუძდა.

მართლაც, სვანეთში ორი რამ იყო დაუშვებელი — ყანის მოცდენა და ვაჟკაცის უოჯახოდ გადაგება, რაც გვარისათვის სირცხვილად ითვლებოდა, თვითონ ახალგაზრდისათვის კი თავის მოჭრას ნიშნავდა. ამიტომაც გვარი თავად იყო მოწადინებული ასეთი რამ არ დაეშვა თავის წრეში. მაინც რამ წარმოშვა მთიანეთში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შვილების კულტი? და საერთოდ გამრავლებისადმი უმაგალითო ლტოლვა? რა იყო ეს, უბრალო ტემპერამენტის საფუძველზე გამოვლენილი ინსტინქტური მოვლენა, თუ ათადან და ბაბადან მომდინარე მამულის სიმტკიცესა და შეუვალობაზე ფიქრისა და ზრუნვის თავისებური გამოხატულება? ამ საკითხზე შემოვლითი გზით ვცადე საუბრის ჩამოგდება:

— ბიძია ქელეშბი, ძველ დროებაზე რას გვეტყოდით? — ვკითხე მოხუცს.

— ამბობენ, ერთი ამხელა სვანეთი, დღეს რომ გვაქვს, კავკასიონის ქედს გაღმა მდებარეობდაო. ასე რომ საქართველო აქეთაც ვრცელდებოდა, ჩრდილოეთისაკენ...

— მერე, მერე რა მოხდა, ბიძია ქელეშბი?

—მერმე უკუღმა შეტრიალებულა ჟამთამდინარება. ყოველის მხრიდან ათასი ჯურის დამპყრობლები მოაწყდნენ იქაურობას და ჩვენებურები თანდათან შეავიწროვეს, აქეთ გადმორეკეს, ზოგიც იქ დარჩა და იმ ხალხებს შეერწყა. ყოველივე ეს უხსოვარ დროში მოხდა, კავკასიონი სვადასხვა ჯურის ტომებისათვის ერთგვარ თავშესაფარსა და სულისმოსათქმელს წარმოადგენდა, და ზოგი შემთხვევით და ზოგიც წინასწარ განზრახვით მოიწევდა აქეთკენ... მთელი ჩრდილოკავკასიის მთისწინეთი ამჟამადაც იმ ჩვენებურებითაა მოფენილი, გეკიევები, იგივე გეგიევები სვანური წარმომავლობისანი არიან, ებზევებიც — ასევე, კულიევები — კულიაანები, არღვლიანები ხომ ისედაც გასაგებია, მერე კიდევ ეს ჩვენებური კოშკები და ნამოსახლარები, ჩემი თვალით რამდენი მინახავს... ასე მოხდა ეგ ამბავი...

მოხუცმა ყველაფერი უწყოდა. ადგილთა სახელები, ტოპონიმიკური მასალები და სხვა ისტორიული გადმოცემები ყველაფერი ადასტურებდა საქართველოს ამ ერთ-ერთი მენაპირე მრავალრიცხოვანი სამთავროს არსებობას. თვითონ იქაური მეცნიერების გამოკვლევები და დისერტაციები ხდიდნენ სარწმუნოს ავბედითი ისტორიის რეალობას. ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ცნობილი გამონათქვამიც მეტ დამაჯერებლობას, ძალასა და მნიშვნელობას იძენდა ამ მონაცემების შუქზე. საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გადაშლილ ქვეყანას, ალბათ, მართლაც ძალუძდა ორასიათასიანი ჯარის გამოყვანა ბრძოლის ველზე. სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭოს არსებობაც ალბათ გამართლებულად ჩანს ამ ფონზე.

იქნებ სწორედ ეს სწრაფვა და საოცარი ენინი გამრავლებისა, ტრადიცია მრავალშვილიანობისა, იქნებ ყველაფერი ეს იმ ძველი ინერციის გამოძახილია, ანდა დაკარგულის შევსებისა და ანაზღაურების ქვეშეცნეული სურვილიდან მომდინარეობს აქაურ მკვიდრთა რწმენაში? როცა ამის შესახებ ჩამოვაგდე საუბარი, ქელეშბიმ დინჯად მიპასუხა:

— შეიძლება ესეც იყოს, ვინ უწყის. მე კიდევ ისიც მსმენია, რომ აი, კოდორის ხეობაში, დალის სვანეთს რომ ვეძახით და ასევე შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზედაც, ძველად თურმე მისმიანებს უცხოვრიათ, ჩვენი მონათესავენი ყოფილან თურმე. იქნება მუსმილდიც იმათგან შემორჩა სახელად ჩვენი მდინარის შენაკადსა, „მუსი“ ხომ ჩვენებურად თოვლსა ჰქვია, ჰო და თოვლის ქვეყანაში ბინადრობდნენ ისინიცა.

ახლა აფხაზეთ-სვანეთში, ანუ დალის ქვეყანას რომ ვეძახით, ჩვენებურები იმდენია, ერთი მოზრდილი რაიონის მოსახლეობა მაინც გამოვა. იმათ სამეგრელოში დავანებულებიც მიუმატე და, რაღა გინდა... ბევრი კი არ დაგვაკლდება იმ დიდ სვანეთამდე...

* * *

მაგრამ, ნათქვამისა არ იყოს — გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობიაო, გადავწყვიტე ადგილზე დამეკვლია იქაური ვითარებისათვის. აფხაზეთი, აქ მობინადრე სვანებისათვის, მართლაც მრავალშვილიანი ოჯახების საბუდარი აღმოჩნდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ზოგიერთი მათგანი წარვუდგინო ფართო საზოგადოებრიობას. მრავალშვილიანი ოჯახები გუდაუთის რაიონიდან: დარიკო და ევგენი რატიანები, გერასიმე და დოდოსი ნიჟარაძეები, მალაქი ჩარკვიანი, ილია და დივოლ გასვიანები, ვარლამ და ქეთევან ღვაჩლიანები, მირიან და

საშა ჯოხაძეები, იპოლიტე და ივლიტე გასვიანები, პლატონ და თამარ გასვიანები, ვლადიმერ და რიფსიმე მარგველანები, ნატა და ბესარიონ მარგველანები, ილარიონ და ვასასი გამყრელიძეები, ალექსანდრე და ციცი ნავერიანები, ლაზარე და ბაბუცა გასვიანები და სხვა მრავალი... აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანს ექვსიდან ათამდე შვილი ჰყავს. ასევე მრავალშვილიანი ოჯახები ბლომად გვხვდება აგრეთვე დალის აფხაზეთში, კერძოდ კი აჟარის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში; ჩინში, ლათაში, ჩხალთაში, აჟარაში, გენწვიშში, საკენსა და სხვა სოფლებში. ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს: ვალიკო ზურაბიანი — 10 შვილი; ზოსიმე და თამარ მიქიანები — 11 შვილი; გრიშა და გულჩინა ვიბლიანები — 11 შვილი; შარდენ და ფაციკო მარგველანები — 12 შვილი; მუშნი და ნათელა პაკელიანები — 10 შვილი... მრავლად გვხვდება მრავალშვილიანი სვანური ოჯახები აფხაზეთის სხვა რაიონებსა და სოფლებშიაც — ომარიშარში, მერხეულში, წებელდაში, მაჭარაში, განახლებაში, ფშაფში, დრანდაში, გულრიფშში, ქალაქებში — სოხუმში, გაგრაში, გალსა და სხვაგან...

— ახალგაზრდობაზე რას გვეტყვით? ახალგაზრდები რა თვალით უყურებენ უფროსების ამ მაგალითს? „ფეხბურთის გუნდებზე" ფიქრი ხომ არ გადაუვარდათ გულიდან? — ვკითხე ჩემს მასპინძლებს, აქაურ პედაგოგს — კაკო გასვიანსა და ქალაქ სოხუმის ვოკალური ანსამბლის — „ლილეს" ხელმძღვანელს, ვალერიან ჯაჭვლიანს.

კაკომ მიპასუხა:

— ახალგაზრდობა, ღვთის შეწევნით, მამების ნაკვალევს მიჰყვება, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ამ გზიდან გადაუხვიონ, პირიქით...

— თქვენთან მრავალშვილიანობის ფაქტორად გარდა მამაპაპური რწმენისა, კიდევ რას მიიჩნევდით? — ამ კითხვარზე ვალერიან ჯაჭვლიანმა თქვა:

— აფხაზეთსა და აქ მობინადრე სვან მოსახლეობას შორის ძველთაგან მომდინარე კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასაც, რა თქმა უნდა, ეს იგრძნობა ყველგან და ყველაფერში, აი, თუნდაც ჩვენი ვოკალური გუნდის „ლილეს" არსებობა ავიღოთ. განა ეს ფაქტი ცოტაზე მეტ-ყველებს?

— სხვათაშორის, „ლილეს" კოლექტივი პერსპექტიული ახალგაზრდებისაგან შედგება. ის მცირე რეზონანსი, რომელიც მას ამჟამად გააჩნია, სრულებით არ გამოხატავს ამ გუნდის შესაძლებლობებს.—თქვა კაკომ — რახან სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა დავუმატო, რომ ქართული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მხრიდან ამ ანსამბლის პოპულარიზაციას მეტი ყურადღება არ აწყენდა.

* * *

და მართლაც, ოჯახის სიმტკიცე სვანებისათვის წმინდათა-წმინდა ცნება გახლდათ. და კარგია, რომ ასეთი გაგება ბარშიაც ვრცელდება. ამისი ნათელი დადასტურება გახლავთ ის უცნაური და ამავე დროს სასიამოვნო ფაქტი, რომ მესტიისა და ლენტეხის რაიონებში მმაჩის ბიუროებს ჯერ განქორწინებათა შემთხვევები არ დაუფიქსირებიათ. არც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მესამე რაიონში", აფხაზეთ-სვანეთში ჰქონია ოჯახის დანგრევას ადგილი. როგორც მედიატორები იტყვიან ხოლმე — კოშკები ინგრევა, მაგრამ სვანური ოჯახები — არა! და ქალაქებშიაც ერთობ იშვიათია ასეთი შემთხვევები, და ისიც მხოლოდ მაშინ როცა ქორწინება „შერეული ხასიათისაა", რაც არც თუ იშვიათია ამ ბოლო დროს.

მართლაც და საოცარია, დღეს, როცა განქორწინებათა ეპიდემია მთელ მსოფლიოს მოედო, და არც ჩვენი ქვეყნისათვის გადაუვლია უმტკივნეულოდ, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში ერთი წლის დაქორწინებულთა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა — 14-17

პროცენტი ეყრება ერთმანეთს, ენგურის, ცხენისწყლისა და კოდორის ხეობებში ოჯახური ურთიერთობანი კვლავ ძველებური ქართული წესით და რიგით მიმდინარეობს — შენ რაც გინდა, უძახე, გამოუსვლელობა თუ ჩამორჩენილობა და ცოლ-ქმარი აქ, სვანური თქმისა არ იყოს, „კირსა და ქვიშასავით აბერდებიან ერთმანეთს“.

სიტყვამ მოიტანა და, რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ კავშირის მასშტაბით? განქორწინებათა მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ურბანიზაციის ცენტრები, დიდი ქალაქები, მათ შორის კი, პირველ რიგში, — მოსკოვი და რიგა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა გააჩნიათ ამ მხრივ აზერბაიჯანსა და სომხეთს, სადაც „ნედელიაში“ გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით — „ყოველ ას დაქორწინებულზე მხოლოდ ათი განქორწინება მოდის“, თანაც ეს რიცხვი აქ სტაბილურია ბოლო წლების მანძილზე და სხვა რეგიონებისა და ქალაქების მსგავსად ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება.

კვლავ მივუბრუნდეთ „დიდი ოჯახების“ პრობლემას. აფხაზეთ-სვანეთის მსგავსად ისინი მრავლად გვხვდება საქართველოს სხვა სოფლებსა და ქალაქებშიაც, სადაც სვანები ქაოტური მიგრაციის საფუძველზე შედარებით ახლად არიან ფეხმოკიდებულნი. ასეთი სოფლები და ქალაქებია, სამეგრელოში: — ჭუბურხინჯი, ზემო და ქვემო ეწერი, ზემო და ქვემო ლია, ზუგდიდი. იმერეთში — წყალტუბოს რაიონი, ქუთაისი; გურიაში — მახარაძის რაიონი; ასევე თბილისი, ლილო და კრწანისი; თელავის რაიონში — კახიფარი და სხვა...

მესტიისა და ლენტეხის რაიონებიდან დავასახელებ რამდენიმე მრავალშვილიან ოჯახს: ყველასათვის ცნობილი გურამ ხარძიანის ოჯახი, კალადან — 14 შვილი! მაცგი გოშუანის ოჯახი ცხუმარიდან — 10 შვილი, სამსონ და ალათი ვიბლიანებისა, ჭუბერიდან — 10 შვილი; სურათ და დუბლათ ჩხვიმიანებისა, ჭუბერიდან — 10 შვილი; ჩოფე შუკვანისა, რომელსაც 6 ბიჭი და 24 შვილიშვილი ჰყავს და მრავალი სხვა...

ლენტეხის რაიონში: კოსტა და ვერიჩკა გაბიანებისა — 10 შვილი, სოზარ და ვატი ჭელიძეებისა — 8 შვილი, ვასილ და მარიამ ავალიანებისა — 9 შვილი, მირიან ხაბულიანისა, სოფელ მუწვდიდან — 10 შვილი;

ჩიხარეშის მკვიდრთ — სამსონ და ანეტა ჯანხოთელებს რვა შვილი ჰყავთ. სამსონი საბჭოთა მეურნეობის მუშაა, ანეტა — დიასახლისი; მათ მრავალშვილიან ოჯახს სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრის მქონებელთა რიცხვს ვერ მიაკუთვნებს ადამიანი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სვანეთის მძიმე პირობებს, ნაკლებშემოსავლიან მეურნეობებსა და შესაბამისად მცირე ანაზღაურებას, სწორედ ამ ფონზე, საინტერესოა, როგორ გამოიყურება ამ ოჯახის წევრთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნასწავლობის ნუსხა“ და საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობა? მითუმეტეს, რომ დღეს საკმაოდ არის ფეხმოკიდებული მოსაზრება, თითქოს მრავალშვილიანობა ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს ბავშვების განათლებულ ადამიანებად აღზრდის საქმეში. მივყვეთ რიგისდა მიხედვით: უფროსმა შვილმა ჟინვერ ჯანხოთელმა რიგის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, გათხოვდა ქუთაისში და აქვე მუშაობს თავისი პროფესიით; დაზმირი — სტუდენტია; შურამ ჯიხაიშის სასოფლო ტექნიკუმი დაამთავრა, აქვე გათხოვდა; ვენერამ — თბილისის საფინანსო ტექნიკუმი, გათხოვდა თელავში; ვალოდია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების მერე განაწილებით დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ამჟამად აქ მუშაობს ექიმად. დარეჯანი — დაუსწრებლად სწავლობს ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში, თან მწველავად მუშაობს ჩიხარეშის საბ-

ჭოთა მეურნეობაში. მანვე 1982 წელს მიიღო სახელმწიფო პრემია კარგი შრომითი მაჩვენებლებისათვის. ნარგიზა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, მაყვალა კი ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტისა.

ახლა ერისტო და ნატაშა ჯანხოთელების რვაშვილიან ოჯახშიაც შევიხედოთ:

ვაჟა — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ჩიხარეშის სოფსაბჭოს თავმჯდომარეა; ჯუმბერი — სავაჭრო ტექნიკუმის კურსდამთავრებული — ვაჭრობის დარგის მუშაკი მშობლიურ სოფელში; ოთარი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მუშაობს თბილისში თავისი სპეციალობით; ადილარი — საშუალო სკოლადამთავრებული, ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის მუშა; სოსო — ამავე მეურნეობის მუშა; ლელა — სტუდენტი; ფოთოლა — ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე: გუსეინი — მეურნეობის მუშა.

დაახლოებით ასეთი გახლავთ სოფლად მრავალშვილიანი ოჯახების „ნასწავლობის ნუსხა". როგორცა ვხედავთ, არც თუ ურიგოდ გამოიყურება იგი. მე ვიტყოდი, პირიქით, მშვენივრადაც, რაც მთავარია, საქმიანად გამოიყურება, სწორედ რომ საქმიანად, რაც ახალგაზრდობის ერთი საკმაოდ მოზრდილი ნაწილის მოჩვენებითად საქმიანი ვითარების ფონზე ნამდვილად რომ ბევრის მთქმელია. ორი ოჯახის თექვსმეტივე ახალგაზრდა წევრი სასარგებლო საზოგადოებრივ შრომის ფერხულშია ჩაბმული, არც ერთი არ არის გზას აცდენილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული.

დედმამიშვილები, მწვერვალთა დამპყრობლებივით, გატანისა და ურთიერთსიყვარულის, გვერდში დგომისა და ჭირსა შიგან გამაგრების უცვეთი თოკით არიან გადაბმულები; ოჯახის საერთო ინტერესისა და პრესტიჟის წინაშე პასუხისმგებლობა, მისი ლირსების გაფრთხილების გრძნობა აერთიანებთ.

მოდიან ასე, ხელი-ხელჩაკიდებულნი ცხოვრების გზაზე, არც თუ უდრტვინველად, არც თუ რესტორნებში ჰარიჰარალეს ძახილით, მძიმე-მძიმედ, მაგრამ მკვიდრად, ოფლისღვრითა და მრავალდაბრკოლებათა გადალახვით, მაინც იმედიანად, უქონოდ და უქლოშინოდ, მოძრაობა და ჭიდილი მათ ცხოვრებას ამსუბუქებს, ენერგიას უორკეცებს, სასიცოცხლო იმედებით ავსებს... ¡ამ მოძრაობაზე ლაპარაკობდა თავის დროზე დიდი ილია, სიცოცხლის ძალის მიმცემად თვლიდა მას, მოძრაობაზე, რომელიც ყველა ავადმყოფობის დამთრგუნველია ადამიანში და რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ ასე გვაკლია...

ასე, რომ ერთნი — უმაღლესდამთავრებულნი, მეორენი — სტუდენტნი, მესამენი — მეურნეობის მუშები. საბოლოო ჯამში ყველანი თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტები. და არცაა ალბათ ბევრი სტუდენტი საჭირო, მთელი ახალგაზრდობა სტუდენტი ვერ იქნება და არც უნდა იყოს. იქნება ისიც მეტია, რაცაა, რადგანაც სტუდენტთა არმიის ერთ ნაწილს, ეგრეთწოდებული, „დედიკოს ბიჭები" შეადგენენ, მოდის ინერციას აყოლილნი, საქვეყნო საქმის არც თუ დიდად გულთან მიმტანი დედიკოს ბიჭები, სამწუხაროდ, საკმაოდ რომ მომრავლდნენ ამ ბოლო დროს ქალაქად თუ სოფლად და არა ამათსავით მინდვრიდან და ქარხნიდან მოსულები. მიწიერი, მამაპაპური პატიოსანი ცხოვრების ჟინით ანთებულნი, ქვეყნად გამრავლებასა და თვითდამკვიდრებაზე მეოცნებენი, რაც ასე მნიშვნელოვანი ფაქტორია ერის გადარჩენისა და წინსვლისათვის...

ასე რომ, ტყუილია იმისი მტკიცება, მრავალშვილიანობა კულტურულობისა და განათლებულობის მტე-

რიაო, რომ გაიძახიან ხოლმე. მთავარია, თვისობრიობა და არა რიცხობრიობაო — ინტენსიურობა და არა ექსტენსიურობაო. გააჩნია, რას გულისხმობენ ისინი კულტურულობასა და განათლებულობაში, ინტენსიურობასა და თვისობრიობაში, იქნებ თვითმიზნადქცეულ განათლებულობასა და კულტურულობას? უსაქმური ბრიყვი და სულელი ხომ მოსაბეზრებელია, მე რომ მკითხოს ვინმემ, მით უფრო არაფრისმაქნისი და ყოვლად გამოუსადეგარია განათლებული და მცოდნე, მაგრამ ზარმაცი და ქვენა გრძნობებს აყოლილი ადამიანი.

და კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ თვისობრიობა და ინტენსია თავისთავად, მაგრამ რიცხობრიობასა და ექსტენსიასთან ერთად, რამეთუ თვისობრიობა რიცხობრიობის ნაყოფიჟ ოდენ... ამ საკითხზე ქვემოთაც გვექნება. საუბარი. ახლა კვლავ მრავალშვილიანობის თემას მივუბრუნდეთ. მარტო ლენტეხის რაიონში 56 მრავალშვილიანი დედა დამისახელეს. 7-დან ათ და თოთხმეტ შვილამდე ზრდიან ისინი. და ყოველივე ეს ახალი ძალით აყენებს დღის წესრიგში მძლავრი მასტიმულირებელი ბერკეტების ამოქმედების აუცილებლობას, რათა მრავალშვილიანობამ, როგორც მოვლენამ, შეიძინოს საყოველთაო მნიშვნელობა და არ გვევლინებოდეს იგი მარტოოდან ერთეულების მიერ ჟამიდან ჟამად დანთებულ უღიმღამო კოცონად...

უნდა გაღუზღუზდეს იგი და მოიცვას მთელი ამიერ-იმიერი, როგორც წინაპრები ოცნებობდნენ — დარუბანდიდან ნიკოფსიამდე და ასევე მაღრიბ-მაშრიყითაც ყოველგნით გასწვდეს მისი ქათქათა და სხივმანათობელი ანაბზინი...

ეს არის სადღეისო ამოცანა და იგი მომავალში მთავარი გზატკეცილივით უსათუოდ მრავალი დრომოჭმული საზოგადოებრივი აზრის ქოხმახს დაანგრევს და შეიწირავს თავის შორსმიმავალ გზაზე. ეროს სამომავლო მაგისტრალი ფართო გზას საჭიროებს. მრავალშვილიანი ოჯახები ამ შარაგზების ქვაფენილებია...

ამ სფეროში არსებულ მოძველებულ შეხედულებათა ქოხმახების ნგრევის თვალსაზრისით ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება — რამდენადაც მრავალშვილიანობამ კატასტროფულად იკლო, და თვითონ მოვლენა იშვიათობა გახდა, განსაკუთრებით კი ჩვენს რესპუბლიკაში, და თუ შეიძლება ასე ითქვას, „ექსტენსიურმა ჭერმა“ ერთობ დაიწია, შესაბამისი კორექტივი უნდა იქნას შეტანილი თვით ამ მრავალშვილიანობის ცნების განსაზღვრაში.

ყველა სახის შეღავათი ასეთი ოჯახებისადმი (ისინი ამ ბოლო წლებში საკმარისად ქმედითია. შევადაროთ თუნდაც ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის რვა წლის ასაკამდე თითოეულ შვილზე დაწესებული დახმარების ოდენობა რვა მანეთი, ორმოცდაათ-სამოციანი წლების ანალოგიური დახმარების ოდენობას, რომელიც კაპიკებს შეადგენდა და ამ ასპექტით წინსვლის ტემპიც ნათელი შეიქმნება), უნდა გაიცემოდეს უკვე მესამე შვილიდან დაწყებული, რადგანაც სწორედ მესამე შვილის ზღურბლი გახლავთ ის მაგიური მიჯნა, რომლის აღებაც ახალგაზრდა დედებისათვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენს რატომღაც. სწორედ ამჟამად უნდა შემუშავდეს ამ მოვლენის დამთრგუნველი მორალურ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკურ-დიფერენცირებული ხასიათის სტიმულიატორები, რათა ეს დემოგრაფიული ინდიფერენტიზმის ყინული, როგორმე საბოლოოდ გალღვეს მოსახლეობის ამ ნაწილში და მეშჩანურ-ობივატელური, ეგოცენტრიკული დამოკიდებულება გამრავლების საკითხისადმი დაძლეულ იქნას. რაც არ უნდა იყოს, იშვიათ მრავალშვილიანობას სჯობია მასიური,

ვთქვათ, საშუალო — სამ-ოთხ და ხუთშვილიანობა, მთლად უკეთესი იქნება თუკი ამ მონაპოვრებთან ერთად ის სასიამოვნო გამონაკლისებიც შენარჩუნებული იქნება. ასე მიაღწიეს ქმედით ეფექტიანობას დე გოლის დროს საფრანგეთში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ფენომენალური შედეგები აქვთ ომით შეთხელებული მოსახლეობის აღწარმოების საქმეში. ამჟამად აქ ეს პრობლემა, ფაქტიურად, გადაწყვეტილად ითვლება, როცა ომით გამოწვეული უარყოფითი დემოგრაფიული ინტერვალების გასწორებას, საშუალოდ, 100 წელი მაინც სჭირდება ხოლმე;

* * *

კვლავ ვეწვიოთ სვანეთს...

რა სპეციფიურობით ხასიათდება აქაური მრავალშვილიანობა?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ენგურისა და ცხენისწყლის აუზების საარსებო შესაძლებლობები მოსახლეობის ტევადობის თვალსაზრისით, ერთობ შეზღუდულია. იგი საშუალოდ 18-20 ათასს შეადგენს. თითქმის ამ დონეზეც არის შენარჩუნებული ორივე რაიონში მოსახლეობის რაოდენობა. იბადება კითხვა, მაშ, სად მიდის ნამატი მოსახლეობა? და პასუხი უკვე გაცემულია — იგი გადაედინება მთათა კალთებიდან ბარად, ზემოთ დასახელებულ მეზობელ რაიონებსა და ქალაქებში. ამ მხრივ სვანეთი მართლაც ზღაპრული ზიარჭურჭელივითაა, რამდენადაც აქაურ კლდეკარებსა და ორწოხებს მეტის შეფარება და რჩენა აღარ ძალუძთ ნამეტი მოსახლეობა ბუნებრივად, უმტკივნეულოდ გადადის ბარში.

ეს პროცესი ოდითგან ქაოტურ ხასიათს ატარებდა, და ჩვენი ეროვნული, სამეურნეო და დემოგრაფიული სატკივრების ბორბალზე ნაკლებად ასხამდა და ასხამს ამჟამადაც წყალს. ამის თაობაზე ადრეც მრავალგზის ვვითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო. მართლაც გაგაჩნდეს სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებად ათვისებული ჯავახეთის ზეგანი, თვალშეუვლები სივრცეები ბოგდანოვკის, ახალქალაქის, დმანისის, ბოლნისისა და სხვა რაიონებისა, მთელი სახალხო მეურნეობის უბანზე განიცდიდე მუშახელის ნაკლებობასა და შრომითი რესურსების მწვავე დეფიციტს და ამ დროს ამ ღვთით ბოძებული ზიარჭურჭლიდან ნამეტი მოსახლეობის ქაოტური გადმოდინების საშურ პროცესს ჯეროვნად ვერ მიაყურადო, ვერ მიხედო, გეგმაზომიერად სათავისოდ ვერ გამოიყენო და წარმართო მართლაც რომ დიდი დაუდევრობაა და მეტი არაფერი. მიუტევებელი დაუდევრობა... განა რამე გამართლება მოეძებნება სვანეთიდან ოჯახების ჩამოსახლებას ისეთ „გაჭედილ“ რეგიონში როგორიცაა გარდაბნის რაიონის თბილისთან მოჯრილი სოფლები — ლილო და კრწანისი, სადაც თაგვი ისედაც კუდს ვერ იქნევდა? ამჟამად საკითხი დგას ხაიშჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ სვანური კოლორიტული და ხმაურიანი სოფლის აყრისა. ვერა და ვერ გადაწყდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამოსახლო ადგილების მიჩენის საკითხი. მითუმეტეს, რომ სოფლების აყრა ხდება საერთო სახალხო ინტერესების გულისათვის. კანონის თანახმად ასეთ შემთხვევაში მშობლიური სოფლიდან აყრილი მოსახლეობა სანაცვლო ადგილის არჩევის უფლებით სრაგებლობს. ხაიშელთა დიდმა ნაწილმა ასეთ ადგილად დაასახელა სვანებისათვის ახლობელი და ნაცნობი აფხაზეთის ტერიტორია, მაგრამ ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება. და ეს მაშინ, როცა ამ ათიოდე წლის წინათ აქ სამოსახლოდ მარტოოდენ საკუთარი ნებასურვილითა და არა რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტური მიზეზებით შორეული აღმოსავლეთიდან და საიდან არ ჩამოდიოდნენ მთლად უცხო ადამიანები.

სვანეთში მრავლად არიან აგრეთვე

საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის მსურველები, ესენი, ძირითადად, მრავალშვილიანი ოჯახებია. სვანეთში, სადაც ყანები, სათიბები და ტყეები, იალაღებიც კი საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა ოდითგანვე, როგორც ზემოთაც ითქვა, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მეტად ჭირს მხრების გაშლა. ძველი სვანური საცხოვრისებიდან, მაჩვიბებიდან ცალკე ოჯახებად გასვლისა და დამკვიდრების პროცესი, კარგა ხანია, დამთავრდა, ასათვისებელი ადგილები, თუ კი სადმე იყო კიდევ დარჩენილი, და სავარგულებად შედარებით გამოუყენებელი ნაკვეთები სამოსახლოდ გადანაწილდა, ასე რომ ახალი თაობები სამოსახლო ნაკვეთებისა და გასადევარი ადგილების მხრივ სრული უპერსპექტივობის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას შემომჩიოდნენ სვანეთში ყოფნისას თანასოფლელები — ფალიანები, გაბლიანები და ხერგიანები. ისინი მთხოვდნენ, დავხმარებოდი ბარად ჩასახლების ორგანიზაციაში. სამოსახლოდ არჩევდნენ კოდორის ხეობას, აფხაზეთ-სვანეთის მიმდებარე ტერიტორიებს, ასევე შავი ზღვისპირა ადგილებს ამ ადგილებში მოსახლე ნათესავების მეზობლად. აღმოსავლეთ საქართველოში კი — მარნეულის რაიონს, კერძოდ — მადნეულისა და გიგანტის მიდამოებს, სადაც, მათი სიტყვით, ამჟამად მიმდინარეობს ახალი ოჯახების ჩასახლება...

ყოველი მათგანი მიზეზად ასახელებდა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ — ადგილისა და გასადევრის ნაკლებობას; სისხლჭარბ სოფლებში უკვე ყველაფერი ათვისებულია, ყველაფერი გადანაწილებულია; არა და რაიონში ყოველწლიურად ახალი შტატები საიდან მოვა! — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ, მართალია, ვმუშაობთ, მაგრამ შვილები? რა გზას უნდა დაადგნენ ისინი, როცა გაიზრდებიან? მართალია, ჯერჯერობით ოჯახური მეურნეობის წარმართვაში გვეხმარებიან, მაგრამ სკოლის დამთავრების მერმე რას უნდა ეცნენ? რა საყარგებლო შრომით საქმიანობაში უნდა ჩაებნენ?

სამონაგროდ ჩრდილო კავკასიასა და რუსეთში, ასევე საქართველოს ბარში სიარულს ვისთვის მოუტანია ხეირი და სიკეთე? გზას თუ არ აცდენილა ახალგაზრდა თორემ იმით აშენებული ჯერ არავინ გვინახავს! პირიქით, ეჩვევიან გარეთ სიარულს, ხშირად უქმად დროის ტარებას, ზოგიერთი უკვე შინ ვეღარცა ძლებს და გული სახეტიალოდ მიუწევს... ჩვენგან ასე მრავალი განითესა, გაიფანტა, დარჩა რუსეთის ქალაქებში...

მართლაც ასეთები მრავლად იყვნენ სვანეთში და არა მარტო აქ, ვიწროებს რომ გააღწიეს თავი და ჩრდილოეთის ვრცელი ჰორიზონტები დალანდეს, ერთი შვებით ამოისუნთქეს, ცდუნების ეშმაკები ჩაიასახლეს, შესაძლებლობათა ფართე თვალსაწიერმა და ტრადიციულ-მითიულურ-ქართული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებამ სულ გადააგვარა, გარდაქმნა ისინი. მალე სამუდამოდ შეაქციეს კიდევაც ზურგი აქაურობას და უცხო მხარეში დაემკვიდრნენ. ასე გაუჩინარდნენ თვალსაწიერიდან. ნაწილმა, ლამის იყო, სვანურიც კი დაივიწყა და იშვიათადღა თუ „ჩამოიხედავდა“ სამშობლოში.

ზოგიც ჯარში ყოფნისას დარჩა უცხო ქალაქში, დარჩა და დარჩა... და რაოდენ გულისდამწველია ასეთი შემთხვევები მშობლებისათვის (შვილი გყავდეს და თვალით ვეღ ხედავდე) და არა მარტო მშობლებისათვის, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანისათვისაც. შენი სისხლ-ხორცი და მისხის-მისხი ახლომახლოში, ხმისა და მზერის გასაწვდენზე უნდა გეგულებოდეს, ჭირსა და ლხინში იმისი იმედი უნდა გაგაჩნდეს...

ყველაზე მწარე მაინც ის იყო, რაიმე უბედურების მაუწყებელი ქაღალდი ან დეპეშა რომ მოვიდოდა უცხო ქალაქიდან, იმ ქალაქივით ის უბედური

შვილიც გაუცხოებულიყო უკვე აქაურთა თვალში და ახლა ზოგიერთი ძლივს იხსენებდა, ვინ იყო და რა იყო. და აი, ნათესავები, რომლებიც, დიდი ხანია, მიატოვა იმ წერასატანილმა, დამდურეებულნი გაუდგებოდნენ უცხო გზას ამბის შესატყობად, მისახმარებლად, ჩვენს მტერს და... არც თუ იშვიათად, ჩამოსასვენებლადაც... რაღაც უსახურად მთავრდებოდა ყველაფერი. უსახურად და უაზროდ, არც ნაგრამი რჩებოდა გულისდამაიმედებელი, მამაპაპური ფუძისა და კერიის მიმპატრონებელი, ენა არ უწყოდნენ ქართულსვანური და ხასიათი საიდანღა ექნებოდათ ჩვენებური, ასე რომ უბედური მშობლები ღვთისაგან გატრიზავებულნი ეყუდნენ მაინც რაღაცის მომლოდინენი და გულდათუთქულნი. მათ ყოფას აზრი ეკარგებოდა... „არა შეჯდა მწყერი ხესაო", — იმეორებდა თავისთვის ხალხი — „არ გინდა ქალი უცხო მხრისაო", — სიმღერის სტრიქონებს იხსენებდნენ ზოგიერთები... მაგრამ უკვე გვიანი იყო ყველაფერი...

ასეთი უთავბოლო განთესვა კიდევ რომ არ განმეორდეს ნამეტი მოსახლეობის სხვა რეგიონებში ჩასახლების პროცესს მოზომილი, აწონ-დაწონილი მეცნიერული ხასიათი უნდა მიეცეს მომავალში მაინც. უნდა შეიქმნას სპეციალური უწყება, რაღაც მოქნილი ორგანიზაცია, რომელიც ამ საკითხებს უფრო მარჯვედ გაუწევს კურირებას რესპუბლიკის მასშტაბით და მოსახლეობას დროულად ჩააყენებს ყველაფრის საქმის კურსში, რათა მათ მარჩიელობა და მკითხაობა არ უხდებოდეთ ამ საკითხების გარშემო, ანდეგუმანს მინდობილნი ბრმად არ ჰყვებოდნენ საკუთარ გულისთქმას. მითუმეტეს, რომ დღეს, როცა ქართული მოსახლეობა ასე მცირდება სხვადასხვა რეგიონებში და არასასურველი დისპროპორციები იქმნება მთელ რიგ რაიონებში, ნამეტი მოსახლეობის გადანაწილებაზე სასიამოვნო მოვალეობა სხვა რაღა უნდა იყოს თუ კი იგი გაგვაჩნია საერთოდ! კვლავ გავიხსენოთ სამხრეთ საქართველოს თვალუწვდენი ტრამალები, რომლებიც ელოდებიან მშრომელი კაცის მოფერებასა და მშობლიურ მისათუთებას. აჭარის მაღალმთიანეთიდან დაძრული ნაკადი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია ამ მხრივ, მაგრამ არა გვგონია, რომ საკმარისი იყოს...

ჩვენი სევდიანი საუბარი სამწუხაროდ, არ გახლავთ მელანქოლიურ-ემოციური წუწუნი და მკერდზე ვიღაცის მოსაჩვენებლად მუშტების ბრაგუნი. ეს უღიმღამო ციფრები და ფაქტები გვავიშვიშებს;

ამჟამად რესპუბლიკაში გაჩაღებული ჩვენი მთიანეთის აღორძინების კამპანიის ფონზე მეტად სავალალო მდგომარეობა იხატება ხევსურეთის მეზობლად მდებარე ყაზბეგის რაიონში, სადაც მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება, ეს მოვლენა მეტად მაცდური და შემპარავია, აქ მოსახლეობის მატება წელიწადში ათას კაცზე შეადგენს მხოლოდ 1,9 კაცს. და ეს იმ დროს, როცა მოსახლეობის სტაბილური დონის შენარჩუნებისათვის ოპტიმალურ ზღვარს შეადგენს 7-10 კაცი! შევადაროთ ეს მონაცემი ბოლნისისას, სადაც მატება 24 კაცია, ბოგდანოვკაში — 19, ახალქალაქში კი პოპულაციის ეს მაჩვენებელია 18 კაცი, გარდაბანში — 17; რუსთავში — 14, რასაც ამ ინდუსტრიულ ქალაქში საქორწინო ასაკის ახალგაზრდების თავმოყრა განაპირობებს; გორში მატება შეადგენს 12 კაცს; ზუგდიდში — 7-ს... მახარაძეში — 3,4 კაცს, ლაგოდეხში — 10-ს; თუკი აქამდე დემოგრაფიული სინდიყის სვეტი პლიუსს უჩვენებდა, ახლა, სამწუხაროდ, „წიფის გვირაბი იწყება" — დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების მატების მაჩვენებლები ისე მკვეთრად ეცემა, შიშის ჟრუანტელი! დაგივლის ტანში. ცაგერში, ამ ბარაქიან კუთხეში მოსახლეობის „ზრდის მაჩვენებელი" ყოველ ათას კაცზე წელიწადში მინუს

ოთხია, ასევეა ონის რაიონშიც, ხოლო ამბროლაურში იგი მინუს ათამდე ეცემა!..

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ახლა მთელი ეს მონაცემები შევუდაროთ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების ანალოგიურ მაჩვენებლებს; ჩვენშიაც აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობით დასახლებული რაიონების მაჩვენებლები, როგორც ზემოთაც ვნახეთ, 24-19-18-17-ზე დაბლა არ ჩამოდის, ხოლო თვითონ აზერბაიჯანში 1956 წლის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის ზრდა ყოველ ათას კაცზე წელიწადში შეადგენდა 36 კაცს! მართალია, ამჟამად, ეს მონაცემები ცოტა შემცირებულია, მაგრამ არც თუ მნიშვნელოვნად. სწორედ ასეთი მაღალი ტემპის წყალობით აქ მოსახლეობა 1970 წლის მონაცემებით უკანასკნელი თერთმეტი წლის განმავლობაში 33 პროცენტით გაიზარდა. გავიხსენოთ შირალი ბაბა მუსლიმოვი, რომლის ოჯახი 250 სულს ითვლიდა. ასევე სომხეთში ჩვენსაზე გაცილებით დიდია გამრავლების პროცენტი, აქ 1960 წელს ყოველ ათას ადამიანზე მატება საშუალოდ შეადგენდა 33 სულს, ეს ის პერიოდია, როცა რესპუბლიკაში რეპატრიანტებისა და ასევე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მობინადრე სომხების ინტენსიურ თავმოყრას ჰქონდა ადგილი. ამჟამად გამრავლების მაჩვენებელმა იკლო და შეადგენს 18,1 ადამიანს საშუალოდ, მაშინ როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ რვანახევარ-ცხრანახევარს თუ უდრის! უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისიც არაქართულეროვანი მოსახლეობის მომეტებული ზრდის წყალობით.

ასე, რომ ეს ციფრებიც — 8,5-9,6, ქართველებისათვის უფრო ილუზორულია ვიდრე რეალური სინამდვილის ამსახველი. ილუზორულია იგი, რამდენადაც ჩვენში პოპულაცია რეგიონალური ხასიათისაა და მაღალმთიანი სვანეთისა და აჭარის გარდა ქართული მოსახლეობის მატების სურათი დიდად სანუგეშოს არაფერს გვეუბნება.

დიახ, მაღალმთიანი სვანეთისა და აჭარის გარდა...

მაგრამ ყოველგვარ მოსაზრებას ფაქტობრივი არგუმენტაციის გარეშე ცხოველმყოფელობა და სარწმუნოობა ეკარგება. ამიტომ დახმარებისათვის მივმართეთ ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც რესპუბლიკაში პოპულაციის მეცნიერული კვლევის დარგში მეტად სერიოზულ მუშაობას ეწევა. სვანეთში გამრავლების პრობლემის თაობაზე საუბარი მქონდა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო და სამკურნალო დარგებში დირექტორის მოადგილეებთან — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან მერაბ ნებიერიძესთან და თამაზ კერესელიძესთან, მეცნიერ მუშაკთან, ფსიქოლოგ ზაზა ხოშტარიასთან და სხვებთან...

ამჯერად გთავაზობთ მცირე ინტერვიუს ინსტიტუტთან არსებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული ლაბორატორიის გამგესთან თენგიზ ნიჟარაძესთან.

— პატივცემულო თენგიზ, რას გვეტყოდით სვანეთში დემოგრაფიული ვითარების თაობაზე?

— სვანეთი ჩვენი ექსპედიციის წევრებისათვის ერთგვარი ჯადოსნური სამყაროა, სადაც სულს მოითქვამს ადამიანი... აქაური თვალწარმტაცი ბუნება თავისთავად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენს განწყობილებას განსაზღვრავს შობადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები — 28,4 ბავშვი ათას კაცზე! ბუნებრივი ნამატი შეადგენს 1978 წლის მონაცემებით 19,8 ადამიანს, რაც ორჯერ აღემატება რესპუბლიკაში პოპულაციის საშუალო მაჩვენებელს და სამჯერ და მეტად ზოგიერთი რაიონის ანალოგიურ მახასიათებელს.

— რაიმე სპეციფიურობით თუ გა-

მოირჩევა მოსახლეობის აღწარმოების სვანური სურათი?

— აქაურ ოჯახებს საოცარი სიმტკიცე ახასიათებს. საერთოდ არ გვხვდება განქორწინების შემთხვევები. მეტად დაბალია „აბორტების“ რიცხვი, აქაურ მკვიდრთა მამულიშვილური დამოკიდებულება ერის გამრავლების საკითხებისადმი მაიმედებს, რომ მომავალში ბავშვის იძულებითი მოცილების ის მცირე შემთხვევები კიდევ უფრო დაიკლებს... ოღონდ ჩვენის მხრიდან საჭიროა მეტი აგიტაციური მუშაობა.

სპეციფიურის რანგშია აყვანილი სვანური ჯანსაღი, მაღალი ადამიანური იდეალებითა და სულისკვეთებით განმსჭვალული სოციალური და საზოგადოებრივი გარემო — მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების საოცარი ცხოვრებისეული სკოლა. მოგეხსენებათ, რომ ერთი საქმეა მრავალშვილიანობა, სხვაა შედეგი. სვანეთი კი იმით გამოირჩევა, რომ აქ შობადობა და აღზრდა ერთმანეთთან ჰარმონიულ მიმართებაშია. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ.

— მაშ, თქვენი უწყების დამოკიდებულება სვანეთისადმი ფრიად ამაღლებულად უნდა ჩაითვალოს...

— მაგრამ ამას თან ახლავს დიდი ტკივილიც. ალბათ ხვდებით, რაცა მაქვს მხედველობაში. დემოგრაფების მარადიული სატკივარი — სვანეთის სამეზობლოში და აქეთ მოყოლებული, ნამოსახლარები, სისხლნაკლული სოფლები, სიცარიელე, ტრიალი, ტრიალი მინდვრები, ალაგ-ალაგ კი გამქრალი ბილიკები...

თენგიზი მართალს ბრძანებდა, მართლაც მრავალრიცხოვნება თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავდა, თუ კი მას სათანადო აღზრდის მექანიზმს არ შეგაგებებდით. ამ შემთხვევაში ბალი წვერში არ უნდა გამწარებულიყო. ესეც არის, ორივე ზემოთდასახელებული მომენტი სასურველ დონეზეც რომ გვქონდეს, სისხლნაკლულ რეგიონებს მაინც არაფერი ეშველებათ, თუ კი მოწეული მოსავალი სულ ერთ ბელელში დავაბინავეთ (რესპუბლიკა, დიდი ხანია, თავკომბალას დაემსგავსა, საქართველოს „თბილისიზაცია“, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება).

ეტყობა, ეროვნულ-დემოგრაფიული პოლიტიკა, ძირითადად, ზემოთმოყვანილ ამ სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ემყარება და ჩვენის მხრიდან კომპლექსურ მიდგომას ითხოვს...

* * *

სხვათაშორის, არა მარტო ჩვენ, დიდ ერებსაც ემტერება მცირეშვილიანობის სენი და ავადობა. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ, ინგლისის რეაქციულმა პრესამაც კი აღნიშნა ეგ ამბავი. მათ ყურადღება მიაქციეს რუსი ერის შობადობის დაბალ დონესა და შესაბამისად გამრავლების ერთობ მცირე მაჩვენებელს. და არაორაზროვნად უწინასწარმეტყველეს არასახარბიელო პერსპექტივა.

სიმართლე ნაწილობრივ სახეზე იყო, შობადობის დაბალი მაჩვენებელი ეტყვს არავისში არ იწვევდა. იმჟამად ჩვენს პრესაში ამ საკითხებზე აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა შეიქნა. დემოგრაფები, ეკონომისტები, სოციოლოგები, მწერლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუშები, დიასახლისები, ყველა პროფესიის ადამიანები ჩაერთვნენ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე გაჩაღებულ ამ დისკუსიაში და მან თანდათანობით საერთო-საკავშირო ხასიათი მიიღო.

მიზანი ერთი იყო — როგორ შევბრძოლებოდით მოსახლეობის შემცირების ტენდენციას, როგორ აგვეცილებინა საწარმოო ძალების მოსალოდნელი მწვავე დეფიციტი და მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოების პროცესი სასურველ დონეზე წამოგვეწია და შეგვენარჩუნებინა.

მიზნის მისაღწევად ამოსავალი წერტილი ყველა შემთხვევაში გახლდათ

ქალის, დედის გამონთავისუფლება საზოგადოებრივი შრომისაგან, მისი დასაქმება ოჯახში, პირველ რიგში კი შვილების აღზრდა. სწორედ მრავალშვილიანობის კვალობაზე უნდა განსაზღვრულიყო ქალის ეკონომიკური და მატერიალური წახალისების დონეც. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში გაუქმდებოდა სახელმწიფო დოტაციაზე მოქმედი საბავშვო დაწესებულებანი — ბაგა-ბაღები, გახანგრძლივებული ჯგუფები, სხვადასხვა უსასყიდლო დახმარებანი ბავშვებისა და მცირეწლოვანთა დედებისათვის, საავადმყოფო ფურცელი, ყველაფერი ეს კი თავის მხრივ სოლიდურ თანხას გამოათავისუფლებდა, იგი დაფარავდა კიდევაც საწარმოო-დაწესებულებებიდან „დათხოვნილი“ ქალების კონტიგენტზე გამოყოფილი ხელფასების ოდენობას. დემოგრაფ ვერმიშევის გამოანგარიშების მიხედვით, რომელმაც ერევნის ერთ-ერთ რაიონში ამ საკითხზე ეკონომიკური ექსპერიმენტი ჩაატარა, ხელმოჩნდა, რომ სახელმწიფო, პირიქით, მოიგებდა კიდევაც ქალის განონთავისუფლებით საზოგადოებრივი საქმიანობისაგან.

მაგრამ ამ იდეის მთავარი მნიშვნელობა მის ეკონომიკურ ეფექტში კი არ მდგომარეობდა და ეს საკითხი ამ ასპექტით არც მდგარა მაშინ დღის წესრიგში, მთავარი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ, რომ ამ პოლიტიკის განხორციელებით შობადობისა და ბუნებრივი მატების დონე წამოგვეწია და დემოგრაფიული ვითარება გამოგვესწორებინა, მიგვეღწია პოპულაციის სფეროში მაქსიმალური ინტენსიურ-ექსტენსიური უკუგებისათვის. ამ შემთხვევაში ინტენსია უნდა უზრუნველეყო დედის აქტიურ, ყოველწუთიერ და ყოველდღიურ მშობლიურ ზემოქმედებას შვილზე, მასში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თანამედროვე ჰუმანური მსოფლმხედველობის, ზნეობრივი მრწამსისა და სულიერი ჰარმონიის ჩამოყალიბებაზე, — ექსტენსია კი თავისთავად უნდა უზრუნველეყო ქალის მოცალეობას...

ასე რომ გარდა ეკონომიკური ეფექტისა — ვერმიშევის გამოთვლებს თუ ვერწმუნებოდით, თხუთმეტი წლის მერმე ჩვენ მივიღებდით წარმოუდგენელ უკუგებას წმინდა ადამიანურ ასპექტში — ჩვენი საზოგადოების რიგებს შეავსებდნენ ზრდილი, განათლებული, შრომისმოყვარე, სულიერად განსპეტაკებული ახალგაზრდები, მალე კი თაობებს თაობები მოჰყვებოდა და ქვეყანას მრავალი თავშისახლელი პრობლემა (უსაქმურობისა, წესრიგისა, შრომითი დისციპლინისა, დანაშაულობათა და მრავალი სხვა) მოეხსნებოდა თავისთავად.

მართლაც და სად ოჯახში, დედასთან, მშობლიურ სიტუაციაში აღზრდილი ბავშვის პიროვნული თვისებები და სად, ვიყოთ მართლები, უცხო ადამიანების, და სამწუხაროდ, არც თუ ყოველთვის კეთილმოსურნე ძიძებისა და ოავგაბეზრებული აღმზრდელების ხელში მოჩრიხვებულებისა.

მიუხედავად საკმაოდ მომწიფებული საზოგადოებრივი აზრისა და აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეთა უანგარო სურვილისა, როგორმე შეემსუბუქებინათ ქალისათვის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა — ბრძოლა „საშინაო და საგარეო“ ფრონტებზე, მეოჯახეობა, შვილების აღზრდა და საზოგადოებრივი გადატვირთულობა და ამავე დროს პარალელურად წაშველებოდნენ დემოგრაფიულ ვითარებასაც, მათივე ბანაკის ზოგიერთმა ემანსიპიცირებულმა წარმომადგენელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ეგ შეღავათები და მოწყალებანი თქვენთვის შეინახეთო, ახლა როცა მამაკაცთან თანასწორუფლებიანობას მივაღწიეთ, თვალებში გამოვიხედეთ, კოსმოსში ავიჭერით, თქვენ გნებავთ, რომ საიდანაც მოვსულვართ ისევ აქ მიგვაბრუნოთო, იმ დამონებულ მდგომარეობაში ჩაგვაყენოთო, ჩვენი მოპოვებული უფლებანი შეგვიკვეცო-

თო, ესაო, ისაო. კარგად მახსოვს, ერთმა შინაბერამ რა ქოქოლა დააყარა ყველას, ვინც ქალის მდგომარეობის შესასუბუქების სასარგებლოდ თავის მოსაზრებას გამოთქვამდა. რაღას იზამდი, როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვსო, თორემ „მონობაში მიბრუნება“ და „უფლებათა წართმევა“ თავში აზრად ვის მოუვიდოდა!

ყოველშემთხვევაში, რამდენადაც დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ყველა საზოგადოებრივი სიკეთე და მონაპოვარი საერთოა, ზოგადია, ემანსიპაციის მომხრეთა დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრიც, ბუნებრივია, გათვალისწინებულ იქნა.

მაგრამ დემოგრაფიული რევოლუციის განუხორციელებლობას ქვეყანაში (ძირითადად), სხვა მიზეზებმა შეუწყო ხელი — კერძოდ მსოფლიოში შექმნილმა ერთობ დაძაბულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ, — ირგვლივ ყოველგნით საომარი სამზადისი იყო გაჩაღებული და სამხედრო მანქანა მსოფლიოს ხალხებს სულსა ხდიდა.

მწარე გამოცდილების მქონე ჩვენს სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა გულ-ხელდაკრეფილი შორიდან ეცქირა მოვლენათა მსვლელობისათვის და, ბუნებრივია, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში მეტად სარისკო იყო გლობალური დემოგრაფიულ-სოციოლოგიური ექსპერიმენტის განხორციელება.

მაგრამ, რაც შეეხება თვით დისკუსიის შინაარსს, მისი ერთ-ერთი ხარვეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ არავინ სვამდა საკითხს სახელმწიფოში დემოგრაფიული რეფორმის განხორციელებისას რეგიონალურ-დიფერენცირებული პრინციპის გამოყენებაზე, რაც ქმეთიდად შეუწყობდა ხელს სახელმწიფოში პოპულაციის გასაშუალოების საშურველ პროცესს. ლოგიკურიც იქნებოდა ასეთი დიფერენციაცია — იქ, სადაც მოსახლეობის კვლავაღწარმოების დინამიკა ისედაც მაღალია, რაიმე დამატებითი სტიმულიატორების გამოყენების აუცილებლობა ნაკლებგამართლებული იქნებოდა, ვიდრე იგივე ბერკეტების მოშველიება ისეთ სისხლნაკლულოვან რეგიონებში, როგორიცაა ციმბირი, რუსეთის არაშავნიადაგიანი ზონა და ასევე ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ბელორუსია, უკრაინა და სხვა მცირერიცხოვანი ერები და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრნიც პოპულაციის მაჩვენებლების გათვალისწინებით. ეს იქნებოდა დემოგრაფიის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უბანზე ისეთივე პრაქტიკული და ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, როგორიც თავის დროზე გახლდათ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთისა და მაღალმთიანი ზონებისათვის ხელფასის დანამატების შემოღება.

რამდენადაც მრავალშვილიან ოჯახებისადმი დახმარებაზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე უნდა გავიხსენო „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლევან სანიკიძის წერილიდან 1703 წლის ერთი გუჯარი:

მრავალშვილიან ოჯახს „არაფერი გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა კოდის პური, არა სამასპინძლო, არა სამოსელი, არა ულაყი, მზისა და წვიმის მეტი კარს არა მოგადგებოდეს რა...“

მართლაც მშვენივრად არის ნათქვამი, მაგრამ სერიოზული მოთხოვნა იმისა, რომ ყველაფერი ეს შეიძლება ჩვენს უშველებელ ქვეყანაში, ანდა, გნებავთ, საქართველოში დღეს და ხვალ განხორციელდეს, მეტი რომ არ ვთქვათ, არარეალისტურია ზემოთ განხილულ გარემოებათა და მრავალთა სხვათა მიზეზთა გამო. სახელმწიფომ ამ ბოლო დროს ბევრი ღონისძიება განახორციელა მრავალშვილიანი დედებისათვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ, ფორმების კიდევ უფრო დახვეწა და მათი ქმედითობის ამაღლება და ამ მხრივ მუშაო-

ბა მიმდინარეობს კიდევაც, მაგრამ, როგორც ამის თაობაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ჩვენი აზრით, საშველი მაინც ქალის, დედის საზოგადოებრივი დატვირთვისაგან გამონთავისუფლებაში. მდგომარეობს. ამ მოვლენის უნივერსალიზმი გამოიხატება იმაში, რომ იგი მოკლე დროში იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი საზოგადოება თანდათანობით განიწმინდოს მოზღვავებული მორალურ-ზნეობრივი და სულიერი წიდისა და მავნე დანალექებისაგან, რაც სოციალისტურ-დემოკრატიული საზოგადოებისათვის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა ყოველთვის.

მაგრამ ვიდრე ამისი საშუალება მოგვეცემოდეს, მაქსიმალურად უნდა შევირგოთ ის, რაც უკვე გაგვაჩნია, რაც უკვე განხორციელებულია ამ მიმართულებით და ყოველივე ამას შევაშველოთ ჩვენივე საკუთარი, თუნდაც მორალური და ეთიკური ხასიათის შესაძლებლობანი, აღარაფერს ვამბობ ეკონომიკური და მატერიალურ-ინდივიდუალური შეწევნისა და დახმარების ფორმებზე, რასაც სახელმწიფო დადგენილებების მიღება არ სჭირდება და მთლიანად დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივ მრწამსსა და შეგნებულობაზე, პიროვნულ ენთუზიაზმზე. მართლაც საოცარია პირდაპირ, ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა აღეძვრას მიწაში ფულების მფლობელსა და ოქროს კრუხისა და წიწილების მქონებელ ჩვენებურ კაცს ძველქართული მოვალეობის გრძნობა ქვრივ-ობოლთა, გაჭირვებულთა, მრავალშვილიანთა დახმარებისა? ხოლო რაც შეეხება მორალურ და ფსიქოლოგიურ, პიროვნულ დახმრებას მრავალშვილიანი დედებისა და, გნებავთ, მამებისადმი, განა ძნელია, რომ თუ კი საქმიანობის ხასიათი ამის საშუალებას იძლევა, მმართველი იქნება ეს, მინისტრი, ტრესტის უფროსი, განყოფილების გამგე, გაზეთისა თუ ჟურნალის რედაქტორი, მაღაზიის დირექტორი თუ სხვა, თვალი მოუხუჭოს შვილების პატრონი დედისა თუ მრავალშვილიანი ოჯახის უფროსის შემთხვევით დაგვიანებას სამსახურში, გამონახოს რაღაც დამატებითი შიდა რეზერვები მის წასახალისებლად, სათანადო შეღავათები გაუწიოს ბინის მიღების, სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით დაკმაყოფილებისას, კრებებზე თუ სხვა სახის ღონისძიებებზე წარმოაჩინოს მისი მაგალითი, როგორც მისაბაძი მრავალშვილიანი მშობლისა. ერის წინაშე დამსახურების რანგშიც კი უნდა იქნას აყვანილი ჩვენთან მრავალშვილიანობა... ვინ გვიშლის ყოველივე ამას?..

აი, ეგ იქნება სწორედ დღეს ნამდვილი მამულიშვილობა.

ყოველივე ამისათვის კი თეორიული ბუქის დაყენება არ არის საკმარისი! დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. იაპონელებივით, თევზი რომ შემოაკლდებათ კრებას კი არ იწვევენ, ზღვაში გადიან...

ჩვენი ნაოსნობის ჟამმაც მოაღწია! მოაღწია რომელია!..

* * *

და აი, როცა ჩვენ საკუთარ მცირერიცხოვნებას მივსტირით, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ინტენსიურობის ფაქტორი, მოსახლეობის თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები რესპუბლიკაში. აღარას ვამბობ ქალაქებში შექმნილ მდგომარეობაზე, მაგრამ რითი უნდა დაინუგეშოს კაცმა თავი, როცა სოფლად, რაიონებში, ურბანიზაციის ცენტრებიდან დაშორებულ რეგიონებშიაც კი, სადაც თანამედროვე ცივილიზაციისათვის ნიშანდობლივი უარყოფითი გავლენები წესით ნაკლებსაცნაური უნდა იყოს, ახალგაზრდობისა და არა მხოლოდ ახალგაზრდობის საზოგადოებრივი დასაქმებისა და მათი მოქალაქეობრივ-სოციალური შეგნებულობის დონე ერთობ დაბალი და ხშირ შემთხვევაში კი ანომალურია? მხედველობაში მაქვს ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობის ამ ნაწილის სულიერ-მორალური ატროფიკაცია, მათი უნიათო ცხოვრებისეული განწყობილება, საეჭვო მოქალაქეობრივი მრწამსი და ერთიან დაქვეითებული პასუხისმგებლობის გრძნობა, აგდებული დამოკიდებულება ისეთი მოვლენებისადმი, როგორიცაა შრომითი საქმიანობა, პატიოსანი ცხოვრებისადმი სწრაფვა, ოჯახზე, გამრავლებაზე ფიქრი... ხომ არ იბუდებს ახალგაზრდების ამ კატეგორიის ერთ ნაწილში კაპიტალისტურ სამყაროში კიდეთ კიდემდე გავრცელებული ჰიპომანიური სულისკვეთების მაგვარი რამ? მოგეხსენებათ, თავისი არსით აღნიშნული მოვლენა კაპიტალისტურ სამყაროში პრინციპში ყველგან ერთნაირი იყო, მაგრამ ქვეყნების მიხედვით თავისებურ ქვეტექსტებს მაინც ინარჩუნებდა.

მაინც რა მოვლენასთან გვაქვს საქმე ჩვენს შემთხვევაში? რითი უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, როცა შეძლებული ოჯახიშვილების ერთი ნაწილი, რომელთაც არც ფული აკლიათ, არც უდროობა აწუხებთ და არც სხვა რამ მნიშვნელოვანი სადარდებელი გასჩენიათ ბინის ძარცვასა და მკვლელობაზე ცვლიან უშფოთველ ცხოვრებას? ლოთობისა და უქნარობის, ზარის თამაშის ჭაობში ეფლობიან? იდეალად ქურდულ ყოფას აღიარებენ და ციხის საკანს ამჯობინებენ უზრუნველობას?

ეს რაც შეეხება დალხინებულთა და საუკუნოდ უზრუნველყოფილთა, მძლეთა-მძლე მფარველთა კალთებიდან დამსხლტარი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, არც საშუალო და შედარებით ხელმოკლე ოჯახის შვილები ერიდებიან აუგ გზებზე, ხეტიალს, ზოგჯერ ისინიც პატიოსან შრომას ზურგს აქცევენ ხოლმე და მუქთახორების ბანაკში ეწერებიან, და ეს იმ დროს, როცა მოწადინებისა და ხელის განძრევის წყალობით დღეს ჩვენთან შიმშილობა კაცი არ მოკვდება.

მრავლდება და მრავლდება ჩვენში ეს „მომცდარი ყანები"... ვიდრე ამ „მომცდარი ყანების" სტატისტიკაზე გადავიდოდეთ, ერთ საკითხზეც მინდა გავამახვილო ყურადღება, ჩვენ ზემოთ ჰიპომანია და მისი რაღაც სახესხვაობა თუ ანალოგია ვახსენეთ, და სამართლიანობა მოითხოვს, რომ აქვე მივუთითოთ აღნიშნული მოვლენის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი. ადვილია კონსტანტაცია, უფრო ძნელია მიზეზების კვლევა და მათი ფიქსირება. მით უფრო ამ ურთულეს მოვლენას ერთმნიშვნელოვანი საფუძველი არც შეიძლება რომ გააჩნდეს, მაგრამ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტების მინიშნება მაინც შეიძლება ალბათ. როგორც ცნობილია, ჰიპომანიის საფუძველს ახალგაზრდობის გულგაცრუება, კაპიტალისტურ სამყაროში მორალურ-ეთიკურ ფასეულობათა დამცრობა, უპერსპექტივობა, პიროვნების სასოწარკვეთილება და უძლურება წარმოადგენს, მრავალმა სხვა მიზეზმაც, რა თქმა უნდა, და მათ შორის ექსტრავაგანტ პოლიტიკოსთა და საქმოსანთა ანტიხალხურმა, უტილიტარულმა იდეოლოგიამაც შეუწყო ხელი მის აღმოცენებას. ამ თავსმოხვეულ, ყოვლისწამლეკავ ძალმომრეობით აქციებს არც თუ გაუნათლებელი ახალგაზრდობის მთელმა არმიებმა, თავიანთი უკიდურესობამდე მისული ნიჰილიზმით, ელიტარული ფასეულობებისადმი ზურგშექცევითა და ციინიკური დამოკიდებულებით გამოუცხადეს ბრძოლა და ამასობაში თვითონაც ისე ჩაიფლნენ უზნეობის მორევში, რომ უკან გამოღწევა გააუჭირდათ. მიტომაც იყო, რომ ასე უსახურად და უშედეგოდ დაამთავრეს თავიანთი მსვლელობა კაპიტალისტური სამყაროს მერიდიანებზე.

ასე რომ ჰიპომანიას თავისი ახსნა აქვს, იგი, როგორც მოვლენა, რაღაც მიზეზებს ეფუძნება. მისი საძირკველი

კაპიტალისტური სამყაროს ძალმომრეობით ხასიათში უნდა ვეძებოთ.

როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენს სინამდვილეში, სადაც ძალმომრეობის თვითონ ცნებაც კი ეშაფოტზეა გაკრული? სადაც მსგავსი მოვლენებისათვის ორგანული ნიადაგი არ არსებობს, მიზეზთა მიზეზი ძნელად საძებარია? და თუ კი ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ამ ხელჩაქნეულობას ფაქტად ვაღიარებთ, და ასეც უნდა გავაკეთოთ, რადგანაც ყველა სხვა შემთხვევაში მხოლოდღა საკუთარი თავისადმი მოწეული დათვური სამსახური გამოგვივა, როგორ უნდა ავხსნათ ეს მიზეზთა მიზეზები? იყო დრო, როცა მავანნი თავთავს ებრძოდნენ, საფუძველსა და საძირკველს, ნიადაგსა და ფესვებს ჩქმალავდნენ, თითქოს ივიწყებდნენ და სხვებსაც ავიწყებდნენ ამ საფუძვლების არსებობას, ბუნებრივია, ბრძოლის შედეგიც ბუტაფორიული იყო, შესაძლოა, ნაწილობრივ იდეოლოგიისა და აღმზრდელობით სფეროში მთელი გასული წლების მანძილზე დამკვიდრებული სწორედ ამგვარი მოჩვენებითი თვალხუჭაობანას წყალობაც იყოს ეს მოვლენა? ათეული წლების განმავლობაში ცალმხრივი, ტენდენციური მიდგომა საკითხისადმი, მოვლენების ზედაპირული შეფასება ადუნებდა საზოგადოებრივი სიფხიზლის ნერვს, ქმნიდა „საათივით აწყობილი რესპუბლიკისა“ და ჩინებული საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაცდურ ილუზიას, თრგუნავდა სიფხიზლეს და საზოგადოებას უფსკრულისაკენ მიაქანებდა, ეს ამ ბოლო დროს გაირკვა, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, შეებრძოლა ფორმალიზმს აღმზრდელობით სფეროში, მოჩვენებითობასა და ზერელობას ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, გაუშიშვლა მოვლენებს ძირები და ადამიანები ალანთო საერთო საქმისათვის.

მართალია, შეგვიანებული აღმოჩნდა აღრეული სიბრტყეებისათვის თავთავისი ადგილის მიჩენა, მაგრამ მცდელობაც უკვე თავისთავად ბევრი რამის მთქმელია, სათნოებისა და პატიოსნების მხარეზე დგომაც კი და მით უფრო მისი დამკვიდრებისათვის ბრძოლა იმედით აღანთებს ადამიანებს, მომავლის რწმენას სახავს მათში; ეს არის ალბათ ყველაზე დიდი მონაპოვარი ჩვენი საზოგადოებისა. რწმენაზეა ყოველი სიკეთე დაფუძნებული, გლეხკაცი რწმენითა და იმედით ცხოვრობს და არა მხოლოდ გლეხკაცი, საერთოდაც, ყველა ამ ქვეყანაზე...

ამ საყოველთაო რწმენის ფონზე უფრო მტკივნეულად განიცდება ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ეს სულიერი და მორალურ-ზნეობრივი მეტამორფოზა. მაინც საიდან მომდინარეობს იგი? ნიჰილიზმიდან? უპერსპექტივობიდან? ზნეობრივ ფასეულობათა დევალვაციიდან? და მართლაც ყოველივე ამისი საფუძველი ამ ახალგაზრდობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილზე დახვდა.

სულიერი დეგრადაციისათვის ნიადაგის შემზადებას მრავალი წლები სჭირდება ისევე, როგორც ხეჭეჭურს მსხმოიარობისათვის, რომელიც დიდი ხნის უნაყოფობის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს ისე დაიხუნძლება, გაოცებისაგან თვალებს დაყვლიფავ და წამოიძახებ: ეგ საიდანაო! ასე დაიხუნძლა ოღონდაც, სამწუხაროდ, ბოროტების ნაყოფით ეს კატეგორიაც და ამ მოვლენის სათავე წლების სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. მართალია, ახლა, ტოტების სხვლის შეუნელებელი პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ ფესვებამდე ვერ ჩაუღწევია ცულისპირს, ფესვები კვლავინდებურად მძლავრობენ...

□დასასრული შემდეგ ნომერში□

ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ახლებური წაკითხვის გამო

1.

1988 წლის „მნათობის“ მეათე და მეთერთმეტე ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი მწერლის, პოეტისა და პროზაიკოსის, თამაზ ჭილაძის ვრცელი რუსთველოლოგიური ნაშრომი — „ვარდის ფურცლობის ნიშანი“.

თავისი ნაშრომის შესავალში ავტორი გამოთქვამს ზოგად საგულისხმო მოსაზრებებს, რამაც გასაგები უნდა გახადოს მისი მიზანდასახულობის ხასიათი.

თ. ჭილაძე სავსებით მართებულად შენიშნავს: „ყოველ ახალ თაობას თავისი გამოცანა ხვდება ამ პოემაში (ვეფხისტყაოსანში, ა. ბ) და, ალბათ, კიდევ მრავალი მეცნიერი თუ პოეტი დაშვრება პოემის ტექსტის დასადგენად თუ ამოხსნელად“ (მნათობი, № 10, გვ.; 126). თ. ჭილაძე იმასაც ამბობს, რომ „საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ადამიანი, ამ ნაწარმოებზე თავისი აზრი რომ არ გამოეთქვას“ (იქვე, 118), ხოლო „პოემა კი ლამის ჩაიკარგა მასზე დაწერილი გამოკვლევების ზღვაში“ (გვ. 120). სამწუხარო ის არის, რომ ვეფხისტყაოსანზე ბევრი იწერება და ზოგჯერ იბეჭდება კიდევაც დეზორიენტაციის გამომწვევი ანირებული და უცნაური მოსაზრებანი. უფრო ცუდი ისაა, რომ ასეთი ხეტვა მასალები ქვეყნდება რუსულსა და უცხო ენებზეც.

თ. ჭილაძის ფიქრით, ვეფხისტყაოსანში არის „ჩამარხული საიდუმლო“, რომელსაც სჭირდება ამოხსნა, „თუკი ეს საერთოდ შესაძლებელიაო!“ (ბოლო ფრაზა ფრჩხილებითაა შემოზღუდული, გვ. 121). მკვლევარი წერს, რომ სწავლულთა (რუსთველოლოგთა) „გარკვეულ, მეტად გავლენიან წრეში ზოგჯერ ავიწყდებათ, ან შეგნებულად ივიწყებენო „პოეზიაზე საუბრის დროს... რომ ეს სწორედ პოეზიაა, ანუ ხელოვნება“ (გვ. 122). თ. ჭილაძე იმოწმებს შ. ნუცუბიძის სიტყვებს — „ტექსტს ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვაც უნდაო“, თუმცა იქვე ურთავს: „რასაც სამწუხაროდ, ზოგჯერ თვითონაც ივიწყებდა ეს ყველაზე პოეტური ფილოსოფოსი ჩვენს ახალ ფილოსოფოსებს შორისო“ (122).

თავის მხრივ თ. ჭილაძეს განუზრახავს მის მიერ შენიშნული ხარვეზის ამოვსება, უცდია ვეფხისტყაოსნის „პოეტურად წაკითხვა“, პოემაში „ჩამარხული საიდუმლოს“ ამოხსნა და ამ დიდებული ძეგლის იდეურ-მხატვრული რაობის გარკვევა. რაღა თქმა უნდა, მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა დაუსახავს მიზნად ჩვენს პატივცემულ პოეტსა და მკვლევარს.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, თ. ჭილაძე თავის შეხედულებებს უმეტეს წილად შთაბეჭდილებების სახით გადმოგვცემს (თუმცა მათ კატეგორიული დასკვნების ხასიათსაც კი აძლევს) და ნაკლებად იყენებს დასაბუთების ჩვეულებრივ წესებს. კამათის დროს, ასევე უმეტეს წილად, თ. ჭილაძე დაჭარაგმების ხერხით სარგებლობს და მკითხველს პირდაპირ არ უმხელს, თუ ვის ედავება მოპაექრე პოეტი.

პირველ ყოვლისა, თ. ჭილაძე ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მდგომარეობის საკითხს. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი პოეტურად წამკითხველი ავტორისაგან (მაგალითად, ცნობილი პოეტისა და რუსთველოლოგის კონსტანტინე ჭიჭინაძისაგან) განსხვავებით, ფიქრობს, რომ პოემის „ტექსტი აჭრელებულია უამრავი წარწერით, ჩამატებული სიტყვით, ხტრიქონითა თუ მთელი ეპიზოდით“. თ. ჭილაძე აღიარებს, რომ რუსთვე-

ლოლოგ-ტექსტოლოგებმა „ტიტანური შრომა“ გასწიეს პოემის „სარეველასა“ და „დამატებათა ნაგავისაგან“ გასაწმენდად“ (გვ. 119-120). ამ შრომამ „არაჩვეულებრივი ნაყოფი გამოიღოო“, წერს მკვლევარი და ასკვნის: „დღეს გაცილებით უკეთესი ტექსტი გვაქვს ხელთ, ვიდრე რომელიმე, ცალკე აღებული, ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერია“. დამოწმებულის გვერდით თ. ჭილაძე იმასაც ამბობს, რომ: „ზოგიერთმა ჩვენმა ფილოსოფოსმა თუ ტექსტოლოგმა-მკვლევარმა ლოდიდან ქანდაკება კი არა, ქანდაკებიდან ლოდი გამოთალა და იმით ჩახერგა კარი იმ მზიანი, სიკეთით სავსე სახლისა, ვეფხისტყაოსანი რომ ჰქვია“. სიფრთხილისათვის თ. ჭილაძე თქმულს ურთავს: „ეს სიტყვები ყველას ერთიანად არ ეხებაო“ (გვ. 121). ცოტა უცნაურად გვეჩვენება თ. ჭილაძის განცხადება იმავე საკითხების ხფეროდან „მეცნიერული ტექსტი, მართლაც ერთი უნდა იყოს (სასურველია!), პოეტური კი იმდენი, რამდენიც მკითხველია“ (ეხეც სასურველია!), (გვ. 123). თუ ასეა, მაშინ რად გვეჩოთრება „ვეფხისტყაოსნის ტექსტის „სიჭრელე“.

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი საკითხია ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხი. თ. ჭილაძეც ამ საკითხს აქცევს ჯეროვან ყურადღებას. მას მიუღებლად მიაჩნია პროლოგის თაობაზე რუსთველოლოგიაში განმტკიცებული შეხედულებანი, სადაოდ თვლის პროლოგის დაწერის დროს, მისი მხატვრულობის სახიათს, მის მიმართებას საკუთრივ პოემისადმი...

სწორია თ. ჭილაძის მოსაზრება, რომ პროლოგი წარმოადგენს „ერთგვარ თეორიულ ტრაქტატს“, ოღონდ მკვლევრის ფიქრით, იგი რუსთველს შემდეგ დაურთავს პოემისათვის (გვ. 132). „პროლოგი რომ მერეა დაწერილი, ანუ პოემის ძირითადი ტექსტის შემდეგ, რუსთველოლოგიაში ცნობილი მოსაზრებაა“, ამბობს მეორეგან (გვ. 133). მართლაც, ძნელია გადაჭრით თქმა პროლოგი უსწრებდა პოემას, თუ პოემის დასრულების შემდეგ შეითხზა. პროლოგი იგივე წინასიტყვაა. წინასიტყვას ზოგი ავტორი ადრე წერს, ზოგიც მერმე, თხზულებას რომ მოათავებს. მაგალითად, თეიმურაზ პირველი თავისი პოემების წერას იწყებდა პროლოგით, ასევე შეთხზული არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მაგრამ გურამიშვილის „დავითიანის“ წინასიტყვა ბოლოსაა დაწერილი და ბოლოსიტყვას წარმოადგენს, თუმცა ჩვენს ხელდურ გამოცემებში წინ გადმოვიტანეთ მისი სპეციფიკური ხასიათის გამო (რა თქმა უნდა, ყველაფერ ამაზე მკითხველი სათანადოდ არის ინფორმირებული).

რუსთველოლოგიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ვეფხისტყაოსნის პროლოგი პოემის საუკეთესო, ორგანული ნაწილია, თუ გინდ ვეფხისტყაოსნის „იდეათა სამყაროს შესავალი კარი“, „კლიტე-გასაღები“. პროლოგში გამოთქმული შეხედულებანი პოემაში მხატვრულად არის ხორცშესხმული; პროლოგი და პოემა ერთიან, დაუნაწევრებელ, მტკიცედ შეკრულ და განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. ცხადია, აქ ლაპარაკია პროლოგის ძირითად ტექსტზე, თორემ ინტერპოლაციისგან არც ის არის დაზღვეული. სულ სხვა თვალსაზრისს ავითარებს თ. ჭილაძე. ის ამბობს (ამბობს და კი არ ამტკიცებს), რომ პროლოგი ვეფხისტყაოსნის სხვა ნაწილებთან შედარებით ნაკლებ პოეტურია. სიზუსტისათვის ვიმოწმებთ მკვლევარის სათანადო ციტატას: „ჩემი აზრით, არც ერთი ნაწილი პოემისა არ არის ისე არაპოეტური, როგორც პროლოგი, თუკი, რასაკვირველია, რუსთველის ქმნილების მიმართ ამ სიტყვის ხმარება საერთოდ დასაშვებია“ (გვ. 132). ეს ცოტაა. თ. ჭილაძის ნარკვევში ნაზგასმით არის განცხადებული, რომ პროლოგი არ არის პოემის ნაწილი, რომ პროლოგი იდეურად უპირისპირდება საკუთრივ პოემას. აქაც ავტორისეულ ტექსტს ვიმოწმებთ სრულად (ტექსტი დაბეჭდილია შავი კორპუსით): „პროლოგი პოემის ნაწილი კი არ არის, არამედ, პროლოგი და პოემა ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა 'პოეტური თუ ფილოსოფიური და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებია!“ (გვ. 133).

საგულისხმოა, რომ სულ სხვაგვარად აფასებს პროლოგს და მის მნიშვნელობას ჩვენი სახელოვანი მწერალი ნოდარ დუმბაძე. ის წერს: „ჩემში ყოველთვის განცვიფრებას იწვევდა ვეფხისტყაოსნის „პროლოგი“. თავისი გენიალობით, ყოვლის მომცველობით, განცვიფრებას იწვევდა მისი სახაუბრო ტონით, პათეტიკით, სიბრძნით, განწყობილებით, პარადოქსული, ერთი შეხედვით არათანმიმდევრული მსჯელობებით, იდუმალი სტრიქონებით, განსაცვიფრებლად უშუალო მსჯელობებით“ (ჩემი რუსთაველი, „ცისკარი“, 1976, № 7, გვ. 93-94). ნ. დუმბაძე თვლის, რომ პროლოგი დაიწერა პოემის დასრულების შემდეგ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პროლოგის მხატვრულობის შეფასებისათვის თ. ჭილაძეს დატოვებული აქვს უკან დასახევი გზა. მას უწერია: „რუსთაველის სტროფები პროლოგში აქა-იქ მართლაც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ“ (გვ. 133).

თ. ჭილაძის მსჯელობიდან ირკვევა, რომ პროლოგის მისეული შეფასება ყოველშემთხვევაში ორი, შორსგამწვდომი მოსაზრების გამო შეუმუშავებია: 1. ვეფხისტყაოსანში ამოეცნო სიყვარულის ისეთი კონცეფცია, რომელიც შეუთავსებელია პროლოგში ჩამოყალიბებული კოდექსისათვის; 2. პოემისაგან ჩამოეცილებია თა-

მარის სახელი. თავის ნაშრომში, განსაკუთრებით ერთ სპეციალურ კარში (მნათობი, № 10, გვ. 136-142) თ. ჭილაძე ცდილობს სახელი გაუტეხოს თამარს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს და როგორც ადამიანსაც კი. თითქოს თამარი განუდგა, განუდგა კი არა, დაუპირისპირდა მის „მამა-პაპათა პოლიტიკურ ორიენტაციას“ (გვ. 135) და მისმა პოლიტიკურმა სიბეცემ“, საერთაშორისო ვითარებაში გაურკვევლობამ, „ინფორმაციის ხილატაკემ“ ქვეყანა საშინელი ხიფათის წინაშე დააყენა (გვ. 141, კურსივი ჩვენია).

თ. ჭილაძის სიტყვით, „მამა-შვილი (—გიორგი მეხამე და თამარი, ა. ბ.) ხსვადასხვა ორიენტაციის ხელმწიფეები იყვნენ“ (გვ. 137). ასევე „თამარის პოლიტიკური კურსი დაუპირისპირდა დავითის (აღმაშენებლის, ა. ბ.) პოლიტიკურ კურსს და ეს იყო პირველი დიდი მარცხი, რომელმაც განაპირობა კიდეც ქვეყნის მომავალი დაცემა და დაქვეითება“ (გვ. 138). თ. ჭილაძის ჩანაფიქრით, „რუსთაველის, ჯერად ბოეტურ იდეად გარდაქმნილი, მოქალაქეობრივი მრწამსი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური პოზიციიდან იღებს ბიძგს“ (გვ. 136). ვიმეორებთ, ყოველივე ამის გამო აუცილებელი გახდა რუსთველისა და თამარის დაშორიშორება, თამარის სახელის ჩრდილში მოქცევა. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭირო გახდა ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის გადასინჯვაც. „ვეფხისტყაოსანი თუ დაწერილი არა, დაწყებული მაინცაა თამარის გამეფებამდეო“, წერს თ. ჭილაძე. ვეფხისტყაოსნის შექმნის თაოსნობა თითქოს ეკუთვნის გიორგი მეხამეს. ეს ცოტაა, . გიორგი მეხამე ყოფილაო პოემის პირდაპირი დამკვეთი. მკვლევარი კითხულობს: „ვინ არის პოემის დამკვეთი?“ კითხვას იქვე უპასუხებს „მე, პირადად, ის შეხედულება უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომლის მიხედვითაც, დამკვეთი თამარი კი არ არის, არამედ თამარის მამა, მეფე გიორგი მეხამე“ (გვ. 128). ვაეის უყოლობის პირობებში წინდახედულსა და გამბრიახ მეფე გიორგის თავიდანვე უნდა ეზრუნა ტახტის მემკვიდრედ თავისი ქალიშვილის, თამარის, გამოსაცხადებლად და გახამეფებლად. ქალის გამეფების იდეა იმ დროისათვის „გრანდიოზული იდეა“ იყოო, ამბობს თ. ჭილაძე, ამისი განხორციელება არ იყო ადვილი საქმე. ბევრ კარისკაცს ასეთი რამე „უგუნურობადაც კი მიაჩნდაო“. ქალის გამეფების შესაძლებლობის იდეურად შესამზადებლად გიორგის მოუწევია დიდი, პროფესიონალი პოეტთა-პოეტი („კარის პოეტი“!) და შეუკვეთია მისთვის შესაფერისი პოეტური ნაწარმოების შექმნა. „ქალის კულტის“ შექმნისათვის მიუწვევია რუსთველი სამეფო კარზეო (გვ. 128). თ. ჭილაძე გვაუწყებს: „ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გიორგი III თავისი ქალიშვილის — თამარის გამეფებას [illegible] ბოლოდნელად არ გადაუწყვეტია. [illegible] ეს იდეა [illegible] თამარის გამეფებამდე დიდი ხნით ადრე დაებადა. იმ დროისათვის ეს გრანდიოზული იდეაა. მის განხორციელებას დიდი ძალა, დრო და სახსარი სჭირდება. ამიტომაც დაიბარეს სასახლეში რუსთაველი ალბათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძლევამოსილი გიორგი III მემკვიდრეზე საუბარი უგუნურობადაც კი მიაჩნდათ კარისკაცებს“ (გვ. 135, კურსივი ჩემია, — ა. ბ.). ასე ჩაეუარა საფუძველი ვეფხისტყაოსანს, რომელიც „გარკვეული თვალსაზრისით პროპაგანდისტული ნაწარმოებიაო“, ამბობს თ. ჭილაძე (გვ. 123).

თ. ჭილაძე ასკვნის: „ვიმეორებ, რუსთაველს პოემის დაწერა შეუკვეთა თამარის მამამ, გიორგი მეხამემ, პოემის წერა კი დასრულდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე უკვე თამარი იჯდა“ (გვ. 136).

ხანამ წამოჭრილ საკითხზე მსჯელობას გავაგრძობდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ძირითადად ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ვეფხისტყაოსნის შექმნის თაობაზე კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ (1866-1952). კ. ცინცაძის ეს მოსაზრება გამოთქმულია მის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის“, რომელიც დაიბეჭდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში — „შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“ (თბილისი, 1966, გვ. 226-274. ნარკვევი გამოქვეყნდა კ. ეკაშვილის ფსევდონიმით). გიორგი მეხამემ კარგად იცოდაო, რომ ქალის გამეფების იდეის განსახორციელებლად მას დიდ სამსახურს გაუწევდა სახელმოხვეჭილი კარის მგოსნის მხატვრული სიტყვა. მეფემ იხმო შოთა რუსთველი და დაავალა მას განზრახული საქმის ხრულყოფა (დას. ნაშრ., გვ. 237-240). კ. ცინცაძე პირდაპირ წერს: „რუსთველმა თავისი პოემის დაწერის „დაკვეთა“ მიიღო დინასტიური საკითხით დაინტერესებული გიორგი მეფისაგან. შეიძლება გიორგის სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდა ნაწილი, თუნდაც 34-192 (32-176) სტროფები, რაც გიორგი მეფისათვის სავსებით საკმარისი იყოო“ (გვ. 269). რაც შეეხება პოემის პროლოგს, მას კ. ცინცაძე თვლის შემდეგი დროის დანართად და არა რუსთველის კუთვნილებად.

ამრიგად, ორივე მკვლევარის, კ. ცინცაძისა და თ. ჭილაძის ვარაუდით, ვეფხისტყაოსანი შეთხზულია გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულობის კვალობაზე, გიორგი მეხამის დაკვეთით. პოემა თუ დამთავრებული არა, „დაწყებული მაინცაა“ გიორგის სიცოცხლეში, თამარის გამეფებამდე, ე. ი. 1178 წლამდე (თ. ჭილაძე), ან 1177-1179 წლებს შუა (კ. ცინცაძე). თუ ასეა, საკვირველია, როგორ არ ეახსა მსგავსი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი პოემის პროლოგში, და-

მოუკიდებლად იმისა, პროლოგი დაიწერა პოემის შეთხზვის წინ, თუ შეთხზვის შემდეგ. ორივე დასახელებული მკვლევარი რუსთველს უწოდებს კარის პოეტს. როგორ შეიძლებოდა კარის პოეტს არ აღენიშნა, ან არ მიენიშნებინა დაკვეთის თაობაზე და ქებით არ მოეხსენებინა დამკვეთი მეფე-პატრონი? თ. ჭილაძე სრულიად სამართლიანად დიდ ნდობას უცხადებს ვახტანგ მეექვსეს. ვახტანგი ვეფხისტყაოსნის კომენტარში გარკვევით წერს „წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთა". რატომ დაარღვია რუსთველმა მაშინდელ დროში სავალდებულოდ მიჩნეული ეს წესი?

ვეფხისტყაოსნის პროლოგში ნამდვილად არის მეფე-პატრონთა, თამარისა და დავით ხოსლანის შესაფერისი ქება („ვის ჰშვენის, ლომსა...", „თამარს ვაქებდეთ მეფესა"). თ. ჭილაძე კატეგორიული ფორმით ამბობს: „პოემის თავდაპირველ ტექსტში წარმოუდგენელია ყოფილიყო „თამარს ვაქებდეთ მეფესა"! — ამას გიორგი მესამე არ დაუშვებდა: მას პოემა სჭირდებოდა ქალის კულტის პროპაგანდის მიზნით და არა კონკრეტული ფაქტის გასამყლავნებლად. პოემის თავდაპირველ ტექსტში სახელი „თამარი" არ უნდა ყოფილიყო ნახსენები, თუნდაც, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ . პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი..." (გვ. 135). ჯერ ერთი, საიდან იცის თ. ჭილაძემ, რომ „პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი"? როგორც ვახტანგის კომენტარიდან ჩანს, ვეფხისტყაოსნის ტიპის ნაწარმოებს უნდა ჰქონოდა „ანდერძი" ან „შესავალი", ან ორივე ერთად. ვეფხისტყაოსნის უეჭველი რეალიებიდან ჩანს, რომ რუსთველი უსათუოდ იცნობდა ფირდოუსის, გურგანისა და ნიზამი განჯელის პოემებს (როსტომიანს, ვისრამიანს, ლეილ-მაჯნუნიანს). ყველა იმათ ამკობს პროლოგი მეფე-პატრონთა ქებით. რუსთველს რად უნდა დაერღვია დამკვიდრებული წესი, მით უფრო, თუ მისი პოემა შეიქმნა დაკვეთის წესით. სრულიად უსაფუძვლოა მოსაზრება, თითქოს გიორგი III „არ დაუშვებდა" თამარის ქებას. პირიქით, თუ გიორგიმ იმიტომ დაუკვეთა რუსთველს პოემის დაწერა, რომ პოეტს დაესაბუთებინა ქალის გახელმწიფების კანონზომიერება, გიორგი დაინტერესებული ყოფილა თავისი ქალი-მემკვიდრის ღირსებათა წარმოჩენით და მისი სახელის განდიდებით. ყველაფერთან ერთად ეს იქნებოდა მისი პოლიტიკის, მისი განზრახვის გონივრული ფორმით დასაბუთება.

და ბოლოს, ვეფხისტყაოსნის პროლოგში ზომ არის თამარის ქება (სულერთია, წინ უსწრებდა მისი დაწერა პოემას, თუ პოემის დასრულების შემდეგ დაიწერა). საერთოდ, როდესაც თამარის ქებაზეა საუბარი, იგულისხმება თამარის სწორედ პროლოგისეული ქება, რაც თავისთავად უტყუარი ფაქტია. სხვა საქმეა, აისახა თუ არა პოემაში თამარის პიროვნება. ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა და კამათი ბუნებრივია და მოსალოდნელია. თ. ჭილაძე ჯერ შედარებით მორიდებით ამბობს: „ეს პოემა მართლა არ იყო თამარის ქება, ანუ პოემა არ გამოვიდა ისეთი ნაწარმოები, როგორსაც რუსთველისაგან მოელოდნენ. მესმის, ძნელია ამის თქმა, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ისეთი ავტორიტეტები მიმაგრებენ ზურგს, როგორიც ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძეა. უკანასკნელი ამ პოემას არა თუ „ვისმე საქებად დაწერილად", არამედ საერთოდ არ თვლის ხოტბად" (გვ. 134).

„ცნობილია, რომ პირველი რუსთველოლოგი ვახტანგ VI ამ პოემას თამარის ქებად არ აღიქვამდაო", ამბობს თ. ჭილაძე (იქვე). ჩვენ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ საქმე შეეხება პოემის პროლოგს და იქ გამოთქმულ თამარის ქებას. თ. ჭილაძის განზრახვა ის არი, რომ რუსთველს არ დაუკავშიროს თამარის ამაღლებული ქება, რამდენადაც თურმე რუსთველის პოლიტიკურ მრწამსს ბიძგს აძლევდა დავით აღმაშენებლისა და არა „ბეცი პოლიტიკის" გამომხატველი თამარის საქმე. მეტიც, თამარი თურმე ერთგვარად მამისა და დავით აღმაშენებლის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა მამის, გიორგი მესამის, სიცოცხლეში. 1179-1184 წლებში, როცა თამარი მეფედ კი იყო დასმული, მაგრამ სახელმწიფო საქმეებს ისევ გიორგი უძღვებოდა, თამარი ვითომც ფარულად ახალი პოლიტიკური კურსის შემზადებას შეუდგა. თ. ჭილაძე იუწყება: „ამ ექვსი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ისევ გიორგი განაგებდა სახელმწიფოს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც თამარი მჯდარა გულხელდაკრეფილი, მომავალი ნამდვილი ხელმწიფობისთვის ემზადებოდა. საკვირაოდებელია, რომ სწორედ იმ ექვსი წლის „არალეგალური" მეფობის დროს, იქმნებოდა თამართან დაახლოებულ პირთა წრეში ის ახალი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც თამარს თავისი მეფობის საყურდღინად უნდა გამოეყენებინა" (გვ. 135, კურსივი ავტორისაა, ა. ბ.). ერთი სიტყვით, თამარი მამის სიცოცხლეში ამზადებდა შეთქმულებას მამისავე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის წინააღმდეგო, ვარაუდობს თ. ჭილაძე. ცხადია, თუ სწორია, რომ რუსთველი დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის პოლიტიკის დამცველი იყო და უპირისპირდებოდა თამარის პოლიტიკურ კრედოს, როგორ შეთხზავდა იგი თამარის ქებას! მაგრამ სწორია კი თ. ჭილაძის ისტორიოგრაფიული კონცეფცია? ჩვენდა თავად ვიტყვით, რომ ვეფხისტყაოსანი არ ამართლებს ვარაუდის სახით განცხადებულ ჭილაძისეულ კონცეფციას.

ვეფხისტყაოსნის პროლოგი აქებ-ადიდებს თამარს. ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძე მოკავშირედ არ გამოადგებიან თ. ჭილაძეს. მოვიგონოთ ვახტანგის კომენტარი: „წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მე-

რმე მეფეთა. აწ თვისსა მეფესა აქებს“. ეს წესის ზოგადი განსაზღვრებაა. ამ წესის კვალობაზე, ვახტანგის აღიარებით, კონკრეტულად „აწ აქ შესავალში მეფის თამარის ქება მოუყვანია“ (მესამე სტროფის კომენტარი); „აწ უბნობს ეს თამარის ქება რომ ვსთქვიო, არ ავად გამორჩეული არისო“ (მეოთხე სტროფის კომენტარი); „ხამს ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა იყოს, და ხამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს... თამარ მეფეს მორჩილებდა სპაცა და ჯარიცა. და უბნობს იმის ხამსახურისათვის ვხელობ და ვკვდებიო“ (მერვე სტროფის კომენტარი); „თავის ხელმწიფელი თამარ მეფეა“ (მეცხრე სტროფის კომენტარიდან); „აწ თავის მეფისას უბნობს, თავისი მეფე ხიცოცხლედ უთქვამს (მეცხრამეტე სტროფის კომენტარიდან).

ამრიგად, ვახტანგი ხუთჯერ დაეინებით იმეორებს, რომ რუსთველი აქებ-დიდებს თამარს.

იუსტინე აბულაძე თავის მხრივ კვერს უკრავს ვახტანგ მეექვსეს: „შოთა არის ის კარის პოეტი, რომელსაც შესავლის მესამე და მეოთხე ხანებში გამოთქმული თამარის ხოტბა დაუწერია, რადგან ამ ხოტბის ენა, როგორც ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რუსთველის ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია“ (ვეფხისტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1926, გვ. LXXII, კურსივი ჩემია, ა. ბ.).

დავაკვირდეთ თ. ჭილაძის მიერაც ასე ავტორიტეტულ რუსთველოლოგად მიჩნეული იუსტ. აბულაძის შენიშვნას. თამარის ხოტბის გამომხატველი სტროფების ენა „რუსთველის ენის განსაკუთრებულ თვისებათა შემცველია“. თ. ჭილაძის თვალსაზრისით კი პროლოგის ენა პოემის ხაერთო ფონზე „არა პოეტურია“ და უპირისპირდება ხაკუთრივ ვეფხისტყაოსანს. თამარის ქების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ზედმეტი არ იქნება სანიმუშოდ აქ მოვიტანოთ მეოთხე შაირი:

> თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა
> ცრემლ-დათხეული,
> ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად
> გამორჩეული.
> მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად
> —მე ნა რხეული,
> ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა
> ხეული.

უბრწყინვალესი პოეტური, რუსთველის პოეტური ენისათვის ეგოდენ დამახასიათებელი გაშლილი მეტაფორული ფორმით რუსთველი აცხადებს, რომ თავის პოემაზე მუშაობის დროს მისი მუდმივი და განუყრელი შთამაგონებელი იყო თამარი, თამარის სახე; რომ თამარის გიშრივით შავი თვალების ტბა „იხმარა“ მელნად, ხოლო კალმად გამოიყენა თამარისივე ლერწამივით (ნა — ლერწამი) წერწეტი, მაღალი, მოკნილი (რხევადი) ტანი. მეორე მეტაფორული სახე ორმაგად მდიდრულია: ძველად კალამს აკეთებდნენ ლერწმის ღეროსაგან, ე. ი. ლერწმის ღეროსაგან გამოთლილი და თვითონ ლერწამისებრ მოკნილი თამარის ტანის კალმით ჰქმნიდა პოეტი თავის ჯადოსნურ ლექსებს. აქედან აშკარაა, რომ რუსთველისათვის თამარი ყოფილა ნამდვილი პოეტური ხილვა, მისი შთაგონება. „არაპოეტური“ შაირია? ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ ნესტანიც ანალოგიური ენით იწერებოდა ქაჯეთის ციხიდან (1293, 1-2): „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები, ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნავღელსა ამონაწები“. პროლოგისა და პოემის მხატვრული ენა ხაოცარი ხიზუსტით არის ერთმანეთის შესატყვისი. ჩვენ არ შევუდგებით თამარისა და დავით ხოსლანის აღტაცებული ქების გამომხატველი მესამე სტროფის („ვის ჰშვენის...“) განხილვას, მხოლოდ მოვიგონებთ ერთ ძველ ამბავს, რომელიც ამ ხაკითხთან არის დაკავშირებული. ერთ დროს კორნელი კეკელიძე მთლიანად ჩანართად თვლიდა ვეფხისტყაოსნის პროლოგს (შემდეგ აზრი შეიცვალა). კ. კეკელიძესა და პ. ინგოროყვას შორის მწვავე პაექრობა გაიმართა. პ. ინგოროყვა წერდა, რომ პოემის პირველი პროლოგი (იგულისხმებოდა 1, 3, 4, 10, 19 სტროფები), სადაც შედის მეფეთა ქება (3 და 4 სტროფები) „პოეტურის მხრით შედევრს წარმოადგენს“ და რომ „პირველი პროლოგის ყალბად გამოცხადება — ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი ვეფხისტყაოსნის ყალბად აღიარება“ (რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო, „მნათობი“, 1927, № 4, გვ. 197). პავლე ინგოროყვა ცამდე მართალი იყო (მესამე სტროფის მიმართ შემდეგში მან აზრი შეიცვალა). პ. ინგოროყვა ხომ ერთი პირველთაგანია, ვინც ვეფხისტყაოსანს „პოეტურად კითხულობს“! რა თქმა უნდა, თამაზ ჭილაძე ვეფხისტყაოსნის პროლოგს, კერძოდ, დამოწმებულ სტროფებს ყალბად არ აცხადებს, მაგრამ მათ მაინც ხინჯს უძებნის, ვეფხისტყაოსანი თამარს არ აქებსო. მეცნიერებს რომ თავი დავანებოთ, ვეფხისტყაოსნის პოეტურად ისეთი ჩინებული წამკითხველი, როგორიც ნოდარ დუმბაძე არის, ხაბუთიანად ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი უეჭველად შეიცავს თამარის ქებას და რომ მისი შთამაგონებელი სახე „შეფარვით“ არის აღბეჭდილი თვითონ პოემაში. „და, მართლაც, ასკვნის ნოდარ დუმბაძე, — ნესტან-დარეჯანი ვიღა არის, თუ არა თამარი? ან თინათინი ვიღა არის, თუ არა თამარი? მე მგონი, ყველაფერი კვლავ მზესავით ნათელი ხდება“ (ჩემი რუსთაველი, გვ. 98).

ვსვამთ კითხვას, რას ერჩის თ. ჭილაძე პრო-

ლოგს? რას უჩივის? რას ერჩის და იმას, რომ გაუტეხოს პროლოგს სახელი და დაუპირისპიროს იგი პოემას. პროლოგი სხვას ამბობს და პოემა სხვასო. პროლოგში კონცენტრირებულად და დაუნჯებულად არის გადმოცემული რუსთველის მრწამსი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პროლოგი აქებს და ადიდებს თამარს. ეს ხელს არ აძლევს მკვლევარს. თამარმა დაივიწყაო მამაპაპათა ანდერძი, ზურგი შეაქციაო დასავლეთს („არავითარი ევროპის გაგონებაც კი არ სურდა", გვ. 140), დაუმეგობრდაო სულთან სალადინს და საერთოდ „მუსლიმან მმართველებს", აღმოსავლეთის არეალში ჩაიკეტა (გვ. 137, 139, 140) და თავისი „ბეცი" პოლიტიკით ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანაო. რუსთველი სულ სხვა პოლიტიკური გუნება-განწყობილების პოეტი იყოო, დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის კურსის მოთაყვანე...

ვეფხისტყაოსანი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარულის პოემაა, ამქვეყნიური, მიწიერი, მაგრამ ამაღლებული, ფაქიზი, წმინდა, იდეალიზებული სიყვარულის საგალობელი. ეს აზრია გამოთქმული პოემის პროლოგში, ეს აზრია ხორცშესხმული პოემაში. ზნე-ფაქიზ, ამაღლებულ სიყვარულს ასახიერებენ ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. არაო, გაიძახის თ. ჭილაძე, ნამდვილი, ზეაღმატებული სიყვარულის გამომხატველიაო ვაჭრის ცოლი ფატმანი (ფატმანთან არისო ავთანდილიც). ამ მხრივაც უპირისპირდებაო ერთმანეთს პროლოგი და პოემა.

თ. ჭილაძის მოსაზრებათა თანახმად, ფატმანი ნესტანისა და თინათინის, ტარიელისა და ავთანდილის „ცალია" (ცალია ავტორს წინწკლებში აქვს მოთავსებული, გვ. 158). ფატმანისა და ავთანდილის სიყვარულიაო ნამდვილი, ორმხრივი და არა ცალმხრივი სიყვარული (გვ. 158), „გული მოუხმობს გულს" (გვ. 159). ავთანდილისათვის ესაა მოულოდნელი, გულიანი სიყვარული (გვ. 154, 160). ავთანდილს „ფატმანი თინათინის სიმაღლეზე მყავს აყვანილი" (გვ. 158). ფატმანი და ავთანდილი „იმდენად მახლობელნი არიან ერთმანეთისათვის, თითქმის ერთნაირად აზროვნებენ" (გვ. 161, კურსივი ავტორისაა). ერთი სიტყვით, „თუ ქალი რაინდის წარმოდგენა შეგვიძლია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ფატმანია" (გვ. 160). ჩვენ კი, ცოდვილებს, გვეგონა, რომ ნესტანია რუსთველის მიერ გმირად დასახული ქალი.

კარგი, დავუშვათ, რომ ყველაფერი ისეა პოემაში, როგორც დაგვიხატა თ. ჭილაძემ. მაშინ რა ვუყოთ „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურების ამბის" შესავალ ცნობილ შაირს (1081):

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა
დაითმობის;
გილიზღებს და შეგიკვეფებს, მიგინდობს
და მოგენდობის,
მართ ანაზდად გილალატებს, გაჰკვეთს,
რასცა დაესობის,
მით დიაცსა სამალავი არას თანა
არ ეთხრობის.

აქ კი თ. ჭილაძე მოეჭცა ჩიხში. სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, გამოაცხადა: „მოყვანილ სტროფში გამოთქმული აზრი არ არის ავტორის შეხედულება საერთოდ ქალზე. ეს პერსონაჟის სიტყვები უნდა იყოს, თანაც, თავის თავზე ნათქვამი. ასეთი პერსონაჟი პოემაში ფატმანია" (გვ. 155-156). „ეს სტროფი, — განაგრძობს თ. ჭილაძე, — აზროვანივადაც და მხატვრული ლოგიკის მიხედვითაც, სულ სხვა ადგილას უნდა იჯდეს" (გვ. 156). თუ ამ სტროფს თავის ადგილს არ მივუჩენთო, ამბობს თ. ჭილაძე, მაშინ იგი „სრულიად ზედმეტადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, რომელიმე ქალების მოძულე ინტერპოლატორის ჩანართადაც" (გვ. 156).

თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტს ისე გავიაზრებთ, როგორც მის ავტორს აქვს ჩაფიქრებული, აქ ვერავითარ შეუსაბამობას ვერ დავინახავთ: 1081 შაირს პოემაში მტკიცე და მყარი ადგილი აქვს მიჩენილი (ასეა ყველა ხელნაწერში, ასეა გამოცემებში). თუ თ. ჭილაძე ჩვენ არ გვენდობა, ავთანდილს ხომ მაინც უჯერებს! დამოწმებული შაირის ლოგიკური გაგრძელებაა და მასში გამოთქმული აზრის ბუნებრივი განვითარება ავთანდილის შემდეგი სიტყვები (1093):

თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს,
გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად
შესწონს ყოლა კრულსა;
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა
უთხრობს სრულსა,
მიჯობს, მივჰყვე, განაღ რასმე ვსცნობ
საქმესა დამალულსა.

ეს შაირიც ხომ არ უნდა გადაადგილდეს? მაგრამ სადაც არ უნდა წავიღოთ, იგი მაინც ავთანდილის სიტყვებად დარჩება და მის შეხედულებად დიაცის ბუნებაზე.[1]

1 საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც რუსთველი რაიმე ახალ ეპიზოდურ ამბავს იწყებს, ამ ამბავს ჩვეულებრივ უმძღვარებს მისი შინაარსობრივი მოტივის შესაფერის ლირიკულ წიაღსვლას. რამდენიმე მაგალითი: „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა" (951): „ვაჲ, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!", „წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ": „მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება გაანათლებს" (830), „აწყა დავიწყებ ამბავსა მის ყმისა წამავლისასა" (831); „ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა: „ვაჲ, საწუთროო, სიცრუვით თავი ᲐᲐᲬᲐᲜᲐᲡ ადარე" (1213) და სხვ.

საგულისხმო ის არის, რომ რუსთველი და მისი პერსონაჟი ავთანდილი აუგიანად თვლიან არა საერთოდ ქალს, არამედ დიაცს. ფატმანის ამბავში ფატმანი დიაცად მოიხსენიება (რუსთველის, ავთანდილის, ჭაშნაგირის, თვითონ ფატმანის მიერ) თერთმეტჯერ, ქალად არც ერთხელ. იმავე ამბავში ქალად მოიხსენიება მხოლოდ ნესტანი. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ქალსა და დიაცს. რუსულად გამოქვეყნებულ ერთ თავის წერილში ი. ჯავახიშვილი წერს:

«Во всей поэме проглядывает исключительно почтительное отношение автора к женщине. С этой точки зрения достойно внимания, что он употребляет два слова «кали» и «диаци», из которых второе означает в его устах «женщина», а первое может быть передано лишь приблизительно словом «дама».

მართლაც, ვეფხისტყაოსანში არაერთგზის სხვაგანაც საძრახისადაა მიჩნეული დიაცობა, დიაცური საქციელი. მაგალითად, ნესტანი ამბობს: „დიაცურად რად მოვლორდი“ (524,4). ფატმანიც აღიარებს: „ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად“ (1206,1), „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ (1204,4). ამან მოგვცა უფლება შემოგველო გამოთქმა „დიაცური სიყვარული“ (თ. ჭილაძეს თურმე „ყურს რომ სჭრის“) ამაღლებული, რაინდული სიყვარულისაგან გასასხვავებლად.

თ. ჭილაძე არ უჭერებს ტექსტს და ზოგჯერ უკულმართად იგებს მის შინაარსს. თ. ჭილაძე ფიცით ირწმუნება: „ფატმანს ჭაშნაგირი არ უყვარდაო“ (გვ. 158). ფატმანი კი გულწრფელად აღიარებს — „ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთიო“ (1205.3). და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, „ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“, ამასთან, ახოვანი, წარმოსადეგი, ტანადი მოყმე („კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი“, (1099,2). ვის დაუჭეროს მკითხველმა, რუსთველს თუ თ. ჭილაძეს?

თ. ჭილაძე ზოგჯერ შეუფერებელ რამეს წერს, ვითომ ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის რედაქტორებს უვიცობაშიც კი იჭერს და შემდეგ ლექციას უკითხავს პოემის ეთიკის საკითხებზე. თ. ჭილაძე ვრცლად გვიამბობს, ავთანდილს

„მთელი დღე ეძინა. „საღამო-ჟამ გაიღვიძა“ და ფატმანთან მსახური გაგზავნა, ჩემთან მოდიო („ფატმანს უხმო“). პოემის ტექსტის ბევრ გამომცემელს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა ვახტანგი, ჩუბინაშვილი, ქართველიშვილი, კარიჭაშვილი, აბულაძე და ჭიჭინაძე, ეს ადგილი სწორედ ასე აქვთ წაკითხული და სამართლიანადაც. პოემის 1957 წლის გამოცემაში კი წერია: „ფატმან უხმო“-ო. ალბათ იმიტომ, რომ მისი რედაქტორები ფიქრობდნენ, ტუმარს არ შეუძლია მასპინძელი ქალი თავისთან მიიპატიჟოსო. ეს „ეთიკური თვალსაზრისით“ მიუღებლად მიიჩნიეს. ისინი შეიძლება მართალი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი ამ სტუმარ ვაჟსა და მასპინძელ ქალს ერთმანეთი არ ეყვარებოდათ! სიყვარულს თავისი ეთიკეტი აქვს და, ერთი შეხედვით, ამ ქვეყნად ბევრი რამ არ არის ისეთი ალოგიკური, როგორიც ეს ეთიკეტია“ (გვ. 159-160).

როგორია საქმის ვითარება? ვინ არიან ეს რედაქტორები? ეს რედაქტორები არიან ა. შანიძე, კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე. თურმე მათ ვერ გაუგიათ ტექსტის მარტივი შინაარსი. ნამდვილად კი თვითონ თ. ჭილაძე ვერ ერკვევა რუსთველის ენის საკითხში. მაშ, ასე. ერთ დღეს ფატმანთან პურობის შემდეგ საღამო ჟამს, ავთანდილმა „ფატმან უხმო: მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“ (1259,4). ვეფხისტყაოსნის გამომცემელი მთლად უვიცი უნდა იყოს, რომ ერთმანეთში აურიოს, ვინ ვის უხმო, ვინ ვისთან მივიდა, მით უფრო, რომ მომდევნო შაირი (1260) ასე იწყება: „ფატმან მივიდა“. რომ ფატმანი ავთანდილთან დადიოდა ბინაზე, ეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული რუსთველს: „ზოგჯერ უხმოს ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა“ (1080,2). ამის კვალობაზე ჩვენც გვიწერია: „ფატმანი... თავისუფლად დადიოდა უცხოელი მამაკაცის სახლში“ (ნარკვევები, 1, 1945, გვ. 172). რუსთველის ენაზე „ფატმან უხმო“ აქ ნიშნავს „ფატმანი იხმო“. ასეა ეს განმარტებული, უკეთ, თანამედროვე სალიტერატურო ენაზე გადმოცემული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ. ასე ესმოდა ეს ტექსტი ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემის კომისიას (შდრ. ს. იორდანიშვილის პწკარედი — „**пригласил Фатьму**“. ასე ესმოდა ეს ტექსტი ყველა იმ გამომცემელს, ვინც ბეჭდავდა — „ფატმან უხმო“ (ასეა ორივე საიუბილეო გამოცემაში, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის გამოცემაში, პ. ინგოროყვას გამოცემაში), ასეა ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ხელნაწერებში. მხოლოდ ნარედაქციალ რამდენიმე ხელნაწერში იკითხება — „ფატმანს უხმო“. ამ ნარედაქციალი ნუსხების გადამწერებს გაუსწორებიათ და გაუთანამედროვებიათ პოემის ტექსტი („ფატმანს უხმო“). აი ამ ვითარებაში ვერ გარკვეულა თ. ჭილაძე.

თ. ჭილაძის დაკვირვებით, ფატმანის ლაპარაკის მანერაა „საკუთარ თავზე დაუნდობელი, დამცინავი კილოთი საუბარი“ (გვ. 155). ამასთან დაკავშირებით იგი გვთავაზობს პოემის ერთი ცნობილი აფორიზმის („თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია“, 1254,4) განმაცვიფრებელ ანალიზს. თურმე „ნეტარების ცრემლმორეული“ ფატმანი „ეჩურჩულება ავ-

თანდილს". ფატმანიც ბედნიერია („იხარებს"). ოღონდ, მის ბედნიერებას სხვა მიზეზი აქვს: ავთანდილი ვაჭარი არ არის, სხვა, რაინდია, „ჭაბუკია!" ამიტომაც ეჩურჩულება ავთანდილს თვითონაც ნეტარების ცრემლმორეული:

„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია". კი მაგრამ, ეს ხომ სწორედ ის სიტყვებია, ფატმანის პირველი სამეჯნურო ბარათით გაკვირვებულმა ავთანდილმა, რომელიც ჯერ არ იყო შეჩვეული თავის ახალ მდგომარეობას, ის-ის იყო იწყებდა ვაჭრის როლის თამაშს და ამიტომაც იუკადრისა სოვდაგრის ცოლის ბარათი — დაუფიქრებლად წამოიძახა (თუ წამოცდა!): „...ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია?" დიახ, ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც, ეტყობა, წერილის მომტანმა შიკრიკმა მაშინვე მიურბენინა ფატმანს. აი, მაშინ დაეჭვდა პირველად ფატმანი... „შენ ვარ-დი ხარ, მე კი, საცოდავ ყვავს, თავი ბულბული მგონიაო", — ეჩურჩულება ფატმანი ავთანდილს. ნახეთ, როგორ დაუმახსოვრებია, როგორ ჩარჩენია გულში ავთანდილის პირველი დაუფიქრებელი წამოძახილი: „ყვავი"! (გვ. 158-159, კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

ჩვენ არ ვიცით, რას ეჩურჩულებოდა ალერსის დროს ფატმანი ავთანდილს. ოღონდ ჩვენთვის ცხადია, ავთანდილი ის კაცი არ იყო, რომ ვილაც შიკრიკთან ხმამაღლა წამოეძახა, თუ წამოცდენოდა, ფატმანის სალანძღავი სიტყვა, რომ შემდეგ შიკრიკს იგი მიეტანა თავისი ქალბატონისათვის. მაინც რა მისატანი ან მისახარებელი უნდა ყოფილიყო ეს სიტყვა! ავთანდილი დაუფიქრებლად და განუსჯელად არაფერს ამბობდა. გამჭრიახი გონების პატრონმა, წინდახედულმა და ანგარიშიანმა, უბრალოდ გულში გაიფიქრა, ამ ვილაც ყვავ-დიაცს ბულბულობა მოუნდომებიაო, მაგრამ თავი შეიკავა, აჯობებს მივჰყვე, იქნებ საქმეში გამომადგესო. აი, მაშინ უთქვამს ავთანდილს (რა თქმა უნდა, თავის გულში):

> თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის
> და მისცემს გულსა,
> აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა
> კრულსა;
> რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა
> უთხრობს სრულსა,
> მიჯობს, მივჰყვე, განაღ რასმე ვსცნობ
> საქმესა დამალულსა.

იმასაც ვიტყვი, რომ რუსთველის მონათხრობით, ავთანდილს უთქვამს გულში: „ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!" (1090, I). თ. ჭილაძე კი ჭაბუკს ამის მსგავს სხვა აფორიზმს მიაწერს: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია". ნამდვილად ეს აფორიზმი რუსთველისაა, რუსთველის პოზიციას გამოხატავს. სრული სურათის აღსადგენად უნდა მოვიტანოთ ვეფხისტყაოსნის სამი შაირი (1252-1254):

> მას ღამე ფატმან იამა ავთანდილს თანა
> წოლითა;
> ყმა უნდომ-გვარად ეხვევის ყელსა
> ყელითა ბროლითა,
> ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის
> იდუმლითა ძრწოლითა,
> გული მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთავე
> თანა რბოლითა.
>
> ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს,
> სდის ზღვათა შესართავისად
> შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა
> ნავი სად;
> იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი,
> ვინ ვარდი-ა ვისად,
> **უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული**
> **მსგავსად ყვავისად".**
>
> მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვისაცა
> დასალბონია;
> გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა
> ფონია;
> ფატმან მის ზედა იხარებს მართ ვითა
> იადონია.
> **თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი**
> **ბულბული ჰგონია.**

მოტანილ ტექსტს წინ უძღვის ავტორის რემარკა (1251,3): „ყმა (ავთანდილი) ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა". დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რუსთველური ენამზეობით აღწერილი მთელი სცენის შეფასება მოცემულია ბოლო შაირის მეოთხე ტაეპში: „თუ ყვავი ვარდთა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია". ესაა ავტორისეული შეფასება, რუსთველის შეფასება. ეს აფორიზმი არც ავთანდილისაა და არც ფატმანისა (როგორც გვაწვდის ცნობას თ. ჭილაძე), არამედ რუსთველისაა. ვიმეორებთ, გვიხსნის რუსთველის პოზიციას. რუსთველის თვალსაზრისით, ფატმანის სიყვარული ყვავის ვარდისადმი სიყვარულია. მეტიც, სწორედ ამ ინტიმური შეყრის დროს მიმართა ავთანდილმა ბილწსიტყვაობას და ფატმანთან წოლა ჩათვალა „ნეხვთა ზედა" ჯდომად. სამწუხაროდ, ყოველივე ამას ივიწყებს და გვერდს უვლის მკვლევარი. რუსთველი საგანგებო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მას ღამე ფატმან იამა ავთანდილს თანა წოლითა", ავთანდილი კი უგულოდ („უნდომ-გვარად") ეხვეოდა და იტანჯებოდა. იტანჯებოდა იმიტომ, რომ მძიმე მოვალეობას ასრულებდა („სიყვარულსა იფერებდა"), ის ხორცით იყო ახლოს ფატმან-

თან, მთელი გონებით, მთელი სულიერი არსებით კი თინათინთან იყო, გული გახელებული, „მხეც-ქმნილი“ ჰქონდა, გაჭრილი, ჰკვლიდა თინათინის გონება, ძრწოდა იდუმალი ძრწოლით. ასე ხატავს რუსთველი. ასე სწამს თინათინ-ნესტანის, ავთანდილ-ტარიელის ამაღლებული ხიყვარულის კანონმდებელ რუსთველს. ყველაზე უფრო სავალალო ის არის, რომ თ. ჭილაძე ცილს სწამებს ავთანდილს, თითქოს მას ახლა გაახსენდა თინათინი: „ახლა თინათინიც კი გაახსენდა ჩვენს რაინდს. ფატმანის გვერდით წევს და ჰკლავს „თინათინის გონება“. ახლა კი არ გაახსენდა, ავთანდილს ერთი წამითაც კი არასოდეს მოსცილებია მისი ღვთაებრივი მიჯნურის სალოცავი სახე. — „მიწყივ მისად საგონებლად მისი მკვლელი თინათინ-ა“. მოვიგონოთ ავთანდილის უბრწყინვალესი ასტრალური საგალობელი, რომელიც მთლიანად თინათინის ხიყვარულს ეძღვნება. დავიმოწმოთ ავთანდილის რეაგირება ფატმანის სამიჯნურო წერილის გამო (1089, 3-4): „თქვა: არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს, ვისსა ვისი, რომე მიმიჰს სამიჯნუროდ, რათ ვამსგავსო მე მას ისი“; „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“ (1090, 4). ფატმანთან შეყრის წინ იყო, რომ ავთანდილი საყვედურს უთვლიდა წუთისოფელს („ბინდის გვარია ხოფელი“), „რაცა მინდა, არა მაქვს, მაქვს რაცა, არ მომინდების“. ავთანდილი ისე კარგად, არტისტულად ასრულებდა შეყვარებული კაცის როლს, რომ ფატმანს ეგონა, თითქო ავთანდილი მისთვის (მისი ხიყვარულის გამო) ტიროდა: „ფატმან ეტვდა თავისათვის, ამად ცეცხლსა კვლა იღებდა“. ნამდვილად კი ავთანდილი „ცრემლით ღმერთსა ადიდებდა“ ნესტანის ამბის ცნობისათვის (1251).

კიდევ ერთი შენიშვნა. თ. ჭილაძე ვარაუდობს, თითქო ფატმანი მიხვედრილი იყო, რომ ავთანდილი ვაჭარი კი არა, რაინდია, რაც ვაჭრის ცოლს განსაკუთრებულ სიხარულს მგვრიდა (გვ. 158). არაფერი ამის მსგავსი პოემაში არ არის. ფატმანმა ავთანდილის რაინდობის ამბავი მაშინ გაიგო, როცა მისმა სათაყვანებელმა მოყმემ „საკბაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა“ (1256, 1). „ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულსა უმოსელად“ (1257,3). რამ გააკვირვა ფატმანი, თუკი გრძნობდა, რომ ავთანდილი რაინდია. რასაკვირველია, ფატმანი აღტაცებაში მოიყვანა ჭაბუკურ (რაინდულ) ტანსაცმელში გამოწყობილი ავთანდილის ხილვამ: „შემოსცინნა, აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“ (1257.4). ვაჭრულ საზოგადოებას შეჩვეულ ფატმანს ხიბლავდა მოხდენილი, ტანადი, რაინდული გარეგნობის მამაკაცი. ასეთი იყო ჭაშნაგირი, მაღალი თანამდებობის „კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი“ კარისკაცი, ასეთი იყო ავთანდილი...

ფატმანის სახე რომ რთული, კოლორიტული სახეა, ჩვენთვის ეს არასოდეს არ ყოფილა საფარელი. გასაგებია აზრთა სხვადასხვაობაც. გამოიკვეთა ზოგიერთი უკიდურესი სახეობისა და ერთი-მეორის გამომრიცხავი შეხედულებანიც. ნ. მარის მიხედვით, ფატმანი არის „подлинная безпутная буржуйка“, რომელიც თავის ხიყვარულს თავზე ახვევს ყველა ახალგაზრდა ძლიერ მამაკაცსო (об истоках творчества Руставели и его поэме, თბ., 1964, გვ. 132). არსებითად ამავე აზრისაა შ. ნუცუბიძეც, რომელიც ფატმანს თვლის „თავაშვებულ“ თუ „აღვირახსნილ“ ვაჭარ დედაკაცად, „რასპუშჩენნაია კუპჩიხად“ (რუსთველის შემოქმედება, რუსულად, თბ., 1958, გვ. 22-23). ფატმანს, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა, „იტაცებდა სახახლის ბრწყინვალება, და იგი დაატყვევა ჭაბუკმა კარისკაცმა, დარბაზს რომ იყო მეტად ხასი“ (შ. ნუცუბიძე, იქვე 347). საკმაოდ წარმოსახვიგი და მდიდარი „კუპჩიხა“ არ უშვებდა შემთხვევას ხიყვარულის ქსელი გაებმა არისტოკრატიული საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელთან. ჯერ ჭაშნაგირს ყვარობდა და აი „ჩვენ თვალწინ ადვილად ირჩევს გატაცების ახალ საგანს — ავთანდილს“ (შ. ნუცუბიძე, გვ. 22). გამჭრიახი და ანგარიშიანი ავთანდილი ხაბოლოო მიზნის მისაღწევად იძულებული გახდა გარეგნულად მიბაყოლოდა ფატმანის „მსუბუქ ხიყვარულს“ (იქვე, გვ. 345). რა თქმა უნდა, შენიშნავს შ. ნუცუბიძე, ავთანდილს ფატმანი „არ უყვარდა“, მაგრამ. უდიდესი ტანჯვის ფასად ასრულებდაო ხიყვარულის მოვალეობას. „მოვალეობით მთელი ღამე განთიადამდის ფატმანთან წოლა ავთანდილისთვის იყო უდიდესი სასჯელიო“, წერს შ. ნუცუბიძე (გვ. 351). რუსთველი მწარედ დასცინისო შეყვარებულ ყვავს, რომელსაც თავი ბულბულად წარმოედგინა. ცხადზე-უცხადესია, რომ შ. ნუცუბიძეც თ. ჭილაძეს მოკავშირეობას ვერ გაუწევს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის სწორედ პოეტურად წამკითხველი პოეტი და მკვლევარი გურამ პეტრიაშვილი თ. ჭილაძის შეხედულების დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციას ადგას ფატმანის ხიყვარულის გაგების საკითხში. გ. პეტრიაშვილის სიტყვით, ფატმანის გატაცება, ავთანდილის ხიყვარული კი არ იყო, არამედ „მხოლოდ ხორცის ლტოლვა“. რაც შეეხება ავთანდილს, ის „თავიდანვე ატყუებდა ფატმანს და სავსებით გაცნობიერებულად. ეს ქალი მისთვის იყო მხოლოდ საშუალება საკუთარი მიზნის მისაღწევად“ (გვაქვს უთვალავი ფერითა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1981, №6, გვ. 78).

უფრო შორს წავიდა ფატმანის აუგის მხილებაში ვეფხისტყაოსნის ჩინებული მცოდნე და აღიარებული მთარგმნელი ნიკოლოზ ზაბოლოცკი, იგი ვაჭარ ქალს თვლის „გარყვნილ ბებერ დედაკაცად“.

სამაგიეროდ ფატმანს ჰყავს პოლოგეტიც. ესაა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორი. ოღონდ ეს მკვლევარი ფატმანის სახის გაგების საკითხში აკრიტიკებს არა მხოლოდ რუსთველოლოგებს, არამედ თვითონ რუსთველს. აქ ვკითხულობთ: „არც რუსთაველის დაფასებაა არის მართებული, რადგან ფატმანი გულწრფელად არის გატაცებული, მას გულწრფელად უყვარს ავთანდილი და მისი ჩამოქვეითება ყვავამდე არა-ჯეროვანია. აქ გამოსჩენილია ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებს“ (კურსივი ჩვენია).

თამაზ ჭილაძის თვალსაზრისი ბევრ რამეში ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორის თვალსაზრისს. არის არსებითი ხასიათის განსხვავებაც. დამოწმებული ნაშრომის ავტორი რუსთველს ეკამათება, ფატმანის სიყვარული ყვავის სიყვარულამდე ჩამოაქვეითებს. თ. ჭილაძე კი უსაფუძვლოდ არწმუნებს მკითხველს, თითქო რუსთველი არაფერ შუაშია და ყვავი თავის თავს ფატმანმა უწოდაო.

საერთოდ ფატმანის სახის შეფასება სწორი იქნება მხოლოდ რუსთველური სამიჯნურო კონცეფციის შუქზე. ამ მხრივ საკვანძოთ მართებულია „მიჯნურთმეტყველების“ დასკვნა: „აქ გამოსჩენილია ეროტიკის ის ესთეტიკური დაფასება, რაც ავტორის არისტოკრატიულ შეგრძნობას გვიჩვენებსო“. შ. ნუცუბიძეც აღიარებს, რომ, გენიოსობის მიუხედავად, „რუსთველი არ იდგა ისტორიის ზევით და თავისი სიმპათიებით მაინც ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდა“ (გვ. 345).

მხოლოდ თ. ჭილაძე თვლის, რომ: „რუსთაველი ფეოდალური, ანუ ტრადიციული კი არა, არამედ, უკვე სხვა სიმაღლიდან უყურებს ახალი სამყაროს დაბადებას“ (გვ. 154). ამის შესაფერისად მას უმართებულოდ მიაჩნია ნესტანტარიელის, თინათინ-ავთანდილის და ვაჭრული სამყაროს წარმომადგენელთა შეპირისპირება. ამას თვლის სქემატიზმად, სქემატურობას უჩივის მკვლევარი რუსთველური სიყვარულის გავრცელებულ ახსნას (გვ. 155). ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა წრის ზესივრცეული და ზედროულ არეში წარმოდგენა, ისე როგორც სქემატიზმის ბომბიზება, თ. ჭილაძეს იმისათვის სჭირდება, რომ დაუპირისპიროს ერთიმეორეს ვეფხისტყაოსნის პროლოგი და პოემა, საბურველი გადააფაროს ფატმან-ავთანდილის სიყვარულის მისეულ გაგებას. მართლაცდა, რუსთველის პოზიცია სიყვარულის საკითხში ისაა, რომ ნამდვილმა მიჯნურმა „გული ერთსა დაუჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში, მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა ბტლაშა-ბტლაშში“ (25); „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობას: დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სომობდეს გაურიგა ომობასა“ (26). რუსთველური სიყვარული მხოლოდ ერთხელ იბადება და „სიკვდიმდე გასატანია“ (2). თუ ასეა, მაშინ როგორ უნდა შეფასდეს ფატმანის სიყვარული? ან პროლოგის დამოწმებული შაირებია ყალბი, ან მცდარია ფატმანის სიყვარულის ის გაგება, რომელიც შემოგვთავაზა თ. ჭილაძემ. აი აქ შეიქმნა ნამდვილი (და არა ხელოვნური) ჩიხი, საიდანაც გამოსვლა არასგზით არ ხერხდება.

ჩვენ არასდროს არ უარვყოფდით ფატმანის ხაკვირველ ადამიანურ ღირსებებს. „რასაკვირველია, ფატმანი არ ყოფილა ზნედაცემული ქალი... რუსთველი ფატმანს აჯილდოებს დიდი ადამიანური ღირსებებით. ფატმანი გრძნობიერია, კეთილია, პირადია, გულშემატკივარია და სულგრძელი ქალია. ფატმანმა უზომო მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია ნესტანს, მისთვის უცნობ ტყვე-ქალს, დედობრივი მზრუნველობითა და ალერსით მოეპყრო. ტყუილად კი არ უწოდებდა ნესტანი ფატმანს „დედისა მჯობ დედას“. ფატმანს თავისებური თავდავიწყებით უყვარდა ავთანდილი, მაგრამ მისგან გულახდილი აღსარება მოისმინა, გრძნობა ჩაიხშო, ავთანდილს წინ არ გადაეღობა: ვინ იცის, როგორი შინაგანი მღელვარება დაძლია ფატმანმა, მაგრამ ის უყოყმანოდ დაეხმარა ავთანდილს დაბრუნებოდა თავის გულისსწორ სატრფოს. ფატმანმა გამოიჩინა სამაგალითო უანგარობა, კაცთმოყვარეობა და სულდიდობა“. ჩვენ საგანგებოდ ვამბობდით, რომ: „აღნიშნულის მიუხედავად რუსთველი არ მალავს ფატმანის ხასიათის ერთგვარ მანკიერ მხარეებს. იგი მკაფიოდ ამჟღავნებს ფატმანისა და დიაცური სიყვარულისადმი ირონიულ დამოკიდებულებას, მაგრამ მაინც გარკვეული სიმპათიით ხატავს ვაჭრული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელ ქალს“. რუსთველი ხატავს ერთი მხრივ ნესტანისა და თინათინის ამაღლებულსა და იდეალიზებულ, თუმცა ამქვეყნიურ, მიწიერ, ადამიანურ სიყვარულს, მეორე მხრივ ფატმანის ასევე ადამიანურ, მიწიერ, მაგრამ მდაბიო ანუ ვოლგარულ სიყვარულს. სად არის აქ ფატმანის „სრულიად დაუმსახურებელი დამცირება“? რუსთველის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ფატმანი არ შეიძლება იყოს რაინდი, გმირი ქალი. მორალური გოლიათობის გამომხატველი გმირი ქალია ნესტან-დარეჯანი. უკიდურესი განსაცდელის ჟამს, ამბობს რუსთველი,

იგი „ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი“ (1176,2).

ჩვენი მსჯელობა, ჩვენი დასკვნები ემყარება რუსთველის როგორც საკუთრივ პოემის, ისე პროლოგის მონაცემებს. თ. ჭილაძეს პროლოგი ნიშანში აქვს ამოღებული და მას არ ენდობა, თუმცა ვერ ფარავს, რომ: „უდავოა, პროლოგში პოეტი იდეალური სახით წარმოგვიდგენს ყველაფერს, განსაკუთრებით, რაც პოლიტიკურ მხარეს შეეხება. ასევე იდეალური სახითა აქვს წარმოდგენილი სარაინდო ყოფის ნორმებიც“ (გვ. 133, კურსივი ჩვენია). დიახ, ჩვენ ვთვლიდით და ვთვლით, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი კონცენტრირებულად წარმოგვიდგენს რუსთველის პოეტურ კრედოს. ამ კრედოს კვალობაზეა გაშლილი პოემის მშვენიერი მხატვრული სამყარო. თ. ჭილაძე შეეცადა დაერღვია პროლოგისა და პოემის ეს ორგანული კავშირი ფატმანის სიყვარულის მისეული გაგების მეშვეობით, მაგრამ ვერა და ვერ, ვერ გაათეთრა ყვავი, ყვავი ბულბულად ვერ აქცია. დიდად სიმპათიური ფატმანის „დიაცური სიყვარული“ ნესტანის (და თინათინის) იდეალური, ამაღლებული სიყვარულის დონემდე ვერ აიყვანა.

და, ბოლოს, ყოვლად შეუწყნარებელია ვ. გოლცევის მოსაზრების გაზიარება, თითქო ასმათსაც „ჩუმად, გულში უყვარდა ტარიელი“ (გვ. 157). ასმათი იყო ტარიელის „დისაგანცა უფრო დესი“ დობილი. სამწუხაროდ, ჩვენმა კეთილმა მეგობარმა ვ. გოლცევმა რუსთველური უწმინდესი და-ძმური გრძნობა სწორედ რომ დაამცირა და გაავულგარა.

ასევე მეტის-მეტად უხერხულია გამოთქმა „ავთანდილის ბუშები“ (გვ. 148), რა აზრითაც და რა კონტექსტში არ უნდა იყოს ეს გამოთქმა მოხმობილი.

თ. ჭილაძე მწყრალადაა რუსთველის ბიოგრაფებზე („ბიოგრაფებს“ წინწკლებში სვამს, გვ, 124). იგი თვლის (არსებითად მართებულად!), რომ: „ამ უკვდავი პოემის ავტორის შესახებ თითქმის არავითარი სარწმუნო ცნობა... არა გვაქვს“ (127). ჩვენც მიგვაჩნია, რომ ლეგენდაა თამარისა და შოთა რუსთველის მიჯნურობის ამბავი (გვ. 129), რომ ვრცელი „ბელეტრისტული გამოკვლევაა“ შექმნილი რუსთველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (გვ. 129. თ. ჭილაძე საგანგებოდ აქარაგმებს ამ მკვლევრის ვინაობას, თუმცა ქარაგმის ამოხსნა სიძნელეს არ წარმოადგენს). მაგრამ სწორი არ იქნება „ყველაფრის ხელაღებით უარყოფა. თ. ჭილაძეს ნიშანში ამოღებული რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხი. „მკვლევრებს ძალიან უნდათ, პოემის ავტორი უსათუოდ რომელიმე დიდი კარისკაცი იყოსო“, წერს თ. ჭილაძე და, თავის მხრივ, ასკვნის: „რუსთველის კარისკაცობის ამბავი ლეგენდაა“ (გვ. 124). თ. ჭილაძე ხაზს უსვამს, რომ რუსთველი იყო პროფესიონალი კარის პოეტი (გვ. 125, 128, 130). კეთილი და პატიოსანი. ვიკითხოთ, რა უშლიდა ხელს დიდ კარის პოეტს, ყოფილიყო დიდი კარისკაციც, ვთქვათ, მეჭურჭლეთუხუცესი? თუ კი ჩვენ დროში შეიძლება პროფესიონალი პოეტი იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრი, მინისტრთა საბჭოს მეთაური და ა.შ., რატომ იყო შეუძლებელი შუა საუკუნეების კარის პოეტს სჭეროდა საპატიო სახელმწიფო თანამდებობა? რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის თაობაზე ჩვენ გარკვეული და ანგარიშგასაწევი ცნობები მოგვეპოვება. საბოლოო დასკვნის მიღებამდე თ. ჭილაძეს მოეთხოვებოდა ამ ცნობების ავთენტურობის დარღვევა. ის კი დაკმაყოფილებულა მხოლოდ სკეპტიკური ხასიათის შიშველი, დეკლარაციული განცხადებით.

უმართებულოა ჭილაძისეული ინტერპრეტაცია რუსთველის ცნობილი სიტყვებისა — „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა“... მე, რუსთველი, ვაკეთებ ამ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობაა“ (გვ. 125).

2.

„მნათობის“ მე-II ნომერში დასრულდა თ. ჭილაძის ნაშრომის ბეჭდვა (გვ. 106-151). მკვლევარი მისთვის ჩვეული წესით განაგრძობს დაჭარგმებულ (უკეთ, დაუსახელებელ) მკვლევრებთან კამათს და გვაცნობს ვეფხისტყაოსნის საიდუმლოს მისეული ამოხსნის შედეგებს. თ. ჭილაძე ეხება რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ბევრ საკითხს. ამათგან აქ განვიხილავთ ზოგიერთ, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანსა და უფრო არსებითს („მნათობის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ ნაკვეთს პირობითად ვუწოდებთ პირველ წერილს, მე-11-ისას — მეორე წერილს).

დავიწყოთ ტექსტოლოგიური საკითხებით. თ. ჭილაძე წერს: „ჩვენი ტექსტოლოგი-მეცნიერების მიერ პოემის ტექსტის კვლევისა და დადგენის სფეროში მიღწეულმა აშკარა წარმატე-

ბებმა ერთგვარად არა სახურველი შედეგიც გამოიღო: ტექსტოლოგებს გაუჩნდათ პრეტენზია პოემის მხატვრული რაობაც თვითონვე დაედგინათ" (გვ. 117). „თუკი მეცნიერული ტექსტის ლოგიკა არსებობს, და მის არსებობაში ეჭვი არც შეიძლება ვინმეს შეეპაროს, ასევე მის გვერდით, მის პარალელურად არსებობს პოეტური ტექსტის ლოგიკაც", შენიშნავს თ. ჭილაძე (118).

„პოეტური ტექსტის ლოგიკა" თურმე უფლებას იძლევა ერთი ხელის მოსმით, გაუანალიზებლად და დაუსაბუთებლად, საკუთარი შთაბეჭდილებით და გუნება-განწყობილებით ყალბად მიიჩნიო და გვიანდელი დროის ჩანართად მონათლო ვეფხისტყაოსნის აზრობრივად მტკიცედ შეკრული ხუთი სტროფი (14-18 სტროფები), რომლებიც გვიხასიათებს მელექსეთა სხვადასხვა კატეგორიას (გვ.107-108). სხვათა შორის, ამით პოემის მიღმა რჩება ავტორის მიერ თავისთვისაც სახელმძღვანელოდ დასახული ეანრის განმსაზღვრელი სალექსო სტროქონი — „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად". პოეტი — მკვლევარი ამბობს, რომ: „ყველაზე უფრო ყალბად პროლოგის ის სტროფები გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, სადაც პოეტები: დახასიათებული და დაჯგუფებული. პროლოგის ეს სტროფები (14, 15, 16, 17, 18) ა შ კ ა რ ა დ მერეა დაწერილი, უფრო სწორად — მერეა ჩამატებული, თანაც, სხვადასხვა დროს, შეიძლება სხვადასხვა საუკუნეშიც" (გვ. 107, კურსივი ჩვენია). ქვემოთ თ. ჭილაძე აკონკრეტებს „მგონი" ფრაზა „ხელ-მარჯვედ ცეკმდეს ჩოგანსა" კასტელის დროინდელი უნდა იყოსო, „რატომღაც მახსენდება კასტელის ჩანახატი „ჩოგანი-ო" (იქვე). როგორც ხედავთ, თ. ჭილაძის საბუთია „გვეჩვენება" და „მგონი". ის ანგარიშს არ უწევს ხელნაწერების მონაცემებს, ანგარიშს არ უწევს პირველ ნაბეჭდ (ვახტანგისეულ) გამოცემასაც კი, რომელსაც საერთოდ დიდად აფასებს. სამწუხაროდ, ძველი თარიღიანი ხელნაწერები ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ გვაქვს XVI საუკუნეში გადმოქართულებული „იოსებ-ზილიხანიანის" ვერსია, რომლის უცნობი ავტორი ბაძავს ვეფხისტყაოსნის პროლოგს, კერძოდ, მელექსეთა დახასიათების შემცველ სტროფებს, ზოგჯერ იძლევა ვეფხისტყაოსნის ტექსტის უბრალო პერიფრაზს. ერთი სიტყვით, თ. ჭილაძის მიერ XVII საუკუნისეულად (კასტელის დროინდელად) მისაჩნევი ტექსტები, ლიტერატურულად დაფიქსირებულია XVI საუკუნეში. ასეთია ფაქტების ლოგიკა. ერთ შემთხვევაში თ. ჭილაძეს ტექსტოლოგიურად გაუანალიზებია ვეფხისტყაოსნის ერთი ნაწყვეტი, თითქო იქ აღმოუჩენია ჩანართი შაირი და ამის საფუძველზე წარმოუდგენია ძლიერ შორს გამწვდენი დასკვნა. თინათინმა ავთანდილს დაავალა უცხო მოყმის ხაძებნელად წასვლა. გამგზავრების წინ ავთანდილმა თავისი ამბავი გაანდო შერმადინს:

უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამად მე
შენგან მრცხვენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან,
გაგივლენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი
მდენიან!
მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აწ მასვე
მოულხენიან (151).

მოუკლავარ თინათინის სურვილსა და
სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან
ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან
დაფარულსა,
აწ მაბრძანა საიმედო, ამად მხედავ
მხიარულსა (152).

მიბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა
დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ექმნა მაშინღა შენი წადილი
გულისა,
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდეს ხისაცა
რგულისა!
მომცა წამალი გულისა, აქამდის
დადაგულისა (153).

თ. ჭილაძე იმოწმებს ამ ნაწყვეტს და შენიშნავს, რომ 152-ე სტროფი წინა და მომდევნო სტროფებს ერთმანეთთან კი არ აკავშირებს (როგორც ტექსტოლოგები ფიქრობენო), არამედ ის ზედმეტია, ჩანართი, რომელიც სამართლიანად „ამოუღია" თავისი გამოცემიდან რუსთველის „ხელწერის თავისებურებების" კარგ მცოდნე ვახტანგს. ვახტანგი, „ფხიზლად მიხდევს მხატვრულ, პოეტურ ლოგიკას, ნაწარმოების შინაგან კანონზომიერებას", ტექსტის „მაქსიმალურ ლაკონიურობას" (გვ. 118-119). პოეტურ ტექსტს (მეცნიერულსაც) „ვერ დაადგენ, თუკი პოეტური სმენა არ გაგაჩნიაო", ურთავს თ. ჭილაძე. პოეტური სმენის უქონელ მკვლე-

ვრებს კი ხელი მოუკიდიათ მათთვის შეუფერებელი საქმისათვის და რუსთველის ტექსტში ჩაურთავთ ყალბი შაირი. მაინც რამ დაუჩლუნგა პოეტური სმენა თუ ალღო პოემის ამდენ გამომცემლებს, მათ შორის პოეტ გამომცემელსაც (მაგალითად კ. ჭიჭინაძეს)?

ჯერ ერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ 152-ე სტროფი არის ვეფხისტყაოსნის ყველა ძველი რედაქციის ხელნაწერში (სარგ. ცაიშვილი).

მაგრამ მაინც ვიკითხოთ, საჭიროა თუ არა 152-ე სტროფი პოემის ტექსტისათვის? შინაარსობრივად და აზრობრივად ის გასაგებს ხდის, რა ცრემლებზე და ტანჯვაზე, რა ახალ სიხარულზეა საუბარი 151-ე სტროფში. 152-ე სტროფის გარეშე შეუფერებელი აზრობრივი განვითარება იქნება 153-ე სტროფში („მიბრძანა: მი

ამ ორი მეფის დათრგუნვა ყოფილა ვეფხისტყაოსნის აპოთეოზი („ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა"). ქაჯები უწყინარნი არიან, მათ ნესტანისათვის არაფერი დაუშავებიათ, „წაიყვანეს მინდორში მარტო მიმავალი ქალი, პატივისცემით მიაბრძანეს ციხეში და უფლისწულზე დაუპირეს გათხოვება", წერს თ. ჭილაძე (I, 161) და განაგრძობს: „ნესტანი ქაჯეთის ციხეში მთლად უცხოდ არ უნდა გრძნობდეს თავს, მთლად უცხო სამყაროში არ მოხვედრილა. მამიდა ალბათ ბევრს მოუთხრობდა ამ საოცარ ქვეყანაზე"... „აი, ჩვენ ვხედავთ, როგორ დადის ნესტანი ქაჯეთის ციხის ეზოსა თუ ტალანებში, როგორ აკვირდება ყველაფერს, თითქოს რაღაცას იხსენებს" (II, 181). დიახ, იხსენებს ბავშვობისას მამიდა დავარის ნაამბობსო. დადის, დასეირნობს ნესტანი ქაჯეთის ციხის ეზოში, „ხევდიანი ფიქრებით" კი არის შეპყრობილი, მაგრამ ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს გარემოს, გულს აყოლებს.

რა იდილიური სურათია დახატული!

თ. ჭილაძე საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: „იქნებ იმის აღნიშვნაც იყოს საჭირო რომ ქაჯეთის ციხე საპყრობილეს არ ნიშნავს" (I, 161). კი, ქაჯეთის ციხე თანამედროვე საპყრობილეს („ციხეს") არ ნიშნავს, მაგრამ ნესტანი პ ა ტ ი მ ა რ ი ა, ტყვეა, ქაჯეთის ციხე-სიმაგრეშია გამომწყვდეული. ავთანდილი საგანგებოდ აუწყებდა ფრიდონს: „იგი მზე ქაჯთ: მეფესა ჰყავს ქაჯეთს პ ა ტ ი მ ა რ ი ა" (1320, I). შემდეგაც იმეორებს: „გზა-გზა ყოვნად აღარა მცალს, პ ა ტ ი მ რ ა დ-ა იგი მთვარე" (1322, 2). იქნებ ავთანდილი ტყუის? კითხვა ნუ გაგიკვირდებათ. თ. ჭილაძის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის სანაქებო პერსონაჟებს არ ეთაკილებათ ტყუილის თქმა. მაგალითად, ტარიელი თურმე „ატყუებს რამაზს" (II, 123), უერთგულესი შერმადინი კი „ატყუებს" თავის მეფეს (იქვე. 122). ამავე დროს რუსთველი სიცრუეს თვლის უსაძაგლეს მანკიერ თვისებად („სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"; „რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა"). ნესტანი ქაჯების ტყვეა, პატიმარი. ავთანდილი არ ტყუის.

ნესტანიც წერს ფატმანს: „ან აჭა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები, ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯერ ათასი გმირები" (1286). ნესტანის სიტყვით, წუთისოფელი არ დასჯერდა მის „პატიეთა მრავალ-გვართა" და კვლავ მისცა „შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად მეომართა" (1299). მთავარი ისაა, რომ ნამდვილი ქაჯები სრულიად არ გვანან იმ უწყინარ, თვინიერ არსებათ, თ. ჭილაძე რომ გვიხატავს. რუსთველის დახასიათებით, ქაჯნი არიან „კაცნი გრძნებისა მცოდნენნი... ყოველთა კაცთა მავნენნი". „იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალთა დაუბრმობენ, ქართა აღსძრვენ საშინელთა. ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ; ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ; სწადდეს, ღამესა ბნელად იქმან, სწადდეს — ბნელსა ანათლობენ" (1247, 1248). ასეთ საშინელ არსებებთან ბრძოლა სრულიად შეუძლებელია. მიუხედავად საარაკო მამაცობისა, ვეფხისტყაოსნის ხასელოვან გმირებს ძლიერ გაუჭირდებოდათ, ყოველ შემთხვევაში, მეტად გაუძნელდებოდათ ნესტანის ქაჯთაგან გამოხსნა. მაგრამ რუსთველმა საქმე ისე წარმოადგინა, რომ მაშინ ქაჯები სხვაგან, შორს იყვნენ წასული. ქაჯების მეფეს დულარდუხტს თან ახლდა „ყოველი მცოდნელი გრძნებისა" (1241). ამიტომ საჭირო იყო ხიჩქარე. ნესტანი ატყობინებდა ფატმანს: „ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე". თავის მხრივ, ავთანდილმა შეუთვალა ფრიდონს: „ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა... თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების" (1313). ქაჯეთის მიუვალ ციხე-სიმაგრეს ათი-ათასი რჩეული მეომარი იცავდა. ჩვენმა გმირებმა დრო იხელთეს, დაასწრეს ქაჯების დაბრუნებას და „უსაზომო რისხვა ღმრთისა" დაატეხეს ქაჯეთს, შემუსრეს ციხის სიმაგრენი, ამოხოცეს მეციხოვნენი, იხსნეს ნესტანი ქაჯთა ტყვეობიდან, მზე და მთვარე (ტარიელი და ნესტანი) შეიყარნენ, შეერთდნენ, დაითრგუნა ბოროტება, ფრთა შეესხა სიკეთეს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"

ესაა ვეფხისტყაოსნის აპოთეოზი, სიყვარულის აპოთეოზი!

ქაჯთა საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დავარის პიროვნება. თ. ჭილაძის მორიგი აღმოჩენაა, თითქო დავარი თანაუგრძნობდა ნესტანს (და ტარიელს), მათ მხარეზე იყო ფარულად მეფესთან კონფლიქტის დროს. მოვუსმინოთ თამაზ ჭილაძეს:

„დ ა ვ ა რ ი ნ ე ს ტ ა ნ ს ა რ ა მ ტ ყ უ ნ ე ბ ს, ე ს მ ი ს მ ი ს ი! ეს კი საოცარი რამ გახლავთ იმ დროისათვის. მაგრამ ამასთანავე, სიყვარულზე ყველაზე დიდი პოემის ავტორს არ შეიძლებოდა სხვანაირად დაეწერა.

დავარი ძმის ბრძანებას ასრულებს მხოლოდ. მისი სიბრაზე საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობაზე გამწარებული ადამიანის სიბრაზეა, ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს დესპოტიზმს! ამიტომაცაა ასეთი დაუნდობელი, ასეთი უხეში მისი სიტყვები, ამიტომაც იკლავს თავს—„მ ქ მ ნ ე ლ ი ამისი"! აბა, რატომ უნდა მოეკლა თავი, თუკი ისევე ფიქრობდა, როგორც ძმა?! არა, ის ისე ფიქრობდა, როგორც ნესტანი. ის „მართალი სამართლის" ანუ სიყვარულის მხარეზე დადგა. ოღონდ, გაბრძოლებით მხოლოდ ის შესძლო, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა: საკუთარ თავს მოუსწრაფა სიცოცხლე!" (II, გვ. 131, კურსივი ავტორისაა, — ა. ბ.).

ვრცლად დამოწმებული ტექსტი თ. ჭილაძის მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებას თუ გან-

წყობილებას გამოხატავს. მკვლევარი საგანგებოდ ხაზგასმით იმოწმებს პოემის სიტყვებს და ამბობს „მ ქ მ ნ ე ლ ი ამისი“ ამიტომ იკლავს თავსო. საკითხი ისმის, რისი „მ ქ მ ნ ე ლ ი“? თ. ჭილაძე ისეთ აზრს ავითარებს, თითქო დავარი იყო ნესტანის მხარეზე, თითქო იგი ამართლებდა ნესტანის რჩევით ხვარაზმშაჰის ძის მკვლელობას („ქმნა მართლისა სამართლისა“) და ამისი „მქმნელი“ ვერ გადაურჩება თავისი ძმის, ფარსადანის რისხვას და თვითმკვლელობას ამჯობინებს. ნამდვილად ასე არ არის საქმე. 582-ე სტროფში იკითხება — „დავარ თქვა: მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს ი ვ ი ნ ა რ დ ა მ ქ ო ლ ო ს, ვინ არ, და!“ ხოლო წინა სტროფებში (579-81) ნათქვამია; რომ გაფთრებულმა დავარმა ულვთოდ გვემა ნესტანი („ხელი მიპყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დაალება, დაალურჯა...“, 579). როცა დავარი „გაძღა“ ნესტანის ცემით („რა დავარ გაძღა ცემითა“), ქაჯების იერის მქონე მონებს უბრძანა ნესტანის კიდობანში ჩაკეტვა და ზღვის შორეულ სივრცეში გადაკარგვა (580-581). მონებმა რომ კიდობანი წაიღეს და გაუჩინარდნენ, აი, მაშინ „დავარ თქვა: მ ქ მ ნ ე ლ ი ა მ ი ს ი ვ ი ნ ა რ დ ა მ ქ ო ლ ო ს, ვინ არ, და!“ (582,2). სრულიად აშკარაა და მზესავით ნათელია, რომ 582-ე სტროფი ლოგიკურად ასრულებს წინა, 579-581 სტროფებში მოთხრობილ ამბავს: ნესტანის მტანჯველს, ნესტანის გადამკარგავს („წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია“, 581, 1), ნესტანის დამღუპველს, ამის ჩამდენს, ამის „მქმნელს“, ვინ არ დამქოლავსო. დავარმა დაასწრო და თავი მოიკლა. ასეთია საქმის ჭეშმარიტი ვითარება.

დავარი ქაჯი არ ყოფილა, მაგრამ ქაჯს უწოდებს მას სათნო ასმათი (575,4). ვინ, თუ არ ასმათმა, იცოდა დავარის ქაჯური საქციელის გარემოებანი! დავარი არა თუ თანაუგრძნობდა ნესტანს, არამედ უწმაწურად ლანძღავდა და უდანაშაულო კაცის მკვლელობაში ამხილებდა უფლისწულს: „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე? ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?“ (578, 1-2). დავარი იმუქრებოდა, რომ ღვთის მადლით იძიებდა შურს, ჩაშლიდა ნესტანის საწადელს და აღარ აღირსებდა მისი მიჯნურის ხილვას (576; 579, 4). დავარი თავს უდანაშაულოდ თვლიდა („მან ეგრე თქვა: უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან!“ 576, 3). თავის გარდაუვალ სიკვდილს ნესტანს აბრალებდა („ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ?“, 577, 4). დავარი ამართლებდა კიდევაც ფარსადანის უმკაცრეს განაჩენს მის მიმართ: „არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემიო“ 578, 3).

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება დავარის შესახებ.

დავუბრუნდეთ ფარსადანისა და როსტევანის საკითხს.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ფარსადანი იყო წინდაუხედავი და ბეცი პოლიტიკოსი, უსულგულო, უსამართლო, ბრძის ჯამტეხი, უკანონოდ მოქმედი მეფე. ფარსადანმა იცოდა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი, მაგრამ იგი წინ გადაეღობა შვილისა და შვილად აღზრდილის უცოდველ, უმწიკვლო, უწმინდეს გრძნობებს და ხაშინელი ტრაგედიის მიზეზი გახდა. ფარსადანს ეს მოუვიდა დრომოჭმული, კონსერვატიული შეხედულებების გამოდევნების გამო, რისთვისაც უმკაცრესად დაისაჯა კიდევაც.

როსტევანი სხვაა. ფარსადანისაგან განსხვავებით, მან სიცოცხლეშივე ტახტზე აიყვანა თავისი ერთადერთი ქალი თინათინი. როგორც კი მან გაიგო, რომ თინათინსა და ავთანდილს უყვარდათ ერთმანეთი, გაიხარა და დალოცა მათი სიყვარული, მათი შეულლება. სწორედ როსტევანის სიტყვებია: „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა“ (1544,4).

თ. ჭილაძე გვაფრთხილებს, ნუ დავუჯერებთ როსტევანს, არ ვენდოთ მას, არ ვენდოთ მეფის ღიმილს (ის თვალთმაქცობს), არ ვენდოთ მის გაკვირვებას. როსტევანი ინიღბება (ზოგი სხვაც), იგი თამაშობს დაღონებას, ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს. როსტევანი თამაშობს ავთანდილთან საუბრის დროს(უცხო მოყმის საძებნელად წასვლის წინ), თამაშობს ცინიკურად, ბოროტად იყენებს თავის მეფურ ძალაუფლებას. მაშინ ავთანდილი როსტევანის „ღირსეული პარტნიორი“ იყო, ისიც თამაშობდა (გვ. 141, 144). თინათინი მთლად „მეფობანას თამაშობს“ (142). ნუ ვენდობით ვეფხისტყაოსნის ტექსტს, გაიძახის თ. ჭილაძე, „ქვეტექსტი ამოვიკითხოთ“ (143), ის აგვიხელს თვალებს, გონებას გაგვინათებს. არა თუ პოემის პერსონაჟებს, თურმე არ უნდა ვენდოთ თვითონ რუსთველს, რუსთველის უშუალო სიტყვებს. კერძოდ, არ უნდა ვენდოთ როსტევანის რუსთველისეულ აღტაცებულ დახასიათებას („იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი...“). რუსთველი გვიმოწმებს, რომ როსტევანი გაახარა ავთანდილის წარმატებამ ნადირობის დროს („უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“). თ. ჭილაძე კი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მეფე დაიბოღმაო ამით და ახლა იმაზე ფიქრობსო, როგორ დახაჯოს გამომეღვანებული ეს მეტოქე. უცხო მოყმის საძებნელად გამგზავრების წინ ავთანდილი გამოეთხოვა როსტევანს. პოეტი ამბობს: „მეფე ხელსა მოეკიდა, გ ა რ დ ა კ ო ც ნ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ს ხ ვ ა მ ა თ ე ბ რ ი ა რ უ ო ფ ი ლ ა ა რ გ ა ბ ე ზ რ დ ე ლ ი, ა რ გ ა ზ რ დ ი ლ ი!“ (146, 1-2). არ დავუჯეროთ რუსთველს? არ ვენდოთ გულთამხილავ პოეტს? ეს ხომ რუსთველის პოზიციაა! ნადიმობად სხედან: „უ მ ა ს ა (ე. ი. ავთანდილს, ა. ბ.) მ ე ფ ე

ახრე უჯვრეტს, ვითა შვილსა ტკბილი მამა“ (686,2). კვლავ არ ვენდოთ პოეტს? ავთანდილს ვინ აიძულებდა, ტარიელს რომ დაუხახიათა თავისი მეფე (ახლაც ხომ არ თამაშობდა!):

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთითა და
ღმრთულებრ ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა
წყალობისა მთოველი (857).

რუსთველისა და ავთანდილის პოზიცია ერთგვარია: როსტევანს ამკობს ყველა საუკეთესო ადამიანური და მეფური თვისება. ესაა ვეფხის ტყაოსანში თავიდან ბოლომდე გატარებული აზრი.

თურმე ნუ იტყვით, საბედისწერო ნადირობის დროს როსტევანს თავისთვის დაუდასტურებია, რომ ავთანდილი მისი საშიში პოტენციური მეტოქეა, რომ სპასპეტმა საქვეყნოდ შეარცხვინა და თავი მოკვრა. მეფეს მტკიცედ გადაუწყვეტია ავთანდილის სასტიკი დასჯა, ამ მიზნით ხამი წლით გაუძევებია ვითომ უცხო მოყმის საძებნელად. განა თინათინმა არ გაგზავნა ამ საქმისათვის ავთანდილიო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. არაო. თინათინი უინიციატივო, უნებისყოფო, უუფლებო არსებაა, მას არავინ არაფერს ეკითხება (ის მხოლოდ „მეფობანას თამაშობს“). თინათინი თავისი მრისხანე მამის ბრძანებას ასრულებსო. დაბოღმილმა როსტევანმა ვერასგზით ვერ მოინელა თავისი დამარცხება და „ახლა ქალიშვილის ხელით სჯის ავთანდილს, ხამი წლით აძევებს“ (გვ. 143), თორემ შეყვარებულ ქალს როდი უნდა ხატრფოს მოშორება, თანაც ასე ხანგრძლივად. „რომელ ქალს უნდა ეს, თინათინს რომ უნდოდეს“, კითხულობს თ. ჭილაძე. ფუჭი კითხვაა. მკვლევარს ავიწყდება, რომ რუსთველური სიყვარული დიდი გამოცდაა მეტრფეთათვის. მოვიგონოთ ნესტანის წიგნი, ტარიელს რომ მიუწერა: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი ხაგმირონია?“ განა ნესტანისათვის ადვილი იყო ტარიელის ეგოდენ სახიფათო საქმეზე გასტუმრება? ვინ მოთვლის, რამდენი თეთრი ღამე გაათენა ნესტანმა. აკი გაუტყდა კიდევაც ხატაეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გულისსწორს: „არ ავი მიმიჩს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისაო“ (498,4). დიახ, რუსთველური სიყვარულის კოდექსი მოითხოვს განშორების ტანჯვის ატანას, სულიერ მხნეობას, გამძლეობას, „დათმენას“. ასევე მოიქცა თინათინიც. რა თქმა უნდა, იმისთვისაც საძნელო იყო მიჯნური კაცის მძიმე დავალების შესასრულებლად გაგზავნა, მაგრამ ამას მოითხოვდა მაღალი სიყვარულის სრულყოფის წესი. თინათინმაც, ნესტანის მსგავსად, ფიცით აღუთქვა თავის რჩეულს „ხამსახურის“ სამაგიერო ჯილდო.

მოგონილია და შეთხზული, თითქო თინათინი სათამაშო ტიკინაა „დესპოტი“ მამის ხელში.

ისიც მოგონილია და ლაღი ფანტაზიის ნაყოფია, თითქო ავთანდილი მიხვდა, რომ მას როსტევანი სჯის, აძევებს, სჯის და აძევებს ჩადენილი „სისულელისათვის“ (გვ. 140, 144). არასწორად ხსნის თ. ჭილაძე თინათინის მხრივ ავთანდილის თავისთან მიწვევის, სიყვარულის გამხელისა და დავალების მიცემის ეპიზოდს (გვ. 140-141). თინათინის აღსარებას და დავალებას ავთანდილმა მისთვის შესაფერისი ღირსეული პასუხი გასცა: „სხვა პასუხი რამაც გკადრე, ანუ რამცა შევიწამე? მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე“ (131, 2-3). თ. ჭილაძე გვიამბობს, თითქო ავთანდილს შეგნებული ჰქონდა თავისი „დანაშაული“ (ნადირობის დროს რომ „სისულელე“ ჩაიდინა) და ეგონაო, რომ თინათინმა ახლა განკითხვისათვის იხმო, ამიტომაც „შიშითა და ცუდის წინათგრძნობით შეპყრობილი“ მიდიოდა სასახლეში (გვ. 141), ნამდვილად კი ავთანდილს სტანჯავდა ეჭვი, ვაი თუ თინათინი სასიკვდილო განაჩენს უპირებდა იმის სიყვარულს.

აღნიშნულის შემდეგ ჩვენ აღარ გვიკვირს, რომ „უკუთქმით“ არის ამოკითხული ქაჯეთის ციხიდან ნესტანის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი. ნესტანმა რომ ტარიელის სიცოცხლის ამბავი გაიგო, ღმერთს მადლობა შესწირა, მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ დიდ სიხარულს ძლიერი შიშიც თან დაჰყვა. ნესტანის უტყუარი გუმანით, ტარიელი უთუოდ შეეცდებოდა მის დახსნას და დაიღუპებოდა. ამას კი ვეღარ გაუძლებდა მისი ტანჯული გული (მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“). ნესტანი ემუდარება ფატმანს: „გეხვეწები, საყვარელსა შემახვეწე, შემიბრალე, ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შეცახთვალე“ (1289). „გულ-ამოსკვნილი, მტირალი“ წერდა ნესტანი ტარიელს, ხელი აეღო მისი განთავისუფლების ამაო ცდისაგან („ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა! ნუცა ღე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა“ 1301). სიყვარულის ცეცხლით უზომოდ გულდამწვარი ქალი ურჩევდა თავის ხანეტარო ჭიჯნურს (1307, 1-2): „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგერა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა“. თ. ჭილაძე დაუინებით მოგვიწოდებს, ნურც ნესტანის სიტყვებს ენდობითო. „ო, როგორ უნდა ნესტანს, ტარიელი რომ მივიდეს, გამოიხსნას, წაიყვანოს“ (გვ. 131). ამაზე ვერ ოცნებობს გონიერი ნესტანი. ნესტანის ღრმა რწმენით, მისი გამოხსნა შეუძლებელია, ის ვერ ურჩევს ტარიელს შეუძლებელის შესრულებას, ვერ ურჩევს შეაკვდეს

ქაჯებს. ამიტომაც არ არის სწორი, თითქო ნესტანი ტარიელს „ემუდარება, სთხოვს, ეძახის, მოუბმობს, მოდი, გამანთავისუფლეო“ (გვ. 132). ასეთი მუდარა შეეძლო მხოლოდ ვეფხის ტიპის ქალს და არა მაღალი ინტელექტით დაჯილდოებულს, თავდაჭერილსა და ზნეობრივი სრულყოფით დამშვენებულ ღვთაებრივ ნესტანს.

ყოველივე აღნიშნულის გამო ვეფხისტყაოსანს ვერასგზით ვერ მივიჩნევთ „ანტიფეოდალური, ანტიპატრონყმური“ ხასიათის ნაწარმოებად, რასაც ფიქრობს თ. ჭილაძე (გვ. 133). რუსთველი, პირიქით, სწორედ პატრონყმური სოციალური ურთიერთობის მოწესრიგებული, ჰუმანური ფორმების მხურვალე დამცველია (ეს მათის პირით ნათქვამია — „ხჯობან ყოვლთა მიყვარულთა პატრონყმანი მოყვარულნი“). ოღონდ პოეტი სასტიკად გმობს და კიცხავს პატრონ-ყმური წესრიგის დამრღვევს. ეს შეეხება ფარსადან მეფეს. პატრონ-ყმური წესრიგის ერთგული დამცველი და ხელმწიფის, როგორც უმაღლესი პატრონის თაყვანისმცემელი („ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, ხულნი მათნი ზეცას რბიან“) ტარიელი არ მოერიდა მეფე-პატრონის წინააღმდეგ ამბოხს და მოაგონა მას: „მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მჭნელი ხამართალისა“. ინდოეთის სახელმწიფოში დარღვეულია სოციალური ჰარმონია (თ. ჭილაძე ამაოდ ცდილობს ეს გაავრცელოს არაბეთის სინამდვილეზეც). ამ მხრივაც უპირისპირდება ერთიმეორეს ინდოეთი და არაბეთი. ინდოეთისა და არაბეთის ხასით რუსთველმა საზოგადოებრივი ცხოვრების ორი მსგავსი ამბავი წარმოგვიდგინა, ორი მსგავსი სიტუაციით. ოღონდ ამ ამბებმა სხვადასხვაგვარი განვითარება და სხვადასხვაგვარი მიმართულება მიიღო. ასეთია „პარალელური ამბების“ თავისებურება, მსგავსებაც და განსხვავებაც. ორივე ამბავი რომ ერთგვარად წარმართულიყო, მაშინ საჭოთირო გახდებოდა მათი იდეურ-მხატვრული ღირებულება, სწორედ მხატვრული ლოგიკით ვერ გამართლდებოდა მათი პარალელური არსებობის საჭიროება.

თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, რომ, თ. ჭილაძის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანი დაწერილია გიორგი მესამის დაკვეთით ქალის კულტის იდეის გამოსახატავად და თამარის გამეფების შესაძლებლობის ნათელსაყოფად. ამავე დროს მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, როსტევანი, რომელმაც ვაზირების დასტურით თავისი ქალი თინათინი ტახტზე რომ აიყვანა, თვალთმაქცია, დესპოტია, ბოროტად იყენებს ძალაუფლებას (ფარსადანზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, თავისი ქალი მან არც გაამეფა). თინათინი ყოველგვარ თაოსნობას მოკლებული, უნებისყოფო ქალია, რომელიც „მეფობანას თამაშობს“. რა გამოვიდა? თურმე რუსთველს თავისი მეფე-პატრონის დავალებათა საწინააღმდეგო თვალსაზრისზე აუგია ვეფხისტყაოსანი. ალბათ, ამის გამოა, რომ თ. ჭილაძე ერთგან საკმაოდ მორცხვად შენიშნავს: „პოემა არ გამოვიდა ისეთი ნაწარმოები, როგორსაც რუსთველისგან მოელოდნენ“ (1, 134). ისეთი არ გამოვიდა. როგორსაც მოელოდნენო. თუ თ. ჭილაძეს დავუჯერებთ, ვეფხისტყაოსანი გამოსულა შემკვეთელის მიზანდასახულობის დიამეტრალურად საპირისპირო ნაწარმოები. შექმნილი ვითარება რომ შეარბილოს, თ. ჭილაძე იძულებული ხდება განაცხადოს: „რუსთაველის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ უკეთესი მეფის სახელით, ბაგრატიონების დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის, არ შეიძლება ასე დავაკონკრეტოთ პოემა, ისტორიული ანალოგიები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, არამედ ეს არის დიდი რენესანსული იდეა, ანუ „ოცნება იდეალურ მმართველობაზე“ (II, 135).

ასეთი საკენკით ვერავის დავაპურებთ. თ. ჭილაძის მოსაზრებით ხომ (სხვა საქმეა, რამდენად სწორია ეს მოსაზრება!) რუსთველს კონკრეტული დავალება ჰქონია მიცემული, მხატვრული ენით დაესაბუთებინა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი ქალი-უფლისწულის გახელმწიფების კანონზომიერება. რა გეოგრაფიულ არეშიც არ უნდა გაეშალა ამბავი პოეტს, რა ქვეყნის მკვიდრად არ უნდა მიეჩნია მეფე — მამა და ქალი — უფლისწული, საქმე შეეხებოდა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს და ბაგრატიონთა დინასტიის ბედიღბალს. რუსთველს არა თუ დავალება პირნათლად არ შეუსრულებია, არამედ აბუჩად აუგდია მეფის დავალება, თითქო საგანგებოდ სამოქმედო ასპარეზზე გამოუყვანია ანტიპათიური, შურიანი, დესპოტი და ბოროტი მეფე და ტახტისათვის სრულიად შეუფერებელი მისი ასული. მსგავსი ხაქციელისათვის კარის პოეტს სიკვდილის სასჯელი არ ასცდებოდა. თ. ჭილაძე აშკარად გაება ამ შეუსაბამობათა ხლართში.

ჩვენ ვიზიარებდით და ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები, სადაც საქართველოს ისტორიული სინამდვილეა აწერილი გადატანითი ენით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პოემაში გარკვეულად აირეკლა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშანდობლივი მოვლენები.

ბარემ აქ იმასაც ვიტყვი, რომ თ. ჭილაძე როსტევან მეფის ვითომ თვალთმაქცობას იმაშიც ხედავს, რომ თინათინის გამეფების თაობაზე ვაზირებთან საუბრის დროს „ის ჯერ „ძ ე ს“ ამბობს, „ა ხ ულ ს“ — არა, ყოველ შემთხვევისათვის, არ უნდა გაამწვავოს ვითარება, ჯერ ნიადაგს სინჯავს“ (II, 136, კურსივი ავტორისაა). ეს შენიშვნა გაუგებრობის შედეგია. საქმე ისაა, რომ პოემაში თავიდანვე გარკვევით არის ნათქვამი: „სხვა ძ ე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ა ხ ულ ი“ (88, 1).

მეფე მართლა ეუბნება ვაზირებს: „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ“ (86, 4). გვაქვს ახეთი ტექსტიც: „მეფე ბრძანებს — მართალ იყო, ახული და ჩემი ძეო“ (118, I). როგორც ისტორიკოსმა ვარლამ დონდუამ გაარკვია, ძე აქ (აგრეთვე XII საუკუნის სხვა ძეგლებითაც) ნიშნავს შვილ-მემკვიდრეს, იქნება ის ვაჟი (ვაჟიშვილი) თუ ქალი (ქალიშვილი). 88-ე შაირის პირველი ტაეპის შინაარსი ისაა, რომ მეფე როსტევანს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა, გარდა მარტოდენ ქალისა. შესაფერისადვე როსტევანი ეუბნება ვაზირებს, ჩემი მემკვიდრე ქალიშვილი დავსვათ ხელმწიფედო. 118-ე შაირშიც ნათქვამია, მეფემ ბრძანა, მართალი იყო ჩემი ახული და მემკვიდრეო. ესაა და ეს. დამოწმებულ ტექსტებში არავითარი მიფარული აზრი არ იმალება (შდრ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, 1967, გვ. 88-100).

რუსთველის ეპოქაში გადმოაქართულეს სპარსული პოეზიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი — „ვისრამიანი“. ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანს აქვს ზოგიერთი საერთო მოტივი, თუმცა ისინი სულ სხვადასხვა იდეურ-ზნეობრივი მრწამსის გამომხატველი თხზულებებია. თ. ჭილაძე სამართლიანად თვლის, რომ ეს ორი ნაწარმოები შინაგანად უპირისპირდება ერთიმეორეს (II, 109). იგი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ვისრამიანი და ვეფხისტყაოსანი „საოცრად მსგავსნია“ გარეგანი ფორმის მხრით. წარმოშობით ვისრამიანი უსწრებდა ვეფხისტყაოსანს, „ვისრამიანმა აშკარად მოახდინა გავლენა ვეფხისტყაოსანზეო“ (იქვე). თ. ჭილაძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ვისრამიანი ეთარგმნა შოთა რუსთველს. იგი წერს: „მე პირადად სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, რომ „ვისრამიანი“ ქართულად შოთა რუსთველის თარგმნილი იყოს“ (გვ. 107). მკვლევრის ვარაუდით ეს სპარსული რომანი რუსთველს უნდა ეთარგმნა სიჭაბუკეში, „ხოლო შემდეგ, გაცილებით გვიან, ანუ სიჭარმაგეში, სხვა პოეტურ თუ მსოფლმხედველობით სიმაღლეზე მდგარმა, დაწერა ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 110. კურსივი ჩვენია).

ვარაუდის პოზიციიდან ბევრი რამის დაშვება შეიძლება. მაგრამ ამ კონკრეტულ ვარაუდს არავითარი საფუძველი არ აქვს. თ. ჭილაძის მოსაზრებით ვეფხისტყაოსნის შეთხზვა რუსთველს დაუწყია თამარის გამეფებამდე, ე. ი 1178 წლამდე. მაშინ იგი ჭარმაგი ყოფილა, ვისრამიანი კი უთარგმნია სიჭაბუკეში. ვისრამიანის თარგმნასთან შედარებით ვეფხისტყაოსანი დაწერილი ყოფილა „გაცილებით გვიან“. მაინც როდის უნდა დაეწყო რუსთველს ლიტერატურული მოღვაწეობა, როდის უნდა დაბადებულიყო პოეტი?

ვისრამიანის საკითხთან დაკავშირებით თ. ჭილაძე აანალიზებს ნესტანისა და ტარიელის ერთად შეხვედრის ერთ შემთხვევას. ტარიელი უამბობდა ავთანდილს, გამომშვიდობების დრო რომ მოვიდაო, „მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვექვე წვევა, მწადდა, მაგრა ვერ შევეჰმართე შემოვდომა, შემოხვევა“. თ. ჭილაძეს მოაქვს ეს ტექსტი და შემდეგ კომენტარს ურთავს:

„ტარიელის ეს სიტყვები ზოგიერთი მკვლევარისათვის მიხი, ანუ ტარიელის, „ბუნებრივობის“, „უცოდველობის“ და წესიერების საბუთია. მაგრამ განა ნესტანის ხურვილიც ასევე „ბუნებრივი და უცოდველი“ არ იყო? ამქვეყნად ხომ ბევრი რამ არ არის ისეთი „ბუნებრივი და უცოდველი“, როგორც ახალგაზრდა ქალისა და კაცის ურთიერთ ლტოლვა, მითუმეტეს, როცა მათ ერთმანეთი უყვართ... (მრავალწერტილი ავტორისაა. — ა. ბ.). არაბუნებრივი იქნებოდა, მათ რომ ასეთი ლტოლვა არ ჰქონოდათ... მართლაც, თუკი თინათინისა და ავთანდილის, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულს „მაღალი ზნეობის“ პოზიციებიდან სექსუალურ საფუძველს გამოვაცლით, ნამდვილად იდეალიზებულ სქემებად გადავაქცევთ ამ მშვენიერ ადამიანებს“ (II, 109-110, კურსივი ჩვენია, ა. ბ.).

გავხსნათ ფრჩხილები: „ზოგიერთი მკვლევარი“, რომელსაც ედავება თ. ჭილაძე, ჩვენ ვართ, ამ სტრიქონების ავტორი. ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ სიზუსტისათვის გვიხდება მოზრდილი ამონაწერის დამოწმება. ჩვენ გვიწერია:

„ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარული მართლაც უაღრესად ადამიანურია, მაღალზნეობრივი, მგრძნობელობითი, ანუ ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხქესობრივი— სიყვარული. ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო არც აღმოსავლურ სუფისტურ-მისტიკურ მიჯნურობასთან ან ეროტიკასთან, არც დასავლურ უსაგნო რაინდულ ტრფიალებასთან, ან ეგრეთ წოდებულ პლატონურ (სულიერ) გატაცებასთან... ნესტანისა და ტარიელის (თინათინისა და ავთანდილის) სიყვარული ამქვეყნიური, ბუნებრივი, მიწიერი, ხორციელი სიყვარულია, ოღონდ მაღალზნეობრივი და ამაღლებული. ასეთ სიყვარულს შეჰფერის ქალ-ვაჟთა ურთიერთობაში ზომიერება, თავდაჭერილობა, სიფაქიზე. ვეფხისტყაოსანი ბუნებრივად თვლის შეყვარებული ქალ-ვაჟის ურთიერთისადმი ლტოლვას, სიახლოვით დატკბობის სურვილს, ალერსის სიამოვნებას. პროლოგის სიტყვები „მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშატლუში“ (25,4) სწორედ უგულო „სიყვარულს“, სექსუალურ აღვირახსნილობას გულისხმობს. ნამდვილი ზნეობრივი სიყვარულის პირობებში რუსთველი ბუნებრივად თვლის ალერსს. ერთი მძიმე „თათბირისა და გამორჩევის“ შემდეგ ტარიელი უნდა გამომშვიდობებოდა სატრფოს, თავდაჭერილი ნესტანი თავისმა წადილმა გახცა, მას უმძიმდა ტარიელის

განშორება, ჭაბუკს აგრძნობინა დარჩენილიყო. ტარიელი გვიამბობს (546, 3-4): „მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვევე წვევა, მწადდა, მაგრა ვერ შევჰმართე შეჭიდება, შემოხვევა“. **რა ბუნებრივი და უცოდველი იყო ტარიელის სურვილი!** შემდეგ ველად გაჭრილმა მიჯნურმა ვეფხი შეიპყრო, რომ დაეკოცნა ნესტანის ეს სიმბოლო ვეფხი. დიდ სიხარულსა და ბედნიერებას განიცდიდნენ ერთად შეყრით თინათინი და ავთანდილი, საამური იყო მათი ტკბილი საუბარი და ხალისიანი ლაღობა“ (ალ. ბარამიძე. შოთა რუსთველი, 1975, გვ. 120, დაყოფა ძველია, კურსივი ახალი).

თ. ჭილაძე ამახინჯებს ჩვენ აზრს. ის ბრალს გვდებს, თითქო მაღალი ზნეობის პოზიციებიდან სექსუალური საფუძველი გამოვაცალეთ სიყვარულის გრძნობას. ჩვენ კი, პირიქით, ენგელსის სიტყვების მოხმობით, სწორედ ხ ე ლ ო ბ რ ი ვ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ვუწოდებთ ვეფხისტყაოსნის სიყვარულს. „განა ნესტანის სურვილიც ასევე „ბუნებრივი და უცოდველი“ არ იყო, როგორც ტარიელისაო, კითხულობს თ. ჭილაძე. ამაზეც მკაფიო პასუხია გაცემული ჩვენს ნარკვევში: „ვეფხისტყაოსანი ბუნებრივად თვლის შეყვარებული ქალ-ვაჟის ურთიერთობისადმი ლტოლვას“. ფრაგმენტის ანალიზს იმით ვიწყებთ, რომ „ნესტანი წადილმა გასცა“, მას უმძიმდა ტარიელის განშორება, მან აგრძნობინა ჭაბუკს დარჩენილიყო. დაუწყო „ქვევე წვევა“. ხად არის აქ უგულებელყოფილი „ნესტანის სურვილი“?

განხილული ხალუსტრაციო მაგალითი დამახასიათებელია და გამონაკლისი არ არის. ფარსადანის დახასიათებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მეფემ იცოდა ნესტან-ტარიელის სიყვარულის ამბავი (იცოდა და მაინც გადაეღობა წინ!). ამ მომენტს პირველად ჩვენ მივაქციეთ ყურადღება (ნარკვევები, I, 1945; შოთა რუსთველი, 1975). თ. ჭილაძე ორჯერ ხაზგასმით იმეორებს ამას (II. 117, 133) წყაროზე მიუთითებლად.

ამით ვამთავრებთ თ. ჭილაძის ნაშრომის განხილვას. ჩვენ ყველაფერს ვერ გამოვედევნეთ (თ. ჭილაძე თითქმის ყველაფერს სადაოდ ხდის). გასაგები მიზეზების გამო ყურადღება გავამახვილეთ, ჩვენი აზრით, მიუღებელ თუ სადაოდ მიხაჩნევ ძირითად საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოლონ ცანავა

ქართული მითოლოგიის სადღეისო პრობლემები

ამ წერილის მიზანია აჩვენოს, რომ ზურაბ კიკნაძის მიერ „ქრისტიანობის წიაღში" წარმოშობილად მიჩნეული ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები (ღვთისშვილები) და მათზე დღემდე შემონახული მითოლოგიურ-რელიგიური გადმოცემები (მემორატები და ფაბულატები) ქართული მითოლოგიის ხათაველებთან პოულობენ თავიანთ კუთვნილ ადგილს და, წარმომავლობის თვალსაზრისით, არაფერი აქვთ საერთო ქაროველთა გამანათლებლის ნინოს ჯვართან.

პატივცემული მკვლევარი ქართულ მეცნიერებაში კომპლექსური კვლევა-ძიებით დადგენილ პრეციოზულ პოსტულატებს უპირისპირებს ტენდენციურ ისტორიულ წყაროზე დამყარებულ ისეთ მოსაზრებებს, რომელთა გაზიარება არაფრით არ შეიძლება (ამის თაობაზე იხ. ჩვენი წერილი — „აუცილებელი განმარტება", „მნათობი", № 5, 1983; ზ. კიკნაძის საპასუხო წერილი „აუცილებელი განმარტების განმარტება", „მნათობი", № 6, 1983).

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ წინათაობის გამოჩენილი მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ამა თუ იმ პრობლემაზე დოგმად მივიღოთ, ხოლო თუ შესაცვლელი და გადასაფასებელია, არ შევცვალოთ და არ გადავაფასოთ. მეცნიერული აზრი სწრაფად მიიწევს წინ. დღეს ჩვენ მრავალი საოცარი აღმოჩენისა და მიგნების მოწმენი ვართ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაპოვრებს შორისაც არის ისეთი დებულებები, რომელთა, მეტი რომ არა ვთქვათ, ხელაღებით უარყოფა, — შეუვალი და ურყევი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ სუბიექტურ მოსაზრებად რჩება.

ეს წერილი „მნათობში" გამოქვეყნებული ჩვენი წერილის გაგრძელებაა და არა ზ. კიკნაძის საპასუხო წერილის პასუხი.

I. ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები და ქრისტიანული ჯვარი

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებებს ქართული წარმართობის თაობაზე ჩვენ ზემოთ დასახელებულ წერილში შევეხეთ და ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ ი. ჯავახიშვილმა, ძირითადად, სწორად განსაზღვრა და ჩამოაყალიბა აღნიშნული პრობლემის კარდინალური, მათ შორის, ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების ადრეული, კერძოდ კი, წარმართული წარმავლობის საკითხები, ამიტომ ამჟამად ამაზე არ შევჩერდებით.

სიმონ ჯანაშიამ ასევე, ჩვენის აზრით, სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ წინაქრისტიანულ ხანაში გავრცელებული ჯვრის ემბლემა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ქრისტიანობა იძულებული შეიქნა დაეთმო, ერთგვარი ხარკი გაეღო ძველი რწმენის („კერპთაყვანისმცემლობის") სასარგებლოდ. იგი წერს: „ცნობილია, რომ ჯვარი არის წინაქრისტიანული მოვლენა. ქრისტიანობამ გამოიყენა ის, გაავრცელა ხალხის ფართო მასებში ეს ემბლემა და მას თავისი სამსახური დააკისრა" (საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1987, გვ. 96, ხაზგასმა ჩვენია).

ქართველმა ეთნოგრაფებმა თავიანთ შრომებში, ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური დებულებების გათვალისწინებით, დამაჯერებლად გამოიკვლიეს და დაადგინეს ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების წარმართული წარმომავლობა, მათი ფუნქცია და ადგილი ქართული კულტუ-

რის ისტორიაში. უყურადღებოდ არ არის დატოვებული ამ ჯვარ-ხატებისა და ქრისტიანობის ურთიერთობის მეტად საინტერესო პრობლემა.

როგორც ცნობილია, ვერა ბარდაველიძემ თავის ფუნდამენტურ შრომებში დაამტკიცა, რომ ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები, რომელთა რიცხვი ქართული თეოგონიური ლექსის („ღვთიშუილთ დაბადება", ქართული ხალხური პოეზია, I, 1972, გვ. 127) მიხედვით თითქოსდა სამი ათასი ყოფილა, თავისი წარმომავლობით წარმართული ეპოქის პირმშოა. იგი წერს: „ჯვარი და ხატი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სინონიმებია, აღნიშნავენ როგორც ამა თუ იმ ტომისა და თემის მფარველ და ბატონ-პატრონ ღვთისშვილებს, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ სახრძანისს... ფეოდალური ხანის სარწმუნეობრივი იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენით დღეს ჯვარი და ხატი გვესმის როგორც ქრისტიანული სიმბოლოების სახელწოდებანი. მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა უფრო ადრეულ საფეხურზე, ეს ტერმინები სხვა შინაარსის მატარებელი ყოფილა" (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 10-11, ხაზგასმა ჩვენია).

ისმის კითხვა: ადრეულ საფეხურზე მართლაცდა რა შინაარსის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ ფშავ-ხევსურეთის ეგოდენ პოპულარული ჯვარ-ხატები? მოვუსმინოთ ქართული ეთნოგრაფიის ცნობილ მკვლევარებს გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძეს:

„ჯვარი ხევსურეთში უძველესი ხანის ორნამენტია... მისი ანტურაჟი წარმართული სახეებითაა წარმოდგენილი. ჯვარი აქ მაგიურ-პოტოროპულ მნიშვნელობითაა გამოყენებული, რაც დაკავშირებულია ხევსურთა წარმართულ სარწმუნოებასთან. სხვათა შორის იგი („ხატი") წარმართულ საკულტო შენობას აღნიშნავს და ამდენად რამდენიმე საუკუნით ადრინდელია... საზოგადოდ ქრისტიანობაზე. უკეთ რომ ვსთქვათ, ჯვარი ხევსურთა გვაროვნულ საზოგადოების რელიგიასთანაა დაკავშირებული" (ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, თბ., 1939, გვ. 2). მკვლევარები მიუთითებენ, რომ ხევსურული ორნამენტის ტერმინოლოგია შეიცავს საყურადღებო სახეებს: მაგალითად, ჯვარისთვის „ჩვენ მოცემული გვაქვს ტერმინი „ხატი" და მისგან წარმოებული სიტყვები: „ხატნი", „ხატის-ხატნი", „ხატულა" და სხვ. ხატი აქ აღნიშნავს არა მარტო ჯვრის გამოსახულებას, არამედ იმას, რასაც ჩვენ ხატს ვეძახით. იგი აღნიშნავს ეგრეთვე წარმართულ საკულტო შენობასაც. ხევსურული საკულტო შენობა „ხატი", მკვეთრად განსხვავდება ქრისტიანული საკულტო შენობისაგან" (იქვე, გვ. 5). უნებლიედ გვაგონდება: ვაჟა-ფშაველას შემდეგი სიტყვები: „შენობა, სადაც ხატი მყავს დასახული ფშაველს, არაფერში არა მგავს საყდარს" (თხზ. ტ. IX, 1964. გვ. 27). ვაჟას თქმით, „იქ, სადაც წარმართული სოციალური პირობები მეფობს (რა თქმა უნდა, ამ პირობებს ფშავ-ხევსურნი არ ქმნიან), ყოველ მართლმადიდებელს თავის დალს ასვამს. მართლმადიდებლობამ უნდა გარეგნულად, ფორმით იარსებოს" (იქვე, გვ. 359). ვაჟას ხევსიბერები და ხატები არაქრისტიანულად მიაჩნია, მისი აზრით, ხევსურებს „ფშაველებზე ნაკლებად ესმის ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება: ხევსიბერები და თავის ხატები კი ძრიელა სწამს და არა დროს ხატობაში დღეობას არ დაკლდება" (იქვე, გვ. 49).

„მატიანე შემეცნებათა"-ში ნათქვამია, რომ ხუცესები და ხევსიბერები „იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ" (რ. პატარიძე, ქებაი ქართულისა ენისაი", „ცისკარი", № 7, 1983 წ. გვ. 154, ხაზგასმა ჩვენია).

ფშავ-ხევსურეთის ყოფის დიდი მცოდნე ნიკო ურბნელი (ხიზანაშვილი) ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ წერილში წერდა: „თუმცა და ხევსურნი ძველთაგანვე ქრისტიანებად ითვლებიან, მაგრამ ქრისტიანობის არა იციან-რა... თვით ხალხის სარწმუნეობაც კერპთ-თაყვანისმცემლობას ვერ გასცილდა... ხულიწმინდას თუმცა ლოცვებში ახსენებენ, მაგრამ არ იციან, ვინ და რა არის. სამბაროვანი ღმერთი — მამა, ძე და სული წმიდა ხევსურს ვერ წარმოუდგენია. თვითონ სამება ხატად, ანგელოზად ხწამს და ისე ლოცულობს მას, როგორც სხვა „მაღალ ღვთის მოკარეს". ღვთის მშობელიც ხატად მიაჩნიათ და არ იციან, რომ ის ქრისტეს დედა იყო" („ივერია", 1887, № 158, ხაზგასმა ჩვენია). ნ. ურბნელის ამ განცხადებასთან დაკავშირებით უნებლიედ გვაგონდება თამარის პირველი ისტორიკოსის შემდეგი გამონათქვამი: „ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ"-ო (ქართლის ცხოვრება, II, 1959. გვ. 111). „ჩემება" მიკუთვნებას ნიშნავს. ე. ი. ფხოველები (ფშავ-ხევსურები) ქრისტიანობას აკუთვნებენ თავს, „ქრისტიანებად ითვლებიან". მაგრამ ჯვარს ხცემენ თაყვანს, „ჯვარის მსახურნი არიან".

აკად. ს. ჯანაშია ქართლის ცხოვრების ამ ცნობას ასე განმარტავს: „აღნიშნული ტომები ამ დროს თემურ-გვაროვნულ ყოფას განიცდიან. ასეთს სოციალურ გარემოში ქრისტიანობა... ცხადია, მკვიდრად ფეხს ვერ მოიდგამდა. იძუ-

ლებით შეტანილსაც მას აქ, გასაგებია, უნდა სათანადოდ გამოეცვალა თავისი ბუნება და ფუნქცია. სწორედ ამიტომ ამბობს ეს ფეოდალური ისტორიკოსი, ქრისტიანობას იჩემებენო (ხაზგასმა ავტორისაა), ე. ი. მათ ნამდვილ ქრისტიანებად არ თვლიან" (ხაზგასმა ჩემია, იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937, გვ. 99).

გამოჩენილი ეთნოგრაფი სერგი მაკალათია წერს: „ფხოველები (ფშავ-ხევსურები — ა. ც.) მართალია ოფიციალურად ქრისტიანებად და ჯვარის მსახურებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ წარმართები იყვნენ და მუხის ანგელოზს თაყვანს სცემდნენ. ეს მუხა... ლაშარის „ხმელ გორზე" მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა თურმე" (ფშავი, თბ., 1934, გვ. 17). ს. მაკალათიას თქმით: მთიულეთ-ხევსურეთში დეკანოზები ქურუმობენ. „ეს დეკანოზები და აქაური ხატებიც მოჩვენებით გაქრისტიანებულია, მაგრამ საკმარისია ამ ქრისტიანული ფენის ოდნავ აფხეკა, რომ წარმართობის ცოცხალი ნაშთები იხილოთ" (მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 149).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, „ხევსურთა უძველესი მსოფლმხედველობა დუალიზმის საფუძველზე იყო აგებული. ხევსურს მსოფლიო კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილის ასპარეზად ჰქონდა წარმოდგენილი... არსებითად ეს სარწმუნოება ძველი აღმოსავლეთის დუალიზმისა და დემონოლოგიის ძირითად ელემენტებს შეიცავდა.

ბოროტი ძალებისაგან თავის დასაცავად წარმართი ხევსური სხვადასხვა ეპოთროპეულ საშუალებების გამოყენებას მიმართავდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ აღმოსავლეთში. ხევსური ჯვარს გამოიყენდა იმ ნანგრევზე, სადაც ბოროტი ძალების... სამყოფი ეგულებოდა" (დასახ. ნაშრ. გვ. 6).

როგორც ცნობილია, წინა აზიის უძველეს კულტურაში ეპოთროპეული დანიშნულების საგნებს დიდი როლი ჰქონდათ დაკისრებული. „ამავე ხალხებში ასეთივე დანიშნულებას (ე. ი. ეპოთროპეულს, ა. ც.) ასრულებდა ორნამენტი კოსტუმზე, კერძოდ ჯვრის ორნამენტი, რომელიც დამოწმებულია XVI-XIV საუკუნეებისათვის ქრ. წ. საყურადღებოა ისიც, რომ ჯვარი იქაც, როგორც ხევსურის ფარდაგზე, კოსტუმის საგულეზეა მოცემული" (გვ. 7).

ბოლოს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ „ხატი", როგორც ძველი კულტურის ორნამენტი, ხევსურების მეზობელ ჩაჩნებსაც აქვთ, მაგრამ მას „ჩაჩნების ქრისტიანობასთან არა აქვს" კავშირი. „იგი წინაისტორიული ხანის სხვა ორნამენტებთანაა დაკავშირებული და ქრისტიანობაზე ადრინდელი კულტურის კომპლექსს ეკუთვნის" (იქვე, გვ. 14).

შალვა ამირანაშვილი ამ პერიოდის ამიერკავკასიის ხალხების არქეოლოგიური და სხვა ძეგლების ნაკეთობათა ფორმისა და სტილის თაობაზე აღნიშნავს, რომ ეს ფორმა და სტილი „მიგვითითებს იმ მხატვრულ ტრადიციაზე, რომელიც გამომდინარეობს მცირე აზიის, შუამდინარეთისა და ირანის ქვეყნებიდან" (ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 9). ე. ი. ხევსურულ ორნამენტებში დაცული ჯვრები, რომლებიც ზ. კიკნაძეს ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილად მიაჩნია, ქრისტიანობამდე საუკუნეებით ადრინდელ აღმოსავლურ კულტურასთან პოულობენ შესაბამის გენეტიკურ და ტიპოლოგიურ პარალელებს.

ლ. ბოკორიშვილი წლების განმავლობაში სპეციალურად სწავლობდა ხევსურული ჯვრის წარმომავლობის საკითხს და საფუძვლიანი გამოკვლევაც უძღვნა მას (იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, 1951, გვ. 67-90).

უშუალოდ ჯვრის ფუნქციის განხილვამდე, მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „მშვიდობიანი გზით გავრცელებულმა თუ ცეცხლითა და მახვილით შეკრილმა ქრისტიანობამ მთიელთა სარწმუნოებაზე მხოლოდ ზერელე გავლენა მოახდინა, გაბატონებული რელიგიის ადგილი მან ვერ დაიკავა. წარმართი მთიელი „ქრისტიანის" სახელით მოინათლა, მაგრამ თავის მამა-პაპის რელიგიას მან არ უღალატა. საუკუნეების მანძილზე ქართულ ეკლესიასა და მთიელთა წარმართულ ხატს შორის დაუსრულებელი ბრძოლა წარმოებდა... ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ წარსულ საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიები ააშენა, მაგრამ ამ ხერხმა წარმართული რელიგიის გადმოწაშთები ოდნავადაც ვერ შეარყია" (გვ. 68-69, ხაზგასმა ჩვენია).

ავტორი აღნიშნავს, რომ ადრინდელ ცივილიზებულ ხალხთა მიწა-წყალზე მოპოვებული ძეგლები ცხადყოფენ ქრისტიანული მოძღვრების სიმბოლოდ აღიარებული ჯვრის უძველესი საუკუნეებიდან წარმომავლობას.

ჯვრის არსებობის ადრინდელობა საქართველოში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა, — „ნაცარგორას საკურთხეველზე გაკეთებული ჯვრის რელიგიური მნიშვნელობა, თვით გათხრების მეთაურის — გ. გობეჯიშვილის აზრი რომ გავიმეორო, ეჭვსაც არ იწვევს" (გვ. 71).

ხვნის პროცესის ერთ-ერთ ბაბილონურ სურათში გუთნისდედა — მეხრეების თავზე სამმაგი ჯვარია მოთავსებული. „ის აქაც რელიგიური მნიშვნელობის მქონეა". ჯვრის ამგვარი დანიშნულება აშკარად ჩანს ეგვიპტის ახალი სამეფოს ახლად აგებულ ტაძართა მხატვრულ გაფორმებაშიც. ძველი, განდევნილი ღმერთების ადგილი

ერთადერთმა უზენაესმა ღვთაებამ ატონმა (მზემ) დაიკავა და ადრინდელი „ღვთაების ატრიბუტიც, ჯვრის სახით წარმოდგენილი, მან მიითვისა" (გვ. 72).

ორნამენტისა და ხარწმუნოებრივი ემბლემის როლში წარმოდგენილი ჯვარი ქრისტიანობის გაბატონებამდეც არსებობდა. მკვლევარის აზრით, „სახიკვდილოთა კაცთა დასამსჭუალავად" გარდაგდობილ ძელსაც ცივილიზებული კაცობრიობა ქრისტეს ჯვარცმამდე იცნობდა. ქრისტიანობამ გამოიყენა ეს ემბლემა და მას თავისი სამსახური დააკისრა (გვ. 72).

ჯვრის გამოსახულების რელიგიური თუ ესთეტიკური გამოყენების ფაქტი, თითქმის ყველა ქართველი ტომის ყოფაშია დამოწმებული, მაგრამ ყველაზე ღრმა ფესვები მას ხევსურეთში აქვს გადგმული. „ხევსურეთის რელიგიურ სინამდვილეში ...ჯვრის კულტი მეფობს" (გვ. 73). მკვლევარი ამ კულტს ახეთი თანმიმდევრობით განიხილავს: 1. ჯვარი — ორნამენტი; 2. ჯვარი— ხარწმუნეობრივი სიმბოლო; 3. ჯვარი — ღვთაება. „ხევსურეთის სინამდვილეში ჯვარი ძირითადად რელიგიურ ემბლემას წარმოადგენს" (გვ. 76). ქალები ნაწნავებს შუბლზე ჯვარის სახით იხვევდნენ. „განსაზღვრულ ჰასაკში, ჯვარის გამოსახულება ხევსური ვაჟის თავზედაც ჩნდება. ვაჟის თავზე წარმოდგენილი ჯვარი წმინდა რელიგიურ ფუნქციას ასრულებს, ის „ვაჟის თავმოსაპარსავ სახმთოსთან" არის დაკავშირებული (გვ. 77). მკვლევარი ჯვრის სიმბოლური გამოყენების მრავალ ფაქტს ადასტურებს. „რელიგიური თაყვანისცემის ობიექტსაც, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში, აგრეთვე ხატი და ჯვარი ეწოდება. ეს სახელწოდებანი, გადატანითი მნიშვნელობით სამლოცველო ნაგებობათა კომპლექსის აღსანიშნავად იხმარება" (გვ. 79, ხაზგასმა ჩვენია). ამასთან ერთად, ჯვარი და ხატი „ხთიხშვილების" სახელით ცნობილ ზეციურ არსებათა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენს. სწორედ ამგვარი გაგებით იხსენიებენ ჯვარს ხევსური მოლექსეები.

ხატისა და ღვთისშვილის იდენტურობა ძველებური ხევსურული თქმულების მიხედვითაცაა დადასტურებული. მკვლევარის მართებული დასკვნით, „გამოსახულებისა და წმინდანის აღმნიშვნელი ხევსურული „ხატი" და „ჯვარი" ქრისტიანული „ხატის" გაგებას არ შეეხატუვიხება" (გვ. 83. ხაზგასმა ჩვენია).

გამოსახულებისა და ღვთაების საერთო სახელი — ჯვარი ან ხატი (ჯვარ-ხატები) ტიპიურია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფიხათვის. ღვთაების სახით გამოცხადებული ჯვარი ქადაგს მკლავზე გადაფენილ „ხელსახოც-ჯრელ ქიჩილაზე" (სამკადრეოზე) დაუბრძანდებოდა, ქადაგს პირდაპირ არ შეხედავდა, იდუმალი სმით საუბარს გაუბამდა, განზრახულის შეტყობინების შემდეგ ჯვარი გაფრინდებოდა, ქადაგი კი „ჯვართ ენით" ალაპარაკდებოდა, ხალხს შეატყობინებდა ღვთაებათა სურვილებს.

კარატის ჯვარი ლიკოკში პირველადვე „ხატის ალით (სახით, გამოსახულებით) ჩამოხულა". მწყემსს ქალ-ვაჟს თავიანთი საგიროებისათვის კარატის მთაზე პატარა ჭვის კოშკი აუშენებიათ. მეორე დღეს ამ ქალ-ვაჟს თავიანთ კოშკთან მიეუდებული ხატი უნახავთ: „მფრინავი ხატი კოშკზე ხელშეხახებ ჯვრად ეოფილიყო მიეუდებული (ხაზგასმა ჩვენია). ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, „კარატეზე ხატის საბრძანებელი მოუწყვიათ და დღეობაც დაუწესებიათ" (გვ. 86).

ხევსურულ საბავშვო დღეობებში ყველა საჯვარო საქმეს თვით ბავშვები უძღვებიან. „ხთაყვანებელი კერპის ფუნქციას აქ ჯვარი ასრულებს. ჯვარი ხისაა, შემკობილია სათმეებითა და მძივებით" (გვ. 88).

ხევსურეთში ჯვრის გამოსახულება განსაკუთრებული პატივისცემითაა გარემოცული. „კერპად მიჩნეულ დროშის ხატში და საერთოდ ხაგნად გამოკვეთილ ყოველგვარ ხატში ჯვარღვთაების ძალაა ჩაქსოვილი" (იქვე). რეალური ჯვარი ციური ჯვარის გამოხატულებაა, ის მართლაც ღვთისშვილის ხატია — მისი მატერიალური განსახიერებაა.

მკვლევარის დასკვნით, „ქართველი მთიელების, კერძოდ კი ხევსურების, რელიგიური რწმენის ძირითადი არსი ჯვრად წარმოდგენილი ღვთისშვილების თაყვანისცემაში მდგომარეობს" (იქვე. ხაზგასმა ჩვენია).

ავტორი ვარაუდობს, რომ ჯვართთაყვანისმცემლობა ერთ დროს კავკასიელი ხალხების საერთო რელიგია უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს კავკასიაში აღმოჩენილი არაქრისტიანული ჯვრები.

ქართული ჰერალდიკის მკვლევარი მ. ვადბოლსკი წერს: ბოლნისის ხიონის დეკორში შემონახული „ხარის თავი, რომელსაც რქებს შუა ჯვარი აქვს მოთავსებული, წარმართული საკულტო ნიშნის მოდიფიცირების მაგალითია... მედალიონში მოთავსებული ჯვარი... მისი საერთო სტრუქტურა და ფორმა აღმოსავლეთის ხალხების უძველეს საბრძოლო ალმებს ემთხვევა (ხეთები და სხვ.)" (იხ. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980, გვ. 17). იმავე მ. ვადბოლსკის თქმით, „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (337 წ.), ახალმა რელიგიამ უძველეს კულტთა სიმბოლოები თავის საკუთარ მოთხოვნილებას დაუმორჩილა, ახალ სიმბოლიკასთან შეათავსა. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ წარმართულა. „ძველისა" და „ახ-

ლის" ჭიდილში ხშირად სწორედ წარმართული ტრადიციის ძალას გაუმარჯვია, ეროვნულ პირველ საფუძველს უმძლავრია" (გვ. 8).

დღეს მეცნიერებაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქრისტიანობამ წარმართული რწმენებიდან ბევრი რამ ისესხა და გამოიყენა თავისი იდეოლოგიის გასამტკიცებლად. ერთ-ერთი ასეთი სიმბოლოა ჯვარიც. სხვას რომ თავი დავანებოთ, ყველა ენციკლოპედიურ ცნობარებშიც კი მითითებულია, რომ ჯვარი არის სიმბოლო და საგანი (ნიშანი) ქრისტიანული რელიგიის კულტისა. ჯვრის თაყვანისცემის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს, რაზედაც მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული პირველყოფილი საზოგადოების ის ძეგლები (ნივთები), რომლებზედაც ჯვარია გამოსახული.

საკულტო ჯვრის არქეტიპად მიჩნეულია ჯვრის მსგავსი ხის ძელები, რომლებიც უძველეს ადამიანებს ემსახურებოდნენ ცეცხლის მოსაღებად და შემდეგში კი „ფეტიშებად" (რელიგიურ სათაყვანო საგნებად) იქცნენ.

თავდაპირველად პირველყოფილი საზოგადოების რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებულმა ჯვრის თაყვანისცემამ, სხვადასხვა ფორმით, მიიღო საყოველთაო გავრცელება უძველეს ხალხთა რწმენებში (БСЭ, 1953, ტ. 23, გვ. 349).

სხვა ცნობების მიხედვით, ქრისტიანულ რელიგიაში ჯვარს თავიდანვე არ მოეპოვებოდა ის მნიშვნელობა, რომელიც ეკლესიამ შემდგომში მიაწერა მას. ჯვრის თაყვანისცემა ღვთისმსახურებაში, როგორც ცნობილია, მ ე ო თ ხ ე საუკუნიდან იქნა შემოღებული. ეკლესიებში ჯვარი აუცილებელ ელემენტად მხოლოდ მ ე ხ უ თ ე საუკუნიდან მკვიდრდება.

ჩინეთში ჩასულ კათოლიკე მისიონერებმა ნახეს ბუდას ქანდაკებაზე გამოსახული ჯვრები, ბუდიზმი კი აღმოცენდა ხუთი-ექვსი საუკუნით ადრე ქრისტიანობამდე. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, იქ ჩასულ ევროპელებს ინდიელმა წარმართებმა ჯვარი დაახვედრეს. ეს ჯვარი ინდიელთა ხალოცავში განასახიერებდა მიწიურ და ციურ ცეცხლს. იგი ადგილობრივი ტაძრების აუცილებელი ატრიბუტი იყო. მექსიკაში ქრისტიანებმა ნახეს ცეცხლის ღმერთის გამოსახულება, რომელსაც ხელში „მთელი კონა ჯვრები" ეკავა. ჯვარი ამშვენებდა ეგვიპტელ პტოლომელთა მეფის მედალიონებს. ჯვარია გამოსახული მონეტებზე, რომლებიც იუდეველთა მეფე ირო-დი დიდის დროს არის მოჭრილი. ირო დი კი, ქრისტიანული მითოლოგიური გადმოცემით, ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი იყო ქრისტესი.

ჩვენი წინაპრებისათვის, ისევე როგორც სხვა ძველი ხალხებისათვის, ცეცხლი ცხოვრების საფუძველი იყო. ადრე ძველი ადამიანები ბუნებრივი ცეცხლით სარგებლობდნენ. ამ ცეცხლს ისინი ინახავდნენ, როგორც ყველაზე მეტად სათაყვანო „სულიერ არსებას". შემდეგში პირველყოფილმა ადამიანმა ისწავლა ცეცხლის მიღება მშრალი, (ჯვრის მსგავსი) ხის ნაპრების გადაჯვარედინებული ხახუნის შედეგად, ამ გზით წარმოქმნილ ნაპერწკლებს კეთილი ღვთაების ჩარევად მიიჩნევდნენ.

«Поэтому нет ничего удивительного в том, что огнетворный инструмент — крест из двух палочек — стал предметом поклонения», აღნიშნულია, და სრულიად სამართლიანადც, პოპულარულ ნაშრომებშიც კი.

დიდი ხნის შემდეგ, როცა ცეცხლის მოპოვების მრავალი საშუალება გაჩნდა, სხვადასხვა ხალხებში, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ცეცხლს, ვითარცა ღმერთს, განსაკუთრებით საზეიმო-სარიტუალო დღეებში, მას აჩენდნენ მხოლოდ ხის ძელების ხახუნით. ასეთი „წმინდა ცეცხლიდან" ანთებდნენ ჭიაკოკონებს სლავიანელები «в ночь Ивана Купалы», ამ „წმინდა" ცეცხლზე გადაახტებოდნენ ვაჟები და ქალები. ორ კოცონს შუა გაატარებდნენ საქონელს, რათა განწმენდილიყვნენ ბოროტი სულებისაგან.

ქრისტიანული ეკლესია ჯვრის თაყვანისცემას უკავშირებს ევანგელისტურ გადმოცემას ჯვრის მსგავს ძელზე ქრისტეს გაკვრის (დამსჯელობის) გამო. ევანგელისტურ გადმოცემას დაემატა სხვა გადმოცემაც. მაგალითად, რომის იმპერატორ კონსტანტინეს, წარმართს, დროშაზე გამოსახული ჯვარი დაეხმარა გადამწყვეტ ბრძოლაში (ეს მეტად გავრცელებული მოდელია ქრისტიანულ მითოლოგიაში). იმპერატორის დედა ელენე გაემგზავრა იერუსალიმში ქრისტეს დასაფლავებულ ადგილას, სასწაულებრივი ჩვენებებით გამოიცნო თუ რომელ ძელზე აწამეს ქრისტე (ქრისტესთან ერთად ორი სხვა დამნაშავეც გააკრეს მათთვის განკუთვნილ ძელებზე).

წმინდა ნინოს მსგავსად, ელენემ «Такой «господний, животворящий» крест был поднят—«воздвигнут» над толпой. В честь этого события церковь установила праздник «Воздвижения креста господня», — აღნიშნულია აგრეთვე ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

ამ ლეგენდაზე არაფერს ამბობს ევსევი კესარიელი, რომელმაც ამ პერიოდის დაწვრილებითი აღწერა დაგვიტოვა.

საერთოდ, ჯვრის ემბლემა კაცობრიობის ადრინდელ რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. ამ პრობლემისადმი საგანგებო შრომებიცაა მიძღვნილი, მაგრამ მათი დაწვრილებითი განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს რუსულ ენაზე 1982 წელს გამოქვეყნებულ „მსოფლიოს ხალხთა მითების" II ტომს (გვ. 12-14), რომელშიაც მსოფლიოში გავრცელებული წარმართული და ქრისტიანული ჯვრების სხვადასხვა სახეობის წარმომავლობისა და მათი მითოლოგიურ-რელიგიური ფუნქციების

შესახებ, კომპლექსური კვლევა-ძიებით მოპოვებული დასკვნებია წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატებსა და ქრისტიანულ ჯვარს წარმომავლობისა და დამკვიდრების თავ-თავიანთი გზა გააჩნიათ. ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების ადრინდელი ფუნქცია და დღევანდელი ვითარებაც, მიუხედავად ქრისტიანული იდეოლოგიის მძლავრი გავლენისა, არ იძლევა არავითარ საფუძველს, რომ ისინი ჩვენ „ქრისტიანობის წიაღში" წარმოშობილად მივიჩნიოთ, როგორც ამას დაეინებით გვთავაზობს ზ. კიკნაძე.

ჩვენს მიერ კონკრეტულად დასმული საკითხიდან თუ ოდნავ გადავუხვევთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების წარმართულ წარმომავლობას მხარს უჭერენ აგრეთვე მუსიკალური და ზეპირსიტყვიერი მასალებიც (მათ შესახებ დაწვრილებით სხვა წერილში გვექნება საუბარი), აშკარა გახდება რამდენად დაუჯერებელია „ქრისტიანობის წიაღში" იმის ძიება, რაც თვით ქრისტიანობას არ შეუქმნია. ეს იმას ნიშნავს, მდინარის სათავე ზღვის შესართავთან ვეძებოთ.

დ. არაყიშვილი, შ. ასლანიშვილი, გ. ჩხიკვაძე და სხვები ერთხმად ალიარებენ, რომ ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა, განსაკუთრებით კი ხევსურეთმა „მხოფლიოში უძველესი მუსიკის მუმიფიცირებული ფორმები, როგორც ცოცხალმა მუზეუმმა, ისე შემოინახა" (შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, თბ., 1956, გვ. 6); გრიგოლ ჩხიკვაძემ მთიელთა საწესჩვეულებო, საკულტო სიმღერების წარმართულ წარმავლობასა და შემდეგში ქრისტიანობის კულტის გადაჯვარედინებას ამ სიმღერების სტრუქტურაში, თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. იგი წერს: „საწესჩვეულებო სიმღერებს შორის, როგორც ფშავ-ხევსურების, ისევე მოხევეთა და მთიულთა მუსიკალურ ფოლკლორში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკულტო სიმღერებს... ქართული მუსიკალური ფოლკლორის ეს ნიმუშები თავისი სიუჟეტით წარმოადგენს უძველესი დროის წარმართული რელიგიის გადმონაშთს, რომელთაც ჩვენამდე ინტონაციურად მეტად შეცვლილი სახით მოაღწიეს. ამ სიმღერებში აშკარად ჩანს ქრისტიანული რელიგიის გადაჯვარედინება წარმართული კულტის წესებთან" (იხ. ქართული ხალხური სიმღერები, I, 1960, გვ. XVIII). ვახტანგ კოტეტიშვილი ასეთ საწესო სიმღერებს „ჰომეროსის ჰიმნების" მსგავსად უძველეს წარმართულ სახატო პრელუდიებად მიიჩნევდა (ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 312).

ფშავ-ხევსურეთის ყოფისა და მათი ზეპირსიტყვიერების მკვლევარი დავით გოგოჭური წერს: „მთაში, განსაკუთრებით კი ხევსურეთში შემონახული ძველი საწესჩვეულებო სიმღერები რომ წარმართულია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს" (მელექსეობა ხევსურეთში, თბ., 1974, გვ. 205). „კვლევა-ძიებამ ის დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ 9-მარცვლიანი ტაეპი მარტო მთიბლურის კუთვნილება როდია... ამავე საზომითაა (5-4) შექმნილი უძველესი წარმართული ქადაგობანი, საერთო ქართულ წარმართულ ღვთაებათა — მზისა და ცისკარ-კვირაეს სადიდებელი ხუცობანი, 9-მარცვალს (მხოლოდ მუხლების ხსვა კომბინაციით (4-5) მოითხოვს აგრეთვე წარმართული ფერხულების რიტმი და სახატო-საგმირო სიმღერების მუსიკის ტაქტი" (იქვე, გვ. 206, ხაზგასმა ჩვენია).

დავით გოგოჭურის მართებული დასკვნით „ხუცობათა ტექსტის პირველი ნაწილი, რომელსაც „პირისჭარს" ვუწოდებთ, აშკარად ატარებს წარმართული სარწმუნოების ელემენტებს. იგი ადიდებს მორიგე ღმერთს, ღვთის მოკარვე კვირიას, ცასა და მზეს. შემდეგ გადადის დარგობრივ თუ სხვა ღვთისშვილის დიდებაზე და, ამრიგად, ხელთ გვეძლევა თავისი შინაარსით სუფთა წარმართული საგალობელი, უძველესი არქაული ლექსიკითა და ფორმემებით" (იქვე, გვ. 216, ხაზგასმა ჩვენია).

დავით გოგოჭური ხაზგასმით მიუთითებს, რომ „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან ხელისუფლება და ქრისტიანული ეკლესია ხაუკუნეთა მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა მთაში შემორჩენილ წარმართულ სარწმუნოებას" (გვ. 223), მაგრამ მთამ, მისმა ხალხმა ის დღემდე „შემოინახა და ფუნქცია შეუნარჩუნა". მონოგრაფიაში მოტანილია იმისი მაგალითები, თუ როგორ უცვლიდა სახეს ქრისტიანული ლიტერატურის გავლენა წარმართულ ტექსტებს. ხუცობათა ერთ ძველ ვარიანტში ასეთი ტაეპია დამოწმებული: „დიდება მზესა, მზის დობილთა" (მზე — წარმართული ქალი მთავარღვთაებაა, რომელსაც დედამიწასთან კავშირი თავისი დობილების მეშვეობით ჰქონდა დამყარებული). ქრისტიანობამ იგი ასე შეცვალა: „დიდება მზესა, მზის მუოლთ ანგელოზთა". ამან გამოიწვია ადრინდელი 9-მარცვლიანი ტაეპის მეტრის დარღვევა (გვ. 224).

ამგვარად, ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების წარმართული წარმომავლობა დასტურდება კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგებით (არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის მონაპოვართა გათვალისწინებით). საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცება, თითქოს, ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები და მათთან დაკავშირებული მითოლოგიური გადმოცემები „ქრისტიანობის წიაღში" იყოს წარმოშობილი, ქართული მასალებით არ დასტურდება.

2. ქართული მითოლოგიის სათავეებთან

იბადება კითხვა: რომელ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებზე დღემდე შემონახული გადმოცემები და რა ტიპოლოგიური მსგავსება გააჩნიათ ამ გადმოცემებს მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგიასთან?

ამჟამად მეცნიერები მითოსური გადმოცემებიდან ცალკე გამოყოფენ საერთაშორისო გავრცელების მემორატულ და ფაბულატურ გადმოცემებს. რუსულ ფოლკლორისტიკაში მემორატულ გადმოცემას შეეხამება „ბილიჩკა", ფაბულატურს — „ბივალშჩინა".

ბილიჩკები (მემორატები) და ბივალშჩინები (ფაბულატები) ზეპირსიტყვიერებაში არაზღაპრული პროზის ისეთივე ჟანრადაა მიჩნეული, როგორც ისტორიული გადმოცემები, ლეგენდები და თქმულებები (ე. ვ. პომერანცევა, მითოლოგიური პერსონაჟები რუსულ ფოლკლორში, მოსკოვი, 1975, გვ. 6).

„დაბალი მითოლოგიის" ეს სპეციფიკური ჟანრები ძალზე ადრინდელ პერიოდშია შექმნილი, რადგან ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კავშირს რელიგიურ რწმენებთან და, რაც მთავარია, მითოსურ-რელიგიური პერსონაჟები მკაცრი ეთნოგრაფიული კონკრეტულობით არიან წარმოსახულნი.

მემორატებისა და ფაბულატების ტიპის გადმოცემების შესწავლას ამ უკანასკნელ წლებში საგანგებო ყურადღება ექცევა მსოფლიო მასშტაბით. 1957 წელს დაარსდა სპეციალური ჟურნალი „ფაბულა" («Fabula», რედაქტორი — კურტ რანკე). 1978 წელს ფრეიბერგში (გფრ) შედგა საერთაშორისო თათბირი, რომელიც მიეძღვნა ზეპირი არაზღაპრული პროზის პრობლემების შესწავლას. ფრეიბერგის უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური კომისია პროფ. ლ. რერიხის ხელმძღვანელობით მემორატებისა და ფაბულატების საერთაშორისო მასშტაბებით შესწავლის მიზნით. რუსმა ფოლკლორისტებმა უკანასკნელი წლების ექსპედიციების დროს დიდძალი (ათასობით) „ბილიჩკები" (მემორატები) და „ბივალშჩინები" (ფაბულატები) ჩაიწერეს. ქართულ ფოლკლორისტიკაში ამ მიმართულებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს მიერ შეკრებილ დღემდე გამოუქვეყნებელ მასალებს, ბევრი არაფერი გაკეთებულა. აშკარა ჩამორჩენა გვაქვს. თანაც, ეს საქმე მეტად საშურია, რადგან აღნიშნული ჟანრის ტიპიური მთქმელები ცოტაღა შემოგვრჩა.

მემორატის (ბილიჩკის) და ფაბულატის (ბივალშჩინები) ქართული შესატყვისი ტერმინი არ გაგვაჩნია. იმის გამო, რომ მსოფლიოში გავრცელებულია „მემორატი" და „ფაბულატი", ამ ტიპის გადმოცემების აღსანიშნავად ჩვენც ეს ტერმინი უნდა გამოვიყენოთ.

მემორატულ გადმოცემაში ზებუნებრივ ძალებთან შეხვედრა არ არის გართულებული. იგი ერთპლანიანია, მაგალითად, ფშავ-ხევსურული და სვანური მემორატული გადმოცემები, თითქოს, გვიდასტურებენ, რომ დევი თავის ავადმყოფ ბავშვს ცვლიდა გლეხის ჯანსაღ ბავშვზე, ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, რომ ბავშვის მშობლები ვერც კი გებულობდნენ. ერთ-ერთი მემორატის მთქმელი ფუძის ანგელოზს ასე ახასიათებს: „ფუძის ანგელოზი ახალგაზრდა, უმწიკვლო ქალის სახით იმყოფება ოჯახში. მისი თვალით დანახვა არ შეიძლება, მაგრამ, მას შეუძლია მიიღოს კარის მეზობლის ქალიშვილის სახე და ისე გეჩვენოს... მე ბევრჯერ ჩემი ფუძის ანგელოზი მეზობლის — დიმიტრის ქალიშვილის სახით გამომცხადებია, ხშირად დავლაპარაკებივარ, მაგრამ მომიხედავს და გამჭრალაო" (ფ. არჭ. ქ. 332, გვ. 142).

როცა მემორატში რამდენიმე ეპიზოდი ჩნდება და მდგომარეობაც რთულდება, იგი გადადის ფაბულატში — ბივალშჩინად ან ზღაპრად იქცევა (ე. პომერანცევა, დასახ. წიგნი, გვ. 25).

ბივალშჩინის (ფაბულატის) ნიმუში ასეთია: „მათურხევს ცოდნიათ ფშავის ხევის ღვთიშვილებს შეკრება... წახულან სალაშქროდ... იახსარს რგებია ცოდვიან ტბაზე წასვლა. დევები ყოფილან იქა. ყველა დაბრუნებულა და იახსარი არ მოსულა ლაშქრობიდან. მერე მოსულა — დაგვიანებით. უკითხავთ: სად იყავიო. იმას უთქვამს: „ქალი ამოვიდა ტბიდან, ისეთი მშვენიერი იყოო, ხამჯერ გადაუდევ ისარი და ვერ ვესროლე, ვერ გავიმეტეო. მერე ხაყვედური უთქვიათ ღვთისშვილებს, რატომ არ ესროლე, ის ხომ ეშმაკისა იყოო" (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 48).

ამგვარი მემორატები და ფაბულატები არაზღაპრული პროზის ისეთი ჟანრებია, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ისტორიული გადმოცემებისაგან (მათ შორის ანდრეზებისაგან), ლეგენდებისა და თქმულებებისაგან. მემორატებსა და ფაბულატებში მთავარი ყურადღება ექცევა არა თხრობის ესთეტიკურ მხარეს, არამედ გასაკვირველი, არაჩვეულებრივი ამბავის გადმოცემას, ამიტომ ლ. რერიხის თქმით, მათ არა აქვთ „საკუთარი განსაკუთრებული სტილი, ე. ი. არა აქვთ მყარი ჟანრობრივი ნიშანი". ზებუნებრივი, გასაკვირველი ამბავი აღიქმება, როგორც რეალური, როგორც „უტყუარი ფაქტი" (კურტ-რანკე).

სხვადასხვა ქვეყნის მემორატული და ფაბულატური გადმოცემები ხაოცრად ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ და, მიუხედავად ადგილობრივი ეთნოგრაფიული ყოფით უხვად შეფერილობისა, „ზღაპრებზე მეტად ინტერნაციონალურნი არიან" (ე. პომერანცევა, დასახ. შრომა, გვ. 27).

ჩვენს მიერ საქართველოს რეგიონებში (მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში) ჩაწერილი

მემორატულ-ფაბულატური გადმოცემები ერთმანეთთან ხოცარ ტიპოლოგიურ-გენეტიკურ მსგავსებას ამჟღავნებენ, ამასთან, ზღაპრების მსგავსად, მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგიურ გადმოცემებში პოულობენ ტიპოლოგიურ პარალელებს.

ხვან მონადირეებს უხდებათ შეხვედრები მაქცია დალთან (გამოქვაბულში იგი მეზობელი კაცის ან ქალის სახით (აღით) ევლინება მონადირეს); მესეფები, ტყაშმაფები და ოჩოკოჩები საკვირველ ურთიერთობას ამყარებენ მეგრელ მონადირეებთან და მწყემსებთან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში ვხვდებით „ჯიხვთა მწყემსას“, რომელიც ჯიხვების მფარველი, საფარველდებული (თვალისაგან უხილავი) ლამაზი ქალის სახითაა წარმოდგენილი. ასევე საინტერესოა დალის, ხამძღვარის, კოპალასა და იახსრის, თერგვაულისა და შუბნურის, ქაჯების, ეთნოგრაფიულ ლოკალში ჩაბედილი დევების — გამხვეურას, ავთანდილის, მუზასა და სხვათა საკვირველი, „ნამდვილი“ თავგადასავალი. ესაა ქართული მითოლოგიური პანთეონის სათავეები, რომლის შემდეგ თანდათან იკვეთება მატრიარქატისა (დალისა) და პატრიარქატის (ამირანის) გლობალური მითოსური სახეები, რომლებიც შორდებიან კონკრეტულ ეთნოგრაფიულ ლოკალს და ზოგადქართულ პანთეონში იმკვიდრებენ თავიანთ ადგილს.

„დაბალი მითოლოგიის“ პერსონაჟები ეიპით არიან მიკრულნი რელიგიურ წარმოდგენებთან, რწმენებთან, გარკვეულ ეთნოგრაფიულ ლოკალთან. ეს პერსონაჟები ზღაპრებში „კავშირს წყვეტენ რწმენასთან და სხვა სახის თხრობის ყალიბში ექცევიან“. მათი ასეთი ტრანსფორმაცია (გასართობი ზღაპრის პერსონაჟად ქცევა) მოითხოვს „ხანგრძლივ, რთულ და მრავალსახოვან პროცესს“ (ე. პომერანცევას დასახ. შრომა, გვ. 151). ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ყოფაში დღემდე შემონახულ „დაბალი მითოლოგიის“ ისეთ პერსონაჟებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ კავშირი არ გაუწყვეტიათ რელიგიურ რწმენებთან და ეთნოგრაფიული კონკრეტულობით სახასათდებიან, ადამიანებთან გვერდი-გვერდით ცხოვრობენ. ხწორად შენიშნავს თინათინ ოჩიაური, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიურ წარმოდგენაში „მითი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი რელიგიისაგან... ამდენად მისი შექმნის პროცესზე დაკვირვება, ცოცხალ სინამდვილეში მისი ელემენტების დაჭერა, უსათუოდ მნიშვნელოვანია ზოგადად მითების წარმოშობის პრობლემის თვალსაზრისით“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 7). ჩვენს ერთ-ერთ ადრინდელ შრომაში ვწერდით: „მითოლოგიურ გადმოცემებში ამბავის „მკაცრმა ნამდვილობამ“, მისმა ეთნოგრაფიულმა კონკრეტულობამ მკვლევარი არამც და არამც შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს და არ მიიჩნიოს მითოსური არსებანი კონკრეტულ, თუნდაც, ოდესღაც არსებულ რეალურ პირებად (ვგულისხმობთ ღვთისშვილების კოპალასა და იახსრის ბრძოლას დევებთან, მონადირეების „საქმეთა“ ურთიერთობას ტყის კაცებთან (ოჩოკოჩ-ოჩოპინტრესთან), დალ-ტყაშმაფა-მესეფეებთან“ (ეპიკური ჟანრები, თბ., 1981, გვ. 92).

მემორატული და ფაბულატური გადმოცემები განიცდებოდა ოდესღაც მომხდარ ნამდვილ ამბად. ამ შემთხვევაში მთქმელსა და მსმენელს აინტერესებს არა თხრობის (გადმოცემის) ოსტატობა, სიუჟეტური წიაღსვლები, არამედ გასაკვირი, ხოცარი ამბავის ნამდვილობა.

ფშავ-ხევსურეთში შემონახული გადმოცემები — ჭვარ-ხატების (ე. ი. ღვთისშვილების) ბრძოლა დევ-კერპების წინააღმდეგ, ხცილდება მემორატის ფარგლებს და ფაბულატში გადადის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი კვლავ ინარჩუნებს ეთნოგრაფიულ კონკრეტულობას.

მკვლევარი ზურაბ კიკნაძე ხწორად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ღვთისშვილთა მიერ დევ-კერპების განდევნა, შემდეგ კი კულტურულ ფასეულობათა ეტალონების მოპოვება და მათი დანაწილება, კოსმოგონიური ქმედებაა. ასეთი ქმედება, მკვლევარის აზრით, „გაცნობიერებულად და გააზრებულად არის წარმოდგენილი არა საერთო ქართულ, არამედ ადგილობრივ (ფშავ-ხევსურულ) ანდრეზულ მახალებში“ (ქართული კოსმოგონიური მითოსი, ხაქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო ხაბჭოს XIX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენების თეზისები, 1980, გვ. 44). ამ უკანასკნელ განცხადებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი კოსმოგონიური ქმედება უეჭველად დასტურდება და იგი ჩვენ ზოგადქართულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

სამეგრელოს ყოფაში ჩვენ დავადასტურეთ დევ-კერპების წინააღმდეგ მებრძოლი ალარტის ხატი, რომელიც შემდეგ დამკვიდრდა გარკვეულ ტერიტორიაზე და, ტრანსფორმაციის გზით, ალერტის წმინდა გიორგის სალოცავად იქცა (ეპიკური ჟანრები, თბ., 1981, გვ. 101). თვით წმინდა გიორგი კი, როგორც ამის თაობაზე თ. სახოკია გადმოგვცემს („ეთნოგრაფიული ნაწერები“, 1956 წ.), იახსარ-კოპალეს მსგავსად, დევებს მეხს უშენს და ამ ხაშინელი არსებისაგან ათავისუფლებს ადამიანთა ხაარსებო ტერიტორიებს. თუ ფშავ-ხევსურეთში დევები გამიწრივლდნენ (მიწის ქვეშ მიიმალნენ), დასავლეთ საქართველოში ისინი ზღვის ფსკერს მიეფარნენ, მათ უფლება არა აქვთ ზღვიდან თავი ამოჰყონ. წმინდა გიორგის ბრძოლა დევების წინააღმდეგ ტიპოლოგიურად მსგავსია მითრასა და ზოროასტრის მიერ ჩატარებული ბრძოლებისა, რის შედეგადაც მათ ირანელებს ხაშინელი ბოროტი ძალები მოაშორეს, მიწისქვეშ განდევნეს.

კოსმოგონიური მითები არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო ქართული და, ტიპოლოგიურად, ზოგადკაცობრიული ახეიქტების შემცველია.

დევი (ირანული Devi) ინდურ მითოლოგიაში ღმერთ შივას ცოლია. დევის კულტი მომდინარეობს ღ მ ერ თ ე ბ ი ს დ ე დ ი ს (დიდი დედის) უძველესი კულტიდან. იგი „ხინათლის ღმერთადაც" იყო მიჩნეული. მ ი თ რ ა ს რელიგიაში დევი (daivas) გაგებული იყო, როგორც ბოროტი არსება. ზ ო რ ო ა ს ტ რ ი დაუპირისპირდა დევს და დასახა ბოროტების ხიმბოლოდ. ათასობით ისრებითა და რკინის იარაღებით აღჭურვილი ზოროასტრი თავის ხიბრძოლო ეტლით მისდევდა და ხოცავდა მათ. „ხაზინელებით შეპყრობილი დევები გარბოდნენ მის წინ" (ვსარგებლობ სერგი სერებრიაკოვის 1977 წელს დაწერილი ნაშრომით — „აღმოსავლური დემონოლოგია და „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი პერსონაჟის საკითხი". ავტორი ემყარება და ვრცლად იმოწმებს არტურ ქრისტენსენის მიერ 1941 წელს კოპენჰაგენში ფრანგულ ენაზე დაბეჭდილ წიგნს — „ნარკვევები ირანულ დემონოლოგიაზე". შრომა დაწერილია რუსულ ენაზე და გადაბეჭდილი სახით ინახება შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, გვ. 19). ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების (ღვთისშვილების) მსგავსად ზოროასტრმაც აიძულა დედამიწაზე მოარული დევები „მიწის ქვეშ მიმალულიყვნენ". ზოროასტრის შემდეგ ირანში, როგორც ჯვარ-ხატებისა და წმინდა გიორგის შემდეგ საქართველოში, დევები „არ ჩნდებოდნენ დედამიწაზე დასაბამი ფორმით" (იქვე, გვ. 25). ზოგიერთი დევი ირანში, როგორც ფშავ-ხევსურული ბელელა, გამხვეურა, ავთანდილი, მუზა და სხვა, საკუთარი სახელითაა ცნობილი (იქვე, გვ. 47). აქაც, როგორც ფშავ-ხევსურეთში, დევები და ადამიანები გვერდი-გვერდით ცხოვრობდნენ.

ფშავ-ხევსურეთის გადმოცემების მიხედვით, იახსარსა და ხ მ ა ლ ა ს (კოპალას ძმობილს) მომხიბვლელი დევის ქალები ევლინებიან ადამიანის სახით (ა ღ ი თ). ასეთი მაქციობა ახასიათებს ირანულ დევებსაც. როგორც ფშავ-ხევსურეთის დევ-ქაჯები ქ ა ჯ ა ვ ე თ შ ი (ხთონურ სამყაროში), ისევე ირანული დევებიც მიწისქვეშ ამზადებენ ჯადოსნურ ისარს, რომლის მომპოვებელი გმირი (ღვთისშვილი თუ სხვა) უძლეველი ხდება. როგორც ქართული, ისე სპარსული გადმოცემებით, დევები აკეთებენ იმის საწინააღმდეგოს, რასაც სთხოვენ. როსტომს ზღვაში უნდოდა ჩავარდნა და დევს სთხოვა — მთაზე დამაგდეო.

ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები (ღვთისშვილები), ზოგჯერ, ადამიანთა მონაწილეობით (გახუა მეგრელაური, ადონათ მინდია და სხვ.) აწარმოებენ ლაშქრობას ქაჯავეთის წინააღმდეგ, საიდანაც თვალ-მარგალიტები, სამეფოლოში გაკეთებული ქუროემული (გრდემლი), ხახრევი, ხაწყაო, სამართებელი, ოქროს ძალიანი (ხიმიანი) ფანდური და სხვა კულტურული ფახეულობანი გამოაქვთ. ტიპოლოგიური ვითარებაა ირანულ მითებშიც, ირანში ჯიმშედის მეფობის პერიოდში სწარმოებდა ომი ეშმაკებთან. ომის მიზანი იყო ეშმაკეულთა ფახეულობების მოპოვება და მათი ხალხისათვის დანაწილება. ეშმაკეულთა სამყოფელიდან (ზღვიდან, მთებიდან, გამოქვაბულებიდან, უდაბნოებიდან) წამოიღეს ყოველივე ის, რაც ადამიანებს სჭირდებოდათ — ოქრო, ვერცხლი, მინერალები, კეთილსურნელოვანი სამკურნალო წამლები და სხვა (ს. ხერებრიაკოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 90-91). ქართულ მითოლოგიაში ცნობილია მოტივი იმის თაობაზე, რომ დევს, ოჩოკოჩს, ქაჯს ადამიანმა მეორეჯერ არ უნდა დაარტყას და არც ეხროლოს, რადგან ეს გამოიწვევს პირველად დარტყმულის ან ნახროლის უვნებელყოფას. სპარსული გადმოცემის მიხედვით, ერთი დევი, რომელიც სახიკვდილოდაა განწირული, მეტოქეს ეხვეწება კიდევ დაარტყას (გაიმეოროს), „გმირმა იცის, რომ თუ მეორეჯერ დაარტყა, დევს თავის ძალა დაუბრუნდება" (იქვე, გვ. 102). ტიპოლოგიურია დევებისა და ქაჯების მიერ ბავშვების მოტაცების, მათი შეცვლის ამბავიც. სვანეთში დევების მიერ შეცვლილ ბავშვს „ნაცადუს" ეძახიან. „ჯ ი ნ ე ბ ი ც იტაცებენ ბავშვებს, ან საკუთარში ცვლიან".

ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატები ხშირად აწყობენ ლაშქრობას ქ ა ჯ ა ვ ე თ შ ი. ქაჯავეთი ქაჯების საცხოვრებელი ადგილია. ქ ა ჯ ი სომხურ მითოლოგიაში მიჩნეულია ქარისა და გრიგალის სულად. ზოგჯერ მას აიგივებენ ბოროტ სულთან—ვეშაპთან და სხვებთან. გვიანდელ მითებში (ქრისტიანულში) ქაჯს ადამიანური წარმომავლობა აქვს („ვეფხისტყაოსნის" ქაჯების ერთი ნაწილი სწორედ ასეთებია). ისინი ცხოვრობენ მაღალ და პიტალო მთებში, მღვიმეებში, ღრმა ხევებში, აქვთ იქ სახასლეები. ზოგჯერ ქაჯი ადამიანს, როგორც სვან მონადირეს ფალი, ნაცნობი მეგობრის სახით ევლინება, გზას უბნევს, მიმყავს ტყეში ან კლდეზე და ღუპავს მას. იტაცებენ აკვნიდან ბავშვებს, როგორც ამას სვანეთში აკეთებენ დევები და ცვლიან თავიანთ ავადმყოფ შვილებზე (მსოფლიოს ხალხთა მითები, მოსკოვი, I ნაწ. 1980, გვ. 607). ქაჯები, მეგრული მ ე ს ე ფ ე ბ ი ს მსგავსად, წვეულების, ქორწილის დროს კლავენ ხარს, ხორცს შეჭამენ, ძვლებს ტყავში ჩააწყობენ და ხელახლა აცოცხლებენ, ოღონდ გაცოცხლებულ ხარს ერთი ფეხი პარალიზებული აქვს, თურმე, ვიღაც მოპატიჟებულს ფეხის ძვალი მოუპარავს (იხ. ს. ხერებრიაკოვის შრომა, გვ. 114. შდრ. ვაჟა-ფშაველას „ხის ბეჭი").

ამგვარ მემორატულ და ფაბულატურ გადმოცემებს, რომლებსაც უაღრესად მყარი მოდელები გააჩნიათ, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ

ზოგადი მითოლოგიის აქტუალური პრობლემატიკის გახარკვევად და დასადგენად.

„დაბალი მითოლოგიის" მემორატები და ფაბულატები (და არა ანდრეზები), შემდეგში, „მაღალი-მითოლოგიის" ღვთაებათა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ხიუეტურ სტრუქტურაში პოულობენ თავიანთ კუთვნილ ადგილს, როგორც ამ სტრუქტურის აუცილებელი ასპექტები.

* *

ვერა ბარდაველიძემ დაადგინა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმართულ პანთეონში ღვთაებათა ორი ჯგუფი არსებობდა: ერთი — ყველასათვის საერთო, მეორე კი — ადგილობრივი; ყველასათვის საერთო იყო: მ ო რ ი გ ე ღ მ ე რ თ ი, ღ მ ე რ თ ი მ ზ ე (მზე ქალი ანუ „დღე დღესინდელი") და კ ვ ი რ ი ა. „ესენი შეადგენდნენ ღვთაებათა სამეულს (ტრიადას) და ეკავათ პირველი ადგილი პანთეონში" (ვ. ბარდაველიძე, ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება, რუსულ ენაზე, თბ., 1957, გვ. 2).

ადგილობრივი ღვთაებები იყვნენ ლაშარის ჯვარი (ფშავში), გუდანის ჯვარი (ხევსურეთში), სამება ანუ სამების ხატი (მოხევეებში), ლომისის ხატი (მთიულეთ-გუდამაყარში) და სხვ. ადგილობრივ ღვთაებების საგამგებლოში საგვარეულო და სათემო ღვთაებებიც იყვნენ, ანუ, მაგალითად, საერთო საფშავლო ლაშარის ჯვრის საგამგებლოში შემოდიოდნენ: წყაროსთაულის ხატი, პირქუშის ხატი, თამარ აქიმ დედოფალი, პირცეცხლის ხატი, იახსრის ხატი, კოპალას ხატი და სხვ. გუდანის ჯვრისაში კი — სამგანძურო, გიორგი ხმელისგორის ჯვარი, კოპალა კარატის ჯვარი, არხოტის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, ანატორის ჯვარი, კვირაეს ჯვარი და სხვ. აქ დასახელებული „ჯვარი" და „ხატი" ხინონიმებია და ნიშნავს სალოცავს, როგორც სამეგრელოში „ოხვამე". წარმართული „ოხვამე" — „სალოცავი", როგორც სვანური „ლაკვამ", ვერ განდევნა ქრისტიანობამ და დღესაც ამ სიტყვითაა სახელდებული სამეგრელოსა და სვანეთში ქრისტეს კულტის მთავარი ატრიბუტი — ეკლესია. ვერა ბარდაველიძე როცა პირველყოფილი საგვარეულო და სამხედრო დემოკრატიის პერიოდში ჩამოყალიბებულ ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატებზე (ღვთისშვილებზე) მსჯელობს, მას აზრადაც არ მოსვლია ეს სალოცავები ქრისტიანობის შემდგომი პერიოდის, „ქართლის მოქცევის" ვარიანტებად წარმოესახა, როგორც ამას პატივცემული ზურაბ კიკნაძე გვთავაზობს თავის ერთ-ერთ წერილში („მაცნე" № 1, 1982).

მეგრულ-სვანური „ოხვამე" — „ლაკვამი", რომელიც წარმართული სალოცავის სახელდებაა, შემდეგში ქრისტიანული „ეკლესიის" სახელდების მიმართაც იქნა გამოყენებული. ასეთივე ვითარება გვაქვს ქრისტიანული „აღდგომის" სანაცვლო ტერმინ „თანაფასთანაც". მეგრულ-სვანური წარმართული „თანაფა" — „თანაფ" (თენება, ღამის თევა) ვერ განდევნა ქრისტიანულმა აღდგომამ და დღესაც ორივეგან მხოლოდ „თანაფას" ამბობენ. ამდენად, „ოხვამე" — („ლაკვამ") და „თანაფა" — („თანაფ") გულისხმობს, როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ სალოცავებსა და დღესასწაულებს. ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების (სათაყვანო ძელ-ხეების) ადრინდელი ფუნქცია წარმართულია და შემდგომში იგი ქრისტიანული კულტების მიმართაც იქნა გამოყენებული.

წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაებაა მ ო რ ი გ ე ღ მ ე რ თ ი, რომლის საბრძანისი მეშვიდე ცაზე იყო, განაგებდა ღვთისშვილების მოქმედებას დედამიწაზე, ამ საქმეში მას ეხმარებოდა კვირია და სხვა ღვთაებებიც. ჯვარ-ხატების (ღვთისშვილების) ბრძოლა დევ-კერპების წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიული კონკრეტულობით არის განსაზღვრული, რაც მითოსურ-რელიგიური წარმოდგენების მკაცრ „ნამდვილობაზე" მიუთითებს. მითოსმქმნელს სწამდა, რომ დევები ფშავ-ხევსურეთის კონკრეტულ ადგილებში სახლობდნენ. მათ სახელებიც ერქვათ, ჯვარ-ხატებიც კონკრეტული პირები იყვნენ, გარკვეულ ადგილებში ცხოვრობდნენ, შემდეგში საკუთარ კულტსაც (სალოცავ ადგილს) აარსებენ.

ბერძენთა ოლიმპოს მთის მსგავსად, გერგეტის მთა ქართველთა წარმართული ღვთაების პირველი საბრძანისი იყო. სწორედ აქ დაამინავა მორიგე ღმერთმა ღვთისშვილები, — როცა ესენი ციდან გადმოუშვა (შდრ. თამაზ ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, 1971, გვ. 50). მათ დაიწყეს მზადება დევებთან საბრძოლველად. მორიგე ღმერთმა კარატის ჯვარს საგმირო ლახტი მისცა, სადაც ამ ლახტს დაჭრავდა, ცეცხლი ჩნდებოდა და ყველაფერს სპობდა (თ. ოჩიაურის დასახ. წიგნი, გვ. 156-157). ბოლოს მორიგე ღმერთმა ნება მისცა ჯვარ-ხატებს (ღვთისშვილებს) დაეწყოთ ბრძოლა დევების წინააღმდეგ. გერგეტის მთაზე ჩამოსული კოპალა შემდეგში „ფშავის მთაზე, უ ძ ლ ი ა ო ს ო ი ს თ ა ვ ს, ი რ ე მ თ ქ ა ლ ო ს რომ ეძახიან, იქ დაარსდა (დაივანა) და ადევნებდა თვალ-ყურს სად იქნებოდა ბრძოლა საჭირო დევებთან" (იქვე). „ქართულ მითოლოგიაში ღმერთთა საცხოვრისი გერგეტ-მყინვარია, რომლის ქვეშ ამირანი იქნა მიჯაჭვული. მაშასადამე, ბერძნული ოლიმპოს მოვალეობას მყინვარ-გერგეტი ასრულებდა. ამ ადგილებში დღემდე შემორჩენილია მრავალი საკულტო ობიექტი, ქრისტიანული ბეთლემისა და გერგეტის სამების ტაძრის ჩათვლით" (მის. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 174). მყინვარ-გერგეტის წმინდა მთას კოსმიური ღერძის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. ასეთი ფუნქციით იყო აღჭურვილი აგრეთვე ლაშარის გორზე მდგარი მუხა („ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა, გორაზე მედგა

ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა"). ქართული სკნელი (ქვეყანა) განლაგებულია ვერტიკალურად. ზესკნელი დანახლებულია ღმერთებით, ფანტასტიკური არსებებით; შუა სკნელი — ადამიანებით, ცხოველებითა და მცენარეებით, ქვესკნელი — გარდაცვლილთა სულებით, ბოროტური არსებებით — დევებით, დრაკონებით, ღრმა მდინარეებით (მსოფლიოს ხალხთა მითები, ნ. I, მოსკოვი, 1980, გვ. 603). გარდა კოსმიური ღერძებისა — მთების, ხეების, კოშკების, კიბეების თუ შიბებისა (ჯაჭვებისა), სკნელთა მაკავშირებელ საშუალებად გამოყენებულია სახწაულმოქმედი ცხოველები, ფრინველები, ფანტასტიკური არსებები — დევები, ქაჯები და ა. შ.

ქართული ღმერთი (ნ. მარი „ღმერთ" სიტყვას „ღამესთან" აკავშირებს: ღმერ//ღამე, ხალმრთო//ხალმთო) მამად ითვლებოდა, სათემო — სატომო ღვთაებები კი მის შვილებად, შესაბამისად მათ „ღვთისშვილებს" უწოდებდნენ (მსგავსად „გვარის შვილისა", „ხახლის შვილისა"). ღვთისშვილები ერთმანეთის მიმართ „მოდე-მოძმეები" იყვნენ. მზე ღმერთის (მზე-ქალის) გუნდის წევრები პერსონიფიცირებული იყო „დიბილების" სახით (ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114).

სხვადასხვა საშუალებებით ღვთისშვილების ზესკნელ-ქვესკნელში მოგზაურობას მრავალი ტიპოლოგია ეძებნება სხვა ხალხთა მითოლოგიაში. ღმერთკაცი გილგამეში მაშუს მთის ხოროვნური გვირაბის გავლით ეშვება ზღვის შუაგულში და იქიდან ამოაქვს უკვდავების მომნიჭებელი ბალახი. გილგამეშისა და ენქიდუს მსგავსად, ღვთისშვილები ამარცხებენ ბოროტ ძალებს და ადამიანებს დაუსაზღვრავენ სახიცოცხლო-საარსებო ტერიტორიებს.

ჩინური მითოლოგიის მიხედვით, ღმერთის შვილი ფუ-სი კიბით ადიოდა ზეცაში, ასეთ კიბეს ანსახიერებდა კიბე — მთა და კიბე — ხე. შამანები, ქართული ღვთისშვილების მსგავსად, დანბაოშანის მთიდან პირდაპირ ადიოდნენ ცის სასახლეში (შდ. ქართული „ღვთისკარი"). ასეთი მთები სხვაგანაც იყო. მხოლოდ ერთი ხე — ცზიანმუ (შდრ. ქართული ხმელ გორზე მდგარ ბერმუხას) ბოლომდე წვდებოდა ცას. იგი იდგა ცისა და მიწის ცენტრში. ქართული ღვთის კარზე ამოსული ალვის ხის მსგავსად („ჩვენი ბატონის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო") ცზიანმუც ბადის შუა ადგილას იყო ამოზრდილი (იუნ კე, ძველი ჩინური მითები, მოსკოვი, 1965, გვ. 54, 57). ღმერთის შვილი ფუ-სი პირველი ავიდა ამ ხის კიბით ცაზე.

ფშავ-ხევსურეთის ღვთისშვილების მიერ დევკერპების განდევნის ამბავს მრავალი ტიპოლოგიური პარალელი ეძებნება. მთავარი, რაც ამ გადმოცემებში ჩვენს ყურადღებას იქცევს, ისაა, რომ მას საკუთარი ეანრობრივი სპეციფიკა ახასიათებს. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაა ანდრეზი, არც ლეგენდა, არც ოქმულება და არც ზღაპარი. ეს გადმოცემები მემორატები და ფაბულატებია. აქ მითოსური სინამდვილე მკაცრი ეთნოგრაფიული კონკრეტულობითაა ნაჩვენები. საკვირველი ამბავი მითოსმკვლელისთვის ნამდვილია. ასე, მაგალითად: იახსარი დარაჯობდა ერთ დიდსა და მდიდარ დევს გამხვეურას... შუაფხოდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, დასავლეთ მხარეს იახსრის ბინა იყო. გამხვეურასა და მის პირდაპირ მოახლე დევებს ფაცერი ჰქონდათ გაბმული. ფშავის არაგვის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჭერდნენ და ჭამდნენ. ან კიდევ: ხაშარს (ადგილის სახელია) სახელგანთქმული დევები — მუზა და ბეღელა ცხოვრობდნენ... სოფ. უძილაურთას... მთაზე დიდი მოედანია, რომელსაც ირემთ კალო ჰქვია... სახელგანთქმული დევები დაბარებულები იყვნენ იქ... ირემთ კალოზე სიპი ქვები დააზღვავეს ღვთისშვილებმა, რათა დევებთან ბრძოლის დროს ქვეყანა (დედამიწა) „არ ჩაბრუნვილიყო" (არ ჩაქცეულიყო, შდრ. „ამირან დევი შეიბნენ, მიწა და მყარი ხვიოდა"). იახსარმა ყველა დევი ამოწყვიტა — „ულ ამოწყვიტა ყველა დევი" (თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 143, 145). ღვთისშვილები და ამირანი ბოროტურ ძალებს — დევ-ქაჯებს მთლიანად სპობენ. მათი დამორჩილება, გადმობირება ან მოსყიდვა არ შეიძლება. ეს მითოსური ობიექტი მეტაფორიზებულია ვეფხისტყაოსანში („მტერნი (ქაჯები, ა. ც.) სრულად აეწყვიდნეს, ხისლი მათნი მოეღვარნეს"). ერთ-ერთი გადმოცემით, „ხახმატი, გუდანი, კოპალა გერგეტის წვერიდან გადმოეშვნენ. გუდანისთვის სანების წვერი მიუციათ (მიულოცავთ), კოპალასთვის ნახალის წვერი... კაწალხევს წყალი რომ გადმოდის, იმას დევის საფლავს ეძახიან... წამოსულა კოპალა დევებთან ხომრად. სადაც კი შეხვდა არაგვზედ დევი — ყველა მოუკლავს... ზეპირად (მიწაზე, მიწის ზემოთ) გაუთავებია (მოუსრია) დევები... გადარჩენილები სულებად ქცეულან, მანამდე კი ხორციელები იყვნენ (თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 164-165).

სხვა გადმოცემის მიხედვით, „აქვე ახლოს მიგრიაულთის გორის ბოლოს დევებს ჰქონდათ დიდი ოჯახი და ციხე-სიმაგრე. კოპალამ რომ მუზა და ავთანდილი დახოცა, მათი მთავარი ფალავნები და ხაზრელი ბეღელა იახსარმა მოკლა. ახლა კოპალა ამ დევების ოჯახის ამოსაწყვეტად გაეშურა... შეურჩია დრო, როცა ყველანი ერთად შეკუჭრნენ, აიმაღლა საგმირო და ყველანი ამოწყვიტა" (თ. ოჩიაურის დასახ. წიგნი, გვ. 155).

როგორც ვხედავთ, ჯვარ-ხატებისა და დევკერპების სამოქმედო არეალი, ურთიერთ ბრძოლის ასპარეზი, უალრესად ლოკალიზებულია, ეთნოგრაფიული კონკრეტულობის დამლითა

აღბეჭდილი. იგი მემორატებისა და ფაბულატების ფარგლებს არ სცილდება. ზებუნებრივი ძალების ასე რეალისტურად წარმოსახვა მითოსური აზროვნების გარკვეული საფეხურის მაჩვენებელია და ტიპოლოგიურად მსგავსია მსოფლიოს სხვა ხალხთა წარმოდგენებისა.

მითოსური მოდელის მიხედვით, განძი (ოქრო-ვარცხლი, მარგალიტები) და სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღები ხთონური, ბოროტი (ეშმაკეული) ძალების კუთვნილებაა. ისინი ფლობენ მიწისქვეშ დახვავებულ მითოსურ განძსა და ამზადებენ სასწაულმოქმედ საბრძოლო იარაღებს. „კულტურული გმირები" (ღვთისშვილები, ღვთაებები) დიდი ბრძოლით ახერხებენ ეშმაკეულთა ქვეყნიდან მათ წამოღებას. ადამიანებს უნაწილებენ კულტურულ ფასეულობათა ამ ეტალონებს და ამით ერთ-ერთ კოსმოგონიურ ქმედებას ასრულებენ.

ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატებს კულტურულ ფასეულობათა ეტალონებით გამოაქვთ ქაჯავეთიდან (ხთონურ, ეშმაკეულთა სამყაროდან). ტიპოლოგიური ვითარება გვაქვს ხანდინავური მითოლოგიური გადმოცემების უძველეს წარმართულ ვერსიებში („უფროსი ედა", თბ., 1971, გვ. 12, 32, 43), რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ნიბელუნგების ეპოსს. როგორც ედაში, აქაც ბრძოლა წარმოებს მიწისქვეშა სამეფოს ზღაპრული განძის მოპოვებისათვის. თვით „ნიბელუნგები („ნიფლუნგარ")... ქვესკნელის წიაღიდან ამოზიდული განძის მფლობელებს" ეწოდათ („სიმღერა ნიბელუნგებზე", თბ., 1982, გვ. 6, 7). როგორც ზემოთ ვნახეთ, მსგავსი ბრძოლები სწარმოებდა ირანულ მითოლოგიურ გადმოცემებშიც. ამგვარად, ფ შ ა ვ-ხ ე ვ ს უ რ ე თ ი ს ჯ ვ ა რ-ხ ა ტ ებ ი ს ქ ა ჯ ა ვ ე თ შ ი ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს მ ი თ ო ს უ რ ა მ ბ ა ვ ს ი ხ ე ვ ქ ა რ თ უ ლ ი მ ი თ ო ლ ო გ ი ი ს ს ა თ ა ვ ე ებ თ ან მ ი ვ ყ ე ვ ა რ თ.

ჯვარ-ხატები (ღვთისშვილები) ძალიან ბევრია ფშავ-ხევსურეთში. ამ ბოლო ხანებში გამოვლინდა ორი მეტად ძლიერი ახალი ღვთისშვილი, ერთია ბერი ბუქნაი ბაადური და მეორე — თეთრი მთის ქორი თერგვაული (მიხ. ჩიქოვანი. თეთრი მთის ქორი თერგვაული, იხ. სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბ., 1977, გვ. 79). მართლაც, თეთრი მთის ქორი თერგვაული ქაჯავეთის დალაშქვრის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილა. „ავდეგ, ღთის კარით გავემზადე. წამუელ ქაჯუეთისაკე, ქაჯთა ბაზარი ჩავიარე... რო დამინახეს... შამამეხვია ქაჯთ ლაშქარი თეთრსა მთის ქორსა თერგვაულსა.. ხაგმირო (ლატი, ა. ც.) დავმალე კაბის კალთაშია. შავისა ბადე გადავიცვი. მაშინ ქაჯთა ბუქრას შაატყობინეს ქემწიფესა... გავშალე ოქროს ქხოვილი ჰაერზედა. შავის ბადეიც გადავაგდეო, ხაგმირონიც გავაელვე ჰაერშიო... ქაჯნი შავს მორევს მიებარნესო... მარგალიტ იყვა ' ღვისჰარზედა, კაბის კალთით წამოვიღეო. ღვთის კარს მივართვი მორიგესა" (ქართული ხალხური პოეზია, I, მიხ. ჩიქოვანის რედ., 1975, გვ. 300). აქ მითითებული შ ა ვ ი ბ ა დ ი ს გადაცმა საფარველდებულობის (თვალისაგან უხილაობის) მანიშნებელია, ხინონიმია. ეს მითოსური მოტივი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში" მეტაფორიზებული მოლის („მან გრძნეულმა მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა") ტიპოლოგიური ასპექტია, უფრო კონკრეტულადაა ნაჩვენები ღვთისშვილის — გიორგი ნალვარმშვენიერის მიერ ქაჯავეთის რამდენჯერმე დალაშქვრის აღწერისას. „ქაჯავეთში ყოფნის დროს გიორგის ქაჯის ქალი გაძმობილებია, რომელსაც მისთვის საფარველი მოუქსოვია, ე. ი. ხაბურავი, რომლის გადახურვის შედეგად იგი უჩინარი ხდებოდა" (თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 87). ეს გიორგი ნალვარმშვენიერი ხახმატის სათემო ჯვარია. სწორედ მასზეა შექმნილი ცნობილი მითოლოგიური ლექსები — „ქაჯავეთ რად იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო?"; „გიორგი ხახმატის ჯვარი ქაჯებს ხყავ აკიდებული" და სხვ. ეს გიორგი — ვკითხულობთ „მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში" — ყოველწლიურად მოგზაურობს ქაჯავეთში, ამირანისა და ნართი აშამეზუს მსგავსად, „აბრუნებს სიყვარულისა და ნაყოფიერების ლამაზ ღვთაებებს, რომლებიც ქაჯების მიერ იყვნენ გატაცებულნი... ქაჯავეთიდან დაბრუნებულს მოაქვს მუსიკალური ინსტრუმენტი — გაზაფხულის სიმბოლო" (მოსკოვი, 1980, ნ. I, გვ. 606). ქაჯავეთიდან გამოტაცებული ქალი ღვთაებებია — ხამძიმარი, აშეკალი და მზეკალი.

ჯვარ-ხატების ქაჯავეთის დასალაშქრავად ხატის მ კ ა დ რ ე (მსახური), ჩვეულებრივი ადამიანიც (მინდია ან გახუა) მიჰყავთ ხოლმე. ერთხელ ორივე ერთად წაიყვანეს, სული ამოარიდეს (ამოართვეს), სხეული ეხში (გამოქვაბულში) დატოვეს. ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ გახუასა და მინდიას სულები ისევ ჩაბრუნეს გვამებში, რომლებსაც მატლები დახვეოდნენ და ხუნი ასდიოდათ — „ხორციელნი ხართ, ჩვენთან ვერ იცხოვრებთო" (ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959, გვ. 27-28).

ქაჯავეთიდან ღვთისშვილებს, გარდა განძისა და საბრძოლო იარაღებისა გამოაქვთ სამკედლო იარაღებიც. ხევსურები დღესაც უჩვენებენ გიორგის მიერ მოტანილ გრდემლსა და კვერს: „აი ის გრდემიც მოუღავის ქაჯების სამკედლოდან. იქით (იქიდან, ა. ც.) მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრა ძალიანი, ოქროს ხაცერი, სამართებელი, სასრევი" (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 594-595).

სხვა ფაბულატური გადმოცემის მიხედვით, გუდანის ჯვარს, ხახმატის ჯვარსა და იახსარს ქაჯავეთის დევების დასალაშქრავად ბ ა ც ა ლ ი გ ო ე ლ ი გახუა წაუყვანიათ, ჩასულან დე-

ვების სახლში (შდრ. ვეფხისტყაოსნის „დევთა ქვაბების“ განძი), „გამოტენილი იყო იქაურობა ოქრო-ვერცხლით. გახუას ამაზე რჩებოდა თვალი“, მაგრამ ხახმატის ჯვარმა გააფრთხილა: ნამდვილი თვალმარგალიტები დიდ ყორეში შუკუმები (ხვრელები) რომ არის — იქაა. შეყავი ხელი, რაც შეგხვდება გამოიტანე და ხურჯინში ჩაყარეო. გახუას მკლავის სიმსხო დაგრეხილი გველები გამოჰქონდა შუკუმებიდან და ხურჯინში ყრიდა. გაოგნებულ გახუას ხახმატის ჯვარი ამშვიდებს: ესენია ნამდვილი თვალმარგალიტები — გველის სახით ეჩვენებიან ადამიანებსო (ა. გაჩეჩილაძის დასახ. წიგნი, გვ. 20-22). ამ შემთხვევაში თვალ-მარგალიტი და გველი იდენტურია. ერთ-ერთი ტომის — ბატაკების ყველა კვერთხზე გველია გამოხატული. თვით კვერთხი გველის მსგავსადაა გამოკვრილი, ტალღისებური ზიგზაგებით, ფერიც გველისა აქვს. მითი და კვერთხი ერთმანეთს ემთხვევა (იხ. ფოლკლორი და ეთნოგრაფია, ლენინგრადი, 1971, გვ. 87).

ვეფხისტყაოსანში მეტაფორიზირებული მითოსური განძი, ძირითადად, ქაჯეთისა და „დევთა ქვაბებში“ ინახება, ე. ი. ხთონური წარმომავლობისაა (შდრ. თ. ჩხენკელი, დასახ. წიგნი, გვ. 294). ტარიელის მიერ დამარცხებულ დევებს თავიანთ ქვაბებში, გარდა აურაცხელი განძისა, ჰქონდათ სასწაულმოქმედი საბრძოლო ამჯარი, ჯაჭვი, მუზარადი და ალმასის ხმალი („აქა ძეს ამჯარი საკვირველიო, ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი ხრმალი ბასრისა, მჭრელიო“). ჯაჭვი და მუზარადი ხმლით არ იკვეთებოდა. ალმასის ხმალი რკინას ბამბასავით ჭრიდა. ტარიელი და ავთანდილი ქვაბშივე აღიჭურვენ ამ იარაღებით. ფრიდონს ღვედით შეკრული თავისი წილი თან წაუღეს.

აღნიშნულ ასპექტებს ქართულ მითოლოგიაში (მემორატულ და ფაბულატურ გადმოცემებში) საოცრად ტევადი, განსაცვიფრებელი ტიპოლოგიურ-გენეტიკური პარალელები ეძებნება. თუშ მონადირე მეკობაურს ვეშაპი (დევის ზოომორფული იპოსტასი) სხვადასხვა იარაღს აძლევს საჩუქრად, მათ შორის, ჩასაცმელ ჯვარსაც (ა. შანიძე, ხევსურული, I, 1931, გვ. 395).

ბესარიონ გაბურის გადმოცემით, გამარჯვებულ ვეშაპს თუში მონადირეები თავის დიდ ხოროსთან მიუყვანია, — „მაშინ იქით, იმ ხოროშიგით, გამაილა ვეშაპმა თოფი ბუჩა, კმალი ფრანგული და სხვა-და-სხვა აბჯარი, მიხცა თუშებს“ (იქვე, გვ. 398). თედო რაზიკაშვილის ცნობით, „გამარჯვებულ ვეშაპს წაუსხამს თუშები და აუარებელი იარაღი მიუცია და სამოცი თოფი „ბუჩად“ წოდებული, — საშინელი ძალისა თურმე იყო და ისეთი სქელი, რომ შიგ მუშტი ჩავიდოდაო“ (იქვე, გვ. 397). სხვა კუთხის გადმოცემების მიხედვით, სასწაულმოქმედ ჯაჭვს ვეშაპი ხევსურ თორღვა ძაგანს აჩუქებს: „თორღვა სანადროდ ყოფილა, ერთ ალაგას ყინულში ჩავიდნილა (ე. ი. ხთონურ სამყოფში). იქ ვეშაპი წოლილა და იმას დახცემია. თურმე სიცივითა და ხიმშილით კვდებოდა თორღვა. შესცოდებია ვეშაპს (შდრ. ვაჟას დაჭრილი ლუხუმი და გველი, ა. ც.). ამოიღებს თვალს, ალოკებს, გააძლობს და გაათბობს. გაუძმობილდება. იმ ვეშაპს მიუცია ჯაჭვი, ბეგთარი, — ტანზე ჩასაცმელი. თურმე ისეთი თვისება ჰქონია იმ ჯაჭვს, სადაც ხმალს დაარტყამდნენ, ან ტუვია და ისარი მოხვდებოდა, სულ იქ მიიხვეტებოდა თურმე და ვეღარაფერს აკლებდა იარაღი“ (იქვე, გვ. 351). ასეთი ჯაჭვი მამუკა ქალუნდაურსაც ჰქონდა, მას ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეფეც ატარებდნენ. ამ ტიპის ჯაჭვის ადრინდელი ზოომორფული იპოსტასია ლომისა და ვეფხის ტყავი, რომელიც გილგამეშს, ჰერაკლეს, როსტომსა და ტარიელს ეცვა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ასეთი გადმოცემებიც: ქაჯავეთში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, ჯვარ-ხატებისთვის ქაჯებს უწმინდური ცხოველის (კატის) თავ-ფეხები დაუშენიათ. ვიცაც ეს თავ-ფეხი მოხვდებოდა, ქაჯავეთიდან უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, გაუწმინდურებული სამუდამოდ იქ უნდა დარჩენილიყო. გუდანის ჯვარს ეს რომ უნახავს, დელამფარი („ღმერთის ფარი“, „მითოსური ფარი“) დაუფარებია მოლაშქრეებისათვის და ქაჯავეთში დარჩენისაგან გადაურჩენია (თ. ოჩიაური, დასახ. წიგნი, გვ. 186-187).

გარდა გამაუჩინარებელი სამურავისა, ღვთისშვილებს ჰქონდათ ჰაერზე გასაშლელი ნაქსოვი საშუალებაც (ზღაპრის მფრინავი ხალიჩის არქეტიპი). საჭიროების შემთხვევაში ჰაერზე გაფენდნენ მას და საგმიროს (ლახტს) პირდაპირ დაუშენდნენ დევ-კერპებს.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართული მითოლოგიის სათავეები ისეთი უნიკალური მემორატებითა და ფაბულატებითაა წარმოდგენილი, რომლებსაც ზოგადმითოლოგიური პრობლემატიკის შესწავლისა და დადგენის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. აღნიშნული პრობლემატიკის ყოველმხრივი შესწავლა და გამომზეურება ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანას წარმოადგენს.

დაბოლოს, კვლავ ვიმეორებთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემონახული ღვთისშვილების (ჯვარ-ხატების) შესახებ არსებული მითოლოგიურ-რელიგიური გადმოცემები (მემორატები და ფაბულატები) „ქრისტიანობის წიაღიდან“ კი არ მომდინარეობენ, არამედ ქართული მითოლოგიის სათავეებთან პოულობენ კუთვნილ ადგილს. ამ ტიპის გადმოცემები, მემორატები და ფაბულატებია და არა ანდრეზები.

შალვა ხიდაშელი

პეტრიწონის ქართული მონასტერი და მისი მნიშვნელობა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში

დაარსებიდან 900 წლის გამო

შუა საუკუნეების პირობებში კულტურული შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად კერას მონასტრები წარმოადგენდა და პეტრიწონის ქართულმა მონასტერმა, რომლის დაარსებიდან 900 წელი შესრულდა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. მისი დაარსება დაემთხვა მეცნიერებაში ქართული რენესანსის სახელით ცნობილი დიდი კულტურული აღმავლობის დასაწყისს და, გელათთან ერთად, დაარსებიდანვე გადაიქცა ფილოსოფიური აზროვნების მნიშვნელოვან ცენტრად.

პეტრიწონის მონასტრისა და მისი დამაარსებელის შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი, ხანამ ამ მონასტრის ტიპიკონი (წესდება) გახდებოდა მეცნიერებისათვის მისაწვდომი; მონასტრის ტიპიკონმა ნათელი მოფინა მისი დამაარსებლის, გრიგოლ ბაკურიანის-ძის მოღვაწეობის ახალ მხარეს, მის ღვაწლს ქართული კულტურის ისტორიაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ახსენებს ქართულ ლავრას. „ბორღალეთში", რომელშიც პეტრიწონის მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს, და მოგვითხრობს გრიგოლ ბაკურიანის-ძეზე, როგორც „აღმოსავლეთის ზორვარზე (მთავარსარდალზე), „რომელმაც გადასცა ქართველ მეფეს, გიორგი II-ს, მის გამგებლობაში მყოფი ქალაქი ყარსი და მისი მიდამოები.

ასეთი აქტის ჩადენა შეეძლო მხოლოდ წარჩინებული გვარისა და ბიზანტიის იმპერიის დიდი თანამდებობის პირს და მართლაც, ალექსი კომნენის ქალიშვილის — ანას საისტორიო თხზულებაში — „ალექსიადა" გრიგოლ ბაკურიანის ძე იხსენიება, როგორც „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი", რაც ბიზანტიის იმპერიის დასავლეთი პროვინციების მთავარსარდალს ნიშნავს. როგორც პეტრიწონის ტიპიკონიდან ჩანს, გრიგოლ ბაკურიანს, ამ დიდ თანამდებობასთან ერთად, მინიჭებული ჰქონია მაღალი საპატიო წოდება სევასტოსისა. თვით გრიგოლი თავის თავს უწოდებს „სევასტოსსა და დიდ დომესტიკოსს", მეორე ადგილას — „სევასტოსსა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსს" და წერს თავის თავზე, როგორც „ნეტარი ბაკურიანის ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავის ღვიძლ შვილზე", „წარმოშობით აღმოსავლეთის მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან".

გრიგოლ ბაკურიანის-ძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ალექსი კომნენის გამეფებაში და, ჩანს, ამანაც ხელი შეუწყო მის დიდ წარმატებას იმპერიაში. ანა კომნენი გრიგოლ ბაკურიანის-ძის დასახასიათებლად ჰომეროსის „ილიადადან" მოტანილ სიტყვებს იყენებს: „ტანად პატარა იყო იგი, მაგრამ სულით — მებრძოლი დიდი". მოგვითხრობს ბრძოლის ეპიზოდებს, რომლებშიც გრიგოლი მონაწილეობს; ამ ეპიზოდებიდან ჩანს, რომ იმპერატორი ალექსი გრიგოლს დიდ მხედართმთავრად სთვლიდა და დიდი ნდობითაც იყო მისადმი განწყობილი. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს, როდესაც ანა კომნენის სიტყვით, გრიგოლის სარდლობით გამოსული ჯარი მტრული ძალების (სკვითების) მცირე ნაწილსაც არ შეადგენდა, მაინც ეკვეთა მტერს; „დომესტიკოსი გააფთრებით იბ-

რძოდა, ...მაგრამ დაეჯახა მუხას და იქვე დალია სული".

გრიგოლ ბაკურიანმა იმპერიაში ცხოვრებისა და სამსახურის დროს დიდი ქონება დააგროვა, მოძრავი თუ უძრავი, და იქვე, თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ფილიპოპოლის (პლოვდივის) მახლობლად, როდოპის მთებში, სოფ. ბაჩკოვოს მახლობლად დააარსა ქართული მონასტერი. დღეს მონასტერი ბაჩკოვოს მონასტრის სახელით არის ცნობილი, ძველად მას პეტრიწონის მონასტერი ეწოდებოდა.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ერთადერთია ქართულ ანალოგიურ ძეგლთა შორის, რომელმაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია1 და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ყოველი მონასტერი წარმოადგენდა სოციალურ უჯრედს, დამყარებულს გარკვეულ ეკონომიკურ, იურიდიულ, ეთიკურ და სხვ. პრინციპებზე და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, როგორც ჩვენამდე ყველაზე სრულყოფილად მოღწეული ძეგლი, შეიძლება გახდეს მრავალმხრივი შესწავლის საგანი. ამავე დროს ეს წესდება — მონასტრის დამაარსებელის თავისებური ანდერძია და მისი მიხედვით შეიძლება მსჯელობა შემდგენლის მორალურ სახეზეც.

ტიპიკონში საგანგებოდაა რეგლამენტირებული დახმარება სიბერით, ან ავადმყოფობით გაჭირვებაში ჩავარდნილი „ძმებისათვის", „მათზე ფიქრი და ზრუნვა და ნუგეშისცემა".

ტიპიკონიდან ჩანს, რომ გრიგოლს რამდენიმე სასტუმრო აუშენებია „მგზავრებისა და გლახაკთათვის" და მათი მომარაგების სათანადო წესი დაუწესებია. საკვები შედგებოდა ხორბლის, ღვინის და წვნიანი საჭმელისაგან. საგანგებოდ გამოყოფილი „ერთი გლეხი", რომელიც საკვებს ანაწილებდა მგზავრებს შორის, უნდა ყოფილიყო „აღმურვილი წმინდა გონებით და ღვთის მოშიშებით, და მიუდგომლად გაეყო საჭირო საზრდო".

სასტუმროს განკარგულებაში იყო საკუთარი წისქვილები, ფურნეები და თორნეები. ერთერთი ამ სასტუმროს შესახებ ნათქვამია, რომ მომავალში მის მახლობლად უნდა აშენებულიყო კოშკი — სიმაგრე, სადაც პროდუქტები უნდა ყოფილიყო დაცული. სასტუმროები უნდა ყოფილიყო, ზამთრის პირობებში „გაკურვებული" თონეებითა და ფურნეებით. მათში საწოლები დიდი რაოდენობით („ბლომად") უნდა გაემართათ. მგზავრის დაავადების შემთხვევაში — მას შეეძლო სასტუმროში სამი დღე დარჩენილიყო, მაგრამ მძიმედ დაავადების დროს — იქ იქნებოდა სრულ განკურნებამდე.

ტიპიკონში გათვალისწინებულია სასტუმროს შემოსავლის ზრდა. ასეთ შემთხვევაში უნდა აუცილებლად გაზრდილიყო მგზავრ სტუმართა მომარაგების ხარჯებიც. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მათი დაკლება.

განსაკუთრებულ ინტერესს პეტრიწონის მონასტერი იმსახურებს, როგორც ფილოსოფიური აზროვნების ცენტრი და სასწავლო დაწესებულება. ამ მხრივ მას ყურადღება ჯერ კიდევ ფრანგმა მეცნიერმა ლუი პტიმ (პეტიტმა) — პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული რედაქციის გამომცემელმა — მიაქცია (1904 წ.). პეტრიწონის მონასტრის სახით, — წერდა ლუი პტი, — ჩვენ საქმე გვაქვს „უაღრესად იშვიათ, შეიძლება ერთადერთ მაგალითთან ბიზანტიაში მოქმედი სემინარიისა, ამ სიტყვის უახლესი მნიშვნელობით".1

სემინარია მონასტრის მთავარი შენობის მოშორებით იყო გაშენებული — „მახლობლად ციხისა" და მის მოვალეობასა და დანიშნულებას მოყმეთა აღზრდა და განსწავლა შეადგენდა.

სავარაუდებელია, რომ იოანე პეტრიწი, პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობის დროს, ამ სემინარიის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო.

XI-XII ს. ს-ის ბიზანტიაში, სადაც ამ დროს პეტრიწონის ქართული მონასტერი დაარსდა და იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა, კულტურისა და ფილოსოფიის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია და ისეთი ფორმები მიიღო, რომ ცნობილ მკვლევარს კარლ პრანტლს საფუძველი მისცა დაეყენებინა საკითხი ბიზანტიის რენესანსის შესახებ.

კონსტანტინოპოლის აკადემიაში, სადაც იოანე პეტრიწი სწავლობდა, XI ს-ში, ორჯერ წარმოიქმნა ახალი სააზროვნო ანტიდოგმატიკური მოძრაობის მძლავრი ნაკადი. ერთხელ, როცა ამ აკადემიაში მოღვაწეობდა მიქაელ პსელოსი (1018-1077), რომელიც ცდილობდა გაეთავისუფლებინა ფილოსოფია მისტიკისა და ინტუიციისაგან და აზროვნებაში რაციონალიზმისათვის მიეცა მეტი გასაქანი. აზროვნების ასეთი მიმართულება შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებისათვის, და ეს „თავისი დროის პირველ მწერლად" ცნობილი მოაზროვნე იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო — მან ადვილად უარყო და დაგმო თავისი „მწვალებლური" შეხედულებანი. მაგრამ მის მიერ დაწყებული მოძრაობა აღარ შეჩერებულა და განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მეორედ, როდესაც ამ გონებრივ მოძრაობას სათავეში ამავე აკადემიის პროფესორი იოანე იტალოსი ჩაუდგა. მეცნიერებაში ცნობილია, რომ მთელი XII ს. სავსეა ფილოსოფიური დოქტრინების აღო-

1 გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი, 1963. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოცემა სიმონ ყაუხჩიშვილისა.

ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, 1971. ტიპიკონის ძველი ქართული რედაქცია, გამოცემა აკაკი შარიძისა.

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 399.

რძინებით გამოწვეული დოგმატიკური ბრძოლებით, რომლებიც არ ჩამქრალა იმპერიის დასასრულამდე, და რომ ეს ბრძოლები სათავეს უმთავრესად იოანე იტალოსის მოღვაწეობიდან ღებულობს.

1082 წელს ალექსი კომნენის სახელზე დასმენა შეიტანეს იმის გამო, რომ იოანე იტალოსი ქადაგებდა „შეუწყნარებელ" ერეტიკულ შეხედულებებს და მის მოღვაწეობას საეკვო და არასასურველი ხასიათი ჰქონდა. იმპერატორმა იოანე იტალოსის საქმის განხილვა დაავალა საერო და საეკლესიო პირთაგან შედგენილ სასამართლოს, რომელმაც იტალოსს სათანადო მსჯავრი დაადო და მისი შეხედულებანი გაკიცხა. სასამართლოს წარმოების დოკუმენტებიდან ჩანს, როგორი სისასტიკით გამორჩეოდა იტალოსისა და მისი მოწაფეების მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, იმპერატორის ბრძანებულების თანახმად, უნდა წაკითხულიყო „საჯაროდ, იოანეს და მისი მოწაფეების დასწრებით", რათა მათ საჯაროდ უარეყოთ თავისი „უწმინდური" შეხედულებანი. მეფის ბრძანებულება უკრძალავდა ყველას — მიეღოთ სახლში იტალოსის მოწაფეები, რომლებიც იმავე საწამლავით იყვნენ „მოწამლულნი", ანდა გაემართათ მათთან „დოგმატიკური კამათები". ბრძანებულებაში გამოსჭვივის საშიშროება იმისა, რომ მათთან კამათის შემთხვევაში თვით მოკამათეებს შეიძლებოდა გადასდებოდა ის „სენი", რომლითაც იტალოსი და მისი მოწაფეები იყვნენ „შეპყრობილნი".

ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა და მათთან რაიმე კონტაქტს დაამყარებდა, „სამუდამოდ იქნებოდა გაძევებული სამეფო ქალაქიდან". ბრძანებულება მიმართავდა მოსახლეობას — დაესმინათ ხელისუფლების წინაშე საეკვო პირები. მეფეს, როგორც ეს ბრძანებულებაში იყო ნათქვამი, განზრახული ჰქონდა „სავსებით მოესპო ეს უწმინდურება".

თავისი მოღვაწეობის პირველ, ადრინდელ პერიოდში იოანე პეტრიწი ამ მნიშვნელოვანი მოძრაობის მონაწილე უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც: აკად. თ. ი. უსპენსკის მიერ ქ. ვენაში მიკვლეული ერთი საბუთის მიხედვით, იოანე პეტრიწი უნდა ყოფილიყო იტალოსის არა მხოლოდ მსმენელი, არამედ მისი უახლოესი თანამოაზრე. და იმდენად მნიშვნელოვანი მონაწილე ამ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომ ნ. მარს სრული საფუძველი ჰქონდა ელაპარაკა „ქართულ ელემენტსა" და მის მნიშვნელოვან „როლზე XI ს-ის ბიზანტიის ფილოსოფიურ აღორძინებაში".[1]

იმ პოლიტიკური ვითარების შემდეგ, რომელიც კონსტანტინოპოლში შეიქმნა იტალოსის გასამართლებისა და მისი მიმდევრების დევნის შემდეგ, პეტრიწის აქ ცხოვრება შეუძლებელი უნდა გამხდარიყო და, საფიქრებელია, ქართველი მოაზროვნე ამ დროს გადასახლდა პეტრიწონის ქართულ მონასტერში, რომელიც სწორედ 1083 წელს დაარსდა, რა წელსაც იტალოსის გასამართლება მოხდა და მისი მოწაფეებისა და მიმდევრების დევნა დაიწყო. იოანე პეტრიწის თხზულების ბოლოსიტყვაობის სტრიქონები, სადაც ის ლაპარაკობს დევნაზე „ბერძნების" მხრივაც, მისი ცხოვრების ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

პეტრიწი ყოველთვის დიდ მოაზროვნედ იყო ცნობილი საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწი ბიზანტიაში ცხოვრების დროსვე იყო ჩამოყალიბებული და დასრულებული მოაზროვნე. მაგრამ მისი მოღვაწეობისა და ნაზრევის მნიშვნელობა საქართველოში უფრო მეტი სიმკვეთრით გამოვლინდა.

შალვა ნუცუბიძის აღმოსავლეთისა და სახელდობრ ქართული რენესანსის თეორიას, მრავალ საყურადღებო მომხრესთან ერთად, ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. მაგრამ, რაც დრო გადის, ამ თეორიის მომხრეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება და ქართული რენესანსის ფაქტი, მით უმეტეს არსებითი კულტურული და იდეური ანალოგიები დასავლეთის რენესანსსა და XI-XII ს.ს-ის ქართულ კულტურულ აღმავლობას შორის, უფრო და უფრო ფართო აღიარების საგნად იქცევა. მრავალ ავტორთა შორის დავასახელებ ერთ-ერთს, ყველაზე ავტორიტეტულს და სულ უახლესი სოლიდური გამოკვლევის ავტორს — ა. ლოსევს. „ქართული აღორძინების მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები იყვნენ წამომწყებნი... რენესანსისა ევროპაში, რომ მათ, ყოველივე ეჭვს გარეშე ეკუთვნით ამ მხრივ პრიორიტეტი და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. კამათი ამის წინააღმდეგ შეუძლებელია".[1]

იოანე პეტრიწი ქართული რენესანსის უდიდესი წარმომადგენელია და მისი შეფასება აუცილებელია იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მას ქართულ რენესანსში უჭირავს.

ჰეგელი შუა საუკუნეების სქოლასტიკაში ხედავდა მოძღვრებას, რომელსაც მიწიერი სინამდვილე მიაჩნდა „მდაბალ" სინამდვილედ და ამის გამო „მოძულების" საგნად. ადამიანის გონება, შუა საუკუნეების წარმომადგენელთა მიხედვით, პოულობდა თავის განხორციელებას მხოლოდ იმქვეყნიურში და არა აქ, ამქვეყნიურ სინამდვილეში. აქედან გამომდინარეობს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი უგულვებელყოფა ამქვეყნიურისა და მისი ყურადღების გარეშე დატოვება.

[1] Н. Я. Марр Иоан Петрицкий грузинский неоплатонник XI—XII века, 1909, გვ. 104—105.

[1] А. Ф. Лосев. Эстетика Возрождения, Москва, 1982, стр. 37.

უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო პეგელის ის მოსაზრებებია, რომლებიც კულტურის შემდგომ განვითარებას ეხება და რომლის მიხედვით პროგრესი აქ, „ამ ჩვენი სამყაროს რწმენის აღდგენისაკენაა“ მიმართულია ეს „რწმენის აღდგენა“ არსებითად მიწიერი სინამდვილის ღირებულებისა და მნიშვნელობის აღდგენას ნიშნავდა. კიდევ უფრო ნათლად რენესანსის აქსიოლოგიური შინაარსი ჩანს ამ ეპოქის ენგელსისეულ დახასიათებაში: „მხოლოდ ახლა“, — წერს ენგელსი, — რენესანსის ეპოქაში „იქნა აღმოჩენილი, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, დედამიწა“. ამქვეყნიური სინამდვილის ახლებურ გაგებას დიდი მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა ჰქონდა — ხილულმა სამყარომ შეწყვიტა არსებობა, როგორც „მდაბალმა“, „უბადრუკმა“ და „მოძულების საგანმა“. ეს ქვეყანა წარმოსდგა ადამიანის წინაშე მთელი თავისი მშვენიერებით, მოიპოვა ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულება და, ბუნებრივია, არსებითად შეიცვალა მისადმი ადამიანის დამოკიდებულება.

შუა საუკუნეების ქართულ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა იდეურ ცვლილებებს, რომლებმაც XI-XII ს. ს.-ის პირობებში საკმარისად მაღალ დონეს მიაღწია, საკმარისად მაღალს იმისათვის, რომ რენესანსული მოვლენები და ჰუმანიზმი დასაბუთებულ კულტურულ ფაქტად ჩაითვალოს. განსაკუთრებით საყურადღებოა ანალოგიები „ბუნებისა და ადამიანის მიმართ ახალ შეხედულებათა, იდეათა, ზრახვათა“ იმ მოზღვავებასთან, რომელიც, იაკობ ბურკჰარდტის სიტყვით, იტალიური რენესანსისათვის იყო დამახასიათებელი. ამ დროის მთელი ქართული კულტურა — საისტორიო მწერლობა, მედიცინა, მონუმენტალური და მინიატურული მხატვრობა, პლასტიკური ხელოვნება, მხატვრული მწერლობა და სხვ. ემყარება ახალ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს და წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, შემობრუნებას ადამიანის ამქვეყნიური არსებობისაკენ.

რენესანსულ ჰუმანიზმს, როგორც მსოფლმხედველობას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ასახულს კულტურული შემოქმედების ყველა დარგში, ჰქონდა თავისი ფილოსოფიური დასაბუთება და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მისი იდეური სიღრმისა და ფართო გავრცელებისა. საყურადღებოა, რომ იდეური ანალოგიები დასავლურსა და ქართულ ჰუმანიზმს შორის ამ მხრივაც თვალნათლივი და უდავო ფაქტია, და პეტრიწის როლი და მნიშვნელობა ამ სფეროშია ხაძიებელი. „ნეოპლატონიზმი, ვკითხულობთ იმავე ავტორთან, — წარმოადგენდა აღორძინების ხანის ესთეტიკისათვის საოცრად მახლობელ და მაქსიმალურად ინტიმურ იდეალს, რომელშიც ასე ადვილი იყო ჰუმანისტური ნიშნების გაძლიერება და ასე ადვილი მისი გამოყენება მიწიერი, მაგრამ, ამავე დროს, მაქსიმალურად გააზრებულ ადამიანურ მოქმედებათათვის. მატერიალური ადამიანის სულიერი გაგების სხვა დასაბუთება რენესანსს ჯერ არ იცოდა“.[1]

რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, რენესანსი აქ „ნეოპლატონური და არეოპაგიტული“ რენესანსი იყო და საერთოდ „ქართულ რენესანსს ნეოპლატონიზმი ... უდევს საფუძვლად“. ეს აზრი ხსენებულ ავტორს „დამტკიცებულად“ მიაჩნია და აკეთებს უაღრესად საყურადღებო დასკვნას: „ეს უნდა ჩაითვალოს დიდად მნიშვნელოვან აღმოჩენად იმის გამო, რომ გვაძლევს შესაძლებლობას უფრო ღრმად მივუდგეთ იტალიურ რენესანსსაც“.[2]

შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ამ დროს ნეოპლატონიზმი ყველაზე უფრო გავრცელებული და მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობაა. ამ მიმდინარეობაში და საერთოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელიც პროკლესა და ნეოპლატონიზმის საფუძველზე შეიქმნა. პეტრიწმა „მოგვცა“ პროკლეს მთავარი ფილოსოფიური ტრაქტატის „შემოქმედებითი გადამუშავება“ და „შესძლო პროკლეს ფილოსოფიის ღრმა ცოდნა და გაგება შეეთავსებინა თავისი საკუთარი ფილოსოფიური თეორიების არაჩვეულებრივ ორიგინალობასა და სიღრმესთან“.[3] შემთხვევითი არც ისაა, რომ ნეოპლატონიზმის დიდი მნიშვნელობა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და რუსთაველის მჭიდრო იდეური კავშირი ამ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან დიდი ხანია შემჩნეულია და დასაბუთებული ქართულ და არა მხოლოდ ქართულ მეცნიერებაში.[4]

[1] А. Ф. Лосев, Эстетика Возрождения, 1982, გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 33.

[3] Прокле, Первоосновы теологии, Тбилиси, 1972, стр. 23.

[4] ამ შეხედულებას იცავდნენ პლ. იოსელიანი (1870), ნ. მარი (1909, 1910), ივ. ჯავახიშვილი (1914), ს. გორგაძე (1923), კ. კეკელიძე (1924), ზ. ავალიშვილი (1931), ს. ყაუხჩიშვილი და განსაკუთრებით შალვა ნუცუბიძე, რომელმაც დიდი ნაწილი თავისი მოღვაწეობისა ამ დებულებათა დასაბუთებას მოანდომა (უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. ჩვენი „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“ 1931, გვ. 85 — 86; К вопросу о мировоззренческих и ценностных характеристиках средневековой Грузинской культуры «Вопросы философии, II, 1982 127—128. ქართული შუა საუკუნეების კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები აქსიოლოგიის თვალსაზრისით, „„მნათობი“, 12, 1982, გვ. 163—164; С древных времен до гуманизма Руставели «Литературная

წინააღმდეგ შუა საუკუნეების გაბატონებული შეხედულებისა „ორ სოფელსა და ორ, მიწიერ და ზეციურ სამყაროებზე, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირდება, პეტრიწთან ხინამდვილე ერთი მთლიანი არსია ემანაციის (გამომდინარეობის) კავშირით გაერთიანებული. ღმერთი, მოაზრებული პეტრიწის მიერ, როგორც პირველი საწყისი, არსის მწვერვალი, სამყაროში არსებული საყოველთაო სწრაფვისა, ლტოლვის საგანი, არის პირველი და საყოველთაო მიზეზი მთელი არსისა და სამყაროსი.

ხინამდვილე არის მარადიული წრებრუნვა სამყაროს პირველი მიზეზისაგან გამომდინარეობისა და ღმერთთან უკუდაბრუნებისა, რაც შესაძლებელი ხდება, ნეოპლატონიკოსების მიხედვით, მიზეზსა „ღმერთსა“ და შედეგს (სამყაროს) შორის მსგავსება-განსხვავების დიალექტიკური კავშირის საფუძველზე. პეტრიწი რჩება ნეოპლატონიზმის ნიადაგზე ამ მნიშვნელოვან საკითხში და ავითარებს და აღრმავებს, კერძოდ, განვითარების ტრიადულ კონცეფციას, რომელიც პეტრიწთან, და შემდეგ ჰეგელთან, პროკლესაგან მომდინარეობს.

განვითარების პირველ სტადიაზე სამყარო თავის მიზეზში იმყოფება. მიზეზში არსებობა ღმერთში არსებობაა და მისგან „გამოსვლა“ ნიშნავს არა მისგან სრულ „განჭრას“ და მისგან მოწყვეტას სავსებით. ღმერთისაგან წარმოქმნილი სამყარო თავის წარმომქმნელს უნდა დაუბრუნდეს და თუ მათ შორის მსგავსებისა და იგივეობის მიმართება მთლიანად მოისპო, ეს დაბრუნება ველარ განხორციელდება. ამიტომ სამყარო, თავის მიზეზთან მიმართებაში არ არის „არცა მსგავსი თჳნიერ უმსგავსობისა და არც უმსგავსოჲ თჳნიერ მსგავსებისა“. „უმსგავსობა“ თუ სხვად აქცევს სამყაროს და სთიშავს ღმერთისაგან, მსგავსება, პირიქით, იპყრობს მას ღმერთში.

ამ რთული მიმართების გამოსახატავად პეტრიწს შემოაქვს შესანიშნავი ცნება — „იგივე სხუა“, რომელიც ანალოგიურია, შინაარსითაც და გამოთქმითაც, ჰეგელის „თავისი სხვისა“ და იმავე ფუნქციას ასრულებს პეტრიწთან, როგორსაც ჰეგელთან.

ამგვარი მიმართების საფუძველზე მყარდება არსის მოვლენათა შორის უნივერსალური კავშირი, გამოხატული პროკლეს დებულებით „ყოველივე ყოველივეში“. პეტრიწი ღებულობს და იზიარებს ამ დებულებას, უფრო ადრე (და ბევრად ადრე), ვიდრე ნიკოლაუს კუზანელი და ჯორდანო ბრუნო, რომელთა მოძღვრებაში მოვლენათა საყოველთაო კავშირის იდეამ უდიდესი როლი შეასრულა.

არსის ყოველი მოვლენა ერთიანობაშია თავის საწყისთან და, საბოლოოდ, პირველ საწყისთან, მოზიარეა, მონაწილეა მისი, და გამომდინარეობისა და მონაწილეობის საფუძველზე საწყისებისაგან მიღებულ თავისებურებებს თავისში ატარებს. ამ თავისებურებათა შორის უმთავრესი და უზოგადესი ნიშნები არსისა არსებობა, სიკეთე და მშვენიერებაა. პლოტინის „ენეადების“ სტრიქონები, სადაც ხილული სამყაროს ეხთეტიკურ დირებულებაზეა საუბარი, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „გრძნობადი სამყაროს მშვენიერების ჭეშმარიტად ბერძნული აღიარება“, შეთანხმებული, ამავე დროს, პლოტინის მოძღვრების ძირითად პრინციპებთან.

სამყაროს უშუალო მიზეზი, პლოტინის სიტყვით, „თითქოს ჩასახლდება სამყაროში“, ჩამოღვრის მასში პირველ, საყოველთაო საწყისიდან მიღებულ ენერგიას. მსოფლიო სულის ჩასახლება სამყაროში ღვთაების ჩასახლებაა, რადგან სული თავადაა ღვთაება, „უძველესი ღვთაება ღვთაებათა შორის“. ეს — სამყაროს გაღვთაებრივებაა და მეტიც. პლოტინის სიტყვით, „მთელი ეს სამყარო სულის მეშვეობით თვითაა ღვთაებრივი“. ღვთაებრივია არა მხოლოდ ციური მოვლენები, ადამიანიც, მიწიერი, ციური და ზღვაში მცხოვრები მოვლენებიც.

მსოფლიო სული ამყარებს და მარადიულად იცავს სამყაროში „კანონზომიერ წესრიგს“, საყოველთაო ჰარმონიას, ქმნის კოსმოსს, ამ სიტყვის ანტიკური მნიშვნელობით, როგორც წყობას, მოწესრიგებულს. მსოფლიო სული წარმოქმნის სამყაროს, აცოცხლებს და ასულდგმულებს, აქცევს „ცოცხალ თვითმკმარ არსებად“, აძლევს მას „სიზრცისს, ღირებულებას და მშვენიერებას“ და, როგორც ზევით იყო ნათქვამი, სიკეთეს. ამიტომ სამყარო, როგორც პლოტინი წერს, ხიბლავს და ატკბობს ადამიანს „თავისი გრანდიოზულობით და მშვენიერებით“. აქ, სამყაროში, ყოველი ნივთი არსებობს და რაკი არსებობს, ის „მონაწილეობს ჭეშმარიტი არსების მშვენიერებაში“ და თავადაც მშვენიერია. „ყოველი არსება ამ ხილულ სამყაროში ინახავს თავისი ინდივიდუალური არსების თავისებურებას“. მაგრამ, ამავე დროს, „ერწყმის ყველა სხვას და ერთიანდება მასთან“. ყოველი

Грузия, 4, 1983, გვ, 206—207.

ხსენებული ავტორებისა და საკითხის ღღევანდელი მდგომარეობის ფონზე, განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსანში ნეოპლატონიზმის ძიებაზე ხელი უნდა ავიღოთ“ (?!), ანდა „სანამდე უნდა გაგრძელდეს ამგვარი ფუჭი და დილეტანტური (?!) საქმიანობა?“ („ლიტერატურული საქართველო“, 18 მარტი, 1983, გვ. 12) წარმოადგენს რეციდივს 30-40-იან წლებში ნეოპლატონიზმის წინააღმდეგ წარმოებული დისკუსიებისა რუსთველოლოგიაში, რაც განსაზღვრული იყო ნეოპლატონიზმის უკიდურესად ცალმხრივი გაგებით და უფრო მეტად „ნიადაგ ქვეშე მდინარეებით“. ეს კარგად ახსოვს ყველას, ვინც ამ კამათებს ესწრებოდა.

მათგანი იხილვება, „როგორც მთლიანი და ერთიანი“.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიური თხზულება პირველ საწყისებს („კავშირებს“) ეხება და მისი პრობლემატიკა ამით შემოიხაზღვრება. სამყარო არ შეადგენს მის თხზულებაში სპეციალური განხილვის საგანს. მაგრამ მისი ფილოსოფიური მოძღვრება მთლიანად და ნაწილობრივ სულზე და მის მიმართებაზე სამყაროსთან, იძლევა საფუძველს სამყაროს ღირებულების გარკვევისა, როგორც ონტოლოგიური, ასევე ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

პირველი და საყოველთაო მიზეზი, გარდაეფინება — პეტრიწის სიტყვით — „ყოველსა ზედა ხილულსა“ და ნაწილდება („განაწილებულია“) მთელ არსში („მყოფთა შორის“): გონიერთა, გრძნობიერთა და სამ განზომილებიან სხეულთა შორის. არაფერი რჩება, რაც ღვთაებრივმა სიკეთემ არ „გააკეთილოს“ და თავისი მადლი არ უწილადოს. რამდენადაც პირველი საწყისი იგივე სიკეთეა, ამდენად არსის მონაწილეობა ერთში — სიკეთეში მონაწილეობაა. პეტრიწის მიხედვით, როგორც ვნახეთ, სინამდვილე მარადიული წრებრუნვაა და არსის უკუდაბრუნების საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი მიზეზი „მოივლის“ მთელ არსს, „ერთქმნის“ მას, „გააკეთილებს თჳსა კეთილობით“ და არასებობასთან ერთად სიკეთესაც აძლევს. „...მოვლოს პირველმან მიზეზმან, და ერთ ქმნას ყოველი, და აკეთილოს თჳსთა კეთილეობათაით უკუანასკნელთაცა აობაჲ“.[1]

იგივე ითქმის მშვენიერებაზეც. არსსა და სამყაროში მშვენიერება მის მოწესრიგებულ წყობაში მდგომარეობს — „ყოველი შუენიერებაჲ შეწყობასა და მორთულობასა შორის[არს]“. მაგრამ არ არსებობს მოვლენა, რომელზედაც მშვენიერება არ იყოს მიფრქვეული უზენაესი ერთისაგან, და რომელსაც მთელი არსი არ ეტრფოდეს. მას უფორმო ნივთებიც კი ეტრფიან, რადგან „გუართა [ფორმათა] კუალი“ ნივთებში სხვა არაფერია, თუ არ მათი „წადილი... შუენებისა და მორთულობისა“.[2]

XI-XII სს. საქართველოში მრავალმხრივი და რთული ეპოქაა. ამ დროს უმაღლეს დონეს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკამ, სოციალურმა ურთიერთობებმა, პოლიტიკურმა სისტემამ და კულტურამ, რომელშიც ქვეყნის საერთო მდგომარეობა აისახა. ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა პეტრიწონის მონასტერი იყო, რომელთანაც იოანე პეტრიწის სახელია დაკავშირებული. მეორე დიდი მნიშვნელობის ცენტრი, სადაც იოანე პეტრიწმა, ჩანს, თავისი მოღვაწეობა დაამთავრა, გელათის აკადემიაა. აქ პეტრიწს დავით აღმაშენებელის „წყალობათა და თანადგომით“ სრული საშუალება მიეცა მშვიდი მუშაობისათვის.

ქართულ სინამდვილეში შემოქმედებისათვის მშვიდი პირობების მოპოვება შემთხვევითი არ იყო. ცნობილია, რომ კულტურული აღმავლობა ამ დროს აქ მნიშვნელოვან წილად გამოწვეული იყო ქართველი მეფეებისა და განსაკუთრებით დავით აღმაშენებელის ტოლერანტობით, უცხო რელიგიათა მიმართ მომთმენლობით და აზროვნების თავისუფლებით. ჩვენში არსებული მდგომარეობა ამ მხრივ კონსტანტინეპოლთან შედარებით არსებითად განსხვავდებოდა და, გასაგებია, რომ დევნისა და შევიწროების სამწუხარო ფაქტზე ჩივილის შემდეგ, იოანე პეტრიწი დავით მეფის მიმართ, გელათში მოღვაწეობის დროს, მადლიერების გრძნობით უნდა გამსჭვალულიყო.

„ამ შესანიშნავ მონასტერში, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — დავით აღმაშენებელმა საქართველოს და უცხოეთში მყოფ სხვადასხვა მონასტრებითგან „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველთა სათნოებითა“, რომელთა შესახებ „სადათცა ესმა ვიეთიშე სიწმინდე, სიკეთე და სიხრულე, სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა“ და ახლად აგებულს გელათის მონასტერში დაამკვიდრა“. იოანე პეტრიწი აქ ხსენებულ „ცხოვრებით პატიოსანთა“ და „ყოველთა სათნოებითა“ შემკულ კაცად ყოფილა ცნობილი და გელათში მიუწვევიათ. მისი სიტყვები თხზულების ბოლოსიტყვაობაში ამ გარემოებით არის ნაკარნახევი.

ისიც ცნობილია, რომ ამ დროის ქართულ საზოგადოებაში უჩვეულოდ ამაღლდა და განმტკიცდა ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტული აღტკინება. ნ. მარი XII ს-ის სახოტბო პოეზიასთან დაკავშირებით წერდა „პირადი ქება-დიდება ძალიანაა გამსჭვალული მოზეიმე პატრიოტიზმის აღგზნებით. მაგრამ ეს არაა არაბუნებრივი, ნაწვალევი, ტენდენციური პატრიოტიზმი, მეხოტბის, ან მეფესთან სოლიდარული წრის ადამიანთა კერძო მოსაზრებათა შედეგი“. მთელი ეს ეპოქა „წარმოადგენს ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სამხედრო დიდების უმაღლეს სასიცოცხლო განვითარებას, და მეხოტბე გადმოგვცემს მის თანამედროვე მოწინავე ქართული საზოგადოების განწყობილებას“.

აისახა თუ არა პატრიოტული თვითშეგნება პეტრიწის მოღვაწეობაში და თუ აისახა — როგორ? პასუხი ამ კითხვაზე პეტრიწის მთელი შემოქმედებაა, არა მხოლოდ ფილოსოფიაში, ყველა იმ დარგში, რომელშიც ის მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ მას ქართული გრამატიკის შედგენასაც მიაწერენ. მისი თარგმანები განეკუთვნება ისტორიულ, ასკეტიკურ, ლიტურგიკულ, ბიბლიოლოგიურ, ასტრონომიულ-ასტროლოგიურ, ჰიმნოგრაფიულ მწერლობას. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია თარგმანე-

1 იოანე პეტრიწი, შრომები, II, 1937, გვ. 76.
2 იქვე.

ბი და ორიგინალური თხზულება ფილოსოფიის დარგში.

მაგრამ პირდაპირი და ძალიან საყურადღებო პასუხი ამ განსაკუთრებით პატარა ერისათვის საჭირბოროტო კითხვაზე, გაცემული აქვს პეტრიწს მოძღვრების იმ ნაწილში, რომელიც ადამიანის მიერ ცხოვრებასა და მის დანიშნულებას ეხება. ადამიანის დანიშნულებასა და ვალდებულებებთან ერთად, რომლებიც ადამიანის ზოგად წარმოდგენას ეხება და მოძღვრების ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს, პეტრიწი ავითარებს შეხედულებას, რომ ადამიანი თავის ვალდებულებას ღმერთისა, სამყაროსა და კაცობრიობის წინაშე ასრულებს საკუთარი ხალხის წინაშე ვალის მოხდის მეშვეობით. აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულების ერთ-ერთი აუცილებელი მხარე: ჩააყენოს მთელი თავისი ძალები და შესაძლებლობანი თავისი ხალხის სამსახურში. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, „სქოლასტიკის ბატონობის ეპოქაში ასეთი დამოკიდებულება საკუთარ, ხალხისადმი არც თუ ხშირად გვხვდება".[1]

ასეთია, მოკლედ, პეტრიწონის ქართული მონასტრისა და იოანე პეტრიწის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას სამწუხარო გაუგებრობაზე, რაც ამ მონასტრისა და იოანე პეტრიწის გარშემო წარმოიქმნა.

იოანე პეტრიწი დიდი გულისტკივილით ლაპარაკობს დევნასა და შევიწროებაზე, რომელსაც განიცდიდა „ქართველთა და ბერძენთა შორის", „სენთა და უცხოებათა" შესახებ, „შურთა, ვერაგობათა საკუმილზე", რომელიც მას ბედმა არგუნა.

თავად პეტრიწი არ ასახელებს კონკრეტულად მისი დევნის მიზეზებს, ან თუნდაც სახაბს, რამაც მისი დევნა გამოიწვია. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრიწის დევნის მიზეზს უმთავრესად მისი აზრების ანტიდოგმატიკურ ხასიათში ხედავენ. რა თქმა უნდა, აქ გამორიცხული არაა არც ბიზანტიის კარის მაქინაციები, არც ცდები ამ შესანიშნავ მოაზროვნესთან პირადი ანგარიშის გასწორებისა. პეტრიწი თავის შევიწროებას მდევნელთა უვიცობით ხსნის. უფრო მეტიც, მათი ორმაგი უვიცობით („ორითა იპყრობვოდეს უმეცრებითა") და ისტორიის წინაშე ამით უსწორებს მათ ანგარიშს. ერთი მხრივ, მათი უმეცრება იმაში გამოიხატებოდა, რომ ვერ ერკვეოდნენ — შეცნიერებასა და მოძღვრებაში —, რომელსაც პეტრიწი ავითარებდა; ხოლო, მეორე მხრივ, მათ თავისი უმეცრებაც არა ჰქონდათ შეგნებული. უვიცობა და მეცნიერებაში გაურკვევლობა მათი სენი იყო, ამ სენის არ ცოდნა მეორე მათი უბედურება; „ძნელ [არს] სენი — იმოწმებს პეტრიწი სოკრატეს სიტყვებს — არამედ უფიცხეს [ძნელ არს] უმეცრებაჲ სენისაჲ".

გავიდა დრო და მდგომარეობა შეიცვალა. XX ს-ის მეცნიერების შეხედულების მიხედვით, იოანე პეტრიწი დევნის საგნიდან გადაიქცა დიდ და, შეიძლება ითქვას, „სახარბიელო" მოაზროვნედ, რომელსაც მრავალი ერი სიამოვნებით „იშვილებდა". და აი, წარმოიქმნა მისი ეროვნული „დევნისა და შევიწროების" თავისებური ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ იოანე პეტრიწი სრული გარკვეულობით ლაპარაკობს თავის თავზე, როგორც ქართველზე; რომ მისი ქართული ეროვნული კუთვნილება დასტურდება მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი საბუთით (დაწვრილებით იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, I, 1940, სიმონ ყაუხჩიშვილის შესავალი წერილი, გვ. გვ. XXII-XXVI). მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე თავის თავზე წერს, რომ ის ეკუთვნის „იბერთა უბრწყინვალეს გვარს" (ტიპიკონის ბერძნული რედაქცია, გვ. 3), რომ ის არის ძე ბაკურიანისა, „აღმოსავლელისა და ქართველისა" (ქართული რედაქცია, გვ. 61); ის თავის თავს აკუთვნებს ქართველებს, ჩვენ, ვკითხულობთ ტიპიკონში, „ქართველნი ნათესავით მკნენი და მკედრობით აღზრდილნი" და სხვ. (იქვე, გვ. 62), რამდენჯერმე იმეორებს ტიპიკონში, რომ პეტრიწონის მონასტერი არის „მონასტერი ქართველთაჲ" და მხოლოდ ქართველთაჲ; რომ შეწირულ წიგნთა შორის ტიპიკონში მხოლოდ ბერძნული და ქართული წიგნებია მოხსენებული და არც ერთი წიგნი რომელიმე სხვა ენაზე, მონასტრის კედლებზე, თუ სხვა ნივთებზე ქართული წარწერებია, რომ დღევანდელ მეცნიერებაში ეს საკითხი სრული გარკვეულობით არის გადაწყვეტილი (იხ. აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი, ტიპიკონი, თბილისი, 1971; Н. Ломоури. К истории грузинского Петрицонского монастыря, Тбилиси, 1981) და სხვადასხვა, კამათი მაინც გრძელდება, ჯიუტი, ენერგიული — მაგრამ უსაფუძვლო კამათი, რომელიც ცდილობს შეცვალოს პეტრიწონის ქართული მონასტრის, მისი დამაარსებლისა და მისი გამოჩენილი მოღვაწის ეროვნული ხასიათი და წარმომავლობა.

---

[1] Г. В. Тевзадзе, Иоанэ Петрици о назначение человека იხ. ჯრებული. «Алексею Федоровичу Лосеву к 90-летию со дня рождения, Тбилиси, 1983, стр. 117:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარ ქაჯაია

ახალი არაბული ლიტერატურის განვითარების გზები

სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე 1919 წლის ეგვიპტის რევოლუციის გავლენამ განაპირობა ამ ქვეყნის ლიტერატურის აღორძინება. სუდანის ლიტერატურაში შეიჭრა რევოლუციური იდეები, რომელთაც დაეჩქარეს 1924 წლის ანტიკოლონიური, ანტიიმპერიალისტური აჯანყება. ამ უკანასკნელმა კი გადამწყვეტი როლი ითამაშა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ პოეტები და მწერლები, მათ შექმნეს საიდუმლო ორგანიზაცია „თეთრი დროშის ლიგა", რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ურფათ მუჰამედ ურფათი, სალიხ აბდელ კატერი და სხვები.

30-იან წლებში სუდანში სამი ჟურნალი გამოდიოდა: „სუდანის სარკე", „აღორძინება" და „განთიადი", სადაც პუბლიცისტური და კრიტიკული ხასიათის მასალები იბეჭდებოდა, აშკარად გამოხატული სოციალური და პოლიტიკური შინაარსის მხატვრული ნაწარმოებებიც არ წარმოადგენდა იშვიათობას ამ ჟურნალებში.

ამ პერიოდს განეკუთვნება განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად შექმნილი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის „მადრასა ალ-ფაჯრას" (განთიადის სკოლა") გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე; იგი ეწეოდა ეროვნული განთავისუფლების იდეების ფართო პროპაგანდას, თუმცა ამ სკოლის მიმდევარნი თავისუფლების მიღწევას სუდანელ ხალხში მხოლოდ განათლების შეტანაში ხედავდნენ.

სკოლას „ალ-ფაჯრა" ჰყავდა თავისი თეორეტიკოსები და კრიტიკოსები, რომელთაც განსაზღვრეს სუდანური ლიტერატურის გზები, მისი პრინციპები და მიმართულება. ნოვატორული იყო ის მოთხოვნილებები, რომელსაც მუჰამედ ახმედ მაჯუბი უყენებდა ცნობილ სუდანელ ლიტერატორებს თავის სტატიაში „როგორი მიმართულებით უნდა წავიდეს აზროვნების განვითარება სუდანში" (1941 წ.). იგი მოუწოდებდა მწერლებსა და პოეტებს ყურადღება დაეთმოთ თავიანთი ქვეყნის ისტორიისათვის, სუდანის სინამდვილის თემებისათვის და ამით გამოეღვიძებინათ ხალხში პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების გრძნობები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სუდანის ლიტერატურის განვითარების ახალი ეტაპი დადგა, რაც განპირობებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით. სუდანელ გილი აბდელ რახმანს არაბული ლიტერატურული კრიტიკა რეალისტური მეთოდის ერთ-ერთ თანმიმდევრულ მომხრედ თვლის. პოეტმა ბავშვობა კაიროში გაატარა. ის ეგვიპტელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო.

ამ პერიოდის სუდანურ ლიტერატურაში საერთოდ იგრძნობა მწერალ-რეალისტთა გამოსვლა სამწერლო არენაზე. ა. ბ. ხალილის შემოქმედებაში ვეცნობით სუდანელთა ცხოვრებას. ავტორი მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს სუდანის საზოგადოების სოციალურ უთანასწორობას, სიყვარულით ხატავს მშრომელთა მისწრაფებას თავისუფალი და სამართლიანი ცხოვრებისადმი. მწერალი მწვავედ აყენებს სოციალური უთანასწორობის საკითხს. მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული მისი ნაწარმოებები — „დღესასწაულის წინა ღამე",

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 1.

„ბიძია ალი“, „სუდანიზაცია“, „დაბრუნება“, „ბავშვი და ინტერვიუ“, „ომდურმანის ღამეები“. მათ არც პოლიტიკური და სოციალური ეულერადობა აკლიათ.

ჩვენი დღეების სუდანის ლიტერატურაში გამოჩნდნენ მწერლები, რომელთაც გადალახეს ერა საკუთარი ეროვნული სულისათვის უცხო, ევროპული ფილოსოფიური სკოლების გავლენა და რომლებიც 60-იანი წლების რევოლუციური ძვრების მოწმენი არიან, ბევრი რამ გააკეთეს, რათა გადმოეცათ სუდანელი ხალხისა და საზოგადოებრიობის რევოლუციური ტენდენციები. ამგვარ ავტორთა შორის გამოირჩევიან ატ-ტაიიბ სალიხი, მუსტაფა სახადი, მუჰამედ ალ-მაკკი და სხვები.

უახლესი სუდანური მხატვრული ლიტერატურის წინსვლაში დიდი როლი შეასრულა პროზაიკოსმა ატ-ტაიიბ სალიხმა. მან ხართუმის უნივერსიტეტი დაამთავრა, რამდენიმე წელი მასწავლებლობდა სოფლის სკოლაში, შემდეგ მუშაობდა არაბულსა და ინგლისურ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. შვიდი წელი ცხოვრობდა ინგლისში. მას კალამი კარგად უჭირს, ბევრს წერს და მისი მახვილი თვალი კარგად ამჩნევს ქვეყნის გასაჭირს. მწერალმა მძიმედ განიცადა ნოსტალგია ინგლისში ყოფნისას, დაბრუნებისთანავე დაწერა რომანი „ჩრდილოეთში სალოცავად წასვლის ხეზონი“ (1967 წ.), სადაც დამაჯერებლად აღწერს ინგლისელთა ბატონობის სიმძიმეს სუდანელებისათვის. მის კალამს ეკუთვნის 1959 წელს გამოცემული მოთხრობების კრებულები: „ჰამიდის ველის პალმა“, „ზეინის ქორწილი“ (1969), „ბანდარ შაჰი“ (1971) და სხვ.

იემენური ლიტერატურის განვითარება მთელი არაბული ლიტერატურის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იემენში, იქ, სადაც პირველად დაირწა უძველესი არაბული პოეზიის აკვანი, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ლიტერატურის აღორძინება. ამ პერიოდში იემენში შექმნილმა „ლიტერატურული რეფორმის საზოგადოებამ“ საფუძველი ჩაუყარა იემენურ ლიტერატურას, მანვე ჩამოაშორა ახალ ლიტერატურას შუასაუკუნეობრივი თეოლოგიური ტრადიციები.

1944-1947 წლებში იემენის ლიტერატურაში ახალი პოლიტიკური და მხატვრული იდეები და მიმდინარეობები შეიჭრნენ. ქვეყანა არაბულ პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა. ქალ. სანაში დაიწყო გამოსვლა ლიტერატურულმა ჟურნალმა „ალ-ჰიკმა ალ-იამანიამ“ („იემენური ანდაზები“); მისი ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილ ადგილობრივ ლიტერატორთა მოღვაწეობას უქმად არ ჩაუვლია. ახალმა მიმართულებამ ფესვები გაიდგა საზოგადოების სულსა და გულში, შეიქმნა მეორე ლიტერატურული ჟურნალი „ალმუსთაკბალ“ („მომავალი“).

ბელეტრისტული ჟანრის ნაწარმოებები უმთავრესად პუბლიცისტურ ხასიათს ატარებენ. ისინი გამოირჩევიან თემის სიმწვავით, მხატვრული ფორმებისა და ხერხების უბრალოებით. პროზაული ნაწარმოების ერთადერთ ფორმად მოკლე მოთხრობა რჩება. მათი თემატიკა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის საკითხებია, განსაკუთრებით კი, 1962 წლის რევოლუციის შემდეგ, მონარქიული წეს-წყობილების გარდაქმნის პრობლემები ამ მიმართულებით მუშაობენ ცნობილი პროზაიკოსები — სულთან აშ-შაიბანი, აბდელ კერიმ ალ-მურტადა, სულთან ზეიდი, მუჰამედ ბაალაკი და სხვ. ახალი თაობის იემენელი მწერლებიდან გამოირჩევა მაიფა აბდურაზმანი. მის ნაწარმოებთა მთავარი თემაა სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარე სოციალური ძვრების აღწერა-წარმოჩენა. მისი მოთხრობების გმირები არიან უბრალო ადამიანები, რომელთაც ღრმად შეიგნეს ახალი ცხოვრების მშენებლობის აუცილებლობა რევოლუციური აღმავლობის საშუალებით. ასეთია თუნდაც მოთხრობა „უსახრულო გზა“.

იორდანიის ლიტერატურა პალესტინელი და იორდანიელი ხალხების ბრძოლაში გამოიბრძმედა. თანამედროვე იორდანიაში შემავალ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის საგრძნობი სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო, აქ კულტურული აღორძინება უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე სირიასა, ერაყსა და ეგვიპტეში. მხოლოდ 20-იან წლებში შეიქმნა აქ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები.

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე დაუდ ასსაიდავმა დააარსა „ლიტერატურული საზოგადოება“, რომლის ირგვლივ შემოიკრიბნენ ლიტერატორები — ხალილ ალ-საკკაკინი, ხალილ ბეიდასი და სხვები, მათ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნოველის ჟანრს, რომლის ფუძემდებელიც ხალილ ალ-ბეიდასია.

ხალილ ალ-ბეიდასმა ნაზარეთში დაამთავრა სამასწავლებლო კურსები, აქ შეისწავლა პროგრესული კლასიკური ლიტერატურა და რუსული ენა. აქვე გადადგა, როგორც მწერალმა, და როგორც რუსული ლიტერატურის მცოდნემ, პირველი ნაბიჯები. 1898 წელს თარგმნა ა. ს. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, 1900 წ. ნ. ვ. გოგოლის — „ტარას ბულბა“, უფრო გვიან გამოაქვეყნა ლ. ნ. ტოლსტოის, ა. პ. ჩეხოვის, ი. ს. ტურგენევის ნაწარმოებების თარგმანები; სიცოცხლის ბოლოს, 74 წლის მოხუცმა, დაასრულა ლ. ნ. ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ თარგმნა.

იორდანიის ლიტერატურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ისკანდერ ალ-ხური ად-ბითაჯალიმ. ის ქადაგებდა მხატვრული ლიტერატურის ქვეყნის პრობლემებთან დაკავშირებას. „ლიტერატურა სოციალური ხასიათის

უნდა იყოს, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებასო", წერდა ის.

მიუხედავად იმისა, რომ უახლეს იორდანიულ ლიტერატურაში თანდათანობით იმაგრებს პოზიციებს რეალისტური ტენდენციები, ჯერ კიდევ იშვიათია ნაწარმოები, რომლის გმირიც ხალხთა მასებიდან იყოს გამოსული. ზოგიერთი მწერალი აყენებს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ქვეყანაში უცხოელთა ბატონობის ლიკვიდაცია, საზოგადოების სოციალური გარდაქმნა, მაგრამ კოლონიური ჩაგვრისა და სოციალური დამონებისაგან ხსნის საშუალებებს ვერ პოულობენ.

იორდანიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია ახმედ მუსა ალ-ჰუსეინის მოთხრობა „ქათმის დღიური". პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა ავტორი აერჩია ქარაგმული ფორმა, რათა ცენზურისათვის გვერდი აევლო. მოთხრობაში ავტორმა გამოსთქვა აზრი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაზე და სასტიკად გააკრიტიკა არსებული წესები და მმართველი წრეები.

1950 წელს მწერალმა და მთარგმნელმა ნაჯათ სიდკიმ ლიტერატურული მოღვაწეობა რუსი მწერლების რჩეული ნაწარმოებების თარგმანთა გამოცემით დაიწყო. მან განათლება საბჭოთა კავშირში მიიღო. დიდია მისი ღვაწლი თავისი ქვეყნის ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში. „მწერლის როლი საზოგადოებაში იმით განისაზღვრება, თუ როგორ სულიერ საზრდოს აძლევს მისი ნაწარმოებები მასებს. მწერლად მხოლოდ ის იწოდება, ვინც მხატვრული აღქმის თავისი ხელოვნებით მშვენიერ ხვალინდელ დღეს აჩვენებს" — წერდა ის.

თანამედროვე იორდანიულ ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ცნობილი მწერლის, რეალისტ მაჰმუდ ალ-ირანის თეზისი იმის შესახებ, რომ „მწერალი-რეალისტი სამსახურს ვერ გაუწევს თავის ხალხს, თუ კი ის საკუთარ შემოქმედებას არ დაუკავშირებს დამონებულთა და დაჩაგრულთა ბედს". ასეთივეა მეორე მწერლის — ისმაილ აბდ-არ-რახმანის მოსაზრებაც. ამ მწერლის მოთხრობების გმირები უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი მუშები და გლეხები არიან. ისმაილ აბდ-არ-რახმანი პოეტიც არის. მცირე პოემაში — „რევოლუცია" აღწერს იორდანიის მუშების მდგომარეობას. პოემის მთავარი მიზანია მოუწოდოს მასებს იბრძოლონ თანასწორუფლებიანი სოციალური მდგომარეობის მისაღწევად. ასეთივე პოზიციაზე დგას იორდანიელი პოეტი და ნოველისტი ისა ან-ნაური.

თანამედროვე იორდანიული ლიტერატურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში დავაუკაცებული მებრძოლი ლიტერატურაა, რომელიც ხალხის ოცნებებსა და იმედებს გამოხატავს.

ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნების ანუ მაღრიბის (ლიბია, ტუნისი, ალჟირი, მაროკო) ლიტერატურის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 50-იანი წლების ბოლოსათვის გამარჯვებით დაგვირგვინებასთან. უფროსი და ახალი თაობების მწერლების შემოქმედების ძირითად თემას განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტივები წარმოადგენს. ამის მაგალითია ალჟირის დიდი პროზაიკოსის ათთახრირ ვატანის რომანი „ბობოლა". კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის თემას ეხება მწერლების ქათიბ იასინის, მუჰამედ დიბას, მულუდა ფერუანის, მულუდა მამერის, დრისა შრაიბის და სხვათა ნაწარმოებები (ფრანგულ ენაზე).

უნდა აღინიშნოს, რომ მაღრიბის ქვეყნების ხალხების სულიერ ცხოვრებას წილად ერგო ფრანგი კოლონიზატორების მიერ დატოვებული კულტურული და ენობრივი სირთულენი, უკანასკნელ დრომდე ამ ქვეყნების ლიტერატურულ სამყაროში ფრანგული ენა იყო გაბატონებული, აგრეთვე, ის ოფიციალურ ენადაც იყო გამოცხადებული. ამჟამად ვითარება შეიცვალა. არაბულმა ენამ დაიპყრო მაღრიბელ შემოქმედთა გულები. ეგვიპტელი კრიტიკოსი ფათხი სალიამა სტატიაში — „ლიტერატურა მაღრიბში და ნოველისტიკის განვითარება", რომელიც კაიროს გაზეთ „ალ-ამრამში" გამოქვეყნდა 1978 წლის 3 აპრილს, წერს: „ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობთ, ჩვენ გვაშორებს დიდი მანძილი, მაგრამ საკმარისია წავიკითხოთ ერთი და იგივე სიტყვა, რომ იმ წუთსვე ერთიანობის გრძნობამ დაიპყროს ჩვენი სული. ჩვენ დავსტირით ერთი ავტორის ერთი და იგივე ნოველის გმირებს, სადაც არ უნდა ვიყოთ, მიუხედავად იმისა, ვიცნობთ თუ არა ერთმანეთს, ჩვენ გვაერთიანებენ ერთი და იგივე გრძნობები".

ეს აზრი მკაფიოდ არის გადმოცემული მაროკოელი მწერლის ახმედ ბენ სოდას ნაწარმოებში — „ალ-მუფტიის ხადისი" (ხადისი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმაა, რომელიც იგავს წააგავს). ეს ნაწარმოები, რომელიც არაბულ აღმოსავლეთში ცნობილი მწერლის ისაბენ ხიშამის ხადისების წიგნსა და „მაკამების" („მაკამა" ისტორიული მოთხრობის ფორმაა, რომელიც, როგორც წესი, პირველად ზეპირსიტყვიერებაში წარმოიქმნება) მხატვრულ ხერხებსა და ფორმებს იმეორებს, ამ ქვეყანაში მხატვრული ლიტერატურის არაბულ ენაზე გადასვლის პირველი ცდა იყო. წიგნში ა. ბ. სოდამ აღწერა მაროკოელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და კოლონიალიზმის ნაშთებისაგან თავის დაღწევისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. ავტორი ცდილობს მიუახ-

ლოვდეს თანამედროვე არაბული რომანის ჟანრს.

მაროკოს ლიტერატურას მრავალი თავისებურება გააჩნია. პირველი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არაბულ რომანს, მოთხრობასა და განსაკუთრებით ნოველის ჟანრს ძლიერ ეტყობა ფრანგული ლიტერატურის გავლენა. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გავლენა, უპირველეს ყოვლისა, ფორმაზე გავლენაში გამოიხატება, რაც შეეხება შინაარსს, იგი ასახავს მაროკოს სოციალურ და პოლიტიკურ ატმოსფეროს. ეს თავისებურება რელიეფურად გამოიკვეთა მაროკოს მიერ 1956 წელს თავისუფლების მოპოვების შემდეგ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაროკოში დღესაც მოღვაწეობენ არაბი მწერლები, რომლებიც ფრანგულ ენაზე წერენ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შესანიშნავი მწერალი ჰასან ბახუნა.

მეორე თავისებურება ის არის, რომ 60-იან წლებში დაიწყო მაროკოული ნოველისტიკის განვითარება, რომლის დამახასიათებელ ნიშანს დასავლეთ ევროპის ნოველებისადმი მიბაძვა წარმოადგენს. ნოველისტიკის ამ სკოლის წარმომადგენლები არიან: მუჰამედ ბადრანი, აბდელ ქერიმ გალიაბი, არაბია ალ-ზაიდა, მუჰამედ შუკრი. დასახელებული მწერლების პოზიცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1967 წლის შემდეგ, მას შემდეგ, როცა ისრაელის წინააღმდეგ შვიდდღიან ომში არაბული ძალები დამარცხდნენ, რამაც არაბთა ეროვნული გრძნობების აღზავება გამოიწვია.

ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა მწერლებმა თავიდანვე საკმარისი პოპულარობა მოიპოვეს. მათ შორის გამოირჩევა მუჰამედ ბარადა; ის არაბულ ენაზე წერს. 1953 წელს დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტი, მერე სტაჟირებას გადიოდა საფრანგეთში სორბონას უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა დისერტაცია თანამედროვე არაბულენოვან ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაზე. იგი რაბათის უნივერსიტეტის პროფესორია, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში — არის განათლების მუშაკთა მაროკოს პროფკავშირის გენერალური მდივანი, 1976 და 1979 წლებში არჩეული იყო მაროკოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ამჟამად მწერალთა კავშირის ჟურნალის „აფაკის" რედაქტორია. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „უბედობა და ხმები", „მთრთოლვარე ხმები", პატარა ნოველა „ოთხი დოლარი", სადაც დიდი გულისტკივილითა და ადამიანისადმი სიყვარულით არის აღწერილი სოფლიდან ქალაქს ჩამოსული უპატრონო ქალიშვილის ბედი, რომელიც უკულმართმა ცხოვრებამ ბურჟუაზიული საზოგადოების წუმპეში ჩაითრია.

ალჟირის თანამედროვე მწერალთა შორის გამოირჩევიან: აბდელ მაჯიდ ბენ ჟელუნი, პროზაიკოსი და პოეტი, ლექსების კრებულების —„დაღვრილი სისხლის ველი" და „ეს არის მაროკო" — ავტორი, მისი ლექსების თარგმანები გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე კრებულში „მაღრიბის პოეზია" (მოსკოვი, 1978 წ.); მულუდ მამერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. არაბულ აღმოსავლეთში ცნობილია მისი რომანები „მივიწყებული მთა" (1952 წ., 1956 წელს იგი გამოიცა რუსულად), „როცა სიმართლეს სძინავს" (1955 წ., რუსულად გამოიცა 1960 წ.), „ოპიუმი და კეტი" (1965 წ. რუსულად გამოიცა 1967 წ.) და სხვა მრავალი. იგი მთელი რიგი პუბლიცისტური წერილების ავტორია, არის აზიისა და აფრიკის მწერლების სოლიდარობის თვალსაჩინო მოღვაწე. ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ფრანგულ ენაზე არაბული პროზის ფუძემდებლის მულუდ ფერუანის შემოქმედება. მისი რომანები „ღარიბის შვილი" (1950), ნოველების წიგნი „კაბილიის დღეები" (1954 წ.), ეპიკური დილოგია „მიწა და სისხლი" (1953 წ.), „მთაში მომავალი გზა" (1957 წ. — 1960-70-იან წლებში ითარგმნა რუსულ ენაზე); იდრის ალ-ხური, ცნობილი მოთხრობების კრებულებით „მწუხარება სულისა და გულისა" (1973 წ.) და „ჩრდილი" (1977 წ.).

აბდელ მაჯიდ ბენ ჯელუნის ნოველა „ეს აიშე მღერის" ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეხება. ფრანგ კოლონიზატორებთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა ერთი ალჟირელი ქალიშვილი აიშე, მაგრამ, ხალხს როდი სჯერა, რომ გმირი დაეცა ბრძოლაში. „არის ღამეები, როდესაც მყუდროებას არ არღვევს სროლის ხმები. მაშინ, როდესაც აენთებიან ვარსკვლავები და დედამიწას მოიცავს ძილი, მაროკოში გაისმის თავისუფლების მომწოდებელი სიმღერები. ეს აიშე მღერის", მოგვითხრობს ავტორი.

ტუნისის არაბული ლიტერატურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობილი ტუნისელი პოეტის აბუ-ლ-ყასემ მუჰამედ კარროს ნაშრომს, რომელიც 1972 წელს ბეირუთში გამოიცა. მ. კარო თავის ისტორიულ-ლიტერატურულ გამოკვლევას გასული საუკუნიდან იწყებს. ამ პერიოდში იწყება ტუნისის გამოღვიძება შუასაუკუნეობრივი საღათას ძილისაგან, მაშინ, როდესაც ასევე იწყება საფრანგეთის ექსპანსია ჩრდილოეთ-აფრიკაში. ტუნისელები, დარწმუნდნენ, რომ ისინი ვერ გაუმკლავდებოდნენ ევროპულ კოლონიზაციას შუასაუკუნეობრივ მრეწველობასა და ძველებურ რელიგიურ დოგმებზე დაყრდნობით. პირველნი ამ დასკვნამდე მეცნიერები და მწერლები მივიდნენ. ამ წლებში აიდგა ფეხი ტუნისურმა ლიტერატურამაც.

ტუნისის სიახლოვემ ევროპასთან განაპირობა ამ ქვეყნის მხატვრული შემოქმედების ევ-

როპულ ლიტერატურასთან გაცნობა. როგორც მ. კარო აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე ახალი თაობის მწერლები, მათ შორის მუჰამედ კაბადო, რომელიც სათავეში უდგას ტუნისის „ნაჰდას" — „აღმავლობას". ამ დროს გამოიცა გაზეთ „არრიადის" („პიონერი") პირველი ნომერიც. მ. კარო ტუნისის თანამედროვე ლიტერატურის პერიოდიზაციასაც იძლევა: 1. 1830-1881 წ., როდესაც მხატვრულმა შემოქმედებამ ფეხი აიდგა; 2. 1881 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე (ტუნისის ოკუპაცია და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება). 3. 1918-1945 წწ. ეროვნული თვითშეგნების აღმავლობისა და ლიტერატურული რევოლუციის პერიოდი; 4. 1945 წლიდან 1958 წლამდე — ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდი (ამ პერიოდში ტუნისი დატოვეს ფრანგმა კოლონიზატორებმა); 5. 60-70-იანი წლები. დამოუკიდებლობისა და ეროვნული მმართველობის წლები.

პირველ პერიოდში ტუნისელი ლიტერატორები იბრძოდნენ შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობის და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ სოციალურ სამართლიანობას, რეფორმებს, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას. 1860 წელს აქ დაიწყო წიგნების ბეჭდვა, გამოვიდა პირველი გაზეთი „არრიადი", რამაც ხელი შეუწყო ადრე უცნობი ჟანრის — ჟურნალისტიკის შექმნას. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა ლიტერატორების მომავალი თაობის აღზრდა.

ახალი პერიოდის ლიტერატურის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა ისტორიკოსმა ახმედ ბენ აბდ-ად-დიაფმა. იგი მოითხოვდა მუსულმანურ სამყაროში რეფორმების გატარებას, აფრთხილებდა ტუნისელებს, რომ მათ დასავლეთის მონობის საფრთხე ემუქრებოდა.

ამ დროის ლიტერატორები ერთდროულად განმანათლებლებიც იყვნენ. ცნობილი მწერალი სულეიმან ალ-ჰარაირი ასტრონომიც და საზოგადო მოღვაწეც იყო, რომელიც, აგრეთვე, ქალთა ემანსიპაციისათვის იბრძოდა. გამოჩენილი ლიტერატორი მაჰმუდ კაბადო კი ენერგიულად მოუწოდებდა კულტურის დარგში რეფორმებისაკენ.

მეორე პერიოდი ტუნისის პროზის აყვავების ხანაა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო გაზეთების გამოცემის გაფართოებამ. 1904-1906 წლებში გამოვიდა ჟურნალებიც „ას საადა ალყუზმა" („დიდი უმრავლესობა"), „თაჰკიკ ალ-ამალი" („შრომის ჭეშმარიტება"), „ხეირ ად-დინ" („რწმენის ქველმოქმედება") და სხვ. პერიოდიკის აღმავლობამ გამოიწვია პოლიტიკური, პუბლიცისტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული ჟანრების განვითარება. დიდი ძვრები მოხდა პოეზიაში.

მესამე პერიოდში აღინიშნება ტუნისზე თურქეთის გავლენის შესუსტება და არაბული ნაციონალიზმის გაძლიერება, მკვეთრად გამოიხატა არაბ ხალხებს შორის სოლიდარობისაკენ მისწრაფება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პალესტინის განთავისუფლების საკითხს. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურის დიდი აღმავლობა და კავშირის განმტკიცება სხვა ქვეყნების არაბულ ლიტერატურასთან.

1926 წელი ტუნისის პოეზიაში რევოლუციური აფეთქებით აღინიშნა. პროგრესულ იდეებს ქადაგებდნენ ახალგაზრდა მწერლები საიდ აბუ ბაქრის, აბულ ყასემ აშ-შაბისა და ათ-თაჰრიტ ალ-ჰადადის მეთაურობით. ისინი უარყოფდნენ არა მარტო დრომოჭმულ იდეებს, არამედ ძველი მწერლური სტილის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ. თანამედროვე ტუნისური ლიტერატურის აღორძინება 30-იანი წლების მწერლებთან არის დაკავშირებული. მათ შექმნეს ტუნისის ლიტერატურაში ნოველის ჟანრი. მწერლობა ასახავდა მუშათა ცხოვრებას.

„რევოლუციური ჯგუფის „ბელადად ტუნისელი მწერლები ასახელებდნენ ა. ჯ. აშ-შაბის, რომელიც 1925 წელს მუშათა ინტერესების დაცვის მოწოდებით გამოვიდა სამწერლო არენაზე. მან ლექსები მიუძღვნა მუშათა მოძრაობის ლიდერს მუჰამედ ალის, რომელიც მუშებს მოუწოდებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლისაკენ. ის თვით მუშათა წრეებიდან იყო გამოსული.

მშრომელი მასების სოციალური მდგომარეობის მხატვრულ ფორმებში გადმოცემას ცდილობს მუჰამედ ალ-ყარუს ალ-მატვი. მის ნოველაში „წვალება" დამაჯერებლად არის აღწერილი ახალგაზრდა ქალის ზეინას სასოწარკვეთილება იმის გამო, რომ უმუშევარია და სხვა გზით ვერ პოულობს სამუშაოს, თუ არა სინდისის გაყიდვით.

თანამედროვე ტუნისურ ლიტერატურაში თვალსაჩინო როლს თამაშობენ მწერლები: მუჰამედ ალ-მარზუკი, ოსმან ბუდენი, მუსტაფა ფარისი და სხვები.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგი წლების არაბულმა ლიტერატურამ დიდი გზა გაიარა. გამოჩნდა მწერლების მთელი თაობა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლას, პროგრესს. ამასთან ერთად, არ ცხრება ბრძოლა ჩამორჩენილ და რევოლუციურ, რეალისტურ მიმდინარეობებს შორის. სულ ახალი და ახალი მიღწევები მოიპოვა რეალისტურმა მიმდინარეობამ, რადგან მხოლოდ ეს მიმდინარეობა ხატავს დამაჯერებლად, სიმართლისეულად ხალხის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი ქართველ მეშახტეთა ცხოვრებაზე

გამომცემლობა „მერანმა“ 1979 წელს გამოსცა მწერალ რამაზ კობიძის რომანის „გვიმრის ფოთლების“ პირველი წიგნი, რომელმაც მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება დაიმსახურა და უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. რომანში ასახულია ქართველ მეშახტეთა და ტექნიკური ინტელიგენციის შრომითი საქმიანობის, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები, პრობლემები თუ საკითხები.

რომან „გვიმრის ფოთლების“ ახლად გამოსული მეორე ტომი შემოქმედებითი პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს. იგი მკითხველმა ახლახანს მიიღო.

რომანში აქტიურ მებრძოლ გმირებად წარმოდგენილი არიან ქართველი მეშახტეები, რომლებიც საბჭოთა მუშათა კლასის მებრძოლ გმირულ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ. შრომითი ერთგულებით თავგადადებული მეშახტეები, ცხადია, ვერ ურიგდებიან სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მიუღებელ ყოფით, მანკიერ მოვლენებს, რომლებიც ჯერაც შეფარვით თავის არსებობას განაგრძობენ.

მძაფრ შეჯახებათა შეპირისპირებით, დადებითი თუ უარყოფითი გმირები, შრომითი აღმავლობის ფრონტზე, შეუპოვარი ბრძოლის ფონზე, წინააღმდეგობებით აღსავსე საქმიან მოღვაწეობას ეწევიან. ყველაფერი ეს, რაც რომანის დასაწყისიდანვე მის დასასრულამდე, ერთის შეხედვით, მკითხველის თვალწინ იშლება, გვეცნაურება, გვაწუხებს თუ გვალხენს, გვაღელვებს და დღევანდელობის აქტუალობით ცხოვრებას უფრო მეტი სიხალისით, ენერგიულად მივყვებით.

თავიდანვე ასეთი გააზრება თუ დახასიათება (თუ ხასიათები) ზედმიწევნით ესადაგება ბელეტრისტის რამაზ კობიძის რომანის „გვიმრის ფოთლების“ მთავარ პერსონაჟებს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ნაწარმოები მეშახტეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, ხოლო მეშახტეთა შრომა, მათი შემართება თავისთავად ძნელი და ხიფათიანია. რომანის მთავარ პერსონაჟებს უამისოდაც მეტად ძნელი პრობლემები აქვთ დასაძლევი და გადასაწყვეტი. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილისა თუ ირინე ქარცივაძის, თეიმურაზ არჯევანიძისა თუ ნათია ავალიშვილის ცხოვრების გზები მეტად მწვავე დრამატიზმით ხასიათდება და ცხადად ჩანს, რომ ამ პერსონაჟთა მხატვრული სახეები სრულყოფას მხოლოდ არსებულ სიძნელეებთან ბრძოლის შედეგად იძენენ.

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს დიდი თანამდებობა თუ დიდკაცობა არასოდეს უძებნია; არც როდესმე იოლი ცხოვრება ჰყვარებია. მან თავიდანვე ცხოვრება რიგითი მეშახტიდან დაიწყო და თავისი ბედით მეტად კმაყოფილიც იყო. მაგრამ აქ გარკეევით ის უნდა გავიხსენოთ, რომ მისი საკუთარი ხასიათის დადებითმა თვისებებმა: — შრომის სიყვარულმა, პატიოსნებამ, პრინციპულობამ, უშიშროებამ, კაცურკაცობამ, გულისხმიერებამ იგი მეშახტეთა დიდი კოლექტივის სათავეში მოაქცია. იგი უბნის უფროსად დანიშნეს. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი დანიშვნისთანავე გრძნობდა, რომ ეს თანამდებობა საჩემო არ არისო. რაც მთავარია, ჯიბრაილს სათანადო ცენზი არ გააჩნია, მაგრამ რიგით მეშახტეებს და მახტის უფროს ანგარიში გაუწია, საქმეს თავდადებით მოეკიდა და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია. ამან განაპირობა სწორედ მისი პოპულარობა თუ ავტორიტეტის ზრდა, მისი გამარჯვებაც. მალე თვითონ ჯიბრაილიცა და მისი უბანიც მთელი ქალაქის, მთელი რესპუბლიკის საამაყონი გახდნენ. ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში და სწორედ მაშინ, როცა უკვე თავდაჯერებული, ყველაფრით და ყველათი კმაყოფილი ჯიბრაილი თავისი თავდადებული შრომისა და განსჯის ნაყოფს იმკიდა, როცა ყველა მომადლიერებული და კმაყოფილი ჰყავდა, ხელქვეითებიცა და უფროსებიც, საკუთარი ოჯახის წევრებიცა და გარეშეებიც, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა, იგი თანამდებობიდან სრულიად უდანაშაულოდ, მოულოდნელად მოხსნეს; ნაძალადევი, ყოვლად გაუმართლებელი ბრალი დასდეს, შეურაცხჰყვეს და იძულებული გახადეს ცხოვრება სულ თავიდან დაეწყო. ეს კიდევ არაფერი. საქმე ისიც არის, რომ ჯიბრაილის მიერ თანამდებობისა და კარგი მდგომა-

---

რამაზ კობიძე, „გვიმრის ფოთლები“, რომანი, წიგნი I „მერანი“, 1979. წიგნი II „მერანი“ თბილისი, 1983 წ.

რეობის დაკარგვამ ბზარი მის ოჯახშიც გააჩინა და იგი — თავისი ცოლ-შვილის მზრუნველი, თავდავიწყებით ერთგული და მოყვარული, იძულებულია ამ ბზარის გამთელებაზეც იზრუნოს. ეს კი მისთვის გაცილებით უფრო ძნელიც კი აღმოჩნდება, ვიდრე შრომითი ცხოვრების თავიდან დაწყება.

მართლაც რომ, ეს სწორედ უფრო დახლართული ცხოვრებისეული, პირდაპირ ცხოვრების შუაგულიდან ამოზიდული შეუცნობელი თუ გამოუვალი კონფლიქტია!..

ძნელი ცხოვრება აქვს თვით ჯიბრაილის მეუღლეს — ირინე ქარცივაძესაც. ეს ამაყი და თავნება გოგონა უზრუნველად იზრდებოდა ქაიხოსრო და დარეჯან ქარცივაძეების კეთილ ოჯახში, სანამ ბოროტი ენები არ ჩააწვეთებდნენ მუხანათურად, რომ იგი იმ მოხუცების ნამდვილი შვილი კი არა, ნაშვილებია. ეს ამბავი უკურნებელ იარად აჩნდება ირინეს მგრძნობელ გულს. ამის შემდეგ ირინეს ყოველი ხაბიჯი ცხოვრებაში იმისი სურვილითაა ნაკარნახევი, რომ თავისი „უკანონო" წარმოშობის „სირცხვილი" თვითონვე გამოისყიდოს და ადამიანებს — ყველას, შინაურებსაც და გარეშეებსაც, თვალნათლივ დაუმტკიცოს, რომ იგი — ირინე ქარცივაძე საზოგადოების ნამდვილი, ღირსეული და საპირო წევრია. ამ გზაზე სიარულისას გულფიცხ ირინეს ზოგჯერ შეცდომებიც კი მოსდის, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ გზას. იღუპება ჯიბრაილი, ირინეს მთავარი იმედი და დასაყრდენი ამ ცხოვრებაში; ამის შემდეგ ირინემ მარტო უნდა გაჰკაფოს ცხოვრების ტევრი და თავისი ერთადერთი ასული — გოგუტუნა სწორ გზაზე გაიყვანოს.

მწვავე პრობლემათა რკალშია მოქცეული თბილისელი ქალიშვილი ნათია ავალიშვილიც, მგრძნობიარე და ამაყ ასულს საკუთარმა დედამ, სათნო ნინომ უმძიმესი ტრავმა მიაყენა: თურმე ანდრო მთვარელიშვილი, რომელიც ამათ ოჯახში, დადიოდა და ოჯახის გარდაცვლილი უფროსის, ნათიას მამისა და ნინოს მეუღლის უანგარო მეგობრად და პატივისმცემლად ითვლებოდა, სინამდვილეში ნინოს საყვარელი ყოფილა, ნინოსი, რომელიც საკუთარი ქალიშვილისთვის მუდამ სათნოების, პატიოსნებისა და გარდაცვლილი ქმრისადმი ერთგულების განსახიერება იყო.

ამ უმძიმესმა სულიერმა ტრავმამ ნათიას ადამიანებისადმი რწმენა და ცხოვრების სწორი ორიენტირება დააკარგვინა. ამის შემდეგ ნათია მუდამ სწორედ იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რასაც პატიოსანი და ინტელიგენტი ქალიშვილი უნდა აკეთებდეს. ასეთ გამომწვეე განწყობილებას და ქცევას მიჰყავს ნათია თავზეხელაღებულ და უსაქმურ ადამიანებთან მეგობრობამდე; ამიტომაც ხელს ჰკრავს და იშორებს ნათია თეიმურაზ არჯევანიძესაც, ახალგაზრდას, რომლისადმიც იგი, მეტი რომ არა ვთქვათ, ძლიერ შინაგან ლტოლვას გრძნობს, იმ უსაქმურებთან მეგობრობა ამით მთავრდება, რომ ანზორ კუპატაძის მკვლელობით თავზარდაცემული ნათია ცოლად ნომალი დიხამინჯიას მიჰყვება, უშიშარ და პატიოსან ვაჟკაცს, რომელიც, თუ სიმართლეს ვიტყვით, ნათიას არ უყვარს. ამიტომ ესმის ნათიას სიმართლე მოჩვენებითი „ინტელიგენტის", ფაქტიურად კი ზნედაცემული ცინიკოსის მირზა ჭირაქაძის სიტყვებში, შენ ნომალი დიხამინჯიას ფართო მხარეებს ამოეფარეო. ნათია გრძნობს, რომ ეს ცინიკოსი არ ტყუის. შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის კარნახით ნათია ნომალის შორდება. ცხოვრება ნათიას ისევ თეიმურაზ არჯევანიძისაკენ უბიძგებს, მაგრამ მიატოვებს კი ეს სათუთად ნაზარდი ქალიშვილი თბილისს?! წავა კი ნათია ქვანახშირის ქალაქში, რომ თეიმურაზის მძიმე, თითქმის ყოველგვარ კომფორტს მოკლებული ცხოვრება გაიზიაროს?

ავტორი, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, რომანში ამ კითხვას უპასუხოდ სტოვებს. ერთი შეხედვით, თითქოს ნორმალურად იწყება და მიემართება ახალგაზრდა სამთო ინჟინრის თეიმურაზ არჯევანიძის ცხოვრება. მან ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, ქვანახშირის ქალაქში წავიდა სამუშაოდ, თანამდებობაზე დაინიშნა და მუშაობას შეუდგა. თეიმურაზის ერთადერთი სატკივარი და საწუხარი ნათიასთან განშორებაა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. შახტის საექსპლოატაციო უბნის უფროსობა, რაც თეიმურაზს ქვანახშირის ქალაქში ჩასვლისთანავე არგუნეს, მისთვის, გამოუცდელი ინჟინრისათვის, ჯერ აშკარად ნაადრევია, ყველანი გრძნობენ, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობისას თეიმურაზს არა ერთი და ორი მძიმე შეცდომა მოუვა, რაც, შეიძლება, ადამიანის სიცოცხლის ფასადაც კი დაჯდეს. და ასეც ხდება. თეიმურაზის დანიშვნის შედეგად უბანზე შექმნილ ნერვიულ ვითარებას ეწირება ახალგაზრდა მეშახტის — იორამ ნოსელიძის სიცოცხლე.

ძნელი სათქმელია, სწორედ მოიქცა თუ არა შახტის უფროსი სარდიონ რაჭველიშვილი, რომელმაც ამ მძიმე ამბის შემდეგაც კი თეიმურაზი უბნის უფროსის თანამდებობაზე დატოვა. ფაქტი კი ისაა, რომ თეიმურაზი ახლა კიდევ უფრო ძნელი ამოცანის წინაშე დგება. მან რიგითი მეშახტეების ნდობა ამ მძიმე ამბის შემდეგ უნდა მოიპოვოს, ახალგაზრდა ინჟინერი ნამდვილი თავდადებით ეკიდება საქმეს. არ ზოგავს არც თავის დროს, არც ენერგიას, არც ჯანმრთელობას, მას გვერდში ამოუდგებიან უბნის საუკეთესო ადამიანები — გერასიმე ცნობილაძე, არქიფო ცალუღლიშვილი, კიდევ სხვანი. მაგრამ, ბოლოს-დაბოლოს, განსაკუთრებით კი გერასიმე ცნობილაძის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზი მაინც

იმ დასკვნამდე მიდის, რომ უბნის უფროსობა მისთვის ჯერ აშკარად ნაადრევია და მან, თუ უნდა რომ სამთო საქმის ნამდვილი ოსტატი დადგეს, თავისი კარიერა უფრო დაბალი თანამდებობიდან, თუნდაც რიგითი მეშახტეობიდან უნდა დაიწყოს. თეიმურაზის გადაწყვეტილება ოდნავ ნაგვიანევი, მაგრამ უთუოდ სწორი და მისასალმებელია.

რომანის მთავარ პერსონაჟებს შახტის უფროსი სარდიონ რაჭველიშვილიც უნდა მიეკუთვნოს. მკითხველი ღრმა სიმპატიას განიცდის ამ შრომაში გაჭაღარავებული, მრავლის მომსწრე და უფრო მეტის მცოდნე ადამიანისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უმძიმეს საქმეს — შახტის მუშაობას, მეშახტეთა წინამძღოლობას შეალია. მით უფრო საგულისხმოა სარდიონის ყოველი გადაწყვეტილება და ყოველი ნაბიჯი. ჩვენს წინაშეა ადამიანი, რომლის სიმართლეც უთუოდ უნდა გავიზიაროთ და რომლის შეცდომებზეც უთუოდ უნდა ვისწავლოთ, ვინაიდან, რა პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს ეს, სარდიონს „შეცდომები“ ისევ და ისევ დიდი საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გამო მოსდის.

განა შეცდომა არ გამოდგა ახალგაზრდა ინჟინრის თეიმურაზ არჯევანიძის დანიშვნა შახტის უბნის უფროსად. მაგრამ სხვა რაღა გზა იყო? ავტორი რომანში დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაშია შახტის მრავალნაცადი ხელმძღვანელი. სარდიონმა წინდაწინვე იცის, თუ რა დიდ ფასად, რამდენ ტანჯვა-წამებად დაუჯდება ეს ნაბიჯი. მაგრამ სხვა გზა არ არის, და ეს ასე იქნება მანამ, სანამ ჩვენში რადიკალურად არ შეიცვლება ახალგაზრდა სპეციალისტების, განსაკუთრებით კი სამთო ინჟინრების მომზადების სისტემა.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ავტორმა იწინასწარმეტყველა ის ღონისძიება, რომელიც ჩვენში ახლა ხორციელდება: ახალგაზრდა სპეციალისტი ინჟინრის დიპლომს მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც წარმოებაში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამ წელიწადს მაინც იმუშავებს.

სარდიონ რაჭველიშვილის რთულ მხატვრულ სახეს კიდევ ერთ შტრიხს მატებს შეცდომა, რომელიც მას უკვე საკუთარი ბუნების წყალობით მოსდის. მხედველობაში გვაქვს სარდიონის გულგრილობა, და უფრო მეტიც, შემწყალე დამოკიდებულება წამგლეჯის და მუქთახორა ანთიმოზ ჩახუნაშვილისადმი. სანამ უბანი სანდო ხელშია და კარგად მუშაობს, სარდიონი საერთოდ ივიწყებს ჩახუნაშვილის არსებობას — უნამუსოა და ეგდოს, მაგისი გამოსწორება მაინც არ შეიძლებაო. მაგრამ როცა უბანზე არჯევანიძისათვის სანდო მოადგილეს ეძებენ და ანთიმოზს შეცვლას დაუპირებენ, ეს უკვე აღარ ხერხდება, ანთიმოზს წლების მანძილზე ერთი ოფიციალური საყვედურიც კი არ მიუღია. სარდიონი საკუთარი ლიბერალობის მსხვერპლი ხდება. აქ კი მისი ცოდნა და გამოცდილება უკვე აღარაფერ შუაშია.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს რამაზ კობიძის ვრცელი, მრავალპლანიანი რომანის ცხოვრებისეულობას, აქტუალობას, მის ორგანულ კავშირს ჩვენი დღევანდელობის მწვავე პრობლემებთან.

რომან „გვიმრის ფოთლების“ მკითხველს სრულიადაც არ ემუქრება ის, რასაც ცხოვრების გაიოლებულ წარმოსახვას უწოდებენ. პირიქით, რომანის პრობლემატიკა, შესაძლებელია, ნამეტნავად დამძიმებულიც კი ეჩვენოს ვინმეს. მაგრამ საკამათო არც ის არის, რომ ავტორის მიერ არჩეული გზა, თუ იდეალური არა, მაინც ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე ის გზები, რომლებიც ახალგაზრდობას ინფანტილიზმისა, ზერელობისა, ქედმაღლობისადმი განაწყობენ.

არაფერია იმაზე უფრო დასაფასებელი, რასაც ცხოვრებისადმი სერიოზული დამოკიდებულების სკოლა ეწოდება. ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურა, მუდამ ერთი ასეთი სკოლათაგანი იყო და არის.

რამაზ კობიძის მოზრდილი ორტომიანი რომანი „გვიმრის ფოთლები“, რომელიც შეუნელებელი, ცხოველმყოფელი ყურადღებითა და ინტერესით იკითხება, ბევრს, ძალიან ბევრ სიმართლეს ეუბნება ჩვენს ახალგაზრდობას, და არა მარტო მათ, მთელს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრიობას.

ᲖᲐᲚᲕᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲠᲝᲖᲔ

აქ, გურიის ამ წყნარ სოფელში, ბურნათში, შესაღამოვებაც უცნაური და თავისებურია: შორით მოელვარე ბახმაროს მთებს ქლიავისფერი ემატება, სივრცე ლურჯი აბრეშუმივით დგება შენსა და იმ შორეულ, ამაღლებულ მწვერვალებს შორის. შორით მოისმის ნახირის ზანზალაკების ხმა, ახლოით — სიმინდის ფოთოლთა ამოხვნეშა, სიოს შეფართხალებისას. მეზობლის ტკბილი, უბრალო და კეთილი ბაასიც

გივი ძნელაძე, „ერთტომეული“, „საბჭოთა საქართველო“.

ისე გახარებს, „ბავშვს რომ აჩუქო წითელი ვაშლი“. ბინდი სქელდება და მჭრქალად მოჩინარე ვარსკვლავებს ბურუსის ბუსუსებიანი შარავანდედი უჩნდებათ. ჭყანტობებიდან მოტანებული ბაყაყების კრუალიც ერთგვარად ავსებს ამ იდილიას.

აქ, ამ სოფელში მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს ერთი პოეტი, რომლისთვისაც აქაური სანახები, ბახმარის კალთებს შეფენილი სოფლების მოზაიკა, ფერი და იერი საკუთარი პოეზიის დვრიტად, ოსტატობის საჯილდაო ქვად გადაქცეულა. ეს პოეტი გივი ძნელაძეა, ვისთვისაც სამშობლო უსიტყვო და ისედაც გასაგები სიყვარულია, შიგ გულისგულში მოფართქალე ფითქინა მტრედივით სცეტაკი და აყელყელავებული. ამიტომაც თუა, არც ერთხელ არ დასჭირდება სიტყვა „სიყვარულის“ ხსენება. შვილი დედას როდი ეუბნება „მიყვარხარ“. ეს ხომ თავისთავად იგულისხმება, თავისთავად იგრძნობა. ოღონდ ეს არ არის ზოგადი, უმისამართო, აბსტრაქტული ტრფიალება. პოეტმა იცის: სიყვარულსაც აქვს ასაფრენი, სასტარტო მოედანი. ეს მოედანი გურიის ერთი ამაღლებული სოფელია; კეკლუცი ბურნათის სიმაღლიდან, მისი მაღლობებისა და ცადაწვდილი ვარსკვლავების კენწეროებიდან იგი უკეთ გრძნობს სამამულე რქის ყოველ გაფაჩუნებას, მშობლიურობის გაუხუნარ შეგრძნებას. მისთვის საქართველო ამ ზურმუხტოვანი სოფლიდან იწყება, მაგრამ ამ ლექსის მიხედვით ჩვენთვისაც აქედან იწყება მამული ჩვენი:

„ნედლ მიწას თბილი ოხშივარი ასდის შიშინით... წისქვილის ღარში ღელის წყალი გარბის თქიშინით... ღარია ძველი, ალაგ-ალაგ ამოღრუნტული, ნანინად მესმის სარეკელას ამოგუტუხი... ქვის ცისფერ კოდში თეთრი წყალი ჩარბის თქიშინით... თენდება, — დილამ ვულკანივით ამოიქშინა და ამოიფრქვა დიდებულად კეთილი ცეცხლი, — თავზე საყრელი აქვს ქვეყანას ოქროც და ვერცხლიც!..“

და როდესაც აზროვნებას კონკრეტული დასაბამი აქვს, მაშინ უფრო ადვილად მისწვდება გონი აბსტრაქტულ სახე-ხატებასაც. როცა დედამიწაზე მკვიდრად დგახარ, ცას უკეთესადაც დაათვალიერებ. ავტორი ასე ფიქრობს და ამას გვიდასტურებს კიდეც, როდესაც სამშობლოს ლოკალსა და სივრცობრივ განფენილობაზე მსჯელობს:

„ოდეს ჩვენს გაყრას ინებებს ღმერთი, — მზიან ფანჯრებზე მოდგება ჩრდილი... უკვდავი დედის მოკვდავი შვილი — სიკვდილის წინაც ვილოცებ შენთვის...“

გივი ძნელაძე ფრთხილად, ფაქიზად მოდის ჩვენთან, გულუბრყვილო ბავშვის უზაკველობით გვიყურებს თვალებში და ასევე უზაკველად და უბრალოდ გვეუბნება: ჩემი თემა და საოქმელი — სამშობლოა, სამშობლო კიდევ სოფელში იწყება, იქა აქვს გადგმული? ეფანგავი ფესვები. „ოროლობეში მოტინტილობს ფეხშიშველა ბიჭი! აი, შენი მომავალი, შეუწყვეტი სუნთქვა. შეეხედე და დავიჯერე — შენ იქნები მუდამ!“

სამშობლოს თემა ცოტა სხვაგვარად ესმის პოეტს. მისი ლექსის ჩარჩოდან იგი მხოლოდ მამულს როდი ეფარდება. ეს არის აგრეთვე ქართველი კაცის ფიქრი ყოფნა-არყოფნაზე, სევდა და მწუხარება, სულის ზეობა და „სურვილთა დიადობანიც“, უფრო ხშირად კი მამულთან დაკავშირებით სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული „ფიქრი — მდევრის“ სტუმრობა-გასტუმრება:

„დაბადებამდე რომ ვერ გხედავდი — ამაზე მწყდება ძალიან გული... სიკვდილის შემდეგ რომ ვეღარ განახავ, — ამაზე როგორ არ დამწყდეს გული!“

ამ სტრიქონების წამკითხველი თვალნათლივ იგრძნობს ბავშვივით თამამ, გულუბრყვილო, და ღრმად მოაზროვნე პოეტს და რაკიღა „ადამიანი სახეა დროის“, ხოლო პოეტი ადამიანთა გულისთქმის სარკე. ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიდან ავტორი ჩვენი საერთო საფიქრალის, საწუხარ-სადარდელის მკაფიოდ გამომხატველად გამოჩინდება. და განა სწორედ ეს არ ევალება სიტყვის ყოველ ფალავანს?

მაგრამ ცხოვრება ერთმნიშვნელოვანი ფენომენი როდია. ეგ საოცრება სავსეა მხიარული ფერებითაც. მისი გამოდარება ღიმილივით შვენის დედამიწას. ისევ მივმართოთ პოეტის სტრიქონს: „ცხოვრებამ ზოგჯერ დატკბობა იცის, — დაგავიწყდება მტრობა და შური... ცხოვრებას ამ დროს სურნელი ასდის თონიდან ახალამოყრილ პურის“. ასეთ წუთებში ავტორი მამულს ხედავს „საუკუნეთა მზეში დაყრილ გაუფანტავ კერის ნაცრად“, ამ დროს „ქვეყანა მაინც მშვენიერია“, ის ლამაზია, იგი ისე თეთრია, როგორც ლაკვარდში მოფათქუნე მტრედი.

დიდად მეძნელება დავადგინო, თუ რით აღწევს შემოქმედი თავისებურების შეგრძნებას. არ ა და, ამას ყოველი მკითხველი გრძნობს. რაიმე გამოკვეთილი სტილური ელემენტი მის ლექსს არ ატყვია შინაარსიცა და თემატიკაც ჩვეულებრივი აქვს. ალბათ ჩვენ ისევ პოეტის ერთი განცხადებიდან უნდა ამოვიდეთ. სამშობლოს იგი ერთგან ასე მიმართავს: „ვარ შინაარსი შენი სახელისო“. ვფქრობ, სწორედ აქაა საძიებელი მისი თავისებური პოეტური ხმის სათავეც. ძირითადი, რითაც პოეტი თავისთავადობას ინარჩუნებს, არის უბრალოდ და ნათლად ნათქვამი ფრაზა, სადაც რაიმე ექსპერიმენტი და ეშმაკური ცდა გამორიცხულია, ოღონდ თვალშისაცემია ღრმად ინდივიდუალური ინტონაცია, დიახ, გივი ძნელაძისეული ინტონაცია—ეს ერთადერთი ფუძე მისი პოეზიის თავისთავადობისა. ამის კარგი ნიმუშებია „საუკუნიდან სა-

უკუნეში“, „ქვეყანა მაინც მშვენიერია“, „ნადი“, „მარადი მგზავრი“... განსაკუთრებით ეს უკანასკნელი:

ზაფხულ გადის, ზამთარ დგება, —
წუთისოფლის მდგმურობავ!..
ნეტა, როგორ დამთავრდება
ჩემი მოგზაურობა!..
ხევ-ხევ ხეტვა, მთა-მთა რება...
გზა-გზა ბედის მდურვობა!..
სად, ნეტაი, დამთავრდება
ჩემი მოგზაურობა!
სულო! — გატყობ მირონცხებას,
აღზევებას სრულობას!...
დამთავრებით დაიწყება
შენი მოგზაურობა!...

სწორედ ამ მხრივ არის საგულისხმო სხვა ლირიკული გნომაც:

მოვკვდები, —
გულზე ხელებს დავიკრეფ,
კუბოს გავყვები,
როგორც წყალი ღარს...
მანამდე ჩემს წილს
მე არ დავიკლებ —
არცა სისხლის ღვრას,
არცა ოფლის ღვრას!..

როდესაც პიროვნება სიხარულისა და ბედნიერების ტევრიდან გასცქერის ადამიანურ უბედობასა და კირთებას, მის სტრიქონში ყურით მოთრეულად „აღჩნდება“ ხოლმე ტკივილიანი სახეები. და აღარ გჯერა მისი ნაღვლიანობისა. ყალბი ინტონაცია ყალბ ნოტებს უდებს სათაეეს. მაგრამ როდესაც ტკივილების ტევრში დაბიჯებს პოეტი და ხანდახან ამ ტევრის ალაგ-ალაგ მეჩხერი ტოტებიდან გამომშუქარ მზის ციგლიგს ჰკიდებს თვალს და ამით გამოწვეულ აღტაცებას გამოხატავს — ეს უკვე პესიმისტის სიხარულია და ამ განცდის ბუნებრიობაში კიდეც გაჯერებს იგი. უდავოა: სასაცილოა ოპტიმისტის სევდა ისევე, როგორც ჰეშმარიტი და ეჭვმიუტანელია პესიმისტის სიხარული.

ინტონაციის წინა პლანზე წამოწევა თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ ავტორის ყოველგვარი ლექსი — სხვადასხვა საზომით შესრულებული — ნაირგვარ განცდებს აღძრავს. ამიტომაც სრულიად ვეთანხმებით მისსავე ერთ უსათაუროში გამოხატულ აზრს:

დღის ბოლოს ვიანგარიშოთ,
ვინ ვისზე რითით მეტია!..
ბევრი აივლის, ჩაივლის —
მსაჯი მაღალი ღმერთია!
აირ-მაირი-შაირი —
ყველა საჩემო მეტრია,
ლექსი მაქვს ნაირნაირი,
სული — ყველაში ერთია!

ოდენ ინტონაციაზე დაყრდნობა და მხოლოდ მეტრის ნაირგვარობა როდი ქმნის ერთტომეულის ლექსთა ფორმალური მხარის შინაარსს. თანამედროვე პოეტურ სახეთა მოზაიკა, მოულოდნელი, სააზროვნოდ შემართული და შეფარვით შემოპარებული შედარებანი გვივ ძნელაძის ნაწარმოებთა ცალკეულ ადგილებს განსაკუთრებით გამოაჩენს, ოღონდ ისე კი, რომ დანარჩენი ნაწილი არ დაჩრდილოს. მაგალითად ავიღოთ ორი პეიზაჟი: „მთები გამოჩნდნენ მინდვრების მიღმა, თითქოს იწვნენ და წამოდგნენ ახლა“. მეორე მაგალითი:

შუადღის ცა ბროლივით
გადაკასკასებულა,
ლორთქო ყანა მზის გულზე
გადახასხასებულა.

ორივეგან სრულიად სხვადასხვა ინტონაციაა, სხვადასხვა საზომით გამოკვეთილი. პირველი მძიმე და ბრგე მთების სურათს წარმოგვიდგენს და ამდენად უფრო „მძიმე“ (10 მარცვლიანი) საზომითაა შესრულებული, ხოლო მეორე უფრო „მსუბუქი“ (7 მარცვლიანი) და ელასტიური მეტრითაა გადაწყვეტილი, — ესეც შინაარსმა განაპირობა, — მეორე სტროფში წარმოსახულია ქაფქაფა, ჩხრიალა ღელისა და ციმციმ მოფრიალე ნისლის „სიჩუქე“:

აქეთ — ღელე ღუღუნებს,
იქით — წყარო ჩხრიალებს,
ხევში ნისლებს ნიავი
ციმციმ მიაფრიალებს.

აქედან ვასკვნით, რომ ავტორი ფორმიდან კი არ მიდის შინაარსისაკენ, არამედ პირიქით — შინაარსიდან ფორმისაკენ. და როდესაც ამგვარ ვითარებაში შინაარსი პოულობს ოპტიმალურ ფორმას — ინტონაციაც ნაღდი და უტყუარია. ასეთ ლექსს არასოდეს გამოერევა ყალბი ნოტი, თუნდაც იგი საკმაოდ ჩვეულებრივ, ტრივიალურ აზრებს გვაწვდიდეს. ამ თვალსაზრისით ჩვენი ავტორი თვით სახუმარო ლექსებშიც კი ინარჩუნებს ფორმისა და შინაარსის წონასწორობის, შეთავსებულობისა და შესაფერისობის პირობას „(სასტუმროსა და სადგურში“):

რა ვიღონო,
ეს ცხოვრება
როგორ გავაპოეზიო!..
ვილაცამ თქვა:
„ათ საათზე
ჩვენიც გავა პოეზდიო!

ხოლო როდესაც თავდაპირველად სახის ყალიბს, ფორმას პოულობს ავტორი და მერე სდებს მასში შინაარსს, ღებულობს ერთი შეხედვით საინტერესო, მაგრამ ცივ, უსულგულო მხატვრულ სახე-სქემებს: „სულის ცეცხლზე დუღს ცრემლების ზღვობა“, ან კიდევ: „სიზმრის ნისლი ძილივით წევს მთაზე“. ყველა გრძნობს, რომ აქ ხელოვნურობა მეტია, ვიდრე

ხელოვნება — ავტორისათვის აგრერიგად დამახასიათებელი და ჩვეულებრივი ბუნებრიობა. ლექსის ღვთაებრივ ტაძარში ბუნებრიობის უნებლიე მკვლელიც კი — იგივე პოეტური რეციდივისტია!

გივი ძნელაძის ზოგიერთი შედარება გასცდება ხოლმე სტანდარტული შედარების სამანებს და მომწიფებულ მეტაფორად გვევლინება: „ჰეი, მზეო — ოქროს თასო — ცის თავანზე შედგმულო!“ ხოლო ზოგიერთი — მეტაფორაზე მეტყველიც კია, ისე მარჯვედაა დანახული მისი მეოხებით პოეტური მიმართების საგანი, ისე მძლავრია პოეტური აზროვნება:

...და,
როგორც მთვარე ანკარა წყალში —
ისე ჩანს გული
კაცის თვალებშიც...

აქ თამამად უნდა ითქვას: მარტო ეს მხატვრული მიგნებაც საკმარისია ავტორის უტყუარ პოეტურ ხედვაზე საგანგებოდ რომ ვისაუბროთ.

ლექსთა მეტაფორული პლანიც მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება.

მეტაფორა პოეტური მეტყველების უმთავრესი და უმძლავრესი ხერხია. შემთხვევითი როდია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ პირველმკითხველს, უწინარეს ყოვლისა, თვალში ეცემა მისი მეტაფორულობა. ამიტომაც გასაგებია, მეტაფორის განმარტებაში ერთმანეთს რომ ეჯიბრებიან მკვლევარები. მისი შინაარსი ადვილად ამოსაცნობია და აქ დიდი ხანია შეთანხმდნენ ისინი. ქრესტომათიული აზრით, „მეტაფორა პოეტური გამოცანაა“. ეს მშრალი განმარტება კ. ჭიჭინაძემ დაძლია და მისი შინაარსის გამოხატვა ახალ, უაღრესად მაღალ საფეხურზე აიყვანა — მეტაფორა ფუძემოხსნილი შედარებაა. ამ შესანიშნავი, კლასიკურად ზუსტი და ემოციური განმარტების მოპოვება მას რუსთველის ღონიერ მეტაფორებზე დაკვირვებამ შეაძლებინა. ასეთია განსაზღვრების ბედი. რომელიმე ნიჭიერი ავტორის მიერ ეფექტურად მოქნეულ ფრაზას შეუძლია ათობით მეცნიერის მიერ დაკვალიანებული წესისა და ფორმულის მყისიერად შეცვლა და გადასხვაფერება.

გივი ძნელაძის ზოგიერთი მეტაფორა (მაგ. „მთვარე — ქვრივის თეთრი მუხლი“ და სხვ.) თავისი ღრმა ქვეტექსტითა და გააზრებით საშუალებას იძლევა მეტაფორის ცნებას ახალი, სხვაგვარი განსაზღვრებაც მივუყენოთ — **მეტაფორა — ეს არის მდიდარი მოულოდნელი შედარება.** თავისი არსით ყოველი შედარება არასრულია, ნაწილობრივია, ერთტომეულის ბევრი მეტაფორა — ეს იგივე შედარებაა, ოღონდ სრული, მდიდარი, მოულოდნელი შედარება!

გივი ძნელაძის ლირიკული გნომა — „წამიერი განწყობილება ღამით“ აირეკლავს გალაკტიონისეულ ინტონაციებს. ოღონდ ეს ინტონაცია ისე შვენის მის ლექსს, როგორც ქალაქში დამკვიდრებულ კაცს ოდესღაც სოფლიდან გამოყოლილი თავაზიანობა.

„კინოს შემდეგ“ შორეულად გვაგონებს პ. იაშვილის „დარიანულს“ (დაიტანჯა მაჯა მარჯნის...“). აქ თვით დანაწევრების, ანუ ე. წ. პარცელაციის წესიც ერთნაირად მოქმედებს და შინაარსიც ერთმანეთს დიდად ვერ დაშორდება. დასრულებული კომპოზიციითა და დახვეწილობით გამოსარჩევია „მუხრანს“, „წვიმა“. ხოლო სუსტ ლექსებად უნდა ვცნათ „როს ვიყავ ბავშვი“, „გაქვს შენ ლაჟვარდის სინაზე“... ალაგ-ალაგ კრებულში გაიელვებს ნაცნობი, უკვე ერთხელ გამოყენებული სახეებიც.

„ერთტომეულით“ გივი ძნელაძის პოეტური მსვლელობის ერთი ვრცელი და საინტერესო მონაკვეთი დასრულდა. ამ კრებულით მან გადალახა ის სახიფათო ხაზი, რომელიც საშუალო პოეტთა მერიდიანზე გადის და საშუალება შეგვიქმნა გავიმეოროთ ძველი შეგონება: „პოეტს საშუალო დონეზე ყოფნის უფლებას არც ღმერთები აძლევენ, არც ადამიანები, არც წიგნის თაროები“. დიახ, ნამეტნავად წიგნის თაროები!

ჩემს წიგნის თაროზე კი ერთ-ერთი საჩინო ადგილი უკავია გივი ძნელაძის ერთტომეულს— მისი წვისა და რუდუნების ამ შესანიშნავ კრებულს.

მურმან თავდიშვილი

მწერლის პირველი წიგნი

ავთანდილ ადეიშვილის მოთხრობების კრებულში შესული მოთხრობებიდან ზოგიერთი მათგანი მკითხველისათვის უკვე ნაცნობია. ეს მოთხრობები წლების მანძილზე იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“.

ავტორს ადრეც იცნობდნენ, როგორც იუმორისტ მწერალს. ამ ჟანრმა გარკვეული როლი შეასრულა მის მწერლად ჩამოყალიბებაში.

სიცილი ა. ადეიშვილის არაიუმორისტულ მოთხრობებშიც გამოიყენება არა უბრალოდ მკითხველის გახალისების, არამედ ბოროტების მხილების, ავისა და კარგის უფრო ნათლად გა-

---

ა. ადეიშვილი — „მტევანი“ გამომცემლობა „მერანი“.

მოკვეთისა და ჩვენების მიზნით. იგი ერთგვარად აცოცხლებს, კოლორიტულ შეფერილობას ანიჭებს თხრობას.

კრებულში თოთხმეტი მოთხრობაა შესული. ეს მოთხრობები დიდი მოცულობისა არ გახლავთ (რაც ავტორის მხატვრული სტილის თავისებურებებითაა განპირობებული), მაგრამ მათში მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხებია დაყენებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მოთხრობებში მოქმედება ძირითადად სამოციანი წლების ფონზეა გაშლილი.

ეს ის პერიოდია, როცა საზოგადოების ერთ ნაწილში თავი იჩინა ჩვენთვის უცხო და მავნე ტენდენციებმა, შეიბღალა პატიოსნება. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ყველაფერი არ გამოსწორებულა. ამიტომაც ეს მოთხრობები დღესაც ინარჩუნებენ მამხილებელ პათოსს.

არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, **რომ** საერთოდ მწერლობა იყო ყოველთვის ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების გუშაგი, ცხოვრების ფხიზელი მეთვალყურე. მას ევალებოდა და ევალება დროულად შეამჩნიოს სად ირღვევა წონასწორობა, რა ანომალიებმა უნდა იჩინოს თავი. ამისათვის საჭიროა, რომ მწერალი მთელის გულმოდგინებით აკვირდებოდეს ადამიანთა სულის სიღრმეში მიმდინარე „სეისმურ მოვლენებს“, წინასწარ განსაზღვრავდეს მათს საშიშ შედეგებს.

ამ ღირსებას არც ზემოთ დასახელებული წიგნის ავტორია მოკლებული. როგორც მისი ერთ-ერთი მოთხრობის „ურვა“ გულდასმითი ანალიზით ირკვევა, მას აქვს უნარი ჩასახვის პროცესში მყოფი მავნე ტრადიციების მიგნებისა და გამოვლენისა, რითაც ძალუძს დიდი მორალური სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს.

ა. ადეიშვილის მოთხრობები არ გამოირჩევა განსაკუთრებული თემატური სიახლით, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, საკითხის დაყენებისა და მხატვრული ხორცშესხმის ხერხების გამოყენების თვალსაზრისით გარკვეულ სიახლეებთან გვაქვს საქმე.

ამ ნაწარმოებებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ ახასიათებთ განსაკუთრებული სიუჟეტური სიმძაფრე. ერთ მათგანს კი —„სიზმარი“ სიუჟეტი საერთოდ არ გააჩნია. მოქმედება ხშირად აუჩქარებლად, მდორედ მიმდინარეობს, ძირითადი ყურადღება გმირის სულიერი ცხოვრების ჩვენებაზეა გადატანილი.

კრებულში შესული მოთხრობები ხასიათდებიან ფსიქოლოგიური სიღრმით, მხატვრულ სახეთა სირთულით, რაც ეხმარება ავტორს ჩაქსოვოს მათში ცხოვრებისეული სიმართლე. ამავე დროს შეიმჩნევა, რომ მწერალს არ აკლია მხატვრული ზომიერების გრძნობა. არაა შეპყრობილი მკითხველზე ეფექტის მოხდენის ცდუნებით. იგი ხელოვნურად რიდი—ცდილობს საინტერესო გახადოს თხრობა, დაძაბოს და გააძწვავოს სიტუაციები.

მწერალი თითქოს არც პერსონაჟთა ურთიერთობაში ერევა, არ კარნახობს მათ თავის ნებას. „მისი გმირები იქცევიან ისე როგორც მათ მოესურვებათ“.

კრებულში შესული მოთხრობები თავიანთი მოცულობით, ზოგჯერ სპეციფიკითაც ნოველებს მოგვაგონებენ. ამიტომაც ავტორი ვერ ახერხებს, უფრო სწორად, ვერ ასწრებს ხასიათის გამოძერწვას. აქ გამოკვეთილ, მზა ხასიათებთან გვაქვს საქმე. მათ წარმოსაჩენად ერთ ყველაზე დამახასიათებელ ეპიზოდს არჩევს გმირის ცხოვრებიდან, სადაც ეს უკანასკნელი უკეთ „ამხელს“ საკუთარ თავს. ეს კი გვიადვილებს პერსონაჟის ინდივიდუალურ სამყაროში ჩახედვას.

ამ მეთოდს მწერალი ოდნავ ღალატობს მოთხრობაში „მტევანი“, მის გმირს ვასოს სხვადასხვა სიტუაციაში ვხედავთ, მაგრამ უკეთ შევიცნობთ ბოლო ეპიზოდში, როცა შუაღამისას მსხმოიარე ვაზთანაა დაჩოქილი და ბავშვივით ესათუთება მას.

ამ მომენტში მწერალი არ იშურებს მხატვრულ საღებავებს, რომელთაც მანამ ძუნწად იყენებდა, რადგანაც მთელი ყურადღება ხასიათის გახსნაზე გვქონდა გადატანილი.

ა. ადეიშვილის მოთხრობების გმირები ჩვენი თანამედროვენი, ჩვენი ქალაქისა და სოფლის ადამიანები არიან. ერთი შეხედვით სხვებისგან თითქოს არაფრით გამოირჩევიან. მაგრამ მათი მოჩვენებითი ჩვეულებრივობის მიღმა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი აზრებისა და განცდების სამყაროა.

პერსონაჟთა სამოქმედო არეალი კახეთია, ამაზე მიგვანიშნებს სოფლების სახელები, გმირთა მეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ დიალექტიზმები საერთოდ არაა გამოყენებული, თხრობა მაქსიმალურად არის დაახლოებული ამ კუთხის სასაუბრო, ცოცხალ მეტყველებასთან. ეს ეხმარება ავტორს უფრო კოლორიტულად წარმოგვიდგინოს მისი მკვიდრნი გვიჩვენოს „ტიპიური ხასიათები ტიპიურ გარემოში“. ამის გამო მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ თითო-ოროლა ეპიზოდში გაიელვებენ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ გამოხედვაშიც ერის უტეხი სული ჩანს. ხმის ტემბრიც ფოლადის ელერას გამოსცემს. გარეგნულად კუშტნი, შეუვალნი გვეჩვენებიან, მაგრამ შინაგანი სითბოთი ხასიათდებიან, რაც „ჭირთა შიგან გამაგრებამ“ გამოუმუშავა მათ.

იმის გამო, რომ ამ ადამიანებში ფაქიზადაა შემონახული ქართველი ერისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადი ნიშან-თვისებანი. რო-

მანტიკულად აღიქმებიან, ამძაფრებენ წარსულის განცდას (მე რასაკვირველია, დადებითი პერსონაჟები მაქვს მხედველობაში).

მწერალი, როგორც ზემოთაც ითქვა, სიტყვაძუნწია, საკუთარი განცდებისა და განსჯების გამოხატვას ერიდება (ხშირად გმირებსაც „ართმევს“ ამ უფლებას) იგი „არ ერევა“ მკითხველის ფუნქციებში, ცდილობს აიძულოს იგი თვით ჩახედეს მწერლის სათქმელს, ჩასწვდეს ქვეტექსტს — მხატვრული ნაწარმოების იდუმალ სამყაროს.

ბუნებრივია, მკითხველმა თუ ეს მსხვერპლი არ გაიღო, „განსაწმენდელი“ არ განვლო, „სალხინობელში“ ვერ შევა, ვერ იხილავს აისბერგის წყალქვეშა ნაწილს.

ამ თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოები შეიძლება შევადაროთ არქიტექტურულ ნაგებობას, რომლის ექსტერიერი მოგვაგონებს ტექსტს, ხოლო ინტერიერი — ქვეტექსტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის დათვალიერება შეუძლებელია — იგი უნდა შეიგრძნო.

ეს კი შეუცნობელის შეცნობის, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის ხილვის უნარს მოითხოვს, რაც არა მარტო გვაახლოებს ავტორთან, არამედ მისი შემოქმედებითი პროცესის მესაიდუმლეს, თანაზიარს გვხდის.

ყოველივე ამის გამო მკითხველს ა. ადეიშვილის მოთხრობებში იდუმალი, წარმოსახვითი პერსონაჟის როლი აქვს დაკისრებული.

წიგნის კითხვისას, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ერთგვარად გაორებულნი ვართ. ჩავცქერით მას და გონების თვალით ცხოვრების წიგნს ვფურცლავთ: უთვალავი სიმონი, ვასო, დავითი, რატი, ოდილავაძე ამოტივტივდებიან ჩვენს წარმოდგენაში, რაც გვარწმუნებს, რომ ეს გმირები ჩვენი სინამდვილიდან არიან აღმოცენებულნი; როგორც აღვნიშნეთ, ისინი ერთი შეხედვით უბრალო, უპრეტენზიო ადამიანები არიან. მათგან განსხვავდება დავითო მოთხრობა „ყივილის“ მთავარი გმირი, რომელიც თავიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას — ნაწარმოებში მისი გამოჩენისთანავე კონფლიქტური სიტუაცია იქმნება. სოფლების დაცარიელებით გამოწვეული სევდა ამ მოთხრობაში ისეთ რეგისტრშია აყვანილი, რომ ეროვნულ ტკივილად განიცდება.

მოქმედება მთათუშეთში — სოფელ შენაქოში მიმდინარეობს. მარტოობაში გამომწყვდეული რამდენიმე თუში სტოიკურად იტანს ყოველგვარ სიძნელეს, მათ იციან, რომ ბარში წასვლით „საქართველოს სამანები დავიწროვდება“ და „ვერტმფრენის მოლოდინში იცრიცება მარტოობას შეხორცებული მათი სულები“.

და რაოდენ სავალალოა, რომ ყოველივე ეს სწორედ იმ სოფელში ხდება, რომლის ეკლესიის კარიბჭეს აწერია — „ვინა თქვა თუშთა დალევა, ნაპირს მოტეხვა ცისია“.

საინტერესოა ერთი დეტალი: როცა თუშები მხართეძოზე წამოწოლილნი, „თავიანთ ნეტარებაში გარინდებულნი ახლოს არიან ცასთან, მთვარესთან, ვარსკვლავებთან და ოცნებებთან“ ვიღაც თბილისელი ახალგაზრდა, რომელიც, ეტყობა, პირველად არის ამ ზღაპრულ მხარეში თავის ტრანზისტორულ მიმღებს მისჯდომია და იმის იქით ვეღარაფერს ამჩნევს და შეიგრძნობს.

ავტორი ამ ორიოდე შტრიხს იმეტებს მის დასახასიათებლად და გვაგრძნობინებს, რომ ეს ახალგაზრდა რობოტიზებული პიროვნებაა — დაცლილი ყოველგვარი რომანტიკისაგან.

ავტორი აქაც ჩვენთვის კარგად ნაცნობ საშიშროებაზე მიგვანიშნებს. ავტორი ამ მოთხრობაში მისთვის არადამახასიათებელ გულუხვობას იჩენს ბუნების სურათების აღწერაში, თუმცა სხვანაირად ძნელია ისაუბრო მთათუშეთზე. სხვათა შორის იგრძნობა კინემატოგრაფიული ხედვა, უფრო მეტიც, მოთხრობა თითქმის მზამზარეული კინოსცენარია, რაც რასაკვირველია, არ ამცირებს მის ღირსებას: აი მაგალითად „ვერტმფრენი ნარნარად დაფრინდა შენაქოს „აეროპორტზე“, გაკაჟებული მკვიდრნი მდუმარებით მისჩერებიან რკინის კალიას, მისი ფრთების მიერ გამოსროლილი დაგრეხილი ჰაერი ქალების თავსახვევებში ძვრება და თმებს უწეწავს“. ყველაფერი ახლოდან, ფართო რაკურსითაა დანახული...

„ყივილს“ ერთგვარად ენათესავება მოთხრობა „იდუმალი ზარები“ იგი მცირე მოცულობისაა, მაგრამ ბევრ მწვავე პრობლემას აყენებს.

მოთხრობის გმირები რატი, ზეინაბი და სხვები ტიპიური ქალაქელები, მაგრამ არაურბანიზებული (რასაკვირველია, ამ სიტყვის ცუდი გაგებით) პიროვნებანი არიან, პირიქით, მათში ბუნების სიყვარული, წარსულის რომანტიკა მძაფრად იგრძნობა, ისინი მწვავედ განიცდიან იმ დისჰარმონიას, რამაც წარსულისა და დღევანდელობის, ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულებაში იჩინა თავი. აწუხებთ ჩვენი კულტურის ძეგლთა მდგომარეობაც. „ხე კედელში მკვიდრად იჯდა, დამსხვილდება კედლებს დაბზარავს, გადაირია ბუნება, რა დაუნდობელია“, ამბობს ერთი პერსონაჟი და დასძენს: „რა მადლი იქნება ერთი შაბათობა!“ — მკითხველი კი გრძნობს რომ ადამიანია დაუნდობელი და არა ბუნება.

როგორც კრებულის მიმოხილვისას იგრძნობა, მწერალს განსაკუთრებით ადამიანთა ურთიერთობაში დარღვეული წონასწორობა აწუხებს. მისი ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟები გმირობად თვლიან მასწავლებლის საქციელს, რომელმაც მშობლების მიერ სარვამარტოდ შეგროვილი ფულით ობოლ გოგონას

საჩუქრები უყიდა (მოთხრობა „მერხი“). კრებულში არის მეტად საინტერესო მოთხრობა „ურვა“, მასში ძირითადი ყურადღება მთავარი გმირის განცდების გადმოცემაზეა გადატანილი.

ნაწარმოები მძაფრი პროტესტია იმ ვაი ადამიანების მიმართ, რომლებიც მთელი არსებით პირად საზრუნავში. ჩაფლულან და სხვისი ჭირი არაფრად მიაჩნიათ.

ავტორმა გვაგრძნობინა, რომ ადამიანთა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია და გამოსწორებას მოითხოვს. მიუთითებს იმ საშიშ სიმპტომებზე, რაც შეიმჩნეოდა და შეიმჩნევა საზოგადოების ერთ ნაწილში.

ამ ნაწარმოების მთავარი გმირია სიმონი, პროფესიით ექიმი. იგი ერთგვარად გაუცხოებულად თვლის თავს, რადგან ყურადღებას მხოლოდ მაშინ აქცევენ როცა სჭირდებათ, ხოლო როცა თვით გრძნობს სხვის საჭიროებას, გაურბიან. თვით ყოფილი პაციენტიც კი, რომელსაც ქუჩაში ხვდება, ორ წუთსაც ვერ იმეტებს მისთვის, თუმცა ამ უკანასკნელს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სიმონს გულის სტენოკარდიული ტკივილები ეწყება, შიშითაა შეპყრობილი და ერთ-ერთ გამვლელს მკლავზე ეყრდნობა. მას თავის გულზე მეტად სხვათა უგულობა აწუხებს. მერე კი საკუთარ თავთანაც ჰკარგავს კონტაქტს და ეჩვენება, რომ გათქვეფილია ამ გულქვა ადამიანებში: „ვეძებდი ჩემს თავს, რომელიც ისე არეული იყო რომ ვერ ვანსხვავებდი“.

ბოლო მომენტში, როცა გულის შეტევა ეწყება, იგი მინისტრის სამკურნალოდ მიჰყავთ, მის მდგომარეობას კი ანგარიშს არ უწევენ. სიმონი უსიტყვოდ ემორჩილება მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ზოგი რამ ტენდენციურად ჩანს და ადამიანთა უგულისყურობა სიმონის მიმართ გაზვიადებული გვგონია (თუნდაც იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა ერთ მათგანს მაინც არ გამოეჩინა გულისხმიერება). ჩვენ სიბრალულით ვართ განწყობილი გმირის მიმართ და გვეჩვენება, რომ „ატომისა და ნეიტრონის საუკუნეში, ადამიანი შეუმჩნევლად გახდა უხეში“.

ამ ნაწარმოებში ავტორი კარგად იყენებს ე. წ. მოდერნისტული პროზისათვის დამახასიათებელ სტილურ ხერხს — „ცნობიერების ნაკადს“. აქ კონტრასტულად ენაცვლება ერთმანეთს სიმონის ფიქრები და ყოფითი სცენები, რითაც კიდევ უფრო ამძაფრებს მის მძიმე სულიერ მდგომარეობას.

ჩვენ მწერლის ბევრ მოთხრობას შევეხეთ, ბევრი საინტერესო ეპიზოდი გავიხსენეთ და დავრწმუნდით, რომ იგი ერიდება გაცვეთილი, ოდითგანვე ჩამოყალიბებული მანერით მხატვრულ სახეთა ხორცშესხმას. საერთოდ მისი სტილი შორსა დგას ყოველგვარი მანერულობისა და პომპეზურობისაგან.

ყოველივე ისე განიცდება, როგორც სანამდვილეშია. იგი არც ამუქებს და არც ამკრთალებს — ოღონდ ყოველივე ეს როდი ნიშნავს რომ მწერლის შემოქმედებაში მხატვრული გამონაგონი სათანადო როლს არ თამაშობდეს. არა, ყოველივე მის სულიერ პრიზმში გარდატყდება. ზოგჯერ მკითხველს ეჩვენება, რომ ესა თუ ის ეპიზოდი თავისი ხასიათით არ შეესატყვისება გმირის სულიერ განწყობილებას და სრულიად საწინააღმდეგოს გამოხატავს, მაგრამ ეს რომ მოჩვენებითია ამაში მკითხველი მალე რწმუნდება. მისი დაკვირვებული თვალი ერთი შეხედვით კომიკურ სიტუაციებშიც კი, გმირის ტრაგიკულ მდგომარეობას ამოიცნობს ხოლმე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ნაკლი ან ღირსება, უპირატესად წარმოჩნდება სტილის, მეტყველებისა და ენის სფეროში.

ენა ისეთი მგრძნობიარე ფენომენია, რომ ოდნავ უზუსტობასაც ვერ იტანს. ერთ უხეშ გამოთქმასაც კი შეუძლია არა მარტო სტილის მთლიანობა დაარღვიოს, არამედ გმირის ხასიათიც კი გააყალბოს და დიდი ზიანი მიაყენოს მხატვრულ ნაწარმოებს.

სწორედ ამიტომ არის მწერლობა „კანონზომიერების ფარგლებში მოქცეული თავისუფლება“.

ავტორის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი არა მარტო იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს, არამედ ხვეწავს და ამდიდრებს მას, რაშიც ხელს უწყობს ის, რომ კარგად იცნობს ხალხურ მეტყველებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არის გმირის დახასიათების ორი ხერხი: გმირზე მეტყველებისა და გმირის მეტყველებისა, ავტორი კარგად იყენებს უკანასკნელს.

მაგალითად: „ჩვენი სოფლის თამადობით ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს! ეს ველ-მინდვრები ხან მწვანდებოდეს და ხან თეთრდებოდეს! საბადლოდ ჩვენი შვილები მრავლდებოდნენ თავ-თავიანთ ეზო-კარში“.

ამ მონოლოგში არც ერთი კილოკავი არაა გამოყენებული, მაგრამ მკვეთრად იგრძნობა კუთხის კოლორიტი.

პერსონაჟი კი ისე ცოცხლად და შთამბეჭდავად წარმოისახება, რომ მის მიერ წარმოთქმული ფრაზების ტონალობას და ხმის ტემბრსაც კი ვგრძნობთ.

ავტორი დიდის რუდუნებით ეპყრობა თითოეულ სიტყვას, მაგრამ ზოგჯერ ეს თვითმიზნურ გატაცებად ექცევა ხოლმე, რაც არღვევს თხრობის ბუნებრიობას.

მაგ. მოთხრობაში „დაკარგული მოზვერი“, რომელიც თავისთავად საინტერესო ნაწარმოებია, გვაქვს ასეთი ადგილი: „წმინდა ქალობის კარის ანჯამები და ურდულები დამსხვრეოდა,

ეძებდა გიეის ემოციისაგან ნუგეშს, რომელსაც საკუთარი თავის გარდა ვერავინ უკარნახებდა".

ფრაზას ხელოვნური იერი დაჰკრავს, იგრძნობა, რომ ავტორი ძალას ატანს თხრობას.

საბედნიეროდ, ასეთი რამ კრებულში თითქმის არ მეორდება, რაც გვარწმუნებს, რომ ავტორმა გაითვალისწინა ის შენიშვნა, რაც მის მიმართ გამოითქვა კრიტიკოს გ. ხუხაშვილის წერილში: „დებიუტები პროზაში" (ალმანახი „კრიტიკა" № 3, 1977 წ.).

არის სხვა ლაფსუსებიც: მის მოთხრობებში ყველა ეპიზოდი როდია შესრულებული ერთნაირი მხატვრული ძალით, რაც მკითხველში უკმარობის გრძნობას იწვევს; ჰბადებს სურვილს მეტი ექსპრესულობისა, გამომსახველობითი სიმძაფრისა.

ყოველივე ამის მიუხედავად საერთო შთაბეჭდილება კარგია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მიერ მიმოხილული მოთხრობები მწერლის სადებიუტო ნაწარმოებებია, მომავალში მისგან მეტს უნდა ველოდეთ.

ჟურნალ „ცისკრის" 1982 წლის მერვე ნომერში დაბეჭდილი მისი მოთხრობა „ალალი" რომელმაც მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აზრს.

ალმანზორ თამაძე

„საიდან მოდიხარ, სიყვარულო?"

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ქუთაისის ფილიალმა მკითხველებს შესთავაზა თეიმურაზ ლანჩავას მოთხრობების კრებული — „საიდან მოდიხარ სიყვარულო". თეიმურაზ ლანჩავას ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს პერიოდულ პრესაში. ახლა კი მკითხველს შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს ამ წიგნში თავმოყრილ მწერლის მოთხრობებს.

ავტორს კარგად აქვს შეგნებული, თუ რა რთულსა და საპატიო საქმეს მოსჭიდებია, აღნიშნავს კიდევაც ერთგან: მწერლობა „თვითონ შეგიწირავს, დაგადნობს, ტვირთს ვერავინ შეგიმსუბუქებს".

მწერალი ცდილობს საინტერესო, ლამაზი და საჭირო სიტყვა უთხრას მკითხველს, ჩააფიქროს ჩვენი ცხოვრების ავკარგზე, მოაგონოს ბავშვობის უტკბილესი წლები, კიდევ ერთხელ გაახსენოს პირველი სიყვარულის განცდით მოგვრილი საინტერესო წუთები. წერს იგი უბრალო, კეთილ, მშრომელ ადამიანებზე, ქართულ სოფელზე, ბავშვის თვალით დანახულ სამყაროზე, წუთისოფლის წარმავლობაზე, ქართველი კაცის სიყვარულით ალსავსე გულზე; ავტორი გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას კარგით და ცუდით, მასალებით და დასაგმობით. აწუხებს ის პრობლემები, დღეს რომ ერისთვის აუცილებელ გადასაწყვეტ საკითხად ქცეულან. მოთხრობაში — „მირიანი" ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია:

„— მამა, ხეები რომ არ დადიან?

— ფესვები არ უშვებენ.

— კარგია, თორემ სიარული რომ შეეძლოთ, მაგენიც მიატოვებდნენ აქაურობას.

თეიმურაზ ლანჩავა. „საიდან მოდიხარ სიყვარულო". გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". ქუთაისის ფილიალი.

— ვითომდა რატომ? — დავინტერესდი.

— შენ არ თქვი, ჩვენს სოფელში ვინაც ფეხი აიდგა, ყველა ქალაქში წავიდაო?"

ასეთი ღიმილნარევი სევდით ეხმაურება მწერალი მაღალმთიანი სოფლების დაცარიელების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას.

საერთოდ, მწერლისათვის ტიპიურია მსუბუქი, კეთილი იუმორი. წიგნში შემავალი მრავალი მოთხრობა თუ ეპიზოდი შეუძლებელია წაიკითხო ღიმილის გარეშე. „როზმარიო", „გადანახულება", „ქათქათა პერანგი", „გასაჭირი", მკითხველს სასიამოვნო, ხალისიან განწყობილებას უქმნის. თეიმურაზ ლანჩავა კარგად ფლობს ქართულ სიტყვას, ხელეწიფება უბრალოდ, საინტერესოდ და ბუნებრივად წერა.

მიუხედავად ამისა, თ. ლანჩავას მოთხრობებში ისეთი ეპიზოდები და ადგილებიცაა, რომელიც ნაკლებად დამაჯერებელია, გულუბრყვილობის ელფერი დაკრავს. საილუსტრაციოდ ავიღოთ მოთხრობა — „ეამი ნათელხილვისა";

ტიპიური საქმოსნების ცხოვრება, გაქნილი ტრესტის მმართველი, სწრაფვა კარიერისკენ, ზოგიერთ ინსტიტუტში გამეფებული უსამართლობა და ა. შ. უკვე მრავალჯერ ყოფილა ქართველი მწერლების ინტერესის საგანი და მკითხველსაც არა ერთხელ და ორჯერ მისცემია შესაძლებლობა ამგვარი ნაწარმოებების გაცნობისა, ამავე დროს მოთხრობაში არის ისეთი პასაჟები, რომელსაც ძნელია ერწმუნო. აი, ერთი მათგანი:

გოგონასთვის, რომელიც თავიდანვე შეჩვეულია კომფორტს, ფუფუნებას, კარგ ცხოვრებას, თვალი ბროლის სასახლისაკენ უპირავს და არავითარი სურვილი არა აქვს კეთილმოწყობილი, უზრუნველყოფილი ყოფიდან გაპირვებაში გადაინაცვლოს, სიძნელეებს შე-

ეპიდოს; საკმარისი აღმოჩნდა თანაკურსელთან, მუშნი შეწირულთან ერთად მანქანით ქალაქგარეთ გასვლა, რომ უეცრად გამოცვლილიყო, ვაჟის სიყვარული ეგრძნო, სიმდიდრე, და ხელსაყრელი ქორწინება უარეყო და მუშნისთვის ეთხოვა — „ნუ დავბრუნდებით უკან". არადამაჯერებელია ასეთი უეცარი მეტამორფოზა. მწერალი არავითარ საფუძველს არ ამზადებს ამისათვის, რომ განებივრებული ქალიშვილის საქციელი მკითხველისათვის გასაგები გახადოს.

ცირა ჯაიანი აცხადებს: „ვიყოთ გიჟები იმათ თვალში, ვინც ადამიანთა ბედნიერებას მხოლოდ ძვირფას თვლებიან ბეჭდებითა და სამკაულებით ზომავს". გოგონას მხრიდან, რომელიც მეშჩანურ ოჯახში გაიზარდა და ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული აქვს ყეთილდღეობისაკენ, სიმდიდრისკენ სწრაფვა, შინაგანი სამყაროს, შეხედულებების ასეთი უეცარი შეცვლა ძნელი დასაჯერებელია.

ანდა მუშნი შეწირული ავიღოთ. იმის გამო, რომ მან ხელი შემოკრა ლაქია ვაი-ასპირანტს მას რიცხავენ ინსტიტუტიდან, დაუფიქრებლად და შეუბრალებლად ამრუდებენ მისი ცხოვრების გზას. მუშნი, რომელიც ავტორს პირდაპირ, მოურიდებელ, სიმართლის მოყვარულ პიროვნებად ჰყავს დახატული, ამ დროს ხმას არ იღებს, უფრო საოცარია მუშნის საქციელის ავტორისეული ახსნა; აი, რას გვეუბნება მწერალი: „თავის მართლება რას მიქვიან, ახლაც ექავებოდა ხელისგული. მაგრამ ათასი მოციცინებული თვალი? თუმცა რა შეეძლო ამ თვალებს, ისინი სტუდენტებს ეკუთვნოდნენ, და სეირის მოსასმენად დაცქვეტილ ყურებს ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ ხომ არაფერი გამოგვეპარაო.

არც ამათ დასწყვეტდა მუშნი გულს, მაგრამ დიდი დრო იყო საჭირო ამბის მოსაყოლად. ამ დროში კარგად შეიძლებოდა ბეთჰოვენის „მთვარის სონატის", გალაკტიონის „ლურჯა ცხენების" მოსმენა ან კიდევ ტუჩებგაბუტულ ცირაზე ფიქრი. ამიტომაც არაფერი უპასუხნია".

შესაძლოა მუშნის, თავისი მოქმედების სისწორეში დარწმუნებულს, არ ეკადრებინა თავის მართლება იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც მისი ბედი სრულიად არ ანაღვლებდათ, მაგრამ ახსნა მუშნის დუმილისა იმგვარი მიზეზებით, რომელიც ავტორს მოყავს, ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ასევე უცნაურია მუშნის შემდგომი საქციელი. როდესაც გადაწყდა მისი ინსტიტუტიდან გარიცხვა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები გავიდნენ აუდიტორიიდან და მუშნიც აპირებს დატოვოს ოთახი, იგი უეცრად ჩერდება კართან, შემოტრიალდება და არაადამიანურად გადაიხარხარებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაადამიანური ხარხარი მუშნი შეწირულს ყოველთვის სულიერი დაძაბულობის და დიდი განცდების ჟამს ახასიათებს, რაც გმირის გულწრფელობაში ვერ გვარწმუნებს, პირიქით, კომიკურ სიტუაციაში აყენებს მას.

აი, მეორე ეპიზოდიც:

ᲛᲣᲨᲜᲘᲛ ᲪᲘᲠᲐ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲙᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ, ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲥᲠᲝᲚᲕᲘᲗ ᲙᲘᲜᲐᲦᲛᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲮᲔᲗᲥᲐ ᲥᲐᲚᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲐᲧᲣᲜᲐ, ᲑᲔᲭᲘᲗ ᲣᲑᲘᲫᲒᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲮᲐᲚᲘ „ᲕᲝᲚᲒᲐ" ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲨᲕᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲣᲨᲜᲘ ᲮᲐᲕᲡᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲚᲝᲓᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲩᲐᲔᲭᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ ᲛᲝᲠᲗᲝᲗ.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲔ ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲐᲙᲚᲘᲐ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲭᲣᲨᲜᲘ ᲨᲔᲬᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲕᲔᲠ ᲰᲐᲞᲝᲣᲚᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲡᲐᲫᲠᲐᲮᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲐ, ᲔᲡ ᲨᲔᲮᲡᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲣᲨᲜᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲝᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ, ᲗᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲐ ᲐᲡᲔ ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲘᲚᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ „ᲡᲮᲕᲔᲑᲡ" ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ ᲛᲣᲨᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ, ᲡᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ.

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲩᲐᲜᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲪ. ᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ, ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲛᲘᲣᲮᲢᲠᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲣᲑᲘᲫᲒᲐ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲔᲜᲯᲜᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲒᲠᲫᲕᲜᲐ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲒᲐᲘᲠᲘᲪᲮᲝᲡ—ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲘᲛ ᲛᲒᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲛᲘᲧᲣᲛᲣᲚᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲢᲙᲜᲘᲡ ᲧᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲦᲐᲓᲔᲠᲐ ᲩᲘᲠᲘᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲦᲘᲠᲡ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲮᲔᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲜᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲤᲔᲠᲐᲓ ᲐᲑᲠᲭᲧᲕᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲠᲝᲚᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲓᲠᲣᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲘᲗ ᲛᲝᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ ᲜᲐᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ „ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ" ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲣᲯᲐᲠᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ, ᲘᲪᲘ, ᲨᲔᲜ, ᲠᲐ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ? ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲜ-ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲤᲐᲡᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲥᲕᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲔᲚᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲙᲝᲜᲬᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲣᲖᲐᲚᲗᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ...". ᲛᲔᲠᲔ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲡᲔᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲣᲞᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲬᲧᲚᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲣᲠᲘᲡᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲘᲒᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲧᲠᲘᲡ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲚᲐᲠᲜᲐᲯᲔᲑᲡ, ᲕᲐᲖᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲗᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘᲪ ᲙᲘᲐ.

ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ Ე�პᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲚᲐᲤᲡᲣᲡᲔᲑᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲘᲫᲔᲑᲜᲔᲑᲐ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲨᲔᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲘᲒᲝ ᲠᲝᲓᲘᲐ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ, ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲡ. ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲮᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪᲐᲐ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲮᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲘᲡᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲔᲣᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲙᲚᲐᲙᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ, ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔᲐ ᲓᲐ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲕᲐᲚᲘ.

საიდან მოდიხარ, სიყვარულო? — დაუფიქრებლად ხელს იქ მივიდებ, სადაც გული ფეთქავსო — აღნიშნავს თეიმურაზ ლანჩავა და წიგნის ფურცლებზე მართლაც ჩანს ის გულის სიღრმიდან გამომდინარე დიდი სიყვარული, რომელსაც ავტორი განიცდის თავისი ქვეყნის, ხალხის მიმართ და ის ღრმა მოწიწება და პატივისცემა, რითაც თ. ლანჩავა მწერლობის ეკლიან ბილიკებს მიუყვება.

ქეთევან გიორგობიანი

ედგარ პოს მოთხრობები ქართულად

ედგარ პომ თავისი ნაწარმოებების მრავალფეროვნებით, განუმეორებელი ფორმითა და ღრმა შინაარსით მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი შემოქმედის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა.

1982 წელს „საბჭოთა საქართველომ“ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქციითა და რეკომენდაციით გამოსცა ედგარ პოს „17 მოთხრობა“, რომელიც თარგმნა, ბოლოსიტყვა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილაძემ. მოთხრობების კრებულში შესულია: „მორელა“, „უილიამ უილსონი“, „ბრბოს კაცი“, „ნაპარავი წერილი“, „ამბავი ერთი ჰ-ებიანი საგაზეთო წებილისა“, „სფინქსი“, „სკუპ-სკუპო“, «Mellonta Tauta» „წითელი სიკვდილის ნიღაბი“, „მთხრებლი და ქანქარა“, „ლიგეა“, „შენ ხარ კაცი იგი“, „გული — გამთქმელი“, „ეშმა სამრეკლოზე“, „აშერთა ოჯახის დაქცევა“, „დოქტორ კუპროსა და პროფესორ ბდღვერის სისტემა“, „მალსტრემში დანთქმა“.

ამ თარგმანის დაბეჭდვა სასიხარულოა ქართველი მკითხველისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ედგარ პოს მოთხრობების პირველ კრებულს ქართულად, არამედ იმითაც, რომ თარგმანი მწერლის მეტად რთული შემოქმედების სიღრმისეული წვდომითა და გააზრებით არის შესრულებული. აქ, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ თარგმანის სრული განხილვა. ზოგიერთ მათგანზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

სიყვარულის თემისადმი მიძღვნილ მოთხრობებს შორის ყველაზე საინტერესოა „ლიგეა“. ედგარ პოს ნაწარმოებების ქალთა სხვა პერსონაჟების მსგავსად, ლიგეა საოცრად ლამაზი, განსწავლული, დახვეწილი, ფაქიზი სულისა და, ამავე დროს, მტკიცე ნებისყოფის ქალია.

მწერალი საოცარი სიზუსტითა და სიძლიერით გვიხატავს ლიგეას პორტრეტს, მის გარეგნულ სილამაზესთან ერთად, სულიერი სამყაროც შთამბეჭდავად არის გამოკვეთილი.

ლიგეას, ბუნებრივ, ადამიანურ სიდიადესთან ერთად, რაღაც განსაკუთრებულობა, ცოტა „უცნაურობაც“ კი ახასიათებს, რის გამოც ზოგჯერ მკითხველს ეჭვი ეპარება ლიგეას რეალობაში. ეს მკვეთრად იგრძნობა თვალების აღწერის დროს. თარგმანშიც, ლიგეას თვალებს იგივე აზრობრივი დატვირთვა აქვს. ილუსტრაციისათვის სრულად მოგვაქვს ის პასაჟი, სადაც ლიგეას თვალებია აღწერილი: „შორეული ანტიკური ხანიდან თვალების ნიმუში არ შემოგვრჩენია. შესაძლოა ჩემი სატრფოს თვალებში იმალებოდა ის საიდუმლო, ლორდი ვერულემი რომ იხსენებდა. მგონია უფრორე დიდრონი ჰქონდა ეს თვალები, ვიდრე ჩვეულებრივ ახასიათებთ ჩვენი მოდგმის ქალებს, ნურჯაჰადის ველად მცხოვრები ტომის დიაცთა ქურციკისებრ თვალებზეც უფრო დიდრონი ჩანდნენ ისინი. მხოლოდ ზოგჯერ, დიდი მღელვარების წამს მცირეოდნავღა ხდებოდა შესამჩნევი ეს გარემოება. მზეს შეშურდებოდა მისი მოხდენილობა ამ წუთას, ცით მოვლენილი, არამიწიერი სილამაზის არსებას ჰგავდა, თურქული ზღაპრების ჰურიას. თუ, შესაძლოა, აგრე ჩამაგონა ჩემმა წამონაებულმა ფანტაზიამ. შავფერი, ცოტათი უსწოროდ მორკალული წარბები ჰქონდა, გრძელგრძელ, გიშრის წამწამებში მელნისფერი თვალები უბრწყინავდა. ამ თვალებში მიკვლეული „უცნაური“ კი იყო ცხადი თავისი ფორმით, ფერით თუ ნათებით, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ამას სწორედ თვალების გამომეტყველება გვამცნობდა... ლიგეას თვალთა გამომეტყველება! რამდენი საათი გამილევია

ედგარ პო, „17 მოთხრობა“ თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.

ამ საგონებლით! შუა ზაფხულის ღამით როგორ ვეჭიდებოდი მის ჩასაწვდომად მოძალებულ ფიქრებს! ჩემი სატრფოს დემოკრიტეს ჭაზე უღრმეს თვალებში ნეტავ რა დაძირულიყო? ერთთავად გამახელა ამის მოკვლევის ენინმა. ლიგეას თვალები! დიდრონი, ნათელი, ღვთაებრივი თვალები!“ (გვ. 119).

ედგარ პოს სტილის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანს არარეალური ამბების რეალურად და ბუნებრივად აღწერის ხელოვნება წარმოადგენს. „ლიგეაში“ მწერლის სტილის ეს თავისებურება ნათლად ჩანს როვენალიგეას მკვდრეთით აღდგომის სურათის დახატვის დროს. მთხრობელი დამაჯერებლად გვიყვება, როგორ უბრუნდება ცხედარს სიცოცხლის ნიშანწყალი, მკითხველს ცხადლივ წარმოუდგება მკვდრის გაცოცხლების სურათი და შემაძრწუნებელი შიში იპყრობს.

ზაურ კილაძეს ზუსტად გადმოაქვს ორიგინალის შინაარსი, რასაც ის ოსტატურად ახერხებს ქართული ენის შესატყვისი გამოთქმებისა და მდიდარი ლექსიკური შესაძლებლობების გამოყენებით. ასე, მაგალითად, ლიგეას ოდნავ ზეაწეული ინტონაცია და მაღალფარდოვანება, რომელიც ერთ აბზაცშიც ნათლად არის წარმოჩენილი, იდენტური შინაარსით არის ქართულად გადმოტანილი: „—ჰოი, ღმერთო! ჰოი, მამავ ყოვლის მპყრობელო! ნუთუ ვერვინ მოუღებს ბოლოს იმის მძლავრობას? სულმუდამ გამარჯვებული ნუთუ ერთხელაც არ დამარცხდება? თუ ჩვენ არა ვართ შენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი?“ (გვ. 123).

ედგარ პოს სტილის ერთ-ერთ თვისებას ინტონაციების მრავალფეროვნება წარმოადგენს. ინტონაციების მკვეთრი ცვალებადობით გამოირჩევა ფსიქოლოგიური მოთხრობა „გული—გამთქმელი“. მწერალი მთავარი პერსონაჟის აგზნებული, გაბრაზებული განწყობილების გადმოსაცემად აღმავალ ინტონაციას მიმართავს. მთარგმნელს დიდი ოსტატობით გადმოაქვს შესატყვისი ინტონაცია: „დიახაც! ვიყავი და ვარ კიდეც ნამეტნავად, ნამეტნავად ნერვიული, მაგრამ ახლა არა თქვათ, გიჟიაო ეს კაცი“ (გვ. 146).

მოთხრობაში აღმავალი ინტონაცია უცებ დინჯი, მშვიდი ტონით იცვლება. ასევეა თარგმანშიც: „ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მომივიდა თავში ეს აზრი, მაგრამ, რომ გამიჯდა, აღარც დღისით მომშვებია, აღარც ღამით. თავად ის რა შუაში იყო, გასაყოფი მასთან რა მქონდა, რამე უსიამოვნებაც არ მომსვლია, თავისებურად მიყვარდა კიდეც ის მოხუცი კაცი“ (გვ. 146).

ეს მოთხრობა გარკვეულწილ აგებულია ბგერით ეფექტზე, რაც თარგმანშიც კარგად იგრძნობა „ხოდა მისმინეთ, ჩემი ბმიანობა გავიგონე, ასეთს ბამბაში შეხვეული საათი თუ გამოსცემს. კარგად ვიცი, რაც არის, გული უფეთქავს მოხუცს. მთლად გამაცოფა ამან, ასე მოჰყავს მეომარი ბრძოლის ენინზე დოლის ცემას... მატულობდა ამ დროს ჯოჯოხეთური დოლის ცემა-ხმაური გულისცემისა. ყოველ წამს უფრო მალი, სულ უფრო მალი და ძალუმი ხდებოდა... დავძრწოდი აქეთ-იქით, მძიმედ და დიდზე ვადგამდი ფეხს, თითქოსდა ცეცხლი წამკიდა ამ ხალხის ცქერამ... მაინც მატულობდა ეს ხმიანობა. რა წყალში უნდა გადავვარდნილიყავი, ღმერთო! ხვითქი გადამასკდა... ვბოდავდი... ვიგინებოდი! სკამიანად ვწრიალებდი, ფხაკაფხუკი გამქონდა იმ ფიცრებზე, მაგრამ ყოველივე ჩაეხშო ამ ხმას და მატულობდა კვლავაც. მოუმატა... მოუმატა... მოუმატა!“ (გვ. 150-51).

მწერალი ხშირად იყენებს ალიტერაციებს, სიტყვების, ზოგჯერ კი ფრაზების განმეორებებს, რითაც ის დიდ მუსიკალურ ზემოქმედებას აღწევს. თარგმანში, იმ დროს, როცა სიტყვებისა და ფრაზების განმეორებების გადმოტანა ადვილია, ალიტერაციების გადმოცემა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ თარგმნის დროს ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. ზაურ კილაძე, როცა კი ამის შესაძლებლობაა, დიდი ნიჭითა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით არჩევს ალიტერაციებს, რის გამოც თარგმანსაც თითქმის იგივე მუსიკალური ზემოქმედება აქვს. ილუსტრაციისათვის მოგვაქვს წინადადება ალიტერაციების გამოყენებით: „თვალთუხილავად, უჩუმრად შეიგრძნობდა სევდიან ნათებას ჩემი უჩინარი ჩრდილისა და მგრძნობდა ოთახში“ (გვ. 148).

ედგარ პოს ცნობილი მოთხრობა — „აშერთა ოჯახის დაქცევა“ მკითხველს დასაწყისიდანვე ამზადებს იმ სევდიანი და შიშისმომგვრელი განწყობილებისათვის, რომელიც მთელ ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს. აღნიშნული განწყობილების შესაქმნელად ორიგინალში დიდ როლს ბუნების სურათის აღწერა თამაშობს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დასახელებული მოთხრობა, მსგავსად ედგარ პოს სხვა ნაწარმოებებისა, საოცარ მუსიკალურ-რიტმულ ზემოქმედებას ახდენს ალიტერაციების საშუალებით. მწერლის სტილის ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები შესანიშნავად ჩანს მოთხრობის პირველივე აბზაცში. მთარგმნელს დიდი მხატვრული ნიჭით გადმოაქვს ორიგინალის განწყობილება. ასევე, თუ ინგლისურში მუსიკალური ზემოქმედების ფუნქცია „დ“ და „ლ“ თანხმოვნებს აკისრიათ, ამავე აბზაცის თარგმნის დროს, ძირითადად „ჩ“, „შ“ და „ც“ თანხმოვნებზე დაყრდნობით,

ზაურ კილაძე დიდ მუსიკალურ ზემოქმედებას აღწევს.

„შემოდგომის დღე იყო, ჩამობნელებული, მოქურუხებული, ჩუმი, სულშემხუთავად ჩამოშლოდა ღრუბელი ცარგვალს. ცხენზე ამხედრებული უკვე კარგა ხანია მივდიოდი საოცრად მოწყენილ არემიდამოში. საღამომ რომ მოატანა, გამოჩნდა სევდის მომგვრელი სახლი აშერებისა“ (გვ. 161).

მთარგმნელობით ხელოვნებასთან ერთად, უთუოდ დიდი პოეტური ნიჭი იყო საჭირო მოთხრობაში ჩართული ლექსის — „ჯადოქმნილი სასახლის“ გადმოსაქართულებლად, რომელშიც როდერიკ აშერის ავისმომასწავებელი წინათგრძნობაა გადმოცემული. ზაურ კილაძე ზოგჯერ სიტყვების, ზოგჯერ კი სტრიქონების შეცვლით ახერხებს, როგორც შინაარსისა და განწყობილების, ასევე შესატყვისი ფორმის შენარჩუნებას. ილუსტრაციისათვის მოგვაქვს ლექსის ბოლო სტროფი:

ან მოგზაური, მოსული ველად,
სარკმლით ნახავდა იმათ ფეთებას —
ჩრდილების რიალს წითელ ფერებად,
რაღაც სიმების უცხო მღერებას.
მოიჭრნენ ბილწნი ანგიან კარით —
ვითარცა მალი, მრუმე მდინარე;
სიცილი უღიმო, საწყალობელი,
ისმის შემოსულ ბჭეთა წინარე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ მთარგმნელი ედგარ პოს შემოქმედებისადმი ღრმა მეცნიერულ მიდგომასა და კრიტიკოსის დიდ ალღოს ამჟღავნებს. მიუხედავად იმისა, რომ ზაურ კილაძე კარგად იცნობს ამერიკელი მწერლის ირგვლივ არსებულ როგორც სამამულო, ასევე უცხოურ ლიტერატურას. იგი ედგარ პოს შემოქმედებას განიხილავს არა ამა თუ იმ ლიტერატურათმცოდნის პოზიციებიდან, არამედ საკუთარი ანალიტიკური კვლევისა და დაკვირვებებიდან გამომდინარე. ზემოთქმული კარგად ჩანს ბოლოსიტყვაობაში, სადაც მთარგმნელი ედგარ პოს მოთხრობების — „ლიგეა“, „უილიამ უილსონი“ და „აშერთა ოჯახის დაქცევა“ რაციონალურ გაგებას გვთავაზობს.

ზაური კილაძისეული თარგმანი შესრულებულია მაღალ მხატვრულ დონეზე, მოთხრობების შინაარსისა და მწერლის სტილის მაქსიმალური გათვალისწინებით. ვინც ედგარ პოს შემოქმედებას და, საერთოდ, თარგმნის თანმხლებ სირთულეებს კარგად იცნობს, იმისათვის ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, ენის ცოდნასა და მთარგმნელობით ნიჭთან ერთად, თუ რა თავდადებულ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა ამ კრებულში შესული მოთხრობების ქართულად თარგმნა.

აქვე გვინდა გამოვთქვათ სურვილი, რომ კარგი იქნებოდა თარგმანს, რადგან იგი ედგარ პოს მოთხრობების პირველი კრებულია ქართულად, დართვოდა მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და შემოქმედების მიმოხილვა.

ეთერ მგალობლიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 7. 12. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 1. 84 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 06414. ტირაჟი 35.000. შეკვ. 2768. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

8 141/20

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ